

ა(ა)იპ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი
ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია

ც ო ტ ნ ე ჩ ხ ე ი ძ ე

ძველი აღთქმის წინასწარმეტყველთა *სიმბოლური*
ქმედებების საღვთისმეტყველო ანალიზი

დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი:

*რუსთავის მიტროპოლიტი, თეოლოგიის დოქტორი,
გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი,
მაღალყოვლადუსამღვდელოესი იოანე (გამრეკელი)*

თბილისი

2019

ს ა რ ჩ ე ვ ი

ანოტაცია	5
Anotation	7
შესავალი	9
თავი I. წინასწარმეტყველთა შესახებ	25
1.1. ტერმინი „წინასწარმეტყველი“	26
1.2. ჭეშმარიტი წინასწარმეტყველის თვისებები	28
1.3. წინასწარმეტყველების სახეები	36
თავი II. სიმბოლური ქმედების რაობა	38
2.1. საკითხის ისტორია	38
2.2. სიმბოლური ქმედება, როგორც მოქმედებითი წინასწარმეტყველება	45
თავი III. მეფეთა წიგნებში აღწერილი სიმბოლური ქმედებანი	52
3.1. აქია წინასწარმეტყველის მიერ სამოსლის დახევა	52
3.2. სამეა წინასწარმეტყველის მიერ აქიას სიმბოლური ქმედების განმეორება	56
3.3. მშვილდ-ისრით აღსრულებული სიმბოლური ქმედება	58
თავი IV. წინასწარმეტყველი ოსე	65
4.1. ზოგადი ცნობები	65
4.2. პირველი ქორწინება	68
4.3. მეორე ქორწინება	87
თავი V. წინასწარმეტყველი ესაია	101
5.1. ზოგადი ცნობები	101
5.2. შვილების დახმარებით აღსრულებული სიმბოლური ქმედებანი	103

5.2.1. იასუბი	103
5.2.2. „მალე იალაფე, ჩქარა გაძარცვე“	115
5.3. განმოსილი სიარული	121
თავი VI. წინასწარმეტყველი იერემია	127
6.1. ზოგადი ცნობები	127
6.2. სელის სარტყელთან დაკავშირებული ისტორია	129
6.3. თიხის ჭურჭლის დამსხვრევა	133
6.4. ქედით უღლის ტარება	138
6.5. ნასყიდობის წერილის დადება	147
6.6. ეგვიპტეში აღსრულებული სიმბოლური ქმედება	150
6.7. იერემიას წერილით ბაბილონში აღსრულებული სიმბოლური ქმედება	153
თავი VII. წინასწარმეტყველი ეზეკიელი	162
7.1. ზოგადი ცნობები	162
7.2. ეზეკიელის სიმბოლურ ქმედებათა დასაწყისი	163
7.3. იერუსალიმის ალყის გამოსახვა და მისი თანმდევი სიმბოლური ქმედებანი	170
7.3.1. რკინის ტაფის კედლად აღმართვა	173
7.3.2. მარცხენა და მარჯვენა გვერდზე მორიგეობით წოლა	175
7.3.3. თმების მოპარსვა და დანაწილება	186
7.4. სახლიდან უჩვეულო წესით გასვლა	193
7.5. პურისა და წყლის განსაკუთრებული წესით მიღება	197
7.6. გზების გამოსახვა	199
7.7. ცოლის გარდაცვალებასთან დაკავშირებული სიმბოლური ქმედება	205
7.8. ორი კვერთხის ხელში გაერთიანება	212

თავი VIII. წინასწარმეტყველი ზაქარია	220
8.1. ზოგადი ცნობები	220
8.2. მღვდელმთავარ ისუს დაგვირგვინება	221
დასკვნა	238
გამოყენებული ლიტერატურა	244

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება ძველი აღთქმის წიგნებში აღწერილ წინასწარმეტყველთა **სიმბოლური ქმედებების** საღვთისმეტყველო ანალიზს.

სადისერტაციო ნაშრომი დაფუძნებულია წმინდა მამათა სწავლებაზე.

სადისერტაციო თემის განხილვამდე ჯერეულია, რომ მკითხველმა საკმარისი ინფორმაცია მიიღოს წინასწარმეტყველთა შესახებ. ამისთვის ნაშრომში ცალკე თავია გამოყოფილი. აღნიშნული ნაწილი იწყება ზოგადი ხასიათის საუბრით ძველი აღთქმის წინასწარმეტყველთა შესახებ, შემდეგ კი განიხილება ტერმინ „წინასწარმეტყველის“ მნიშვნელობა. აქ ყურადღება მახვილდება აღნიშნული ტერმინის ებრაულ, ბერძნულ და სლავურ შესატყვისებზე. თითოეული მათგანი წინასწარმეტყველის მოღვაწეობის განსაკუთრებულ მხარეს წარმოაჩენს. ამის შემდეგ ნაშრომი გრძელდება ჭეშმარიტი წინასწარმეტყველის თვისებების განხილვით. ჭეშმარიტ წინასწარმეტყველთა თვისებების ცოდნა მკითხველს სათანადო გამოცდილებას შესძენს, რათა ჭეშმარიტება სიცრუისაგან გაარჩიოს. ამასთან, აღნიშნული ცოდნა ხელს უწყობს წინასწარმეტყველთა იმ ღვაწლის გაცნობიერებას, რაც დაკავშირებულია **სიმბოლური ქმედების** განხორციელებასთან. ნაშრომში, ასევე, განიხილება წინასწარმეტყველების სახეები. აქ უმთავრესი ყურადღება მოქმედებით წინასწარმეტყველებას ექცევა, რადგან **სიმბოლური ქმედებანი** სწორედ ამ სახის წინასწარმეტყველებას მიეკუთვნებიან.

აღნიშნული ბიბლიური ეპიზოდების განმარტებების გაცნობამდე მნიშვნელოვანია **სიმბოლური ქმედების** რაობის ცოდნა. ამ საკითხს ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. აღნიშნული მიზნით მასში ცალკე თავია გამოყოფილი. აქ თავდაპირველად წარმოდგენილია საკითხის ისტორია, შემდეგ კი **სიმბოლური ქმედების** რაობა განიხილება წმინდა მამათა ნააზრევზე დაყრდნობით და ჩამოყალიბებულია ამ ტერმინის ახლებური დეფინიცია.

ზემოაღნიშნული საკითხების განხილვის შემდეგ ნაშრომში გაანალიზებულია სხვადასხვა წინასწარმეტყველის **სიმბოლური ქმედებების** საღვთისმეტყველო შინაარსი. ეს ქმედებანი დაკავშირებულნი არიან შემდეგ წინასწარმეტყველებთან: აქია, სამეა, ელისე, ოსე, ესაია, იერემია, ეზეკიელი და ზაქარია. პირველი სამი წინასწარმეტყველის

სიმბოლურ ქმედებათა განხილვა ერთ თავში არის განთავსებული, სხვებისთვის კი ცალკე თავებია გამოყოფილი.

სიმბოლური ქმედებ(ებ)ის კვლევას წინ ერთვის მისი (მათი) აღმასრულებელი წინასწარმეტყველის შესახებ ზოგადი ცნობები. აქ, ძირითადად, განიხილება წინასწარმეტყველის ვინაობა და მისი სამოღვაწეო ეპოქა. სწორედ ამის შემდეგ არის გაანალიზებული ნაშრომში **სიმბოლური ქმედებ(ებ)ის** საღვთისმეტყველო შინაარსი. **სიმბოლურ ქმედებათა** განხილვა ხორციელდება შემდეგი წესით: თავდაპირველად წარმოდგენილია ესა თუ ის მუხლი, შემდეგ კი – მისი განმარტება. **სიმბოლური ქმედებების** ეგზეგეზა ორი მიმართულებით მიმდინარეობს: თავდაპირველად განიხილება წინასწარმეტყველების ისტორიული მხარე, ხოლო შემდეგ, თუ ეს შესაძლებელია, ნაჩვენებია მისი მესიანისტური შინაარსი. კვლევას ზოგჯერ ერთვის **სიმბოლური ქმედების** განმარტება სწავლა-მოდვრებითი კუთხითაც.

სადისერტაციო ნაშრომში დეტალურადაა გადმოცემული **სიმბოლური ქმედებების** ეკლესიის მამებისეული განმარტებები. მათ ერთვის ბოლო დროის მართლმადიდებელ და არამართლმადიდებელ თეოლოგთა მოსაზრებები და, ზოგ შემთხვევაში, იუდეური ეგზეგეზაც.

ნაშრომში განხილულია უცხოენოვანი ბიბლიების ყველა საჭირო ტერმინი და იკითხვისი. ეს აადვილებს წმინდა მამათა ეგზეგეზის სწორად აღქმას და ხელს უწყობს **სიმბოლურ ქმედებათა** საღვთისმეტყველო შინაარსის სიღრმისეულ შესწავლას.

ნაშრომში წარმოდგენილია როგორც ახალი აღთქმის, ასევე ძველი აღთქმის ძველქართულენოვანი ტექსტის შესაბამისი მონაკვეთები. ამასთან, საჭიროებისამებრ, ვიმოწმებთ სეპტუაგინტას, ვულგატასა და მასორეტული, მეფე ჯეიმსის, სლავური, ახალქართული და რუსული ბიბლიის ტექსტებს.

*ძირითადი საძიებო სიტყვები: **სიმბოლური ქმედება, ძველი აღთქმა, წინასწარმეტყველება, ეგზეგეზა.***

Annotation

The present work proposes theological analysis of prophetic symbolic actions that are described in the Old Testament.

The dissertation work is based on teachings of Saint Fathers.

It is appropriate to provide sufficient information about Prophets before discussing the subject of the dissertation to which the entire chapter is dedicated in the proposed thesis. The very chapter begins with a general discussion on of the Old Testament prophets followed by the definition of the term “prophet”. Special attention is drawn to the Hebrew as well as Greek and Slavonic counterparts of the above-mentioned term. Each of them shows a specific side of prophetic ministry. The discussion that follows is concerned with special consideration of true prophetic characteristics. Understanding true prophetic features will enable the reader to distinguish truth from falsehood. The said knowledge also encourages to comprehend the ministry that is related to the performance of symbolic action. The proposed thesis also examines the types of prophecy. Special attention is drawn to prophecy by deeds since the symbolic actions belong to this type of prophecy.

Before introducing commentaries of the above-mentioned biblical narratives it is important to be aware of the essence of symbolic action, the issue with a special emphasis being discussed in detail in a separate chapter of the thesis. At first, the history of the specified subject is presented, followed by a discussion on essence of symbolic action based on teachings of Saint Fathers. At the end the new definition of mentioned term is formulated.

After discussing the above issues, the next chapter of the dissertation provides theological analysis of various prophetic symbolic actions which are related to the following prophets: Ahijah, Samaias, Elisha, Hosea, Isaiah, Jeremiah, Ezekiel and Zechariah. The symbolic actions of the first three of the prophets are discussed in the same chapter while every remaining prophet’s actions are dealt with in a separate chapter.

The study of symbolic actions is preceded by general information on a particular prophet. These paragraphs essentially focus on the identity of individual prophets and their contemporary epochs, that is followed by theological analysis of symbolic actions performed in a following manner: primarily, the text of the Bible is presented, which is followed by a commentary. The

exegesis of symbolic action is twofold, i.e. discussing the historical aspect of an individual prophecy and possibly providing its messianistic content. In some cases, didactic interpretation of symbolic action is also examined.

The Church Fathers' interpretations of symbolic actions are presented in thorough detail. Further, the ideas of contemporary theologians and, in some cases, Jewish exegesis are presented.

There is a detailed discussion of all of the important terms and readings rendered by foreign language Bibles. This makes it easier to understand the exegesis of Saint Fathers and facilitates an in-depth study of theology of symbolic actions.

The proposed thesis presents excerpts of the texts of the New as well as Old Testament in old Georgian. Besides, the citations from the Septuagint, Vulgate and the Masoretic text, as well as other renderings like the King James version, Slavonic and modern Georgian and Russian Bibles.

Keywords: Symbolic action, Old Testament, Prophecy, Exegesis.

შესავალი

წინასწარმეტყველნი იყვნენ ზემთაგონებული პიროვნებები, რომლებიც ხალხს ღვთის განგებასა და ნებას აუწყებდნენ. ისინი მოწოდებულნი იყვნენ ეზრუნათ ძველი აღთქმის ეკლესიის წევრების რელიგიურ-ზნეობრივ სიწმინდეზე. თუმცა ზოგჯერ ებრაელი ხალხი სულიერად ისე იყო დაცემული, რომ წინასწარმეტყველთა სიტყვებს სრულებით აღარ უსმენდა. აღნიშნულ შემთხვევაში უფალი წინასწარმეტყველებს ერის დასამოდვრად **სიმბოლური ქმედებების** აღსრულების კურთხევას აძლევდა. ისინი კი შემოქმედის ბრძანებას ემორჩილებოდნენ. წინასწარმეტყველებს აღნიშნული ქმედებების სიმბოლური მნიშვნელობა ეცხადებოდათ უფლისგან მისი კურთხევის შესრულების ჟამს¹. დასასრულ წინასწარმეტყველნი თავიანთ **სიმბოლურ ქმედებებს** განუმარტავდნენ ხალხს.

სიმბოლური ქმედება არის ბოლო დროს შექმნილი ტერმინი, რომელიც მიემართება ღვთის ნებისა და განგების გადასაცემად ამა თუ იმ წინასწარმეტყველის განსაკუთრებული სახის ქმედებას². აღნიშნული ქმედებები ბიბლიაშია აღწერილი.

ტერმინ **სიმბოლური ქმედების** გვერდით თანამედროვე ბიბლესტიკაში, ძირითადად, გამოიყენება შესიტყვება „საწინასწარმეტყველო ქმედება“³ ან „ნიშან-ქმედება“⁴. გარდა ამისა, ბოლო დროის თეოლოგიურ ლიტერატურაში მკვლევრები წინასწარმეტყველთა აღნიშნული სახის ქმედებებს სხვადასხვა შესატყვისით

¹ **სიმბოლური ქმედების** მნიშვნელობის გაგების დრო ინდივიდუალური იყო.

² ტერმინ **სიმბოლურ ქმედებას** (რუს. символическое действие, ინგლ. symbolic action/act, გერმ. symbolische Handlung) მრავალი ღვთისმეტყველი და მეცნიერი იყენებს, მაგ.: მთავარეპ. იოანე (სმირნოვი) (Архиепископ Иоанн 2006ა); (Архиепископ Иоанн 2006ბ), ეპ. პალადი (პიანკოვი) (Епископ Палладий 2006ა); (Епископ Палладий 2006ბ), დეკ. ალექსანდრე მენი (Протоиерей Александр 2000); (Протоиерей Александр 2002ბ), ვ. ს. იავორსკი (Яворский 2006), ი. ა. ბროდოვიჩი (Бродович 2006), ი. სამბორსკი (Самборский 2006), გ. ფონ რადი (von Rad 1965) და სხვ. აღნიშნული ტერმინი ასევე გამოიყენება „ლოპუხინის მემკვიდრეების“ მიერ გამოცემული ბიბლიის განმარტებების არაერთ ტომში (Толковая Библия 1905); (Толковая Библия 1908); (Толковая Библия 1909); (Толковая Библия 1910), ოქსფორდის უნივერსიტეტის დეპარტამენტის „Oxford University Press“-ის გამოცემულ სახელმძღვანელოში: „The Oxford handbook of the Prophets“ (2016 წ.) და ა. შ. (აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ასევე იხ. §2.1).

³ აღნიშნულ ტერმინს იყენებენ: ა. ლოდსი („The prophets and the rise of judaism“ (1937 წ.), ჯ. ვ. ბოკერი („Prophetic action and sacramental form“ (1964 წ.), ს. ამსლერი („Les prophètes et la communication par les actes“ (1980 წ.) და „Les actes des prophètes“ (1985 წ.), რ. კ. ბუში (The possibility of contemporary Prophetic acts (2014 წ.) და სხვ.

⁴ ბიბლიის მკვლევართა გარკვეული ნაწილი წინასწარმეტყველთა აღნიშნული სახის ქმედებებთან მიმართებით არჩევს ტერმინ „ნიშან-ქმედების“ გამოყენებას, მაგ.: ვ. ციმერლი (Zimmerli 2003: 110), კ. გ. ფრიბელი (Friebel 1999: 12) და სხვ.

მოიხსენიებენ, მაგ.: „დემონსტრაციული ქმედება“, „ქუჩის თეატრი“⁵, „საწინასწარმეტყველო დრამა“⁶ და ა. შ.

ზემოაღნიშნულ ტერმინთაგან უკანასკნელი სამი შორსაა ეკლესიური აზროვნებისაგან⁷, შესაბამისად, მათი გამოყენება ბიბლიური ეპიზოდების აღსანიშნად მიუღებლად მიგვაჩნია. ჩვენ ვარჩევთ **სიმბოლური ქმედების** გამოყენებას, რადგან უმთავრესად ეს ტერმინი გვხვდება მართლმადიდებელი ღვთისმეტყველების შრომებში.

წინამდებარე ნაშრომში ტერმინი **სიმბოლური ქმედება** მიემართება ბიბლიაში აღწერილ ყველა თვალსაჩინოდ აღსრულებულ საკვირველი⁸ სახის საწინასწარმეტყველო ქმედებას, რომლის მიზანი იყო ადამიანის ცნობიერებაში ღვთის სიტყვის ღრმად აღბეჭდვა, ქმედებით გამოხატულ სათქმელში მისი დარწმუნება და გამოსწორება.

თემის აქტუალობა – წინასწარმეტყველთა **სიმბოლური ქმედებანი**, როგორც წმინდა წერილის ორგანული ნაწილი, ყოველთვის იყო წმინდა მამათა და ბიბლიის ნებისმიერი მკვლევრის შესწავლის საგანი. ამას მოწმობს ჯერ კიდევ V საუკუნეში არსებული გაუკუღმართებული აზრი ოსე წინასწარმეტყველის მიერ მეძავის ცოლად მოყვანის ფაქტის ნამდვილობასთან დაკავშირებით (აღნიშნული მოსაზრება ნახსენებია და უარყოფილია წმინდა კირილე ალექსანდრიელისა (Святитель Кирилл 2006ა: 23-35) და ნეტარი თეოდორიტეს (Блаженный Феодорит 2006ა: 251-253) ეგზეგეტიკურ ნაშრომებში). იმავე სახის მოწმობას წარმოადგენს დასახელებულ საუკუნეში არსებული კითხვა: რატომ გაიმეორა სამეა წინასწარმეტყველმა აქიას **სიმბოლური ქმედება** (Блаженный Феодорит 1905: 378)? ამასთან, ეკლესიის მამათა განმარტებები საფუძვლიან აზრს გვიჩენს, რომ ეგზეგეტები აღნიშნულ ბიბლიურ ეპიზოდებს განსაკუთრებული ნიშნით გამოჰყოფდნენ (Блаженный Феодорит 2006ა: 252); (Святой Ефремъ 1995ა: 476); (Святитель Иоанн 1906: 1301).

XX ს-ში ბიბლიის უცხოელმა მკვლევრებმა (გერმანელებმა, ფრანგებმა, ინგლისელებმა და ა. შ.) წინასწარმეტყველთა **სიმბოლური ქმედებების** რაობის შესახებ

⁵ აღნიშნულ ტერმინებს ბ. ლანგი იყენებს ნაშრომებში: „Kein Aufstand in Jerusalem: Die Politik des Propheten Ezechiel“ (1978 წ.), „Ezechiel: Der Prophet und das Buch“ (1981 წ.), „Monotheism and the Prophetic Minority: An Essay in Biblical History and Sociology“ (1983 წ.), „Street Theater, Raising the Dead, and the Zoroastrian Connection in Ezekiel’s Prophecy“ (1986 წ.).

⁶ აღნიშნულ ტერმინს ვ. დ. სტეისი იყენებს წიგნში: „Prophetic Drama in the Old Testament“ (1990 წ.)

⁷ ეკლესიურ აზროვნებაში ვგულისხმობთ საღვთისმეტყველო საკითხისადმი ღვთისმომიშებით მიდგომას.

⁸ სიტყვა „საკვირველი“ ვგულისხმობთ საზოგადოებაში მიღებული ქცევის ნორმებისთვის არაადეკვატურს.

გამოთქვეს მრავალი მოსაზრება. თეოლოგები თავიანთ ნაშრომებში აღნიშნულ საკითხს სხვადასხვა თვალთახედვით განიხილავდნენ და **სიმბოლურ ქმედებებს** არაერთი კუთხით აანალიზებდნენ (იხ. §2.1).

წინასწარმეტყველთა **სიმბოლური ქმედებების** შინაარსის გაგება, მათი უჩვეულო ხასიათის გამო, ხშირად საკმაოდ რთულია. რამდენადაც წმინდა წერილის მნიშვნელობა დროის მდინარეასთან ერთად არ მცირდება, ხსენებული ბიბლიური ეპიზოდების შესწავლა ინარჩუნებს აქტუალობას ყოველი ეპოქის ადამიანისთვის.

სადისერტაციო თემის აქტუალობას ისიც განსაზღვრავს, რომ **სიმბოლური ქმედებები** შესულია მრავალი ქვეყნის სასულიერო სასწავლებლების სასწავლო პროგრამაში, მათ შორის თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ძველი აღთქმის საგნის სილაბუსებში. ასე რომ, აღნიშნული ბიბლიური ეპიზოდები საღვთისმეტყველო ფაკულტეტის სტუდენტების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შესწავლის საგანია.

თანამედროვე მდგომარეობა საკვლევ საკითხთან დაკავშირებით ასეთია: წინასწარმეტყველთა **სიმბოლური ქმედებებისადმი** მიძღვნილი კომპლექსური ხასიათის ნაშრომები მართლმადიდებელი ეკლესიის გარეთ მყოფი მკვლევრების ავტორობითაა ცნობილი. ისინი არ ითვალისწინებენ წმინდა მამების ეგზეგეზას, **სიმბოლური ქმედების** რაობის შესახებ სხვადასხვა თვალსაზრისს გამოთქვამენ და ამ ბიბლიურ ეპიზოდებს თვითნებურად განმარტავენ.

ყოველივე ზემოთქმული აღნიშნულ საკითხს მეტად ბუნდოვანს ხდის. ტერმინ **სიმბოლურ ქმედებას** იყენებენ მართლმადიდებელი ეკლესიის ღვთისმეტყველები (მაგ.: რუსეთსა და საქართველოში). აქედან გამომდინარე, საჭიროა ისეთი ნაშრომის წარმოდგენა, რომელშიც წმინდა მამათა სწავლების შუქზე იქნება ჩამოყალიბებული **სიმბოლური ქმედების** რაობა და მათივე მოძღვრების ჭრილში განიმარტება სათანადო ბიბლიური ეპიზოდები.

კვლევის საგანია ძველი აღთქმის წიგნებში აღწერილი **სიმბოლური ქმედებანი**.

სიმბოლურ ქმედებათა არსებითი ნაწილი ძველი აღთქმის (განსაკუთრებით საწინასწარმეტყველო) წიგნებშია აღწერილი. ამგვარ ქმედებებს მიეკუთვნება: ოსეს პირველი და მეორე ქორწინება, ესაიას განმოსილი სიარული, სელის სარტყელთან და უღელთან დაკავშირებული ისტორიები იერემია წინასწარმეტყველის წიგნში,

ეზეკიელის მიერ აგურზე გამოსახული იერუსალიმის ალყა, ზაქარიას მიერ მღვდელმთავარ ისუს დაგვირგვინება და სხვ.

სადისერტაციო ნაშრომის მიზანია ძველი აღთქმის წიგნებში აღწერილ **სიმბოლურ ქმედებათა** საღვთისმეტყველო ანალიზი.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად ჩვენ წინაშე დგას შემდეგი **ამოცანები**:

1) განისაზღვროს ტერმინ **სიმბოლური ქმედების** მნიშვნელობა და ამის საფუძველზე დადგინდეს, ძველი აღთქმის რომელ ბიბლიურ ეპიზოდს შეიძლება მიემართოს აღნიშნული ტერმინი.

2) განვიხილოთ თითოეული **სიმბოლური ქმედების** შემსრულებელი წინასწარმეტყველის ვინაობა, სამოღვაწეო ეპოქა და გეოგრაფიული არეალი.

3) ტექსტოლოგიურად გამოვიკვლიოთ აღნიშნული ბიბლიური ეპიზოდები გარკვეულ დონემდე (უმთავრესი ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ უცხოენოვანი ბიბლიური ტექსტების იკითხვისებზე და ტერმინთა მნიშვნელობებზე, რომლებსაც განმარტებისას ეყრდნობიან ან განიხილავენ წმინდა მამები).

4) სიღრმისეულად გამოვიკვლიოთ წმინდა მამათა ყველა ხელმისაწვდომი განმარტება **სიმბოლურ ქმედებებთან** დაკავშირებით. ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ იმ რაბინთა და ბოლო დროის თეოლოგთა მოსაზრებები, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან ეკლესიის ეგზეგეტიკა განმარტებებს.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე და ძირითადი შედეგები შემდეგია:

1. სადისერტაციო ნაშრომში წმინდა მამათა ეგზეგეზაზე დაყრდნობით არის განხილული **სიმბოლური ქმედების** რაობა. ეკლესიის მამათა ნააზრევის წარმოჩენის საშუალებით ხაზი გაესვა **სიმბოლური ქმედების** თავისებურებებს, ჭეშმარიტ ფუნქციებსა და მნიშვნელობას.
2. ნაშრომში ჩამოყალიბებულია ტერმინ **სიმბოლური ქმედების** ისეთი განსაზღვრება, რომელიც არ არის წინააღმდეგობაში წმინდა წერილის ეკლესიურ გაგებასთან და ამავდროულად გამოხატავს აღნიშნულ ბიბლიურ ეპიზოდთა სპეციფიკას. სწორედ მიღებული განსაზღვრების საფუძველზე დადგინდა, თუ რამდენი **სიმბოლური ქმედებაა** ძველ აღთქმაში.
3. ნაშრომში თავმოყრილია და ეკლესიის ეგზეგეტიკა ნააზრევზე დაყრდნობით განმარტებულია ყველა ზემოაღნიშნული ბიბლიური ეპიზოდი. კვლევისას

გამოვლინდა **სიმბოლური ქმედების** განსაკუთრებული მაგალითები და გამოიკვეთა მათი თავისებურებები.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები – სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებულია კვლევის სინთეზურ-ანალიზური და შედარებითი მეთოდები.

ზემოაღნიშნული ბიბლიური ეპიზოდების კვლევა ორი მიმართულებით მიმდინარეობს: ტექსტოლოგიურად და თეოლოგიურად. **სიმბოლურ ქმედებებს** ანალიზი მუხლობრივად უკეთდება.

ბიბლიური ტექსტის კვლევა, ძირითადად, ხორციელდება გამოყენებულ ლიტერატურაში მითითებული გამოცემების საშუალებით. ამასთან, საჭიროებისამებრ, ვითვალისწინებთ წმინდა მამათა ჩვენ მიერ განსახილველ ეგზეგეტიკურ ნაშრომებში ასახული ტექსტის თავისებურებებსაც⁹. აქვე დავძენთ, რომ წმინდა წერილის სხვადასხვაენოვანი ტექსტის (მასორეტიული ბიბლია, სეპტუაგინტა, ვულგატა და სხვ.) ანალიზი ჩვენთვის, ძირითადად, იმდენადაა მნიშვნელოვანი, რამდენადაც ეს წმინდა მამათა განმარტებების სიღრმისეულად გაგებისთვისაა აუცილებელი.

ბიბლიური ტექსტის საღვთისმეტყველო ანალიზი არსებითად ხორციელდება ეკლესიის მამების განმარტებების საფუძველზე, რომლებიც მათ ეგზეგეტიკურ შრომებშია დაცული. აღნიშნული განმარტებები წინამდებარე სადოქტორო ნაშრომში მიმოხილულია სისტემურად. ამასთან, განვიხილავთ ბოლო დროის კომენტატორთა თვალსაზრისებს (საჭიროებისამებრ, ვახორციელებთ განმმარტებელთა ნააზრევის, ძირითადად, წმინდა მამების, ციტირებას)¹⁰. აღნიშნულს გარკვეულ შემთხვევებში ვურთავთ რაბინთა განმარტებებსაც (ამ უკანასკნელს, უმთავრესად, წარმოვადგენთ ნეტარი იერონიმეს ეგზეგეტიკური ნაშრომებიდან). სადისერტაციო ნაშრომში ხორციელდება წარმოდგენილი განმარტებების ურთიერთშედარება.

სიმბოლური ქმედებები თავდაპირველად განიმარტებიან ერის ისტორიულ მომავალთან მიმართებით, შემდეგ (თუ ეს შესაძლებელია) – მესიანისტურად, ბოლოს კი (გარკვეულ შემთხვევებში) – სწავლა-მოდვრებითი კუთხით.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა – სიმბოლური ქმედებების განმარტებები გაბნეულია სხვადასხვა ეგზეგეტიკურ შრომაში. წინამდებარე ნაშრომი ძველი აღთქმის წიგნებში აღწერილ **სიმბოლურ ქმედებათა** სიღრმისეული შინაარსის

⁹ წმინდა წერილის უცხოენოვანი იკითხვისების ქართული თარგმანები ჩვენ მიერაა შესრულებული.

¹⁰ უცხოენოვანი ლიტერატურის ქართული თარგმანები ჩვენ მიერ არის შესრულებული.

შესწავლის ნებისმიერი მსურველისთვის ხელმისაწვდომს ხდის ყველა საჭირო მასალას. ამასთან, აქ აღნიშნული განმარტებები გაანალიზებულია, შეჯამებულია და სისტემურადაა თავმოყრილი. მკითხველს შესაძლებლობა ეძლევა, რომ გაეცნოს ეკლესიის მამათა კომენტარებს ზემოხსენებულ ბიბლიურ ეპიზოდებთან დაკავშირებით და შეადაროს ისინი ბოლო დროის მკვლევართა ნააზრევთან. იგი, ასევე, გაეცნობა **სიმბოლურ ქმედებებთან** დაკავშირებული სხვადასხვაენოვანი ბიბლიური ტექსტების პარალელურ იკითხვისებს, გაიგებს მათ ურთიერთმიმართებას და შეისწავლის არაერთი ტერმინის მნიშვნელობას. გარდა ამისა, სადისერტაციო ნაშრომი დიდ დახმარებას გაუწევს მათ, ვინც სალოსის ფენომენის შესწავლითაა დაინტერესებული და იკვლევს, თუ სად ვლინდება აღნიშნული სახის ღვაწლი ბიბლიაში.

ჩვენ მიერ ჩამოყალიბებული **სიმბოლური ქმედების** დეფინიცია მკითხველს შესაძლებლობას აძლევს, რომ მსგავსი სახის ქმედებები თავადაც იძიოს ძველი აღთქმის მიღმა, მაგ.: წმინდანთა ცხოვრებაში. ამასთან, ნაშრომით მიღებული ცოდნა მას დაეხმარება, რათა ერთმანეთისაგან გაარჩიოს ღვთის მსახურთა და თვითმარქვია მოღვაწეთა **სიმბოლური ქმედებები**. ნაშრომში მიღებული შედეგები, შესაძლოა, გამოყენებულ იქნეს ძველი აღთქმის სალექციო კურსებში.

ლიტერატურის მიმოხილვა – დისერტაციის პირველ თავში სხვადასხვა საკითხის განხილვისას ვხელმძღვანელობთ ეკლესიის მამათა და ბოლო დროის თეოლოგთა არაერთი შრომით:

ტერმინ „წინასწარმეტყველის“ ანალიზისთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ ა. პ. ლოპუხინისა და დეკ. ალექსანდრე მენის კვლევებს (Лопухин 2007: 691-694); (Протоиерей Александр 2000: 314); (Протоиерей Александр 2002а: 501). ეს თეოლოგები ყურადღებას ამახვილებენ აღნიშნული ტერმინის ებრაულ და ბერძნულ შესატყვისებზე (ლოპუხინი სლავურსაც ეხება) და გადმოსცემენ გავრცელებულ ვარაუდებს მათი ეტიმოლოგიის შესახებ. ლოპუხინის წიგნში აღნიშნული ტერმინი განხილულია ქადაგების ჟამს წინასწარმეტყველის ცნობიერი სიჯანსაღის შესახებ სწავლების კონტექსტში. დეკ. ალექსანდრე მენი ტერმინ „წინასწარმეტყველის“ ებრაულ და ბერძნულ შესატყვისებს დაწვრილებით არ აანალიზებს, თუმცა ლოპუხინის შრომაში არსებულ ინფორმაციას მნიშვნელოვანი თვალსაზრისებით ავსებს.

ჭემმარიტი წინასწარმეტყველის თვისებების განხილვისას ვხელმძღვანელობთ წმინდა წერილითა და ეკლესიის მამათა ეგზეგეზით. აღნიშნული საკითხის კვლევისთვის მნიშვნელოვანია წმინდა იოანე ოქროპირის XXIX სიტყვა კორინთელთა მიმართ პირველ ეპისტოლეზე (Святитель Иоанн 1904: 284-296). აქ წმინდა მამა განმარტავს დასახელებული ეპისტოლის XII თავის მეორე და მესამე მუხლებს („უწყით, რამეთუ, ვიდრე-იგი წარმართლა იყვენით, კებრთა მათ მიმართ უკმოთა ვითარ-იგი შეუდეგით, მიმოყვანებულ იყვენით. ამისთვის გაუწყებ თქვენ, რამეთუ არავინ სულითა ღმრთისაჲთა იტყოდის და თქუას: შეჩუნებულ იესუ; და არავის ჳელ-ეწიფების თქუმად უფალი იესუ, გარნა სულითა წმიდითა“). წმინდა იოანე ოქროპირი XXIX სიტყვაში განიხილავს ჭემმარიტი წინასწარმეტყველის თვისებებს, გვიჩვენებს განსხვავებას მასა და ეშმაკულ ცრუწინასწარმეტყველს შორის. აღნიშნული საკითხის შესწავლისთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ ადრექრისტიანულ ეპოქაში შესრულებულ და შედგენილ პირველ კატეხიზმურ შრომას „დიდაქეს“ (<http://www.orthodoxy.ge/tserili/didaqe.htm>) და წმინდა ეპიფანე კვიპრელის თხზულებას „ერესების შესახებ“ (წ. I). წმინდა ეპიფანეს აღნიშნულ შრომაში ჩვენი კვლევისთვის მნიშვნელოვანია მონტანისტ ცრუწინასწარმეტყველთა მხილება (Святитель Епифаний 1864: 302-328). აქ საუბარია ცრუწინასწარმეტყველთა მახასიათებლებზე, რომლებიც შეპირისპირებულია ჭემმარიტ წინასწარმეტყველთა თვისებებთან. გარდა ამისა, ვსარგებლობთ ნეტარი იერონიმესა და წმინდა ბასილი დიდის განმარტებებით ესაიას წიგნზე, კერძოდ – აღნიშნული შრომების შესავალი ნაწილებით (Блаженный Иероним 1882: 3); (https://azbyka.ru/otechnik/Vasilij_Velikij/tolkovanie_na_knigu_proroka_Isaii/). წმინდა მამები ესაიას შესახებ ზოგად ცნობებთან ერთად ეხებიან ქადაგებისას წინასწარმეტყველის ცნობიერი მდგომარეობის საკითხს. ამ საკითხის კვლევაში დიდი დახმარება გაგვიწია ა. პ. ლოპუხინის ზემოაღნიშნულმა შრომამ (Лопухин 2007: 688-689, 694-695).

წინასწარმეტყველების სახეების განხილვისას ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წმინდა იოანე ოქროპირის მოძღვრება, რომელიც დაცულია მისი შრომის: „ძველი აღთქმის წიგნთა გააზრება“ შესავალ ნაწილში (Святитель Иоанн 1900ბ: 608-612). აქ წმინდა მამა ზოგადად მიმოიხილავს წინასწარმეტყველების მნიშვნელობას, მის სახეებს და მოაქვს რამდენიმე მაგალითიც. ზემოაღნიშნული საკითხის კვლევაში

დიდი დახმარება გაგვიწია ნეტარი იერონიმესა და ნეტარი თეოდორიტეს განმარტებებმა ოსეს წიგნის მეთორმეტე თავის მეთერთმეტე მუხლსა (Блаженный Иероним 2006a: 321-323); (Блаженный Феодорит 2006a: 306) და ზაქარიას წიგნის მესამე თავის მერვე მუხლზე (Блаженный Иероним 1900: 35). აქ ნეტარი მამები მოქმედებაში გამოხატულ წინასწარმეტყველებაზე საუბრობენ და მოაქვთ შესაბამისი მაგალითებიც.

სიმბოლური ქმედების რაობის საკითხის ისტორიის გადმოცემისას ვხელმძღვანელობთ რ. კ. ბუშის¹¹ (Bush 2014: 23-110), კ. გ. ფრიბელისა¹² (Friebel 1999: 11-78) და ვ. დ. სტეისის¹³ (Stacey 1990: 1-2, 14-22, 260-282) წიგნებით.

ბუში ზემოაღნიშნულ საკითხს საკმაოდ ფართოდ განიხილავს. იგი ეხება **სიმბოლური ქმედების რაობის** შესახებ გამოთქმულ მთავარ მოსაზრებებს და გვთავაზობს საკუთარ თვალთახედვასაც. ამასთან, ბუში აანალიზებს წინასწარმეტყველ იერემიას **სიმბოლურ ქმედებებს** და საუბრობს ახალ აღთქმაში არსებულ „საწინასწარმეტყველო ქმედებებზე“ (შდრ. ინგლ.: „prophetic acts“)¹⁴. აღნიშნული თეოლოგი ამტკიცებს, რომ არსებობს თანამედროვე **სიმბოლური ქმედებები** და თავის ნაშრომში განიხილავს რამდენიმე მაგალითს. ამ „საწინასწარმეტყველო ქმედებების“ გამოვლინებაში იგი იშველიებს ფრიბელის ზემოაღნიშნულ კვლევას. რაც შეეხება ფრიბელს, მას აქვს **სიმბოლური ქმედების** თავისებური განსაზღვრება. ზემოთ დასახელებულ ნაშრომში ფრიბელი აკრიტიკებს არაერთი თეოლოგის (მათ შორის სტეისის) თვალთახედვას **სიმბოლური ქმედების რაობისა** და რაოდენობის შესახებ. ფრიბელი გამოჰყოფს „ნიშან-ქმედების“ (შდრ. ინგლ.: „sign-act“)¹⁵ მახასიათებლებს და გვთავაზობს აღნიშნული კატეგორიის ძველი აღთქმის ბიბლიური ეპიზოდების ჩამონათვალს. შემდეგ იგი აანალიზებს წინასწარმეტყველ იერემიასა და ეზეკიელის „საწინასწარმეტყველო ქმედებებს“. საკუთარი თვალთახედვა ამ სახის ქმედებების შესახებ სტეისისაც აქვს. ზემოაღნიშნულ წიგნში იგი მიმოიხილავს **სიმბოლური**

¹¹ დოქტორი რანდალ კ. ბუში იყო კართაგენის კოლეჯისა და პიტსბურგის თეოლოგიური სემინარიის პედაგოგი. ამჟამად იგი მთავარი მღვდელია პიტსბურგის პროტესტანტულ ტაძარში („East Liberty Presbyterian Church“-ში, ის აგრეთვე ცნობილია როგორც „Cathedral of Hope“).

¹² კელვინ გ. ფრიბელი იყო ძველი აღთქმის კვლევების ასოცირებული პროფესორი ალიანსის თეოლოგიურ სემინარიაში (ეს არის ევანგელისტური სასწავლებელი ნიუ-იორკში). აღნიშნული ნაშრომი მისი სადოქტორო დისერტაციის შევსება-განახლებაა.

¹³ დოქტორი ვ. დევიდ სტეისი იყო ვესლის თეოლოგიური კოლეჯის რექტორი (ეს კოლეჯი იყო მეთოდისტური მიმდინარეობის სასწავლებელი ბრისტოლში. ის 2010 წელს დაიხურა).

¹⁴ იხ. სქოლიო 3.

¹⁵ იხ. სქოლიო 4.

ქმედებებისადმი მიძღვნილ პირველ ნაშრომებს და „საწინასწარმეტყველო ქმედებებთან“ დაკავშირებულ არაერთ საკითხს. ამასთან, სტეისი საკუთარი თვალთახედვის მიხედვით განსაზღვრავს ძველი აღთქმის **სიმბოლურ ქმედებათა** რაოდენობას და თითოეულ მათგანს განიხილავს.

ზემოაღნიშნული საკითხის შესასწავლად, ასევე გავეცანით შემდეგ მკვლევართა და თეოლოგთა ნაშრომებს: გ. ფონ რადი¹⁶ (von Rad 1965: 95-98), ვ. ციმერლი¹⁷ (Zimmerli 2003: 110), თ. ვ. ოვერჰოლტი¹⁸ (Overholt 1997: 317-320), მ. ე. პოლი (Polley 1972: 275-276), ე. ჰოფ-პეტერსი (Hopp-Peters 2012: 1-5) და დეკ. ალექსანდრე¹⁹ მენი (Протоиерей Александр 2000: 316-317); (Протоиерей Александр 2002ბ: 106).

წმინდა წერილის ციტატები, ძირითადად, მოგვაქვს ძველქართულენოვანი ბიბლიის 2015 წლის გამოცემიდან, რომელიც ყველა არსებული რედაქციისა და ნუსხის მიხედვით მოამზადა პროფესორმა ე. ჭელიძემ. ბიბლიის აღნიშნული პუბლიკაციის ძველი აღთქმის ტექსტი, უმთავრესად, ეფუძნება ოშკის ბიბლიას, ხოლო ახალი აღთქმა – მთაწმინდელების რედაქციას. ამასთან, საჭიროებისამებრ ვიმოწმებთ საბას (წინამდებარე ნაშრომში აღნიშნულია ლიტერით S), ოშკის (O), ბაქარის (B), გელათისა (G) და იერუსალიმის (J) ბიბლიებს²⁰. რაც შეეხება ახალქართული ბიბლიის ტექსტს, მას საქართველოს საპატრიარქოს 1989 წლის გამოცემიდან მოვიხმობთ.

სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებულია ძველი აღთქმის უცხოენოვანი ტექსტების ავტორიტეტული გამოცემები. სეპტუაგინტას ვიმოწმებთ ა. რალფსისეული გამოცემიდან (LXX), გამონაკლისის სახით – ვატიკანის კოდექსიდან (Vat.gr.1209; რალფსისეული რედაქცია აღნიშნულ კოდექსს ეფუძნება), ებრაულენოვანი ბიბლიის ტექსტს კი – შტუტგარტის (Biblia Hebraica Stuttgartensia) გამოცემიდან (MT; ის ეფუძნება

¹⁶ ჯერარდ ფონ რადი (1901-1971 წწ.) - გერმანელი ლუთერანი თეოლოგი, აკადემიკოსი, ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის პროფესორი.

¹⁷ ვოლტერ ციმერლი (1907-1983 წწ.) - შვეიცარიელი თეოლოგი და ძველი აღთქმის პროფესორი გიოტინგენის უნივერსიტეტში, კალვინიზმის მიმდევარი.

¹⁸ თომას ვ. ოვერჰოლტი (1935-2005 წწ.) - რელიგიური კვლევების პროფესორი ვისკონსინის უნივერსიტეტში (აშშ, სტივენს-ფონთი).

¹⁹ დეკ. ალექსანდრე მენი (1935-1990 წწ.) - რუსი გამოჩენილი ღვთისმეტყველი, ბიბლიის მკვლევარი, მრავალი საღვთისმეტყველო წიგნისა და სტატიის ავტორი.

²⁰ ციტატებს საბას, ოშკის, ბაქარის, გელათისა და იერუსალიმის ბიბლიებიდან ვიმოწმებთ „ძველი აღთქმის“ წიგნების ქართულ თარგმანთა კრიტიკულად დადგენილი ტექსტების სრული კორპუსიდან, რომელიც გამოიცა 2017 წელს (ბიბლია 2017ა); (ბიბლია 2017ბ).

ლენინგრადის კოდექს)²¹. ვულგატას (VUL) მოვიხმობთ რ. ვებერის, ბ. ფიშერის, ჯ. გრიბომონთის, ჰ. ფ. დ. სპარქსისა და ვ. თილეს გამოცემიდან, ხოლო მეფე ჯეიმსის ბიბლიას (KJV) – ბ. ბლეინის გამოცემიდან. წმინდა წერილის სლავური ტექსტი მოგვაქვს 1900 წლის „ელისაბედისეული“ ბიბლიის მიხედვით მომზადებული გამოცემიდან, ხოლო წმინდა წერილის რუსული ტექსტი – რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდალური თარგმანიდან.

წინამდებარე დისერტაცია მოიცავს ყველა მნიშვნელოვან წყაროს, სადაც განიმარტება ძველი აღთქმის წინასწარმეტყველთა *სიმბოლური ქმედებები*.

სიმბოლურ ქმედებებს ეკლესიის მამები განიხილავენ ბიბლიურ წიგნთა განმარტებისას. ნაშრომებში ისინი საუბრობენ წინასწარმეტყველთა ვინაობისა და მათი სამოღვაწეო ეპოქის შესახებ, ასევე გვთავაზობენ მნიშვნელოვან ისტორიულ ცნობებსა და გადმოცემებს. მამები წმინდა წერილს განიხილავენ მუხლობრივად. ეკლესიის განმმარტებელთა ეგზეგეზა გამოირჩევა დიდი სიღრმით. ის ხშირად გამდიდრებულია ბიბლიის სხვადასხვა რედაქციების იკითხვისებითა და ცალკეულ ტერმინთა ანალიზით. უპირველეს ყოვლისა, მამები **სიმბოლურ ქმედებებს** განმარტავენ ისტორიული თვალთახედვით (ე. ი. აღნიშნულ ქმედებებში აღბეჭდილ წინასწარმეტყველებებს აანალიზებენ ერის ისტორიასთან მიმართებით), ზოგჯერ კი მათ უკავშირებენ ახალაღთქმისეულ მოვლენებსაც.

სიმბოლურ ქმედებათა საღვთისმეტყველო ანალიზი დაფუძნებულია ეკლესიის შემდეგ მამათა ეგზეგეზაზე: წმინდა ეფრემ ასური († 373), წმინდა იოანე ოქროპირი († 407), ნეტარი იერონიმე († 420), წმინდა კირილე ალექსანდრიელი († 444), ნეტარი თეოდორიტი († 457) და წმინდა გრიგოლ დიდი († 604). ზემოაღნიშნულ ბიბლიურ ეპიზოდთა შესწავლაში დიდი დახმარება გაგვიწია მრავალტომეულმა, რომელშიც I-VIII სს.-ის ეკლესიის მამათა და სხვა ავტორების ნაშრომებიდან მრავალი ამონარიდია შემოკრებილი (БКОЦ 2010: 1-56, 223-268); (БКОЦ 2011ა: 1-281); (БКОЦ 2011ბ). მამათა ეგზეგეზას რუსულ თარგმანებში გავეცანით. თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, ვიხედებოდით მათ დედნებშიც (PG 1864ა); (PG 1864ბ); (PG 1864გ); (PG 1864დ); (PL 1865);

²¹ წაკითხვის გაადვილების მიზნით, ებრაულენოვან ტერმინებს ფრჩხილებში ვუწერთ ტრანსკრიფციებს, რომლებიც შევასრულეთ „The SBL Handbook of Style“-ში მოცემული „ზოგადი მიზნის“ სტილის მიხედვით (SBL 1999: 28). „ხმოვანი შვას“ შემთხვევაში, გამონაკლისის სახით, მივმართავთ დასახელებულ სახელმძღვანელოში მოცემულ „აკადემიურ“ სტილს (SBL 1999: 26).

(PL 1884); (Sancti Ephraem 1740)²² და თავადაც ვთარგმნიდით. ქვემოთ მოკლედ გადმოვცემთ ჩვენ მიერ გამოყენებულ ეკლესიის მამათა ნაშრომების თავისებურებებს.

წმინდა ეფრემ ასური – ნაშრომში ვიყენებთ წმინდა მამის განმარტებებს ესაია, იერემია, ეზეკიელ, ოსე და ზაქარია წინასწარმეტყველთა წიგნებზე (Святой Ефремъ 1995ა: 317-518); (Святой Ефремъ 1995ბ: 5-50, 90-111, 163-198).

წმინდა ეფრემ ასური განმარტავს ბიბლიის სირიულ თარგმანს პეშიტას. მისი ზემოაღნიშნული შრომები გამოირჩევა ლაკონიურობით. ბიბლიური მუხლები და განმარტებები ხშირად ერთიმეორეში გადადიან და გაბმული თხრობის სახით არიან წარმოდგენილნი. ღირსი ეფრემის ეგზეგეზა იუდეური გადმოცემებითაა გამდიდრებული.

წმინდა იოანე ოქროპირი – ვსარგებლობთ მისი ეგზეგეტიკური ხასიათის ნაშრომებით ესაია და იერემია წინასწარმეტყველთა წიგნებზე (Святитель Иоанн 1900ა: 5-378); (Святитель Иоанн 1906: 1140-1318). ეს უკანასკნელი შრომა ჩვენამდე ფრაგმენტული სახითაა მოღწეული. მასში განსაკუთრებით ვლინდება წმინდა მამის სამეცნიერო-საღვთისმეტყველო მიდგომა ბიბლიისადმი. რაც შეეხება ოქროპირისეულ განმარტებებს ესაიას წიგნზე²³, მასში ნათლად წარმოჩნდება ეკლესიის ეგზეგეტის სიღრმისეული ცოდნა წმინდა წერილის, ფილოსოფიის, ისტორიის, ბერძენთა მსოფლხედვის, ადათ-წესებისა და ა. შ. აქ გვხვდება მხილება სხვადასხვა ერეტიკული სწავლებისა (ევნომის, მაკედონისა და სხვ.) და საუბრები ვნებების დამღუპველობის შესახებ. აღნიშნულ შრომაში დიდი ყურადღება ექცევა წმინდა წერილის ტექსტოლოგიურ კვლევას. მკვლევართა თქმით, წმინდანი იყენებდა ორიგენეს ჰეზაპლებს, ებრაულენოვანი ბიბლიის ტექსტსა და წმინდა წერილის ჩვენთვის უცნობ თარგმანებს. წმინდა იოანეს განმარტებები უმნიშვნელოვანესი დეტალებით ავსებს სხვა წმინდა მამათა ეგზეგეზას.

²² წმინდა ეფრემ ასურის ეგზეგეტიკური ნაშრომების ზემოაღნიშნული გამოცემის შემთხვევაში ვიხედებოდით სირიული ტექსტის ლათინურ თარგმანში.

²³ ესაიას წიგნის ოქროპირისეული განმარტება ბერძნულ ენაზე მხოლოდ პირველ რვა თავს მოიცავს. რაც შეეხება წინასწარმეტყველის წიგნის ზემოაღნიშნულ ეგზეგეზას რუსულ ენაზე, ის ითარგმნა ესაიას წიგნის ოქროპირისეული კომენტარების ლათინური რედაქციიდან. ეს უკანასკნელი სომეხი ბერების მიერ სომხური ენიდან შესრულებული თარგმანია (მისი ბერძნული დედანი დაკარგულია), რომელიც მათ 1887 წელს გამოსცეს რომის პაპ ლეონ XIII-ს საპატივსაცემოდ. მკვლევართა თქმით, აღნიშნული შრომა ესაიას წიგნის რვა თავის ოქროპირისეული განმარტების გაგრძელება კი არაა (მიიჩნევა, რომ ეს უკანასკნელი 386 წლამდე დაიწერა), არამედ მიეკუთვნება მის მცირე არმენიაში, სოფელ კუკუზში, გადასახლების ჟამს (404-407 წწ.) (Святитель Иоанн 1900ა: 1-4).

ნეტარი იერონიმე – ვიყენებთ ნეტარი მამის განმარტებებს ოსე, ესაია, იერემია, ეზეკიელ და ზაქარია წინასწარმეტყველთა წიგნებზე (Блаженный Иероним 2006ა); (Блаженный Иероним 1882); (Блаженный Иероним 2008); (Блаженный Иероним 1886); (Блаженный Иероним 1889); (Блаженный Иероним 1900: 1-195). წინასწარმეტყველთა სახელების ეტიმოლოგიის შესწავლაში დიდი დახმარება გაგვიწია ნეტარი იერონიმეს ნაშრომმა (კერძოდ, შესავალმა) იოველ წინასწარმეტყველის წიგნზე (Блаженный Иероним 2006ბ).

ნეტარი იერონიმეს ეგზეგეზა გამდიდრებულია ბიბლიის ტექსტოლოგიური მასალით. მასში მოტანილია სექტუაგინტა, ასევე – იკითხვისები ებრაულენოვანი ბიბლიიდან, აკვილას, სვიმახოსისა და თეოდოტიონის თარგმანებიდან. ნეტარი მამა გულდასმით აანალიზებს წმინდა წერილის ტექსტს, გადმოსცემს ებრაულ და ბერძნულ ტერმინთა მნიშვნელობებს, ხაზს უსვამს ებრაულენოვან ბიბლიასა და მის თარგმანთა შორის სხვაობებს და განმარტავს თითოეულ მათგანს. ნეტარი იერონიმე წმინდა წერილს აანალიზებს დეტალურად, არაერთი (ისტორიული, ქრისტოლოგიური, სწავლამოდვრებითი) კუთხით. ნაშრომებში მას ხშირად მოაქვს იუდეური ეგზეგეზაც და აკრიტიკებს მწვალებელთა (მაგ. ორიგენეს) ნააზრევს.

წმინდა კირილე ალექსანდრიელი – ვსარგებლობთ მისი განმარტებებით ოსე, ესაია და ზაქარია წინასწარმეტყველთა წიგნებზე (Святитель Кирилл 2006ა); (Святитель Кирилл 1887); (Святитель Кирилл 2006ბ).

წმინდა კირილე ალექსანდრიელი სკოლის წარმომადგენელია. აქედან გამომდინარე, მის ნაშრომებში მეტად ფასეულია წმინდა წერილის ალეგორიული განმარტება, თუმცა მნიშვნელობით მას არც სიტყვა-სიტყვითი ეგზეგეზა ჩამოუვარდება. წმინდა კირილე უმთავრესად სამოცდაათთა თარგმანს აანალიზებს. ის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ბიბლიის ტექსტში არსებულ ისტორიული ხასიათის ცნობებს, რადგან, მისივე თქმით, „ის, ვინც ღვთივსულიერ წერილში უარყოფს ისტორიას... კარგავს შესაძლებლობას, რომ შესაბამისად გაიგოს ის, რაც მასში წერია“ (Святитель Кирилл 1887: 201). ამასთან, წმინდა კირილე დიდ ყურადღებას აქცევს საწინასწარმეტყველო სიტყვის „აზრობრივ წყობასაც“ (Святитель Кирилл 2006ა: 7). ეგზეგეტი ხშირად ეხება დოგმატურ საკითხებს.

ნეტარი თეოდორიტე – ვიყენებთ მის განმარტებებს მეფეთა მესამე და მეოთხე, ოსე, იერემია, ეზეკიელ და ზაქარია წინასწარმეტყველთა წიგნებზე (Блаженный Феодорит 1905: 354-432); (Блаженный Феодорит 2006ა); (Блаженный Феодорит 1859: 105-316, 355-729); (Блаженный Феодорит 2006ბ).

ნეტარი თეოდორიტეს ეგზეგეზა გამოირჩევა ლაკონიურობით. ისტორიულ წიგნთა განმარტებები კითხვა-მიგებითი სტილითაა შესრულებული (წმინდა მამა პასუხს სცემს მის სამოღვაწეო პერიოდში არსებულ მნიშვნელოვან და საკამათო კითხვებს), საწინასწარმეტყველო კი მუხლობრივადაა გაანალიზებული. ნეტარი მამა განმარტავს სეპტუაგინტას, ამასთან, ითვალისწინებს ებრაული ენიდან შესრულებულ სხვა უძველეს ბერძნულ თარგმანებს. მის ეგზეგეზაში ხშირად ვხვდებით ზნეობრივ შეგონებებს.

წმინდა გრიგოლ დიდი – ნაშრომში ვიყენებთ წმინდა მამის განმარტებას ეზეკიელის წიგნზე (Святитель Григорий 1863). მასში წმინდა გრიგოლი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს წმინდა წერილის სწავლა-მოდღვრებით მხარეს. მისი ნაშრომი საკმაოდ ვრცელია და მრავლისმომცველი. განმარტებისას იგი საუბრობს ზნეობრივ საკითხებზე, ამასთან, აძლევს რჩევებს სასულიერო პირებსა და საერო ადამიანებს.

სიმბოლურ ქმედებათა შესწავლისას გავეცანით ბოლო დროის მკვლევართა და თეოლოგთა მრავალ თვალსაზრისს. მათში გამოვყოფთ ორ კატეგორიას: 1. მართლმადიდებელი ღვთისმეტყველები და 2. მართლმადიდებელი ეკლესიის გარეთ მყოფი კომენტატორები.

მართლმადიდებელი თეოლოგებისთვის წმინდა წერილის განმარტებისათვის მნიშვნელოვანია ეკლესიის მამათა ეგზეგეზა. ისინი ხშირად მიმართავენ მათი სიტყვების ციტირებასაც. ამასთან, ღვთისმეტყველთა პირველი კატეგორია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ბიბლიის ტექსტოლოგიურ კვლევასა და ფაქტოლოგიურ მასალას. მართლმადიდებელი თეოლოგები ბიბლიის განმარტებისას გამოთქვამენ პირად მოსაზრებებსაც. რაც შეეხება მეორე კატეგორიის კომენტატორებს (ა. ევალდი²⁴, კ. ფ. კეილი²⁵, ვ. ნოვაკი²⁶, ფ. გიტცივი²⁷ და სხვ.), ისინი ეკლესიის მამათა ეგზეგეზას არ

²⁴ გეორგ ჰენრიხ ავგუსტ ევალდი (1803-1875 წწ.) - გერმანელი ორიენტალისტი, პროტესტანტი, ბიბლიის კრიტიკოსი, ებრაისტი და არაბისტი.

²⁵ კარლ ფრიდრიხ კეილი (1807-1888 წწ.) - გერმანელი ლუთერანი თეოლოგი. 1866 წელს კეილმა ფრანც დელიხთან (1813-1890 წწ.) თანამშრომლობით გამოსცა ნაშრომი: „Biblischer Kommentar über das alte Testament“, სადაც სხვა მრავალ შრომასთან ერთად შევიდა კეილის განმარტებები მცირე წინასწარმეტყველთა წიგნებზე.

²⁶ ვილჰელმ ნოვაკი (1850-1928 წწ.) - გერმანელი პროტესტანტი თეოლოგი.

ანიჭებენ მნიშვნელობას და წმინდა წერილს აანალიზებენ მხოლოდ ტექსტოლოგიური კვლევის, არქეოლოგიური მონაცემებისა და ადამიანური ლოგიკის საფუძველზე.

ბოლო დროის კომენტატორთა ნააზრევი მრავლადაა „ლოპუხინის მემკვიდრეების“²⁸ გამოცემულ ბიბლიის განმარტებებში, თუმცა ეს უკანასკნელი საკვლევ მასალასთან მიმართებით მცირე მოცულობისაა. აღნიშნულ კრებულში არსებული **სიმბოლურ ქმედებათა** ანალიზი განსაკუთრებით ფასეულია ფაქტოლოგიური და ტექსტოლოგიური კვლევის მონაცემებით. სადისერტაციო ნაშრომში ჩვენ ვისარგებლეთ აღნიშნული კრებულის II, V, VI და VII ტომებით. მათში გაანალიზებულია მეფეთა წიგნები და ოსეს, ესაიას, იერემიას, ეზეკიელისა და ზაქარიას წინასწარმეტყველებები (Толковая Библия 1905: 357-582); (Толковая Библия 1908: 241-548); (Толковая Библия 1909: 1-153, 189-544); (Толковая Библия 1910: 84-133, 383-427).

წინამდებარე ნაშრომში ვსარგებლობთ ბოლო დროის მრავალი მართლმადიდებელი ღვთისმეტყველის შრომით: წმინდა ფილარეტ მოსკოველი (Святитель Филарет 1857)²⁹, მთავარეპ. იოანე (სმირნოვი) (Архиепископ Иоанн 2006ა); Архиепископ Иоанн 2006ბ)³⁰, ეპ. პალადი (პიანკოვი) (Епископ Палладий 2006ა); (Епископ Палладий 2006ბ)³¹, დეკ. პავლე ობრაზცოვი (Протоиерей Павел 2006)³², ი. ა. ბროდოვიჩი (Бродович 2006)³³, ა. ბუხარევი (Бухарев 1864ა); (Бухарев 1864ბ); (Бухарев 1864გ)³⁴, ვ. ს. იავორსკი (Яворский 2006), ი. სამბორსკი (Самборский 2006), ი. იაკიმოვი³⁵ (Якимовъ

²⁷ ფერდინანდ გიტციგი (1807-1875 წწ.) - გერმანელი პროტესტანტი ეგზეგეტი და ორიენტალისტი.

²⁸ „ლოპუხინის მემკვიდრეებში“ იგულისხმება: კიევის სასულიერო აკადემიის პროფესორები: მღვდელი ალექსანდრე გლაგოლევი და ვლადიმერ რიბინსკი; მოსკოვის სასულიერო აკადემიის პროფესორი ალექსანდრე პოკროვსკი, მოსკოვის სასულიერო სემინარიის პედაგოგი ნიკოლაი როზანოვი; ეკლესიის ისტორიის დოქტორი, ეგზეგეტი მიხაილ სკაბალანოვიჩი და სხვ.

²⁹ წმინდა ფილარეტ მოსკოველი (დროზდოვი; 1782-1867 წწ.) - მოსკოვის მიტროპოლიტი, გამოჩენილი რუსი საეკლესიო მოღვაწე, ღვთისმეტყველი და ბიბლესტი.

³⁰ მთავარეპ. იოანე (ერისკაცობაში ივანე სმირნოვი; 1844-1919 წწ.) - რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ეპისკოპოსი, ღვთისმეტყველების მაგისტრი, სასულიერო მწერალი. იგი იყო პეტერბურგის სასულიერო აკადემიის საპატიო წევრი.

³¹ ეპ. პალადი (ერისკაცობაში პავლე პიანკოვი; 1816-1882 წწ.) - რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ეპისკოპოსი, ეგზეგეტი. თანამიმდევრობით იყო პერმის, კიშინოვისა და ორლოვის სასულიერო სემინარიების რექტორი.

³² დეკ. პავლე ობრაზცოვი (1840-1895 წწ.) - რუსი ღვთისმეტყველი, პედაგოგი, ეკლესიის ისტორიკოსი, პეტერბურგის სასულიერო აკადემიის მაგისტრი. აღნიშნული ნაშრომი წარმოადგენს მის სამაგისტრო დისერტაციას.

³³ იოსებ ბროდოვიჩი (დაბ. 1871 წ.) - ხარკოვის უნივერსიტეტის პროფესორი ეკლესიის ისტორიის დარგში.

³⁴ ალექსანდრე ბუხარევი (ბერობაში თეოდორე; 1822-1871 წწ.) - რუსი სასულიერო მწერალი, ღვთისმეტყველი, მოსკოვის სასულიერო აკადემიის პროფესორი.

³⁵ ივანე იაკიმოვი (1847-1885 წწ.) - რუსი ღვთისმეტყველი, ბიბლესტი, ებრაისტი, პეტერბურგის სასულიერო აკადემიის პროფესორი.

1879); (Якимовъ 1883). ასევე, გავეცანით დეკ. დიმიტრი³⁶ როჟდესტვენსკის (Протоиерей Димитрий 2006) შრომას. ქვემოთ მიმოვიხილავთ მათ წიგნებს.

წმინდა ფილარეტ მოსკოველის ზემოაღნიშნული შრომა ეკლესიის ისტორიაა, რომელიც სამყაროს შექმნიდან იწყება. მასში წმინდანი მრავალ საყურადღებო საკითხს ეხება, თუმცა **სიმბოლურ ქმედებათა** ანალიზისთვის მნიშვნელოვანია მეფეთა მესამე და მეოთხე წიგნების განმარტება. წმინდა ფილარეტი გაბმული თხრობის სახით განიხილავს ბიბლიურ ისტორიას და მასში უთითებს ღვთის განგების გამოვლინების მაგალითებზე.

ბოლო დროის თეოლოგებიდან გამოვყოფთ ეპ. პალადის (პიანკოვს). ზემოაღნიშნულ ნაშრომებში იგი განიხილავს ოსესა და ზაქარიას წიგნებს. ეპ. პალადის კომენტარებში უმთავრესი ადგილი უკავია წმინდა მამათა ეგზეგეზას. საწინასწარმეტყველო წიგნის მუხლობრივ განმარტებამდე ღვთისმეტყველი გადმოსცემს ცნობებს ავტორის შესახებ, სადაც მიმოიხილავს მის სამოღვაწეო ეპოქასაც (ამ საკითხებს ვრცლად განიხილავენ სხვა მკვლევრებიც, მათ შორის, ა. ბუხარევი. მისი ზემოაღნიშნული შრომები ეხება ესაია, იერემია და ზაქარია წინასწარმეტყველებს). ეპ. პალადი ხშირად მიმართავს ეკლესიის მამების ციტირებას. იგი დაინტერესებულია ბიბლიის ტექსტოლოგიური ანალიზითაც. აღნიშნული ღვთისმეტყველის შრომებში პარალელურად არის განთავსებული მასორეტული (რუსულენოვან თარგმანში) და სლავური ტექსტი. იგი გვთავაზობს იკითხვისებს სეპტუაგინტადან, ვულგატადან და ბიბლიის სხვა თარგმანებიდან, ამასთან, განიხილავს სხვადასხვა ტერმინის მნიშვნელობას. რაც შეეხება მთავარეპ. იოანეს (სმირნოვს), მისი კომენტარები ოსე და ზაქარია წინასწარმეტყველთა წიგნებზე ეპ. პალადის შრომებთან შედარებით ზოგადი ხასიათისაა (იმავე თვისებით გამოირჩევა დეკ. პავლე ობრაზცოვის სამაგისტრო ნაშრომი ზაქარიას წიგნზე. საკვლევ მასალასთან შედარებით მოცულობით ძალიან მცირეა ი. სამბორსკის წიგნი, რომელიც ასევე შეეხება ზაქარია წინასწარმეტყველის წიგნს, თუმცა მას სქოლიოებში საყურადღებო შენიშვნები აქვს ჩატანილი). მთავარეპ. იოანეს შრომებში წმინდა წერილის მუხლები და განმარტებები ხშირად ცვლიან ერთმანეთს.

მეცნიერული კვლევის სიღრმით გამოირჩევა ი. ა. ბროდოვიჩისეული ოსეს წიგნის კომენტარები. იგი აანალიზებს ოსეს წინასწარმეტყველებას, განიხილავს აღნიშნული

³⁶ დეკ. დიმიტრი როჟდესტვენსკი (1864-1926 წწ.) - რუსი ბიბლისტი და ფილოლოგი. გარდაიცვალა განხეთქილებაში, იყო ე. წ. „ობნოვლენცების“ მთავარეპისკოპოსი. აღნიშნული ნაშრომი წარმოადგენს დეკ. დიმიტრის სამაგისტრო დისერტაციას, რომელიც მართლმადიდებელი ეკლესიის წევრობის დროს დაიცვა.

წიგნის გარშემო არსებულ საკითხებს და მოაქვს მრავალი მკვლევრის მოსაზრება. ბროდოვიჩი დიდ ყურადღებას აქცევს ებრაულენოვანი ბიბლიის ტექსტოლოგიურ მონაცემებს. მასორეტულ ტექსტს ძირფესვიანად იკვლევს ვ. ს. იავორსკიც. იგი ფართოდ განიხილავს ოსეს **სიმბოლურ ქმედებებს** და არაერთ ადგილზე აკრიტიკებს ბროდოვიჩს.

ბიბლიის ტექსტოლოგიური ანალიზისთვის (განსაკუთრებით სლავური თარგმანისთვის) მნიშვნელოვანია ი. იაკიმოვის კომენტარები იერემიასა და ესაიას წიგნებზე. ღვთისმეტყველი გვთავაზობს კვლევას როგორც მასორეტული ტექსტისა და სეპტუაგინტასი, ასევე – ბიბლიის სლავური თარგმანისაც. ეს უკანასკნელი იაკიმოვის წიგნებში ბიბლიის რუსული თარგმანის პარალელურად სრულადაა წარმოდგენილი. რაც შეეხება დეკ. დიმიტრი როჟდესტვენსკის, მისი კომენტარები ზაქარიას წიგნზე გამოირჩევა მაღალი მეცნიერული და საღვთისმეტყველო დონით. დეკ. დიმიტრი იყენებს წმინდა წერილის მრავალ რედაქციას, ასევე – ძველი და ბოლო დროის განმარტებითი სახის არაერთ ნაშრომს ზაქარიას წიგნზე.

თავი I

წინასწარმეტყველთა შესახებ

ძველი აღთქმის მამათმთავრები, მოსე და სხვა წინასწარმეტყველნი იყვნენ ღვთისგან გამორჩეული ადამიანები. მათი უმთავრესი დანიშნულება იყო უფლის სიტყვის გაზიარება, აღსრულება და მორწმუნე ერისთვის უწყება.

წინასწარმეტყველნი ძველი აღთქმის ღვთივრჩეულ ერზე სულიერად ზრუნავდნენ. ისინი ებრაელებს არა მარტო ღვთის სიტყვას გადასცემდნენ, არამედ ურჯულოებაში ამხელდნენ, შეაგონებდნენ, სინანულისკენ მოუწოდებდნენ და ჭეშმარიტების გზაზე წინამძღვრობდნენ (როდესაც სიტყვა არ იყო საკმარისი ისინი ღვთის კურთხევით ასრულებდნენ **სიმბოლურ ქმედებებს**). წინასწარმეტყველთა ამ დანიშნულების შესახებ ეზეკიელისადმი თქმული საუფლო სიტყვაც მოწმობს: „მსტურად მიგეც შენ სახლსა ისრაჴლისასა“³⁷.

უფალი თავის მსახურთა მეშვეობით წარმართებზეც ზრუნავდა. წინასწარმეტყველნი მათ შესახებ საუფლო მსჯავრს ასაჩინობდნენ და გამოსწორებისკენ მოუწოდებდნენ, რისი თვალსაჩინო მაგალითიც იონას წიგნია.

წინასწარმეტყველთაგან თექვსმეტ მოღვაწეს გამოარჩევნ. თითოეულმა მათგანმა ძველი აღთქმის შესაბამისი საწინასწარმეტყველო წიგნი დაწერა. აღნიშნული მოღვაწენი, ამ წიგნების მოცულობის მიხედვით, „დიდი“ (ესაია, იერემია, ეზეკიელი, დანიელი) და „მცირე“ (ოსე, იოველი, ამოსი, აბდია, იონა, მიქეა, ნაუმი, ამბაკუმი, სოფონია, ანგეა, ზაქარია, მალაქია) წინასწარმეტყველებად განიყოფებიან³⁸.

რაც შეეხება ახალ აღთქმას, უდიდესი წინასწარმეტყველი თავად განკაცებული ღმერთია. მასზე ამბობდა მოსე: „... წინადაწარმეტყველი ერთი აღგიდგინოს შენ უფალმან

³⁷ ეზეკ. 3. 17.

³⁸ უძველეს დროში „მცირე“ წინასწარმეტყველთა წიგნები ერთ კრებულად იყვნენ გაერთიანებულნი. აღნიშნულის მიზეზი, ნეტარი თეოდორიტეს უწყებით, „მცირე“ წინასწარმეტყველთა ნაწერების მოცულობითი სიმცირე იყო (ამ თვალსაზრისს იზიარებს იუდეურ წიაღში ავტორიტეტულობით გამორჩეული განმმართველი რაბინი დავით კიმხიც). „მცირე“ წინასწარმეტყველთა წიგნების ერთ კრებულად არსებობის შესახებ პირველი ცნობა ისუ ზირაქის წიგნში გვხვდება: „და ათორმეტთა მათცა წინადაწარმეტყველთა ხარებად ძუალთა მათთა ადგილით მათით...“ (ისუ ზირ. 49. 10). იმავეს გვაუწყებენ: იოსებ ფლავიოსი, წმინდა მელიტონ სარდიელი, წმინდა ათანასე დიდი, წმინდა კირილე იერუსალიმელი, წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველი და სხვ (Толковая Библия 1910: 84).

ღმერთმან შენმან ძმათაგანვე შენთა, ვითარცა-ესე მე, მისი ისმინეთ“³⁹. წინამოსწავების ნიჭი მაცხოვრის მოციქულებსაც ჰქონდათ. „საქმე მოციქულთა“ და პირველი ეპისტოლე კორინთელებისადმი მოწმობს, რომ ეს ნიჭი უხვად იყო მოფენილი ქრისტეს მორწმუნეებზეც⁴⁰.

1.1. ტერმინი „წინასწარმეტყველი“

წინასწარმეტყველები ებრაულენოვან ბიბლიაში სხვადასხვა შესატყვისით მოიხსენიებიან: **רֹאֵה** (Roe)⁴¹, **ישׁוֹרֵאִים אֱלֹהִים** (Ish Elohim)⁴² და სხვ. მათ შორის ყველაზე გავრცელებული ფორმაა ტერმინი **נָבִי** (Navi)⁴³. ა. კ. ლოპუხინის თქმით, აღნიშნული შესიტყვება პირველად „დაბადების“ წიგნში გვხვდება, სადაც გერარის მეფე აბიმელექის სიზმრისეული ხილვაა აღწერილი: „ხოლო აწ უკუნ-ეც ცოლი კაცსა, რამეთუ წინასწარმეტყველი არს...“⁴⁴ (Лопухин 2007: 691).

נָבִי-ს ეტიმოლოგიის შესახებ მეცნიერთა შორის განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. დეკ. ალექსანდრე მენის თანახმად, ის შეიძლება აქადური **nabu**-დან მომდინარეობდეს, რაც „მოწოდებას“ ნიშნავს. შესაბამისად, ტერმინი **נָבִי** ითარგმნება, როგორც „მოწოდებული“ (Протоиерей Александр 2002a: 501); (Протоиерей Александр 2000: 314). ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ ის წარმოდგება ებრაული ზმნიდან **נָבָה** (Nava), რაც „გადმოღვრას“, „ამოფრქვევას“ ნიშნავს, **נָבִי** კი ნაზმნარი არსებითი სახელია და ადამიანთან მიმართებით აღნიშნავს პიროვნებას, რომელშიც შემოქმედი საღვთო სიტყვებს აღძრავს. ისინი წინასწარმეტყველიდან ისევე ამოიფრქვევიან, როგორც გეიზერი – მიწისქვეშა სიღრმეებიდან. ფ. ბ. კოსტერი ებრაულ **נָבִי**-ს არაბული ზმნა

³⁹ II შჯულ. 18. 15.

⁴⁰ იხ.: საქმე 11. 27, 13. 1, 21. 9; 1 კორ. თ. 14.

⁴¹ შდრ.: ბერძნ.: ὁ βλέπων, ლათ.: **videns**; ძვ. ქართ.: **მხილველი**; იხ.: 1 მეფ. 9. 9; 1 ნემტ. 9. 22 და ა. შ.

⁴² შდრ.: ბერძნ. **ἰσθραπος τοῦ θεοῦ**; ლათ. **vir Dei**; ძვ. ქართ.: **ღმრთის კაცი**; იხ.: II შჯულ 33. 1; 3 მეფ. 13. 1 და ა. შ.

⁴³ შდრ. არაბ.: **نبي** (nabi).

⁴⁴ დაბ. 20. 7; შდრ. MT: „...**איה נָבִי** וְ**שׂוֹרֵאִים אֱלֹהִים** בַּשָּׁהִתָּה“.

naba-სთან აახლოვებს. ამ უკანასკნელის ამოსავალი მნიშვნელობაა „წარმოება“, ხოლო მეტაფორულად ნიშნავს „სიტყვის წარმოქმას“, „უწყებას“, „სწავლებას“. შესაბამისად, ხსენებული მკვლევრის აზრით, ებრაული **אָבָה** სწავლულის ან მეცნიერის აღმნიშვნელი უნდა იყოს. აქედან გამომდინარე **אָבָה** საღვთისმეტყველო გაგებით ნიშნავს ღვთისგან განსწავლულს, რომელიც ამ ცოდნას სხვებს გადასცემს (Лопухин 2007: 692).

ტერმინი **אָבָה** სამოცდაათმა მთარგმნელმა სეპტუაგინტაში გადაიტანა სიტყვით – **προφήτης**⁴⁵. მკვლევართა თანახმად, ის მომდინარეობს ზმნიდან **πρόφητι** (წინდებული **προ** + **φήτι** (თქმა) (Лопухин 2007: 693). აღნიშნული სიტყვის მნიშვნელობა ორგვარია, თუმცა ერთი მეორეს არ გამორიცხავს.

პირველ შემთხვევაში, ზმნა **πρόφητι** განიმარტება შემდეგნაირად: წინასწარ (წინდებული **προ**) + თქმა (**φήτι**), ე. ი. „წინდაწინ უწყება“, „წინასწარმეტყველება“ (იგივე აზრი დევს ზემოაღნიშნული სიტყვის ქართულ შესატყვისში (წინასწარ-მეტყველი). ა. პ. ლოპუხინის თქმით, ბერძნული სიტყვა საცნაურს ხდის გარემოებას, რაც არ ასახულა ებრაული ტერმინით – **אָבָה**; კერძოდ, ვლინდება ის მხარე, რომელიც მათ სხვა ადამიანებისგან მკვეთრად გამოარჩევს – ეს არის ღვთისგან მინიჭებული მომავლის ცოდნა (Лопухин 2007: 693).

ბერძნულ წინდებულ **προ**-ს სხვა მნიშვნელობაც აქვს. აქედან გამომდინარე, ტერმინი **προφήτης** ზემოაღნიშნულისგან განსხვავებული შინაარსითაც განიმარტება. საქმე ისაა, რომ **προ** ბერძნულში, ასევე გამოხატავს რაიმეს მაგივრობას. შესაბამისად, **προφήτης** ნიშნავს ვიღაცის „მაგიერ მოსაუბრეს“, საღვთისმეტყველო გაგებით კი – პიროვნებას, რომელიც ღვთის სახელით ლაპარაკობს, შემოქმედის სიტყვას ხალხს გადასცემს (Протоиерей Александр 2002а: 501); (Протоиерей Александр 2000: 314); (Лопухин 2007: 693). რაც შეეხება სლავურ ტერმინს **Пророк**, ა. პ. ლოპუხინის თანახმად, აქ წინდებული **Про** აღნიშნავს ჩაღრმავებას, შეღწევას დაფარულში, მიუწვდომელში, ხოლო სიტყვა **Рок** დაკავშირებულია ლაპარაკთან (**Реку, Речь**). ამრიგად, ტერმინი **Пророк**, ხსენებული მკვლევრის თქმით, აღნიშნავს პიროვნებას, ვინც სხვათათვის დაფარული ცოდნის სიღრმეში აღწევს, რელიგიურ-ზნეობრივ საიდუმლო ჭეშმარიტებას

⁴⁵ შდრ.: ლათ. **Propheta**, ინგ. **Prophet**, ფრანგ. **Prophète**.

იმეცნებს, რათა მის მიერ განჭვრეტილი და სხვათათვის დაფარული მოძღვრება შემდგომში საზოგადოებას აუწყოს (Лопухин 2007: 694).

1.2. ჭეშმარიტი წინასწარმეტყველის თვისებები

ყოველმცოდნეობა მხოლოდ უფლის ბუნებითი თვისებაა. ღმერთი თავის ერთგულ მსახურებს უცხადებს იმას, რაც საჭიროა ერის გადარჩენისთვის შესაბამის დროსა და ადგილზე⁴⁶. ჭეშმარიტ წინასწარმეტყველთა გვერდით ხშირად ცრუწინასწარმეტყველნი აღასრულებენ თავიანთ საქმიანობას, რომელთაც ხალხი შეცდომაში შეჰყავთ. მისნები, გრძნეულები, მკითხავეები და სხვა მსგავსი პიროვნებები მომავლის ცოდნას იჩემებენ. ცრუწინასწარმეტყველთა გარკვეული კატეგორია დემონური ძალით არის შეპყრობილი. ამის მკაფიო მაგალითი მონტანისტი ცრუწინასწარმეტყველები იყვნენ, რომელთა შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ.

წინასწარმეტყველების აღსრულება მისი წარმომთქმელის ღვთივმოვლინებულობას ცხადყოფს⁴⁷. თუმცა, სანამ წინამოსწავებული შესრულდება, მოღვაწის სიმართლე ეჭვქვეშაა. მართალ და თვითმარქვია მოღვაწეთა გარჩევა კი დიდ დაკვირვებასა და სიბრძნეს მოითხოვს. წმინდა წერილში ჭეშმარიტი და ცრუ წინასწარმეტყველის ის თვისებებია მოცემული, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი ხდება აღნიშნულ პიროვნებათა ერთმანეთისგან გარჩევა.

ჭეშმარიტ და ცრუ წინასწარმეტყველებს იოანე ღვთისმეტყველი ერთმანეთისაგან ამგვარი თვისებით განასხვავებს: „ამით უწყოდეთ სული ღმრთისაჲ: ყოველმან სულმან რომელმან აღიაროს იესუ ქრისტე ჯორციელად მოსრული, იგი ღმრთისაგან არს; და ყოველმან სულმან რომელმან არა აღიაროს იესუ ქრისტე ჯორციელად მოსრული, იგი არა

⁴⁶ უნდა აღინიშნოს, რომ მომავლის ცოდნის თანაზიარნი, უფლის განგებულებით, იმგვარი პიროვნებებიც გამხდარან, რომლებიც შესაბამის სულიერ საფეხურზე არ იმყოფებოდნენ, მაგ.: ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორი (იხ. დან. თ. 2), ეგვიპტის ფარაონი (იხ. დაბ. თ. 41), მოგვი ბალაამი (იხ. რიცხვ. თ. 23, 24).

⁴⁷ შდრ.: II შჯულ. 18. 22: „რომელსა-იგი იტყოდის წინასწარმეტყუელი იგი სახელითა უფლისაჲთა და სიტყუად იგი არა იყოს მსგავსად წინასწარმეტყუელებისა მის, რომელსა-იგი ეტყოდა მას უფალი ღმერთი, ნუ შეუდგებით, რამეთუ უსჯულოებითა მით თავისა თვისისაჲთა იტყოდა ცრუწინასწარმეტყუელი იგი“; იერ. 28. 9: „და წინასწარმეტყუელი იგი, რომელ წინასწარმეტყუელბდა მშჯდობად მოსლვასა სიტყვსა მის წინასწარმეტყუელისასა, საცნაურ იყოს წინასწარმეტყუელი იგი, რომელი მოუვლინა მათ უფალმან სარწმუნოდ“.

ღმრთისაგან არს...“⁴⁸. პავლე მოციქული კორინთელებს შეაგონებს: „არავინ სულითა ღმრთისადათა იტყოდის და თქუას: შეჩუენებულ იესუ; და არავის ჯელ-ეწიფების თქუამად უფალი იესუ, გარნა სულითა წმიდითა“⁴⁹. ჭემმარიტი წინასწარმეტყველი იესო ქრისტეს განკაცებულ ღმერთად აღიარებს და საქმიანობას უფლის სადიდებლად აღასრულებს, ცრუწინასწარმეტყველისგან განსხვავებით, რომელიც ადამიანთა ცდუნებას ისახავს მიზნად. წმინდა იოანე ოქროპირი ამბობს: „ყოველი რომელი ავსენებდეს სახელსა უფლისა იესუმსსა, არა შეჩუენებით, არამედ უფლად და ღმრთად ქადაგებით, ესევეთარი-იგი სულითა წმიდითა წინასწარმეტყუელებს“ (სამოციქულოს განმარტება 2006: 278). ხსენებული წმინდა მამის განმარტებით, მოღვაწე, რომელიც იესო ქრისტეს სახელს საერთოდ არ ახსენებს, ან გმობს მას, „ესევეთარი იგი დაღაცათუ რასმე წინასწარმეტყუელებდეს, ცხად არს, ვითარმედ საეშმაკოთა სულითა წინასწარმეტყუელებს. ამისთვსცა არა წინასწარმეტყუელ, არამედ ცრუწინასწარმეტყუელ სახელ-ედების“ (სამოციქულოს განმარტება 2006: 278).

შესაძლებელია, გარკვეული პიროვნება, ავტორიტეტის მოპოვებისა და ადამიანთა ცდუნების მიზნით, მაცხოვარს განხორციელებულ ღმერთად სიტყვიერად აღიარებდეს (ამგვარად ეშმაკებსაც კი უღიარებიათ ქრისტე ღმერთად)⁵⁰. იაკობ მოციქული ამბობს: „ვითარცა ჯორცნი თვნიერ სულისა მკუდარ არიან, ეგრეთვე სარწმუნოებაჲ თვნიერ საქმეთასა მკუდარ არს“⁵¹. ცოცხალი რწმენა შესაბამის საქმეებსაც გულისხმობს. ამრიგად, ჭემმარიტი წინასწარმეტყველი სარწმუნოების შესაბამისი ღვთივსათნო ცხოვრების წესით უნდა გამოირჩეოდეს. უფალი გვაფრთხილებს: „ეკრძალენით ცრუ-წინასწარმეტყუელთაგან, რომელნი მოვიდოდნიან თქუენდა სამოსლითა ცხოვართადათა, ხოლო შინაგან იყვნენ მგელ მტაცებელ. ნაყოფთა მათთაგან იცნეთ იგინი. ნუუკუე შეკრიბიან ეკალთაგან ყურძენი ანუ კურომსთავთაგან ლელჯ? ესრეთ ყოველმან ხემან კეთილმან ნაყოფი კეთილი გამოიღოს, ხოლო ხემან ხენემან ნაყოფი ხენეში გამოიღოს“⁵². ნაყოფი ადამიანის საქმეებია, შესაბამისად, კეთილი ნაყოფი – ღვთივსათნო ცხოვრების წესი, რაც მუდმივ შრომასა და რუდუნებას გულისხმობს, ხოლო ფარისეველ მოღვაწეს ეს არ ახასიათებს, მისი „ღვთისმოშიშება“ გარეგნულ მხარეს არ სცილდება. „დიდაქეში“

⁴⁸ 1 ინ. 4. 2-3

⁴⁹ 1 კორ. 12. 3.

⁵⁰ იხ.: მთ. 8. 29; ლკ. 8. 28; მკ. 1. 24.

⁵¹ იაკ. 2. 26.

⁵² მთ. 7. 15-17.

ვკითხულობთ: „მოციქულებისა და წინასწარმეტყველების მიმართ სახარების მცნების თანახმად იმოქმედეთ. ყოველი მოციქული, ვინც თქვენთან მოვა, შეიწყნარეთ, როგორც უფალი. არ დარჩება იგი ერთ დღეზე მეტად (თუ საჭიროა – მომდევნო დღესაც), და თუ სამი დღით დაყოვნდება, ცრუწინასწარმეტყველი ყოფილა იგი. როცა დაგტოვებთ მოციქული, არაფერი წაიღოს საგზლად, გარდა პურისა; თუ ვერცხლს მოითხოვს, ცრუწინასწარმეტყველი ყოფილა იგი. ნუ გამოცდით და ნუ განსჯით წინასწარმეტყველს, როდესაც სულის მიერ გემეტყველებათ, რადგანაც ყოველი ცოდვა მიეტევება კაცს, ეს ცოდვა კი არ მიეტევება⁵³. ყველა, ვინც სულის მიერ მეტყველებს, წინასწარმეტყველი ვერ იქნება, თუ უფლის წესებს არ ფლობს იგი⁵⁴. სწორედ წესთაგან შეიცნობა ცრუწინასწარმეტყველი და წინასწარმეტყველი. **ყოველმა წინასწარმეტყველმა, რომელმაც სულის მიერ განაწესა ტრაპეზი⁵⁵**, არ ჭამოს მისგან; და თუ შეჭამს ცრუწინასწარმეტყველი ყოფილა იგი. ყოველი წინასწარმეტყველი, რომელიც ჭეშმარიტებას ასწავლის, მაგრამ თავად არ მოქმედებს ისე, როგორც ასწავლის, ცრუწინასწარმეტყველია იგი. თქვენ კი ნუ განსჯით იმ გამოცდილსა და ჭეშმარიტ წინასწარმეტყველს, რომელიც ეკლესიის ამქვეყნიური საიდუმლოს თანახმად მოქმედებს⁵⁶, მაგრამ არავის ასწავლის იმას, რასაც თავად იქმს. ღვთისაგან განისჯება იგი; ამასვე შერებოდნენ ძველი წინასწარმეტყველებიც⁵⁷. ვინმემ რომ გითხრათ სულის მიერ: „მომეცით ვერცხლი“, ან სხვა ამგვარი, არაფერი ისმინოთ მისი; ჭირვეულთათვის მისაცემად თუ გეტყვით ამას, ნუ განიკითხავთ“ (<http://www.orthodoxy.ge/tserili/didaqe.htm>).

წმინდა ათანასე დიდი ასე შეგვაგონებს: „ძმაო, თუ ხედავ, რომ ვინმე გარეგნულად კეთილია, ყურადღება ამას კი არ მიაქციო... არამედ მისი საქმეების გამოძიებას შეეცადე:

⁵³ შდრ. მთ. 12. 31.

⁵⁴ ე. ჭელიძის თქმით, აქ იგულისხმება უფლისმიერი ცხოვრების წესი (<http://www.orthodoxy.ge/tserili/didaqe.htm>).

⁵⁵ შდრ. ბერძნ.: „Καὶ πᾶς προφήτης ὀρίζων τράπεζαν ἐν πνεύματι“. მოტანილი წინადადების თარგმნა შესაძლებელია სხვაგვარადაც. კ. პოპოვი აღნიშნულ ადგილს თარგმნის შემდეგნაირად: „ყოველი სულიერი წინასწარმეტყველი, რომელიც განაწესებს ტრაპეზს (ღარიბთათვის, მთარგმნ.)“ (შდრ. რუს.: „И всякий пророкъ въ духѣ, назначающій (для бѣдныхъ) трапезу“ (http://tvorenia.russportal.ru/index.php?id=saeculum.i_iii.didache02). საინტერესოა მ. სოლოვიოვის კომენტარი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით: „წინასწარმეტყველებს ჰქონდათ ასეთი ტრადიცია, რომ ქრისტიანთა სახსრებით მართავდნენ ტრაპეზს ღარიბებისთვის...“ (http://tvorenia.russportal.ru/index.php?id=saeculum.i_iii.didache01#106).

⁵⁶ აღნიშნული წინადადების აზრი დაზუსტებით გარკვეული არ არის.

⁵⁷ ზოგიერთი მკვლევრის ვარაუდით, აქ იგულისხმებიან ძველი აღთქმის წინასწარმეტყველნი (http://tvorenia.russportal.ru/index.php?id=saeculum.i_iii.didache01#108).

არის თუ არა უბიწო, უცხოთმოყვარე, მოწყალე, აღსავსეა თუ არა სიყვარულით, ლოცულობს თუ არა, არის თუ არა მომთმენი? თუ მისთვის მუცელია ღმერთი, ხოლო ხორხი – ჯოჯობეთი, თუ ვერცხლისმოყვარეა, უნდა რომ ღვთისმოსაობაში გიწინამდგროს (თუმცა თავად არ არის ღვთისმოსავი, ც. ჩ.), განემორე მას“ (https://azbyka.ru/otechnik/Afanasij_Velikij/Iz_Besed_na_Evangelie_ot_Matfeja/).

ძველი აღთქმის ეპოქის წინასწარმეტყველები სიყვარულის უდიდესი ნიჭითა და უფლისადმი ერთგულებით გამოირჩეოდნენ. ღვთის სიტყვის ქადაგების გამო ისინი მრავალ ტანჯვას იტანდნენ საკუთარი თანამემამულეებისაგან: საეკლესიო გადმოცემით, ესაია შუაზე გახერხეს (განძთა ქვაბი 2007: 137), ამოსი და ეზეკიელი მოკლეს (Толковая Библия 1910: 158); (Толковая Библия 1909: 189), ხოლო იერემია ქვებით ჩაქოლეს (Святой Ефремъ 1995а: 424); (Толковая Библия 1909: 5). ამ უკანასკნელმა სიცოცხლის ჟამს მრავალი დევნა და გაჭირვება გადაიტანა. იგი ერის ღალატშიც კი იყო ბრალდებული⁵⁸. წინასწარმეტყველთა დევნისა და მკვლელობის ფაქტებს უფლისადმი მიმართული ელიას სიტყვაც ცხადყოფს: „...დაგიტევს შენ ძეთა ისრაელისათა, საკურთხეველნი შენნი დაარღვნეს, წინამსწარმეტყუელნი შენნი მოწყვდნეს მახვლითა, მე მარტოდ დაშთომილ ვარ და ეძიებენ სულსა ჩემსა მიღებად მას“⁵⁹. ებრაელი ერის ამგვარი მოპყრობა წინასწარმეტყველებისადმი მაცხოვრის ფარისეველთა სამხილებლად მიმართული სიტყვითაც დასტურდება: „ამისთვის, აჰა-ესერა, მე მოვავლინე თქვენდა წინამსწარმეტყუელნი, ბრძენნი და მწიგნობარნი, და მათგანნი მოსწყვდნეთ და ჯუარს-აცუნეთ, და მათგანნი სტანჯნეთ შესაკრებელთა შორის თქვენთა და სდევნიდეთ ქალაქითი ქალაქად“⁶⁰.

მიუხედავად იმისა, რომ ებრაელი ერი უფალს ხშირად ეურჩებოდა, შემოქმედისადმი უმადურებას ავლენდა, კერპთმსახურებაში ვარდებოდა და ზნეობრივად ირყვნებოდა, წინასწარმეტყველებს თანამემამულეები განსაკუთრებით უყვარდათ. საკუთარი ერის მიმართ ისინი უდიდეს თანაგრძნობას იჩენდნენ, მათ განსაცდელებს იზიარებდნენ, მათი უბედურების გამო ტიროდნენ და გლოვობდნენ. ღვთივრჩეული ერისადმი მოსეს უდიდესი სიყვარული მისივე სიტყვებით გამოიხატება: „და აწ მი-თუ-უტევებ ცოდვათა მათთა, მიუტევენ, უკუეთუ არა, აღმჯოცე მეცა წიგნისა

⁵⁸ იხ. იერ. 37. 13-15; 38. 4.

⁵⁹ 3 მეფ. 19. 10.

⁶⁰ მთ. 23. 34.

მისგან, რომელსა დამწერე“⁶¹. სიყვარულისა და თანაგრძნობის განცდითაა გაჯერებული ესაია წინასწარმეტყველის შემდეგი სიტყვები: „მაცადეთ მე, და ვტიროდი მწარედ; ნუ მძლევთ მე ნუგეშინისცემად შემუსრვილებასა ზედა ასულისა ნათესავისა ჩემისასა“⁶². იერემიამ იერუსალიმის განადგურებასთან დაკავშირებით გოდების წიგნი დაწერა, ხოლო ეზეკიელი, გადმოცემით, ბაბილონში გადასასახლებლად წაყვანილ ებრაელებს ნებით გაჰყვა (Святитель Иоанн 1900ა: 6).

უფალი წინასწარმეტყველებს სხვათათვის დაფარული ცოდნის სიღრმეებს უცხადებდა. სულიწმიდა ასეთ ადამიანებს მოუწოდებდა, ანათლებდა, წინამძღვრობდა და მათი მეშვეობით რჩეულ ერსა და მთელს კაცობრიობას ესაუბრებოდა. მიუხედავად ამ დიდი პატივისა, რომელიც უფლისგან ებოძათ წინასწარმეტყველებს, ისინი თავმდაბლობას ინარჩუნებდნენ. აბრაამი საკუთარ თავს „მიწას“ და „ნაცარს“ უწოდებს: „...მე ვარ მიწა და ნაცარი“⁶³; დავითი – „მატლს“: „ხოლო მე მატლ ვარ და არა კაც, საყუდრელ კაცთა და შეურაცხ ერისა“⁶⁴; ესაია – „ბაგეუწმინდურს“: „ვამ მე, უბადრუკსა, რამეთუ შეწუხებულ ვარ, რამეთუ კაცი ვარ და არაწმიდანი ბაგენი მქონან, და შორის ერისა, რომელსა არაწმიდანი ბაგენი ასხენ, მე დამკვდრებულ ვარ; და მეუფე უფალი საბაოთ მე თუალითა ჩემითა ვიხილე“⁶⁵ და ა. შ.

წინასწარმეტყველთათვის თვისობრივია საღვთო შური. უფლის „შეკითხვას“, თუ ვინ უნდა წარეგზავნა მას ებრაელი ერის დასამოძღვრად, ესაიამ უპასუხა: „აჰა-ესერა, ვარ, მიმავლინე მე!“⁶⁶ ელია წინასწარმეტყველსაც ახასიათებდა იგივე თვისება, ამას მისივე სიტყვები მოწმობს: „შური შემშურდა უფლისა ღმრთისა ყოვლისა-მპყრობელისა...“⁶⁷.

უფლის გამოცხადებისა თუ წინასწარმეტყველების ჟამს ამ დიდებული ნიჭის მქონე მოღვაწეებს უნარჩუნდებათ თავისუფალი ნება და ჯანსაღი გონება. ამის საპირისპირო თვისება ახასიათებდათ მონტანისტ ცრუწინასწარმეტყველებს.

ეკლესიის მამები ზემოხსენებულ მოსაზრებას ხშირად გამოთქვამენ. უნდა აღინიშნოს, რომ ამასთან დაკავშირებული პირველი გამოკვეთილი აზრი ორიგენესთან

⁶¹ გამოსლ. 32. 32.

⁶² ეს. 22. 4.

⁶³ დაბ. 18. 27.

⁶⁴ ფსალმ. 21. 7.

⁶⁵ ეს. 6. 5.

⁶⁶ ეს. 6. 8.

⁶⁷ 3 მეფ. 19. 10.

გვხვდება⁶⁸. მას უდიდეს ცდომილებად მიაჩნია ადამიანზე სულიწმიდის მოქმედების ჟამს განმსჯელობითი უნარის დაქვეითება. ამ დროს, მისი რწმენით, მცირედი ცნობიერი ბუნდოვანებაც კი შთაგონების მიღების დამაბრკოლებელია. მისივე თქმით, წინასწარმეტყველების ჟამს ადამიანის ნორმალური ფსიქიკური ფუნქციონირება არ წყდება და მას თავისუფალი ნება და განსჯის უნარიც უნარჩუნდება (Лопухин 2007: 689).

მსგავსი აზრი გამოთქვეს წმინდა ეპიფანე კვიპრელმა, ნეტარმა იერონიმემ, წმინდა იოანე ოქროპირმა და სხვებმა. ისინი ერთხმად აღიარებენ და გვასწავლიან, რომ წინასწარმეტყველება არის შინაგანი გაცისკროვნება, რომელიც მისი წარმომთქმელის მიერ ცნობიერად აღიქმება. წმინდა ეპიფანე გვაუწყებს, რომ წინასწარმეტყველები თანმიმდევრულად აზროვნებდნენ, აცხადებდნენ რა ღვთის ნებას: „ჭეშმარიტ წინასწარმეტყველთა თვისებები იმგვარია, რომ სულიწმიდის მოქმედებისას ცნობიერებაც, სწავლებაცა და საუბარიც მათ ჯანსაღი აქვთ“ (Святитель Епифаний 1864: 307). ნეტარი იერონიმე ნიშანდობლივად აღნიშნავს, რომ წინასწარმეტყველები არ ლაპარაკობდნენ დაბინდული გონებით, „თითქოს არ იცოდნენ, რას წარმოთქვამდნენ და, ასწავლიდნენ რა სხვებს, თავად არ ესმოდათ, თუ რას ამბობდნენ“ (Блаженный Иероним 1882: 3). იგივე ეკლესიის მამა აღნიშნული აზრის დამადასტურებელ ფაქტად წინასწარმეტყველთა ღვთივგანბრძნობილობას მიიჩნევს⁶⁹. მისი თქმით, უაზრობაა მივიჩნიოთ, რომ ღვთივგანბრძნობილი პიროვნება დაბინდული გონებით შეიძლება მოქმედებდეს (Блаженный Иероним 1882: 3)⁷⁰.

განსაკუთრებულ სიმძაფრეს იძენს წმინდა იოანე ოქროპირის განმარტება. მისი თქმით, ეშმაკულ წინასწარმეტყველს ახასიათებს „იძულება და ძალადობის განცდა, გატაცება და გაშმაგება, როგორც ეშმაკულს. ხოლო წინასწარმეტყველი არაა ასეთი, არამედ ის ყველაფერს ამბობს ფხიზელი სულითა და საღი გონებით, რადგან იცის, რას ლაპარაკობს“ (Святитель Иоанн 1904: 286).

ამრიგად, მონტანისტი ცრუწინასწარმეტყველი იყო ადამიანი, რომელიც მისნობისას შმაგდებოდა, არანორმალურ და არაცნობიერ მდგომარეობაში ვარდებოდა. ეს თვალსაზრისი ტერმინ *μάντις* მნიშვნელობითაც დასტურდება. *μάντις* მომდინარეობს სიტყვიდან *μαίνωμαι*, რაც ნიშნავს „ვგიჟდები, ვიმყოფები შეშლილ მდგომარეობაში“.

⁶⁸ აღნიშნულ საკითხზე ორიგენე საუბრობს ნაშრომში: „De principiis“ (წიგნი III).

⁶⁹ დავით წინასწარმეტყველი ამბობს: „უჩინონი და დაფარულნი სიბრძნისა შენისანი გამომიცხადენ მე“ (ფსალმ. 50. 8); ეზეკიელის წიგნში წერია: „ნუუკუე უბრძნეს ხარ-ა შენ დანიელისსა“ (ეზეკ. 28. 3).

⁷⁰ შდრ. იგავ. 16. 23: „გულმან ბრძნისამან ცნის თვისისაგან პირისა და ბაგეთა ჰმოსიეს მეცნიერებაა“.

წმინდა ეპიფანე კვიპრელი ასე ახასიათებს მონტანიტ ცრუწინასწარმეტყველებს: „ხოლო ესენი გვპირდებიან, რომ გვიწინასწარმეტყველებენ, თუმცა ჩანს, რომ საკუთარ თავსაც ვერ ფლობენ და სიტყვაშიც ვერ იცავენ თანმიმდევრულობას, რადგან მათი გამონათქვამები ბუნდოვანია, გაურკვეველია, და არანაირ კონკრეტულ შინაარსს არ შეიცავს“ (Святитель Епифаний 1864: 308). წმინდა იოანე ოქროპირის თქმით: „ემშაკი იწვევს შეშლილობას, სიმშაგეს და (გონების, ც. ჩ.) დიდ დაბნელებას, ხოლო ღმერთი – განანათლებს და შეგნებულად⁷¹ ასწავლის იმას, რაც ეგების“ (Святитель Иоанн 1904: 288). ამასთან, ის ფაქტი, რომ გამოცხადების დროს წინასწარმეტყველები ღრმად განიცდიან საკუთარ შინაგან მდგომარეობას და თავს უღირსად მიიჩნევენ⁷², ხილვის დროს მათი ცნობიერების სიჯანსაღის დასტურია.

უფალი არასოდეს ართმევდა ადამიანს თავისუფალ ნებას (რომელიც ადამიანში ღვთის ხატების განუყოფელი ნაწილია). წინასწარმეტყველებს ნებისმიერ დროს შეეძლოთ ექადაგათ, ან დადუმებულიყვნენ. ეზეკიელის წიგნში იმის მკაფიო მაგალითია მოცემული, რომ ხსენებულ მოღვაწეებს თავისუფალი ნება ყოველთვის უნარჩუნდებოდათ: „და ყურბეული ქრთილისაჲ ჭამე შენ იგი, ფუნასა სკორისა კაცობრივისასა დაჰფლა იგი წინაშე თუალთა მათთა... და ვთქუ: ნუსადა, უფალო ღმერთო ისრაჴლისაო! რამეთუ არასადა შეგინებულ არს სული ჩემი არაწმიდითა და მკუდრისაჲ და ნამხეცავი არა მიჭამიეს შობით ჩემითგან ვიდრე აქამომდე, არცა შესრულ არს პირსა ჩემსა ყოველი ჯორცი ბილწი“⁷³.

ასე რომ, უფლის გამოცხადების ჟამს ეზეკიელ წინასწარმეტყველს თავისუფალი ნება შენარჩუნებული აქვს და საღად აზროვნებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, გაუგებარი იქნებოდა ხსენებული წინასწარმეტყველის მიერ უფლის ბრძანების სიტყვა-სიტყვით აღსრულებისაგან თავის შეკავება. მსგავსი მოწმობაა მოცემული იონა წინასწარმეტყველის წიგნში: „და აღდგა იონა სივლტოლად თარშიდ პირისაგან უფლისა...“⁷⁴. მოტანილმა მაგალითმა ცხადყო, რომ ღვთის ბრძანების აღსრულების გამო, უფალს იონა წინასწარმეტყველისთვის თავისუფალი ნება არ წაურთმევია. ამავე აზრის

⁷¹ ე. ი. პიროვნება გონების ჯანსაღ მდგომარეობაში განისწავლება უფლისაგან.

⁷² უფლის გამოცხადებისას ესაიამ თქვა: „ვამ მე, უბადრუკსა, რამეთუ შეწუხებულ ვარ, რამეთუ კაცი ვარ, და არაწმიდანი ბაგენი მქონან, და შორის ერისა, რომელსა არაწმიდანი ბაგენი ასხენ, მე დამკვდრებულ ვარ; და მეუფე უფალი საბაოთ მე თუალითა ჩემითა ვიხილე“ (ეს. 6. 5); შდრ. იერ. 1. 6: „რომელი-ეგე ხარ, უფალო, აჰა-ესერა, არა ვიცი სიტყუად, რამეთუ ყრმა ვარი მე“.

⁷³ ეზეკ. 4. 12, 14.

⁷⁴ იონ. 1. 3.

დამადასტურებელი მოწმობა მოიპოვება პავლე მოციქულის კორინთელთა მიმართ პირველ ეპისტოლეში: „ხოლო წინასწარმეტყველნი ორნი გინა სამნი იტყოდედ, და სხუანი იგი სცნობდედ. უკუეთუ სხუასა გამოეცხადოს მუნ მჯდომარეთაგანსა, პირველი იგი დუმენინ“⁷⁵. მოყვანილი მუხლის მიხედვით, წინასწარმეტყველებისას ხსენებული მოღვაწენი თავისუფალ ნებას და განსჯის უნარს არ კარგავდნენ, მათ შეეძლოთ განეცხადებინათ ან შეეწყვიტათ წინასწარმეტყველება.

წინასწარმეტყველთა ერთ-ერთი ღვთისათნო თვისებაა შემოქმედისადმი მორჩილება. მათი ქმედებანი უფლის ნებაზე იყო დამყარებული. ამ თვისებით გამოირჩევა ნოე. ხსენებული მოღვაწის ღვთისადმი მორჩილებას წმინდა წერილის შემდეგი სიტყვები მოწმობენ: „და ქმნა ნოე ყოველნი, რაოდენნი ამცნო მას უფალმან ღმერთმან, ეგრეთ ქმნა“⁷⁶. ამგვარივე სათნოებით გამშვენებული პიროვნების უდიდეს მაგალითს წარმოადგენს აბრაამი. იგი ღვთისაგან საკუთარი შვილის მსხვერპლად შეწირვის კურთხევის აღსრულებას უდრტვინველად შეუდგა⁷⁷. შემოქმედისადმი მორჩილება იყო ერთ-ერთი მთავარი თვისება, რის საფუძველზეც ესოდენ საკვირველ და ძნელად აღსასრულებელ სიმბოლურ ქმედებებს ახორციელებდნენ წინასწარმეტყველები. ღვთის ბრძანებით, ესაია სამი წელი განმოსილი დადიოდა, ოსემ ორგზის იქორწინა მეძავზე, იერემია ქედით უღელს ატარებდა, ეზეკიელი დიდი ხნის განმავლობაში ჯერ მარცხენა, შემდეგ კი მარჯვენა გვერდზე იწვა, საკმაოდ მცირე და უსიამოვნო საკვებს იღებდა და ა. შ.

ამრიგად, წინასწარმეტყველნი არიან ღვთისათნო ცხოვრების წესით გამორჩეული და ჭეშმარიტი სარწმუნოების მქონე მოღვაწენი. ისინი, იღებენ რა გამოცხადებას უფლისაგან, აღივსებიან სულიწმიდით და ხალხს მომავალს აუწყებენ. ამასთან, გაცნობიერებულად მოქმედებენ. ხსენებული მოღვაწენი არიან ზემთაგონებული პიროვნებები, რომელთაც ხილვისა და ქადაგების დროს უნარჩუნდებათ ჯანმრთელი ცნობიერება, განსჯის უნარი და თავისუფალი ნება.

⁷⁵ 1 კორ. 14. 29-30.

⁷⁶ დაბ. 6. 22.

⁷⁷ იბ. დაბ. 22. 1-3.

1.3. წინასწარმეტყველების სახეები

მხსნელის წუთისოფლად მოვლინებამდე დიდი ხნით ადრე წინასწარმეტყველებმა მოასწავეს მაცხოვრის განკაცება, მისი ამქვეყნად მოღვაწეობა, ჯვარცმა, აღდგომა, ამაღლება, ასევე, სულთმოფენობა და მომდევნო მრავალი მოვლენა.

წინასწარმეტყველნი სხვადასხვა ერის (უმთავრესად ებრაელების) სასიკეთო თუ საუბედურო მომავალსაც იუწყებოდნენ. ყოველივე, წმინდა იოანე ოქროპირის თქმით, იმისთვის აღესრულებოდა, „რათა ერთნი გამხნეებულებიყვნენ, სხვანი კი ბიწიერებისგან შიშით შეჩერებულებიყვნენ“ (Святитель Иоанн 1900ბ: 611).

წინასწარმეტყველების ორი სახე არსებობს: სიტყვიერი და მოქმედებითი (Святитель Иоанн 1900ბ: 611); (Святитель Иоанн 1906: 1137).

ძველი აღთქმის საღვთო ისტორიაში სიტყვიერი წინასწარმეტყველების მრავალი მაგალითია მოცემული. მიქეა მხსნელის შობის შესახებ ღაღადებს: „და შენ, ბეთლემ, სახლი ეგე ეფრათაჲსი, მცირე ხარ ათასეულთა შორის იუდაჲსთა, რამეთუ შენგან გამოვიდეს ჩემდა მთავარი ისრაჲლსა ზედა და გამოსავალნი მისნი დასაბამით დღეთაგან საუკუნეთა“⁷⁸, ესაია მაცხოვრის ჯვარცმის შესახებ გვაუწყებს: „...ვითარცა ცხოვარი, კლვად მიიგუარა და, ვითარცა ტარიგი წინაშე მრისუველისა, უკმობელად დგა, ეგრეთ არა აღაღებს პირსა თჳსსა“⁷⁹ და ა. შ.

მოქმედებითი წინასწარმეტყველების რაობის შესასწავლად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ზაქარიას წიგნის ერთ-ერთ მუხლს. აქ არის მინიშნება წინასწარმეტყველთა მოღვაწეობის აღნიშნულ მხარეზე: „ისმინე აწ, ისო, მღდელმან მაგან დიდმან, შენ და მოყუასთა შენთა, რომელნი სხენან წინაშე პირსა შენსა, რამეთუ კაცნი ნიშის მსტოვარნი არიან...“⁸⁰. „ნიშის მსტოვარნი“ ბერძნული ტერმინი τερατοσκοποι-ს (არსებითი სახელიდან τερα - „ნიშანი“, „სასწაული“ და ზმნიდან σκοπεω - „ვუყურებ“, „თვალყურს ვადევნებ“) შესატყვისია. ამ შემთხვევაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ბიბლიის მასორეტული ტექსტი და ვულგატა. ზაქარიას წინასწარმეტყველების ზემოთ მოტანილ მუხლში აღნიშნული შესიტყვების ადგილზე ებრაულენოვან ბიბლიაში წერია: תְּשִׁיחַ אֲנִי (Anēshe Mofeth; „კაცები მომასწავებელი ნიშნისა“; შდრ. VUL: viri

⁷⁸ მიქ. 5. 2.

⁷⁹ ეს. 53. 7.

⁸⁰ ზაქ. 3. 8.

portendentes – „კაცი წინამიმანიშნებელი“ ან „კაცი წინამომასწავებელი“. ტერმინი **מֹפֶֿתֶֿת** (**Mofeth**) ნიშნავს „მომასწავებელ ნიშანს“. ამ შესიტყვებით ბიბლია წინასწარმეტყველთა მსახურების განსაკუთრებულ მხარეს ასაცნაურებს: საუფლო ნიშნად ქცეული წინასწარმეტყველები ღვთის ბრძანებით აღსრულებული ქმედებებით მომავლის დღეებს წინაგამოსახავდნენ. ნეტარი იერონიმე ამბობს: „წინასწარმეტყველები ხომ მომავლის ნიშნებად იყვნენ დადგენილნი“ (PL 1884: 1439)⁸¹. „...ნიშად მიმიცემიე შენ სახლსა ისრაჴლისასა“⁸² – ეუბნება წინასწარმეტყველ ეზეკიელს უფალი. იგივე აზრი დევს შემდეგ სიტყვებში: „და იყოს ეზეკიელ თქუენდა ნიშად...“⁸³. მოქმედებით წინასწარმეტყველებას უკავშირებს ნეტარი იერონიმე ესაიას წიგნის ერთ-ერთ ადგილსაც: „აჰა-ესერა, მე და ყრმანი, რომელნი მომცნა მე ღმერთმან, და იყოს სასწაულებად და ნიშებად სახლსა ისრაჴლისასა უფლისა მიერ საბაოთისა...“⁸⁴. აღნიშნული მუხლი, ნეტარი მამის განმარტებით, პირდაპირი, სიტყვა-სიტყვითი გაგებით წინასწარმეტყველებს მიემართება. ისინი ებრაელთათვის ერთგვარად მყოფადის წინამომასწავებელ საუფლო ნიშნებს წარმოადგენდნენ (Блаженный Иероним 1882: 151). უფალი ბრძანებს: „...ჴელთა წინადაწარმეტყუელთასა მივემსგავსე“⁸⁵. „გამოსლვათაში“ აღწერილია, თუ როგორ იდგა მოსე მთაზე ხელეგაპყრობილი, რითაც ჯვრის საიდუმლო მოესწავებოდა. ვეშაპის მუცელში იონას სამდღიანი ყოფნით სიმბოლურად მაცხოვრის ჯოჯოხეთში ჩასვლა და მესამე დღეს მკვდრეთით აღდგომა გამოისახებოდა და ა. შ.

⁸¹ შდრ. ლათ.: „Prophetae enim in signum sunt positi futurorum“.

⁸² ეზეკ. 12. 6.

⁸³ ეზეკ. 24. 24.

⁸⁴ ეს. 8. 18.

⁸⁵ ოს. 12. 11. შდრ.: LXX: „ἐν χειρὶν προφητῶν ἀμοιῶθι“; სლავ.: „въ рѣкѣхъ прѣроуескихъ ѡподѣвѣхѣ“; MT: „הִתְדַּבֵּר בְּיַד נְבִיאִים“; ოს. 12. 10, VUL: „in manu prophetarum adsimilatus sum“. თავისუფალი თარგმანია წარმოდგენილი შემდეგ ტექსტებში: ოს. 12. 10, KJV: „used similitudes, by the ministry of the prophets“; რუს.: „через пророков употреблял притчи“; ოს. 12. 11, ახალქართ.: „წინასწარმეტყველთა პირით იგავურად ვლაპარაკობდი“.

თავი II

სიმბოლური ქმედების რაობა

ბიბლიის მკვლევრებს ერთმანეთისაგან განსხვავებული თვალსაზრისები აქვთ სიმბოლური ქმედების რაობასთან დაკავშირებით. ასევე აზრთა სხვაობაა ბოლო დროის კომენტატორთა შორის, თუ რომელი ბიბლიური ეპიზოდები უნდა ჩაითვალოს წინასწარმეტყველთა სიმბოლურ ქმედებად. მკვლევართა უმთავრეს მოსაზრებებს საკითხის ისტორიაში წარმოვადგენთ. შემდგომ კი განვიხილავთ ჩვენს თვალთახედვას.

2.1. საკითხის ისტორია

XX ს-ის 30-40-იან წლებში სიმბოლური ქმედებანი მკვლევართა შორის აქტუალობით არ გამოირჩეოდა. 1927 წელს ბრიტანელმა სწავლულმა ჰ. ვ. რობინსონმა⁸⁶ გამოაქვეყნა ესეი: „prophetic Symbolism“. ამის შემდგომ ორი ათეული წლის განმავლობაში სამი წიგნი დაიწერა ჰოლანდიაში. ისინი ა. ვან დენ ბორნისა⁸⁷ და ა. ვ. გრონმანის⁸⁸ სახელებს უკავშირდებიან.

XX ს-ის მეორე ნახევარში აღნიშნული საკითხის შესახებ ინტერესი გაიზარდა. 1952 წელს გერმანელმა თეოლოგმა გ. ფორერმა⁸⁹ გამოაქვეყნა სტატია: „Die Gattung der Berichte über symbolische Handlungen der Propheten“ („წინასწარმეტყველთა სიმბოლური ქმედებების შესახებ უწყებათა სტილი“), ერთი წლის შემდგომ კი – წიგნი: „Die symbolischen Handlungen der Propheten“ („წინასწარმეტყველთა სიმბოლური ქმედებანი“). ეს არის ყველაზე ადრეული კვლევა, რომელშიც ფართოდ განიხილება სიმბოლური ქმედებები. ფორერის აზრით, სიმბოლური ქმედება წინასწარმეტყველის მიერ

⁸⁶ ჰენრი ვ. რობინსონი იყო ღვთისმეტყველების დოქტორი, აგრეთვე – „რეგენტს პარკის“ ბაფთისტური კოლეჯის (თავდაპირველად განთავსებული იყო ლონდონში, ამჟამად მდებარეობს ოქსფორდში) რექტორი და არაერთი სამეცნიერო კავშირის პრეზიდენტი.

⁸⁷ „De Symbolische Handelingen der Oud-Testamentische Profeten“ (1935 წ.), „Profetie Metterdaad“ (1947 წ.).

⁸⁸ „Het Karakter van de Symbolische Handelingen der Oud-Testamentische Profeten“ (1942 წ.).

⁸⁹ გეორგ ფორერი იყო ფილოსოფიისა და თეოლოგიის დოქტორი, აგრეთვე – საპატიო დოქტორი მარბურგის (პროტესტანტული მიმართულების პირველი უნივერსიტეტი გერმანიაში), აბერდინის და „სენტ-ენდრიუს“ უნივერსიტეტებში და არაერთი სამეცნიერო კავშირის საპატიო წევრი.

ხორციელდება მიზანმიმართულად და ცნობიერად. იგი მიიჩნევს, რომ **სიმბოლური ქმედება** წარმართული „სიმპათიკური მაგიიდან“⁹⁰ მომდინარეობს. მიუხედავად ამისა, აღნიშნული თეოლოგის მოსაზრებით, **სიმბოლური ქმედება** მაგია არ არის. ამასთან, ფორერი თვლის, რომ წინასწარმეტყველის მიერ წინაგამოსახული მომავალი უცილობლად უნდა აღსრულდეს. მისი აზრით, წინამოსწავებულის განხორციელების გარანტია მაგიური ქმედებები კი არაა, არამედ საუფლო დაპირება (Overholt 1997: 317); (Friebel 1999: 42); (Stacey 1990: 271)⁹¹.

ლიტერატურული თვალთახედვით, აღნიშნულ ბიბლიურ ეპიზოდებში გ. ფორერი სამ ნაწილს გამოჰყოფს: 1. **სიმბოლური ქმედების აღსრულების საუფლო ბრძანება** (შდრ. გერმ.: **Befehl**); 2. **უწყება** (შდრ. გერმ.: **Bericht**) მისი განხორციელების შესახებ და 3. **სიმბოლური ქმედების განმარტება** (შდრ. გერმ.: **Deutung**). იგი ძველ აღთქმაში ოცდათორმეტ სიმბოლურ ქმედებას აღრიცხავს (Hopp-Peters 2012: 2); (Stacey 1990: 5).

ფორერი **სიმბოლურ ქმედებათა** კატეგორიას ბიბლიის „ფორმის კრიტიკაზე“⁹² დაყრდნობით აყალიბებს. ამ თვალთახედვას იზიარებს მკვლევართა გარკვეული ნაწილი. ისინი **სიმბოლურ ქმედებებს** მიაკუთვნებენ წმინდა წერილის მხოლოდ იმ ადგილებს, სადაც განსაკუთრებული ლიტერატურული სტრუქტურა ვლინდება. ამასთან, აღნიშნული მკვლევრები ბიბლიურ ეპიზოდს **სიმბოლურ ქმედებად** არ განიხილავენ, თუ წინასწარმეტყველის არავერბალური საქციელი არის სტერეოტიპული შესტიკულაცია. გ. ფორერი⁹³ და რ. მ. ჰალსი⁹⁴ **სიმბოლურ ქმედებად** არ მიიჩნევენ ეზეკიელის „ტაშისცემას“⁹⁵, „ღალადებას“⁹⁶ და „რექაბელთა მორჩილების“⁹⁷ ეპიზოდს

⁹⁰ „სიმპათიკური მაგია“ არის მაგიის სახეობა. მასში გამოიყენება საგნები ან ქმედებები, რომლებიც გვანან ან სიმბოლურად უკავშირდებიან გარკვეულ პიროვნებას თუ მოვლენას.

⁹¹ აღნიშნულ თვალსაზრისს ფორერი გამოთქვამს ნაშრომში: „Prophetie und Magic“ (1967 წ.). ამ საკითხს განიხილავს, ასევე, მ. პ. მეთენი 1960 წელს დაცულ სადოქტორო დისერტაციაში: „The Relationship of Ancient Near Eastern Sympathetic Magic to the Symbolic Acts of Hebrew Prophets“. მეცნიერთა გარკვეული ნაწილი (მაგ.: რ. პ. კეროლი) **სიმბოლურ ქმედებას** მაგიასთანაც კი აიგივებს (Stacey 1990: 268-275); (Friebel 1999: 42-48); (Hopp-Peters 2012: 1-60). აღნიშნულ საკითხზე კეროლი მსჯელობს ნაშრომში: „Jeremiah“ (1986 წ.).

⁹² „ფორმის კრიტიკა“ „ბიბლიური კრიტიკის“ მეთოდია, რომელიც წმინდა წერილს ლიტერატურული სქემის მიხედვით ანაწილებს.

⁹³ ფორერი ამ საკითხზე საუბრობს ნაშრომში: „Die Gattung der Berichte über symbolische Handlungen der Propheten“.

⁹⁴ რ. მ. ჰალსი აღნიშნულ საკითხზე საუბრობს წიგნში: „Ezekiel“ (1989 წ.).

⁹⁵ იხ. ეზეკ. 6. 11-12.

⁹⁶ იხ. ეზეკ. 21. 12-17.

⁹⁷ იხ. იერ. თ. 35.

იერემიას წიგნში⁹⁸. ვ. ციმერლი⁹⁹ ეზეკიელის „ლაღაღებასა“ და „ტაშისცემას“ უწოდებს „გამომხატველობით ჟესტებს“ და მათ განასხვავებს **სიმბოლური ქმედებებისაგან**. მსგავს მოსაზრებას გამოთქვამს დ. ვ. გარნერი¹⁰⁰. კ. გ. ფრიბელის თქმით, **სიმბოლურ ქმედებებთან** მიმართებით ეს „ტრადიციული“ (Friebel 1999: 15) თვალთახედვაა.

თ. ვ. ოვერჰოლტი ზემოხსენებულისგან გაცილებით ფართო საწინასწარმეტყველო ქმედებების კატეგორიას აყალიბებს¹⁰¹. მკვლევარი მათ უწოდებს „ძალაუფლების ქმედებებს“ (შდრ. ინგლ.: „Acts of power“). იგი ამბობს, რომ ძველ აღთქმაში (მეფეთა და საწინასწარმეტყველო წიგნებში) აღნიშნული სახის ქმედებათა სამოცზე მეტი მაგალითი არსებობს (Overholt 1997: 315). ოვერჰოლტის აზრით, **სიმბოლურ ქმედებას** სამი უმთავრესი ნიშანი ახასიათებს: 1. ისინი საუფლო ბრძანებით აღესრულებიან; 2. მათ, ჩვეულებრივ, განმარტება ახლავთ თან და 3. აღნიშნულ ბიბლიურ ეპიზოდებში ღმერთი გვპირდება, რომ სახეობრივად გამოხატული მოვლენა უეჭველად აღსრულდება (Bush 2014: 25). მკვლევარი ერთმანეთისაგან გამოჰყოფს ადამიანური შესაძლებლობის ფარგლებში არსებულ ქმედებებს და მათ, რომლებიც კაცობრივ ძალებს აღემატებიან (მაგ.: მზის ჩრდილის სასწაულებრივად უკან დახევა ესაიას წიგნში¹⁰²). ოვერჰოლტი ამათგან პირველს კიდევ ორად ანაწილებს: ა) ნებისმიერი ადამიანისთვის შესაძლებელი ქმედებები (მაგ.: ესაიასა და ოსეს მიერ შვილებისთვის სახელების დარქმევა¹⁰³, იერემიას მიერ დოქის გატეხა¹⁰⁴ ან ქედით უღლის ტარება¹⁰⁵) და ბ) ქმედებები, რომლებიც მოწინავეზე „უფრო მეტად უახლოვდებიან ეგზოტიკურსა და უცნაურს“ (Overholt 1997: 315; ესენია: ეზეკიელის მიერ გრაგნილის შეჭმა¹⁰⁶, წინასწარმეტყველის დროებითი სიმუნჯე¹⁰⁷, ოსეს მეძავზე ქორწინება¹⁰⁸...), თუმცა, მკვლევრის თქმით, ეს ქმედებები ჯერ

⁹⁸ ამ ბიბლიურ ეპიზოდებს არც ჩვენ მივიჩნევთ **სიმბოლურ ქმედებებად**. პირველი ორი ემსახურებოდა საწინასწარმეტყველო სიტყვის თვალსაჩინოდ გამოხატვას და მას სძენდა სიმძაფრეს, მესამე კი მიზნად ისახავდა იუდეველთათვის მისაბამი მაგალითის ჩვენებას. **სიმბოლური ქმედების** ჩვენეული თვალთახედვის შესახებ იხ. §2.2.

⁹⁹ აღნიშნულ საკითხს ვ. ციმერლი ეხება წიგნში: „Ezekiel 1“ (1979 წ.).

¹⁰⁰ ამ საკითხს გარნერი განიხილავს თავის სადოქტორო დისერტაციაში: „Forms of Communication in the Book of Ezekiel“ (1980 წ.).

¹⁰¹ მოცემულ საკითხს ეძღვნება ოვერჰოლტის ნაშრომები: „Seeing is Believing: The Social Setting of Prophetic Acts of Power“ (1982 წ.) და „Channels of prophecy: The Social Dynamics of Prophetic Activity“ (1989 წ.).

¹⁰² იხ. ეს. 38. 7-8. ოვერჰოლტი აღნიშნული სახის ქმედებათა სხვა მაგალითებსაც გვთავაზობს: 3 მეფ. 17. 13-16, 19-22; 18. 36-38; 4 მეფ. 1. 10-22; 2. 8, 14, 21, 24; 4. 1-7, 25-37, 41, 43... (Overholt 1997: 316).

¹⁰³ იხ.: ეს. თ. 8 და ოს. თ. 1.

¹⁰⁴ იხ. იერ. თ. 19.

¹⁰⁵ იხ. იერ. თ. 27-28.

¹⁰⁶ იხ. ეზეკ. 3. 1-3.

¹⁰⁷ იხ.: ეზეკ. 3. 22-27; ეზეკ. 24. 25-27.

კიდევ ადამიანური შესაძლებლობის ფარგლებშია. ოვერჰოლტის კვლევის საგანი, მისივე თქმით, არ არის აღნიშნულ ბიბლიურ ეპიზოდთა ლიტერატურულ ფორმა, არამედ თავისთავად ქმედებები. მკვლევრის აზრით, საწინასწარმეტყველო ქმედებათა მისეული კატეგორია ფორერისაზე გაცილებით ვრცელი იმიტომია, რომ ამ უკანასკნელმა ერთმანეთისაგან გამოჰყო მაგიური და სიმბოლური აქტები. ოვერჰოლტის თვალსაზრისით, წმინდა წერილში მაგიური ქმედებების რაოდენობა საკმაოდ დიდია (Overholt 1997: 317)¹⁰⁹.

კ. გ. ფრიბელს ზემოაღნიშნული საკითხისადმი განსხვავებული მიდგომა აქვს. იგი **სიმბოლურ ქმედებას** განიხილავს, როგორც რიტორიკულ არავერბალურ კომუნიკაციას¹¹⁰. ფრიბელს თავის ნაშრომში „Jeremiah’s and Ezekiel’s Sign-acts“¹¹¹ ტერმინი „ნიშან-ქმედება“ გამოყენებული აქვს წინასწარმეტყველთა ყველა იმ არასიტყვიერ მოქმედებასთან მიმართებით, „რომელთა უმთავრესი მიზანი იყო კომუნიკაცია და ინტერაქცია“ (Friebel 1999: 14). ის ერთმანეთისაგან გამოჰყოფს წინასწარმეტყველის მიერ აღსრულებულ ქმედებას და ამ უკანასკნელის ამსახველ ბიბლიურ ტექსტს (Friebel 1999: 13). მკვლევარი „ნიშან-ქმედებად“ თვლის, როგორც არავერბალურ ქცევას, ასევე ქესტებსა და პარალინგვისტიკას (ხმის ტონი, ბგერის სიმაღლე და ა. შ.). კვლევის შედეგად ფრიბელს სურს დაადგინოს კომუნიკაციის ტექნიკა, რითაც სარგებლობდნენ წინასწარმეტყველნი. იგი გამოჰყოფს „ნიშან-ქმედებათა“ მახასიათებელ ოთხ შტრიხს: „ყურადღება, გაგება, მიღება და გაჩერება“ (შდრ. ინგლ.: „**attention, comprehension, acceptance and retention**“ (Friebel 1999: 74). ფრიბელის თქმით, აღნიშნული ქმედება იპყრობს ხალხის ყურადღებას (**attention**), გასაგებია (**comprehension**), დამახსოვრებადია (**retention**) და ადამიანის დამოკიდებულების ცვლილების სტიმულს უზრუნველყოფს (**acceptance**) (Friebel 1999: 74-75). ფრიბელს **სიმბოლურ ქმედებათა** რიგში შემოჰყავს ეზეკიელის „ტაშისცმაც“ და „ღალადებაც“. საკითხისადმი მიდგომის თავისებურებიდან გამომდინარე, აღნიშნული მეცნიერი „ნიშან-ქმედებად“ არ მიიჩნევს ელიას მიერ

¹⁰⁸ ოსეს მეძავზე ქორწინების ეპიზოდთან დაკავშირებით ოვერჰოლტი უთითებს მხოლოდ ოს. 1. 2-3.

¹⁰⁹ იხ. სქოლიო 102.

¹¹⁰ ფრიბელის კვლევა, მისივე თქმით, ეფუძნება ჯ. ბ. ტეილორის რჩევას, რომელიც მან მისცა მკითხველს ეზეკიელის ქმედებათა განმარტებისას: „...მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ შევეცადოთ იმის გაგებას, თუ რა და როგორ გააკეთა მან (ეზეკიელმა, ც. ჩ.) სინამდვილეში. ცხადია, მნიშვნელოვანი იყო მისთვის და მისი დამკვირვებლებისთვის, რომ ზუსტად ეხილათ ეს (ქმედებები, ც. ჩ.) და სწორად განემარტათ, თუ რისი თქმა სურდა მას“ (Friebel 1999: 13).

¹¹¹ ეს წიგნი ფრიბელის 1989 წელს მის მიერ დაცული სადოქტორო დისერტაციის რევიზიას წარმოადგენს.

ელისესთვის ხალენის გადაგდებას¹¹² (ეს ბიბლიური ეპიზოდი მკვლევართა უმეტესობის მიერ **სიმბოლურ ქმედებად** ითვლება)¹¹³. აღნიშნული თეოლოგი არც ოსე წინასწარმეტყველის მიერ შვილებისთვის სახელების დარქმევას უწოდებს „ნიშან-ქმედებებს“. მისი თქმით, სახელდება იმთავითვე სიტყვიერი ქმედებაა (Friebel 1999: 14)¹¹⁴.

სიმბოლური ქმედების რაობის საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული თვალთახედვა აქვს ინგლისელ სქოლარ ვ. დ. სტეისისაც. 1990 წელს მან გამოაქვეყნა წიგნი: „Prophetic Drama in the Old Testament“. სტეისი აღნიშნულ საკითხს ფილოსოფიურად აანალიზებს. იგი უფლის განგებასა და **სიმბოლურ ქმედებას** განიხილავს, როგორც მიზეზ-შედეგობრივ კავშირს. სწორედ ამ უკანასკნელს (ან მის ცვლილებას) აცხადებს და ასახავს წინასწარმეტყველის ქმედება. ამასთან, არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, ხედავს თუ არა ვინმე წინასწარმეტყველის მოქმედებას. ის ყოველივეს მიუხედავად ხორციელდება, რადგან „ჭეშმარიტება გამოხატვას მოითხოვს“ (Stacey 1990: 277). ფრიბელი აღნიშნავს, რომ სტეისი ერთმანეთისაგან არ გამოჰყოფს წინასწარმეტყველთა მიერ განზრახ აღსრულებულ ქმედებებსა და გამოცხადებებს (Friebel 1999: 15). სტეისის საწინასწარმეტყველო ქმედებათა კატეგორია ფრიბელთან შედარებით ვრცელია და მასში 48 მაგალითია გაერთიანებული (Stacey 1990: 66). მათ რიცხვში სტეისი განიხილავს ეზეკიელის მიერ გრაგნილის შეჭმასაც (Stacey 1990: 174-176)¹¹⁵.

მეცნიერთა გარკვეული ნაწილი საკუთარი თვალთახედვის მიხედვით ერთმანეთთან აკავშირებს **სიმბოლურ ქმედებებსა** და თანამედროვე მოვლენებს, მაგ.: ჰ. ვ. რობინსონი პარალელს ავლებს ესაიას განმოსილ სიარულსა და ლიჩფილდის ბაზარზე ჯორჯ ფოქსის¹¹⁶ ფეხშიშველ სიარულს შორის (Polley 1972: 276), ოვერჰოლტი შამანების ქმედებებზე საუბრობს (Overholt 1997: 331-337). რ. კ. ბუში თანამედროვე **სიმბოლურ**

¹¹² იხ. 3 მეფ. 19. 19-21.

¹¹³ აღნიშნულ ბიბლიურ ეპიზოდს არც ჩვენ მივიჩნევთ **სიმბოლურ ქმედებად**. ხალენის გადაგდებით ელიამ საწინასწარმეტყველო მოღვაწეობისკენ მოუწოდა ელისეს.

¹¹⁴ უშუალოდ სახელდების აქტს არც ჩვენ მივიჩნევთ **სიმბოლურ ქმედებად**. თუმცა ოსეს მიერ შვილებისთვის სახელების დარქმევას განვიხილავთ როგორც მისი პირველი **სიმბოლური ქმედების** შემადგენელ ნაწილებს.

¹¹⁵ ეზეკ. 2. 8-10, 3. 1-3.

¹¹⁶ ჯორჯ ფოქსი (1624-1691 წწ.) იყო „მეგობართა რელიგიური საზოგადოების“ (იგივე „კვაქერების“) დამფუძნებელი.

ქმედებებად თვლის როზა პარქსის სამოქალაქო დაუმორჩილებლობას¹¹⁷ და მარტინ ლუთერ კინგ ჯუნიორის მიერ ბირმინგემში აღსრულებულ ქმედებებს¹¹⁸ (Bush 2014: 75-111).

როგორც ჩანს, რუსულ საღვთისმეტყველო ლიტერატურაში ტერმინი **სიმბოლური ქმედება** გადავიდა დასავლეთ ევროპის ქვეყნების თეოლოგიური ნაშრომების გაცნობის შედეგად. დეკ. ალექსანდრე მენი თავის „Библиологический Словарь“-ში **სიმბოლურ ქმედებათა** მნიშვნელობის განმარტებას გვთავაზობს, სადაც ეყრდნობა ა. სვიდლერის შრომას: „Prophets and Symbolic Acts Today“ (1981 წ.). დეკ. ალექსანდრე მენის თქმით, **სიმბოლური ქმედება** საწინასწარმეტყველო ქადაგების ერთ-ერთი ფორმაა. აღნიშნული თეოლოგი **სიმბოლურ ქმედებას** უწოდებს ელიას ამაღლების დროს ელისესადმი ხალხის დატოვებას (Протоиерей Александр 2002b: 106)¹¹⁹. იგი **სიმბოლურ ქმედებათა** რიცხვში განიხილავს გარკვეულ წინასწარმეტყველთა მიერ შვილებისთვის სახელების დარქმევასაც, მაგ.: ოს. 1. 4, 6, 9 (Протоиерей Александр 2000: 316)¹²⁰. სწორედ რუსული საღვთისმეტყველო ლიტერატურიდან შემოვიდა გამოყენებაში ტერმინი **სიმბოლური ქმედება** ქართველ თეოლოგთა შორის, თუმცა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ნაშრომი საქართველოში აქამდე არ შექმნილა.

ქვემოთ მოკლედ წარმოვადგენთ ჩვენს დამოკიდებულებას **სიმბოლური ქმედების** რაობასთან დაკავშირებული ზემოგანხილული ძირითადი მოსაზრებებისადმი.

სიმბოლური ქმედება აღსრულება უფლის კურთხევით, ე. ი. მისი წყარო ღმერთია. ის არის მოქმედება, რომელშიც წინასახეობრივად გამოხატულია მომავალი.

¹¹⁷ როზა პარქსი იყო აშშ-ს შავკანიანი მოქალაქეების უფლებათა დაცვის მოძრაობის აქტივისტი. 1955 წელს მან უარი განაცხადა მონტგომერის სამოქალაქო ავტობუსის ადგილის განთავისუფლებაზე, რასაც რ. კ. ბუში „საწინასწარმეტყველო ქმედებად“ მიიჩნევს.

¹¹⁸ მარტინ ლუთერ კინგ ჯუნიორი იყო ბაპტისტი მქადაგებელი, ორატორი და აშშ-ს შავკანიანი მოქალაქეების უფლებათა დაცვის მოძრაობის ლიდერი 1954-1968 წლებში. 1963 წელს იგი დააპატიმრეს, რასაც შედეგად მოჰყვა მისი ცნობილი „წერილი ბირმინგემის ციხიდან“. რ. კ. ბუში კინგის დაპატიმრებასა და აღნიშნულ წერილთან დაკავშირებულ მოვლენებს რაცხს „საწინასწარმეტყველო ქმედებათა“ რიგში.

¹¹⁹ იხ. 4 მეფ. 2. 13. ბიბლიის მკვლევართა უმეტესობა აღნიშნულ ბიბლიურ ეპიზოდს **სიმბოლურ ქმედებათა** რიცხვში არ განიხილავს. მას არც ჩვენ მივიჩნევთ **სიმბოლურ ქმედებად**. ხალხის დატოვება აღნიშნავდა იმას, რომ ელისე ელიას სულიერი მემკვიდრე გახდა. ეს კი არის გარკვეულ მოვლენაზე მინიშნება და არა წინასწარმეტყველება.

¹²⁰ დეკ. ალექსანდრე მენი **სიმბოლური ქმედების** მნიშვნელობის განმარტებისას ახალ აღთქმასაც ეხება და ამბობს: „სიმბოლურ ქმედებებს უფალი იესოც აღსრულებდა. მათ მიეკუთვნება უნაყოფო ლეღვის ხის დაწყევლა... ქრისტემ საიდუმლო სერობასაც სიმბოლური ქმედების ფორმა მისცა, რომელიც ეკლესიაში ევქარისტის საიდუმლოს წესად იქცა“ (Протоиерей Александр 2002: 106) გაურკვეველია, რისი თქმა სურს აღნიშნულ თეოლოგს ამ ბოლო წინადადებით, თუმცა საიდუმლო სერობასთან **სიმბოლური ქმედების** რაიმე სახით დაკავშირება მიუღებელია. როგორც ჩანს, **სიმბოლური ქმედების** მნიშვნელობის განმარტებისას დეკ. ალექსანდრე მენი ა. სვიდლერის ზემოხსენებული შრომის გავლენას განიცდის.

ამასთან, წინამოსწავებული მყოფადი უცილობლად არ უნდა განხორციელდეს. პირიქით, წინასწარმეტყველნი **სიმბოლურ ქმედებებს** ებრაელი ხალხის თვალწინ იმიტომ აღასრულებდნენ, რომ მათში სინანული აღედრათ და მოსალოდნელი სასჯელისაგან ეხსნათ¹²¹. ნეტარი თეოდორიტე ამბობს: „ყოველთა ღმერთი იმისათვის კი არ იმუქრება სასჯელით, რომ აღასრულოს ის, რითაც ექადნის, არამედ, რათა გულები შიშით დააფრთხოს და სინანულამდე მიიყვანოს, ხოლო ხსნა იმას მოუვლინოს, ვინც ცოდვებისგან განთავისუფლდება“ (Блаженный Феодорит 2006ა: 249). ამის ერთ-ერთი გამორჩეული მაგალითი წმინდა წერილში ნინეველთა სინანულია. რაც შეეხება მაგიას, მისი წყარო ბოროტებაა. მაგია მიზნად ისახავს რაიმე მოვლენის გამოწვევას. აღნიშნულ შემთხვევაში სახეზეა პირადი ინტერესები. ბოროტ ძალას ახასიათებს კეთილის გარეგნული მიბაძვა. ამას ბიბლიაში აღწერილი ცრუწინასწარმეტყველთა **სიმბოლური ქმედებებიც** ადასტურებენ. ამრიგად, უფრო ისაა სარწმუნო, რომ წარმართებმა წინასწარმეტყველთა **სიმბოლური ქმედებების** ფორმა გამოიყენეს, მათ განსხვავებული შინაარსი მისცეს და შექმნეს გარკვეული რიტუალები. ასე დროთა განმავლობაში განვითარდა „სიმპათიკური მაგია“.

სიმბოლური ქმედება არ არის კომუნიკაციის ყოფითი სახე, ის სულიერი ქმედებაა, რომელსაც მშვიდნიერი ადამიანი ვერ აღიქვამს. პავლე მოციქული ამბობს: „...მშვიდნიერი კაცი არა შეიწყნარებს სულისა ღმრთისადესა, რამეთუ სიცოფე უჩნნ მას, და ვერ შემძლებელ არს ცნობად, რამეთუ სულიერად განიკითხვინ. ხოლო სულიერი განიკითხავს ყოველსავე, და იგი არავისგან განიკითხვის. რამეთუ ვინ ცნა გონებად უფლისად, რადთამცა აზრახა მას?...“¹²². კომუნიკაცია გულისხმობს სათქმელის გადაცემას. უფალი წინასწარმეტყველებს **სიმბოლურ ქმედებათა** აღსრულებას მაშინ უბრძანებდა, როდესაც ზნედაცემული ხალხი მათ სიტყვებს აღარ ისმენდა. აღნიშნული ქმედებებით ხდებოდა ადამიანთა დაინტერესება, რის შემდეგაც წინასწარმეტყველნი თავად განმარტავდნენ მათ მნიშვნელობას. ხალხში ინტერესს სწორედ ის იწვევდა, რომ **სიმბოლური ქმედებები** საკვირველებით გამოირჩეოდნენ და სულიერად დაბრმავებული, ღვთისგან დაშორებული მაყურებელი ვერ წვდებოდა მათ სიღრმისეულ

¹²¹ **სიმბოლური ქმედების** ამ დანიშნულებას შესაბამისი ყურადღება არ ექცევა სტეისის ზემოთ დასახელებულ კვლევაში.

¹²² 1 კორ. 2. 14-16.

შინაარსს. **სიმბოლური ქმედება** უფალთან სწორედ ამ დაკარგული კავშირის აღსადგენად სრულდებოდა.

დასასრულ აღვნიშნავთ, რომ რობინსონისა და ოვერჰოლტის მიერ მოხმობილ მაგალითებს საერთო არ აქვთ ჭეშმარიტ წინასწარმეტყველებსა და წინასწარმეტყველებებთან. რაც შეეხება ბუშის წიგნს: „The possibility of contemporary prophetic acts“, ის არის წინასწარმეტყველთა **სიმბოლური ქმედებების** ხელოვნური დაკავშირების მცდელობა თანამედროვე მოვლენებთან. ჭეშმარიტ წინასწარმეტყველთა გვერდით მრავალი ცრუწინასწარმეტყველი მოღვაწეობდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ისინი წმინდანებს **სიმბოლური ქმედებების** აღსრულებაშიც ბაძავდნენ¹²³, რასაც მრავალი ადამიანი შეცდომაში შეჰყავდა. გარეგნული მსგავსება თავისთავად არ გულისხმობს სულიერ ნათესაობას.

2.2. **სიმბოლური ქმედება, როგორც მოქმედებითი წინასწარმეტყველება**

ჩვენ **სიმბოლური ქმედების** რაობას განვიხილავთ ნეტარი თეოდორიტეს სიტყვებზე დაყრდნობით: „ყოველთა ღმერთი მიმართავდა რა გულქვაობით დასწებოვნებულ ხალხს, მათ დარწმუნებას სიტყვებით კი არ ცდილობდა, არამედ მომავალს განსაზღვრული თვალსაჩინო ქმედებით გამოუსახავდა, რომ გასასტიკებულთა ყურადღება სანახაობის არაჩვეულებრივობით მიეპყრო“ (Блаженный Феодорит 2006ა: 252).

სიმბოლური ქმედება მოქმედებითი წინასწარმეტყველებაა, თუმცა წინამოსწავების ამ სახის სხვა მაგალითებისგან გარკვეული ნიშნებით გამოიყოფა. ქვემოთ წარმოვადგენთ **სიმბოლურ ქმედებათა** თვისობრივ მახასიათებლებს, სადაც აღნიშნული გამოყოფის მიზეზებზეც ვისაუბრებთ.

უფალი წინასწარმეტყველებს **სიმბოლურ ქმედებათა** აღსრულებას მაშინ უბრძანებდა, როდესაც ხალხს მათი სიტყვების მოსმენა არ სურდა. ნეტარი თეოდორიტეს ზემოთ მოხმობილი სიტყვების მიხედვით, როდესაც ღმერთი გულქვა ადამიანებს

¹²³ იხ.: 3 მეფ. 22. 11 (შდრ. 2 ნეშტ. 18. 10); იერ. 28. 10-11.

მიმართავდა, ამას რიგ შემთხვევაში არ აკეთებდა სიტყვიერად, არამედ განსხვავებულ ფორმას იყენებდა, რითაც საზოგადოების ყურადღებას იპყრობდა. **სიმბოლური ქმედება** საკვირველი სანახავი იყო. ის დიდ ყურადღებასა და ინტერესს აღძრავდა, რის შემდეგაც წინასწარმეტყველი ნამოქმედარს განმარტავდა და ხალხს შეაგონებდა. ნეტარი თეოდორიტეს განმარტებით, ადამიანები, რომლებიც ესაიას განმოსილსა და ამგვარად მოსიარულეს ხედავდნენ, ამ საოცარ სანახაობას მისჩერებოდნენ და იმის სურვილი იპყრობდათ, გაეგოთ ამგვარი უცნაურობის მიზეზი (Блаженный Феодорит 2006a: 252). კითხვაზე, თუ რატომ დადიოდა გარკვეული ხნით ესაია განმოსილი, წმინდა კირილე ალექსანდრიელი პასუხობს: ებრაელები „წინასწარმეტყველთა სიტყვებს არ უსმენდნენ და კიდევ საყვედურობდნენ, ვისაც მათთვის მომავლის უწყება სურდა...“ (Святитель Кирилл 1887: 522). აღნიშნულ საკითხს წმინდა ამბროსი მედიოლანელიც ეხება: „მართალია, მას შეეძლო ეს (წინასწარმეტყველება, ც. ჩ.) გამოეთქვა, მაგრამ უსიამოვნო მაგალითის მიმართვა არჩია, რამდენადაც თავად სანახაობა უფრო მეტად განაცვიფრებდა (ხალხს, ც. ჩ.), ვიდრე სიტყვა...“ (БКОЦ 2011b: 147). ამის მსგავსად იქცევდა ყურადღებას იერემია, როდესაც მას ქედზე უღელი ჰქონდა დადგმული. ეზეკიელმა სახლიდან გასასვლელად კედელი შეანგრია და კარის ნაცვლად იქიდან გავიდა. ნეტარი იერონიმეს თქმით, რადგან ეზეკიელის თანამკვიდრი ებრაელები მეტად დაცემულ სულიერ მდგომარეობაში იყვნენ, წინასწარმეტყველმა ღვთის განგება მათ **სიმბოლური ქმედებით**¹²⁴ გადასცა. წმინდა მამა ეზეკიელისადმი მიმართულ საუფლო სიტყვებს შინაარსობრივად ასე გადმოსცემს: „ამრიგად, რადგან მათ აქვთ თვალები, რათა იხილონ და ვერ ხედავენ, ასევე – ყურები, რათა ისმინონ და არ ესმით, ამიტომ მათ გარეგნულად და გამოხატვით ასწავლე და ფიზიკური ფორმებით აჩვენე, რათა მათ მომავალი ტყვეობის შესახებ არა მარტო სმენით, არამედ თვალებითაც შეიტყონ“ (Блаженный Иероним 1886: 137).

სიმბოლური ქმედებები ადამიანებზე ღრმა შთაბეჭდილებას ახდენდნენ. დეკანოზი ალექსანდრე მენი მიუთითებს: „...მრავალი წინასწარმეტყველი მიმართავდა **სიმბოლურ ქმედებებს**, რომლებიც სიტყვაზე ღრმად იჭრებოდნენ ერის ცნობიერებასა და მეხსიერებაში...“ (Протоиерей Александр 2000: 316). იერემიას ერთ-ერთი **სიმბოლური ქმედების** განმარტებისას ნეტარი იერონიმე ამბობს: „საღვთო წერილს სურს, რათა ერი

¹²⁴ აღნიშნულ **სიმბოლურ ქმედებასთან** დაკავშირებით იხ. §7.4.

განისწავლოს არა მხოლოდ სასმენლებით, არამედ თვალელებითაც, რადგან... გონებაში ის უფრო ჩერდება, რაც მხედველობის საშუალებით შემოდის, ვიდრე ის, რაც შემოდის სმენის საშუალებით“ (Блаженный Иероним 2008: 366). იმავე აზრს გამოთქვამს წმინდა ეფრემ ასური: „იერემია ასე სხვა წინასწარმეტყველთა ტრადიციისამებრ მოიქცა, რათა წინასწარმეტყველება უფრო ღრმად აღებეჭდა (მაყურებელთა, ც. რ.) გონებებში, რათა ერს ეს სიტყვა თვალელებითაც ეხილა და საკუთარი ყურებითაც გაეგონა“ (Святой Ефремъ 1995а: 476).

სიმბოლურ ქმედებას დამაჯერებლობის მძაფრი ხასიათი ჰქონდა. საზოგადოდ, სიმბოლო, როგორც ამას ეპისკოპოსი პალადი (პიანკოვი) ამბობს, საკმაოდ დიდი მნიშვნელობის შემცველი იყო აღმოსავლეთის ქვეყნებში. სიმბოლოებით ყოველგვარ ქადაგებაზე უკეთ შეიძლებოდა როგორც სათქმელის გამოხატვა, ისე მსმენლის ჩაგონება და დარწმუნება (Епископ Палладий 2006а: 3). ნეტარი თეოდორიტე აღნიშნულ საკითხს „მეოთხე მეფეთას“ განმარტებისას ეხება და ელისე წინასწარმეტყველის მიერ **სიმბოლური ქმედების** მიმართვის მიზეზს უძველესი დროის კაცობრიობის აზროვნების თავისებურებით ხსნის: „სიტყვების იმდენად არ სჯეროდათ, რამდენადაც საქმეთა მეშვეობით წინასწარმეტყველებებისა“ (Блаженный Феодорит 1905: 419).

სიმბოლური ქმედების აღსრულება საზოგადოებაში მიღებული ქცევის ნორმების დარღვევასთან იყო დაკავშირებული (ოსემ მეძავი მოიყვანა ცოლად ორჯერ, ეზეკიელი ფეკალურ მასებში გამომცხვარი პურით იკვებებოდა, იერემია ქედით უღელს ატარებდა, ესაია განმოსილი დადიოდა და ა. შ.). აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ნეტარი თეოდორიტე შემდეგს შენიშნავს: „ის, ვინც არ იცის მიზანი, წინასწარმეტყველთათვის შეუსაბამო ზნეობრივ საქციელს უწოდებს მათ, ხოლო ღვთის კაცთმოყვარეობის მცოდნეთ, მხედველთ იმისა, რომ ღმერთი ყველაფერს ადამიანთა ხსნისაკენ წარმართავს... განაცვიფრებენ ღვთივგანბრძნობილი წინასწარმეტყველნი, რომელნიც მზად არიან, ყველაფერში უფალს დაემორჩილონ“ (Блаженный Феодорит 2006а: 251-252). წინასწარმეტყველნი უფლის ბრძანებით მოქმედებდნენ. **სიმბოლური ქმედებანი** ადამიანთა სულიერი სარგებლობისთვის აღესრულებოდა. როდესაც წმინდა კირილე ალექსანდრიელი ოსეს მიერ მეძავის ცოლად მოყვანის საკითხს ეხება, ამ საქციელის გამართლებისთვის პავლე მოციქულის სიტყვებს იშველიებს: „ვიქმენ ჰურიათა თანა, ვითარცა ჰურიაჲ, რადთა ჰურიანი შევიძინნე; შჯულსა ქუეშე მყოფთა თანა, ვითარცა

შჯულსა ქუეშე მყოფი, რადთა შჯულსა ქუეშე მყოფნი შევიძინნე; უშჯულოთა თანა, ვითარცა უშჯულოდ, (არა უშჯულოდ ვიყავ ღმრთისა, არამედ შჯულიერი ქრისტესი), რადთა უშჯულონი შევიძინნე; ვიქმენ უძღურთა მათ თანა, ვითარცა უძღური, რადთა უძღურნი იგი შევიძინნე; ყოველთა ვექმენ ყოვლად, რადთა ყოველნი ვაცხოვნნე¹²⁵ (Святитель Кирилл 2006ა: 34). აღნიშნული თვისებით **სიმბოლური ქმედებები** მეტად ჰგვანან სალოსების უცნაურ, ერთი შეხედვით, „სულელურ“¹²⁶ ქცევებს.

სიმბოლური ქმედებები ხალხის წინაშე ხორციელდებოდა. საზოგადოების ყურადღების მიპყრობის შემდგომ მათ უცილობლად გადაეცემოდათ მოქმედებაში გამოხატული წინასწარმეტყველების შინაარსი და მნიშვნელობა. ამაზე უპირველესად თავად წმინდა წერილი მოწმობს: „და მიყო კელი აქია სამოსელსა მას თვისსა ახალსა, და დაიპო იგი ათორმეტად ნახევად. და ჰრქუა იორობოამს: მიიღე შენდად ათი ესე ნახევი, რამეთუ ესრე იტყვს უფალი ღმერთი ისრაელისაჲ: აჰა, მე განვხეთქო მეფობაჲ კელისაგან სოლომონისა და მიგცე შენ ათი იგი ნაწილი. და ორი იგი ნაწილი იყავნ მისი...“¹²⁷; „ესრე მრქუა მე უფალმან: წარვედ, მოიგე შენდად სახუეველი მჩურისაჲ... და წარვედ ევფრატად, აღმოვთხარე და მოვიღე სახუეველი იგი მიერ ადგილით, სადა-იგი მუნ დამეფლა; და აჰა იყო იგი მუნ განრყუნილ, რომელ რადვე არად საკმარ იყო... **ესრე იტყვს უფალი: ესრე განვრყუნე გინებაჲ იუდაჲსი და გინებაჲ იერუსალჲმისაჲ**“¹²⁸; „ესრე მრქუა მე უფალმან: იქმნეს შენდად შესაკრველნი და საჯივნი და დაისხენ ქედსა შენსა, და მიუძღუანენ იგინი მეფესა იდუმეჲსა და მეფესა მოაბისასა და მეფესა ძეთა ამონისთასა, და მეფესა ტვროსისა და მეფესა სიდონისასა... და ამცენ უფალთა მათ მიმართ და არქუ... მივსცე ყოველი ესე ქუეყანაჲ კელსა ნაბუქოდონოსორ მეფისა ბაბილოვნისა... და სედეკიაჲსა მიმართ, მეფისა იუდაჲსა, ვიტყოდე მსგავსად ყოველთა ამათ სიტყუათა და ვთქუ: მიუპყართ ქედი თქუენი უღელსა ქუეშე მეფისა ბაბილოვნისასა...“¹²⁹; „მაშინ ეტყოდა უფალი ესაიას... წარვედ და განიძარცუე ძაძაჲ ეგე შენი წელთაგან შენთა და სანდალნი წარიკადენ ფერკთაგან შენთა... და თქუა უფალმან: ვითარცა-ეგე ვალს მონაჲ ჩემი ესაია შიშუელი და უკამური, სამ წელ იყოს სასწაულები და ნიშები მეგვპტელთა და

¹²⁵ 1 კორ. 9. 20-22.

¹²⁶ შდრ. 1 კორ. 4. 10: „ჩუენ – სულელ ქრისტესთვს...“. ვფიქრობთ, რომ *სიმბოლური ქმედება*დ შეიძლება ჩაითვალოს 1965 წელს წმინდა გაბრიელ სალოსის მიერ ლენინის სურათის საჯაროდ დაწვა, როგორც წინასწარმეტყველება საბჭოთა მმართველობის დასასრულზე.

¹²⁷ 3 მეფ. 11. 30-32.

¹²⁸ იერ. 13. 1, 7, 9.

¹²⁹ იერ. 27. 2-6, 12.

ეთიოპელთა ზედა“¹³⁰; „და შენ, მეო კაცისაო, მოიღე შენდა მახული ლესული... და არქუ ყოველსა სახლსა ისრაჴლისასა... ამისთვის ამას იტყვს უფალი უფალი: აჰა-ესერა, მე შენდამი და ვყო შენ შორის საშჯელი წინაშე წარმართთა“¹³¹ და ა. შ.

მოქმედებითი წინასწარმეტყველების სხვა მაგალითებს (მელქისედეკის მიერ აბრაამისთვის პურისა და ღვინის მიძღვნა, აბრაამის მიერ ისააკის მსხვერპლშესაწირად მთაზე აყვანა, მოსეს ხელებგაპყრობილი დგომა მთაზე, ამ უკანასკნელის მიერ უდაბნოში სპილენძის გველის აღმართვა და კლდიდან კვერთხის დარტყმით წყლის გადმოდენა, იონას სამდღიანი ყოფნა ვეშაპის მუცელში და ა. შ.) ზემოაღნიშნული მიზანი არ ჰქონდათ. მათი განხორციელებისას სიმბოლიკაზე მაყურებლის ყურადღების გამახვილება ან მათთვის ქმედების განმარტება არ მომხდარა. აღნიშნულთაგან ზოგიერთი (მაგ.: იონას მიერ ვეშაპის მუცელში სამდღიანი ყოფნა) ხალხის წინაშე არც აღსრულებულა. ისტორიული თვალთახედვით ისინი დაკავშირებულნი იყვნენ სასწაულთან ან სხვა რაიმე მოვლენასთან. მელქისედეკის მიერ აბრაამისთვის პურისა და ღვინის მიძღვნა, უპირველეს ყოვლისა, ამ უკანასკნელისთვის პატივის მიგებას უკავშირდებოდა, აბრაამისთვის შვილის შეწირვის ბრძანება – წმინდანის რწმენაში გამოცდას¹³², მოსეს ხელებგაპყრობილი ყოფნა – ამაღეკთან ბრძოლაში გამარჯვებას¹³³, კლდიდან წყლის გამოდენა ებრაელი ხალხის დარწყულებას¹³⁴, უდაბნოში სპილენძის გველის აღმართვა კი – ამ ქვეწარმავლებისაგან დაკბენილი ხალხის სასწაულებრივ გადარჩენას¹³⁵. ამრიგად, აღნიშნულ ბიბლიურ ეპიზოდებსა და სიმბოლიურ ქმედებებს ერთმანეთისაგან განსხვავებული ისტორიული დანიშნულება ჰქონდათ.

როგორც ვხედავთ, სიმბოლიურ ქმედებებში სახისმეტყველებას უპირველესი და არსებითი ადგილი უჭირავს. აქედან გამომდინარე, მათი განმარტებისას უმთავრესი ყურადღება მახვილდება წინასწარმეტყველის აღსრულებული ქმედების სიმბოლიკაზე.

¹³⁰ ეს. 20. 2-3.

¹³¹ ეზეკ. 5. 1, 5, 8.

¹³² შდრ. დაბ. 22. 1: „და იყო შემდგომად სიტყვისა ამის, ღმერთმან გამოცადა აბრაამი და ჰრქუა მას: აბრაამ! აბრაამ! ხოლო მან ჰრქუა მას: აჰა ვარ“!

¹³³ შდრ. გამოსლ. 17. 11-12: „და იყო, ვითარცა აღიპყრნის მოსე ჳელნი, განძლიერდის ისრაჴლი, და რაჟამს გარდამოყვნის ჳელნი, განძლიერდის ამაღეკი... და იყვნეს ხელნი მოსესნი განპყრობილ ვიდრე დასლვადმდე მზისა“.

¹³⁴ შდრ. გამოსლ. 17. 6: „ხოლო მე ვდგე მუნ ვიდრე მოსლვად შენდამდე კლდესა მას ზედა ქორებს და სცე კლდესა მას და გამოადინო წყალი მისგან და სუას ერმან ჩემმან. და ყო მოსე ეგრეთ წინაშე მეთა ისრაჴლისათა“.

¹³⁵ შდრ. რიცხვ. 21. 8: „და ჰრქუა უფალმან მოსეს: ქმენ შენ გუელი და დადევი იგი საზღვარსა ზედა. და იყოს, უკბინოს თუ გუელმან კაცსა, ყოველმან კბენილმან, რომელმან იხილოს იგი, ცხოვნდეს“.

აღნიშნულ ბიბლიურ ეპიზოდებს წმინდა მამები არაერთი სიმბოლური მნიშვნელობით განმარტავენ. ეგზეგეტიკაში, ჩვეულებრივ, უპირველესად წინასწარმეტყველების ისტორიულ მხარეს ექცევა ყურადღება. ეს არის **სიმბოლური ქმედების** ის მნიშვნელობა, რასაც წინასწარმეტყველი ხალხს განუმარტავს. **სიმბოლური ქმედებით** გამოხატული წინასწარმეტყველების აღნიშნული შინაარსი ერის მომავალს ეხება. ის ძირითადად საუბედურო მოვლენებს ასახავს (იერუსალიმის დაცემა, ბაბილონის ტყვეობა და ა. შ.). აღნიშნული ბიბლიური ეპიზოდები ზოგჯერ მესიანისტური თვალთახედვითაც განიმარტებიან, რაც **სიმბოლურ ქმედებათა** უშინაგანეს, საიდუმლო მხარეს წარმოადგენს. დასასრულ, წმინდა მამები ყურადღებას აქცევენ **სიმბოლურ ქმედებათა** სწავლა-მოდვრებით მნიშვნელობებს.

ზემოაღნიშნულისგან განსხვავებით, მოქმედებითი წინასწარმეტყველების სხვა მაგალითების განმარტებისას თავდაპირველად წმინდა მამები ყურადღებას ამახვილებენ კონკრეტულ ისტორიულ ან ზებუნებრივ მოვლენაზე (წმინდანის ღვთისათნო საქციელი, სასწაული და ა.შ.), განადიდებენ უფალს, წარმოაჩენენ ძველი აღთქმის მართალთა სათნოებებს და მათ მიბაძვას შეგვაგონებენ. ამ ყოველივეს შემდეგ განიმარტება აღნიშნული ბიბლიური ეპიზოდების სიმბოლური მნიშვნელობები. ისინი შეიცავენ მესიანისტურ წინასწარმეტყველებებს და ეხებიან მხოლოდ: ქრისტეს ჯვარცმას, აღდგომას ან მაცხოვართან დაკავშირებულ სხვა მოვლენებს.

ძველ აღთქმაში **სიმბოლური ქმედებანი** მეფეთა და წინასწარმეტყველთა წიგნებში გვხვდება. წმინდა წერილში აღწერილი პირველი **სიმბოლური ქმედება** აქია წინასწარმეტყველმა აღასრულა¹³⁶. შემდეგი სამეა წინასწარმეტყველი იყო¹³⁷, მომდევნო –

¹³⁶ იხ. 3 მეფ. 11. 29-32.

¹³⁷ ხსენებულ **სიმბოლურ ქმედებას** წმინდა წერილის (სეპტუაგინტას) ორგანულ ნაწილად მივიჩნევთ შემდეგი მონაცემების საფუძველზე: აღნიშნული ეპიზოდი წარმოდგენილია როგორც ვატიკანის კოდექსში (Vat. gr. 1209), ასევე – წმინდა წერილის ეთიოპიურ და ძველ ლათინურ ვერსიებში. ის მოიპოვება ოშკის ბიბლიაშიც. სამეას **სიმბოლური ქმედება** შეტანილია ა. რალფსისა და კემბრიჯის უნივერსიტეტის სეპტუაგინტას გამოცემებში (კერძოდ, XII თავის 240 მუხლში). აღნიშნული **სიმბოლური ქმედების** ეპიზოდი რომ ავთენტურია, ამას ნეტარი თეოდორიტეს „მესამე მეფეთა“ წიგნის განმარტებაც მოწმობს. ნეტარი მამა იმხანად ბიბლიით დაინტერესებულ ხალხში არსებულ კითხვას სცემს პასუხს: „ზემოთ მწერალმა თქვა, რომ აქია სელომელმა გახია სამოსელი და ათი ნაწილი იერობოამს გადასცა. აქ იმავეს რატომ იმეორებს სამეა ელამელზე? (ნეტარი თეოდორიტეს პასუხი:; ც. ჩ.) ეს ორჯერ აღსრულდა...“ (Блаженный Феодорит 1905: 378). გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ მეორე **სიმბოლური ქმედება** პირველის ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენდა. თუ აქიამ იერობოამს უწინასწარმეტყველა ებრაელთა ათ ტომზე გამეფება, სამეას **სიმბოლური ქმედება** მოწმობდა, რომ ღვთის სიტყვა ძალაში რჩებოდა და წინამოსწავებული მალე განხორციელდებოდა.

აღნიშნული ბიბლიური ეპიზოდი არ მოიპოვება ბიბლიის ძველქართულენოვანი ტექსტის ჭელიძისეულ გამოცემაში უმთავრესწილად შემდეგი მონაცემების საფუძველზე: სამეას **სიმბოლური**

ელისე წინასწარმეტყველი¹³⁸. **სიმბოლურ ქმედებას** მიმართავდნენ ასევე წინასწარმეტყველნი: ოსე¹³⁹, ესაია¹⁴⁰, იერემია¹⁴¹, ეზეკიელი¹⁴² და ზაქარია¹⁴³.

სიმბოლურ ქმედებებს თავიანთი სიტყვების უეჭველობაში ხალხის დარწმუნების მიზნით ცრუწინასწარმეტყველებიც ადასრულებდნენ, რაც ძველი აღთქმის მხოლოდ ორ ეპიზოდშია გადმოცემული¹⁴⁴.

გარდა ზემოხსენებულისა, ბიბლია მიაწინებს წინასწარმეტყველთა სხვა **სიმბოლური ქმედებების** არსებობაზე¹⁴⁵. **სიმბოლური ქმედების** მაგალითი მოციქულთა საქმეშიც მოგვეპოვება¹⁴⁶.

ამრიგად, ჩვენ ვუწოდებთ **სიმბოლურ ქმედებას** იმ მოქმედებით **წინასწარმეტყველებას**, რომელიც აღესრულება **თვალსაჩინოდ**, გულქვაობის სულიერი სენით შეპყრობილი ხალხის წინაშე, გამოირჩევა **საკვირველებით (საზოგადოებაში მიღებული ქცევის ნორმებისთვის არაადეკვატურობით)** და თან სდევს მისი მნიშვნელობის **განმარტება**. ძველ აღთქმაში ოცდახუთი ასეთი ქმედებაა აღწერილი.

ქმედება არ არის: ალექსანდრიულ კოდექსში, „სირო-ჰექსაპლაში“, მასორეტულ ტექსტში, ვულგატაში, უძველეს სომხურ თარგმანში, სლავური ბიბლიის 1997 წლის რეპრინტში და იერუსალიმურ-საბასეულ რედაქციებში.

¹³⁸ იხ. 4 მეფ. 13. 14-19.

¹³⁹ იხ.: ოს. 1. 2-9; 3. 1-5.

¹⁴⁰ იხ.: ეს. 7. 3; 8. 1-4; 20. 1-6.

¹⁴¹ იხ.: იერ. 13. 1-11; 19. 1-15; 27. 1-22; 28. 12-14; 32. 6-15; 43. 8-13; 51. 59-64.

¹⁴² იხ.: ეზეკ. 3. 24-27; 4. 1-17; 5. 1-17; 12. 1-16; 12. 17-20; 21. 23-29; 24. 15-24; 37. 15-28.

¹⁴³ იხ. ზაქ. 6. 9-15.

¹⁴⁴ იხ. სქოლიო 123.

¹⁴⁵ სხვა **სიმბოლურ ქმედებებზე** მიაწინებს მაგ.: ეს. 20. 2: „...წარვედ და განიძარცუე ძაძაჲ...“ (აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იხ. სქოლიო 378) და იერ. 28. 13: „...ვექმნე მათ წილ რკინისა საჭივნი“ (აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იხ. სქოლიო 464).

¹⁴⁶ მოციქულთა საქმეში ვკითხულობთ: „და ვიყოფოდეთ რაჲ მუნ მრავალდღე, გარდამო-ვინმე-ვიდა ჰურისატანით წინაღსწარმეტყუელი, სახელით აგაბოს. და მოვიდა ჩუენდა და ალაღო სარტყელი პავლესი და შეიკრნა ფერკნი და კელნი მისნი და თქუა: „ამას იტყვს სული წმიდაჲ: «კაცისა რომლისაჲ არს სარტყელი ესე, ესრეთ შეკრან იერუსალემს ჰურიათა და მისცენ იგი კელსა წარმართთასა»“ (საქმე 21. 10-11).

თავი III

მეფეთა წიგნებში აღწერილი სიმბოლური ქმედებანი

3.1. აქია წინასწარმეტყველის მიერ სამოსლის დახვევა

წმინდა წერილში პირველი სიმბოლური ქმედება აქია წინასწარმეტყველმა ადასრულა, რაც უმნიშვნელოვანეს ისტორიულ ფაქტს, ღვთივრჩეული ერის სამეფოს ორად გაყოფას, უკავშირდება.

აქიას შესახებ მცირე ცნობები მოგვეპოვება. იგი მოღვაწეობდა ჯერ სოლომონ ბრძენის, ხოლო ებრაელთა სამეფოს ორად გაყოფის შემდეგ ისრაელის სამეფოს მონარქ იერობოამის და იუდეის ხელმწიფე რობოამის დროსაც. წმინდა წერილიდან საცნაურდება წინასწარმეტყველის წარმომავლობა. აქია იყო სელომიდან¹⁴⁷.

ებრაელთა სახელმწიფომ სოლომონ ბრძენის მეფობის დროს თავისი დიდების ზენიტს მიაღწია. სოლომონი წარმართული სამეფოების სახელგანთქმულ ხელმწიფეებს სიმდიდრითა და სიბრძნით აღემატებოდა. იგი შორეული ქვეყნების ხელისუფალთაგან გაკვირვებასა და პატივს იმსახურებდა¹⁴⁸, თუმცა ღვთივრჩეული ერის ძლევამოსილი მეფე ამსოფლიურმა მისწრაფებებმა გაიტაცა. მან მოსეს რჯული არაერთგზის დაარღვია¹⁴⁹. სოლომონი უფალს დაშორდა, რის გამოც ღვთის მფარველობა მოაკლდა და მტრები გამოუჩნდა: „და აღუდგინა უფალმან მკდომად სოლომონს ადერ იდუმელი და რაზონ, ძჴ ელიადაბისი... და იერობოამ, ძჴ ნაბატისი...“¹⁵⁰. ებრაელთა ერთიანი სახელმწიფოს გაყოფის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი სოლომონის ცოდვები იყო¹⁵¹.

¹⁴⁷ იხ. 3 მეფ. 11. 29. ეს ქალაქი ბენიამინის ტომის სამკვიდრებელში მდებარეობდა, განთავსებული იყო ლებონას სამხრეთით, ბეთლემიდან სიკიმამდე გზის აღმოსავლეთით (იხ. მსაჯ. 21. 19).

¹⁴⁸ იხ. 3 მეფ. 10. 23-24.

¹⁴⁹ შდრ.: 3 მეფ. 11. 4: „და იყო ჟამსა სიბერისა სოლომონისსა, და ცოლთა მისთა განდრიკეს გული მისი კუალსა ღმერთთა უცხოთასა. და არა იყო გული მისი სრულ უფლისა მიმართ თვისსა, ვითარცა გული დავითის, მამისა თვისსა“; 3 მეფ. 11. 9-10: „და განრისხნა უფალი სოლომონის ზედა, რამეთუ განდრიკა გული უფლისაგან ღმრთისა ისრაჴლისა, რომელი ეჩუენა მას ორგზის. და ამცნო მას სიტყვსა მისთეს ყოვლადვე არა-შედგომად კუალსა ღმერთთა უცხოთასა, დამარხვად და ყოვად, რომელ ამცნო მას უფალმან ღმერთმან“.

¹⁵⁰ 3 მეფ. 11. 23, 26.

¹⁵¹ შდრ. 3 მეფ. 11. 11: „ჰრქუა უფალმან სოლომონს: მაგისტვს, რამეთუ იქმნა ეგე შენ თანა და არა დაიმარხენ ბრძანებანი ჩემნი და მცნებანი ჩემნი, რომელ გამცნენ შენ, განხეთქით განხეთქო მეფობაჲ შენი ჴელისაგან შენისა და მივსცე იგი მონასა შენსა“.

იერობოამი ეფრემის ტომიდან იყო, მის დედას სარუა¹⁵² ერქვა. იერობოამი სოლომონმა „იოსების სახლიდან“¹⁵³ წარმომდგარ მომუშავეთა მეთვალყურედ დაადგინა. იერობოამს აქამ გაუცხადა, რომ იგი ებრაელთა სამეფოს ორად გაყოფის შემდეგ ისრაელის მეფე გახდებოდა. აქამ წინასწარმეტყველება იერობოამს **სიმბოლური ქმედების** საშუალებით გადასცა.

„და იყო, მას ჟამსა შინა განვიდოდა იერობოამ იერუსალჴმით და იხილა იგი აქია წანაღწარმეტყუელმან სელონიტელმან და გან-რე-იყვანა იგი გზისა მისგან. და აქია მოსილ იყო სამოსლითა ახლითა და იგინი ხოლო ორნი იყვნეს ველსა მას. და მიყო კელი აქია სამოსელსა მას თვისსა ახალსა, და დაიპო იგი ათორმეტად ნახევად. და ჰრქუა იერობოამს: მიიღე შენდად ათი ესე ნახევი...“¹⁵⁴.

აქამ ისრაელის სამეფოს მომავალ მეფეს **სიმბოლური ქმედების** არსი თავად განუმარტა: „...რამეთუ ესრე იტყვს უფალი ღმერთი ისრაჴლისაჲ: აჰა, მე განვხეთქო მეფობაჲ კელისაგან სოლომონისა და მიგცე შენ ათი იგი ნაწილი. და ორი იგი ნაწილი¹⁵⁵ იყავნ მისი დავითისთვის, მონისა ჩემისა, და იერუსალჴმისათვის, ქალაქისა ჩემისა, რომელი გამოვირჩიე ყოველთაგან ნათესავთა ისრაჴლისათა. ამისთვის, რამეთუ დამიტევა მე და თაყუანის-სცა ასტარტეს, სამაგელსა მას სიდონელთასა, და ქამოსს, კერპსა მას მოაბისასა, და მოლოქს, სამაგელსა მას ძეთა ამონისთასა. და არა შეუდგა გზათა ჩემთა ყოფად სამართალისა წინაშე ჩემსა, ჴემმარიტებისა და სიწრფოებისა, ვითარცა დავით, მამაჲ მისი და არა აღვილო მეფობაჲ მისი ყოვლადვე კელისაგან მისისა დავითისთვის, მონისა ჩემისა, რომელი-იგი გამოვირჩიე მე, რომელმან დაიცვნა მცნებანი

¹⁵² იხ. 3 მეფ. 11. 26. იერობოამის დედა სამოცდაათთა თარგმანში მემავად იხსენიება. შდრ.: 3 მეფ. 12. 24b, O: „...და სახელი დედისა მისისაჲ, იერობოამისი, სარირა, დედაკაცი მემავი...“; B: „...და სახელი დედისა მისისა სარირა, დედაკაცისა მემავისა...“.

¹⁵³ შდრ. 3 მეფ. 11. 28: „და კაცი იერობოამ ძლიერი იყო ძალითა. ვითარცა იხილა სოლომონ, რამეთუ კაცი საქმისაჲ არს, დაადგინა იგი მეტჯრთეთა ზედა სახლსა მას იოსებისსა“. წმინდა წერილში ეფრემისა და მანასეს შტოები ერთობლივად „იოსების სახლის“ სახელით იხსენიებიან. ცნობილია, რომ ეფრემი და მანასე იაკობის შვილის, იოსების ვაჟები იყვნენ. სწორედ აღნიშნული მიზეზით მათ ბიბლიაში „იოსების სახლი“ ეწოდებათ (Толковая Библия 1905: 420).

¹⁵⁴ 3 მეფ. 11. 29-31.

¹⁵⁵ შდრ. LXX: „καὶ δὴσι σκῆπτρα“ (σκῆπτρον – 1. სკიპტრა, კვერთხი 2. მეფობა, პატივი; შდრ. B: „და ორი სკიპტრა“); სლავ.: „и двѣ χιρѣвнѣ“ (χιρѣвнѣ – დროშა, ბაირადი); „ორის“ ნაცვლად „ერთი“ წერია: MT: „Триѣхъ плѣмъ“ (плѣмъ – 1. ჯოხი, კვერთხი 2. ტომი); VUL: „porro una tribus“ (tribus – ტომი); KJV: „one tribe“; რუს.: „а одно колено“; ახალქართ.: „ერთი შტო“. იუდეველი რაბინის დავით კიმხის თქმით, ამ ერთი ტომის ქვეშ მოიაზრებიან იუდასა და ბენიამინის შტოები (PaDaK 2009: 175). არსებობს აზრი, რომ წმინდა წერილის აღნიშნულ მონაკვეთში (იხ. 3 მეფ. 11. 32; შდრ. 3 მეფ. 11. 13, 36) ებრაულენოვან ბიბლიასა და მის მიმყოლ წმინდა წერილის სხვადასხვაენოვან ტექსტებში მხოლოდ ერთი ტომი ბენიამინის შტოს რაოდენობრივი სიმცირის გამო იხსენიება (Толковая Библия 1905: 419, 422).

ჩემნი და ჭემმარიტებად ჩემი. და ჯდომით მჯდომ ვექმნე სოლომონს ყოველთა დღეთა ცხოვრებისა მისისათა. და აღვილო მეფობად იგი კელისაგან მისისა და მიგცე შენ ნაწილი ათი. და ძესა მისსა მივსცე ორი იგი ნაწილი, რადთა ეგოს სანთელი მონისა ჩემისა დავითისი წინაშე ჩემსა ყოველთა დღეთა იერუსალჴმს ქალაქსა, რომელი გამოვირჩიე სამკვდრებელად სახელისა ჩემისა“¹⁵⁶.

აქიას სამოსი ებრაელთა სამეფოს განასახიერებდა, თორმეტი ნახევი კი – ღვთივრჩეული ერის ტომებს. წინასწარმეტყველის მფლობელობაში დარჩენილი შესამოსლის ორი ნაწილი იუდასა და ბენიამინის ტომებს აღნიშნავდა. ისინი დავითის შთამომავლობის მმართველობის ქვეშ იუდეაში იცხოვრებდნენ. იერობოამისთვის გადაცემული ათი ნახევი ებრაელთა დანარჩენ ტომებს განასახიერებდა. მათზე ისრაელში იერობოამი იმეფებდა. აღნიშნული მოვლენის შესახებ ნეტარი თეოდორიტე ამბობს: „სრულიად სამართლიანად გააერთიანა ღმერთმა ეს ორი ტომი. როგორც იუდას ტომს ჰყავდა სამეფო გვარი, ასევე – ბენიამინისას ღვთის ტაძარი ჰქონდა, რადგან იერუსალიმი ბენიამინის ტომს ხვდა წილად“¹⁵⁷ (Блаженный Феодорит 1905: 375).

მიუხედავად იმისა, რომ სოლომონ ბრძენმა ღვთის წინაშე მრავალი დანაშაული ჩაიდინა, მის შთამომავლობას ებრაელთა გარკვეულ ნაწილზე მეფობა მაინც შეუნარჩუნდა. ამის მიზეზი დავით მეფსალმუნის უფლისადმი ერთგულება იყო. მის შესახებ უფალი ბრძანებს: „ერთ გზის ვეფუცე წმიდასა ჩემსა დავითს და მე არა ვეცრუო მას. ნათესავი მისი უკუნისამდე ეგოს, და საყდარი მისი ვითარცა მზე წინაშე ჩემსა“¹⁵⁸.

წინასწარმეტყველმა იერობოამს სოლომონისთვის სამეფოს დიდი ნაწილის ჩამორთმევის მიზეზი აუწყა. ამის შემდეგ აქიამ ისრაელის მომავალ მეფეს ძალაუფლების შენარჩუნების პირობაც ამცნო:

„და შენ აღვილო და ჰმეფობდე, რომელთა ზედა გული-უთქუამს სულსა შენსა, და შენ იყო მეფე ისრაელსა ზედა. და იყოს, უკუეთუ დაიმარხნე ყოველნი მცნებანი ჩემნი, რადენტა გამცნებ შენ, და ჰხვდოდი გზათა ჩემთა და ჰყოფდე სიწრფოებასა წინაშე ჩემსა დამარხვად ყოველთა ბრძანებათა ჩემთა და მცნებათა ჩემთა, ვითარცა ყო დავით, მონამან ჩემმან, და ვიყო მე შენ თანა და გიშწნო შენ სახლი სარწმუნოდ, ვითარცა უშწნე

¹⁵⁶ 3 მეფ. 11. 31-36.

¹⁵⁷ იხ. ისო. 18. 28.

¹⁵⁸ ფსალმ. 88. 36-37.

დავითს, და მიგცე შენ ისრაელი. და ბოროტსა უყოფდე თესლსა დავითისსა ამისთვის, ხოლო არა ყოველთა დღეთა“¹⁵⁹.

წინასწარმეტყველების თანახმად, იერობოამი მხოლოდ უფლის ერთგულებით შეინარჩუნებდა მეფობას. იერობოამს ხელისუფლება ღმერთმა უბოძა და მისი ძალაუფლების სიმტკიცეც შემოქმედის ნების აღსრულებაზე იქნებოდა დამოკიდებული.

აქიას **სიმბოლური ქმედების** შემდეგ სოლომონი იერობოამის მოკვლას შეეცადა. ეს უკანასკნელი თავის გადასარჩენად ეგვიპტეში გაიქცა¹⁶⁰. თუ რის გამო სცადა სოლომონმა იერობოამის მოკვლა, ბიბლიაში არ წერია. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წმინდა ფილარეტ მოსკოველი ამბობს: „რთულია გამოცნობა თუ პირველად მათგან ვინ გამოამჟღავნა ეს მტრობა... უფრო რთულია რომელიმეს გამართლება“ (Святитель Филарет 1857: 230).

მღვდელი ალექსანდრე გლაგოლევის ვარაუდით, აქიას **სიმბოლური ქმედების** შემდეგ სოლომონისთვის ცნობილი გახდა, რომ მომავალში მისი სამეფოს უდიდესი ნაწილი იერობოამს ერგებოდა.

საიდან შეიძლებოდა გაეგო სოლომონს აღნიშნული წინასწარმეტყველება? **სიმბოლური ქმედების** აღსრულებისას აქია და იერობოამი ველზე მარტო იყვნენ. მღვდელი ალექსანდრე გლაგოლევის აზრით, აქიას წინასწარმეტყველება იერობოამმა თავად გაამჟღავნა (Толковая Библия 1905: 422).

აქიას წინასწარმეტყველებამდე შემოქმედმა სოლომონს თავად აუწყა სამეფოს ორად გაყოფის შესახებ¹⁶¹. ამდენად, მისთვის ისრაელის მომავალი მეფის ვინაობის ცოდნა საცდურს წარმოადგენდა. ვფიქრობთ, აქიამ **სიმბოლური ქმედება** იმ მიზეზით აღასრულა მხოლოდ იერობოამის წინაშე, რომ სოლომონისგან მოსალოდნელი შურისძიება აეცილებინა თავიდან.

წმინდა კვიპრიანე კართაგენელი ნაშრომში „კათოლიკე ეკლესიის ერთიანობის შესახებ“ აქია წინასწარმეტყველის სამოსის დანაწევრებისა და ქრისტეს კვართის დაუნაწილებლობის სიმბოლურ მნიშვნელობათა ურთიერთშეპირისპირებას ახორციელებს: „როდესაც ისრაელის თორმეტი ტომი გაიხლიჩა, აქიამაც მაშინ დახია

¹⁵⁹ 3 მეფ. 11. 37-39.

¹⁶⁰ იბ. 3 მეფ. 11. 40.

¹⁶¹ იბ. 3 მეფ. 11. 11-13.

სამოსი. რამდენადაც ქრისტეს ერი არ შეიძლება გაიხლიჩოს, ამდენად მისი კვართი, მთლიან-ნაქსოვი, მფლობელებისგან¹⁶² არ გახეულა“ (БКOII 2011ა: 89).

აქიას წინასწარმეტყველება აღსრულდა სოლომონის შვილის რობოამის მეფობის დროს. იგი გახდა იუდეის მეფე, იერობოამი კი – ისრაელისა. შემდეგში ჩრდილოეთის სამეფოს ხელმწიფემაც დაივიწყა უფლის სიტყვები და თავისი ქვეშევრდომნი ჭეშმარიტ ღმერთს განაშორა, ამიტომაც მის დინასტიას მეფობა წაერთვა¹⁶³.

3.2. სამეა წინასწარმეტყველის მიერ აქიას

სიმბოლური ქმედების განმეორება

აღნიშნული ბიბლიური ეპიზოდი აღწერილია სამოცდაათთა თარგმანში, თუმცა არ მოიპოვება მასორეტულ ტექსტსა და ვულგატაში. რამდენადაც ეს ეპიზოდი წმინდა წერილის ჭელიძისეულ გამოცემაში არ იყო, სამეას **სიმბოლური ქმედების** ძველქართულენოვანი ტექსტი ოშკის ბიბლიიდან წარმოვადგინეთ¹⁶⁴.

წინასწარმეტყველმა სამეამ **სიმბოლური ქმედება** აღასრულა სოლომონის სიკვდილისა და იერობოამის ეგვიპტიდან დაბრუნების შემდეგ.

სოლომონის გარდაცვალების შემდეგ ღვთივრჩეული ერის ერთიანი სახელმწიფოს მმართველი მისი ძე რობოამი გახდა. მან ებრაელთა თორმეტ ტომზე მეფობა მცირე დროით შეინარჩუნა. ეგვიპტიდან დაბრუნებული იერობოამი სამეფო ძალაუფლების ხელში ჩაგდებას მზაკვრული გზებით შეეცადა¹⁶⁵. ებრაელთა გარკვეული ნაწილი სოლომონის მიერ მათზე დადებული „მძიმე უფლის“¹⁶⁶ შემსუბუქების სათხოვნელად რობოამთან მივიდა. წმინდა ფილარეტ მოსკოველის თქმით, სწორედ იერობოამი იდგა

¹⁶² იგულისხმებიან მაცხოვრის კვართზე წილისმყრელები.

¹⁶³ იხ. 3 მეფ. 15. 29.

¹⁶⁴ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იხ. სქოლიო 137.

¹⁶⁵ შდრ. 3 მეფ. 12. 24n: „და მივიდა სიკიმად, რომელ არს მთასა ეფრემისსა, და შეკრიბა მუნ ყოველი ტომები ისრაელისა...“.

¹⁶⁶ შდრ. 3 მეფ. 12. 4: „მამამან შენმან განაფიცხა უღელი ესე ჩუენ ზედა და აწ შენ აღგვმცირე მონებისაგან მამისა შენისა ფიცხლისა და უღლისა მისგან მძიმისა, რომელი დამდვა ჩუენ ზედა, და გმონებდეთ შენ“.

მათ უკან (Святитель Филарет 1857: 231). ებრაელების თხოვნა არ შეისმინეს, რის შედეგადაც სამეფო ორად გაიყო¹⁶⁷.

ზემოაღნიშნული მოვლენების განვითარებამდე უფალმა წინასწარმეტყველ სამეფას აქიას **სიმბოლური ქმედების** განმეორება უბრძანა.

„და სიტყუაჲ უფლისაჲ იყო სამეფასა მიმართ სელონელისა და ჰრქუა: მიიღე შენ სამოსელი ახალი, რომელი არა შესრულ იყოს წყალსა, და განხიე იგი ათორმეტად ნახევად ვიდრე შემოსადმდე შენდა და მიეცე იერობოამს ათი იგი ნახევი შემოსად. და მიიღო იერობოამ და ჰრქუა მას სამეფა: ამას იტყვს უფალი: ათსა მას ზედა ტომსა ისრაელისასა ჰმეფობდე“¹⁶⁸.

აქია და სამეფა წინასწარმეტყველთა **სიმბოლურ ქმედებებს** შორის გარკვეული გარეგნული სხვაობა არსებობდა: ბიბლიაში ხაზგასმითაა ნათქვამი, რომ აქია იერობოამთან ერთად ველზე მარტო იმყოფებოდა. მეორე წინასწარმეტყველებაში ნათლად არ ჩანს, სამეფა და იერობოამი მარტონი იყვნენ თუ არა. ამასთან, აქია **სიმბოლური ქმედების** დასაწყისში აღნიშნული სამოსით შემოსილი იყო, ხოლო სამეფას ახალი სამოსის დანაწევრება მის შემოსვამდე დაევალა. გარდა ამისა, სამეფამ იერობოამს დანაწევრებული სამოსის ათი ნაგლეჯით შემოსვა უბრძანა.

აქია და სამეფა წინასწარმეტყველთა **სიმბოლურ ქმედებებს** შორის მრავალი მსგავსებაც იყო: ახალი სამოსი თორმეტ ნაწილად უნდა დახეულიყო, ხოლო ათი ნაგლეჯი ებრაელთა ათ ტომზე გამეფების ნიშნად გადაეცემოდა იერობოამს.

აღნიშნული **სიმბოლური ქმედებები** ერთმანეთს სრულად არც მნიშვნელობით უტოლდებოდნენ. ზემოთქმულის შესაბამისად, აქიამ იერობოამს ათი ნაგლეჯი ხელში

¹⁶⁷ ებრაელთა ნაწილის მეფე რობოამისგან განდგომა ბიბლიაში უარყოფითადაა შეფასებული: „და შეურაცხ-ყო (შდრ. MT: „ישאף“ (ישאף – 1. აჯანყება; 2. შეცოდება, გადაბიჯება) ისრაელმან სახლი დავითისი ვიდრე აქადღედმდე“ (3 მეფ. 12. 19). წმინდა ფილარეტ მოსკოველის განმარტებით, ღვთივრჩეული ერის სამეფოს ორად გაყოფა რობოამის წინდაუხედავმა საქციელმა და ებრაელი ხალხის თვითნებობამ დააჩქარა. წმინდა მამის თანახმად, იერობოამი მოთმინებით უნდა დალოდებოდა ღვთისგან დაპირებული მეფობის მიღებას და ებრაელთა იმჟამინდელი ხელმწიფის საწინააღმდეგოდ შეთქმულება არ უნდა მოეწყო (Святитель Филарет 1857: 232).

¹⁶⁸ 3 მეფ. 12. 24o. ბიბლიის აღნიშნული მუხლი ბერძნულ და ძველქართულ ხელნაწერებში გარკვეული სხვაობებით არის წარმოდგენილი. შდრ.: LXX: „και λόγος κυρίου ἐγένετο πρὸς Σαμιαν τὸν Ἐλαμι λέγων λαβὲ σεαυτῷ ἰμάτιον καινὸν τὸ οὐκ εἰσεληλυθὲς εἰς ὕδωρ καὶ ῥήξον αὐτὸ δώδεκα ῥήγματα καὶ δώσεις τῷ Ἱεροβοαμ καὶ ἐρεῖς αὐτῷ τάδε λέγει κύριος λαβὲ σεαυτῷ δέκα ῥήγματα τοῦ περιβαλέσθαι σε καὶ ἔλαβεν Ἱεροβοαμ καὶ εἶπεν Σαμιας τάδε λέγει κύριος ἐπὶ τὰς δέκα φυλὰς τοῦ Ἰσραηλ“ B: „და იყო სიტყუაჲ უფლისაჲ სამოს მიმართ ელამიტელისა და ეტყოდა: აღიღე თავისა შენისა სამოსელი ახალი, რომელი არა აღვიდა წყალსა შინა, და განყავ იგი ათორმეტ ნაწილად და მიეცე იგი იერობოამს და არქუ მას: ამას იტყვს უფალი: აღიღე ათი კერძი, რომელი გფარვიდეს შენ. და აღიღო იერობოამ და ჰრქუა სამეფა: ამას იტყვს უფალი: აჰა, მე განვწყობ მეფობასა სოლომონისსა და მიგცე შენ ათი სკიპტრა და ორი სკიპტრა იყოს რობოამისა, მისა სოლომონისა“.

გადასცა, სამეამ კი იმავე რაოდენობის ნახევით შემოსვა უბრძანა, რაც, ვფიქრობთ, წინასწარმეტყველების მოახლოებას მოასწავებდა. ასე რომ, სამეას მოქმედება აქიას **სიმბოლური ქმედების** ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენდა.

ნეტარი თეოდორიტეს განმარტებით, იერობრამის ცნობიერებაში შთაბეჭდილების გასაძლიერებლად აქიას **სიმბოლური ქმედება** გაიმეორა სამეამაც. მეფობის შენარჩუნების ერთადერთი პირობა ღვთის რჯულის დაცვა იყო (Блаженный Феодорит 1905: 378).

3.3. მშვილდ-ისრით აღსრულებული **სიმბოლური ქმედება**

შემდგომი **სიმბოლური ქმედება** ელისე წინასწარმეტყველს უკავშირდება.

ელისე აბელმაულები მიწათმოქმედი საფატის ვაჟი იყო¹⁶⁹. წინასწარმეტყველი ელისე ელია თეზბიტელის მოწაფე იყო. ის სამოღვაწეო ასპარეზზე დაახლოებით 35 წლის ასაკში, ისრაელის მეფე აქაბის ზეობისას, გამოვიდა და 65 წელი მოსაგრეობდა. წინასწარმეტყველს ისრაელსა და მის საზღვრებს გარეთ დიდ პატივს მიაგებდნენ. ისუ ზირაქის ძე ელისეს ასე მოიხსენიებს: „...ელისე, რომელი აღივსო სულითა მისითა¹⁷⁰ დღეთა მათ შინა მისთა, არა შეძრწუნდა იგი მთავართა მათგან და არცაღა ჰმძლავრობდა მას ჯორციელი“¹⁷¹. ელისეს სახელს ბიბლიაში მრავალი სასწაული უკავშირდება. იგი ისრაელის მეფე იოასის ზეობისას ღრმა მოხუცებულობაში, დაახლოებით ასი წლის ასაკში, გარდაიცვალა. ნეტარი იერონიმე გვაუწყებს, რომ წინასწარმეტყველის საფლავი სამარიასთან ახლოს მდებარეობდა (Толковая Библия 1905: 520).

ელისეს სამოღვაწეო პერიოდში ისრაელში რთული პოლიტიკური ვითარება იყო. სირია ჩრდილოეთის სამეფოსთან შედარებით დიდ სამხედრო უპირატესობას ფლობდა და მასთან ბრძოლაში უმეტესად იმარჯვებდა. ისრაელი განსაკუთრებით შესუსტდა აზაელის პერმანენტული თავდასხმებისგან. მან ჩრდილოეთის სამეფოს მრავალი აღმოსავლეთ პროვინცია წაართვა და ჯარისკაცები დიდი რაოდენობით გაუნადგურა¹⁷².

¹⁶⁹ იხ. 3 მეფ. 19. 16. ქალაქი აბელმაული იორდანის ველის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობდა (Толковая Библия 1905: 380, 461).

¹⁷⁰ შდრ. ო: „წმიდითა“.

¹⁷¹ სიბრძ. ზირ. 48. 12.

¹⁷² იხ. 4 მეფ. 10. 32; 13. 3, 7, 22.

წინასწარმეტყველ ამოსის წიგნის მიხედვით, სირიელები გალაადის მკვიდრებს უმოწყალოდ ექცეოდნენ¹⁷³.

წმინდა ევრემ ასური ამბობს: „უფალმა ისრაელის გამარჯვება ამ ნიშანთან დააკავშირა“ (БКОЦ 2011ა: 230). წმინდა ევრემის ეგზეგეზის თანახმად, აღნიშნული **სიმბოლური ქმედება** იმ მიზნით განხორციელდა, რომ ებრაელებს სირიაზე გამარჯვების ფაქტში უფლის შემწეობა გაეცნობიერებინათ და ეს მოვლენა დაეხსომებინათ (БКОЦ 2011ა: 230).

აღნიშნული **სიმბოლური ქმედების** განხორციელებისას ელისე წინასწარმეტყველი სიკვდილის პირას იყო.

„და ელისე დასნეულდა სნეულებითა, რომლითა მო-ცა-კუდა. და მოვიდა მეფე ისრაელისაჲ, იოას, და ტიროდა პირსა მისსა ზედა და თქუა: მამაო, მამაო, ეტლო ისრაელისაო და მკედარო მისო“¹⁷⁴!

იმავე სიტყვებით ელისე გამოემშვიდობა ელიას¹⁷⁵. ნეტარი თეოდორიტე აღნიშნავს, რომ ძველად მეფეები ბრძოლაში ცხენებსა და ეტლებს იყენებდნენ. მისი განმარტებით, ელისემ ელიას „ისრაელის ეტლი და მხედარი“ იმ გაგებით უწოდა, რომ მტრის დასამარცხებლად ეს უკანასკნელი წინასწარმეტყველი საკმარისი იყო (Блаженный Феодорит 1905: 403). წმინდა ევრემ ასური ამბობს: „ის (ე. ი. იოასი, ც. ჩ.) წინასწარმეტყველს უწოდებს *ისრაელის ეტლსა და მხედრობას მისას*, რადგან მშვიდობა სამეფოში და ისრაელის გამარჯვებები მის (ე. ი. ელისეს, ც. ჩ.) ლოცვებსა და დარიგებებზე იყვნენ დამოკიდებულნი“ (БКОЦ 2011ა: 230). წმინდა მამის თქმით, არეული სამეფო საქმეების დარეგულირებაში იოასს ელისე ხშირად შეეწეოდა (БКОЦ 2011ა: 230). წმინდა ევრემ ასური „მეოთხე მეფეთა“ წიგნის განმარტებებში ჩრდილოეთის სამეფოს ხელისუფლის ელისესადმი გულწრფელ სიყვარულზე საუბრობს (БКОЦ 2011ა: 231). იოასი ელისეს გარდაცვალებას ისრაელისთვის უდიდეს დანაკლისად მიიჩნევდა.

განსახილველ **სიმბოლურ ქმედებაში** პირობითად ორი ნაწილი გამოიყოფა: იოასის მიერ ჯერ ერთი¹⁷⁶, შემდგომ კი სამი ისრის სროლა¹⁷⁷. ხსენებულ ქმედებათაგან თითოეულს შესაბამისი სიმბოლური მნიშვნელობა აქვს.

¹⁷³ იხ. ამოს. 1. 3.

¹⁷⁴ 4 მეფ. 13. 14.

¹⁷⁵ იხ. 4 მეფ. 2. 12.

¹⁷⁶ იხ. 4 მეფ. 13. 15-17.

¹⁷⁷ იხ. 4 მეფ. 13. 18-19.

„და ჰრქუა მას ელისე: მოიღე მშვლდი შენი და ისარნი შენნი! და მოიღო მშვლდი და ისარნი. და ჰრქუა ელისე მეფესა მას ისრაჴლისასა: მოირთხ მშვლდი ეგე ჳელითა შენითა! და მოირთხა მშვლდი იგი ჳელითა თვსითა. და დასდვა ელისე ჳელი თვსი ჴედა ჳელთა მეფისათა. და თქუა: განახუნით სარკუმელნი ეგე, რომელ არიან მზის-აღმოსავალით-კერძო! და განახუნეს. და ჰრქუა ელისე: სტყორცე! და სტყორცა...“¹⁷⁸.

მას შემდეგ რაც წინასწარმეტყველის ნათქვამი ხელმწიფემ შეასრულა, მას ქმედების სიმბოლური მნიშვნელობა განემარტა: „ ...და ჰრქუა ელისე: ისარი ჳსნისაჲ უფლისა მიერ და ისარი ჳსნისაჲ წინაშე პირთა ასურთასა, და დასცნე ასურნი აფეკს და მოასრულნე“¹⁷⁹.

წმინდა ევრემ ასური ელისეს ხელების დადებას იოასის ხელებზე სიმბოლური თვალთახედვით ასე განმარტავს: „მეფის სუსტი ხელები წინასწარმეტყველის ხელებში მყოფი ძალით უნდა მომაგრებულიყვნენ, რათა ამ ხელებს სირიის დაქცევა და მისი განადგურება შეძლებოდათ მას შემდეგ, რაც მან (ე. ი. სირიამ, ც. ჩ.) დააქცია და განადგურა ისრაელი“ (БКОЦ 2011ა: 230). ამრიგად, ეს ქმედება სიმბოლურად სირიასთან ომში უფლის შემწეობას აღნიშნავდა. მკვლევართა თანახმად, ისრის სროლისთვის აღმოსავლეთი იმ მიზეზით შეირჩა, რომ სწორედ იქ მდებარეობდა არამისგან დალაშქრული ისრაელის ტერიტორიები (Толковая Библия 1905: 520)¹⁸⁰.

საინტერესოა, რატომ ახსენა წინასწარმეტყველებაში ელისემ ქალაქი აფეკი?

ამ ქალაქს უკავშირდებოდა ისრაელის მიერ სირიაზე სასწაულებრივი გამარჯვება. აფეკთან გამართულ ბრძოლაში სირიის ლაშქარს დიდი სამხედრო უპირატესობა ჳქონდა, თუმცა მეფე აქაზმა ღვთის შეწევნით ის დაამარცხა და ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. უკანდახეული სირიელები აფეკში შეცვივდნენ და ქალაქის კედლები თავზე ჩამოენგრათ¹⁸¹. მღვდელი ალექსანდრე გლაგოლევის ვარაუდით, წინასწარმეტყველმა ელისემ აფეკი იმ მიზნით ახსენა, რომ მეფე იოასს არამელებზე ებრაელთა საკვირველი გამარჯვება გახსენებოდა და რწმენაში განმტკიცებულიყო (Толковая Библия 1905: 520).

ისრის ერთხელ სროლის შემდგომ წინასწარმეტყველმა ხელმწიფეს მოქმედების განმეორება უბრძანა. ამჯერად ელისემ ისრების რაოდენობა იოასის ნება-სურვილს

¹⁷⁸ 4 მეფ. 13. 15-17.

¹⁷⁹ 4 მეფ. 13. 17.

¹⁸⁰ იხ. 4 მეფ. 10. 33.

¹⁸¹ იხ. 3 მეფ. 20. 26-30.

მიანდო: „და ჰრქუა მას ელისე: მოიხუენ ისარნი! და მოიხუნა. და ჰრქუა მეფესა მას ისრაჴლისასა: სტყორცე და ეც ქუეყანასა! და სცა მეფემან მან სამგზის და დააცადა“¹⁸².

ისრაელი უაღრესად იყო შესუსტებული, ამიტომ იოასს ვერ წარმოედგინა, რომ სირიის განადგურება შეეძლო. აღნიშნული მიზეზით მეფემ სარკმელში ისარი მხოლოდ სამგზის სტყორცნა. წმინდა ეფრემ ასურის განმარტებით, იოასის ნასროლი ისრების სიმცირე სირიის განადგურებასთან დაკავშირებით უფლის განგებულების არცოდნით იყო გამოწვეული. წმინდა მამა იოასის საქციელს ყოყმანის საფუძველზე დაშვებულ შეცდომად მიიჩნევს: „საიდუმლო ზედმიწევნით მხოლოდ ელისემ იცოდა მაშინ, როდესაც ის მეფისგან დაფარული იყო; სხვა შემთხვევაში, მეფე მიწას არა სამჯერ, არამედ ათჯერ დაკრავდა. ასე რომ, რამდენადაც ის შეყოყმანდა და გაჩერდა, ელისემ ის დაადანაშაულა: არა იმიტომ, რომ ის ბრალეული იყო, არამედ იმიტომ, რომ მისმა შეცდომამ მისი ერის შვილებს გამარჯვება და ის დიდი სარგებელი მოაკლო, რისი მიღებაც სირიელთა განადგურებისა და მათი სამეფოს დამხობისგან შეიძლებოდა, რაც ელისეს უძლიერესად სურდა...“ (БКОЦ 2011ა: 230). წმინდა ფილარეტ მოსკოველი იოასის რწმენის ნაკლებობაზე ამახვილებს ყურადღებას: „ჯერეულია ვიფიქროთ, რომ მეფემ წინდაწინ იცოდა მეორე სიმბოლოს¹⁸³ მნიშვნელობა ან პირველთან მსგავსების გამო ან წინასწარმეტყველის საგანგებო განმარტებით; მაგრამ საკმარისი რწმენა არ გააჩნდა, რათა საკუთარი მტრების სრული განადგურების იმედი ჰქონოდა და ამით ელისეს რისხვა¹⁸⁴ დაიმსახურა“ (Святитель Филарет 1857: 261).

წმინდა მამათა ნააზრევის შეჯერების საფუძველზე ვასკვნით: იოასის მიერ პირველი ისრის სროლა ებრაელებისადმი ღვთის წყალობას – ისრაელის მიერ სირიის განადგურებას აღნიშნავდა, თუმცა აღნიშნული მოვლენა ჩრდილოეთის სამეფოს ხელმწიფის რწმენით უნდა აღსრულებულიყო. იოასი ისრაელის გამარჯვებასთან დაკავშირებულ ღვთის განგებულებას სრულად ვერ აცნობიერებდა, მაგრამ **სიმბოლური ქმედების** მეორე ნაწილში ისრის სროლის მნიშვნელობა იცოდა. მას მხოლოდ იმის იმედი ჰქონდა, რომ ჩრდილოეთის სამეფო სირიას სამ ბრძოლაში დაამარცხებდა.

წმინდა ეფრემ ასური მოვლენების ამგვარი განვითარების სხვა მიზეზსაც ეხება. იგი ისრაელიანთა ურჯულოებასა და კერპთმსახურებაზე ამახვილებს ყურადღებას.

¹⁸² 4 მეფ. 13. 18.

¹⁸³ იგულისხმება **სიმბოლური ქმედების** მეორე ნაწილი.

¹⁸⁴ იხ. სქოლიო 185.

წმინდა მამის თქმით, ცხოვრების აღნიშნული წესის გამო ჩრდილოეთის სამეფომ ღვთის წყალობა ვერ მიიღო, რაც ისრაელის დაუძინებელი მტრის სრულ განადგურებაში მდგომარეობდა (БКОЦ 2011ა: 230).

„და დაწუხნა¹⁸⁵ მას ზედა კაცი იგი ღმრთისად და ჰრქუა: უკუეთუმცა ეც ხუთგზის ანუ ექუსგზის, მაშინმცა სძლე ასურთა მათ და მოასრულენ; ხოლო აწ სამგზის დასცნე ასურნი იგი“¹⁸⁶. ელისეს მწუხარების მიზეზის შესახებ ნეტარი თეოდორიტე ამბობს: „ვარაუდობდა რა, რომ მეფე საკუთარი ნებით მრავალ ისარს ისროდა, პირველი ისრის სროლისთანავე თქვა¹⁸⁷... მაგრამ, რამდენადაც მეფემ მხოლოდ სამი ისარი ისროლა, წინასწარმეტყველი მეტისმეტად დამწუხრდა, რომ მხოლოდ სამჯერ დამარცხებული სირია უკანასკნელ სიკვდილამდე არ მივიდოდა“ (Блаженный Феодорит 1905: 420). ნეტარი თეოდორიტეს ეგზეგეზას წმინდა ევრემ ასურის სიტყვები ეხმიანება: „ის დამწუხრდა იმიტომ, რომ მეფემ მისი იმედები გააქარწყლა...“ (БКОЦ 2011ა: 230).

ზემოაღნიშნული წინასწარმეტყველება იოასის მეფობაში, აზაელის სიკვდილის შემდეგ აღსრულდა. სირიაში ადერის ზეობისას ისრაელის ხელმწიფემ წართმეული ტერიტორიების ნაწილი დაიბრუნა¹⁸⁸: „და მოკუდა აზაელ, მეფე იგი ასურთად, და მეფობდა ადერ, ძე მისი, მის წილ. და მივიდა იოას, ძე იოაქაზისი, და უკუმოიპყრნა ქუეყანანი იგი კელთაგან ადერისთა¹⁸⁹, ძისა აზაელისთა, რომელ მიუღო კელთაგან იოაქაზისთა, მამისა თვისისათა, ბრძოლასა მას შინა. და სამგზის დასცა იოას ადერი მსგავსად სიტყვსა მის უფლისა და მოაქცინა ქალაქნი ისრაელისანი და ყოველი, რადცა მიეღო“¹⁹⁰.

წმინდა ევრემ ასური ზემოხსენებულ **სიმბოლურ ქმედებას** მესიანისტური თვალთახედვითაც განმარტავს. იგი აღნიშნული ბიბლიური ეპიზოდის სიმბოლიკას

¹⁸⁵ შდრ. LXX: „ἐξπαύθη“ სლავ.: „сѣкочи“; „დამწუხრების“ ნაცვლად „გაბრაზება“ წერია: VUL: „iratus est“; MT: „רָצַף“; KJV: „was wroth“; რუს.: „разгневался“; ახალქართ.: „გაუბრაზდა“.

¹⁸⁶ 4 მეფ. 13. 19.

¹⁸⁷ იბ. 4 მეფ. 13. 17.

¹⁸⁸ ჩრდილოეთის სამეფოს ისტორიული საზღვრები იოასის ძის, იერობოამ II-ის, ზეობისას ხანმოკლე პერიოდით აღდგა (იბ. 4 მეფ. 14. 25).

¹⁸⁹ ბენ-ჰადად III – სირიის მეფე (ძვ. წ. 796-792 წწ.). უძველესი ლურსმული წარწერების მიხედვით, აღნიშნულ პერიოდში სირიის მეფე მარლს (რომელსაც სწავლულები ბენ-ჰადად III-თან აიგივებენ) ასირიელმა მონარქმა რამმან-ნირორ III-მ დარტყმა მიაყენა. მღვდელი ალექსანდრე გლაგოლევის ვარაუდით, ხსენებულმა მოვლენამ ისრაელს ბენ-ჰადად III-თან ბრძოლა გაუადვილა (Толковая Библия 1905: 520).

სირიის სამეფო, ზემოგანხილული **სიმბოლური ქმედებიდან** მალევე, დაახ. ძვ. წ. 732 წელს დაეცა. ხსენებული მოვლენა „მეოთხე მეფეთაშია“ დამოწმებული (იბ. 4 მეფ. 16. 9).

¹⁹⁰ 4 მეფ. 13. 24-25.

ქრისტეს გამომხსნელობით ღვაწლს უკავშირებს. წმინდა მამის თანახმად, „უფლის ისარი ძლევისა“¹⁹¹ (БКОЦ 2011ა: 231) ხის ჯვარზე გაკრულ იესო ქრისტეს აღნიშნავს¹⁹². მაცხოვარი ადამიანური სულით ჯოჯოხეთში ჩავიდა და იქ მყოფი მართლები გამოიხსნა, აღდგომის შემდეგ კი რწმენით დაიმორჩილა მსოფლიო, რაშიც ქრისტეს მოციქულებს უდიდესი ღვაწლი მიუძღვით (БКОЦ 2011ა: 231).

წმინდა ეფრემ ასურის განმარტებით, ზემოაღნიშნულ **სიმბოლურ ქმედებაში** აღმოსავლეთის სარკმელში ისრის ტყორცნა¹⁹³ ქრისტეს ამაღლებას ნიშნავდა, „რომელი-იგი ამაღლდა ცასა ცათასა აღმოსავალით“¹⁹⁴. წმინდა ეფრემ ასური ამბობს: „საკუთარი ამაღლებით მან (ქრისტემ, ც. ჩ.) გახსნა მარადისობის ბჭენი და ჩვენ გვაძლევს შესვლის საშუალებას“ (БКОЦ 2011ა: 231). ამასთან, მიწაში ჩარჭობილი ისარი, რომელსაც ამოიღებდნენ, ქრისტეს ჯოჯოხეთში ჩასვლასა და აღდგომას განასახიერებს. წმინდა ეფრემ ასური ისრაელის მიწაზე დაკვეთებული ისრებისა და ჩრდილოეთის სამეფოს მიერ სირიაზე გამარჯვებების სამ რიცხოვნობაზე ამახვილებს ყურადღებას. პირველი სიმბოლო მაცხოვრის ღვთაებრივი სხეულის ეკლებით, ლურსმნებით წამებასა და ლახვრით გმირვას აღნიშნავს, ხოლო მეორე – ქრისტეს მიერ სატანის, ცოდვისა და მარადიული სიკვდილის ბატონობის განქარვებას (БКОЦ 2011ა: 231).

წმინდა ეფრემ ასური დაკვეთებულ ისარში კიდევ ერთ სიმბოლოს ხედავს და მას მტრისგან დაუძლურებულ ღვთივრჩეულ ერს ადარებს. წმინდა მამა ამბობს: „...ისარი სამჯერაა ნასროლი და მიწაზე რჩება, მაგრამ უფალი საკუთარ ერს აღმართავს, რომელიც მიწაზეა დამხობილი, ისევე, როგორც საფლავად დადებულმა ქრისტემ წმინდანებს აღდგომის იმედი მისცა“ (БКОЦ 2011ა: 231).

განხილული ბიბლიური ეპიზოდი წმინდა წერილში აღწერილი **სიმბოლური ქმედებებისგან** მკვეთრად განსხვავდება. ჩვეულებრივ, **სიმბოლური ქმედება** უშუალოდ ამა თუ იმ წინასწარმეტყველის მიერ ხორციელდება. როგორც ვხედავთ, ხსენებული **სიმბოლური ქმედება** ადასრულა ხელმწიფემ, თუმცა ელისეს ბრძანებით, მითითებითა და მონაწილეობით (მსგავსი ბიბლიური ეპიზოდი მხოლოდ იერემიას წინასწარმეტყველების 51-ე თავში გვხვდება). აღნიშნული **სიმბოლური ქმედების** უნიკალურობას განაპირობებს მოქმედების მიზეზ-შედეგობრივ კავშირში ყოფნა ჯერ

¹⁹¹ შდრ. 4 მეფ. 13. 17.

¹⁹² წმინდა ეფრემ ასური **სიმბოლური ქმედების** პირველ ნაწილს განმარტავს.

¹⁹³ აღნიშნული განმარტება **სიმბოლური ქმედების** მეორე ნაწილს უკავშირდება.

¹⁹⁴ ფსალმ. 67. 34.

კიდევ უცნობ მომავალთან. **სიმბოლური ქმედების** პირველი ნაწილის მიხედვით (იოასის მიერ ისრის ერთგზის ტყორცნა), უფალი ისრაელზე წყალობას მოიღებდა და მას სირიაზე საბოლოოდ გაამარჯვებინებდა. თუმცა ისრაელის მიერ მტრის ძლევადამოკიდებული იყო **სიმბოლური ქმედების** მეორე ნაწილზე. აღნიშნულ შემთხვევაში ნასროლ ისართა რიცხვი განასახიერებდა სირიასთან ბრძოლაში გამარჯვების ოდენობას. ამასთან, ხელმწიფეს თავად უნდა გადაეწყვიტა, თუ რამდენ ისარს ისროდა (ზემოთქმულის მიხედვით, მან მხოლოდ სამჯერ ტყორცნა ისარი, რაც სირიის საბოლოო დამარცხებისთვის საკმარისი არ იყო). აქედან გამომდინარე, წინასწარმეტყველ ელისეს უფლისგან უშუალოდ **სიმბოლური ქმედების** ფორმა მიეთითა. მას არ მისცემია კონკრეტული სამოქმედო გეგმა, როგორც ეს სხვა მსგავს ბიბლიურ ეპიზოდებში გვხვდება.

თავი IV

წინასწარმეტყველი ოსე

4.1. ზოგადი ცნობები

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, სიმბოლურ ქმედებათა განხილვა წინასწარმეტყველ ოსეს¹⁹⁵ წიგნის საღვთისმეტყველო ანალიზით განვაგრძოთ, ვინაიდან ზემოხსენებულ წინასწარმეტყველთა შორის ქრონოლოგიურად შემდგომი სწორედ ისაა, რომელმაც სიმბოლური ქმედებები ადასრულა.

ოსე ბერეს¹⁹⁶ ძის შესახებ მწირი ცნობები მოგვეპოვება. ერთი იუდეური გადმოცემით, ოსე წარმოშობით გალაადიდან იყო (Яворский 2006: 7). წმინდა ეფრემ ასურის უწყებით, იგი ისაქარის ტომიდან, ქალაქ ბელმოთიდან იყო და 113 წლის¹⁹⁷ განმავლობაში წინასწარმეტყველებდა ჩრდილოეთის სამეფოში (Святой Ефремъ 1995ბ: 90).

ზოგიერთი მკვლევარი ოსეს სამღვდლო დასს მიაკუთვნებს. ეს დასკვნა, ძირითადად, სამი არგუმენტის საფუძველზე გამოაქვთ: მან კარგად იცის მოსეს რჯული, საკუთარი ერის ისტორია და კანონმდებლობით გათვალისწინებული საღვთისმსახურო ქმედებების შეწყვეტას უფლის სასჯელად მიიჩნევს. ი. ბროდოვიჩისთვის ზემოჩამოთვლილი ფაქტები მსგავსი დასკვნის გამოტანის საშუალებას არ იძლევა. საქმე ისაა, რომ ეს საკითხები მორწმუნე ებრაელებისთვის არანაკლები ინტერესის საგანი იყო. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ წმინდა წერილისა და ერის ისტორიის ზედმიწევნით ცოდნა წინასწარმეტყველისთვის სავსებით ბუნებრივია. რაც შეეხება უკანასკნელ არგუმენტს, მსგავსი მოსაზრება მხოლოდ სასულიერო პირისთვის არ იყო მისაღები (Бродович 2006: IX). ამავე აზრისაა ვ. ს. იავორსკიც (Яворский 2006: 6).

¹⁹⁵ შდრ.: ბერძნ. Ἰησῆ, ებრ. הוֹשֵׁעַ (Hoshea). აღნიშნული სახელი ნიშნავს – „მხსნელს“ (Блаженный Иероним 2006б: 351).

¹⁹⁶ აღნიშნული პიროვნების შესახებ არანაირი ცნობა არ მოგვეპოვება (Яворский 2006: 5); (Толковая Библия 1910: 86).

¹⁹⁷ დასავლელი ღვთისმეტყველები ოსეს მოღვაწეობის პერიოდის ხანგრძლივობას 92-დან 50 წლამდე განსაზღვრავენ, რაც უკავშირდება მისი წინასწარმეტყველების დაწყების თარიღის გაურკვეველობას (Епископ Палладий 2006а: 1).

ოსეს მოღვაწეობის პერიოდი, როგორც ამას წიგნის დასაწყისშივე ვიგებთ, ემთხვევა ისრაელში იერობოამ II-ის, ხოლო იუდეაში – ოზიას, იოათამის, აქაზისა და ეზეკიას მეფობებს. მისი აღსასრულის შესახებ მრავალი გადმოცემა არსებობს. ვ. ს. იავორსკი წიგნში: „Символические действия пророка Осии“ ოსეს განსასვენებლის შესახებ არაერთ ცნობას გვაწვდის: ერთი ებრაული წყაროს თანახმად, მისი აღსრულების ადგილი ბაბილონია, ხოლო გალილეა, ქალაქი ცეფათი, ოსეს განსასვენებელს წარმოადგენს. მეორე გადმოცემა იუწყება, რომ მისი საფლავი ესსოლტის (es-Salt) მახლობლად მდებარეობს. წინასწარმეტყველის განსასვენებლის შესახებ ასევე ორი სხვადასხვა არაბული წყარო გვაუწყებს, რომელთა მიხედვით, ოსე დაასაფლავეს ქალაქ ალმენში, ტრიპოლისის ახლოს, ან ისტორიული გალაადის რამოთში (Яворский 2006: 7). წმინდა ეფრემ ასურის უწყებით, ოსეს საფლავი მის სამშობლოში, ბელმოთში მდებარეობს (Святой Ефремъ 1995ბ: 90).

წინასწარმეტყველს მოღვაწეობა საკმაოდ რთულ ეპოქაში უხდებოდა¹⁹⁸. ხსენებულ პერიოდში ისრაელის სამეფოს ყველა ფენა სულიერ ცხოვრებაში დაღმასვლას განიცდიდა. საზოგადოების უმთავრესი დანაშაული უფლის წინაშე რჯულისა და მცნებების დავიწყება იყო. ჩრდილოეთის სამეფოს ცნობილ ორ ქალაქში, დანსა და ბეთილში, კერპთმსახურების უმთავრესი ცენტრები იყო განთავსებული. იქ საზოგადოება ოქროს ხბორებს ეთაყვანებოდა. ბომონთა სიმრავლეს მთელი სამეფო მოეცვა, ხალხი კი გარყვნილებასა და ავხორცობას მისცემოდა: „თხემთა ზედა მთათასა უზორვიდეს და ბორცუთა ზედა უკლვიდეს მუხასა და ვერხუსა ქუემე და ხეთა საგრითა, რამეთუ კეთილ არს საფარველი. ამისთჳს ისიძვიდენ ასულნი თქუენნი და სძალნი თქუენნი იმრუშებდენ. და არა მივჰხედო ასულთა თქუენტა, ოდეს ისიძვიდენ, და სძალთა თქუენტა, ოდეს იმრუშებდენ, რამეთუ იგინი მეძავთა თანა შესუარულ იყვნეს და კერპთმსახურთა თანა უზორვიდეს...“¹⁹⁹.

„დავითის სახლისგან“ ჩამოშორების შედეგად ჩრდილოეთის სახელმწიფო რელიგიურ ცენტრთან კავშირის გარეშე დარჩა. სულის მასაზრდოებელ წყაროს მოწყვეტილი ისრაელი უფალს დაშორდა და კერპების თაყვანისცემას განსაკუთრებული გულმოდგინებით შეუდგა. წარმართული კულტმსახურება, როგორც წესი, ამქვეყნიურ

¹⁹⁸ ისრაელის სამეფოს რელიგიურ, ზნეობრივ, საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ მდგომარეობას ოსეს წიგნზე დაყრდნობით დეტალურად განიხილავს ვ. ს. იავორსკი (Яворский 2006: 30-39). უმთავრესწილად, სწორედ მისი შრომით ვხელმძღვანელობთ ხსენებული საკითხების გადმოცემისას.

¹⁹⁹ ოს. 4. 13-14.

სიამოვნებასა და ზნეობრივ გარყვნილებას უკავშირდებოდა. ამრიგად, ისრაელის მოსახლეობის სულიერი დაცემულობა ბომონთა მსახურების ლოგიკური შედეგი იყო.

ოსეს წიგნში სწორედ ისრაელის სამეფოში არსებული ზნეობრივ-რელიგიური დეგრადაციაა გაცხადებული. ისრაელში ფასი დაკარგა ოჯახური ცხოვრების სიწმინდემ, თავმდაბლობამ და უბიწოებამ. ხალხში გავრცელდა მზაკვრობა, სიცრუე, ვერაგობა და სხვა უზნეობა. საზოგადოებრივი წესრიგი დარღვეული იყო. ქურდობა, ძარცვა და ყაჩაღობა თავის უმაღლეს ნიშნულს აღწევდა, რასაც ხშირად ადამიანთა მკვლელობაც მოსდევდა. საზოგადოება იმ ზომამდე გამძვინვარდა, რომ მსხვერპლის მოსურნე, გამმაგებული ბრბო ქალაქებში დათარეშობდა. სამეფოში სრული ანარქია სუფევდა: „ამისთვის აწ თქუან: „არა არს მეფე ჩუენდა, რამეთუ არა გუეშინოდა უფლისა, ხოლო მეფემან რად მიყოს ჩუენ“²⁰⁰? ხელისუფლება კი საზოგადოებრივ წესრიგზე ვერ ზრუნავდა, რადგან ამისათვის სათანადო ბერკეტები არ გააჩნდა. მეფე საკუთარი არასაიმედო ჯარის ამარა იყო დარჩენილი, რომელიც შესაძლებელია მოწინააღმდეგის მხარეზე გადასულიყო. მმართველს არც ერისმთავრების იმედად შეეძლო ყოფნა, რადგან ისინი ფარისევლები იყვნენ და მეფის ზურგს უკან ინტრიგებს ხლართავდნენ. ამას ის ფაქტიც ცხადყოფს, რომ ოსეს მოღვაწეობის პერიოდში შეთქმულებას ემსხვერპლა ისრაელის ოთხი ხელისუფალი (ზაქარია, სელემი, ფაკეა და ფაკეე).

ჩრდილოეთის სამეფოს მმართველები მოკავშირეებს ეძებდნენ უცხოტომელთა პოლიტიკურად ძლიერი ქვეყნების ხელისუფლებთან. ურწმუნო მეფეები ამ უკანასკნელთა იმედით იყვნენ და უფლის შემწეობას უგულვებელყოფდნენ. ამგვარ არჩევანს ოსე არაერთგზის ამხელდა: „და დამდაბლდეს გინებად ისრაელისაჲ წინაშე პირსა მისსა. და არა მოიქცეს უფლისა ღმრთისა მათისა და არა გამოიძიეს იგი ამას ყოველსა შინა. და იყოს ეფრემ, ვითარცა ტრედი უგულისხმოდ, რომელსა არა უცნ გული. ეგვპტესა ჰხადოდა და ასურასტანელთა შევიდეს“²⁰¹.

ამრიგად, ზნეობრივი დაცემულობა და გონებრივი სიბრძნე ისრაელის საზოგადოების ყველა ფენის სენი იყო. ამისთვის მათ უფლის სასჯელი ელოდათ. თუმცა ღმერთს ებრაელი ხალხის დაღუპვა არ სურდა, ამიტომ ხსნად წინასწარმეტყველი გამოუგზავნა. უფლის მსახურს ისინი უნდა ემხილა და მათთვის სასჯელი აეცილებინა.

²⁰⁰ ოს. 10. 3.

²⁰¹ ოს. 7. 10-11.

ოსეს მოღვაწეობის დასაწყისში ისრაელის სამეფო დიდების ზენიტში იყო. იოასმა, იერობამ II-ის მამამ, სირიის სამეფოსაგან ერთ დროს წართმეული მიწები დაიბრუნა. ხოლო იერობამმა ისრაელის ტერიტორია ემათის ყელიდან არაბეთის ზღვამდე განავრცო, რითაც წინასწარმეტყველ იონას სიტყვები აღსრულდა²⁰². აღდგა ჩრდილოეთის სამეფოს ისტორიული საზღვარი. ამ დროს სირია, ასურეთისგან 802 წელს განცდილი მარცხის შემდეგ, აღარ იყო ისრაელისთვის საშიში მოწინააღმდეგე. ასურეთს თავად ჰყავდა მტერი ურარტუს ძლიერი სახელმწიფოს სახით, ამიტომ წინააზიის ქვეყნებისათვის მნიშვნელოვან საფრთხედ არ მიიჩნეოდა. ხელსაყრელი პოლიტიკური მდგომარეობით ისარგებლა იერობამ II-მ და თავისი ქვეყანა აღნიშნულ რეგიონში ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოდ აქცია. ჩრდილოეთის სამეფოს მკვიდრნი თავს მშვიდად გრძნობდნენ, მაგრამ ქვეყნის ყოფით აღმავლობას ერის ზნეობრივი დეგრადაცია მოჰყვა. ებრაელი ხალხი მხილებულ იქნა და მას წინასწარმეტყველთაგან განეცხადა ღვთის მსჯავრის მოახლოება, რაც მოგვიანებით (ძვ. წ. 722 წელს) ასურელთა ხელით აღსრულდა კიდევ.

4.2. პირველი ქორწინება

„სიტყუად უფლისად, რომელი იყო მსჯსა მიმართ, ძისა ბერჯსა დღეთა აქაზისთა და ეზეკიადსთა, დღეთა ოზიადსთა და იოათამისთა, მეფეთა იუდადსთა და დღეთა იორობოამისთა, მეფისა ისრაელისათა. დასაბამი სიტყვსა უფლისად მსჯსა მიმართ და ჰრქუა უფალმან მსეს: წარვედ და მოიყვანე თავისა შენისა **დედაკაცი სიძვისად**²⁰³...“²⁰⁴.

ოსეს სამოღვაწეო პერიოდის შესახებ ზემოთ ვისაუბრეთ. ამჟამად ყურადღებას წინასწარმეტყველის წიგნის პირველი თავის მეორე მუხლზე გავამახვილებთ.

²⁰² აღნიშნული მოვლენა „მეოთხე მეფეთაშია“ დამოწმებული, სადაც ვკითხულობთ: „და მოიპყრა საზღვარი ისრაელისად შთასავალთა მათგან ემათისთა ვიდრე ზღუადმდე არაბიამსა მსგავსად სიტყვსა მის უფლისა ღმრთისა ისრაელისა, რომელსა იტყოდა ჴელითა მონისა თჳსისა **იონა წინასწარმეტყველისადათა**, ძისა ამათისითა გეთელისადათა“ (4 მეფ. 14. 25).

²⁰³ შდრ.: LXX: „γυναῖκα πορνείας“; MT: „זָנוּיָהּ תִּשָּׂא“; VUL: „uxorem fornicationum“; სლავ.: „ЖЕНУ БЛЖЕНІА“; KJV: „wife of whoredoms“; რუს.: „жену блудницу“. ახალქართულში გვაქვს „გარყვნილი ქალი“.

²⁰⁴ ოს. 1. 1-2.

ოსეს ღვთისგან ებრძანა, რათა „სიძვის დედაკაცი“ მოეყვანა ცოლად²⁰⁵. აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას თავდაპირველად უნდა გაირკვეს, თუ რატომ დაევალა წინასწარმეტყველს ამგვარი ქმედების აღსრულება. როგორც ზემოთ აღინიშნა, ოსეს სამოღვაწეო პერიოდში ისრაელი უმძიმეს ზნეობრივ დაცემულობას განიცდიდა. ჩრდილოეთის სამეფოს მცხოვრებლებს ცოდვიანი, ბიწიერი ცხოვრების გამო გონება უკიდურესად დაბინდული ჰქონდათ. შესაბამისად, წინასწარმეტყველთა სიტყვების უგულვებელმყოფელი ებრაელების ცნობიერებაში საღვთო მოძღვრება განსაკუთრებული საშუალებით უნდა აღბეჭდილიყო. რამდენადაც დიდი იყო ისრაელიანთა „წყლული“, იმდენად ძლიერ „წამალსაც“ საჭიროებდა იგი.

ტერმინით „დედაკაცი სიძვისად“, როგორც ზემოთ ვნახეთ, ის ქალია სახელდებული, რომელიც წინასწარმეტყველს ცოლად უნდა მოეყვანა. შესიტყვება „სიძვისად“ ებრაულ ბიბლიაში გადმოცემულია ტერმინით זֵנוּנִים (Zēnunim)²⁰⁶, რომელიც, ნეტარი იერონიმეს განმარტებით, სიძვის მრავალგზისობას გამოხატავს (Блаженный Иероним 2006a: 155). ეს ეპითეტი ცხადყოფს ზემოთ ნახსენები ქალის გარყვნილი ცხოვრების წესს: ოსეს სასძლო სიძვის ცოდვის „უფსკრულში“ იმყოფებოდა.

ებრაული ტერმინით זֵנוּנִים აღინიშნება როგორც მეძავობა – პროსტიტუცია, ასევე უკანონო ხორციელი კავშირი ან მრუმობა – მეუღლებრივი ღალატი. ვფიქრობთ, **სიმბოლურ ქმედებას** ისრაელიანებზე ღრმა შთაბეჭდილება რომ მოეხდინა, წინასწარმეტყველის მომავალი მეუღლის გარყვნილი ცხოვრების წესი ხალხისთვის უცნობი არ უნდა ყოფილიყო. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ყურადღების ღირსია თეოდორე მოფსუესტიელის აზრი. მისი თქმით, ხალხში განსაკუთრებული გაკვირვება იმას უნდა გამოეწვია, რომ წინასწარმეტყველმა ღირსეული და კეთილგონიერებით განთქმული ქალის ნაცვლად ესოდენ უწესო და უწმინდური დედაკაცი აირჩია სასძლოდ (БКОЦ 2010: 3). სწორედ მასზე ამბობს წმინდა კირილე ალექსანდრიელი, რომ „ამას აკეთებდა (ე. ი. სიძვას სჩადიოდა, ც. ჩ.) არა

²⁰⁵ ბიბლიის მკვლევართა (ი. ბროდოვიჩი, ვ. ს. იავორსკი და სხვ.) თქმით, წმინდა წერილში ებრაული გამოთქმა **ישא קח** (შდრ. ბერძნ.: „λαμβάνει γυναίκα“) ქალისა და კაცის კავშირის კონტექსტში ყოველთვის რჯულიერი ქორწინების აღმნიშვნელია (იხ. დაბ. 6. 2; 25. 1; 36. 2; 1 მეფ. 25. 43 და სხვ.); (Бродович 2006: 17); (Яворский 2006: 55); (Толковая Библия 1910: 92).

²⁰⁶ მასორეტულ ტექსტში აღწერილ იუდასა და თამარის ისტორიაში იგივე ტერმინია გამოყენებული: „სიძვა თამარ, სძალმან შენმან, და მიდგომილ არს სიძვით“ (დაბ. 38. 24), შდრ. **MT**, „**וְהָיָה אִתָּךְ אִשָּׁה וְהָיָה אִתָּךְ אִשָּׁה**“).

შვილიერებისთვის, არამედ ანგარებით ჰყიდდა მომსვლელებზე საკუთარ სილამაზეს“ (Святитель Кирилл 2006ა: 33). ხსენებული ქალის საქმიანობასთან დაკავშირებით იგივე აზრი უფრო მძაფრად არის გამოხატული ნეტარი იერონიმეს ეგზეგეზაში (Блаженный Иероним 2006ა: 147).

ასე რომ, ტერმინ **მუჟიჟი**-ის მნიშვნელობასა და ზემოთ მოტანილ განმარტებებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას დარწმუნებით, რომ ოსეს სასძლო იყო მეძავი.

წინასწარმეტყველის მიერ აღნიშნული ქმედების განხორციელება იმდენად იყო საკვირველი, რომ ძველთაგანვე იქცა მრავალი განსჯისა და კამათის საგნად. ნეტარი თეოდორიტე საგანგებოდ საუბრობს ხალხის კატეგორიაზე, რომელიც ოსეს გომერზე ქორწინებას არ მიიჩნევს სინამდვილედ (Блаженный Феодорит 2006ა: 251). ამგვარ თვალსაზრისზე წმინდა კირილე ალექსანდრიელიც ლაპარაკობს (Святитель Кирилл 2006ა: 24-25). ბიბლიის ზოგიერთი ბოლო დროის მკვლევარი (ა. ვიუნშე, კ. ფ. კეილი, ფ. გიტციგი და სხვ.) ოსეს მეძავზე ქორწინებას რეალობად არ თვლის და ფიქრობს, რომ ეს ბიბლიური ისტორია სიმბოლიკის ფარგლებს არ სცილდება (Бродович 2006: 7); (Яворский 2006: 207)²⁰⁷. ი. ბროდოვიჩის თანახმად, აღნიშნული ფაქტის ნამდვილობაში წმინდა წერილი დაეჭვების საფუძველს არ იძლევა (Бродович 2006: 12). ამასთან, ბიბლიაში მკაფიოდ წერია, რომ წინასწარმეტყველმა მეძავთან სამი შვილი გააჩინა. წმინდა წერილში „სიძვის დედაკაცის“ (გომერის), მამამისისა და ოსესთან ქორწინების შედეგად დაბადებული ქალ-ვაჟის სახელებია მოხსენიებული. აღნიშნული საკითხის განხილვისას ბროდოვიჩი ამბობს: „როგორი შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა გულქვა და გარყვნილ მსმენელებზე ალეგორიული სახის თხრობას იმ მოვლენის შესახებ, რომ ღმერთმა მას უბრძანა მეძავზე ქორწინება, რათა ისრაელისთვის შეეხსენებინა მისი მრუშობანი“ (Бродович 2006: 14). ხსენებული **სიმბოლური ქმედების** განსაკუთრებულობას მისი უჩვეულობა შეადგენდა. ამ ქმედების მიზანი გაკვირვებული მაყურებლის ყურადღების მიქცევა იყო.

²⁰⁷ ოსეს მეძავთან ქორწინების საკითხს და მასთან დაკავშირებულ სხვადასხვა მოსაზრებებს ვრცლად განიხილავენ ი. ბროდოვიჩი (Бродович 2006: 6-16) და ვ. ს. იავორსკი (Яворский 2006: 205-225). საინტერესოა აღნიშნული საკითხის შესახებ იუდეური ეგზეგეზაც. მისი თვალსაჩინო წარმომადგენლის, რაბინ დავით კიმხის თქმით, ოსეს ქორწინება ხილვაში განხორციელდა. აღნიშნული კომენტატორი თვლის, რომ ხილვებში აღსრულდა შემდეგი **სიმბოლური ქმედებებიც**: ესაიას განმოსილი სიარული, ეზეკიელის მიერ თავისა და წვერის მოპარვა, საქონლის ფუნაში გამომცხვარი პურის ჭამა (PaDaK 2010: 227-228).

ოსეს მეძავზე ქორწინების ნამდვილობის უარყოფელთა მოსაზრებით, წინასწარმეტყველი ამგვარ ურიგო ქმედებას არ ჩაიდენდა (Бродович 2006: 8); (Яворский 2006: 207). ეკლესიის მამები კი აღნიშნულ ქორწინებას არათუ დანაშაულად მიიჩნევენ, არამედ საქებად საქციელადაც რაცხენ. წინასწარმეტყველმა ეს ქმედება ღვთისადმი მორჩილებით განახორციელა. არასასურველ სასძლოზე ქორწინებით ოსეს სულიერი ღირსებანი წარმოჩნდა. ესაა უფლისადმი მორჩილება და მოთმინების დიდი უნარი. იგი შემოქმედის ბრძანებას დაემორჩილა და უდრტვინველად აღასრულა²⁰⁸.

²⁰⁸ საინტერესოა და მეტად რთული გასაგებია ნეტარი იერონიმეს აზრი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ოსეს წიგნის განმარტებისას ნეტარი მამა ხშირად იმ თვალსაზრისისკენ იხრება, რომ წინასწარმეტყველს მეძავთან ხორციელი კავშირი არ დაუწყებია (Блаженный Иероним 2006а: 150, 156, 163). იგი ამბობს: „წინააღმდეგ შემთხვევაში, თუკი მტკიცებას დავიწყებდით, რომ ჭეშმარიტად სრულდება ყველაფერი ის, რისი აღსრულებაც იბრძანება, როგორც მსგავსება (შდრ. ლათ.: „in similitudinem“ (PL 1884: 818), მაშინ იერემიამაც... გაიარა მრავალრიცხოვან ტომთა შორის... (მივიდა, ც. ჩ.) მდინარე ეფფრატთან და იქ განათავსა სარტყელი... როგორ შეეძლო მას იერუსალიმის ალყის დროს (ქალაქიდან, ც. ჩ.) გამოსვლა და ამოდენა ხანს სიარული...?“ (Блаженный Иероним 2006а: 149-150). ნეტარი იერონიმე მსგავს არგუმენტს გვთავაზობს ეზეკიელის ერთ-ერთ **სიმბოლურ ქმედებასთან** (იხ. §7.3.2.) დაკავშირებითაც, „ვინაიდან ბუნებითად შეუძლებელია, რომ ადამიანთაგან ვინმეს მუდმივად ეძინოს სამასოთხმოცდაათი დღის განმავლობაში ერთ გვერდზე“ (Блаженный Иероним 2006а: 163); (ეზეკიელის „მილთან“ დაკავშირებით იხ. სქოლიო 561; მარცხენა გვერდზე წოლის დღეების რაოდენობასთან დაკავშირებით იხ. სქოლიო 562). მართალია, იერემიასა და ეზეკიელის ზემოაღნიშნული ქმედებები ადამიანის ძალებს აღემატებოდნენ, მაგრამ უფლის სიტყვის თანახმად, „შეუძლებელი კაცთაგან შესაძლებელ არს ღმრთისა მიერ“ (ლკ. 18. 27). ბიბლიაში მოცემულია უამრავი სასწაულებრივი მაგალითი, თუნდაც – იონას ვეშაპის მუცელში სამდღიანი ყოფნა (იხ. იონ. თ. 2).

ზემოთქმულის მიუხედავად, ნეტარი მამა დარწმუნებით არ უარყოფს ოსესა და გომერის ხორციელ თანაცხოვრებას. ამის თქმის საშუალებას გვაძლევს ზემოაღნიშნული შრომის რამოდენიმე ადგილი. ნეტარი მამა ამბობს: „ამასთან, მივყვებით რა ისტორიულ (კონტექსტში, ც. ჩ.) განმარტებას, წინასწარმეტყველის დადანაშაულება არ ღირს, თუ ის მეძავს უბიწოებისაკენ წარმართავს, უფრო მისი ქებაა ჯერეული იმისათვის, რომ მან ის გარდაქმნა ცუდისგან კარგისკენ. ვინაიდან ის, ვინც რჩება კარგად, თავად არ იბილწება, თუკი ცუდს უერთდება, არამედ ცუდი გარდაიქმნება კარგად, თუ კეთილ მაგალითს ჰბაძავს. აქედან ვხედავთ, რომ წინასწარმეტყველმა არ დაკარგა უბიწოება, როდესაც მეძავს შეუერთდა, არამედ მეძავმა შეიძინა უბიწოება, რაც იქამდე არ ჰქონდა, მით უმეტეს, რომ ნეტარმა ოსემ ეს გააკეთა არა ავხორციობის მიზეზით... და არა საკუთარი სურვილით, არამედ ღვთის ნებას დაემორჩილა...“ (Блаженный Иероним 2006а: 155); სხვაგან იგი აღნიშნავს: „...მაშინ ეს ქალი – მეძავი და სხვა ქალი, მრუში, რომლებიც **ან შედიოდნენ** წინასწარმეტყველთან კავშირში, **ან [სიძვისგან] იყვნენ შეჩერებულნი** წინასწარმეტყველისგან, სასირცხვილო სიძვით კავშირზე კი არ უთითებს, არამედ – მომავლის საიდუმლოებებზე“ (Блаженный Иероним 2006а: 163).

მოტანილი მონაკვეთების სიღრმისეული გააზრების შემდეგ იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ ნეტარი იერონიმე შესაძლებლად მიიჩნევს ზემოთ ნახსენებ ორივე თვალთახედვას.

ზემოაღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას ნეტარი მამა ამბობს: „თუკი ვინმე ჯიუტი, განსაკუთრებით კი წარმართთაგანი, არ ისურვებს ეს მიიღოს სიმბოლური ფორმის ნათქვამად და წინასწარმეტყველს დასცინებს მეძავთან მისი კავშირის გამო, მათ საწინააღმდეგოდ წარმოვადგენთ...“ (Блаженный Иероним 2006а: 156). ამის შემდეგ ნეტარ მამას წარმართთაგან პატივდებულ პიროვნებათა (ქსენოკრატესა და სოკრატეს) მაგალითები მოაქვს, რომლებმაც გარყვნილებაში ჩავარდნილი ადამიანები (პოლემონი და ფედონი) გამოასწორეს. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ მისი მსჯელობის თავისებურება (ვგულისხმობთ ერთმანეთის გვერდით ორი საწინააღმდეგოდ თვალთახედვის გამოთქმას: ზოგ ადგილზე ნეტარი მამა ოსესა და გომერის ხორციელ კავშირს უარყოფს, ზოგჯერ კი ამ საქციელს გარკვეული არგუმენტებით ამართლებს) გამომდინარეობს ოსეს დაცვის მცდელობიდან. როგორც ჩანს, წინასწარმეტყველი აღნიშნული საქციელის გამო წარმართთა დაცინვის ობიექტად იყო ქცეული.

ეკლესიის განმმარტებლები ოსეს საქციელს მისი აღსრულების საფუძველზე დაყრდნობით ამართლებენ. ამ საკითხს ნეტარი ავგუსტინეც ეხება ნაშრომში: „ქრისტიანული სწავლების შესახებ“, სადაც, არ უარყოფს რა ფაქტის ნამდვილობას, ოსეს მეძავზე ქორწინებას არ მიიჩნევს უზნეობად: „არავითარ შემთხვევაში არ დაიჯერებს ფხიზელი გონების ადამიანი იმას, რომ ქალმა უფალს ფეხებზე სცხო მირონი²⁰⁹ ფუფუნების თავქარიან მოყვარულთა ტრადიციის დაცვისთვის... ამიტომ ის, რაც სხვებისთვის სირცხვილია, ღვთის კაცისთვის ან წინასწარმეტყველისთვის გარკვეული უმაღლესი ღირსების ნიშანია. მეძავზე ქორწინება, რა თქმა უნდა, ნიშნავს ერთს, როდესაც სასიკვდილო ზნე-ჩვეულებებზეა საუბარი, ხოლო მეორეს – ოსეს წინასწარმეტყველებაში“ (БКОЦ 2010: 3). ნეტარი თეოდორიტეს თანახმად, ოსემ აღნიშნული კავშირი არა საკუთარი ვნებების მონობით, არამედ საღვთო ბრძანების მორჩილებით, მისი კურთხევით დაამყარა. ამასთან, ოსემ **სიმბოლური ქმედებით** თავად უფალი განასახიერა. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ნეტარი მამის განმარტებით, წინასწარმეტყველისა და მეძავის კავშირი „ყოველგვარ ქორწინებაზე პატიოსანი იყო“ (Блаженный Феодорит 2006: 253). ასე რომ, მეძავზე ქორწინებისას ოსეს პირადი მიზნები არ ამოძრავებდა. აღნიშნული ქმედება უფლის ბრძანებაზე იყო დაფუძნებული, რომელიც შემოქმედის მიერ, გამონაკლისის სახით, ოსეს მიეცა. წინასწარმეტყველისა და მეძავის ქორწინება საღვთო განგებულებით დაიშვა. ოსემ არასასურველი სასძლო მოიყვანა ცოლად, რათა ამ **სიმბოლური ქმედებით** ისრაელიანთა უღვთოება ემხილა. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ წინასწარმეტყველმა ამ ქმედებით ხსენებული ქალიც მოაქცია და წმინდა კირილე ალექსანდრიელის თქმით, „ცოტაოდენ გამოვიდა რა წესიერების საზღვრებიდან“ (Святитель Кирилл 2006а: 34), სიძვის „ჯურღმულში“ მყოფი დედაკაცი ქორწინებითი კავშირით ერთ მამაკაცთან შეკრა. აღნიშნული საკითხის განხილვისას წმინდა მამა ამბობს: „მითხარი რა არის ამაში სასირცხვილო? ან როგორ შეიძლება გასაკიცხი გახდეს წინასწარმეტყველის თანხმობა ქორწინებაზე მაშინ, როდესაც ღმერთი ბრძანებდა სხეულებრივ და გრძნობით მოვლენებში განსახიერებელიყო რაღაც სულიერი და მკითხველის სარგებლობისთვის აუცილებელი? ამის გარდა, მე შემიძლია უშიშრად ვთქვა, რომ წინასწარმეტყველმა გომერიც გადაარჩინა. ვინაიდან სამარცხვინო და ყველასთვის ხელმისაწვდომი ქალი

²⁰⁹ იხ.: ლკ. 7. 37-38, ინ. 12. 3.

დაითანხმა, რომ მიკრულიყო ერთ მამაკაცს და ის, ვინც იქამდე თავად ბუნებას შეურაცხყოფდა... ესოდენ საძაგელი სიამოვნებისა და საქმიანობისგან თავშეკავებაზე დაიყოლია და შვილების პატივსაცემ დედად აქცია“ (Святитель Кирилл 2006ა: 33-34). წმინდა ირინეოს ლიონელი შრომაში: „ერესების წინააღმდეგ“ ამბობს, რომ სწორედ გომერის მსგავსი ცოდვილი ხალხისგან²¹⁰ შედგა წარმართთა ეკლესია, რომელიც ღვთის ძესთან კავშირით განიწმინდა. ამ უკანასკნელ მოვლენას წმინდა ირინეოსი მეძავი დედაკაცის ოსე წინასწარმეტყველთან რჯულიერი კავშირით განწმენდას ადარებს (БКОЦ 2010: 3). აღნიშნული ფაქტის დასამოწმებლად მას პავლე მოციქულის სიტყვები მოაქვს: „...განწმინდების ცოლი იგი ურწმუნოდ ქმრისა მისგან მორწმუნისა...“²¹¹.

დავუბრუნდეთ ოსეს **სიმბოლურ ქმედებასთან** დაკავშირებული ბიბლიური ტექსტის განმარტებას:

„...და²¹² შვილნი სიძვისანი...“²¹³.

ზემოაღნიშნული შესიტყვება ორგვარი მნიშვნელობით შეიძლება გავიგოთ: 1. აქ იგულისხმება წინასწარმეტყველისა და მისი სასძლოს საერთო შვილები; 2. მოტანილი მუხლი აღნიშნავს გომერის მეძავობის პერიოდში გაჩენილ შვილებს. ეგზეგეტთა უმეტესობა პირველ თვალსაზრისს ემხრობა, მაგ.: წმინდა ეფრემ ასური (Святой Ефремъ 1995ბ: 90), ნეტარი თეოდორიტე (Блаженный Феодорит 2006ა: 251), ეპ. პალადი (პიანკოვი) (Епископ Палладий 2006ა: 2), ვ. ს. იავორსკი (Яворский 2006: 58) და სხვ. ზოგიერთი განმმარტებელი მეორე მოსაზრებას იზიარებს, მაგ.: მთავარეპ. იოანე (სმრინოვი) (Архиепископ Иоанн 2006ა: 11), ი. ბროდოვიჩი (Бродович 2006: 26-27) და სხვ. ვფიქრობთ, რომ ერთი თალსაზრისი მეორეს არ გამორიცხავს.

„...რამეთუ სიძვით ისიძვიდეს ქუეყანაჲ უკუანაგან უფლისა“²¹⁴²¹⁵.

²¹⁰ წმინდა მამა, რა თქმა უნდა, მონაწილეებს გულისხმობს.

²¹¹ 1 კორ. 7. 14. ქორწინება ერთობას ნიშნავს. ასე რომ, ოსეს **სიმბოლური ქმედებიდან** გამომდინარე ჩნდება კითხვა: რა საერთო აქვს ნათელს ბნელთან? სიძვარტეს სიცრუესთან? სიწმინდეს უწმინდურებასთან? ამ ანტინომიის შეერთება შესაძლებელია ერთი პირობით: წმინდა უერთდება არაწმინდას, რათა განწმინდოს. ამ გაგებით პავლე მოციქული წარმართთა მოციქულია (იხ. რომ. 11. 13). სიმბოლურად ასე შეიძლება გავიგოთ ოსეს ქორწინება, როგორც უფლის მცდელობა განწმინდოს ერი. აღნიშნული საკითხის შესახებ ვრცლად ქვემოთ ვისაუბრებთ.

²¹² აღნიშნულ ადგილზე Vulgata Clementina-ში ჩართულია სიტყვები: „fac tibi“ (სიტყვ. „გააჩინე შენთვის“), რაც სრულად შეესაბამება მომდევნო მუხლებში გადმოცემულ აზრს (იხ. ოს. 1. 3, 6, 8). იგივე ვითარებაა სლავურ ბიბლიაში: „рѣди“.

²¹³ ოს. 1. 2.

²¹⁴ მდრ.: LXX: „ἀπο ῥπισθεν τοῦ κυρίου“; MT: „רַחֵם יְהוָה“; VUL: „a Domino“, სლავ.: „შ რѣди“; KJV: „departing from the LORD“; რუს.: „отступив от Господа“. ახალქართულში წერია: „განუდგა უფალს“.

განსახილველ მუხლში გაცხადებულია ოსეს მეძავ დედაკაცთან ქორწინების საზრისი. კომენტატორთა თანახმად, კერპთმსახურება, როგორც წარმართულ ღვთაებებთან უწმინდური კავშირი, ბიბლიის მრავალ ადგილზე „სიძვად“²¹⁶ იწოდება (Святой Ефремъ 1995ბ: 91); (Епископ Палладий 2006ა: 2); (Толковая Библия 1910: 92). ჩრდილოეთის სამეფოს მოსახლეობა სულიერი სიძვის, კერპთმსახურების ამ დამღუპველი სენით იყო შეპყრობილი. ნეტარი თეოდორიტეს განმარტებით, უფალმა ოსეს გარყვნილი ქალის მოყვანა უბრძანა, რათა ამ ქმედებით ერის უღვთოება ემხილა და უფლის სულგრძელება ეჩვენებინა (Блаженный Феодорит 2006ა: 252). წმინდა კირილე ალექსანდრიელის თანახმად, „სიძვას მიცემული მიწის“ სახელის ქვეშ სწორედ ისრაელში მცხოვრები ბომონთა თაყვანისმცემელი ებრაელთა ათი ტომი მოიაზრება: „ღმერთი წინასწარმეტყველს ესაუბრება არა მიწის მომავალ მეძაოვებაზე, არამედ – უკვე არსებულზე“²¹⁷. ვინაიდან დანსა და ბეთილში განთავსებულნი იყვნენ ხბორები, აშენებული იყო ბაალის საკერპოები და ისრაელი ემსახურებოდა კერპებს სამარიის²¹⁸ მთელ ქვეყანაში“ (Святитель Кирилл 2006ა: 36). იმავე აზრს გამოთქვამს ნეტარი იერონიმეც (Блаженный Иероним 2006ა: 157)²¹⁹.

ამრიგად, ოსეს მეძავზე ქორწინება სიმბოლო იყო ღვთისა და ჩრდილოეთის ათი ტომისაგან შემდგარი სამეფოს მკვიდრთა კავშირისა. ოსე უფალს განასახიერებდა, ხოლო მისი მეუღლე – ისრაელიანებს, რომელიც ბომონებს დამონებოდა.

²¹⁵ ოს. 1. 2.

²¹⁶ ოს.: ლევიტ. 17. 7; 1 ნემტ. 5. 25; ეზეკ. 16. 15, 33.

²¹⁷ ოსეს წიგნის პირველი თავის მეორე მუხლში ზმნას „ისიძვიდეს“ მომავლის ფორმა აქვს (შდრ.: LXX: „ἐκπορευέσθαι“, VUL: „fornicabitur“, სლავ.: „соедѣднѣтъ“), მაგრამ, წმინდა კირილე ალექსანდრიელის განმარტებით, ოსეს თანამედროვე ისრაელიანთა კერპთმსახურებას გულისხმობს (Святитель Кирилл 2006ა: 35). უნდა აღინიშნოს, რომ ბიბლიაში აღწერილი მოვლენები, რომლებიც გარკვეულ ჟამს უკავშირდებიან, ხშირად საპირისპირო დროის ფორმის ზმნებით გადმოიცემიან, მაგ.: ესაია წინასწარმეტყველი მაცხოვრის სამომავლო ვნებას გადმოსცემს წარსულზე თხრობის ფორმით: „...ვითარცა ცხოვარი, კლვად მიიგუარა...“ (ეს. 53. 7), დავით მეფსალმუნე ასე აღწერს ჯვარცმული მაცხოვრის კვართზე წილისყრას: „განიყვეს სამოსელი ჩემი მათ შორის და კუართსა ჩემსა ზედა განიგდეს წილი“ (ფსალმ. 21. 19) და ა. შ.

²¹⁸ ამ შემთხვევაში, წმინდა მამა „სამარიის“ სახელის ქვეშ მოიაზრებს ჩრდილოეთის მთელ სამეფოს.

²¹⁹ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წმინდა ეფრემ ასური განსხვავებულ თვალსაზრისს წარმოადგენს. მისი ეგზეგეზის თანახმად, ოსეს წიგნის განსახილველ სიტყვებში მოიაზრება გაუდაბურებულ ისრაელის სამეფოში ასურელთა მიერ გადმოსახლებული წარმართების კერპთმსახურება (Святой Ефремъ 1995ბ: 91). აღნიშნული ხალხი აღთქმულ მიწაზე უფლისთვის საძაგელ მსახურებას რომ აღასრულებდა, ამას „მეოთხე მეფეთა“ წიგნი ამოწმებს: „და ქმნნეს ნათესავად-ნათესავად ღმერთნი თავთა თვსთავს და დასხნეს სახლებსა მას მაღალთასა, რომელნი ქმნნეს სამარიტელთა მათ თითოეულად ნათესავთა მათ ქალაქთა თვსთა, რომელთა შინა დამკვდრებულ იყვნეს... და ეშინოდა უფლისაგან და ჰმსახურებდეს ღმერთთა თვსთა მსგავსად წესისა მის ნათესავთა მათ, რომელნი მოსპნა ღმერთმან მიერ“ (4 მეფ. 17. 29, 33).

წმინდა კირილე ალექსანდრიელი ზემოთ მოტანილი მუხლის ერთ დეტალზე ამახვილებს ყურადღებას, კერძოდ: ჩრდილოეთის სამეფო მიეცა სიძვას „უკუანაგან უფლისა“. წმინდა მამის განმარტებით, აღნიშნულ გამოთქმაში ისრაელიანთა მიერ შემოქმედისადმი მორჩილების შეწყვეტა და საუფლო მცნებების უარყოფა იგულისხმებოდა: „სიძვა ჩაიდინა მან (ისრაელის მოსახლეობამ, ც. ჩ.)... უკუანაგან უფლისა²²⁰, რაჟამს მისი მორჩილება შეწყვიტა“ (Святитель Кирилл 2006ა: 36). ზემოთ აღნიშნული აზრის ნათელსაყოფად წმინდა კირილეს ოსეს წიგნიდან კიდევ ერთი მუხლი მოაქვს, სადაც ღვთის მიერ ზეგარდმო მოვლენილი კანონების უღალატო აღსრულებისკენაა მოწოდება: „შემდგომად უფლისა ვიდოდი“²²¹.

„და წარვიდა და მოიყვანა გომერ, ასული დებელაიმისი...“²²².

ნეტარი იერონიმე გვამცნობს გომერისა და დებელაიმის სახელთა მნიშვნელობებს. წმინდა მამა სიტყვა גומר-ს (Gomer) თარგმნის, როგორც „დასრულებული, სრულყოფილი“, ხოლო דיבלים-ს (Divlayim) – „პასტილები“²²³ (Блаженный Иероним 2006ა: 158). ნეტარი იერონიმე აღნიშნულ სახელთა მნიშვნელობებს სიმბოლურად იაზრებს და ისრაელიანთა დაცემულ სულიერ მდგომარეობას უკავშირებს: „ამრიგად, სიძვის უკიდურეს საზღვარს მიღწეული ისრაელიც, ეს სიამეთმოყვარეობის უსრულყოფილესი ასული... ოსეს მოჰყავს ცოლად...“ (Блаженный Иероним 2006ა: 158-159).

ასე რომ, ოსე უფლის ბრძანებით მეძავ დედაკაცზე დაქორწინდა და მასთან შვილები გააჩინა. მათი სახელები ისრაელიანთა ურჯულოების მხილებასა და ცოდვების შედეგად მოვლენილი სასჯელის უწყებას ემსახურებოდა. წინასწარმეტყველმა როგორც პირველ ძეს, ისე მომდევნო ასულსა და ვაჟს უფლის ბრძანებით მისცა სახელები.

„...მიუდგა და შვა ძე. და ჰრქუა მას უფალმან: უწოდე სახელი მაგისი იეზრაელ, ამისთვის რამეთუ მცირედლა აწ და შური-ვიძიო სისხლისა იეზრაელისა სახლსა ზედა იუდაისსა²²⁴ და დავაცხრვო მეფობაჲ სახლისა ისრაელისაჲ“²²⁵.

²²⁰ შდრ. ბერძნ.: „Ἀπὸ πίστεως τοῦ κυρίου“ (PG 1864ბ: 36) - სიტყვ.: „უფლის უკნიდან“.

²²¹ ოს. 11. 10; შდრ.: LXX: „ὄπισθω κυρίου πορεύσομαι“, MT: „וַיֵּלֶךְ אַחֲרַיִם“, VUL: „post Dominum ambulabunt“.

²²² ოს. 1. 3.

²²³ შდრ. ბერძნ. παλαίμας.

²²⁴ შდრ. Vat. gr. 1209: „Ἰουδᾶ“ (ბიბლიის ა. რაღფის გამოცემაში, რომელიც წინამდებარე ნაშრომში LXX-ით აღინიშნება წერია: **Iou**); სლავ.: „Иудаїѣ“ (აღნიშნულ იკითხვის მიყვება იტალიური და არაბული ტექსტები. მას ნეტ. ავგუსტინეც უჭერს მხარს). „იეჰუ“ ან „იუ“ წერია: MT: „יהו“; VUL: „Hieu“; KJV: „Jehu“; რუს.: „Ииуева“; ახალქართ.: „იეჰუს“ (ამ იკითხვის სირიული ტექსტიც მიყვება. იგივე ვითარებაა იმ

იეზრაელი იყო ისრაელის მეფე აქაბის ერთ-ერთი რეზიდენცია. ნეტარი იერონიმე მას ისრაელის სამეფოს მთავარ ქალაქს უწოდებს (Блаженный Иероним 2006ა: 159). აღნიშნულ ადგილას მდებარეობდა სამეფო სასახლე, მახლობლად კი – იმავე სახელწოდების ხეობა. აქ რჩეულ ერს მრავალი მნიშვნელოვანი ბრძოლა გადაეხადა²²⁶. ქალაქ იეზრაელში ისრაელის დედოფალ იეზაბელის ბრძანებით მოკლეს ნაბუთე, რის შედეგადაც მეფე აქაბი მის ვენახს დაეუფლა²²⁷. აქაბის სახლის მრავალ ურჯულოებას უფლისმიერი სასჯელი მოჰყვა. მათთან მიევიწყა მხედართმთავარი იუ, რომელსაც, ღვთის ბრძანებით, ისრაელის მეფობისათვის ეცხო ზეთი. მას ევალეობდა აქაბის სახლის განადგურება და კერპთმსახურების სრული ამოძირკვა ისრაელიდან. იუმ აქაბის სამეფო დინასტია გაწყვიტა, თუმცა იუდეის მეფესა და მის ოჯახსაც გადასწვდა. გარდა ამისა, გააუქმა რა ბაალის მსახურება, დაიტოვა დანსა და ბეთილში განთავსებული ოქროს ხბორები²²⁸.

იუს ქმედებები საკმაო საფუძველს იძლევა, რათა დავასკვნათ, რომ იგი პირადი ინტერესებით მოქმედებდა. ამრიგად, აღნიშნული პიროვნება გულისწადილის აღსრულებისათვის უფლის ნებას ერთგვარ „ფარად“ იყენებდა. ამ ყოველივეს შედეგად, კერპთმსახურება კვლავაც გაგრძელდა იუს დინასტიაში. წმინდა ეფრემ ასური ამბობს: „იუს ბრალი სამართლიანობის ღალატში ედებოდა, როდესაც აქაბის შვილებთან ერთად მოკლა ოქოზია, განსაკუთრებით კი იმაში, რომ აქაბის გზებით თავადაც დადიოდა“ (Святой Ефремъ 1995ბ: 91).

ზემოხსენებული წინასწარმეტყველების თანახმად, უფალი ჯერ იუს დინასტიის მეფობას გააუქმებდა, საბოლოოდ კი განადგურებდა ისრაელს, რომელიც თანაზიარი იყო კერპთმსახურებისა და სხვა უღმერთობისა. მთავარეპ. იოანეს (სმირნოვის) თქმით, სახელმწიფოს სათავეში იუს დინასტიის გაუქმების შემდეგ ფაქტობრივად ჩრდილოეთის სამეფოს განადგურება დაიწყო, რაც დასრულდა დაახლოებით 50 წლის შემდგომ. იერობრამ II-ის შემდეგ გამეფდა ზაქარია, რომელიც ექვსი თვის თავზე სელემმა მოკლა

ტექსტში, რომელსაც განსახილველი ბიბლიური ეპიზოდის განმარტებისას ეყრდნობოდა ნეტარი თეოდორიტე (PG 1864დ: 1557). ნეტარი იერონიმეს მიხედვით, სამოცდაათთა თარგმანში აღნიშნული წაკითხვა გადამწერთა შეცდომის შედეგად ფიქსირდება (Блаженный Иероним 2006ა: 159). წმინდა კირილე ალექსანდრიელის თქმით, ბიბლიის მკვლევარისთვის სასარგებლოა ორივე იკითხვისის საღვთისმეტყველო შინაარსის შესწავლა (Святитель Кирилл 2006ა: 36).

²²⁵ ოს. 1. 3-4.

²²⁶ იხ.: მსაჯ. 4. 13, 6. 33, 7. 1; 1 მეფ. 29. 1 და სხვ.

²²⁷ იხ. 3 მეფ. თ. 21.

²²⁸ იხ. 4 მეფ. 10. 29.

და ისრაელის ხელმწიფე გახდა, ეს უკანასკნელი მონარქი სხვა დინასტიიდან იყო. ამის შემდგომ ისრაელში საშინელი ანარქია დაიწყო. ჩრდილოეთის სამეფოს მეფეთაგან მხოლოდ მანაელი გარდაიცვალა თავისი სიკვდილით²²⁹. ამიტომაც, ხსენებული კომენტატორის თანახმად, იუს სახლის მეფობის დასასრული ჩრდილოეთის სახელმწიფოს განადგურების ტოლფასი იყო. ისრაელის მომავალი ისტორია მხოლოდ ამ მოვლენის ეტაპობრივი განხორციელება გახლდათ (Архиепископ Иоанн 2006ა: 12). ოსესა და გომერის პირველ შვილს ზემოაღნიშნული მოვლენები უნდა გაეხსენებინა ისრაელიანთათვის და შეეგონებინა, რომ უფალი დაუსჯელად არც მათ ურჯულოებას დატოვებდა. აქაბისა და იუს დინასტიების მთავარი დანაშაული კერპთმსახურება იყო, რაც ისრაელის უპირველეს საზრუნავს წარმოადგენდა. ასე რომ, აქაბის სახლის დასჯის არსებითი მიზეზი იუს დინასტიის მეფობისა და ისრაელის სახელმწიფოს გაუქმების მთავარი ფაქტორი გახდა.

„და იყოს მას დღესა შინა, შევმუსრო მშულდი ისრაჴლისი ღელესა²³⁰ მას იეზრაელისსა“²³¹.

ი. ბროდოვიჩისა და ვ. ს. იავორსკის თანახმად, „მშვილდი“ ძველ აღთქმაში განასახიერებს სამხედრო ძალასა და სამეფო ძლევამოსილებას (Бродович 2006: 48); (Яворский 2006: 76)²³². შესაბამისად, „ისრაელის მშვილდის შემუსვრა“ მისი საომარი ძალის განადგურებას ნიშნავს, რაც ესოდენ ეიმედებოდათ ჩრდილოეთის სახელმწიფოს ხელისუფალთ. წმინდა კირილე ალექსანდრიელის განმარტებით, აქ საუბარია ასურეთის მეფეების, აზაელისა და ადერის²³³, ლაშქრობებზე ისრაელში (Святитель Кирилл 2006ა:

²²⁹ იხ. 4 მეფ. თ. 15.

²³⁰ იგულისხმება ხევი – ღრმა ხეობა; შდრ.: LXX: „...ἐν τῇ κοιλάδι τοῦ Ιεζραელ“, სლავ.: „...во ѿдолиі ѿезраѣлевѣ“. აღნიშნულ ადგილზე „ხეობა (ველი)“ წერია მასორეტულ ტექსტში: „וּבְאֵימֵן הַבְּרָכָה“; შდრ.: VUL: „in valle Hiezrahel“; KJV: „in the valley of Jezreel“; რუს.: „в долине Изреель“; ახალქართ.: „იზრეელის ველზე“.

²³¹ ოს. 1. 5.

²³² იხ.: დაბ. 49. 24; იერ. 49. 35; 1 მეფ. 2. 4; ეს. 21. 17.

²³³ ამ შემთხვევაში, წმინდა კირილე ალექსანდრიელი ოსეს წიგნის I თავის მე-5-ე მუხლს განმარტავს მე-4-ე მუხლის მასორეტული ტექსტის იკითხვისთან მიმართებით (იხ. სქოლიო 224). აღნიშნული ეგზეგეზის მიხედვით აქ უფრო წარსულ მოვლენაზეა მითითება, ვიდრე წინასწარმეტყველება. ამ ვარაუდის გამოთქმის საშუალებას გვაძლევს შემდეგი გარემოება: ოსეს წინასწარმეტყველების დასაწყისი იერობრამ II-ის მეფობას ემთხვევა. ხოლო მოვლენა, რაზეც წმინდა კირილე საუბრობს ქრონოლოგიურად მიეკუთვნება იუს მის იოაქაზის ზეობის პერიოდს (წმინდა მამას მოაქვს „მეოთხე მეფეთას“ XIII თავის მე-3-ე მუხლი: „და განრისხნა უფალი გულისწყრომით ისრაჴლსა ზედა და მისცნა იგინი ჳელთა აზაელ მეფისა ასურთადას და ჳელთა მისა ადერისთა (შდრ. LXX: „սִׁימֹן אֲדֵר“). წმინდა კირილე ეყრდნობა ისეთ ტექსტს, რომელშიც აღნიშნულ ადგილზე სִׁימֹן („მისა“) არ წერია (PG 1864b: 37), მისა აზაელისა...“). თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ისრაელის ტერიტორიები დამპყობლისგან სრულიად განთავისუფლდა იერობრამ II-ის მეფობის დროს (იხ. 4 მეფ. 14. 25).

38-39). აღნიშნული ეგზეგეტის თანახმად, აზაელმა სწორედ იეზრაელის ხეობაში გამართულ ბრძოლაში დაამარცხა ისრაელიანები (Святитель Кирилл 2006ა: 45). ნეტარი იერონიმე ფიქრობს, რომ მოტანილ მუხლში საუბარია ასურელთა და ისრაელიანთა საბოლოო ბრძოლაზე (ძვ. წ. 722 წ.), რომელიც იეზრაელის ხეობაში ამ უკანასკნელთა მარცხით დასრულდა (Блаженный Иероним 2006ა: 160). წმინდა მამას მხარს უჭერს ბიბლიის მკვლევართა გარკვეული ნაწილი, მაგ.: მთავარეპ. იოანე (სმირნოვი) (Архиепископ Иоанн 2006ა: 11), ი. ბროდოვიჩი (Бродович 2006: 48) და სხვ. მათი თქმით, მართალია, წმინდა წერილი არაფერს გვამცნობს აღნიშნულ ადგილზე ბრძოლის შესახებ, მაგრამ ეს სავსებით შესაძლებელი იყო. ამ მოსაზრებას მკვლევრები შემდეგი არგუმენტებით ამართლებენ: 1. იეზრაელის ხეობა ერთგვარ კარს წარმოადგენდა მთელი ქვეყნის დასაუფლებლად. 2. ის საკმაოდ ხელსაყრელი გარემო იყო ეზრაელთათვის მტერთან გასამკლავებლად. როგორც ზემოთ აღნიშნა, ამავე ადგილზე რჩეულ ერს მრავალი ბრძოლა ჰქონდა გადახდილი. ამიტომ გამორიცხული არ არის, რომ ასურელთაგან საბოლოო მარცხი ისრაელმა სწორედ იეზრაელის ხეობაში იწვნია. ბოლო დროის კომენტატორთა უმრავლესობას (კ. ფ. კეილი, ვ. ნოვაკი, კ. ა. ტოტერმანი, ი. ბახმანი, ა. სიმსონი და სხვ.) განსხვავებული აზრი აქვს. მათი თქმით, ისრაელისთვის ყველა ის ადგილი, სადაც „იეზრაელის სისხლი“ ანუ ურჯულოების სასჯელი მიეზღვება, ალეგორიულად აღნიშნულ სახელს (იეზრაელი) ატარებს (Бродович 2006: 48); (Яворский 2006: 77).

„და მიუდგა მერმე და შვა ასული. და ჰრქუა მას უფალმან: უწოდე სახელი მისი „არა შეწყალებულ“²³⁴, რამეთუ არღა შევსძინო მერმე შეწყალებად სახლსა მას ზედა ისრაელისასა, არამედ წინააღდგომით წინა-აღუდგე მათ“²³⁵.

ოსეს გომერთან ამჯერად ასული შეეძინა, რომელსაც „არშეწყალებული“, ებრაულად **לֹרֻחָמָה** (**Lo-rukhamā**) დაარქვა. ამ სახელს უნდა გაეცხადებინა ისრაელიანთა მომავალი მდგომარეობა. ჩრდილოეთის სამეფოს მკვიდრნი, ეს ღვთისმებრძოლი ხალხი, უფლისმიერი შეწევნის გარეშე შეიძლებოდა დარჩენილიყო. ამრიგად, შვილს ეწოდა „არშეწყალებული“, რადგან უფალი წყალობას ისრაელის მიმართ აღარ მოიღებდა.

²³⁴ შდრ. LXX: „Ὁὐκ-ἠλεημένῃ“; VUL: „Absque misericordia“; სლავ.: „непомилована“; MT: „לֹרֻחָמָה“; შემდეგ ტექსტებში ებრაული სახელი უთარგმნელად გადმოვიდა: KJV: „Loruhamah“; რუს.: „Лорухама“; ახალქართულში „ლორუხამას“ გვერდით ამ სახელის მნიშვნელობაც წერია: „ლორუხამა (არშეწყალების)“.

²³⁵ ოს. 1. 6.

აღნიშნული ადგილი ბიბლიის კომენტატორთა მიერ გააზრებულია, როგორც წინასწარმეტყველება ისრაელის განადგურებაზე (Епископ Палладий 2006ა: 6); (Бродович 2006: 54); (Толковая Библия 1910: 94). წმინდა კირილეს თქმით, ეს იყო უწყება თეგლათფალსარსა და სალმანასართან განცდილი მარცხისა და მათ მიერ განხორციელებული ისრაელიანთა გადასახლებების შესახებ (Святитель Кирилл 2006ა: 48). ოსეს ასულის სახელი ასაჩინობდა ჩრდილოეთის სამეფოს მკვიდრთა მომავალ ხვედრს. თუ პირველი შვილის სახელი გადმოსცემდა უფლისმიერი შურისგების მიზეზს, მეორე – მის შედეგს წარმოაჩენდა. ისრაელი, შესცოდა რა, მოაკლდა ღვთის წყალობას და მტრების წინაშე მარტოდმარტო დარჩა. ამჯერად, წმინდა კირილეს თქმით, მას თავად შემოქმედი „უპირისპირდებოდა“²³⁶ (Святитель Кирилл 2006ა: 48). ამგვარ მდგომარეობაში ჩავარდნილი ხალხი მხოლოდ შემუსვრილი გულიდან უფლისადმი აღვლენილი ლოცვით და ღმერთთან შერიგებით თუ გადარჩებოდა, „რამეთუ რაღ-იგი ღმერთსა წმიდასა უზრახავს, ვინ განაქარვოს? და კელი მისი მაღალი ვინ მოაქციოს“²³⁷? წმინდა კირილე ალექსანდრიელის თანახმად, ოსეს ასულის სახელი ებრაელ ხალხს კეთილ სამსახურს გაუწევდა: გამოიძიებდნენ რა ამ სახელის დარქმევის მიზეზს, ისინი მოიქცეოდნენ კეთილი საქმეებისაკენ, რითაც შესაძლებლობა მიეცემოდათ, ღვთის რისხვა აეცილებინათ და უფლის წყალობა მოემუშაკებინათ (Святитель Кирилл 2006ა: 47-48). ნეტარი იერონიმეს განმარტებით, თავად ბავშვის სქესიც მიუთითებდა ისრაელიანთა სისუსტეზე: იშვა „ასული, ანუ სუსტი სქესის ქალი, რომლის შერცხვენა მტრებს ადვილად შეეძლოთ და იწოდება „არშეწყალებულად“. ვინაიდან ტყვეობაში წაიყვანეს, რადგან უფალმა არ შეიწყალა“ (Блаженный Иероним 2006ა: 161).

„ხოლო ძენი იუდაჲსნი შევიწყალნე და ვიკსნნე იგინი უფლისა მიერ ღმრთისა მათისა. არა ვიკსნნე იგინი მშვლდითა, არცა მახვლითა, არცა მბრძოლითა, არცა მკედრებითა“²³⁸.

ჩრდილოეთის სამეფოსაგან განსხვავებით, უფალი იუდეას წყალობას ჰპირდებოდა. ეკლესიის მამათა განმარტებით, აქ საუბარი იყო იერუსალიმზე სენაქირიმის თავდასხმის შესახებ (Святитель Кирилл 2006ა: 48); (Блаженный Иероним 2006ა: 162); (Блаженный Феодорит 2006: 254). წმინდა წერილის მოწმობით, ასურელთა

²³⁶ შდრ. ოს. 1. 6: „...წინააღდგომით წინა-აღუდგე მათ“.

²³⁷ ეს. 14. 27.

²³⁸ ოს. 1. 7.

ლამქარში მყოფი ასოთხმოცდახუთიათასი კაცი ანგელოზმა ერთ ღამეში გაანადგურა²³⁹. იმ დროს, როდესაც დაეცა ისრაელის სამეფო (ძვ. წ. 722 წ.), მაშინ იუდეის სახელმწიფო სასაწაულეზრად გადარჩა (დაახლ. ძვ. წ. 713 წ.). სამხრეთის სამეფოს არ დაუმარცხებია ასურელთა არმია სამხედრო ძალით, რჩეული ხალხი ღმერთმა დაიფარა და გადაარჩინა.

„და განეყენა სძესა არაშეწყალებული იგი. და მიუდგა მერმე და შვა ძმ. და უწოდა „არა ერი ჩემი“²⁴⁰, რამეთუ თქუნ – არა ერი ჩემი და მე არა ვარ თქუნენ“²⁴¹.

ღვთის წყალობის დაკარგვას შემოქმედისაგან სრული გაუცხოება მოჰყვა. მესამე შვილის სახელს ისრაელიანებისთვის ის საშიშროება უნდა ეუწყებინა, რაც შემოქმედისგან მიტოვებით გამოიხატებოდა. ოსემ მესამე შვილს „არა-ერი-ჩემი“, ებრაულად **לֹא אִמִּי (Lo-ammi)** დაარქვა. განუდგნენ რა ჭეშმარიტებას, ჩრდილოეთის სამეფოს მკვიდრნი უფლის ერად ყოფნის პატივის, ღვთივრჩეულობის დაკარგვის საშიშროების წინაშე იმყოფებოდნენ²⁴². წმინდა კირილე ალექსანდრიელის თქმით, მას შემდეგ, რაც ასურეთის მეფეებმა, თეგლათფალსარმა და სალმანასარმა, მიდიასა და სპარსეთში გადაასახლეს ისრაელის მოსახლეობა, ებრაელებმა კერპთაყვანისმცემლობა გააგრძელეს და მთელი არსებით დემონურ მსახურებას მიეცნენ. აღნიშნული საქციელის გამო, წმინდა მამის განმარტებით, მათ დაკარგეს „უფლის ერად“ წოდების პატივი (Святитель Кирилл 2006а: 51-52).

ნეტარი იერონიმე ოსეს შვილების სახელთა სიმბოლიკას შემდეგნაირად გადმოსცემს: „ის, ვინც იწოდებოდა ღვთის მემკვიდრედ (იეზრაელი²⁴³, ც. ჩ.), ქალად გადაიქცა („არაშეწყალებული“, ც. ჩ.), ღვთის განრისხებისა და ძალების სისუსტის გამო

²³⁹ შდრ.: 4 მეფ. 19. 35: „და იყო, მას ღამესა გამოვიდა ანგელოზი უფლისაჲ მიერ და მოსრა ბანაკისა მისგან ასურთაჲსა ას ოთხმოცდახუთი ათასი კაცი. და აღიმსთუეს განთიადსა მას, და, აჰა, იხილეს ეგეოდენი იგი გუამი მომკუდარი“; ეს. 37. 36: „და გამოვიდა ანგელოზი უფლისაჲ და მოსრა ბანაკისა მისგან ასურასტანელთაჲსა ას ოთხმოცდახუთი ათასი კაცი. და აღდგეს განთიად და პოვეს ყოველი გუამები მკუდარი“.

²⁴⁰ შდრ. LXX: „Οὐ-λαός-μου“; VUL: „Non populus meus“; სლავ.: „не моѣи мои“; MT: „לֹא אִמִּי“; შემდეგ ტექსტებში ებრაული სახელი უთარგმნელად გადმოვიდა: KJV: „Loammi“; რუს.: „Лоамми“; ახალქართულ ბიბლიაში „ლოყამის“ გვერდით ამ სახელის მნიშვნელობაც წერია: „ლოყამი (არა ჩემი ერი)“.

²⁴¹ ოს. 1. 8-9.

²⁴² შდრ. 4 მეფ. 17. 18: „და განრისხნა უფალი ისრაელსა ზედა და განიშორნა უფალმან იგინი პირისაგან თვისისა და არა დაშთეს, გარნა ნათესავი იგი ხოლო იუდაისი“.

²⁴³ ებრაული სიტყვა **יִזְרְעֵל (Yizre'el)** ზმნა **זָרָא (Zara)**; თესვა და არსებითი სახელი **זֶרַע (El)**; ღმერთი) შედგება. წმინდა კირილე ალექსანდრიელის განმარტებით, **יִזְרְעֵל** ნიშნავს: „ნათესი (ან წარმონაშობი) ღვთისა“, „ჩამომავლობა (ძე) ღვთისა“ (ბერძნ. **σπορά θεῶν**). აღნიშნული ებრაული სიტყვის მნიშვნელობაზე დაყრდნობით წმინდა მამები ოსეს პირველ შვილს, იეზრაელს სახეობრივად ღვთის ძეს, იესო ქრისტეს უკავშირებენ (Святитель Кирилл 2006а: 41, 49); (Блаженный Иероним 2006а: 157, 160).

ტყვეობაში იქნა წაყვანილი, რადგან ის არ იყო ღვთისგან შეწყალებული და იწოდებოდა მუშპუთი გამოკვებილად²⁴⁴, რადგან მას სიმამაცე ჰქონდა დაკარგული. ის, ვინც რძით გამოიკვებება, ტოვებს დედას, აღარ იკვებება მშობლის რძით, არამედ უცხო საკვებით განიმტკიცებს თავს. ამიტომ, იქნა რა დატოვებული ღვთისგან, ისრაელი, ტყვეობაში ჩავარდნილი და ბაბილონში უწმინდური საკვების მიმღები, იწოდება „არა ღვთის ერად“ და ისჯება უცხო ერის დაქვემდებარებით, ამრიგად, იწოდება „არა ჩემ ერად“ და საუკუნოდ უარიყოფება“ (Блаженный Иероним 2006ა: 162).

ზემოთ მოტანილი ბიბლიური მუხლის შემდგომ ოსეს წიგნი გრძელდება ებრაელთა ბაბილონის ტყვეობიდან დაბრუნებისა და კვლავ უფლისაკენ მოქცევის წინასწარმეტყველებით. ოსეს თქმით, ებრაელი ხალხი უფალთან კავშირს შეკრავს და კვლავ „ღვთის ერად“ და „შეწყალებულად“ წოდების ღირსი გახდება.

უფალი ბრძანებს: „და ვიტყვდი წინადაწარმეტყველთა მიმართ და ხილვანი განვამრავლენ და ჰელთა წინადაწარმეტყველთასა მივემსგავსე“²⁴⁵, „ამრიგად – განმარტავს აღნიშნულ მუხლს ნეტარი იერონიმე – ყველაფერი, რისი აღსრულებაც წინასწარმეტყველებს ებრძანებათ, როგორც პირველსახე, მე (მაცხოვარს, ც. ჩ.) მიკავშირდება“ (Блаженный Иероним 2006ა: 149).

ზემოთ განვიხილეთ ოსეს წინასწარმეტყველების ის მხარე, რომელიც უშუალოდ ებრაელი ხალხის ისტორიასთან იყო დაკავშირებული. ეკლესიის მამები წმინდა წერილის აღნიშნულ ადგილს მრავალმხრივ განმარტავენ.

ნეტარი იერონიმე ოსესა და მისი მამის, ბეერის, სახელთა მნიშვნელობებზე (חֹשִׁיא (Hoshea) – „მხსნელი“; בְּעֵרִי (Bēeri) – „ჩემი ჭა“²⁴⁶) დაყრდნობით წინასწარმეტყველს სახეობრივად იესო ქრისტეს უკავშირებს (Блаженный Иероним 2006ა: 152-153). მამა (ისევე როგორც ძე და სულიწმიდა) არის „წყარო ცხოვრებისა“, რომელმაც იერემიას

²⁴⁴ აღნიშნულ ადგილზე ნეტარი იერონიმე ყურადღებას ამახვილებს მდედრობითი სქესის ებრაულ სიტყვაზე **וַתִּיגְמֹל** (Vattighēmol). იგი მიემართება ოსეს ასულს, რომელიც განასახიერებს მამაკაცური ძალისგან დაშრეტილ ისრაელიანებს.

²⁴⁵ ოს. 12. 11.

²⁴⁶ ნეტარი იერონიმე ჭას განიხილავს, როგორც ცოცხალი წყლის წყაროს, რომელიც არ საჭიროებს მომარაგებას, საპირისპიროდ წყალსატევსა.

უთხრა: „...მე დამიტევს, წყაროდ წყლისა ცხოველისა და აღმოთხარეს თავისა მათისა ჯურღმული²⁴⁷ ჯურღმული, რომლითა ვერ უძლონ დაპყრობად წყლისა“²⁴⁸.

ეგზეგეტიკები გომერს სიმბოლურად უკავშირებენ როგორც ძველი აღთქმის ღვთივრჩეულ ერს (Святитель Кирилл 2006ა: 40-41); (Блаженный Иероним 2006ა: 155-156, 159), ასევე – წარმართებს (БКОЦ 2010: 3); (Блаженный Иероним 2006ა: 149, 157).

წმინდა კირილე ალექსანდრიელი ამბობს: „იუდეველთა სინაგოგა სულიერად მეძავობდა ეგვიპტეში... მაგრამ ღმერთმა მოხედა და წყალობა მისცა ფრიად დამცირებულს, ინება კვლავ უმწიკვლო გაეხადა იგი, ყოვლადწმინდამ და უმანკომ უწმინდური, ასე ვთქვათ, თანამცხოვრებად გარდაქმნა, შვილების დედადაც კი აქცია და სიყვარულის ღირსი გახადა იმიტომ, რომ მისგან იშვა პირმშო ე. ი. იეზრაელი, რაც ნიშნავს: შთამომავალი ღვთისა“ (Святитель Кирилл 2006ა: 40). წმინდა კირილეს სიტყვებს ნეტარი იერონიმეს განმარტება ეხმიანება: „მან (უფალმა, ც. ჩ.) მიიღო სინაგოგა ე. ი. იუდეველი ერი, რომელიც მიცემული იყო სიძვასა და ავხორცობას. მას ეუბნება უფალი ებეკიელის პირით: და შენ, მეძავო, გაიგონე სიტყვა უფლისა, ვინაიდან გაითელა ეგვიპტეში შენი ძუძუები²⁴⁹. ის სისხლში გორაობდა და უკანასკნელ წყვდიადამდე იყო შებილწული, არ ჰქონდა მას სხეულის ისეთი ნაწილი და ორგანო, რომელიც არ იქნებოდა უწმინდური და დამახინჯებული...“ (Блаженный Иероним 2006ა: 155). ოსეს წიგნის განმარტებისას სხვა ადგილზე ნეტარი მამა კვლავ ეხება აღნიშნულ საკითხს. იგი ამბობს, რომ ოსეს მიერ გომერის ცოლად მოყვანის შემდგომ „მისგან პირველი იშვება ძე ღვთისა ე. ი. იეზრაელი“ (Блаженный Иероним 2006ა: 159).

ზემოთ მოტანილი განმარტებები შემდეგნაირად ჯამდება: გომერი განასახიერებდა ებრაელ ხალხს, რომელიც ჩავიდა ეგვიპტეში, მიატოვა უფალი და კერპების თაყვანისმცემელი გახდა. ხოლო ღმერთმა, რომლის სიმბოლოც იყო ოსე, ის „მონობის სახლიდან“ გამოიყვანა და სინას მთაზე რჯულიერად შეაკავშირა თავის თავთან. ოსესა და გომერის ქორწინების შემდგომ ქვეყანას იეზრაელი მოევლინა, ხოლო

²⁴⁷ შდრ. LXX: „ἀκκουζ“ (1. ტბორი, გუბურა. 2. ორმო, თხრილი. 3. წყალსატევი (ნეტ. იერონიმე ჭისა და წყალსატევის შეპირისპირებას აღნიშნული მუხლის მაგალითზე ახორციელებს). 4. ცისტერნა).

²⁴⁸ იერ. 2. 13; შდრ. ინ. 4. 10, 14: „მიუგო იესუ და ჰრქუა მას: უკუეთუმცა იცოდე შენ ნიჭი ღმრთისა და ვინ არს, რომელი გეტყვს შენ: „მეც მე წყალი, რადთა ვსუა“, შენმცა სთხოვე მას, და გცამცა წყალი ცხოველი... რომელმან სუას წყლისა მისგან, რომელი მე მივსცე მას, არღარა სწყუროდის უკუნისამდე, არამედ წყალი, რომელი მე მივსცე მას, იქმნეს მის შორის წყარო წყლის, რომელი ვიდოდეს ცხოვრებად საუკუნოდ“.

²⁴⁹ შდრ. ეზეკ. 23. 3, 21.

სინას მთაზე ებრაელი ხალხისა და უფლის რჯულიერი კავშირის დამყარებიდან მრავალი საუკუნის შემდგომ ძველი აღთქმის ეკლესიის წიაღში იშვა მესია.

მეორე მხრივ, ოსე წინასწარმეტყველის ცოლი ძველი აღთქმის დაცემული კაცობრიობის სახე იყო. მხსნელმა მაცხოვარმა ზომონებს მიდევნებული კაცობრიობა შეარიგა ღმერთთან და ეკლესიაში ერთ სამწყსოდ აქცია. წმინდა ირინეოს ლიონელი ამბობს: „ღმერთი ამგვარი ხალხისგან ისათნობს ეკლესიის შექმნას, რომელიც განსპეტაკდება მის ძესთან კავშირით ისევე, როგორც ის ქალი განიწმინდა წინასწარმეტყველთან კავშირით“ (БКОЦ 2010: 3).

წმინდა კირილე ალექსანდრიელი მასორეტული ბიბლიისა და სეპტუაგინტას ტექსტებს შორის იმ სხვაობაზე ამახვილებს ყურადღებას, რითაც ხასიათდება ოსეს წიგნის პირველი თავის მეოთხე მუხლი (Святитель Кирилл 2006а: 36, 39)²⁵⁰. წმინდა მამა სეპტუაგინტას აღნიშნულ იკითხვისსაც განმარტავს. მისი ეგზეგეზის თანახმად, „იუდასა და ისრაელის სახლებში“ ქრისტეს ჯვარმცემელი ებრაელები მოიაზრებიან, ხოლო „იეზრაელის სისხლში“ მაცხოვრის მკვლელობა იგულისხმება, რომლის წინასახე იყო იმავე ქალაქში აღსრულებული ნაბუთეს მკვლელობა: „რა გააკეთა ღვთისმოდულე იეზაბელმა ე. ი. საკუთარი წინამძღოლების ან სინაგოგის მორჩილმა ბრბომ? მან განდევნა მართალი და წმინდა ნაბუთე ე. ი. *მომსვლელო*²⁵¹ და იგი მოაკვლევინა... ასე რომ, მოძიებულია, როგორც ვთქვი, ქრისტეს სისხლი მთელი ისრაელის ხელიდან. წინასწარმეტყველების წარმოთქმის ჟამს ისინი სხვადასხვა სახელით იწოდებოდნენ, იუდად – იერუსალიმში დარჩენილნი, ხოლო ისრაელად – სამარიაში მცხოვრებნი, ამდენად მთელს ისრაელზე ცხადი მითითებისთვის უნდა ეთქვა, რომ შურს იძიებს იეზრაელის სისხლისთვის *სახლსა ზედა იუდაძსა* და მის მიერ გაუქმდება *მეფობაჲ სახლისა ისრაელისაჲ*“ (Святитель Кирилл 2006а: 43-44). ებრაელმა ხალხმა მხსნელი არ მიიღო და ქრისტე ჯვარზე გააკრა. ისინი ამბობდნენ: „სისხლი მაგისი ჩუენ ზედა და

²⁵⁰ სამოცდაათა თარგმანში „იუს“ ნაცვლად წერია „იუდა“ (იხ. სქოლიო 224).

²⁵¹ ნაბუთე მასორეტულ ტექსტში იწოდება **נִבּוּט**-ად (**Nēvot**). აღნიშნული სიტყვა წარმოდგება ზმნიდან **נִבּוּ** (**Bo**; მოსვლა) და ნიშნავს „მომავალს“, „მომსვლელს“ (შდრ. ბერძნ. **ὁ ἐρχόμενος**), რომელიც წმინდა წერილში არაერთგზის მიემართება მაცხოვარს: „კურთხეულ არს **მომავალი** სახელითა უფლისაჲთა...“ (ფსალმ. 117. 26; შდრ. LXX: εὐλογιμένος **ὁ ἐρχόμενος** ἐν ὀνόματι κυρίου...); „...დაუთმე მას, რამეთუ **მომავალი** იგი მოვიდეს და არა ყოვნოს“ (ამბაკ. 2. 3; შდრ. LXX: ...πρόμεινον αὐτόν ὅτι **ἐρχόμενος** ἔξει καὶ οὐ μὴ χροίσῃ); „შენ ხარა **მომავალი** იგი, ანუ სხუასა მოველოდით?“ (მთ. 11. 3; შდრ. LXX: Σὺ εἶ **ὁ ἐρχόμενος**, ἢ ἕτερον προσδοκᾶμεν). წმინდა კირილე ალექსანდრიელი აქაბისაგან ნაბუთეს ვენახის დაუფლების მცდელობას მათეს სახარებაში აღწერილ „ბოროტი მევენახეების“ შესახებ იგავს უკავშირებს (იხ. მთ. 21. 33-39).

შვილთა ჩუენთა ზედა“²⁵². წმინდა კირილე იეზრაელის ხეობას სიმბოლურად მაცხოვრის საფლავს უკავშირებს. მასში მომხდარი აღდგომით იუდეველთა „ბოროტი, ღვთისმომპულეობითი და სისხლიანი განაზრახი“²⁵³ ჩაიშალა... საფლავში დადებული ისევ გაცოცხლდა, გააუქმა რა მათი ავზრახვა და, ასე ვთქვათ, მშვილდები შეუმუსრა იმით, რომ უკვე არანაირ ვნებას აღარ ექვემდებარება“ (Святитель Кирилл 2006ა: 46).

გომერის მეორე შვილს, როგორც ვიცით, „არშეწყალებული“ ერქვა. წმინდა კირილე ალექსანდრიელი ოსეს ასულის სახელს მაცხოვრის ჯვარმცემლებს უკავშირებს: „იეზრაელის, ღვთის შთამომავლის, დაბადების შემდეგ... გომერს, ანუ სულიერ მეძავობაში აღმოჩენილ იუდეურ სინაგოგას, შეეძინება ასული, ანუ ბრბო, რომელსაც ჯერეულია *არშეწყალებული* ეწოდოს, რადგან ის მონაწილეობდა იეზრაელის, ანუ ქრისტეს მკვლელობაში“ (Святитель Кирилл 2006ა: 49). აღნიშნულ ეგზეგეზას ნეტარი იერონიმეს განმარტება ეხმიანება: „ღვთის მემკვიდრისა და მისი სისხლის გამო შურისგება სიმბოლურად უფლის ვნებებს მიემართება, რომლის მიზეზით იუდას სახლიცა²⁵⁴ და მთელი ისრაელის სამეფო, როგორც ამბობს, უნდა განადგურდეს“²⁵⁵ (Блаженный Иероним 2006ა: 159-160).

დაუპირისპირდა რა ღმერთს, ძველი აღთქმის რჩეული ერი წყალობას მოაკლდა და მტრების წინაშე უფლის შეწევნის გარეშე დარჩა. ისტორიიდან ცნობილია, თუ რა ბედი ეწია ქრისტეს ჯვარმცემლებს: ახ. წ. 70 წელს რომაელმა ჯარისკაცებმა აიღეს იერუსალიმი და იქაურობა მიწასთან გაასწორეს. როგორც ცნობილია, იერუსალიმის ალყის დროს ებრაელი ხალხი დიდ გასაჭირში აღმოჩნდა. ნეტარი იერონიმეს ეგზეგეზის მიხედვით, ამ უკანასკნელთაგან განსხვავებით, ქრისტეს აღმსარებელი იუდეველები, ოსეს წინასწარმეტყველების თანახმად, შეწყალებულ იქნებოდნენ²⁵⁶. ისინი, ნეტარი მამის განმარტებით, „გადარჩნენ არა სამხედრო ძალის მეოხებით, არამედ სახარებისეული ქადაგებით“ (Блаженный Иероним 2006ა: 162).

²⁵² მთ. 27. 25.

²⁵³ იგულისხმება მაცხოვრის მკვლელობის გზით მისი სამწყსოს დაუფლების ჩანაფიქრი. შდრ. მთ. 21. 38: „ხოლო ქუეყანის მოქმედთა მათ ვითარცა იხილეს ძე იგი მისი, და თქუეს გულსა მათსა: ესე არს მკვდრი, მოვედით და მოვკლათ იგი და დავიპყრათ სამკვდრებელი მისი“.

²⁵⁴ როგორც არაერთხელ აღინიშნა, სეპტუაგინტაში, მასორეტულ ტექსტთან განსხვავებით, „იუს“ მაგივრად „იუდა“ წერია. სწორედ ამ უკანასკნელ იკითხვისს ეყრდნობა ნეტარი იერონიმეს ნახსენები განმარტება, იხ. სქოლიო 224.

²⁵⁵ შდრ. ოს. 1. 4.

²⁵⁶ შდრ. ოს. 1. 7.

წმინდა კირილე ალექსანდრიელი „იუდას ძეებს“ სიმბოლურად ქრისტიანებს უკავშირებს, რომელთაც სწამთ იუდას ტომისაგან ხორციელად შობილი ძე ღვთისა. უფალმა ესაიას პირით სწორედ ქრისტიანების შესახებ თქვა: „აჰა-ესერა, მე და ყრმანი, რომელნი მომცნა მე ღმერთმან...“²⁵⁷. წმინდა კირილეს თქმით, ქრისტეს მორწმუნეები არა ამქვეყნიური იარაღით²⁵⁸, არამედ თავად მაცხოვრის ძლევამოსილებით გადარჩებიან (Святитель Кирилл 2006ა: 50). უფალი ჩვენი ხსნისთვის ჯვარს ეცვა და ღვთისმოყვარეებს აძლევს „ველმწიფებასა დათრგუნვად გუელთა და ღრიაკალთა და ყოველსა ზედა ძალსა მტერისასა“²⁵⁹.

ამრიგად, სამხრეთის სამეფოში სიმბოლურად ქრისტიანები იგულისხმებიან. თუ ზემოაღნიშნულ წინასწარმეტყველებას იერუსალიმის ალყასთან დავაკავშირებთ, საინტერესო იქნება ევსები კესარიელის ერთი ცნობა: „იერუსალიმში ომის დაწყებამდე ეკლესიის ერს, ქალაქში სახელგანთქმული კაცების მიმართ გამოცხადების გზით, გადაეცა წინასწარმეტყველება, რომ გასულიყვნენ ქალაქიდან და დასახლებულიყვნენ პერეას ერთ-ერთ ქალაქში, პელაში. როდესაც ქრისტეს მორწმუნეები იქ გადასახლდნენ, ისე, რომ წმინდანებმა (ე. ი. ქრისტიანებმა) სრულიად დატოვეს იუდეის დედაქალაქი და მთელი იუდეის მიწა, ღვთისგან მათ (ე. ი. ჯვარმცემლებს, ც. ჩ.) საბოლოოდ მოევლინა სამართალი, რადგანაც ისინი ქრისტესა და მისი მოციქულების მიმართ ესოდენ ურჯულოდ მოიქცნენ, და უწმინდურთა თვით ეს თაობა კაცთა მოდგმისაგან სრულიად აღგავა“ (ევსები 2007: 90).

წმინდა კირილე ალექსანდრიელის თქმით, ებრაელები, რომელთაც არ მიიღეს ქრისტე, „უკვე სიძვის ჩამდენი სინაგოგის შვილები“ (Святитель Кирилл 2006ა: 52) გახდნენ; ვინაიდან ახალი აღთქმის ეკლესიის გარეთ დარჩნენ. ისინი, წმინდა მამის თქმით, აღარ არიან და არც იწოდებიან ღვთის ერად. უფალი ებრაელებს მიმართავს: „...რამეთუ თქვენ – არა ერთი ჩემი და მე არა ვარ თქუენი“²⁶⁰. აღნიშნული მუხლის განმარტებისას წმინდა კირილე ყურადღებას ამახვილებს სიტყვათა რიგზე. წმინდა მამის თანახმად, აქ ნათლად ჩანს, რომ ძველი აღთქმის ღვთივრჩეული ერის უფლისადმი ღალატს თან სდევდა შემოქმედის მიერ მათი მიტოვება: „როდესაც ღმერთთან კავშირი შეწყვიტა ისრაელმა, მაშინ თავად ყოველთა ღმერთიც განშორდა მას, რაზეც ნათლად

²⁵⁷ ეს. 8. 18.

²⁵⁸ შდრ. 2 კორ. 10. 4.

²⁵⁹ ლუკ. 10. 19.

²⁶⁰ ოს. 1. 9.

მიუთითა, რაჟამს თქვა არა მხოლოდ შემდეგი: *თქუნ – არა ერი ჩემი*, არამედ დასძინა: *და მე არა ვარ თქუენი*“ (Святитель Кирилл 2006ა: 52-53).

ებრაელმა ხალხმა უარყო მხსნელი და ამის შემდგომ რჩეულობა მიიღო სხვა ერმა, „ახალმა ისრაელმა“, ქრისტიანებმა. ოსეს წიგნში წერია: „...და შევიწყალო არაშეწყალებული იგი. და ვპრქუა არა-ერსა ჩემსა: „ერი ჩემი ხარი შენ“ და მან მრქუას: „უფალი ღმერთი ჩემი ხარი შენ“²⁶¹. მოციქული პავლე თავის ერთ-ერთ ეპისტოლეში ახსენებს აღნიშნულ წინასწარმეტყველებას: „...მიწოდნა ჩუენ არა ხოლო თუ ჰურიათაგან, არამედ წარმართთაგანცა? ვითარცა ოსეს შინა იტყვს: უწოდო არა ერსა ჩემსა ერად ჩემდა და არა საყუარელსა ჩემსა საყუარელად“²⁶². წმინდა კირილე ალექსანდრიელის განმარტებით, ქრისტეს განკაცებამდე კაცობრიობა ორად – ძველი აღთქმის ღვთივრჩეულ ერად და წარმართებად – იყოფოდა. ეს უკანაკსკნელნი ბნელში მოარულ მხეცებს ემსგავსებოდნენ, რადგან არ გააჩნდათ ჭეშმარიტი ღვთის შემეცნება და გარყვნილებაში ცხოვრობდნენ (Святитель Кирилл 1887: 345)²⁶³. მესიის წუთისოფელში მოსვლის შემდეგ წარმართებმა ირწმუნეს ჭეშმარიტი ღმერთი და ახალი აღთქმის ეკლესიის წევრები გახდნენ: „ერი, რომელი ვიდოდა ბნელსა, იხილა ნათელი დიდი, და რომელნი დამკვდრებულ იყვნეს სოფელსა და აჩრდილთა სიკუდილისათა, ნათელი გამოუბრწყინდეს მათ ზედა“²⁶⁴. წმინდა ეფრემ ასური მათ შესახებ ამბობს: „წარმართი ხალხი თავიდან, საკუთარი საქმეების მიზეზით, არ იყო ღვთის ერი და უფლისგან შეყვარებული“ (Святой Ефремъ 1995ბ: 91-92). მსგავს განმარტებას გვთავაზობს წმინდა იოანე ოქროპირი: „ვინადთგან არა ცუდ, არცა ლიტონ იყო ღმრთისა მიერ ცხოვნებად წარმართთაჲ, არამედ, რამეთუ ღირს იყვნეს ცხორებისა, ამისდა მოწამედ შემოჰყავს მოციქულსა წინაღმართმეტყუელი ესოდენტა წელთა წინამომასწავლებელი ყოფადისაჲ ამის, რომლითა ღმერთმან ერად შეყუარებულად სახელ-სდვა. რამეთუ ერ უწოდს წარმართთა, ხოლო ეკლესიასა მათსა, რომელ არს შესაკრებელი, შეყუარებულად სახელ-სდებს, რომელი-იგი პირველ არა შეყუარებულ იყო უმეცრებისათჳს ღმრთისა; რამეთუ თვთ ნამდვლვე ესე იგი წარმართნი არიან, მაშინ სადმე უვარის-მყოფელნი, ხოლო აწ

²⁶¹ ოს. 2. 25.

²⁶² რომ. 9. 24-25. შდრ. 1 პეტრ. 2. 10: „რომელნი-ეგე ოდესმე არა ერ, ხოლო აწ ერი ღმრთისაჲ, რომელნი-ეგე ოდესმე არა შეწყალებულ, ხოლო აწ შეიწყალებით“.

²⁶³ იხ. ეს. თ. 9.

²⁶⁴ ეს. 9. 2; შდრ. მთ. 4. 16: „ერი რომელი სხდა ბნელსა, იხილა ნათელი დიდი, და რომელნი სხდეს სოფელსა და აჩრდილთა სიკუდილისათა, ნათელი აღმოუბრწყინდა მათ“.

აღმსარებელნი ღმრთისანი, რომელთა ქრისტიანე ეწოდების“ (სამოციქულოს განმარტება 2006: 101-102). ამრიგად, წარმართები, რომელნიც ეკლესიის გარეთ იმყოფებოდნენ და ერქვათ „არშეწყალებული“ და „არა-ერი-ჩემი“, მიიღეს რა მხსნელი, მაცხოვრებელ წიაღს – ეკლესიას შეუერთდნენ.

ნეტარი იერონიმე ოსეს წიგნის პირველ თავში აღწერილ **სიმბოლურ ქმედებას** მწვალებლებს უკავშირებს. წმინდა მამა ამბობს: „ყველა წინასწარმეტყველთან, და განსაკუთრებით ოსესთან, ათი ტომი ერეტიკოსებს განასახიერებს, რომელიც საზოგადოების საკმაოდ დიდ ნაწილს მოიცავს, ხოლო **ორი ტომი**, იუდად წოდებული და დავითის ტომის სამეფო ძალაუფლების ქვეშ მყოფი, ეკლესიის სახეა. ამრიგად, ერეტიკოსთა მშვილდი, რომლებზეც დაწერილია: *ძენი ეფრემისნი ძლიერნი და მაგრიად მოისარნი, იქცეს ივინი დღესა მას წყობისასა*²⁶⁵, ღვთის მემკვიდრის (ე. ი. იეზრაელის, ც. ჩ.) ხეობაში შეიმუხრება, რომლის შესახებაც ამქვეყნიური და მდაბალი წარმოდგენა ჰქონდათ“ (Блаженный Иероним 2006ა: 160-161). ნეტარი იერონიმეს თქმით, აღნიშნულ „ბრბოს“, რომელიც დაკლებულია უფლის წყალობასა და ზეციურ სამეფოს, ღვთის ეკლესია ამარცხებს. ნეტარი მამის თანახმად, ერეტიკოსებს, რომელნიც მაცხოვრებელი წიაღის გარეთ იმყოფებიან, ჭეშმარიტად განეკუთვნებათ სახელი: „არა-ერი-ჩემი“ (Блаженный Иероним 2006ა: 163).

4.3. მეორე ქორწინება

ოსეს წიგნის მესამე თავში წინასწარმეტყველის მეორე **სიმბოლური ქმედება** აღწერილი.

„და მრქუა მე უფალმან: მერმეცა წარვედ და შეიყუარე დედაკაცი **მოყუარე ბოროტისა**²⁶⁶ და მომრუმღ...“²⁶⁷.

²⁶⁵ ფსალმ. 77. 9.

²⁶⁶ შდრ. LXX: „ἀγαπᾶσαν πορνῆα“; სლავ. „любимую блудницу“. „მეგობრისგან შეყვარებული“ ან „ქმრისგან ყვარებული“ წერია: MT: „אַךְ תִּבְרַח“; VUL: „dilectam amico“; KJV: „beloved of *her* friend“; რუს.: „любимую мужем“. ახალქართულში გვაქვს „ქმრის საყვარელი“.

²⁶⁷ ოს. 3. 1.

ბიბლიის მკვლევართა დიდი ნაწილის მოსაზრებით (ი. ბროდოვიჩი, ფ. რუჟემონი, ვ. ნოვაკი და სხვ.), საქმე ისევ გომერს შეეხებოდა. მან მიატოვა ოსე და გარყვნილ ცხოვრებას დაუბრუნდა. წინასწარმეტყველს თავისი ცოლი ისევ უყვარდა, მაგრამ არ ამჟღავნებდა გრძნობებს. ოსეს უფლისგან ებრძანა, რომ „შეეყვარებინა“, ე. ი. გამოეჩინა სიყვარული გომერის მიმართ და უკან დაებრუნებინა მეუღლე. ასე რომ, აღნიშნული მკვლევრები უარყოფენ, რომ ოსე მეორედ დაქორწინდა (Толковая Библия 1910: 100); (Бродович 2006: 103); (Ружемон 2006: 17-18, 22).

ზემოხსენებულ მკვლევართაგან განსხვავებით, ეკლესიის მამები და ზოგიერთი ბოლო დროის კომენტატორი (ე. ჰენგსტენბერგი, ვ. ფ. კეილი, ა. შოლცი და სხვ.) ოსეს მეორე **სიმბოლურ ქმედებასთან** დაკავშირებულ ქალს პიროვნულად გომერთან არ აიგივებენ (Толковая Библия 1910: 99); (Бродович 2006: 104). ნეტარი იერონიმე ამბობს: „მას (ე. ი. ოსეს, ც. ჩ.) ებრძანება შეიყვაროს კიდევ სხვა მრუში დედაკაცი“ (Блаженный Иероним 2006а: 186); აღნიშნულ თვალსაზრისს იზიარებს წმინდა კირილე ალექსანდრიელიც: „პირველი გარყვნილი და წინასწარმეტყველისაგან უარყოფილი დედაკაცის შემდეგ (ოსეს, ც. ჩ.) ბრძანება ეძლევა, რათა სხვა ცოლი მოიყვანოს...“ (Святитель Кирилл 2006а: 107). აღნიშნულ მოსაზრებას იზიარებს ეპ. პალადიც (Епископ Палладий 2006а: 28).

ნეტარი იერონიმე ბიბლიის იმ ტექსტობრივ მონაცემზე ამახვილებს ყურადღებას, რომ ოსეს წიგნის მესამე თავში საუფლო ბრძანება იწყება სიტყვით „კვლავ“²⁶⁸. ნეტარი მამის განმარტებით, ისევ წასვლისა და დედაკაცის შეყვარების ბრძანება მოწმობს, რომ ოსეს გომერიც უყვარდა (Блаженный Иероним 2006а: 186)²⁶⁹.

განსახილველი თავის პირველი მუხლის მასორეტულ ტექსტში სიტყვა **πονηρᾶ**-ს (ბოროტება) ადგილზე წერია **ῥᾶ** (**Rea**). აღნიშნული ებრაული ტერმინი ნიშნავს: „მეგობარს“, „სატრფოს“ ან „ქმარს“. ვ. ს. იავორსკის ვარაუდით, სამოცდაათი განმმარტებელი ებრაულ ზმნა **ῥᾶ**-ს მასორეტებისაგან განსხვავებული პუნქტუაციით აღადგენდა (**ῥᾶ** (**Ra**), ხოლო სიტყვა **ῥᾶ**-ს მოქმედებითი გვარის ფორმას ანიჭებდა

²⁶⁸ შდრ.: ოს. 3. 1, LXX: „ῥᾶ“; MT: „ῥᾶ“; VUL: „adhuc“.

²⁶⁹ უნდა აღინიშნოს, რომ ოსე გზასაცდენილი ადამიანის გამოსწორების უდიდესი სურვილით იყო განმსჭვალული და მის სიყვარულს ადამიანურ ვნებასთან საერთო არ ჰქონდა.

(**תבנית** (**Ohveth**) – მოყვარე; იგივე ვითარებაა პეშიტაშიც) (Яворский 2006: 165)²⁷⁰. ნეტარი იერონიმე ებრაული ტექსტის კორექტურის არც ერთ ვერსიას არ გამოორიცხავს. იგი ამბობს: „ამ მრუშ ქალს ან უყვარს ბოროტება, ან იგი უყვარს მეგობარსა და ახლობელ ადამიანს...“ (Блаженный Иероним 2006а: 186). უკანასკნელ ვარიანტს მხარს უჭერენ აკვილასა („ἡγαπημένην τῷ πλησίον“ – „ახლობლისგან შეყვარებული“) და სვიმახოსის („ἡγαπημένην σὺν ἑτέρου“ – „სხვისგან შეყვარებული“) თარგმანები.

„ვითარცა უყუარან ღმერთსა ძენი ისრაჴლისანი და იგინი ჰხედვენ კერპთა მიმართ უცხოთა და უყუარს ცხობილი სკიჴისა“²⁷¹⁻²⁷².

კომენტატორთა თანახმად, წინასწარმეტყველი ოსე სიმბოლოურად აღნიშნავდა უფალს, რომელსაც უღირსი ებრაელი ხალხი, ამ უკანასკნელთა ურჯულოების მიუხედავად, უცვალეზლად უყვარდა. უფლის მზრუნველობა რჩეული ერისადმი არ მცირდებოდა, მაგრამ უგუნური და უმადური ხალხის მზერა ცრუ ღმერთებისკენ იყო მიმართული²⁷³. ისინი უსულო ბომონებზე ამყარებდნენ იმედს და მათთვის საამებელი საქმის აღსრულება სურდათ (Святитель Кирилл 2006а: 109); (Блаженный Иероним 2006а: 186); (Толковая Библия 1910: 100).

²⁷⁰ მასორეტული კორექტურის მიხედვით, აღნიშნულ სიტყვას ვნებითი გვარის ფორმა აქვს; შდრ. ოს. 3. 1, MT: „תבנית“ („ყვარებული“).

²⁷¹ წმინდა წერილის კომენტატორთა მიხედვით (წმინდა კირილე ალექსანდრიელი, ნეტარი იერონიმე, ნეტარი თეოდორიტე და სხვ.), „ცხობილი სკიჴისა“ იყო კერპთმსახურებისა და სამსხვერპლო ტრაპეზის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი (Святитель Кирилл 2006а: 110); (Блаженный Иероним 2006а: 187); (Блаженный Феодорит 2006а: 251); (Толковая Библия 1910: 100). ებრაულენოვან ბიბლიაში აღნიშნულ ადგილზე არის შესიტყვება **אֲשִׁישֵׁי אַנָּוִים** (**Ashishe Anavim**; ქიშმიშიანი ნამცხვრები; შდრ.: რუს.: „виноградные лепешки“; ახალქართ.: „ყურძნის კვრები“). სამოცდაათმა განმმართველმა ის თარგმნა, როგორც **πέμματα μετὰ σταφίδων** (ნამცხვრები ჩამიხთან ერთად; შდრ. სლავ.: „варѣнїа съ корїнками“), ხოლო ნეტარმა იერონიმემ – **vinacea uvarum** (ყურძნის ჩენჩოები). ნეტარი მამა ებრაული **אֲשִׁישֵׁי**-ს აკვილასა და სვიმახოსის თარგმანებსაც გვაცნობს. აღნიშნული ტერმინი აკვილამ თარგმნა როგორც **παλαιά** (ძველები), სვიმახოსმა – **ἀκάριπος** (უნაყოფოები). ნეტარი იერონიმეს განმარტებით, აღნიშნული მუხლის სეპტუაგინტაში არსებული სიტყვა **πέμματα** (ნამცხვრები) ლათინურ ენაში შეიძლება ითარგმნოს როგორც **placentae** (კვერი) ან **crustula** (ღვეზელი). წმინდა მამა აკვილას თარგმანზე დაყრდნობით ოსეს **სიმბოლოურ ქმედებაში** ნახსენებ „ყურძნის ჩენჩოებს“ ალეგორიულად ებრაელთა დიდი ხნის ცოდვებს უკავშირებს (Блаженный Иероним 2006а: 187). კომენტატორთა გარკვეული რაოდენობა **אֲשִׁישֵׁי**-ს „ღვინის ფიალებ“-ად კითხულობს (შდრ. KJV: „flagons of wine“). ისინი აქ წარმართული წეს-ჩვეულების მინიშნებას ხედავენ, რაც სამსხვერპლოზე ღვინის დასხმით გამოიხატებოდა (Епископ Палладий 2006а: 25).

²⁷² ოს. 3. 1.

²⁷³ შდრ. ოს. 3. 1: „...და იგინი ჰხედვენ კერპთა მიმართ უცხოთა და უყუარს ცხობილი სკიჴისა“. წმინდა კირილე ალექსანდრიელის ვარაუდით, აღნიშნულ ადგილზე წმინდა წერილი მიგვანიშნებს, რომ ქრისტეს განკაცებისას ებრაელი ხალხის გარკვეული ნაწილი კერპთმსახურების სისამაგლისაგან სრულიად თავისუფალი არ იყო (Святитель Кирилл 2006а: 109-110).

ნეტარი იერონიმე ყურძნის ჩენჩოებს სიმბოლურად დემონებს უკავშირებს. იგი ხაზს უსვამს ჩენჩოების სიხმელესა და პირვანდელი სიამის არქონაზე. ნეტარი მამის განმარტებით, ეშმაკები ღვთივბოძებული ღირსების სიმადლიდან გადმოცვივდნენ, პირვანდელი ნიჭებიდან არაფერი შერჩათ და საღვთო მადლისგან არიან დაშრეტილნი (Блаженный Иероним 2006ა: 186). ნეტარი იერონიმეს ეგზეგეზას წმინდა ეფრემ ასურის განმარტება ეხმიანება. ამ უკანასკნელის თქმით, ოსეს წინასწარმეტყველებაში ნახსენები სამსხვერპლო საკვები სიმბოლურად ოდენ გარეგნულად საამურ დემონურ ცრუ სწავლებას განასახიერებდა (Святой Ефремъ 1995ბ: 95).

„და ვიყიდე²⁷⁴ თავისა ჩემისა ათხუთმეტი ვეცხლი და ოცდაათი საწყაული²⁷⁵ ქრთილი და სამი მარი ღვინო²⁷⁶“²⁷⁷.

ბიბლიის მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა, თუ რას უნდა ნიშნავდეს ებრაული სიტყვა **קָרָא (Kara)**. ძირითადად, ის ითარგმნება, როგორც „თხრა“ ან „ყიდვა“. ი. კურცი აღნიშნულ ზმნას „შეთანხმების“ მნიშვნელობით იგებს, ხოლო აბენ-ეზრა – „გაცნობის“. ე. ჰენგსტენბერგი ებრაულ **קָרָא**-ს „გახვრეტად“ თარგმნის და ფიქრობს, რომ მოტანილ მუხლში ყურის „გახვრეტაზე“ საუბარი (Толковая Библия 1910: 100); (Бродович 2006: 114); (Яворский 2006: 170). ვულგატაში წერია **fodi**, რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს: „ამოვთხარე“.

საინტერესოა, რა მნიშვნელობით ესმოდა **קָרָא** სამოცდაათ განმმარტებელს? სექტუაგინტაში აღნიშნული სიტყვა გადმოცემულია ზმნით **μίσθω**²⁷⁸. ის ნიშნავს „დაქირავებას“. აქედან გამომდინარე, ბიბლიის კომენტატორთა დიდი ნაწილი ებრაულ **קָרָא**-ს თარგმნის, როგორც „დაქირავება“ (Толковая Библия 1910: 100); (Бродович 2006:

²⁷⁴ შდრ. MT: „קָרָא“; KJV: „I bought“; რუს.: „приобрел“. ახალქართულში გვაქვს „ნაყიდი“.

²⁷⁵ მასორეტულ ტექსტში „ოცდაათი საწყაული“-ს ნაცვლად დგას სიტყვა **קְחוּר (Khomer; = დაახ. 0.22 მ³)**. ნეტარი იერონიმეს თქმით, აღნიშნული ტერმინი მთარგმნელებმა, გარდა სამოცდაათი განმმარტებლისა (შდრ. ოს. 3. 2, LXX: „χομορ κριθίν“), გადმოიტანეს ბერძნული და საკუთრივ პალესტინური ტერმინით – **corum** (Блаженный Иероним 2006ა: 187).

²⁷⁶ „სამი მარი ღვინის“ ნაცვლად ებრაულენოვან ბიბლიაში წერია: **מִיֶּזֶבֶת וְיֵיֶזֶבֶת (Lethekh Sëorim; ლეთეხი ქერი (= დაახ. 0.11 მ³))**. ტერმინი **יֵיֶזֶבֶת** ძველ აღთქმაში მხოლოდ აღნიშნულ ადგილზე გამოიყენება), ხოლო სექტუაგინტაში – **νεβელ οἴνου** (ნებელი ღვინისა; **νεβελ** – სამი მარი (ღვინის საწყაო); შდრ. ებრ. **נֶבֶל (Nevel)** – კოკა, დოქი). ნეტარი იერონიმეს განმარტებით, ტერმინი **יֵיֶזֶבֶת** სხვა მთარგმნელებმა გადმოიტანეს სიტყვით **ῥιμκόρον** (ნახევარკორო) (Блаженный Иероним 2006ა: 187).

²⁷⁷ ოს. 3. 2.

²⁷⁸ ოს. 3. 2, LXX: „ἐμισθωσάμην“; შდრ. სლავ.: „мисѣти“.

114); (Яворский 2006: 171). ეპისკოპოსი პალადი (პიანკოვი) ნიშანდობლივად აღნიშნავს, რომ აღნიშნული ქალი კი არ შეუსყიდიათ, არამედ დაიქირავეს (Епископ Палладий 2006ა: 25).

დედაკაცში გადახდილ თანხაში ბოლო დროის განმმარტებელთა ნაწილი სასძლოსთვის გაღებულ გასამრჯელოს ხედავს. მათი აზრით, წინასწარმეტყველმა, ებრაელთა ტრადიციისამებრ, მომავალი ცოლის მშობლებს ძღვენი მიართვა. კ. ფ. კეილი ზემოთ ნახსენებ ფასს საქორწინო საჩუქრად მიიჩნევს, რომელსაც ებრაული ტრადიციით საქმრო მომავალ მეუღლეს უძღვნიდა (Яворский 2006: 172-173)²⁷⁹. დასმულ საკითხთან დაკავშირებით განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ნეტარი იერონიმეს განმარტება. მისი თქმით, თუ ებრაულ ტერმინ **הב**-ს „დაქირავებად“ ვთარგმნით, ზემოაღნიშნული გასამრჯელო შეიძლება ჩავთვალოთ ხორციელი კავშირისაგან თავშეკავების საფასურად (Блаженный Иероним 2006ა: 188). აღნიშნულ ეგზეგეზას წმინდა ამბროსი მედიოლანელის განმარტება ეხმიანება: „უფალმა ოსეს მეძავის ქირაობა დაავალა...“ (БКОЦ 2010: 14). წმინდა მამათა თანახმად, გასამრჯელო უშუალოდ ოსეს მომავალ სასძლოს გადაეცა.

მიუხედავად ტერმინ **הב**-ს ამგვარი გაგებისა, ეკლესიის განმმარტებლები ოსესა და მრუში დედაკაცის ქორწინებას არ უარყოფენ, რასაც თავად ზემოხსენებულ წმინდა მამათა ეგზეგეზა მოწმობს. ნეტარი იერონიმე ოსეს სიტყვებს ასე გადმოსცემს: „ურცხვად არ მიეცე გარყვნილ ცხოვრებას საყვარლებთან და კანონიერ კავშირში არ შეხვიდე ჩემთან – ქმართან, რომლის მიერ ხარ დაქირავებული“ (Блаженный Иероним 2006ა: 188)²⁸⁰. აღნიშნულ ქორწინებას არც წმინდა კირილე ალექსანდრიელი უარყოფს: „ასე რომ, წინასწარმეტყველი გარყვნილ ქალს ქირაობს... პირობას აძლევს, რომ თუ ის უბიწოების დაცვას და მზერის მიმართვას მხოლოდ მისკენ (წინასწარმეტყველისკენ, ც. ჩ.) გადაწყვეტს, ეს უკანასკნელიც იქნება მასთან, ე. ი. ცოლ-ქმრულ კავშირში...“ (Святитель Кирилл 2006ა: 110). წმინდა ამბროსი მედიოლანელი ამბობს: „წინასწარმეტყველ ოსეს მიმართ ითქვა: წაიყვანე მრუში ქალი თხუთმეტ დინარად... ცოლად მოიყვანება ეს ქალი...“ (Святитель Амвросий 2015: 137, 139).

²⁷⁹ იხ. დაბ. 34. 12; გამოსლ. 22. 16; 1 მეფ. 18. 25 და ა. შ.

²⁸⁰ შდრ. ოს. 3. 3.

„ვერცხლი“²⁸¹ მეტად დაბალი ღირებულების ფულის ერთეული იყო²⁸². ბიბლიის კომენტატორთა მიხედვით (მთავარეპ. იოანე (სმირნოვი), კელი, ნოვაკი და სხვ.), დედაკაცში გადახდილი ფასი არ აღემატებოდა მონის საყიდლად დადგენილ თანხას (Архиепископ Иоанн 2006ა: 28-29); (Яворский 2006: 172)²⁸³. საკუთრივ ქერი კი, რომელიც, განმმარტებელთა მიხედვით, ქალს გარკვეული დროით საკვებად უნდა გამოეყენებინა (Святитель Кирилл 2006ა: 114); (Блаженный Иероним 2006ა: 189); (Толковая Библия 1910: 100), პირუტყვის საზრდელს წარმოადგენდა. მისგან მეტად დაბალი ხარისხის პური მზადდებოდა. რჯულის თანახმად, მრუმობის ცოდვის გამოაშკარავების წესის შესრულებისას მღვდელი მეუღლის ღალატში ბრალდებულ ცოლს ქერისგან დამზადებულ ფქვილს ხელში გადასცემდა²⁸⁴. ნეტარი იერონიმეს განმარტებით, აღნიშნული წესი მრუში პიროვნების შინაგან პირუტყვულ მდგომარეობაზე მიანიშნებდა. უფალი ბრძანებს: „ნუ იყოფით ვითარცა ცხენი და ჯორი, რომელთა თანა არა არს გულისკმა“²⁸⁵. ნეტარი იერონიმეს თქმით, სამოცდაათთა თარგმანში მდგარი „ნებელი ღვინისა“ სასჯელის სისრულეზე მიანიშნებდა. აღნიშნული მოსაზრების ნათელსაყოფად წმინდა მამა იერემიას წიგნის XXV თავში აღწერილ მოვლენებს გვახსენებს, სადაც წინასწარმეტყველი წარმართ ერებსა და იუდეის მკვიდრთ უფლის რისხვის აღმნიშვნელ ღვინით სავსე ფიალას „ასმევს“ (Блаженный Иероним 2006ა: 189-190).

ასე რომ, წმინდა წერილში ოსეს მიერ დედაკაცისთვის გაღებული სასყიდელი ორი სახით: ფულით (თხუთმეტი „ვერცხლი“) და ნატურით მიეთითება. ამასთან, ეს უკანასკნელი ორ ნაწილად იყოფა: 1. „ოცდაათი საწყაული“ (ან „ხომერი“) ქერი და 2. „სამი მარი“ ღვინო (ან „ნებელი“ ღვინისა, გნებავთ, „ლეთეხი“ ან „ნახევარკორი“ ქერი).

წმინდა ეფრემ ასური დედაკაცში გადახდილ „თხუთმეტ ვერცხლს“ ალეგორიულად მოღვაწეთა სამ იერარქიას უკავშირებს: მღვდლებს, წინასწარმეტყველებსა და მეფეებს. წმინდა მამის თქმით, სწორედ ეს სამი იერარქია იყო მოწოდებული დაეცვა ღვთივრჩეული ერი რელიგიურ-ზნეობრივი გარყვნილებისაგან (Святой Ефремъ 1995ბ: 95).

²⁸¹ შდრ. ებრ. קֶסֶף (**Kesef**) – ვერცხლი, ფული.

²⁸² იბ. დაბ. 23. 15.

²⁸³ მონის საფასური ოცდაათი „ვერცხლი“ იყო (იბ. გამოსლ. 21. 32).

²⁸⁴ იბ. რიცხვ. თ. 5.

²⁸⁵ ფსალმ. 31. 9.

„და ვარქუ მას: დღეთა მრავალთა შჯდე შენ ჩემ თანა და არა ისიძვო, არცა იყო სხვსა ქმრისა და მე შენდამი“²⁸⁶.

ოსემ დედაკაცი სახლში წაიყვანა და მასთან მეუღლეობრივ კავშირზე უარი თქვა²⁸⁷. ქალს აეკრძალა ხორციელი ურთიერთობა ნებისმიერ მამაკაცთან, მათ შორის, თავად წინასწარმეტყველთანაც. პირობის აღსრულების სანაცვლოდ ოსე დედაკაცის ერთგული იქნებოდა. წმინდა მამათა თანახმად, სწორედ ამას ნიშნავდა სიტყვები: „და მე შენდამი“²⁸⁸ (Блаженный Иероним 2006ა: 188); (Святитель Кирилл 2006ა: 110). თუ ქალი სიწმინდეს დაიცავდა, გარკვეული დროის შემდეგ წინასწარმეტყველი მასთან მეუღლეობრივ კავშირს დაამყარებდა (Святитель Кирилл 2006ა: 111); (Блаженный Феодорит 2006: 262).

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ მოტანილი მუხლის ებრაულენოვან ბიბლიაში არ წერია სიტყვა „სხვა“²⁸⁹. ნეტარი იერონიმეს ეგზეგეზის თანახმად, ეს ტექსტობრივი მონაცემი იმთავითვე საფუძველს გვართმევს ვიფიქროთ, რომ ზემოხსენებულ დედაკაცს ოსეს მიერ თავშეკავებისთვის დაწესებულ პერიოდში ცოლ-ქმრული კავშირი ჰქონდა (Блаженный Иероним 2006ა: 188).

მომდევნო მუხლში ოსეს **სიმბოლური ქმედება** განიმარტება:

„ამისთვის დღეთა მრავალთა სხდენ ძენი ისრაჴლისანი და არა იყოს მეფჴ, არცა მთავარი, არცა იყოს შესაწირავი, არცა საკურთხეველი, არცა მღდელობად, არცა გამოცხადებად“²⁹⁰“²⁹¹.

²⁸⁶ ოს. 3. 3.

²⁸⁷ იმ კომენტატორთა მოსაზრების თანახმად, რომლებიც გომერსა და ოსეს მეორე ცოლს პიროვნულად აიგივებენ (ი. კურცი, ი. ბროდოვიჩი და სხვ.), წინასწარმეტყველმა ქალს გარკვეული ვადით ერთგვარი ეპიტიმია განუწესა შემდეგი სასჯელის სახით: მრუშობით დაავადებულ დედაკაცს ეკრძალებოდა ყოველგვარი ხორციელი ურთიერთობა, მათ შორის, თავად ხსენებულ წმინდანთანაც კი (Толковая Библия 1910: 101); (Бродович 2006: 116-117).

²⁸⁸ შდრ. ოს. 3. 3, LXX: „και ἐγὼ ἐπι σοί“; MT: „וְאֲנִי אֶחְדָּךְ“. ვულგატაში წერია: „და მე შენ დაგელოდები“ (შდრ. ლათ.: „et ego expectabo te“). იავორსკის ვარაუდით, მასორეტულ ტექსტთან ყველაზე ახლოს დგას რუსული სინოდალური თარგმანი: „ასევე მეც ვიქნები შენთვის“ (შდრ. რუს.: „также и я буду для тебя“). მისი თქმით, აღნიშნულ წინადადებაში ოსეს მიერ დედაკაცთან გარკვეული დროით ხორციელი კავშირისაგან თავშეკავება იგულისხმება. ბოლო დროის კომენტატორთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ სწორედ ეს აზრი გამომდინარეობს ზემოთ მოტანილი მასორეტული ტექსტიდან (Яворский 2006: 177); (Толковая Библия 1910: 101); (Бродович 2006: 121-122).

²⁸⁹ შდრ. ოს. 3. 3, MT: „שׁוֹאֵל וְאֵיךְ אֶשְׂאֵל“ („და არ იყო კაცთან“).

²⁹⁰ შდრ. LXX: „οὐδὲ ἱερατείας οὐδὲ δῆλων“; სლავ.: „ни жречествъ, ниже ивѣнїемъ“; „უეფოდოდ და უთერაფიმოდ“ წერია: MT: „וְאֵין עֹפֹד וְאֵין תֵּרָפִים“; VUL: „et sine ephod et sine therafin“; KJV: „and without an ephod, and without teraphim“; რუს.: „без ефода и терафима“. ახალქართულშიც იგივე ვითარებაა.

²⁹¹ ოს. 3. 4.

ოსეს მეორე სიმბოლური ქმედება განასახიერებდა ებრაელი ერის სასჯელს. ისინი განუდგნენ უფალს და ამიტომ სამოცდაათწლიანი ტყვეობით დაისაჯნენ. ებრაელი ერი შემოქმედმა მიატოვა. ბაბილონის ტყვეობაში მათ გააცნობიერეს უცხოტომელთა ღმერთების ამოება, ამიტომ კერპების თაყვანისცემას თავი დაანებეს. ქალისთვის მეუღლეობრივი კავშირის აკრძალვა ებრაელების მიერ უფალთან კავშირის დაკარგვას მოასწავებდა. დედაკაცის მიერ ჩვეული მრუმობისაგან თავის შეკავება სიმბოლურად აღნიშნავდა ღვთივრჩეულ ერში წარმართული ღვთაებების თაყვანისცემის შეწყვეტას. დედაკაცისთვის გადახდილი გასამრჯელო სიმბოლურად იმ მონურ მდგომარეობას განასახიერებდა, რომელშიც აღმოჩნდა ებრაელი ხალხი. აღნიშნული სასჯელი ღვთივრჩეულ ერზე სინანულის გზით გამოსწორებისთვის დაწესდა. ეპისკოპოსი პალადი ამბობს: „როგორც მრუმი დედაკაცი ცხოვრობდა ღვთის წინასწარმეტყველთან, მისი ზედამხედველობის ქვეშ, თუმცა მისი სიყვარულით ვერ სარგებლობდა, ისე ისრაელის ერი იმყოფებოდა ღვთის მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ, იყო რა ტყვეობაში; მაგრამ, როგორც უწმინდური და ჯერაც გამოუსწორებელი, ღვთის სიყვარულით ვერ სარგებლობდა“ (Епископ Палладий 2006а: 27). ნეტარი თეოდორიტეს განმარტებით, უფალს ბაბილონის ტყვეობაში ებრაელებზე ზრუნვა არ შეუწყვეტია, თუმცა ამ ყოველივეს აშკარად და ცხადად არ ახორციელებდა (Блаженный Феодорит 2006: 263).

ტყვეობის პერიოდში რჩეული ერი მოაკლდა ყველა სიკეთეს, რომელიც ებრაელი ხალხისთვის უფლისგან იყო დაწესებული. ღვთივრჩეული ერი წინამძღოლის გარეშე დარჩა, დაკარგა ტამარი, ანუ საღვთისმსახურო ადგილი. წმინდა ეფრემ ასურის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ეფოდით შემოსველი“ (Святой Ефремъ 1995ბ: 96) აღარავინ ჩანდა. სამსხვერპლოს არქონის მიზეზით გადასახლებაში ღვთისმსახურება არ აღესრულებოდა. ნეტარი თეოდორიტეს ეგზეგეზის თანახმად, მღვდელთა და წინასწარმეტყველთა ქადაგებას ჩვეულ ებრაელ ხალხს ღვთის ნება არ ეცხადებოდა (Блаженный Феодорит 2006: 263). დანიელის წიგნში აღნიშნულ წინასწარმეტყველებას აზარიას გალობაც ეხმიანება: „და არა არს ჟამსა ამას მთავარ და წინაღწარმეტყუელ და წინამძღუარ, არცა საკუერთხნი, არცა მსხუერპლი, არცა შესაწირავი, არცა საკუმეველი, არცა ადგილი შეწირვად შენ წინაშე და პოვნად წყალობისა“²⁹².

²⁹² დან. 3. 38.

ებრაულენოვანი ბიბლიის ტექსტში წარმოდგენილი **Ἐφοδ** (Efod) და **Ἐραφίμ** (Terafim) სამოცდაათმა განმმარტებელმა თარგმნა როგორც **ἱερατεία** (მღვდლობა) და **ἄμφω** (გამოცხადება)²⁹³. ევოდი სამღვდელმთავრო შესამოსლის ატრიბუტი გახლდათ, რომელზეც, ებრაელ ტომთა რაოდენობის მიხედვით, თორმეტი ქვა ოთხ რიგად იყო განთავსებული. აღნიშნული შესამოსლის ფუნქციას შეადგენდა მღვდელმთავრისადმი უფლისმიერი მსჯავრის უწყება. ზემოთ მოტანილ მუხლში ებრაულ ტერმინ **Ἐραφίμ**-თან დაკავშირებით ნეტარი იერონიმე ამბობს: „თერაფიმებს საკუთრივ უწოდებენ **μυστήρια**²⁹⁴, რაც ნიშნავს სახეებსა და გამოსახულებებს, რომლებიც აღნიშნულ ადგილზე ჩვენ შეგვიძლია ვუწოდოთ ქერობინებსა და სერაბინებს ან ტაძრის შესამკობად განკუთვნილ სხვა მორთულობას“ (Блаженный Иероним 2006ა: 190). ნეტარი თეოდორიტეს ეგზეგეზის მიხედვით, ოსემ ღვთისგან მომავლის უწყებას „გამოცხადება“ უწოდა, რადგან **ურიმისა და თუმიმის**²⁹⁵ მეშვეობით უფალი მღვდელმთავარს სამერმისოთა ცოდნას აზიარებდა (Блаженный Феодорит 2006: 263). ამრიგად, რჩეულმა ერმა ურჯულოების შედეგად უფალთან კავშირი დაკარგა და ებრაელი ხალხი წინამძღვრის გარეშე დარჩა.

„და ამისა შემდგომად მოიქცენ ძენი ისრაჴლისანი და ეძიებდენ უფალსა ღმერთსა მათსა და დავითს მეფესა მათსა. და განკვრდენ უფლისა მიმართ და კეთილთა მისთა მიმართ უკუანადსკნელთა დღეთა“²⁹⁶.

ბაბილონის ტყვეობა დიდი სულიერი სარგებლის მომტანი გახდა. ებრაელმა ხალხმა დაინახა უსულო კერპების ამაოება და უფლისაკენ მოიქცა. ბიბლიური ისტორიიდან ცნობილია, რომ 70-წლიანი ტყვეობის შემდეგ რჩეული ერი სრულიად განთავისუფლდა წარმართული კულტმსახურების სიბილწისაგან. მას შემდეგ, რაც ებრაელებს სპარსეთის მეფე კიროსმა სამშობლოში დაბრუნების ნება მისცა, მათ სოლომონის დარღვეული ტაძარი აღადგინეს და უფლის დიდებას განუკუთვნეს თავი. ზემოთ მოტანილ მუხლში დავითის სახელის ქვეშ, წმინდა ეფრემ ასურისა და ნეტარი თეოდორიტეს განმარტებით, ზორობაბელი იგულისხმებოდა, რომელიც წარმოშობით

²⁹³ იხ. სქოლიო 290.

²⁹⁴ **τὸ μυστήριον** – გარეგნობა, ხატება ან ფორმა.

²⁹⁵ შდრ. ლევიტ. 8. 8: „გამოცხადებად იგი ქვემარტებისად“ (აღნიშნულ ადგილზე ახალქართულში წერია: „ურიმი და თუმიმი“).

²⁹⁶ ოს. 3. 5.

იუდას ტომიდან იყო (Святой Ефремъ 1995ბ: 96); (Блаженный Феодорит 2006ა: 263). სიტყვები „უკუანადსკნელთა დღეთა“ 70-წლიანი ტყვეობის დასასრულზე მიანიშნებდა. ნეტარი იერონიმეს თქმით, ამგვარადვე განმარტავდა აღნიშნულ მუხლს ზოგიერთი იუდეველი რაბინი (Блаженный Иероним 2006ა: 192). ნეტარი თეოდორიტეს თანახმად, ბაბილონიდან დაბრუნების შემდეგ ებრაელები გაერთიანდნენ ერთი წინამძღვრის ზორობაბელის მეთაურობით, „და მის დროს ღვთივმოცემული სიკეთეებით ტკბებოდნენ“ (Блаженный Феодорит 2006ა: 263).

წმინდა მამები ზემოთ წარმოდგენილ სიმბოლურ ქმედებას მესიანისტური თვალთახედვითაც განმარტავენ.

ძველი აღთქმის რჩეულმა ერმა, რომლის წიაღშიც მხსნელი უნდა მოვლენილიყო, ღვთისმსახურებას კერპების თაყვანისცემა ამჯობინა. ამიტომ სულიერი თვალთახედვით ებრაელი ხალხი მრუმ დედაკაცს დაემსგავსა. დადგა ჟამი, როდესაც წუთისოფელში მესია უნდა მოვლენილიყო. პავლე მოციქულის თანახმად, იუდეველებმა, „...რომელთაჲ იყო შვილებაჲ და დიდებაჲ და აღთქუმანი და სჯულის-დებანი და მსახურებანი და მითხრობანი; რომელთაგან იყვნეს მამანი და რომელთაგან ქრისტე ჯორციელად...“²⁹⁷ არ მიიღეს მხსნელი, რის შემდეგაც სახარება წარმართებს ექადაგა. ოსეს მზრუნველობა მრუმ დედაკაცზე ებრაელებისადმი უფლისმიერი სიყვარულისა და ზედამხედველობის სიმბოლო იყო. ნეტარი იერონიმე ამბობს: „უნდა აღინიშნოს, რომ ეს მრუში (დედაკაცი, ც. ჩ.) იუდეველთა დღევანდელ მდგომარეობას განასახიერებს, რომელთაც ღმერთი არ ჰყავთ, წმინდა წერილის ცოდნა და სულიწმიდის მადლი არ გააჩნიათ, მაგრამ რომლებიც, ყოველთა გადარჩენის მომლოდინესა და მონანულთა კარის გამღებს, უფალს უყვარს. მიუხედავად ამისა, მათ უსარგებლო საგნები, კაცობრივი გადმოცემები და ფანტაზიები, უყვართ, მაგრამ ყურძენი, ღვინო და ყურძნის წვენით სავსე საწნახელი არ გააჩნიათ და მათ წილ ძველი ყურძნის ჩენჩოები აქვთ, რაც გადასაგდება“ (Блаженный Иероним 2006ა: 187).

წინასწარმეტყველმა მრუში დედაკაცი სახლში მოიყვანა, მაგრამ მასთან მეუღლეობრივი კავშირი არ იქონია. უბრძანა, რომ ხორციელი ურთიერთობა არავისთან ჰქონოდა. თუ ქალი ოსეს ბრძანებას შეასრულებდა, წინასწარმეტყველი დედაკაცთან მეუღლეობრივ კავშირს დაამყარებდა. წმინდა კირილე ალექსანდრიელის განმარტებით,

²⁹⁷ რომ. 9. 4-5.

მაცხოვრის ამალეების შემდეგ იუდეველებს „...ღმერთი უქმროდ დარჩენას უბრძანებს. მაგრამ თუ ის მრუშობას თავს დაანებებს, ანუ ისევ უცხო ღმერთების თაყვანისმცემელი არ გახდება, მას ოდესღაც კავშირის აღდგენას ჰპირდება, ცხადია, მას შემდეგ, რაც (ამ კავშირში, მთარგმნ. შენ.) წარმართთა სიმრავლე შევა“ (Святитель Кирилл 2006ა: 111). აღნიშნული განმარტება ესაიას წინასწარმეტყველებას ეხმიანება: „და მოვიდეს სიონისათვის მკსნელი და გარე-მოაქციოს უღმრთოებისაგან იაკობი, თქუა უფალმან. და ესე არს მათა მიმართ ჩემ მიერ აღთქუმაჲ, იტყვს უფალი...“²⁹⁸.

რისი სიმბოლოა „თხუთმეტი ვეცხლი და ოცდაათი საწყაული ქრთილი და სამი მარი ღვინო“²⁹⁹?

წმინდა კირილე ალექსანდრიელის ეგზეგეზის თანახმად, „ვერცხლი“ იუდეველ მოძღვართა სწავლებას განასახიერებს (Святитель Кирилл 2006ა: 111-112). მათ ესაია ეუბნებოდა: „ვეცხლი თქუენი მრლუე არს...“³⁰⁰. წმინდა მამის განმარტებით, „თხუთმეტი ვერცხლი“ შეიძლება დავუკავშიროთ მოსეს რჯულს, რომელიც ერთდროულად სრულყოფილიცაა და არასრულყოფილიც. რჯული სრულყოფილია, რაჟამს მას სულიერად ვიაზრებთ, რადგან ქრისტეს საიდუმლოებებს გვემეტყველება, ხოლო არასრულყოფილია მაშინ, როდესაც ადამიანის გონება სიტყვის მიღმა ვერ აღწევს. წმინდა კირილეს ეგზეგეზის თანახმად, რიცხვი ათი სრულქმნილების სიმბოლოა³⁰¹, ხოლო ხუთი, როგორც მისი ნახევარი, შეიძლება არასრულყოფილზე მიუთითებდეს³⁰². წმინდა მამა „თხუთმეტის“ სხვა სიმბოლურ გააზრებასაც გვთავაზობს. აღნიშნული რიცხვი თავის თავში შვიდსა და რვას აერთიანებს. შვიდი წმინდა წერილში, ძირითადად, ძველი აღთქმის სიმბოლოა, ხოლო რვა – ახლისა, რომელიც მაცხოვრის მკვდრეთით აღდგომას უკავშირდება (Святитель Кирилл 2006ა: 112-113)³⁰³. წმინდა მამა დასკვნის სახით შემდეგს აღნიშნავს: „და აქამდე ისრაელი, როგორც ვთქვი, საკუთარი

²⁹⁸ ეს. 59. 20-21; შდრ. რომ. 11. 25-27: „...სიბრმე ჟამად-ჟამად შეჰყვა ისრაელსა, ვიდრემდე სავსებაჲ იგი წარმართთაჲ შემოჰდეს და ესრეთ ყოველი ისრაელი ცხონდეს, ვითარცა წერილ არს: მოვიდეს სიონით მკსნელი, და მოაქციოს უღმრთოებისაგან იაკობი. და ესე არს ჩემმიერი იგი მათდა მიმართი აღთქუმაჲ, რაჟამს მოვსპნე ცოდვანი მათნი“.

²⁹⁹ ოს. 3. 2.

³⁰⁰ ეს. 1. 22.

³⁰¹ შდრ. ლკ. 19. 17: „ჰრქუა მას: კეთილ, სახიერო მონაო, რამეთუ მცირედსა ზედა სარწმუნო იქმენ, იყავ შენ ჯელმწიფე ათთა ზედა ქალაქთა“.

³⁰² შდრ. მთ. 25. 15: „და რომელსამე მისცა ხუთი ქანქარი და რომელსამე ორი ქანქარი და რომელსამე ერთი, კაცად-კაცადსა მსგავსად ძალისა თვისისა, და მეყსეულად წარვიდა“.

³⁰³ შდრ.: ეკლ. 11. 2: „ეც ნაწილი შვდთაცა და რვათაცა...“; მიქ. 5. 5: „...და აღდგენ მის ზედა შვდნი მწყემსნი და რვანი წყლულეზანი კაცთანი“.

მომღვრების მცდარი სწავლებებით ან რჯულის უშინაარსო ასოთი კვებას განაგრძობს, თუმცა ის (ე. ი. რჯულის სიტყვები, ც. ჩ.) შეიცავს კიდევაც მას, რაც მერვე დღეს მიემართება ე. ი. ქრისტეს საიდუმლოებებს“ (Святитель Кирилл 2006ა: 113-114).

ნეტარი იერონიმეს განმარტებით, რიცხვი **თხუთმეტი** გვახსენებს ებრაელთა „მონობის სახლიდან“ გამოსვლას (იმავე ეგზეგეზას ვხვდებით ზემოაღნიშნული მუხლის წმინდა ეფრემ ასურისეულ განმარტებაში, თუმცა წმინდა მამა **თხუთმეტს** ებრაელების აღთქმულ მიწაზე შესვლის დღესთანაც აკავშირებს (Святой Ефремъ 1995ბ: 95-96). ნისანის თვის ამავე რიცხვში ეგვიპტელთა პირმშობები ამოწყდნენ, ხოლო ებრაელებისა – სასჯელს გადაურჩნენ. აღნიშნული მოვლენის შედეგად იუდეველთა პირმშობისთვის ტამარში დაწესდა გამოსასყიდი. ნეტარი მამის განმარტებითვე, 1 ხომერი 30 მოდიას³⁰⁴ შეიცავს, შესაბამისად, 1.5 ხომერი 45 მოდიას. სწორედ 45 დღე იარეს ისრაელიანებმა ეგვიპტიდან სინას მთამდე. რჯულის მიღებამდე ებრაელებს მეუღლეობრივი კავშირისაგან თავშეკავება ებრძანათ. სინას მთასთან მისვლიდან სამი დღის შემდეგ მოსე მასზე ავიდა და მიიღო ათი მცნება. ამრიგად, იუდეველი ხალხი, რომელიც ერთგვარად თხუთმეტი ვერცხლისა და ორმოცდახუთი მოდიის ქერით შეისყიდა, მეუღლესთან ანუ ღმერთთან კავშირის აღდგენას ელოდება (Блаженный Иероним 2006ა: 188-189).

„სამი მარი ღვინო“ (ან „ნებელი ღვინისა“) ისრაელიანთა გონებრივ სიბრმავეზე მიანიშნებდა. მათზე ესაია წინასწარმეტყველებდა: „სმენით გესმოდის და არა გულისკმა-ჰყოთ; და ხედვით ხედვიდეთ და არა იხილოთ“³⁰⁵. წმინდა კირილე ალექსანდრიელის განმარტებით, აღნიშნული სიტყვები სიმთვრალის მდგომარეობას ასახავს. ამ დროს ადამიანს, ხედვისა და სმენის ორგანოების სიჯანსაღის მიუხედავად, გარემოს სათანადოდ აღქმა არ შეუძლია. ამრიგად, ისრაელიანებმა უარყვეს მესია და მათი გონება ძველი აღთქმის „საფარველქვეშ“ დარჩა. იუდეველთა ამჟამინდელი ყოფა პირუტყვულ ცხოვრებას ემსგავსება. ამ სულიერი მდგომარეობის სიმბოლოა დედაკაცის სასყიდლად გაღებული ქერი (Святитель Кирилл 2006ა: 114). წმინდა ეფრემ ასურის ეგზეგეზის თანახმად, ამ საკვებით წინასწარმეტყველი სახეობრივად წარმოადგენდა რჯულის სწავლებას, რომელიც ქრისტეს მოსვლამდე ებრაელთათვის უღლად იყო განწყობილი (Святой Ефремъ 1995ბ: 96).

³⁰⁴ **modius** – თხევად და ფხვიერ ნივთიერებათა საზომი ერთეული (= დაახ. 0,007 მ³).

³⁰⁵ ეს. 6. 9.

იუდეველმა ერმა კაცობრიობის მხსნელი, დიადი მეფე და ჭემმარიტი მღვდელმთავარი, ცათა სასუფევლისკენ მეწინამძღვრე უფალი იესო ქრისტე ჯვარს აცვა. ამ ურჯულო ქმედების გამო ებრაელი ხალხი დაისაჯა, ღვთის რჩეულ ერად წოდების პატივი დაკარგა და მთელს ქვეყანაზე გაიფანტა. მას აღარ შეუძლია რჯულის მოთხოვნების შესრულება, რადგან სოლომონის ტაძარი გადამწვარია, ხოლო სამსხვერპლო – დანგრეული. ამრიგად, უფლისგან მიტოვებული „უბედური სინაგოგა“ (Блаженный Иероним 2006ა: 191), როგორც უწოდებს ებრაელ ერს ნეტარი იერონიმე, მსგავსად ზემოხსენებული მრუში დედაკაცისა, „იკვებება ქერით და ზის ნაღვლიანი, რადგან ქრისტესთან დგომა არ შეუძლია“ (Блаженный Иероним 2006ა: 191).

ოსეს წიგნის განსახილველი თავის უკანასკნელი მუხლი ებრაელი ერის მომავალს გვიცხადებს, წინასწარმეტყველებაა, რომელიც თავის აღსრულებას ელის. დავით მეფეში იგულისხმება მისი ტომისგან გამომავალი მესია, რომლის ძებნასაც შეუდგება ძველი აღთქმის რჩეული ერი და მისადმი რწმენით განიმსჯვალება. წმინდა კირილე ალექსანდრიელი აღნიშნულ მუხლს მეორედ მოსვლის წინა პერიოდს უკავშირებს. მისი განმარტების თანახმად, ქრისტეს სამწყსოდ ქცეული ებრაელი ხალხი უფლის სულგრძელების, მოწყალებისა და სახიერების სიდიადისგან იქნება გაკვირვებული (Святитель Кирилл 2006ა: 116). ნეტარი იერონიმე ზემოაღნიშნულ საუფლო სიტყვებს იმავე თვალთახედვით განიხილავს, თუმცა უშუალოდ მეორედ მოსვლის დროსთან აკავშირებს: „როდესაც ისრაელის შვილები დაინახავენ მას, ვისგანაც განდგნენ მათი ძმები, მამისა და საკუთარ დიდებაში სუფევის მქონეს, უფლისა და მისი მოწყალებისაგან ძრწოლა და გაკვირვება მოიცავთ“ (Блаженный Иероним 2006ა: 192). ეს ყველაფერი კი, როგორც ითქვა, „უკანასკნელ დღეებში“, სამყაროს დასასრულის მოახლოებისას, აღესრულება.

ამრიგად, ოსე, უფლის ბრძანებით, ხელმეორედ დაქორწინდა. მისი მეუღლე ამ ჯერზეც იყო მეძავი და მრუშობის სენით შეპყრობილი. წინასწარმეტყველი ორივე **სიმბოლური ქმედებით** ამხელდა რჩეულ ხალხს უფალთან რჯულიერი კავშირის ღალატში.

პირველსა და მეორე **სიმბოლურ ქმედებათა** შორის არსებითად იყო შემდეგი გარეგნული სხვაობა: ოსეს გომერთან მეუღლეობრივი კავშირი ჰქონდა. წინასწარმეტყველმა მასთან სამი შვილი გააჩინა: იეზრაელი, „არშეწყალებული“ და „არა-

ერი-ჩემი“. რაც შეეხება მესამე თავში აღწერილ დედაკაცს, მას გარკვეული დროით აეკრძალა მეუღლეობის კავშირი, ამასთან, თავი უნდა დაენებებინა მრუშობისთვის. თუ ეს უკანასკნელი ოსეს ერთგული დარჩებოდა, წინასწარმეტყველი მასთან ცოლ-ქმრულ კავშირში შევიდოდა.

ზემოაღნიშნული **სიმბოლური ქმედებები** განსხვავდებოდნენ მნიშვნელობის თვალსაზრისითაც: გომერი, უპირველეს ყოვლისა, განასახიერებდა ჩრდილოეთის სამეფოს მკვიდრებს. აღნიშნული **სიმბოლური ქმედება** სწორედ მათ მომავალს შეეხებოდა. ოსეს პირველი შვილი მიანიშნებდა ისრაელიანთა დასჯის არსებით მიზეზზე – კერპთმსახურებაზე. მისი დანარჩენი შვილები აღნიშნული ცოდვის შედეგს წარმოაჩენდნენ: უფალი ჩრდილოეთის სამეფოს მკვიდრთ აღარ შეიწყალებდა, მათ ასურელთა ხელში ჩააგდებდა და გადაასახლებდა. ისრაელიანები უფლის ერად ყოფნის პატივს დაკარგავდნენ. რაც შეეხება ოსეს მეორე მეუღლეს, ის განასახიერებდა სრულიად ებრაელთა კრებულს. აღნიშნული **სიმბოლური ქმედება** მოასწავებდა ბაბილონის ტყვეობას. წინასწარმეტყველების თანახმად, ებრაელები დაკარგავდნენ უფალთან კავშირს, მათ არ ეყოლებოდათ წინამძღოლი, არ ექნებოდათ ტამარი და, შესაბამისად – ღვთისმსახურება. ამასთან, ტყვეობაში ისინი გააცნობიერებდნენ თავიანთ დანაშაულს და კერპთმსახურებას დაანებებდნენ თავს. მეორე **სიმბოლური ქმედება** ასევე მიანიშნებდა, რომ ტყვეობის დასრულების შემდეგ ებრაელები უფალთან დარღვეულ კავშირს აღადგენდნენ.

თავი V

წინასწარმეტყველი ესაია

5.1. ზოგადი ცნობები

იუდეველი ერის წიაღში შობილ ოთხ დიდ წინასწარმეტყველთაგან ქრონოლოგიურად პირველი ესაიაა, რომლის **სიმბოლური ქმედებების** საღვთისმეტყველო ანალიზის ფონზე განვაგრძობთ ჩვენს ნაშრომს.

ესაია³⁰⁶ ამოსის ძე მოღვაწეობდა იუდეის სამეფოში, კერძოდ, იერუსალიმში. კომენტატორთა თანახმად, ესაია სამეფო გვარიდან წარმოდგებოდა (Бухарев 1864ა: 13); (Протоиерей Александр 2000: 337). წინასწარმეტყველს ჰყავდა ცოლი³⁰⁷ და შვილები.

ესაია მისი მოღვაწეობის პერიოდს, რომელიც დაახლოებით 60 წელი გაგრძელდა (Бухарев 1864ა: 9), შემდეგნაირად განსაზღვრავდა: „ხილვად, რომელი იხილა ესაია, ძემან ამოსისმან, რომელ იხილა ჰურიასტანისათვის და იერუსალჴმისათვის, მეფობასა ოზიაძსა, იოათამისსა, აქაზისსა და ეზეკიაძსა, რომელნი მეფობდეს ჰურიასტანს“³⁰⁸. ეპოქა, რომელშიც ესაიას ღვთის სიტყვის ქადაგება უხდებოდა, დიდი სირთულით ხასიათდებოდა.

იმ დროს, როდესაც ისრაელის სამეფო დაღმასვლის გზას დაადგა, იუდეაში ჯერ კიდევ არსებობდა გადარჩენის იმედი. სამხრეთის სახელმწიფოს მეფეებმა, ოზიამ და იოათამმა, ქვეყანა პოლიტიკურად მოაძლიერეს, დაიქვემდებარეს რა ამონიტელები და ფილისტიმელთა არაერთი ქალაქი. თუმცა ეკონომიკურმა ძლიერებამ ქვეყანაში ზნეობრივი დაღმასვლა გამოიწვია. აი, რას გვაუწყებს ი. იაკიმოვი აღნიშნული ეპოქის შესახებ: „სახელმწიფო გაძლიერებას ხალხში კმაყოფილების ზრდა და სიმდიდრე ახლდა თან, მაგრამ ბევრი განცხრომამდე მიიყვანა, მაშინ როდესაც წარმატებულმა შეიარაღებამ ხალხში... სიამაყე გამოიწვია“ (ЯКИМОВЪ 1883: 12). ა. ბუხარევი შენიშნავს: „იუდეა, ზნეობრივი კუთხით, ისრაელის სამეფოზე მეტად მაღლა იდგა. ეს უკანასკნელი უიმედო

³⁰⁶ შდრ.: ბერძნ. **Ἰσαίας**, ებრ. **יְהֵשָׁיָהוּ** (Yēshayahu). აღნიშნული სახელი ნიშნავს „უფლის ხსნას“ (Блаженный Иероним 2006б: 352).

³⁰⁷ ქალი, რომელიც ესაიამ ცოლად შეირთო, წმინდა წერილში ნახსენებია ტერმინით „წინასწარმეტყველი“ (შდრ. ეს. 8. 3: „და მისლვა-ვყავ წინასწარმეტყველისა მის ქალწულისა, და მუცლად-იღო და შვა ძმ...“).

³⁰⁸ ეს. 1. 1.

მდგომარეობაში იმყოფებოდა, ხოლო იუდეის მკვიდრნი, სიკვდილის საშიშროების მოახლოებისას, ხანდახან ჯერ კიდევ გულწრფელად მიმართავდნენ ღმერთს... მაგრამ წინასწარმეტყველი იაჰვესადმი რწმენის მერყეობას ამჩნევდა...“ (Быxapeв 1864ა: 8).

ვითარება მკვეთრად გაუარესდა, როდესაც ტახტზე ავიდა იოათამის ვაჟი აქაზი. მან იუდეის სახელმწიფოში მესოპოტამიური კულტმსახურების სისტემა დანერგა. ქვეყანა ბომონებით გაივსო და უფლის სახელი დავიწყებას მიეცა. აქაზი განსაკუთრებული ურჯულოებით გამოირჩეოდა. მის შესახებ წმინდა წერილი შემდეგს მოგვითხრობს: „და ვიდოდა გზათა იერობოამისთა, ძისა ნაბატისთა, მეფისა ისრაელისასა, რამეთუ მან შვილნი თვსნიცა გარე-შეკადნა ალსა ცეცხლისასა მსგავსად საძაგელებისა ნათესავთა მათ, რომელნი მოსპნა უფალმან პირისაგან ძეთა ისრაელისათა. და უზორვიდა და უკუმევდა მაღალთა მათ ზედა ბორცუთა და ქუეშე ყოველთა ხეთა მაგრილობელთა“³⁰⁹. სასჯელმა არ დააყოვნა: ისრაელმა იუდეის სამეფოს მძლავრი დარტყმა მიაყენა და ბრძოლაში 120 000 მეომარი მოაკვდინა³¹⁰. მიუხედავად ამისა, აქაზი უფლისმიერ შეწევნას ასურეთის ძლიერებას ამჯობინებდა.

იუდეაში ჭეშმარიტი ღვთის თაყვანისცემის აღდგენა უკავშირდება აქაზის შვილს ეზეკიას. იგი ღვთისმოყვარეობითა და სამართლიანობით გამოირჩეოდა. ეზეკიას შესახებ წმინდა წერილი შემდეგს გვაუწყებს: „და მან მოსპნა მაღალნი იგი და დამუსრნა ყოველნი იგი ძეგლნი და მოკაფნა მაღნარნი იგი... და იყო უფალი მის თანა...“³¹¹.

ეზეკიას გამეფებიდან ორი წლის შემდეგ ვითარება მკვეთრად გაუარესდა. სამეფო კარზე დაწინაურდა ადამიანთა ჯგუფი სომნა მწერლის წინამძღოლობით. მათ ჰქონდათ ეგვიპტის იმედი, ამიტომ ასურეთისთვის ხარკის შეწყვეტა განიზრახეს. ვითარება განსაკუთრებით მას შემდეგ გართულდა, რაც ასურეთის წინააღმდეგ შექმნილ კოალიციაში გაერთიანების მიზნით ეზეკიას აზოტის მეფე დაუკავშირდა. სომნა მწერალი თავგამოდებით არწმუნებდა მეფე ეზეკიას, რომ მოლაპარაკება დაეწყო მასთან. ამგვარი პოლიტიკური არჩევანი ღვთის ნებას ეწინააღმდეგებოდა და ესაიას შესაბამისმა ქმედებამაც არ დააყოვნა, რის შესახებაც ქვემოთ ვისაუბრებთ (იხ. §5.3.).

იუდეური გადმოცემით, ესაია მოწამეობრივად აღესრულა მანასეს მეფობის ჟამს. ეს გადმოცემა ადრეული საუკუნეების ქრისტიანი მწერლებისა თუ სხვა

³⁰⁹ 4 მეფ. 16. 3-4.

³¹⁰ იხ. 2 ნეშტ. 28. 5-6.

³¹¹ 4 მეფ. 18. 4, 7.

მოღვაწეებისთვის (წმინდა იუსტინე ფილოსოფოსი, ტერტულიანე და სხვ.) ცნობილი იყო (Якимовъ 1883: 8); (Толковая Библия 1908: 241). ესაიას მოწამეობრივი აღსასრულის შესახებ ცნობა შემონახულია ერთ-ერთ აპოკრიფში, სადაც, კერძოდ, ვკითხულობთ: „და განხერხეს ესაია შეშის ხერხითა თავითგან ვიდრე ფერჯთამდე...“ (განძთა ქვაბი 2007: 137).

5.2. შვილების დახმარებით აღსრულებული

სიმბოლური ქმედებანი

5.2.1. იასუბი

ესაიას წიგნში წინასწარმეტყველის სამი სიმბოლური ქმედებაა აღწერილი. რიგით პირველი VII თავში გვხვდება.

„და იყო, დღეთა აქაზისთა, ძისა იოათამისთა, ძისა ოზიადსა, მეფისა იუდადსა, აღმოვიდა რაასინ, მეფე არამისაჲ, და ფაკეჲ, ძე ჰრომელისა, მეფისა ისრაელისაჲსაჲ, იერუსალემდ ბრძოლად მისა; და ვერ უძლეს გარემოდგომად მისა“³¹².

ესაიას წინასწარმეტყველების VII თავის პირველი მუხლი ერთგვარი შესავალი თხრობაა, რომელიც იუდეის დასაპყრობად გამართულ ლაშქრობას ეხება. ის სამხრეთის სამეფოს მტრების განუხორციელებელ ჩანაფიქრს ლაკონიურად გადმოსცემს. წმინდა კირილე ალექსანდრიელის განმარტებით, აღნიშნული შესავლით ესაიამ წიგნის მეშვიდე თავში გადმოცემული მოვლენების თხრობის საბაზი მიუთითა, შემდეგ კი ცალკეულ გარემოებათა სიტყვიერი განხილვა წარმოადგინა (Святитель Кирилл 1887: 204).

დაახ. ძვ. წ. 735 წელს იუდეის სამეფო დიდი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, მის დასაპყრობად ისრაელისა და სირიის გაერთიანებული ლაშქარი გამოემართა. ა. პოკროვსკის ვარაუდით, თავდასხმის მიზანი ეგვიპტის მიერ ასურეთის წინააღმდეგ შექმნილ კოალიციაში იუდეის სამეფოს ძალმომრეობით გაერთიანება იყო (Толковая Библия 1908: 279). „მეორე ნემტას“ მიხედვით, ზემოაღნიშნულ მოვლენამდე

³¹² ეს. 7. 1.

გარკვეული ხნით ადრე ჯერ სირიის მეფემ, შემდეგ კი ისრაელის ხელმწიფე ფაკემ იუდეას დიდი ზიანი მიაყენეს³¹³.

ზემოთქმულისდა მიხედვით, ესაიას წიგნის მეშვიდე თავის დასაწყისიდან იუდეის საწინააღმდეგოდ მოქმედ ხელმწიფეთა ჩანაფიქრის წარუმატებლობა ცხადდება. „მეოთხე მეფეთას“ თანახმად, იერუსალიმის ალყაში მოქცევის შემდეგ აქაზმა ელჩები დიდძალი ქონებით ასურეთის მეფე თეგლათფალსართან დახმარების სათხოვნელად გააგზავნა³¹⁴. წმინდა ეფრემ ასურის განმარტებით, სწორედ თეგლათფალსარის შიშის გამო დაიხიეს უკან რაასინმა და ფაკემ (Святой Ефремъ 1995ა: 333).

„და უთხრეს სახლსა დავითისსა და ჰრქუეს: შეითქუნეს არამ და ეფრემ³¹⁵ თანად, და განკრთა სული მისი და სული ერისა მისისაჲ, ვითარცა-იგი შეიძრის მადნარსა შინა ხც ქარისაგან“³¹⁶.

იუდეაში გავრცელდა ცნობა მოსალოდნელი საშიშროების შესახებ. ჰქონდათ რა ჩრდილოეთის სამეფოსთან ბრძოლის მწარე გამოცდილება, ყველა შიშის ზარმა მოიცვა. ამჯერად ისრაელის ლაშქარს სირიის არმიაც ეხმარებოდა. ასე რომ, იუდეის მკვიდრნი ენით აღუწერელ შიშს გრძნობდნენ. წმინდა კირილე ალექსანდრიელის ეგზეგეზის თანახმად, მოსალოდნელი საშიშროების შესახებ შეტყობინებამ სამხრეთის სამეფოს მკვიდრნი გონებიდან კინაღამ შეშალა. წმინდა მამის განმარტებით, ბიბლიის ზემოაღნიშნულ ადგილზე იუდეის მცხოვრებთა ემოციური მდგომარეობის გამომხატველი სიტყვა **ἐξέστη**³¹⁷ **κατεπλάγη**-ს (განიგმირა) მაგივრადაა გამოყენებული, რაც ებრაელთა შინაგანი მდგომარეობის უკიდურეს სიმძიმეზე მიანიშნებს (წმინდა მამის ეგზეგეზის თანახმად, ჩვეულებრივ, ადამიანის შიშზე მიუთითებს გამოთქმა: „სულის განგმირვა“) (Святитель Кирилл 1887: 204-205). წმინდა ბასილი დიდი ამბობს, რომ იუდეველები „იმდენად იყვნენ თავზარდაცემულნი და აღელვებულნი, რომ მათი ძრწოლა ტყეში არსებულ ხესაა შედარებული, რომელიც უძლიერესი ქარის მობერვისაგან ირხევა“ (https://azbyka.ru/otechnik/Vasilij_Velikij/tolkovanie_na_knigu_proroka_Isaii/).

³¹³ იხ. სქოლიო 310.

³¹⁴ იხ. 4 მეფ. 16. 5-8.

³¹⁵ წმინდა წერილის აღნიშნულ მონაკვეთში, ისევე როგორც ბიბლიის სხვა მრავალ ადგილზე, „ეფრემის“ სახელით ისრაელის სამეფო აღინიშნება, „არამით“ კი – სირია.

³¹⁶ ეს. 7. 2.

³¹⁷ შდრ. ეს. 7. 2, LXX: „...καὶ ἐξέστη ἡ ψυχὴ αὐτοῦ καὶ ἡ ψυχὴ τοῦ λαοῦ αὐτοῦ...“. **ἐξέστημι** – განყენება, გაკვირვება, კრთობა.

„და ჰრქუა უფალმან ესაიას: განვედ შენ შემთხუვეად აქაზისა, მეფისა იუდაისა, შენ და ნეშტი იგი იასობ³¹⁸, ძღ შენი, საბანელსა მას ზემო გზისასა, აგარაკისა მის მმურკნველისასა“³¹⁹.

კომენტატორთა თანახმად, საბრძოლო მზადყოფნის მიზნით ხელმწიფე იერუსალიმის სხვადასხვა სტრატეგიული მნიშვნელობის ნაწილს ამოწმებდა. იუდეის მეფე ქალაქის დაცვის უზრუნველყოფისათვის გამართულ საქმიანობას არ წყვეტდა (Святитель Иоанн 1900ა: 88); (Толковая Библия 1908: 279-280). ცხადია, თავის ქვეშევრდომებთან ერთად აქაზიც შიშობდა, რომ მტერს სამხრეთის სამეფოსთვის კვლავ მძიმე დარტყმა არ მიეყენებინა. ამ დროს ესაიამ საუფლო ბრძანება მიიღო: მას დაევალა, აქაზს შეხვედროდა საბანელთან და როგორც მამხილებელი, ისევე მანუგეშებელი სიტყვებით მიემართა ხელმწიფისათვის. წინასწარმეტყველთან ერთად უნდა ყოფილიყო მისი შვილი იასუბი.

ამრიგად, ესაიასთან შეხვედრისას აქაზი იერუსალიმის მომმარაგებელი წყალსადენის ბოლო ნაწილში იმყოფებოდა³²⁰. წყალსადენის დაბოლოება იერუსალიმის გალავნის გარეთ იყო განთავსებული. აქედან გამომდინარე შეიძლება, რომ მტრის ალყის დროს აღნიშნულ ადგილზე ხელმწიფის ყოფნა მკითხველს გაუგებრად მოეჩვენოს. ბოლო დროის მკვლევართა გარკვეული ნაწილის თვალსაზრისით, ფაკემ და რაასიმა იერუსალიმს ესაიას **სიმბოლური ქმედების** შემდეგ შემოარტყეს ალყა (Толковая Библия 1908: 279); (Толкование 1996: 27); (Якимовъ 1883: 122). მოყვანილი მოსაზრების უსაფუძვლოებას წმინდა მამათა ეგზეგეზა მოწმობს. წმინდა იოანე ოქროპირის თანახმად, აღნიშნულ დროს ქალაქი უკვე მოქცეული იყო ალყაში (Святитель Иоанн 1900ა: 88). ამ თვალსაზრისს ეთანხმება ნეტარი იერონიმეც (Блаженный Иероним 1882: 124, 137). ამასთან, წმინდა იოანე ოქროპირის განმარტებით, ძველად იერუსალიმი ორი გალავნით იყო გარშემორტყმული, მეორე ზღუდე კი წყალსადენის ბოლო ნაწილსაც იცავდა (Святитель Иоанн 1900ა: 89).

³¹⁸ შდრ. LXX: „ὁ καταλειφθεὶς Ιασουβ“; VUL: „qui derelictus est Iasub“; სლავ.: „сѣрѣшнѣа іасѣвъ“; „შეარ-იასუბი“ წერია: MT: „גִּישׁוּבִי“; KJV: „Shearjashub“; რუს.: „Шеар-ясув“; ახალქართულშიც იგივე ვითარებაა.

³¹⁹ ეს. 7. 3.

³²⁰ კომენტატორთა თანახმად, მოგვიანებით სწორედ აქედან აწარმოებდა მოლაპარაკებებს იუდეველ მაღალჩინოსნებთან ასურელი მეფის მიერ წარმოგზავნილი მაღალჩინოსანი ჰრაფსაკისი, რომელიც სამხრეთის სამეფოს მკვიდრთ დანებებისკენ მოუწოდებდა (იხ. ეს. თ. 36); (Блаженный Иероним 1882: 125); (Якимовъ 1883: 123).

სახელი იასუბის მნიშვნელობასთან დაკავშირებით წმინდა მამათა ლიტერატურაში სხვადასხვა თვალსაზრისი არსებობს: წმინდა ბასილი დიდის მიხედვით, აღნიშნული სიტყვა ნიშნავს „მომბრუნებელს“ (https://azbyka.ru/otechnik/Vasilij_Velikij/tolkovanie_na_knigu_proroka_Isaii/), წმინდა იოანე ოქროპირის თქმით – „მიმოქცევას“ და „საქმიანობას“ (Святитель Иоанн 1900ა: 88). წმინდა კირილე ალექსანდრიელი ამ ტერმინს თარგმნის, როგორც „დატოვება“³²¹ ან „დატოვებული“ (Святитель Кирилл 1887: 206), ნეტარი იერონიმე კი ნახსენებ ვერსიათაგან ორს იზიარებს. მისი თქმით, აღნიშნული ტერმინი ნიშნავს „დატოვებულს“ და „მომბრუნებელს“ (Блаженный Иероним 1882: 125).

ებრაულენოვანი ბიბლიის ტექსტის მიხედვით ესაიას შვილს ჰქვია: **יֵשׁוּעַ יָשׁוּב** (Shēar Yashuv). ბოლო დროის კომენტატორები მას თარგმნიან, როგორც „ნარჩენი მობრუნდება“ (Якимовъ 1883: 124). მკვლევართა გარკვეული ნაწილის მიხედვით, აღნიშნული სახელი ნიშნავს „ნარჩენი გადარჩება“ (Толковая Библия 1908: 280).

ი. იაკიმოვის თქმით, ესაიას წიგნის მეშვიდე თავის მესამე მუხლის სექტუაგინტაში სიტყვა **καταλειφθεις** (ნარჩენი) წინასწარმეტყველის შვილის სახელის: **יֵשׁוּעַ יָשׁוּב**-ის პირველი ნაწილის **יָשׁוּב**-ის (Shēar) თარგმანია, მეორე კი – სამოცდაათ მთარგმნელს უცვლელად გადმოუტანია (Якимовъ 1883: 124).

წმინდა კირილე ალექსანდრიელის განმარტებით, სახელ იასუბის სიმბოლური მნიშვნელობით აქაზს იუდეველთა ნარჩენის (სამხრეთის სამეფოს მოსახლეობა სხვადასხვა მიზეზით მეტად შემცირებული იყო) ხსნის შესახებ მიენიშნებოდა: „ამრიგად, წინასწარმეტყველს ებრძანება, რომ შეხვდეს მას (იუდეის მეფეს, ც. ჩ.) იასუბთან ერთად, რომლის სახელიც ნიშნავს *დატოვებას* ან *დატოვებულს*, ვინც აქაზისთვის წარმოადგენს იუდას ნარჩენის გადარჩენის ერთგვარ სახე-სიმბოლოს...“ (Святитель Кирилл 1887: 206). ამ აზრს ვხვდებით ნეტარი იერონიმეს ეგზეგეზაშიც. წმინდა მამის თანახმად, ესაიას შვილი იუდეის მკვიდრებს განასახიერებდა, ისინი სირიისა და ისრაელის ხელმწიფეთა დაპყრობას გადაურჩებოდნენ „ესაიას ძე იასუბი, რაც ნიშნავს *დატოვებულს* და *მომბრუნებელს*, როგორც ორი მეფისაგან გამოხსნილი იუდეის მოსახლეობის წინასახე, იღებს ბრძანებას, რომ მშობლის თანხლებით შეხვდეს

³²¹ წმინდა კირილე ალექსანდრიელის აღნიშნული შრომის ბერძნულ დედანში წერია „დანატოვარი“, „ნარჩენი“ (მდრ. ბერძნ. „**ἀπολειμμα**“ (PG 1864ა: 196), თუმცა მის ლათინურ თარგმანში წერია **derelictio** (PG 1864ა: 195), რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს „დატოვებას“.

აქაზს...“ (Блаженный Иероним 1882: 125). ნეტარი იერონიმეს განმარტებით, **სიმბოლური ქმედების** მიზანი მოსალოდნელი უბედურებისგან შეშინებული ხალხისთვის სანუგეშო წინასწარმეტყველების უწყება და მომავალი საფრთხისგან უფლისმიერი გამოსხნის უეჭველობაში დარწმუნება იყო (Блаженный Иероним 1882: 125). ასე რომ, აქაზთან მისული იასუბი სირიისა და ისრაელის მეფეთაგან იუდეის მკვიდრთა გადარჩენაზე მიანიშნებდა. თუმცა, წმინდა კირილე ალექსანდრიელის ეგზეგეზის თანახმად, სანუგეშო მომავლის უწყებას თან ახლდა უფლის პირობა: მტრისაგან ებრაელთა ხსნა განხორციელდებოდა კერპთმსახურებისაგან განდგომისა და შემოქმედისადმი მოქცევის შემთხვევაში (Святитель Кирилл 1887: 206).

ნეტარი იერონიმე ესაიასა და ურჯულო ხელმწიფე აქაზის შეხვედრის ადგილზე ამახვილებს ყურადღებას. მისი თქმით, აქაზის წყალსადენის ბოლო ნაწილში ყოფნა, სადაც ყოველგვარი სიბინძურე და უწმინდურება ირეცხებოდა, სახეობრივად იუდეის ზემოთ ნახსენები მეფის სულიერ მდგომარეობას განასახიერებდა. ნეტარი მამის თქმით, ურჯულო ხელმწიფე აქაზი გადარჩენას არ იმსახურებდა, წინასწარმეტყველმა კი ებრაელებს სანუგეშო მომავალი უფლის მოწყალებით აუწყა. იმავე მიზეზით სამხრეთის სამეფოს მკვიდრებს მტრებისგან უფლისმიერი გამოსხნაც მოევლინათ (Блаженный Иероним 1882: 128).

ზოგიერთი მკვლევარი ესაიას შვილის ებრაულენოვან სახელზე ამახვილებს ყურადღებას და ბიბლიის ზემოხსენებულ ეპიზოდს შემდეგნაირად განმარტავს: **𐤀𐤏𐤔** **𐤁𐤏𐤕**-ი უფლის მსჯავრს ასაჩინოებდა, რომელიც იუდეის სამეფოს ემუქრებოდა (მოსახლეობის ნარჩენი თუ იცოცხლებდა). საღვთო მრისხანების მიზეზი აქაზის არასწორი არჩევანი იყო, რადგან მან სასოება ასურეთის მეფე თეგლათფალსარზე დაამყარა. ამასთან, თუ მეფე წინასწარმეტყველის სიტყვებს ერწმუნებოდა, ესაიას სახელის შინაარსით აღბეჭდილი შესაბამისი მომავალი ელოდა (იუდეას უფლის ხსნა მოევლინებოდა) (Толковая Библия 1908: 280). ი. იაკიმოვი ამბობს: „*შეარ-იაშუვი* ნიშნავს: *ნარჩენი მობრუნდება* და შინაარსობრივად შეიცავს მითითებას მოხრების მნიშვნელოვნობაზე, რაც უნდა განხორციელებინათ მოკავშირე ჯარებს იუდეაში...“ (Якимовъ 1883: 124).

როგორც ვხედავთ, ზემოაღნიშნული კომენტატორები ესაიას შვილის სიმბოლურ მნიშვნელობაში იუდეისადმი მიმართულ უფლის მუქარას ხედავენ, წმინდა მამები კი – ხსნის მანუგეშებელ უწყებას.

„და ჰრქუა³²² მას: ეკრძაღე დადუმებად და ნუ გეშინინ, და ნუცა გული შენი მოუძღურდებინ ორთა მათგან შეშათა, მუგუზთა მკუმოღვარეთა, რამეთუ ოდეს რისხვაჲ გულისწყრომისა ჩემისაჲ იყოს, კუალად ლხინებავე-ვეო. და ძემან ჰრომელისმან და ძემან არამისმან, რამეთუ იზრახეს ზრახვაჲ ბოროტი შენთჳს და თქუეს: აღვიდეთ ჰურიასტანად და თანა-ვეტყოდით მათ და მოვიქცინეთ იგინი ჩუენდა და მეფე-ვეოთ მათ ზედა ძჳ ტაბელისი. ამას იტყვს უფალი საბაოთ: არა დაადგრეს ზრახვაჲ ეგე, არცა იყოს“³²³.

უფალმა აქაზს ესაიას პირით სიმშვიდის შენარჩუნებისა და შიშის უკუგდებისკენ მოუწოდა. წმინდა კირილე ალექსანდრიელის ეგზეგეზის თანახმად, შემოქმედი აღნიშნული სიტყვებით ხელმწიფეს მორჩილებასა და ღვთის სიტყვაში ეჭვის შეუტანლობას შეაგონებდა (Святитель Кирилл 1887: 207).

სირიისა და ისრაელის მეფეებს, მათი აღსასრულის მოახლოების ნიშნად, უფალმა „აკვამლებული მუგუზლები“ უწოდა. ეს ნიშნავდა, რომ რაასინისა და ფაკეეს მეფობა და არსებობა ცეცხლისგან გამოცალკევებული ნაკვერჩხლის ნათებასავით მალე დასრულდებოდა. უფალმა მათი ზრახვა გაასაჩინოა: რაასინსა და ფაკეეს სურდათ, იუდეაში თავიანთი წარმომადგენელი, ვინმე ტაბელის ძე, გაემეფებინათ. ა. პოკროვსკის ვარაუდით, ეს ერთ-ერთი სირიელი მაღალჩინოსანი უნდა ყოფილიყო (Толковая Библия 1908: 280). ნეტარი იერონიმეს განმარტების თანახმად, სიტყვა **טַבְּעָל (Tav'el)** ნიშნავდა „კეთილ ღმერთს“, რაც შესაძლოა, გარკვეული კერპის დასახელება იყო (Блаженный Иероним 1882: 126). უფალი აქაზს ჰპირდებოდა, რომ იუდეის სამეფოს დასაპყრობად მომავალი ხელმწიფეების ჩანაფიქრი არ აღსრულდებოდა. თუმცა გარკვეული ხნით რაასინი და ფაკეე თავიანთ სამმართველოებზე მეფობას შეინარჩუნებდნენ: „არამედ თავი არამისა – დამასკე, და თავი დამასკისა – რაასინ... და თავ ეფრემისა – სომორონ³²⁴, და თავ

³²² უთხრა (შენ მას), ე. ი. ეტყვი (შენ მას).

³²³ ეს. 7. 4-7.

³²⁴ სომორონი – ეს სახელი იუდეურ ტრადიციაში, ჩვეულებრივ, ისრაელის სამეფოს დედაქალაქ სამარიას მიემართება (https://azbyka.ru/otechnik/Pavel_Yungerov/kniga-proroka-isaii/).

სომორონისა – ძე ჰრომელისი...“³²⁵. აქ შესაბამისი ქვეყნისა და ქალაქის თავად იგულისხმება მეფე. წმინდა იოანე ოქროპირის ეგზეგეზის თანახმად, მოტანილი ბიბლიური მუხლების შინაარსი შემდეგია: ისრაელისა და სირიის ხელმწიფეებს ძალაუფლება ოდენ საკუთარ სამეფოებზე დარჩებოდათ, ე. ი. იუდეის დაქვემდებარებას ვერ შეძლებდნენ (Святитель Иоанн 1900ა: 90). ხსენებულ წინასწარმეტყველებას ნეტარი იერონიმე უფრო შორეულ მომავალს უკავშირებს. მისი განმარტებით, აღნიშნულ სიტყვებში სირიისა და ისრაელის სახელმწიფოებზე მეფეების: რაასინისა და ფაკეეს მცირე დროით მმართველობის შენარჩუნება იგულისხმებოდა (Блаженный Иероним 1882: 126). მათი მმართველობის დასასრულს უკავშირებს ნეტარი მამა ესაიას წიგნის მეშვიდე თავის მეთექვსმეტე მუხლის ბოლო ნაწილსაც: „...და დაშთეს ქუეყანად, რომლისათვის შენ გეშინის, წინაშე ორთა ამათ მეფეთა“³²⁶. ამ მუხლს ნეტარი იერონიმე განმარტავს რაასინისა და ფაკეეს სამეფოთა განადგურების შინაარსითაც (წმინდა მამის ეგზეგეზის თანახმად, „ქუეყანაში“ სირიისა და ისრაელის სამეფოს ტერიტორიები იგულისხმება) (Блаженный Иероним 1882: 137).

წმინდა იოანე ოქროპირი ნიშანდობლივად აღნიშნავს, რომ ესაიამ რაასინისა და ფაკეეს სრულიად უცნობი ზრახვები და ჩანაფიქრები გააცხადა. საიდუმლოს წარმოთქმით დასტურდებოდა, რომ ესაიას წინასწარმეტყველება ჭეშმარიტი იყო. აღნიშნულ ხელმწიფეთა აზრით, ისინი ყოველგვარი ბრძოლის გარეშე, აქაზის ქვეშევრდომებთან უბრალო გასაუბრებით დაიკავებდნენ იერუსალიმს და იუდეის მმართველობას ვინმე ტაბელის ძეს ჩააბარებდნენ³²⁷. წმინდა იოანე ოქროპირის თვალსაზრისით, რაასინისა და ფაკეეს ესოდენი თავდაჯერებულობის მიზეზი იყო სამხრეთის სამეფოში მოღალატეთა არსებობა ან – აღნიშნულ მონარქთა ამპარტავნებით გამოწვეული სრული სიგიჟე (Святитель Иоанн 1900ა: 89-90).

ასე რომ, ღმერთმა აქაზს ესაიას პირით დაუდასტურა ზემოხსენებული ხელმწიფეების ბოროტი განზრახვა და ამავე დროს შიშით ტანჯვის უფლება არ მისცა. ზემოთქმულისდა მიხედვით, ფაკეემ იუდეის მეფე სასტიკად დაამარცხა ძვ. წ. 735 წლამდე გამართული ბრძოლაში. ღვთის სიტყვის თანახმად, ეს სამხრეთის სამეფოს

³²⁵ ეს. 7. 8-9.

³²⁶ ნეტარი იერონიმე აღნიშნულ ადგილს კითხულობს შემდეგნაირად: „ის მიწა, რომელიც გეზიზღება დატოვებულ იქნება მისი ორივე მეფის პირისაგან“ (მდრ. ლათ.: „derelinquetur terra, quam tu detestaris, a facie duorum regum suorum“ (PL 1884: 113).

³²⁷ იბ. ეს. 7. 6.

მკვიდრებზე დატეხილი უფლის რისხვა იყო. ისინი დაისაჯნენ საკუთარი ცოდვების გამო. ამჯერად შემოქმედი იუდეის მკვიდრებს წყალობას მისცემდა და მტრებისგან იხსნიდა³²⁸. ამრიგად, უფალი განსაცდელთაგან მოუძღვრებულ აქაზს შეაგონებდა, რომ კერპთმსახურებისთვის თავი დაენებებინა და შემოქმედზე სასოება დაემყარებინა. ნიშანდობლივია, რომ საბრძოლოდ დარაზმული მტრისგან გამოხსნის შესახებ სანუგეშო წინასწარმეტყველებაში ღვთის ერთ-ერთი სახელი – „უფალი საბაოთი“ (ბერძნ. **κύριος σαβαωθ**, ებრ. **יְהוָה שָׂבָאוֹת**)³²⁹ ფიგურირებს. ეს სახელი ნიშნავს: „უფალი ძალთა“ ან „უფალი მხედრობათა“.

„მეოთხე მეფეთას“ მიხედვით, წინასწარმეტყველების წარმოთქმიდან გარკვეული დროის გასვლის შემდგომ, ჯერ კიდევ აქაზის ზეობისას, ასურეთის მეფე თეგლათფალსარმა სირიის დედაქალაქი დაიპყრო, რაასინი მოკლა და დედაქალაქის მკვიდრნი გადაასახლა³³⁰. რაც შეეხება ფაკეეს, ის ოსეე ელას ძის შეთქმულების მსხვერპლი გახდა³³¹. აღნიშნული მოვლენის შემდგომ ოსეემ ცხრა წელი იმეფა. მისი ხელმწიფების ბოლოს ასურეთის მეფე სალმანასარმა ჩრდილოეთის სამეფო დაიპყრო, დამარცხებული სახელმწიფოს მეთაური საპყრობილეში გამოკეტა და ისრაელიანები სამშობლოდან გადაასახლა³³².

„...და მერმელა სამეოცთადახუთი წელი, და მოაკლდეს მეფობაჲ ეფრემისი ერისაგან“³³³.

ზემოაღნიშნული სიტყვები ისრაელის სამეფოს მიემართებოდა. ნეტარი იერონიმე ამბობს, რომ მოტანილი მუხლი განსაკუთრებული გულმოდგინებით უნდა განვიხილოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში მოგვეჩვენება, რომ ეს წინასწარმეტყველება არ განხორციელებულა (Блаженный Иероним 1882: 127).

ოსეე ელას ძე ისრაელზე იუდეის ხელმწიფე აქაზ იოათამის ძის მმართველობის მეთორმეტე წელს გამეფდა³³⁴. ოსეე თავისი ზეობის მეცხრე წელს დაატყვევეს. აქაზი იუდეას თექვსმეტი წელი მართავდა³³⁵. მისი გარდაცვალებიდან ხუთი წლის შემდგომ

³²⁸ იხ. ეს. 7. 4.

³²⁹ იხ. ეს. 7. 7. აღნიშნულ ადგილზე ბიბლიის მასორეტულ ტექსტში წერია: „יְהוָה יְהִוִּי“ (**Adonay Yēhvi**).

³³⁰ იხ. 4 მეფ. 16. 9.

³³¹ იხ. 4 მეფ. 15. 30.

³³² იხ. 4 მეფ. 17. 4-6.

³³³ ეს. 7. 8.

³³⁴ იხ. 4 მეფ. 17. 1.

³³⁵ იხ. 4 მეფ. 16. 2.

ისრაელის სამეფო ასურეთმა დაიპყრო. იმ შემთხვევაშიც კი, თუ აქაზისა და ოსეეს მმართველობის დროებს შევკრიბავთ, სამოცდახუთ წელიწადზე გაცილებით ნაკლები ხანი გამოვა.

ნეტარი იერონიმე თავის ეგზეგეტიკურ ნაშრომში აღნიშნული პრობლემატიკის გადაწყვეტისათვის ესაიას წიგნის მეშვიდე თავის მერვე მუხლის იუდეურ განმარტებას წარმოადგენს. მისი უწყებით, ებრაელები ზემოხსნებული სამოცდახუთი წლის ათვლას ამოსის მიერ ისრაელიანთა ტყვეობის წინასწარმეტყველების³³⁶ წარმოთქმის დროიდან იწყებენ. განმმარტებელთა თანახმად, ამოსმა წინასწარმეტყველება იუდეის მეფე ოზიას მეფობისას მომხდარ მიწისძვრამდე ორი წლით ადრე დაიწყო³³⁷. ნეტარი იერონიმეს თქმით, იუდეური ეგზეგეტიკა აღნიშნულ მოვლენას მეფე ოზიას მმართველობის ოცდამეხუთე წელს უკავშირებს. ამრიგად, მსჯელობა შემდეგნაირად წარიმართება: იუდეის აღნიშნული ხელისუფალი 52 წელი ზეობდა³³⁸, მის შემდგომ ქვეყანას 16 წელი მართავდა ხელმწიფე იოათამი³³⁹, მომდევნო მეფე აქაზი იყო (16 წელი). მათ შემდეგ იუდეაში ეზეკია გამეფდა, რომლის ზეობის მე-6-ე წელს ასურეთის ჯარმა ისრაელის დედაქალაქი სამარია დაიპყრო³⁴⁰. ამრიგად, მეფე ოზიას მმართველობის ოცდამეხუთე წლიდან ჩრდილოეთის სამეფოს დაპყრობამდე შუალედი 65 წელი გამოდის (Блаженный Иероним 1882: 127-128).

ბოლო დროის მკვლევართა აზრით, რამდენადაც იუდეის დასაპყრობად რასინი და ფაკეე დაახ. ძვ. წ. 735 წელს გაემართნენ, ზემოაღნიშნული წინასწარმეტყველება აღსრულდა მაშინ, როდესაც ისრაელში დარჩენილი ებრაელები მესოპოტამიაში გადაასახლეს და გაუკაცრიელებული ტერიტორია მესოპოტამიიდან ჩამოსახლებული ხალხით შეავსეს (Толковая Библия 1908: 280); (Толкование 1996: 28)³⁴¹.

„...და უკუეთუ არა გრწმენეს, არცა გულისხმა-ჰყოთ“³⁴².

ნეტარი იერონიმეს განმარტებით, მეფე აქაზმა და ესაიას სიმბოლური ქმედების მაყურებელმა ებრაელებმა წინასწარმეტყველება არ ირწმუნეს. აღნიშნული მიზეზით

³³⁶ იხ.: ამოს. 7. 11: „...ისრაელის ტყუედ წარიყვანოს ქუეყანით თვისით“; ამოს. 7. 17: „...ისრაელის ტყუედ წარიყვანოს ქუეყანით მისით“.

³³⁷ იხ. ამოს. 1. 1.

³³⁸ იხ.: მეფ. 15. 2; 2 ნემტ. 26. 3.

³³⁹ იხ. 4 მეფ. 15. 33.

³⁴⁰ იხ. 4 მეფ. 18. 10.

³⁴¹ იხ. 1 ეზრ. 4. 2.

³⁴² ეს. 7. 9.

ესაიამ ზემოთ მოტანილი სიტყვები წარმოთქვა. რამდენადაც საწინასწარმეტყველო სიტყვა უშუალოდ ღვთისგან მომდინარეობდა, მასში დაეჭვების უფლება არავის ჰქონდა. ამრიგად, ვინც ამ უწყებას მტკიცედ არ ერწმუნებოდა, ვერც გულისხმაცოფდა მას. აღნიშნული მუხლის სვიმასხოსისეული თარგმანის გათვალისწინებით, ნეტარი იერონიმე ამბობს, რომ თუ ღვთის სიტყვას არ დაიჯერებდა, იუდეა გაიზიარებდა იმათ ხვედრს, ვისაც ურწმუნოებით მიზამდა. ისინი საკუთარ სამეფოში **ვერ დარჩებოდნენ**³⁴³ და სასჯელად ტყვეობა განეკუთვნებოდათ (Блаженный Иероним 1882: 128).

წმინდა იოანე ოქროპირი ესაიას წიგნის მეშვიდე თავის განხილვისას იუდეის სამეფოსთან დაკავშირებულ ღვთის განგებულებას ეხება: რამდენადაც უფალს კერპთმსახურ ებრაელთა გამოსწორება სურდა, მათი უკიდურეს შიშში ჩავარდნა დაუშვა და გადარჩენის იმედის გადაწურვის შემდეგ იუდეის მკვიდრებს ხსნა მოუვლინა. რაასინი და ფაკეე იერუსალიმის გალავანს უკვე მოდგომოდნენ და ქალაქის აღებას ხელს აღარაფერი უშლიდა. თუმცა უფლის განგებით მათ ჩანაფიქრის განხორციელება ვერ შეძლეს. წმინდა იოანე ოქროპირის თქმით, მოვლენები ამგვარად იმიტომ განვითარდა, რომ იუდეველთა უზრუნველობა აღკვეთილიყო და მათ ცნობიერებაში შემოქმედის მიერ გაღებული წყალობა მტკიცედ შთაბეჭდილიყო. ამასთან, რაც უფრო დიდი იყო სამხრეთი სამეფოს მკვიდრებზე დაშვებული განსაცდელი, მით უფრო მეტად განეცხადა ხალხს ღვთის ძლიერების სიდიადეც (Святитель Иоанн 1900а: 86-87).

ზემოხსენებულ **სიმბოლურ ქმედებას** ეგზეგეტიკები ახალატქმისეულ მოვლენებსაც უკავშირებენ.

წმინდა კირილე ალექსანდრიელის განმარტებით, წმინდა წერილის აღნიშნულ ადგილზე წინასწარმეტყველი ღვთის სიმბოლოდ მიიჩნევა, რომელიც „საბანელსა მას ზემო გზისასა, აგარაკისა მის მმურკნველისასა“³⁴⁴ შეწევნის აღთქმას იძლევა. აღნიშნულ ადგილზე საბანელი, ანუ აუზი, წმინდა მამის მიხედვით, ყოველგვარი უწმინდურებისა და სიბილწისგან განმწმენდელი ნათლისღების წმინდა საიდუმლოს განასახიერებს, რომელიც ქრისტემ გვიწყალობა (Святитель Кирилл 1887: 206).

³⁴³ იქ, სადაც სეპტუაგინტაში წერია „არცა გულისგმა-ჰყოთ“ (ბერძნ. „ἰσὸς μὴ σὺνῆτε“), სვიმასხოსის თარგმანი განსხვავებულ წაკითხვას იძლევა: „ვერ დარჩებით“.

³⁴⁴ ეს. 7. 3.

ესაიას შვილის სახელი იასუბი, ერთ-ერთი განმმარტებლის თანახმად, აღნიშნავდა უფლისგან ამჟამად დატოვებულ ებრაელ ხალხს, რომელიც საბოლოოდ მოექცევა³⁴⁵.

ნეტარი იერონიმეს ეგზეგეზის თანახმად, აკვამლებულ მუგუზლებში სიმბოლურად ამქვეყნიური სიბრძნე და ერეტიკული სიტყვა უნდა მოვიაზროთ. ისინი ეკლესიის წევრთა საცდუნებლად „შეთქვენ“ და ღვთივრჩეულებზე ტაბელის, „კეთილი ღმერთის“, ძის გამეფება „განიზრახეს“. ესაიას წიგნში აღწერილი ეს მოვლენა, წმინდა მამის განმარტებით, სიმბოლურად ეკლესიის ყოველი მტრის სულიერ მდგომარეობას გამოხატავს. განდგომილი თავს ჭეშმარიტების მფლობელად რაცხს და საკუთარ სწავლებას საუკეთესოდ მიიჩნევს, თუმცა სამყაროს აღსასრულისას ცხადი გახდება ყოველივე, რისი ნამდვილობისაც ურწმუნოებს არ ჯერათ და აღნიშნული მიზეზით ვერც ეკლესიის სწავლებას გულისხმავოვენ (Блаженный Иероним 1882: 128-129). იმავე ალეგორიას ვხვდებით წმინდა ბასილი დიდთან, თუმცა მისი სიმბოლური ხასიათის განმარტებები ნეტარი იერონიმეს ეგზეგეზის იდენტური არ არის და მრავალი დეტალითაა გამდიდრებული (https://azbyka.ru/otechnik/Vasilij_Velikij/tolkovanie_na_knigu_proroka_Isaii/).

ზემოთქმულის თანახმად, აქაზმა წინასწარმეტყველის სიტყვებს არ დაუჯერა. უფალს სურდა ხელმწიფის სულიერად განკურნება, მისი მოყვანა ჭეშმარიტი ღმერთის რწმენაში, ამიტომ აქაზს სასწაულებრივი ნიშნის გამოთხოვის უფლება მისცა³⁴⁶. ურჯულო აქაზმა შემოქმედის სიტყვები უგულვებლყო და შეთავაზებაზე უარი განაცხადა. ეს მან გააკეთა ფარისევლურად, თითქოს რჯულის სწავლებას ასრულებდა: „...არა ვითხოვო, არცა განვცადო უფალი“³⁴⁷. სინამდვილეში მეფეს საუფლო სიტყვების მოსმენისაგან თავის არიდება სურდა. ნეტარი იერონიმეს ეგზეგეზის თანახმად, კერპთმსახურმა აქაზმა იცოდა, რომ თხოვნის შემთხვევაში ღმერთი ნიშანს მისცემდა. მას არ სურდა, რომ ამ უკანასკნელი მოვლენის შედეგად უფლის სახელი განდიდებულიყო (Блаженный Иероним 1882: 131).

³⁴⁵ აღნიშნული თვალსაზრისი ნეტარ იერონიმეს მოაქვს თავის ეგზეგეტიკურ ნაშრომში (Блаженный Иероним 1882: 135). ეს განმარტება ესაიას შვილის სახელის ორგვარ გაგებას ემყარება („დატოვებული“ და „მომბრუნებული, მომქცევი“).

³⁴⁶ იხ. ეს. 7. 11.

³⁴⁷ ეს. 7. 12. შდრ. II შჯულ. 6. 16: „არა განსცადო შენ უფალი ღმერთი შენი...“

ზემოაღნიშნულის შემდეგ ესაიამ თქვა, რომ თავად უფალი მოავლენდა ნიშანს³⁴⁸. ეს ნიშანი კი მარადქალწული მარიამისაგან ძე ღვთისას სასწაულებრივი შობა იქნებოდა. ღვთივშთაგონებულმა წმინდანმა ქალწულისაგან ემმანუელის³⁴⁹ (ებრ. **לְאִיִּמָּנוּאֵל** (*Immanuel*) – „ჩვენთან არის ღმერთი“) შობის (ანუ ყოვლადწმინდა ღვთისმშობელისაგან ძე ღვთისას განკაცების) წინასწარმეტყველება წარმოთქვა³⁵⁰.

წმინდა კირილე ალექსანდრიელი ნიშანდობლივად აღნიშნავს, რომ საყოველთაო ხსნის შესახებ წინამოსწავება ებრაელი ხალხის ასეთი დაცემულობის ჟამს გადმოიცა (Святитель Кирилл 1887: 213)³⁵¹.

წმინდა კირილე ალექსანდრიელის განმარტებით, აღნიშნული წინასწარმეტყველებით შემოქმედი ცდილობდა, რომ ჭეშმარიტი ღვთის შემეცნებისაგან თავის შემკავებელი აქაზი განესწავლა. მისთვის ეჩვენებინა, რომ ღვთივრჩეული ერი უფლის შემეცნების გარეშე საბოლოოდ მაინც არ დარჩებოდა. არ სურდა რა ებრაელ ხალხს შემოქმედისაგან სასწაულებრივი ნიშნის მოცემა, დიდმოწყალე ღმერთი ამას თავად განახორციელებდა და სულიერი სიბრძავის მოსურნე ხალხს განკურნავდა. წმინდა კირილეს თქმით, მხსნელმა ძველი აღთქმის რჩეულ ერს ჭეშმარიტი ღვთის შემეცნებისაკენ მოუწოდა და სულიერი ბიწისაგან (ცოდვისა და კერპთმსახურებითი მიდრეკილებებისაგან) განკურნა (Святитель Кирилл 1887: 213-214).

ნეტარი იერონიმე ზემოაღნიშნულ წინასწარმეტყველებას აქაზის თანამედროვე ებრაელების უახლოეს ისტორიასთან მიმართებითაც განიხილავს. მისი ეგზეგეზის თანახმად, როდესაც მეფე და ებრაელი ხალხი იუდეის სამეფოს წინააღმდეგ მოლაშქრე ძლევამოსილ მტერს გადაურჩებოდნენ, ისინი გამოცდილებით დარწმუნდებოდნენ უფლის თანამყოფობაში. ასე რომ, ხსენებულ ჟამს ებრაელთაგან „ემმანუელად“ დასახელდებოდა ის, ვისაც საბოლოოდ იესო, ე. ი. „მხსნელი“, ეწოდებოდა (Блаженный Иероним 1882: 134).

³⁴⁸ იხ. ეს. 7. 13-14.

³⁴⁹ შდრ. ბერძნ.: **Εμμανουήλ**.

³⁵⁰ შდრ. ეს. 7. 14: „აჰა-ესერა, ქალწული მიუდგეს და შვეს ძმ, და უწოდიან სახელი მისი ემმანუელ“. რამდენადაც შრომის მთავარი მიზანი ძველი აღთქმის წიგნებში აღწერილ **სიმბოლურ ქმედებათა** საღვთისმეტყველო ანალიზია, ზემოაღნიშნულ მესიანისტურ წინასწარმეტყველებას ზედმიწევნით არ განვიხილავთ.

³⁵¹ ებრაელთა უმძიმეს სულიერ მდგომარეობაზე მათდამი მიმართული სიტყვები მოწმობს (იხ. ეს. 7. 13).

შემდეგ მუხლებში განკაცებული ღმერთის, მესიის ადამიანურსა და ღვთაებრივ ბუნებაზეა ხაზგასმა³⁵².

წმინდა კირილე ალექსანდრიელის განმარტებით, ზემოაღნიშნულმა მესიანისტურმა წინასწარმეტყველებამ ხალხზე მეტად ძლიერი გავლენა იქონია (Святитель Кирилл 1887: 220). აღნიშნული მოვლენის შემდგომ ესაიამ ებრაელებს ღვთის ურჩობითა და ურჯულოების შედეგად გამოწვეული სასჯელის, ნაბუქოდონოსორის მიერ იუდეის სამეფოს განადგურების შესახებ ამცნო. მართალია, შემოქმედის წყალობით რაასინმა და ფაკემ საწადელის აღსრულება ვერ შეძლეს, მაგრამ ყოვლისმპყრობელის განმამწარებელ იუდეის მკვიდრებს სხვა უმძიმესი სასჯელი ელოდა.

5.2.2. „მალე იალაფე, ჩქარა გაძარცვე“

ესაიას რიგით მეორე სიმბოლური ქმედება ამავე წიგნის მერვე თავშია აღწერილი, სადაც ისრაელისა და დამასკოს აღსასრულის შესახებ გრძელდება თხრობა.

„და მრქუა მე უფალმან: მოიღე თავისა შენისა ქარტაჲ გრაგნილი ახალი დიდი და დაწერე მას ზედა საწერელითა კაცისაჲთა³⁵³, რაჲთა მალედ ყოს წარმოლებაჲ ნატყუენავისაჲ³⁵⁴...“³⁵⁵.

ეს წინადადება წინასწარმეტყველს მომავალი შვილისთვის სახელად უნდა დაერქმია. უნდა აღინიშნოს, რომ ზემოხსენებული სიტყვები ესაიამ ძის ჩასახვამდე აღბეჭდა.

ეგზეგეტთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა, თუ რას ნიშნავს სიტყვები: „საწერელითა კაცისაჲთა“. ბოლო დროის კომენტატორთა თვალსაზრისით, შემოქმედმა

³⁵² იხ. ეს. 7. 15-16.

³⁵³ შდრ. LXX: „γραφίδι ἀνθρώπου“ (γραφίς – 1. საწერი იარაღი 2. ქარგვა. აღნიშნული ტერმინი ძველ ქართულში „წერილადაც“ ითარგმნებოდა); სლავ.: „писалию челоушину“ (писалио – საწერი იარაღი, გრიფელი); MT: „שֵׁנֶה סִפְרָה“ (סִפְרָה – 1. გრავირების ხელსაწყო; 2. „სტილოსი“ (უძველესი საწერი ინსტრუმენტი); VUL: „stilo hominis“; KJV: „with a man's pen“. რუსულ სინოდალურ ტექსტსა და ახალქართულში თავისუფალი თარგმანებია: რუს.: „человеческим письмом“; ახალქართ.: „გარკვევით“.

³⁵⁴ შდრ. LXX: „τὸ ἔγγεω πρόνομη ποιῆσαι σκῆλα“; VUL: „Velociter spolia detrahe Cito praedare“; სლავ.: „ѣже скорѣ пишеице сотвориши користи“; MT: „זֶה שֶׁנֶה לְשֵׁנֶה“; ახალქართ.: „იჩქარე სათარეშოდ, ისწრაფე საძარცვად“. შემდეგ ტექსტებში ებრაულენოვანი ბიბლიის აღნიშნული ადგილი უთარგმნელად არის გადმოტანილი: KJV: „concerning Mahershalalhashbaz“; რუს.: „Магер-шелал-хаш-баз“.

³⁵⁵ ეს. 8. 1.

წინასწარმეტყველს უბრძანა, რომ მას აღებეჭდა სიტყვები იმხანად სამხრეთის სამეფოში გავრცელებული დამწერლობის მიხედვით (Якимовъ 1883: 143); (Толкование 1996: 32); (Толковая Библия 1908: 286). წმინდა ეფრემ ასურის განმარტებით, უფალმა ესაიას გრაგნილზე ასობის გარკვევით, მკითხველთათვის ადვილად ამოსაკითხი გარეგნული სახით, გამოსახვა დაავალა (Святой Ефремъ 1995а: 335). წმინდა ეფრემის ეგზეგეზას სიღრმისეულად გავიგებთ, თუ გავითვალისწინებთ, რომ ესაიას წარწერა უნდა შეესრულებინა დიდი ზომის გრაგნილზე. წმინდა იოანე ოქროპირის განმარტებით, აღნიშნულ ადგილზე საწერ ინსტრუმენტზეა საუბარი (Святитель Иоанн 1900а: 103). ეს განმარტება წმინდა წერილის ტექსტის სიტყვასიტყვით გაგებას ეფუძნება³⁵⁶. უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთი ზემოთქმული თვალსაზრისი ურთიერთგამომრიცხავი არ არის. ესაიას შეეძლო როგორც უძველესი საწერი საშუალების გამოყენება, ისე მოზრდილ მასალაზე, იუდეაში გავრცელებული შრიფტით, ასობის თვალსაჩინოდ აღებეჭდა.

უფლის სიტყვის თანახმად, ზემოაღნიშნული წინასწარმეტყველებით გადმოცემული განსაცდელი უკვე ახლოს იყო: „...რამეთუ მოწევნულ არს“³⁵⁷. ეს სიტყვები, წმინდა იოანე ოქროპირის განმარტებით, ორ აზრს გამოხატავდა: 1. ცოდვების სიმძიმით მომწიფებული სასჯელი უფლის მოწყალებითა და სულგრძელებით ყოვნდებოდა; 2. მსჯავრის სისრულეში მოყვანა ყოვლისშემძლე ღმერთს ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე მყისვე შეეძლო (Святитель Иоанн 1900а: 103).

„და მოწამე მიყვენ მე სარწმუნონი კაცნი: ურია მღდელი და ზაქარია, ძჳ ბარაქისი“³⁵⁸.

ურია მღვდელი, განმმარტებელთა მიხედვით, იდენტურია მეფეთა წიგნებში არცთუ სახარბიელო კონტექსტით მოხსენიებული პიროვნებისა, რომელიც იუდეველთა შორის ფართოდ ცნობილი გახლდათ (Блаженный Иероним 1882: 143); (Якимовъ 1883: 144); (Толковая Библия 1908: 286); (Толкование 1996: 32)³⁵⁹. ა. პოკროვსკის თქმით, მღვდელს გარკვეული უთანხმოება ჰქონდა წინასწარმეტყველთან, რაც ურიას მოწმობას მეტ დამაჯერებლობას შესძენდა (Толковая Библия 1908: 286). რაც შეეხება ზაქარიას, მის შესახებ რაიმე სარწმუნო ცნობა არ გაგვაჩნია. ზოგიერთი განმმარტებელი მას იუდეის

³⁵⁶ იხ. სქოლიო 353.

³⁵⁷ ეს. 8. 1.

³⁵⁸ ეს. 8. 2.

³⁵⁹ იხ. 4 მეფ. 16. 10-18.

მეფის, აქაზის, სიმამრთან აიგივებს (Толковая Библия 1908: 286); (Толкование 1996: 32)³⁶⁰. აღნიშნულ თვალსაზრისს იზიარებს ნეტარი იერონიმეც. ამასთან, მისი განმარტებით, ზაქარია უცილობლად წინასწარმეტყველი უნდა ყოფილიყო (Блаженный Иероним 1882: 143). ურია მღვდელსა და ზაქარიას, ადევნებდნენ რა წერის პროცესს თვალყურს, შემდგომ ეს მოვლენა მეფისა და ხალხის წინაშე უნდა დაემოწმებინათ.

წმინდა იოანე ოქროპირი დაწვრილებით გადმოგვცემს მიზეზს, თუ რის გამო აღიბეჭდა წინასწარმეტყველება წერილობით და თან მოწმეთა თანდასწრებით. ებრაელები ხშირად მოწვევულ განსაცდელებს წარმართულ ღვთაებათა რისხვას მიაწერდნენ³⁶¹. უფალი, აღნიშნული თვალსაზრისის აღმოფხვრისა და სულიერი კურნების მიზნით, ებრაელებს მომავალს წინდაწინ უცხადებდა. წინასწარმეტყველების აღსრულებამდე გარკვეული დროით ადრე ესაიამ იმიტომ განახორციელა ზემოხსენებული ქმედება, რომ გრაგნილზე აღბეჭდილი სიტყვები სამომავლო მოვლენების დადგომამდე წინასწარმეტყველების არსებობის მოწმობა ყოფილიყო და დღემუდამ ებრაელები ემხილა. წინასწარმეტყველნი ხალხს შემოქმედის მიერ სამომავლოდ დაშვებული სასჯელის მიზეზებსაც ამცნობდნენ. ასე რომ, მოწვეულ განსაცდელებში ღვთივრჩეული ხალხი დაინახავდა არა დემონურ ღვთაებათა რისხვას, არამედ – ღვთის განგებას. გრაგნილი დროის მსვლელობისაგან რომ არ განადგურებულიყო, წარწერის შესასრულებლად ესაიას ახალი მასალის გამოყენება ებრძანა (Святитель Иоанн 1900а: 102).

„და მისლვა-ვყავ წინაღწარმეტყუელისა მის ქალწულისა³⁶², და მუცლად-ილო და შვა ძღ. და მრქუა მე უფალმან: უწოდე სახელი: ადრე წარმოტყუენე და მსწრაფლ წარმოიღე³⁶³. რამეთუ ვიდრე ცნობადმდე ყრმისა მის ხადილსა მამისა, გინა დედისა

³⁶⁰ იხ.: 4 მეფ. 18. 2; 2 ნემტ. 29. 1.

³⁶¹ იხ. ეს. 48. 4-6, 8.

³⁶² ამ მუხლში სიტყვა „ქალწული“, წმინდა წერილის ჭელიძისეული პუბლიკაციის გარდა (აღნიშნული სიტყვა მოიპოვება ოშკისა და იერუსალიმის ბიბლიებში), ჩვენ მიერ გამოყენებულ არცერთ გამოცემაში არ არის.

³⁶³ შდრ. LXX: „ταχέως σκύλευσον ὄξένος προνόμεισον“; VUL: „Adcelera spolia detrahere Festina praedari“; სლავ.: „скоро плени, игнао расхити“; MT: „זָבַח שָׁחַ לְשָׂרָא רָחֵם“. შემდეგ ტექსტებში ებრაულენოვანი ბიბლიის აღნიშნული ადგილი უთარგმნელად არის გადმოტანილი: KJV: „Mahershalalhashbaz“; რუს.: „Магер-шелал-хаш-баз“. ახალქართულ თარგმანში აღნიშნულთაგან ორივე ვარიანტია წარმოდგენილი: „მაჰერ-შალალ ხაშ-ბაზ (იჩქარე სათარემოდ, ისწრაფე სამარცვავად)“.

წარმოიღოს ძალი დამასკისაჲ და ნატყუნავი სამარიადსაჲ წინაშე მეფეთა³⁶⁴ ასურასტანისათა³⁶⁵.

წმინდა წერილი ესაიას მეუღლეს იხსენიებს ტერმინით „წინასწარმეტყველი“. წმინდა იოანე ოქროპირი ვარაუდს გამოთქვამს, რომ ესაიას ცოლი აღნიშნული ნიჭით მართლაც იყო დაჯილდოებული (Святитель Иоанн 1900ა: 103). შესაძლოა, მას ტერმინი „წინასწარმეტყველი“ იმ მიზეზით მიემართება, რომ ესაიას ცხოვრების თანაზიარი იყო³⁶⁶.

ესაიას მეუღლემ მეორე შვილი გაუჩინა, რომელსაც სახელად დაერქვა გრაგნილზე აღბეჭდილი წარწერა: „მალე იალაფე, ჩქარა გაძარცვე“³⁶⁷. განმმარტებელთა მიხედვით, ამ სახელით გადმოიცა წინასწარმეტყველება ისრაელისა და სირიის სამეფოების აოხრებისა და მათ მკვიდრთა დატყვევების შესახებ (Святой Ефремъ 1995ა: 335); (Блаженный Иероним 1882: 145); (Якимовъ 1883: 143); (Толковая Библия 1908: 286); (Толкование 1996: 32). სწორედ ასურეთი წარმოადგენდა სახელმწიფოს, რომელიც **საალაფოდ ისწრაფებდა და ძარცვას დააჩქარებდა**. კითხვაზე, თუ რა მიზნით ეწოდა ახალშობილს სახელად ერთგზის დაწერილი სიტყვები, წმინდა იოანე ოქროპირი პასუხობს: „იმ შემთხვევაში, თუკი გრაგნილზე შესრულებულ წარწერას არ ირწმუნებდნენ, სამომავლო მოვლენების შემცველი ამ სახელის, რომელიც ყრმას ამ მოვლენათა განხორციელებამდე ეწოდა, მრავალჯერადი გაჟღერებით ყველაზე ურცხვებსაც კი დახშობოდათ ბაგენი“ (Святитель Иоанн 1900ა: 103). ასე რომ, ესაიას ძის ამ უჩვეულო საკუთარი სახელით უფალი ებრაელებს მიანიშნებდა სამომავლო მოვლენებზე: მოახლოებულ ბრძოლებზე, სირიისა და ისრაელის დარბევაზე.

მეოთხე მუხლში აღბეჭდილი სიტყვები წინასწარმეტყველების ჟამის სიახლოვეს აღნიშნავდა. „სანამ ესაიას შვილს დედისა და მამის მოხმობის შემძლეობა ექნება, მოვა თეგლათფალსარი, მოკლავს დამასკოს მეფე რაასინს და სამარიას (იგულისხმება ისრაელის სამეფო, ც. ჩ.) დაატყვევებს, რაც მალევე ამის (წინასწარმეტყველების, ც. ჩ.) შემდგომ, ფაკეეს მეფობის ჟამს აღესრულა კიდევაც“ (Святой Ефремъ 1995ა: 335) – ამბობს წმინდა ეფრემ ასური. ეს უკანასკნელი ძვ. წ. 732 წელს განხორციელდა.

³⁶⁴ აღნიშნული სიტყვა ჩვენ მიერ გამოყენებულ ყველა გამოცემაში (ოშკისა და იერუსალიმის ბიბლიების გამოკლებით) დგას მხოლოდით რიცხვში.

³⁶⁵ ეს. 8. 3-4.

³⁶⁶ შდრ. მთ. 10. 41: „რომელმან შეიწყნაროს წინასწარმეტყველი სახელად წინასწარმეტყველისა, სასყიდელი წინასწარმეტყველისაჲ მიიღოს“.

³⁶⁷ დ. ა. მარტინის თქმით, ბიბლიაში დაფიქსირებულ საკუთარ სახელთა შორის ეს სახელი ბგერითი შემადგენლობით ყველაზე მოცულობითია (Толкование 1996: 32).

წმინდა კირილე ალექსანდრიელი, ნეტარი იერონიმე და ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი ესაიას მის სახელში ხედავენ წინასწარმეტყველებას მაცხოვრის განკაცების შესახებ, რომელიც წუთისოფლად კაცობრიობის ხსნისათვის მოივლინა და სატანას მეუფება დაამხო (Святитель Кирилл 1887: 232, 236, 237, 238); (Блаженный Иероним 1882: 142-143); (БКОЦ 2011б: 75). სიტყვები – „მალე იალაფე, ჩქარა გამარცვე“ – ჭეშმარიტად ქრისტეზე აღესრულა. სწორედ მაცხოვარზე წინასწარმეტყველებს მეფსალმუნე დავითი: „აღვდა მაღალსა, წარმოტყუენა ტყუე, მოილო და განუყო იგი ნიჭად კაცთა“³⁶⁸, „რამეთუ სიმაღლესა ჯუარისასა“ – ამბობს წმინდა იოანე ოქროპირი – „აღსლვითა წარმომტყუენნა ჩუენ ტყუე-ქმნულნი ეშმაკისაგან... რადთა მონებისაგან განმათავისუფლნეს და მიიღოს ჩუენგან სარწმუნობაჲ, და ნაცვლად მისსა მომცეს ჩუენ მაღლი პირველ ქმნულთა ცოდვათა მოტევებისაჲ...“ (სამოციქულოს განმარტება 2006: 565). წმინდა კირილე ალექსანდრიელის თქმით, ქვეყნად მოვლენილი მაცხოვარი „სატანას დაატყვევებს და, როგორც თავად ბრძანებს, მის ქონებას გაიტაცებს“³⁶⁹, რაც ნიშნავს, რომ ოდესღაც მის (სატანის, ც. ჩ.) თაყვანისმცემლებს თავისადმი მიიკუთვნებს“ (Святитель Кирилл 1887: 236).

ნეტარი იერონიმეს განმარტებით, წინასწარმეტყველ ქალში სულიწმიდა მოიაზრება, რომელიც ებრაულად გადმოიციემა მდედრობითი სქესის სიტყვით **רוּחַ (Ruakh)** (Блаженный Иероним 1882: 143). მარადქალწული მარიამი სულიწმიდისაგან იქნა მიდგომილი და ხორციელად შვა „ძე დაუსაბამო“. ზოგიერთი განმმარტებელი (წმინდა კირილე ალექსანდრიელი, წმინდა ბასილი დიდი და სხვ.) წინასწარმეტყველ ქალში ღვთისმშობელს მოიაზრებს (Святитель Кирилл 1887: 235-236); (https://azbyka.ru/otechnik/Vasilij_Velikij/tolkovanie_na_knigu_proroka_Isaii/)³⁷⁰, რომელიც სულიწმინდისაგან მიდგომილი ესე ხარობდა და ადიდებდა უფალს: „...აჰა-ესერა, ამიერიტგან მნატრიდენ მე ყოველნი ნათესავნი; რამეთუ ყო ჩემ თანა დიდებული ძლიერმან...“³⁷¹.

წმინდა კირილე ალექსანდრიელისა და ბასილი დიდის განმარტებით, მასალა, რომელზეც აღნიშნული სიტყვები უნდა ყოფილიყო გამოსახული, ახალი აღთქმის სიმბოლოა (https://azbyka.ru/otechnik/Vasilij_Velikij/tolkovanie_na_knigu_proroka_Isaii/).

³⁶⁸ ფსალმ. 67, 19; შდრ. ეფეს. 4. 8: „აღვდა მაღალსა, წარმოტყუენა ტყუე და მისცა იგი ნიჭად კაცთა“.

³⁶⁹ იხ. მთ. 12. 29.

³⁷⁰ განმმარტებელთა შორის აღნიშნული თვალსაზრისის არსებობას ადასტურებს ნეტარი იერონიმეც (Блаженный Иероним 1882: 143).

³⁷¹ ლკ. 1. 48-49.

წმინდა კირილე ალექსანდრიელი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შემდეგ ალევორიულ განმარტებას გვთავაზობს: „ეს გრაგნილი არის ახალი და დიდი, რადგან პირველი აღთქმის მსგავსად არ არის შედგენილი ეს ახალი და არგაგონილი (აღთქმა), რომელიც ქრისტეს საიდუმლოს აცხადებს, მას რჯულის დადგენილებათა დამახასიათებელი ნაკლი კი არ ექნება, არამედ გამოვლენილი იქნება ცოდნისა და დოგმატების, ასე ვთქვათ, უპირატესობასა და სიდიადეში“ (Святитель Кирилл 1887: 232). წმინდა კირილეს ეგზეგეზის თანახმად, გრაგნილზე სიტყვები იწერება „საწერელითა კაცისადათა“, რადგან სწავლება ქრისტეს განკაცების გამოუთქმელი საიდუმლოს შესახებ ახალი აღთქმის წიგნებში ჩვენთვის გასაგებ ენაზეა ჩაწერილი (Святитель Кирилл 1887: 233-234). იმავე აზრს გამოთქვამს წმინდა ბასილი დიდი: „სახარებისეული სიტყვები მრავალთათვის გასაგებად, კაცობრივი ენით არის დაწერილი“ (https://azbyka.ru/otechnik/Vasilij_Velikij/tolkovanie_na_knigu_proroka_Isaii/).

წმინდა კირილე ალექსანდრიელი „დამასკოს ძალას“ უკავშირებს იმ ძლიერებას, რომელიც ბოროტების თაყვანისცემაზეა დამყარებული. „სამარიის დოვლათში“, წმინდა მამის თქმით, დემონებს დამონებული ხალხი მოიაზრება. რაც შეეხება „ასურეთის მეფეს“, მასში სიმბოლურად იგულისხმება სატანა. განკაცებული უფალი დაამარცხებს ბოროტებას და მის მიერ ცდუნებულთ გაათავისუფლებს, „ვიდრე ცნობადმდე ყრმისა მის ხადილსა მამისა, გინა დედისა“³⁷². წმინდა კირილე აღნიშნულ მუხლებს მათეს სახარებაში აღწერილ მოგვთა თაყვანისცემას³⁷³ უკავშირებს (Святитель Кирилл 1887: 239).

ნეტარი იერონიმეს განმარტებით, ესაიას ზემოაღნიშნულ წინასწარმეტყველებაში ნახსენებ ყრმაში იგულისხმება, ასევე, ყოველი წმინდა ადამიანი, რომელშიც ღვთის სიტყვა სულიწმიდის ძალით შთამკვიდრდა. „...სანამ (ასეთი ადამიანი, ც. რ.) სრულყოფილებას მიაღწევდეს, ღმერთს მამისა და ზეციურ იერუსალიმს დედის სახელით მიმართავდეს, ჯერ კიდევ ყრმობისა და მოღვაწეობის პერიოდში დაძლევს დამასკოს ძალას, ე. ი. გარეშე სიბრძნისმეტყველებას, ხოლო სამარიის ნადავლს წარიტაცებს, რომელიც, მოსტაცეს რა ერეტიკოსებმა ეკლესიას, ამბობდნენ: რა ნაწილი ძეს ჩუენი დავითის თანა? და არცა სამკვდრებელ ძისა თანა იესესისა“³⁷⁴, წაართმევს მათ

³⁷² ეს. 8. 4.

³⁷³ იბ. მთ. 2. 1-12.

³⁷⁴ 3 მეფ. 12. 16.

ასურეთის მეფის – ეშმაკის თანდასწრებით, რომელსაც მათი მოხმარება არ შეეძლება“ (Блаженный Иероним 1882: 144).

5.3. განმოსილი სიარული

ესაიას წიგნის XX თავში მისი უკანასკნელი **სიმბოლური ქმედებაა** გადმოცემული. ის უკავშირდება ეზეკია აქაზის ძის მმართველობის პერიოდს, რომელზეც ესაიას შესახებ „ზოგად ცნობებში“ (იხ. §5.1.) გვქონდა საუბარი.

„წელსა მას, რომელსა შევიდა ტანათან³⁷⁵ აზოტედ, ოდეს-იგი მოივლინა სარნადსგან³⁷⁶, მეფისა მის ასურასტანელთაჲსა, და ჰბრძო მას და დაიპყრა აზოტჳ. მაშინ ეტყოდა უფალი ესაიას, ძესა ამოსისსა, წინაღწარმეტყუელსა, და ჰრქუა: წარვედ და განიდარცუე ძამად ეგე შენი წელთაგან შენთა და სანდალნი წარიკადენ ფერჯთაგან შენთა. და ყო ეგრეთ ესაია და ვიდოდა შიშუელი და უჯამური“³⁷⁷.

ესაიას ღვთისგან ებრძანა, რათა ძამა და ფეხსაცმელი განემოსა და იუდეის სამეფოში შიშველს³⁷⁸ ეარა. წმინდა წერილის განსახილველი ეპიზოდიდან ცხადი ხდება, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში წინასწარმეტყველი ხალხში ძამით დადიოდა. წმინდა ეფრემ ასურის უწყებით, ამ სამოსით ესაია მეფე ოზიას გარდაცვალებისას შეიმოსა (Святой Ефремъ 1995ა: 362). წმინდა იოანე ოქროპირი აღნიშნავს, რომ ბოროტისაგან ძლეულ ებრაელთა გლოვის ნიშნად ეცვა ესაიას ძამა. წმინდა მამის განმარტებით, სულიწმიდის შთაგონებით წინასწარმეტყველმა იცოდა, რომ იუდეის მკვიდრები არ შეინანებდნენ და სამხრეთის სამეფო არსებობას შეწყვეტდა. ასე რომ, ძამის

³⁷⁵ ქალაქის აღებას ასურეთის მეფე სარგონის (ასირიულად „სარრუკინი“) არმიის მთავარსარდალი (ანუ **ტანათანი**, სიტყვა **tartanu** ასირიული წარმოშობისაა და ხსენებულ თანამდებობას მიემართება) მეთაურობდა (Толковая Библия 1908: 332).

³⁷⁶ შდრ. LXX: „Αρνα“; სლავ.: „арны“. „სარგონი“ წერია: MT: „שַׂרְגֹּן“; VUL: „Sargon“; KJV: „Sargon“; რუს.: „Саргона“. ახალქართულშიც იგივე ვითარებაა.

³⁷⁷ ეს. 20. 1-2.

³⁷⁸ წმინდა წერილი წინასწარმეტყველის მიერ მხოლოდ ძამისა და ფეხსაცმლის გახდაზე საუბრობს. აქედან გამომდინარე, დარწმუნებით ვერ ვიტყვით, რომ ესაია სრულიად გაშიშვლდა. რაც შეეხება წმინდა მამათა განმარტებებს, ამ საკითხს ყველაზე ნათლად ეხება წმინდა ამბროსი მედიოლანელი: „შესაძლებელია, ვინმემ თქვას: განა არ რცხვენოდა მოღვაწეს ხალხის წინაშე რომ სრულიად შიშველი დადიოდა... განა თავად სანახაობა არ შეურაცხყოფდა ყველას თვალებს და, განსაკუთრებით, ქალებისას?... ადამიანები სამოსით იფარავენ საკუთარ სირცხვილს სწორედ იმიტომ, რომ საძაგელი შესახედაობით არ შეურაცხყონ მათ მაყურებელ თვალთა მზერა...“ (БКОЦ 2011ბ: 146).

იმედს ადამიანურ ძალაზე ამყარებდა და დასახმარებლად უცხო ქვეყნებს მიმართავდა. აღნიშნულ ცდომილებას ყოვლისმპყრობელი არაერთგზის ამხელდა³⁸². წმინდა კირილე ალექსანდრიელის თანახმად, როდესაც ასურელებმა ქალაქი აზოტე აიღეს, იუდეის მკვიდრებს შეეშინდათ, რომ იმავე განსაცდელში ჩაცვივდებოდნენ და მტერთან საბრძოლველად ეგვიპტის არმია დაიქირავეს (Святитель Кирилл 1887: 521-522). წმინდა მამა ზემოთ ნახსენებ **სიმბოლურ ქმედებასთან** დაკავშირებით შემდეგს აღნიშნავს: „ღმერთი წინასწარმეტყველს უბრძანებს, რომ მას ჰქონდეს ტყვეებისთვის დამახასიათებელი და ჩვეული შესახედაობა, ე. ი. იაროს ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის გარეშე, ვინაიდან გამარჯვებულნი დიდ პატივს არ მიაგებენ ტყვეებს. ვინც ასეთ განსაცდელში შევა... ტანსაცმელი ან სხვა სამკაული და ფუფუნებისთვის განკუთვნილი ნივთი კი არ მიაქვს, არამედ დამპყრობელთა ნებას მინდობილი იძულებულია, ყოვლის უზრუნველად წავიდეს“ (Святитель Кирилл 1887: 521-522). წინასწარმეტყველი დატყვევებულ ეგვიპტელებსა და ეთიოპელებს განასახიერებდა, რომელთა იმედი ჰქონდათ იუდეველებს. წმინდა კირილე ალექსანდრიელის თანახმად, განსახილველი **სიმბოლური ქმედება** შემდეგი მიზნით განხორციელდა: ებრაელებს უნდა გაეთავისებინათ, რომ „ფუჭია ადამიანზე იმედის დამყარება, პირიქით, ისინი შეწევნას ზეგარდმო უნდა დალოდებოდნენ და თანაშემწისა და მარად მხსნელი ღვთის სიყვარულის მოსაპოვებლად დამაშვრალიყვნენ“ (Святитель Кирилл 1887: 522-523). შემოქმედზე იმედის დამყარების შესახებ უფალი წმინდა წერილით არაერთგზის შეგვაგონებს. მეფსალმუნე დავითი მოწმობს: „კეთილ არს სასოებად უფლისა მიმართ, ვიდრე სასოებად მთავართა მიმართ“³⁸³. იერემია წინასწარმეტყველი გვმოდვრავს: „ესრე იტყვს უფალი: წყეულ იყავნ კაცი იგი, რომელსა სასოებად თვისი აქუნდეს კაცისა მიმართ და ესვიდეს ჯორცთა მკლავთა თვისთასა, და უფლისაგან განდგეს გული მისი... და კურთხეულ იყავნ კაცი იგი, რომელი ესავს უფალსა“³⁸⁴. ამრიგად, **სიმბოლური ქმედების** მიზანი ის იყო, რომ კაცობრივი ძალის მოიმედე ებრაელთა სასოება უფლისადმი წარმართულიყო.

განმმართველთა თანახმად (წმინდა იოანე ოქროპირი, წმინდა ეფრემ ასური, ნეტარი იერონიმე და სხვ.), ესაია **სიმბოლური ქმედებით** სამომავლო მოვლენებზე

³⁸² იხ.: ოს. 7. 1; ეს. 31. 1, 2.

³⁸³ ფსალმ. 117. 9.

³⁸⁴ იერ. 17. 5, 7.

მიანიშნებდა არა მხოლოდ ებრაელებს, არამედ ეგვიპტელებსაც (Святитель Иоанн 1900ა: 161-162); (Святой Ефремъ 1995ა: 362); (Блаженный Иероним 1882: 370). წმინდა კირილე ალექსანდრიელის თანახმად, ეგვიპტელები იმედებს ეთიოპელთა სამხედრო ძალაზე ამყარებდნენ და მათ დაქირავებულ ჯარს მტერთან ბრძოლაში ხშირად იშველიებდნენ (Святитель Кирилл 1887: 524). წმინდა წერილის აღნიშნულ მონაკვეთში აფრიკის ტერიტორიაზე მკვიდრ უძველეს ხალხზე ქუშელებზეა საუბარი. წმინდა კირილე ბარბაროსი ეთიოპელების შესახებ გარკვეულ ცნობებს გვაწვდის. წმინდა მამის თქმით, ეს ხალხი ბლემიებად იწოდებოდა. ისინი ბრძოლაში ისრის ტყორცის დიდ ხელოვნებას ფლობდნენ. ეთიოპელები ანუ ქუშელები ისრებს უძლიერესი შხამით ფარავდნენ, რომელიც სხეულში მოხვედრისას ადამიანს მყისვე კლავდა (Святитель Кирилл 1887: 523). წმინდა ეფრემ ასურის ეგზეგეზის თანახმად, ესაიას „სიშიშვლე ეგვიპტელებისა და ეთიოპელებისთვის იქნება ნიშანი, რომ მათაც გააშიშვლებს დამპყრობთა ხელი“ (Святой Ефремъ 1995ა: 362).

წმინდა იოანე ოქროპირის განმარტებით, ესაიას **სიმბოლური ქმედება** სამი წლის განმავლობაში გრძელდებოდა (Святитель Иоанн 1900ა: 164). წინასწარმეტყველს ამაოდ არ უტვირთავს სირცხვილი. წმინდა მამის თქმით, ეს საქციელი იმთავითვე მოწმობდა, რომ ესაიას სიტყვები სიმართლეს შეესაბამებოდა (Святитель Иоанн 1900ა: 162).

წმინდა ეფრემ ასურის განმარტებით, „სამი წელი“ გამოხატავდა იმ პერიოდს, რომლის გასვლის შემდეგაც უფლის სიტყვები აღსრულდებოდა, ან აღნიშნული დრო ეგვიპტელებსა და ეთიოპელებზე მოვლენილი სასჯელის ხანგრძლივობას მიემართებოდა (Святой Ефремъ 1995ა: 362). ნეტარი იერონიმე ამ უკანასკნელ განმარტებას იზიარებს. მისი თქმით, წინასწარმეტყველების თანახმად, ეგვიპტელები და ეთიოპელები სამი წლის განმავლობაში იქნებოდნენ დატყვევებულნი (Блаженный Иероним 1882: 370).

წმინდა კირილე ალექსანდრიელის ხელთ არსებული ცნობით, ასურეთსა და ეგვიპტეს შორის გამართულმა სამწლოვანმა ომმა გააუდაბურა ეგვიპტეც და ეთიოპელთა ქვეყანაც. ეგვიპტელები ბლემიებთან ერთად დაიპყრეს და დაატყვევეს ასურელებმა (Святитель Кирилл 1887: 521, 523).

წმინდა მამათა ეგზეგეზის საფუძველზე ვასკვნით შემდეგს: ესაიას **სიმბოლური ქმედებაში** სამი წელი გამოხატავდა როგორც ასურელთა მიერ ეგვიპტელთა და

ეთიოპელთა ქვეყნების გაცამტვერების (ეს შეიძლება ჩაითვალოს მათ ტყვეობამდელ პერიოდად), ასევე მათი ტყვეობის ხანგრძლივობის დროს. ორივე მოვლენა სამი წელი გაგრძელდებოდა.

ბოლო დროის მკვლევართა ვარაუდით, უფლის სიტყვები ასურეთის ხელისუფალ ასარგადონის³⁸⁵ დროს აღსრულდა. ხსენებულმა ხელმწიფემ ეგვიპტე დაიპყრო და უამრავი ადამიანი დაატყვევა. იგი თავს „ეგვიპტის მეფეთ-მეფეს“ უწოდებდა (Толковая Библия 1908: 333); (Толкование 1996: 56).

დეკანოზი ალექსანდრე მენი ისტორიული მოვლენების შესახებ წერს: „მოვლენების შემდგომი განვითარების შესახებ არაფერია ცნობილი. სარგონის წარწერებიდან ვიგებთ, რომ ამბოხში არა მხოლოდ აზოტე, მოაბი და ედომი, არამედ იუდეაც მონაწილეობდა. ქალაქი აზოტე 711 წელს განადგურდა, თუმცა განსაცდელი იუდეას ამჯერადაც განერიდა... მეფე ეზეკიამ საომარ ქმედებებში მონაწილეობის მიღებაზე უკანასკნელ წამს განაცხადა უარი“ (Протоиерей Александр 1992: 65-66).

„და მოუძღურდენ უძღურებით ეთიოპელთა მიმართ, რომელთა-იგი ესვიდეს მეგვიპტელნი, რომელნი იყვნეს მათდა დიდება. და თქუან დამკვდრებულთა ამის ჭალაკისათა მას დღესა შინა: აჰა-ესერა, ჩუენ მოსავ ვიყვენით მივლტოლად მათდა შეწევნისათვს, და მათ ვერ უძლეს განრინებად მეფისაგან ასურასტანელთაჲსა და ჩუენ ვითარ-მე განვერნეთ“³⁸⁶?

ესაიას წინასწარმეტყველების თანახმად, ეთიოპელები ასურელთაგან დამარცხდებოდნენ და დატყვევდებოდნენ. ამით ქუშელების არმიაზე დამყარებული ეგვიპტელთა იმედის ამაოება გაცხადდებოდა.

კომენტატორთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა, თუ რას ეწოდება ბიბლიის მოტანილ მონაკვეთში „ჭალაკი“. წმინდა კირილე ალექსანდრიელის განმარტებით, ამ შესიტყვებით მდინარეებითა და ტბებით უხვი ეგვიპტეა მოხსენიებული (Святитель Кирилл 1887: 524). წმინდა იოანე ოქროპირის განმარტების მიხედვით, უკანასკნელი მუხლები ებრაელებს ეხება (Святитель Иоанн 1900а: 164). წმინდა მამათა მოსაზრებები ერთმანეთს არ გამორიცხავს. აღნიშნულ ადგილზე „ჭალაკში“ ბიბლია გულისხმობს ეგვიპტელებსაც და ებრაელებსაც. ამრიგად, წინასწარმეტყველების თანახმად, ასურელთა

³⁸⁵ ასარგადონი – ძვ. წ. 681- 668 წწ.

³⁸⁶ ეს. 20. 5-6.

ზემოხსენებული გამარჯვების შემდგომ ეთიოპელთა და ეგვიპტელთა მოიმედე ხალხი შეხედულებას შეიცვლიდა.

წმინდა ამბროსი მედიოლანელი ესაიას ზემოხსენებული ქმედების სიმბოლიკის სხვა მხარესაც ეხება. წმინდა მამის ეგზეგეზის თანახმად, წინასწარმეტყველის განმოსილი სიარული ნიშნავდა, რომ ეგვიპტის მოიმედე ებრაელი ხალხი თავადაც მოხვდებოდა ტყვეობაში (БКОЦ 2011ბ: 147)³⁸⁷.

ამრიგად, სამი **სიმბოლური ქმედებიდან** ორი ესაიამ განახორციელა შვილების დახმარებით, ერთი კი – მარტო. ქვემოთ მიმოვიხილავთ თითოეულ მათგანს.

შვილების დახმარებით აღსრულებული **სიმბოლური ქმედებანი** შეიცავდნენ სამხრეთის სამეფოს მოსახლეობისთვის სანუგეშო წინასწარმეტყველებას.

პირველი **სიმბოლური ქმედებით** ესაიამ მოასწავა იუდეის მკვიდრთა გადარჩენა მტრისგან. აღნიშნულ პერიოდში იერუსალიმი ისრაელისა და სირიის გაერთიანებული ლაშქრის ალყაში იყო მოქცეული. წინასწარმეტყველი ძესთან, იასუბთან, ერთად მივიდა შიშით შეპყრობილ მეფე აქაზთან. ესაიას შვილი განასახიერებდა იუდეველებს და მიანიშნებდა მათ ხსნაზე.

მეორე **სიმბოლური ქმედება** ისრაელისა და სირიის სასჯელს უკავშირდებოდა. თავდაპირველად ესაიამ საწინასწარმეტყველო სიტყვები (მალე იალაფე, ჩქარა გამარცხე) აღბეჭდა დიდსა და ახალ გრაგნილზე. ეს ქმედება მან ორი მოწმის თანდასწრებით განახორციელა. შემდეგ ესაიამ აღნიშნული წინამოსწავება ახალშობილ ძეს სახელად უწოდა. წინასწარმეტყველის შვილი ებრაელებს სამომავლო მოვლენებზე მიანიშნებდა. მის ზრდასთან ერთად ახლოვდებოდა ასურეთის მიერ ისრაელისა და სირიის განადგურების დროც.

მესამე **სიმბოლური ქმედებით** ღმერთი ხალხს კაცობრივ ძალაზე იმედის დამყარების ამოუბას შეაგონებდა და სასოების შემოქმედისადმი წარმართვისაკენ მოუწოდებდა. ესაია სამი წლის განმავლობაში დადიოდა განმოსილი. აღნიშნულ პერიოდში წინასწარმეტყველი წინასახეობრივად მიანიშნებდა სამწლოვან ომზე ეგვიპტელებისა და ეთიოპელების ქვეყანაში, რასაც შედეგად იმავე ხანგრძლივობის ტყვეობა მოჰყვებოდა. ამ ყოველივეს ასურელები განახორციელებდნენ.

³⁸⁷ იმავე უწყებას ვხვდებით მიქა წინასწარმეტყველის წიგნშიც: „ამისთვის ეტყებდეს და გოდებდეს და ვიდოდის იგი შიშული და უკამური...“ (მიქ. 1. 8).

თავი VI

წინასწარმეტყველი იერემია

6.1. ზოგადი ცნობები

სიმბოლური ქმედებების განხილვას ესაიას სულიერი მემკვიდრის იერემია³⁸⁸ წინასწარმეტყველის წიგნის ფონზე განვაგრძობთ. მან განაახლა უკეთურების მამხილებელი დაულალავი მოღვაწის ესაიას საქმიანობა.

იერემია ქელკიას ძე მოღვაწეობდა იუდეის სამეფოში. წინასწარმეტყველი ლევიტელთა დასს მიეკუთვნებოდა, მისი მამა სამღვდლო პირი გახლდათ. ქელკიას ოჯახი მღვდელმთავარ აბიათარის³⁸⁹ შთამომავალი იყო და ბენიამინის ტომის ქალაქ ანათოთში სახლობდა. იერემიამ ზეგარდამო მოწოდება იოსია³⁹⁰ ამოსის ძის მეფობის მეცამეტე წელს მიიღო და ორმოც წელზე მეტი ხანი იღვაწა (Святой Ефремъ 1995ა: 424); (Толковая Библия 1909: 1).

ძვ. წ. 626 წელს ბაბილონის პრინცმა ნაბოპალასარმა ასურეთის არმია დაამარცხა და ე. წ. ახალ-ბაბილონის იმპერიას ჩაუყარა საფუძველი. მან მიზნად დაისახა, ასურეთი პოლიტიკური ავანსცენიდან ჩამოეშორებინა, რასაც ვერც ფარაონმა ნექაომ შეუშალა ხელი. ძვ. წ. 612 წელს დედაქალაქ ნინევეს დაკარგვითა და ძვ. წ. 609 წელს განცდილი მარცხის შემდეგ საბოლოოდ განადგურდა ასურეთის სამეფო და მისი ადგილი სამხედრო-პოლიტიკურ რუკაზე დაიკავა ახალმა მძლავრმა იმპერიამ – ბაბილონმა.

გამყოფი ხაზი ახლად წარმოქმნილ სამეფოსა და ეგვიპტეს შორის გაივლო მდინარე ეფრატთან, ქალაქ კარხემისზე. პალესტინა ეგვიპტის ძალაუფლების ქვეშ იმყოფებოდა.

³⁸⁸ შდრ.: ბერძნ. **Ιερεμίας**, ებრ. **יְרֵמְיָהוּ** (**Yirmēyahū**). აღნიშნული სახელი ნიშნავს „უფლის სიდიადეს“ (Блаженный Иероним 2006б: 352).

³⁸⁹ ხსენებულ იერარქს, გარკვეული მიზეზით, მღვდელმთავრობა ჩამოერთვა (იხ. 3 მეფ. 2. 26).

³⁹⁰ იოსია – იუდეის უკანასკნელი ღვთისწიერი მეფე (ძვ. წ. 640-609 წწ.).

იოსიას გარდაცვალების შემდეგ იუდეის სამეფო ტახტზე ჯერ მისი შუათანა ძე იოაქაზი³⁹¹ ავიდა, ხოლო სამი თვის შემდეგ – უფროსი ვაჟი, ეგვიპტის ვასალი იოაკიმე (იგივე ელიაკიმი)³⁹².

ქრისტეშობამდე 605 წელს ასპარეზზე გამოჩნდა ახალი ისტორიული ფიგურა, ბაბილონელი უფლისწული ნაბუქოდონოსორი. მან კარხემისთან გამართულ ბრძოლაში დაამარცხა ეგვიპტელები, გარკვეული ხნის შემდეგ კი იუდეის სამეფო დაიმორჩილა³⁹³. ნაბუქოდონოსორმა მეფე იოაკიმეს სამეფო ტახტი ერთგულებისა და ხარკის გადახდის პირობით შეუნარჩუნა, თუმცა ბაბილონში წაიღო ტაძრის საგანძურის ნაწილი. ამასთან, მან სამშობლოდან გადაასახლა გვარიშვილობით გამორჩეული ებრაელები³⁹⁴. პოლიტიკური ვასალი (იუდეა) ნაბუქოდონოსორმა სამი წელი შეინარჩუნა. იოაკიმემ ხარკის გადახდა შეწყვიტა. ეს გადაწყვეტილება სამხრეთის სამეფოს ძვირად დაუჯდა. გარკვეული ხნის შემდეგ მეფე ნაბუქოდონოსორმა აიღო იერუსალიმი და ბორკილები დაადო იოაკიმეს³⁹⁵. სამეფო ტახტი იოაკიმეს ვაჟმა იეჟონიამ იმემკვიდრა. მისი მეფობის ჟამს ნაბუქოდონოსორმა კვლავ გაილაშქრა იერუსალიმზე. იეჟონიამ ბაბილონის მეფეს ქალაქი უბრძოლველად ჩააბარა. ნაბუქოდონოსორმა იერუსალიმი გამარცხა და ბაბილონში გადაასახლა წარჩინებული მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, დაახლოებით 10 000 ადამიანი, მათ შორის, თავად იეჟონია და მისი დედა³⁹⁶. სამეფო ტახტზე იოსიას უმცროსი ძე სედეკია (იგივე მეთათანია)³⁹⁷ განამწესეს.

ეგვიპტეში ახალი ფარაონის ოფრას გამეფების შემდეგ სედეკიამ ბაბილონის ვასალობიდან გამოსვლა დაისახა მიზნად. შეიქმნა კოალიცია, რომელშიც გაერთიანდა ხუთი სახელმწიფო: იუდეა, ტვიროსი, სიდონი, მოაბი და ამონი. ამან საშინლად განარისხა ნაბუქოდონოსორი, იგი კვლავ გამოემართა იუდეის დასასჯელად.

³⁹¹ ხსენებულ ხელისუფალს წინასწარმეტყველი იერემია „სელემად“ მოიხსენიებს (იხ. იერ. 22. 11).

³⁹² „იოაკიმე“ მას უწოდა ფარაონმა ნექაომ (იხ. 4 მეფ. 23. 34).

³⁹³ მკვლევართა უმეტესობა აღნიშნულ მოვლენას ძვ. წ. 604 წელს უკავშირებს, თუმცა ზოგიერთი მეცნიერი იოსებ ფლავიუსზე დაყრდნობით ფიქრობს, რომ ნაბუქოდონოსორმა იუდეა დაიმორჩილა დაახ. ძვ. წ. 600 წელს (Толковая Библия 1905: 575).

³⁹⁴ იხ. დან. 1. 2.

³⁹⁵ იოსებ ფლავიუსის თქმით, იოაკიმე მოკლეს და იერუსალიმთან ახლოს მიაგდეს, ხოლო, ნეტარი იერონიმეს მოსაზრებით, იუდეის ყოფილი მეფე ბაბილონის ციხეში გარდაიცვალა. წმინდა ფილარეტ მოსკოველი არცერთ ვერსიას არ გამოირიცხავს. ამ დროს სამიათასზე მეტი იუდეველი წაიყვანეს ტყვეობაში (Святитель Филарет 1857: 275).

³⁹⁶ გადასახლებულთა შორის იმყოფებოდა წინასწარმეტყველი ეზეკიელიც. მის შესახებ შემდგომ ვისაუბრებთ.

³⁹⁷ „სედეკია“ მას უწოდა ნაბუქოდონოსორმა (იხ. 4 მეფ. 24. 17).

მკ. წ. 586 წელს ნაბუქოდონოსორმა აიღო იერუსალიმი, სასტიკად დასაჯა სედეკია და იუდეის მმართველად გოდოლია განამწესა. იერუსალიმი გადაწვეს, ხოლო იუდეის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ბაბილონის სამეფოში გადაასახლეს. წინასწარმეტყველ იერემიას უფლება მისცეს, თავად აერჩია საცხოვრებელი ადგილი. მოღვაწემ ბაბილონში უზრუნველ ცხოვრებას გადამწვარ ქვეყანაში თანატომელებთან ყოფნა ამჯობინა. გოდოლიას მოულოდნელი მკვლელობის გამო იუდეაში დარჩენილი ხალხი პანიკამ მოიცვა. ქალდეველთაგან მოსალოდნელი სასჯელის შიშით მათ ეგვიპტეში გახიზვნა განიზრახეს. იერემიამ, მცდელობის მიუხედავად, აღნიშნულ გადაწყვეტილებას ხელი ვერ შეუშალა. თავად წინასწარმეტყველი აიძულეს, ქალაქ ტაფნისში გადასულიყო. საეკლესიო გადმოცემით, იუდეველებმა იერემია მხილების გამო ჩაქოლეს ქვით (Святой Ефремъ 1995ა: 424); (Толковая Библия 1909: 5).

6.2. სელის სარტყელთან დაკავშირებული ისტორია

იერემიას პირველი **სიმბოლური ქმედება** წინასწარმეტყველის წიგნის XIII თავშია აღბეჭდილი:

„ესრე მრქუა მე უფალმან: წარვედ, მოიგე შენდად სახუვეელი **მჭურისა**³⁹⁸ და იხვე წელთა შენთა, წყლითა არა განრცხეს იგი. და მოვიგე სახუვეელი, ვითარცა მრქუა მე უფალმან, და შევიხვე წელთა ჩემთა“³⁹⁹.

ზემოაღნიშნული ქმედებისას იერემია უფალს განასახიერებდა, ხოლო მის წელზე შემორტყმული სელის სარტყელი სიმბოლო იყო ებრაელი ხალხისა⁴⁰⁰, რომელიც სამღვდლო მოდგმას წარმოადგენდა⁴⁰¹. წმინდა იოანე ოქროპირის განმარტებით, ამ პატივზე ქამრის მასალა მიანიშნებდა (Святитель Иоанн 1906: 1223). ებრაელები უფალმა დიდად დაიახლოვა. წმინდა იოანე ოქროპირის განმარტებით, იერემიას ეკრძალებოდა სარტყელის გარეცხვა, ხოლო უფალი კერპთმსახურებისაგან შებილწულ ებრაელებს არ უგულუბელყოფდა (Святитель Иоанн 1906: 1224).

³⁹⁸ შდრ.: LXX: „λινοῦ“ (ბერძნ. λινοῦ – სელისგან (შექმნილი), ტილო); VUL: „lineum“; სლავ.: „льняной“; MT: „לִינָה“ (לִינָה – სელი, ტილო); KJV: „linen“; რუს.: „льняной“; ახალქართ.: „ტილოს“.

³⁹⁹ იერ. 13. 1-2.

⁴⁰⁰ შდრ. იერ. 13. 11: „...ეგრეთ შემოვიახლე მე სახლი ისრაჴლისა და ყოველი სახლი იუდაისი...“.

⁴⁰¹ შდრ. გამოსლ. 19. 6: „თქუენ იყვენით ჩემდა სამეუფოდ, სამღვდლოდ და ნათესავად წმიდად...“.

„და იყო სიტყუად უფლისად ჩემდამო მეორედ, და მრქუა მე: აღიღე სახუვეელი ეგე შენი, რომელ მოიგე, რომელ არს წელთა შენთა ზედა, და აღდეგ და მივედ შენ კიდესა ევფრატისასა და დამალე იგი მუნ ჯურელსა შინა კლდისასა. და მივედ და დავმალე იგი კიდესა ევფრატისასა, ვითარცა მამცნო მე უფალმან“⁴⁰².

ბიბლიის ზოგიერთი ბოლო დროის მკვლევარი მიიჩნევს, რომ **სიმბოლური ქმედებისთვის** იერემია უშუალოდ მდინარე ევფრატთან არ მისულა. ეს თვალსაზრისი ეფუძნება იმ ფაქტს, რომ მდინარე ევფრატი მდებარეობდა იუდეიდან მოშორებით (დაახლოებით 500 კმ.). იქ იერემიას არაერთხელ მოუწევდა ჩასვლა, ხოლო მტრის ტერიტორიაზე ეგზომ დიდი მანძილის გავლა არც ისე იოლი იქნებოდა მისთვის. ზემოთ ნახსენებ მკვლევართა მიხედვით, წინასწარმეტყველს სარტყლის მყარად განთავსება ებრძანა ანათოთთან ახლოს მდებარე მცირე მდინარეში – **ვადი ფარა**. იგი თავისი სახელდებით ჰგავდა **ევფრატს** (Толкование 1996: 155); (Толковая Библия 1909: 52). უნდა აღინიშნოს, რომ წმინდა იოანე ოქროპირი, ნეტარი თეოდორიტე და წმინდა ეფრემ ასური ზემოაღნიშნულ საუფლო ბრძანებას პირდაპირი მნიშვნელობით იგებენ (Святитель Иоанн 1906: 1224); (Блаженный Феодорит 1859: 173, 174); (Святой Ефремъ 1995а: 464). ისინი ფიქრობენ, რომ წინასწარმეტყველი მდინარე ევფრატთან მივიდა და სწორედ იქ განათავსა სარტყელი⁴⁰³. აღნიშნული საკითხის განმარტებისას წმინდა იოანე ოქროპირი სვამს კითხვას, რომელსაც თავადვე პასუხობს: „რატომ უბრძანა (უფალმა წინასწარმეტყველს, ც. რ.) გამგზავრება ევფრატისაკენ, ასეთ სავალზე? განა უფრო ახლოს არ იყო მდინარე იორდანე? ეს იმიტომ, რომ (იერემიას, ც. რ.) ეჩვენებინა, თუ საიდან მოვიდოდა უბედურება, ამიტომ გაგრძელდებოდა კიდევაც (ეს განსაცდელი, ც. რ.) დიდი ხანი“ (Святитель Иоанн 1906: 1224).

კომენტატორთა თანახმად, აღნიშნული ქმედება სიმბოლო იყო 70-წლიანი ტყვეობისა, რომელიც რჩეულ ერს მოევლინა სასჯელად (Святой Ефремъ 1995а: 464); (Святитель Иоанн 1906: 1224); (Блаженный Иероним 2008: 307-308); (Блаженный Феодорит 1859: 174); (Толковая Библия 1909: 52); (Якимовъ 1879: 256). უფლის მიერ მიტოვებული

⁴⁰² იერ. 13. 3-5.

⁴⁰³ აღნიშნულ საკითხზე ნეტარი იერონიმეც საუბრობს ოსეს წიგნის განმარტების შესავალში (Блаженный Иероним 2006а: 149-150). მას დასაშვებად მიაჩნია ის თვალსაზრისი, რომ იერემია არ მისულა მდინარე ევფრატთან, თუმცა არ გვთავაზობს ალტერნატიულ ვერსიას: მაშინ რა გააკეთა წინასწარმეტყველმა? ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ იერემიას **სიმბოლური ქმედების** განმარტებისას ამ საკითხს ნეტარი მამა აღარ უბრუნდება.

ებრაელი ხალხი აღთქმის ქვეყნისგან მოშორებით იცხოვრებდა ქალდეველთა ტყვეობაში და გაცრეცილ სარტყელს დაემსგავსებოდა⁴⁰⁴.

ამ უკანასკნელი ფაქტის წარმოჩენის მიზნით იერემიამ უფლისგან ახალი ბრძანება მიიღო: „და იყო შემდგომად მრავლისა დღისა და მრქუა მე უფალმან: აღდეგ და მიგუაღე ევფრატად და მოიღე მიერ სახუვეელი იგი, რომელ გიბრძანე შენ დამარხვად მუნ. და წარვედ ევფრატად, აღმოვთხარე და მოვიღე სახუვეელი იგი მიერ ადგილით, სადა-იგი მუნ დამეფლა; და აჰა იყო იგი მუნ განრყუნილ, რომელ რადვე არად საჰმარ იყო“⁴⁰⁵.

გაიხრწნილი სარტყელი უზენაესთან კავშირდარღვეული რჩეული ერის ხვედრს განასახიერებდა.

წმინდა ევრემ ასური ამბობს: „წინასწარმეტყველს ებრძანება, რომ ამ ორი სიმბოლოს მეშვეობით ერს მათი ცოდვები და მომავალი ტყვეობა წარმოუსახოს. თავდაპირველად ღმერთი წინასწარმეტყველს სელის სარტყელის ყიდვას უბრძანებს, ფეიქარმა მას ჯერ კიდევ გაურეცხავი და დაუსველებელი სარტყელი უნდა მისცეს... აღნიშნული სიმბოლოს მეშვეობით უფალი საკუთარ ერს წარმოუჩენს ეგვიპტეში განცდილ შეურაცხყოფას, ასევე იმ დიდებასა და ჩინებულებას, რომლითაც იგი ეგვიპტის ტყვეობიდან გამოსვლის შემდეგ შეიმოსა, როდესაც ის ღმერთმა თავის საკუთრებად... გამოირჩია. ამ სიდიადეს ისინი არასდროს დაკარგავდნენ, თავიანთი უწმინდური საქმეებითა და მზაკვრული ნებელობით რომ არ დაცემულიყვნენ და დამველებულსა და დამპალ სარტყელს არ დამსგავსებოდნენ“ (Святой Ефремъ 1995а: 464). წმინდა იოანე ოქროპირი აღნიშნავს, რომ სარტყელი გაიხრწნა დროთა განმავლობაში, უფალმა კი მისგან განშორებული ებრაელები მყისვე არ დასაჯა (Святитель Иоанн 1906: 1224). წმინდა მამა ამბობს: „თავდაპირველად წინასწარმეტყველის წელზე შემოკრული (სარტყელი, ც. რ.) არ იხრწნებოდა, მისგან განშორების შემდეგ კი გაიხრწნა, ამგვარადვე იყო (ღვთივრჩეული, ც. რ.) ერიც, ღმერთთან სიახლოვეში ყოფნისას უვნებლად იყო, ხოლო როდესაც მას განუდგა, სრულიად გამოუსადეგარი გახდა“ (Святитель Иоанн 1906: 1224-1225).

ნეტარი იერონიმეს განმარტებით, ამავე თავში აღბეჭდილი იერემიას **სიმბოლური ქმედების** ბოლო ნაწილი⁴⁰⁶ სიმბოლო იყო ღვთის მიერ რჩეული ერის გამოხსნისა. ნეტარი

⁴⁰⁴ შდრ. იერ. 13. 10: „...და იყვნენ, ვითარცა სახუვეელი ესე, რომელი არღარა საჰმარ იყოს მერმე რადვე“.

⁴⁰⁵ იერ. 13. 6-7.

⁴⁰⁶ იბ. იერ. 13. 7.

მამის თქმით, ამ წყალობის მიუხედავად, აღთქმულ ქვეყანაში დაბრუნებული ებრაელი ხალხი ღვთის მცნებებს არ აღასრულებდა. მან უცხო ღმერთების კვალზე იწყო სიარული, დასასრულ, ღვთის ძეზეც კი იკადრა ხელის შეხება და უფლისგან განშორებით სულიერი სიკვდილი განიცადა (Блаженный Иероним 2008: 308).

ნეტარი იერონიმეს განმარტებით, სელის სარტყელი, ასევე, მართალი ადამიანის სიმბოლოა, რომელიც ეკლესიას იცავს ერეტიკოსთა შემოტევებისგან. იმ შემთხვევაში, თუ ეს ადამიანი მაცხოვრებელ წიაღს მოშორდება და ჩავა ევფრატში, კლდის ნაპრაღში (ანუ მწვალელები გახდება), დაღპება და ვედარასოდეს მოიპოვებს ადრინდელ მშვენიერებას, რადგან, რომც გამოსწორდეს, სახელშელახული კაცის სიტყვებს ხალხი აღარ შეისმენს (Блаженный Иероним 2008: 308).

შემდეგ მუხლებში იერემიას **სიმბოლური ქმედების** მნიშვნელობა განიმარტება: „და იყო სიტყუად უფლისად ჩემდამო და მრქუა მე: ესრე იტყვს უფალი: ესრე განვრყუნე გინებად იუდაისი და გინებად იერუსალჴმისად, მრავალი ესე გინებად, ერი ესე უკეთური, რომელთა არა ინებეს სმენად სიტყუათა ჩემთა და ვლენან განმარჯუებასა გულისა მათისა უკეთურისასა, და რომელნი ვლენან კუალსა ღმერთთა უცხოთასა მონებად მათა და თაყუანისცემად მათა, და იყვნენ, ვითარცა სახუეველი ესე, რომელ არღარა საჯმარ იყოს მერმე რადვე. რამეთუ ვითარ-იგი შეეხვის სახუეველი წელთა კაცისათა, ეგრეთ შემოვიახლე მე სახლი ისრაჴლისად და ყოველი სახლი იუდაისი, თქუა უფალმან, ყოფად ერად სახელოვნად და საქადულად და სადიდებელად, და არა ისმინეს ჩემი“⁴⁰⁷.

წმინდა იოანე ოქროპირი ნიშანდობლივად აღნიშნავს, რომ შემოქმედმა იერემიას **სიმბოლური ქმედება** მას შემდეგ განუმარტა, რაც წინასწარმეტყველი შემოქმედს მიენდო და მისი ბრძანება აღასრულა. წმინდა მამა ამბობს, რომ აღნიშნული საქციელით იერემიას მორჩილება გამოვლინდა: „არ უთქვამს: სირცხვილია, სასაცილოა, არამედ (უფალს, ც. რ.) ყველაფერს უგონებს. (ღმერთი წინასწარმეტყველს, ც. რ.) ნაწილ-ნაწილ იმიტომაც აძლევს ბრძანებებს, რომ მან მორჩილება ისწავლოს“ (Святитель Иоанн 1906: 1224).

⁴⁰⁷ იერ. 13. 8-11.

6.3. თიხის ჭურჭლის დამსხვრევა

იერემიას შემდეგი სიმბოლური ქმედება წინასწარმეტყველის წიგნის XIX თავშია აღწერილი.

„მაშინ მრქუა მე უფალმან: მივედ და მოიგე შენდად ყვბარი⁴⁰⁸ ერთი, ქმნული მეკეცისა და მოიყვანე მოხუცებულთაგანი ერისათანი და უხუცესთაგანნი მღვდელთანი, და განხვდე შენ სამარობანსა შვილთა მათათასა⁴⁰⁹, რომელ მომკუდარ არიან, რომელ არს ბჭეთა გარეშე ქარსისათა⁴¹⁰, და წარიკითხნე⁴¹¹ ყოველნი ესე სიტყუანი მუნ, რომელთა გეტყოდი შენ“⁴¹².

„ერის უხუცესნი“ ებრაელთა ტომების (ამ შემთხვევაში, იუდასა და ბენიამინის) კანონიერი წარმომადგენლები იყვნენ, ხოლო „მღვდელთა უხუცესნი“⁴¹³, სავარაუდოდ, სხვადასხვა სამღვდლო გვარისა. ასე რომ, სიმბოლური ქმედება იუდეის მკვიდრთა საერო და სასულიერო წოდების სრულუფლებიანი წარმომადგენლობის თვალწინ აღესრულა.

⁴⁰⁸ შდრ.: LXX: „βῆκον“ (βῆκος – ღვინის ჭურჭლის აღმოსავლური დასახელება; ნეტარი იერონიმეს განმარტებით „მომცრო კასრი“); სლავ.: „циѣла“; VUL: „lagunculam“ (laguncula – მომცრო ჭურჭელი, მათარა); MT: „קִבְּוֹ“ (קִבְּוֹ – ჭურჭელი, მათარა); KJV: „bottle“; რუს.: „кувшин“; ახალქართ.: „დოქი“.

⁴⁰⁹ შდრ.: LXX: „εἰς τὸ πολυάνδριον σὶν τῶν τέκνων ἀπὲν“ (πολυάνδριος სიტყვასიტყვით ნიშნავს „კაცთაგან სავსეს“, ხოლო, ჩვეულებრივ, ითარგმნება როგორც „სასაფლაო“); სლავ.: „многочръничное сыновъ ѣннѣннѣ“. მასორეტულ ტექსტში წერია „ბენ-ჰინომის ველზე“ („בֶּן-הַיְיָ אֵן-בֶּן“; შდრ.: VUL: „ad vallem filii Ennom“; KJV: „unto the valley of the son of Hinnom“. ახალქართულში ბֶּן-הַיְיָ (Ven-hinnom) უთარგმნელად გადმოვიდა: „ბენ-ჰინომის ველზე“. ხოლო რუსულში ბֶּן-הַיְיָ ვულგატასა და მეფე ჯეიმსის ბიბლიისგან განსხვავებით მრავლობით რიცხვში დგას: „в долину сыновей Енномовых“. ბֶּן-ის (Hinnom) წარმომავლობა გაურკვეველია. მეცნიერთა ვარაუდით, ეს ტერმინი ყვირილს აღნიშნავს. ამ საკითხთან დაკავშირებით ნეტარი იერონიმე სხვა აზრს გამოთქვამს. მისი განმარტებით, ბֶּן ნიშნავს „მადლს“. ნეტარი მამის თქმით, შესაძლოა, აღნიშნული სახელით გარკვეული პიროვნება იწოდებოდა (Блаженный Иероним 2008: 263). წმინდა იოანე ოქროპირი ამბობს, რომ კომენტატორები ბენ-ჰინომის სახელწოდებას იმით ხსნიდნენ, რომ აღნიშნული ველი ვინმე ჰინომის შვილს ეკუთვნოდა (Святитель Иоанн 1906: 1247).

⁴¹⁰ შდრ. MT: „תִּירְוּהָ רָעַשׁ“ („თიხის კარიბჭე“ ან „ნამტვრევების კარიბჭე“, კიდევ სხვა მოსაზრებით „მზის კარიბჭე“ (Якимовъ 1879: 335-336); (Толковая Библия 1909: 66); (Толкование 1996: 163).

⁴¹¹ შდრ.: LXX: „ἀνάγνωθι“ (ἀνάγνωσκα – წაკითხვა (აღნიშნული სიტყვა უმეტესწილად საჯაროდ კითხვას უკავშირდება); MT: „קִרְאוּ“ (קִרְאוּ – 1. ქადაგება; 2. საჯაროდ თქმა; 3. წაკითხვა).

⁴¹² იერ. 19. 1-2.

⁴¹³ მკვლევარი ი. იაკიმოვი ხსენებულ სასულიერო წარმომადგენლობას 4 მეფ. 19. 2-სა და 2 ეზრ. 12. 7-ში ნახსენებ მღვდელთა გამორჩეულ კრებულთან აიგივებს (Якимовъ 1879: 335).

სიმბოლური ქმედებისთვის შეირჩა ბენ-ჰინომის ველზე (ებრ. **בֶּן־הִנּוֹם** **אֶזְרָא** (Ge Ven-hinnom)) მდებარე ადგილი, სახელწოდებით თოფეთი⁴¹⁴. ბენ-ჰინომის ველი მოიცავდა იერუსალიმის დასავლეთ, სამხრეთ და აღმოსავლეთ მხარეებს. იწყებოდა იოპპეს კარიბჭესთან ახლოს და გადაჭიმული იყო კედრონის ველამდე. ბენ-ჰინომზე მისვლა შეიძლებოდა ქარსისის კარიბჭის გავლით, რომელიც იერუსალიმის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობდა. ბენ-ჰინომზე მრავალი კერპი იყო განთავსებული. აქ საძაგელი წარმართული რიტუალები აღესრულებოდა⁴¹⁵. კერპთმსახურების აღმოსავლურად მეფე იოსიამ ბენ-ჰინომი ნაგავსაყრელად აქცია. დასასრულ, **בֶּן־הִנּוֹם** **אֶזְרָא** **געენას** სახელწოდებით და ჯოჯოხეთის სიმბოლური მნიშვნელობით შევიდა იუდეურ და ქრისტიანულ ღვთისმეტყველებაში (Толковая Библия 1905: 570).

თოფეთი კერპთმსახურებისთვის გამორჩეული ადგილი იყო. იქ მრავალი ურჯულოება აღესრულებოდა⁴¹⁶, მსხვერპლად ბავშვები იწირებოდნენ. თოფეთი ებრაელთა ზნეობრივი დაცემულობისა და ღვთისგან განდგომილების თვალსაჩინო მოწმობა იყო. ამრიგად, სამხრეთის სამეფოს სასჯელის მომასწავებელი **სიმბოლური ქმედებისთვის** უფალმა ის ადგილი გამოირჩია, სადაც ებრაელები კერპთმსახურების სიბილწეს ეძლეოდნენ.

სეპტუაგინტაში „ბენ-ჰინომის ველზე“-ს ნაცვლად წერია: „სასაფლაოზე მათი შვილებისა“⁴¹⁷. წმინდა იოანე ოქროპირის განმარტებით, აღნიშნულ ადგილზე სენაქირიმის ლაშქარი განადგურდა⁴¹⁸. წმინდა მამის ეგზეგეზის თანახმად, ბენ-ჰინომზე მისულ ებრაელებს უნდა გახსენებოდათ, რომ უწინ კეთილდღეობაში ცხოვრობდნენ, შემდეგ კი უფალს განუდგნენ (Святитель Иоанн 1906: 1246).

„და ჰრქუა მათ: ისმინეთ სიტყუაჲ უფლისაჲ მეფეთა იუდაჲსთა და მკვდრთა იერუსალჲმისათა, ესრე იტყვს უფალი ძალთაჲ, ღმერთი ისრაჲლისაჲ: აჰა-ესერა, მე მოვავლინო ამას ადგილსა ზედა ძვრი, რაჲთა ყოველსა, რომელსა ესმეს იგი, აღუქავნენ ყურნი მისნი. მის წილ, რამეთუ დამიტევს და უცხო-ქმნეს ადგილი ესე და უკუმევდეს იგინი მას შინა ღმერთთა უცხოთა, რომელ არა იცოდეს მათ და მამათა მათთა; და მეფეთა

⁴¹⁴ იხ. იერ. 19. 6.

⁴¹⁵ იხ.: 4 მეფ. 23. 10; 2 ნეშტ. 33, 6.

⁴¹⁶ იხ. იერ. 7. 31.

⁴¹⁷ იხ. სქოლიო 409.

⁴¹⁸ იხ.: ეს. 37. 36; 4 მეფ. 19. 35.

იუდადსთა აღავსეს ადგილი ესე სისხლითა უბრალოდთა, და აღაშწნეს **მაღალნი**⁴¹⁹ ბაალისნი, რადთამცა დაწუნეს შვილნი მათნი ცეცხლითა მსხუერპლად ბაალისა, რომელ არა ვამცენ მათ, არცა ვთქუ, არცა მომიჯდა გულსა ჩემსა. ამისთვის, აჰა-ესერა, დღენი მოვლენან, იტყვს უფალი, და არღარა ერქუას ადგილსა მას მერმე, თქუა უფალმან, **დასაცემელ**⁴²⁰ და **სამარობან ძისა ენომისსა**⁴²¹, არამედ **სამარობან სრვის**⁴²². და მოვსპო ზრახვად იუდადსი და ზრახვად იერუსალჴმისაჲ ამას ადგილსა და დავსცნე იგინი მახვლითა წინაშე მტერთა მათთა და ჳელითა, რომელნი ეძიებენ სულსა მათსა, და მივსცნე მკუდარნი მათნი საჴმლად მფრინველთა ცისათა და მჴეცთა ქუეყანისათა, და დავდვა ქალაქი ესე განსარყუნელად და სასტჯნველად. ყოველი, რომელი თანაწარჳვიდოდის, დაწუხნეს მის ზედა და დაისტჯნოს ყოვლისა მისთვის წყლულებისა მისისა. და შეჴამნენ ჳორცნი ძეთა მათთანი და ჳორცნი ასულთა მათთანი და კაცად-კაცადმან ჳორცნი მოყუსისა თჯსისანი შეჴამნეს იწროებისაგან და ჴირისა, რომელ აჴირონ მათ მტერთა მათთა და რომელნი ეძიებდენ სულთა მათთა“⁴²³.

ნეტარი იერონიმეს განმარტებით, „იუდას მეფეებში“ იუდეის სამეფო სახლი იგულისხმებოდა, ხოლო „იერუსალიმის მკვიდრებში“ – სამხრეთის სამეფოს მოსახლეობა. წმინდა მამის თქმით, უფალს სურდა, რომ წინასწარმეტყველ იერემიასთვის იუდეის მოსახლეობას მოესმინა, „რათა მოსმენის არ მომსურვებელთ გამართლება არ ჰქონოდათ“ (Блаженный Иероним 2008: 367).

უფალი იერუსალიმის მკვიდრთ საშინელ სასჯელს უქადდა. წინასწარმეტყველების თანახმად, ებრაელთა ურჯულოებასა და კერპთმსახურებას იმდენად მძიმე შედეგი მოჰყვებოდა, რომ დავითის ქალაქზე მოვლენილი განსაცდელის მხედველი და მსმენელი მეტად შეშფოთდებოდა. იერუსალიმელნი საშინელი

⁴¹⁹ იგულისხმება სამსხვერპლოები.

⁴²⁰ შდრ.: LXX: „διπτωσις“ (დაცემა); სლავ.: „падѣніє“. „თოფეთი“ წერია შემდეგ ტექსტებში: MT: „תִּפְתִּי“; VUL: „Thofeth“; KJV: „Tophet“; რუს.: „Топетом“; ახალქართ.: „თოფეთი“ (წმინდა იოანე ოქროპირის განმარტებით, სიტყვა **תִּפְתִּי (Tofeth)** ნიშნავს: „სამსხვერპლო ქალწულისა“, ნეტარი იერონიმეს თქმით – „განედი“ (Блаженный Иероним 2008: 263).

⁴²¹ შდრ.: LXX: „πολύαδριον υἱοῦ Εννομ“; სლავ.: „многоядренное сыновъ еннѡнѣ“. „ბენ-ჰინომის ველი“ წერია მასორეტულ ტექსტში: „בֶּנְיָנוֹם אֵי“; შდრ.: VUL: „vallis filii Ennom“; KJV: „valley of the son of Hinnom“; რუს.: „долиною сыновей Енномовых“. ახალქართულშიც გვაქვს „ბენ-ჰინომის ველი“.

⁴²² შდრ. იერ. 19. 6, MT: „הַגִּלְגָּל אֵי“ („სასაკლავო ველი“).

⁴²³ იერ. 19. 3-9.

სიკვდილით დაასრულებდნენ სიცოცხლეს, ხოლო სამხრეთის სამეფოს დედაქალაქი განადგურდებოდა.

ნეტარი იერონიმე ყურადღებას მეექვსე მუხლის სამოცდაათა თარგმანის თავისებურებაზე ამახვილებს⁴²⁴. წმინდა მამის ვარაუდით, სამოცდაათა მიერ ტერმინების: **διάπρασς** (დაცემა) და **πολύστροφος** (სასაფლაო) გამოყენებას შემდეგი მიზეზი აქვს: თოფეთი მართლაც იქცა ებრაელთა დაცემის ადგილად და ბენ-ჰინომის ველზე მრავალი მათგანი მოკვდა. ისინი პირდაპირი გაგებით აღნიშნულ მდგომარეობაში ჩაყარა ბაბილონელთა ლაშქარმა, ხოლო სულიერი თვალსაზრისით – კერპთმსახურებამ (Блаженный Иероним 2008: 368).

წიშანდობლივია წმინდა წერილის ზემოთ მოტანილ მონაკვეთში აღბეჭდილი სიტყვები: „არცა მომიკდა გულსა ჩემსა“⁴²⁵. აღნიშნული წინადადება პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა გავიგოთ. ღმერთი ყოვლისმცოდნეა და მისგან არაფერია დაფარული⁴²⁶. მსგავსი სახის გამოთქმები ბიბლიაში მრავალ ადგილას გვხვდება⁴²⁷. ნეტარი იერონიმეს თქმით, უფალმა ის „არ იცის“, „რაც მისგან ცოდნას არ იმსახურებს“ (Блаженный Иероним 2008: 367)⁴²⁸.

„და შეჰმუსრო ყვბარი იგი წინაშე თუალთა მათ კაცთასა, რომელნი გამოვიდენ შენ თანა, და ჰრქუა მათ: ესრე იტყვს უფალი ძალთად: ესრე შევმუსრო ერი ესე და ქალაქი ესე, ვითარცა შეიმუსრის ჭურჭელი კეცისად, რომელ ვერღარა შესაძლებელ არნ განკურნებად მერმე. ესრე ვყო მე ამის ადგილისათვს, იტყვს უფალი, და რომელნი დამკვდრებულ არიან, მიცემად ქალაქი ესე, ვითარცა ქუეყანად დაცემული. და იყოს სახლები იერუსალჴმისად და სახლნი მეფისა იუდაისნი, ვითარცა ადგილი დაცემული არაწმიდებისა მათისათვს, რომელ ყვეს სახლებსა შინა მათსა, რომელთა შინა უკუმევედეს ერდოებსა ზედა ყოველთა ძალთა ცისათა და უზორვიდეს საზორველსა ღმერთთა უცხოთა და თაფეთს დაჰვლნენ, რამეთუ არა იყოს მათა ადგილი დასაფლველად“⁴²⁹.

სიმბოლური ქმედებისთვის თიხის ჭურჭელი განსაკუთრებული მიზეზით შეირჩა. თუ აღნიშნული მასალისგან მომზადებული საგანი დაიმსხვრეოდა, მას

⁴²⁴ იხ. სქოლიოები: 420 და 421.

⁴²⁵ იერ. 19. 5; შდრ.: LXX: „ὁὐδὲ διεσθίθη ἐν τῇ καρδίᾳ μου“; MT: „**וְלֹא הָיָה לִי**“.

⁴²⁶ შდრ. ებრ. 4. 13: „და არარად არს დაბადებული დაფარულ წინაშე მისსა, არამედ ყოველივე შიშუელ და ქედ-დადრეკილ არს წინაშე თუალთა მისთა...“.

⁴²⁷ იხ.: დაბ. 6. 6; 8. 21 და ა. შ.

⁴²⁸ შდრ. ლკ. 13. 27: „**არა გიცნი**, ვინანი ხართ; განმეზორენით ჩემგან ყოვლნი მოქმედნი უსჯულოებისანი“.

⁴²⁹ იერ. 19. 10-13.

თავდაპირველი სახით ვეღარ აღადგენდნენ. ამრიგად, იერემიას **სიმბოლური ქმედება** ნიშნავდა, რომ ღვთის სასჯელის მოწვევის შემდეგ ქალაქი იერუსალიმი და ებრაელი ერი თავდაპირველ მდგომარეობას ვეღარ დაიბრუნებდნენ.

იერემიას წინასწარმეტყველების თანახმად, თოფეთში სასტიკი ბრძოლის შედეგად მრავალი ებრაელი დაიღუპებოდა. მიცვალებულთა სიმრავლის მიზეზით ღვთივრჩეული ერის დიდი ნაწილი დაუმარხავი, ფრინველთა და მხეცთა საჯიჯგნი გახდებოდა. სამხრეთის სამეფოს მცხოვრებთა ურჯულოების ადგილი, თოფეთი, ებრაელთა სასაკლაოდ და სასაფლაოდ გადაიქცეოდა, ხოლო გაოხრებული იერუსალიმი მას მიემსგავსებოდა. იუდეის მკვიდრებზე აღნიშნული სასჯელი დაიშვა მათ მიერ დავითის ქალაქის კერპთმსახურებით წაბილწვის მიზეზით⁴³⁰.

„და მოვიდა იერემია დასასრველით თაფეთისადთ, ვიდრე იგი მიავლინა უფალმან წინაღმართმეტყულებად, და დადგა ეზოსა სახლისა უფლისასა და ჰრქუა ყოველსა ერსა: ესრე იტყვს უფალი ძალთაჲ, ღმერთი ისრაჴლისაჲ: აჰა-ესერა, მე მოვავლინო ქუეყანასა ამას ზედა და ყოველსა ზედა ქალაქებსა მისსა და დაბნებსა მისსა ყოველი ძკრი, რომელ ვთქუ მას ზედა, რამეთუ განიფიცხნეს ქედნი მათნი არა სმენად სიტყუათა ჩემთა“⁴³¹.

სიმბოლური ქმედების აღსრულების შემდეგ იერემია უფლის ტაძრის ეზოში მივიდა. წინასწარმეტყველმა იქ მყოფ ხალხს უფლის მსჯავრი აცნობა. ებრაელებს **სიმბოლური ქმედება** არ ჰქონდათ ნანახი (ნეტარი იერონიმეს განმარტებით, იუდეველთა საზოგადოებამ თოფეთში იერემიას გაყოლა არ ისურვა (Блаженный Иероним 2008: 371). წინასწარმეტყველების შემდეგ უღირსმა მღვდელმა პასქორმა იერემიას მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა და დააპატიმრა⁴³².

ნეტარი იერონიმეს განმარტებით, ზემოაღნიშნული წინასწარმეტყველება განსაკუთრებით მიემართება იუდეველებზე მიყენებულ გამანადგურებელ დარტყმას რომის იმპერატორების ვესპასიანესა და ტიტუს, შემდეგ კი – ადრიანეს პერიოდში. ბაბილონის ტყვეობიდან აღთქმულ მიწაზე დაბრუნებულმა ხალხმა ქალაქიც აღადგინა და ღვთისმსახურებაც განაახლა, ხოლო რომისაგან მიღებული მარცხის შემდეგ, წმინდა მამის აზრით, ღვთივრჩეული ერი და იერუსალიმი უწინდელ მდგომარეობაში ვეღარასოდეს აღმოჩნდებოდა (Блаженный Иероним 2008: 369).

⁴³⁰ იხ. სოფ. თ. 1.

⁴³¹ იერ. 19. 14-15.

⁴³² იხ. იერ. 20. 1-2.

იოსებ ფლავიუსის ცნობით, იმპერატორ ვესპასიანეს შვილის, ტიტუს, მიერ ალყაშემორტყმულ იერუსალიმში ებრაელები უმძიმეს განსაცდელში ჩავარდნენ. იერუსალიმის მკვიდრნი საკვების მოსაპოვებლად მრავალ უღირსებას კადრულობდნენ (Иосиф Флавий 2008: 348-350, 356-364, 382-384). აღნიშნულ პერიოდში იუდეველთა დიდი რაოდენობა დაიხოცა, ცოცხლად დარჩენილნი კი დაიმონეს (Иосиф Флавий 2008: 403-404). ტიტუს ბრძანებით დაანგრეს იერუსალიმი და სოლომონის ტაძარი (Иосиф Флавий 2008: 407).

იმპერატორ ადრიანეს დროს ებრაელებზე თავს დამტყდარი უბედურებების შესახებ ევსები კესარიელი შემდეგ ცნობებს გვაწვდის: „როდესაც იუდეველთა განდგომა კიდევ უფრო გაიზარდა და გაფართოვდა⁴³³, იუდეის პროკურატორმა რუფუსმა... დაუნდობლად გაილაშქრა ამ გონებადაკარგულებზე... როდესაც ომმა [სისასტიკის] მწვერვალს მიაღწია, ბეთთერაში⁴³⁴... როცა გარედან ალყა⁴³⁵ იყო შემორტყმული დიდი ხნის განმავლობაში, შიმშილობითა და წყურვილით ამბოხებულები საბოლოო განადგურებამდე მივიდნენ... ჰადრიანეს კანონის განჩინებითა და განკარგულებით საერთოდ აეკრძალა მთელ ერს იმ დაბიდან მოყოლებული იერუსალიმის შემოგარენამდე არსებულ მიწაზე შესვლა, და ნაბრძანები იყო მათთვის, თვალითაც არ ეხილათ მშობლიური მიწა... ამგვარად, მას შემდეგ, რაც ქალაქი იუდეველთა ერისგან გაპარტახებულ უდაბნოდ იქცა და ძველი მოსახლეობა სრულიად განადგურდა, უცხოტომელთა მოდგმა დასახლდა...“ (ევსები 2007: 140-141).

6.4. ქედით უღლის ტარება

იერემიას **სიმბოლურ ქმედებათა** საღვთისმეტყველო ანალიზს საწინასწარმეტყველო წიგნის XXVII და XXVIII თავების განხილვით განვაგრძობთ.

„დასაბამსა მეფისა იოაკიმისა, მისა იოსიამსა, მეფისა იუდაისა, იყო სიტყუად ესე იერემიამსა მიმართ უფლისა მიერ, და თქუა“⁴³⁶.

⁴³³ იგულისხმება ბარ-კოხბას ცნობილი აჯანყება (132-135 წწ.).

⁴³⁴ იერუსალიმთან ახლოს მდებარე დაბა.

⁴³⁵ იგულისხმება დაბა ბეთერას ალყა.

⁴³⁶ იერ. 27. 1.

ზემოთ მოტანილი სიტყვები სამოცდაათთა თარგმანში არ არის⁴³⁷. ბოლო დროის მკვლევართა (ი. იაკიმოვის, ნ. როზანოვის და სხვ.) ვარაუდით, ოცდამეშვიდე თავის დასაწყისში იოაკიმეს ნაცვლად სედეკია უნდა იყოს ნახსენები. მათი თქმით, ეს მოსაზრება მესამე მუხლიდანაც დასტურდება (Якимовъ 1879: 439); (Толковая Библия 1909: 84); (Толкование 1996: 174). აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მეტად მნიშვნელოვანია ნეტარი იერონიმეს განმარტება. მისი თქმით, ზემოაღნიშნული სიტყვები არის არა ოცდამეშვიდე თავის დასაწყისი, არამედ ოცდამეექვსე თავის დასასრული, „რათა ვიცოდეთ, რომ ყოველი სიტყვა და მოქმედება იოაკიმეს მეფობის დასაწყისში იყო“ (Блаженный Иероним 2008: 447). ნეტარი იერონიმე ფიქრობს, რომ სამოცდაათმა მთარგმნელმა აღნიშნული წინადადება გამოტოვა განმეორების თავიდან აცილების მიზნით⁴³⁸. ასე რომ, ზემოთ მოტანილ მუხლში არანაირ შეცდომაზე არ შეიძლება საუბარი, ხოლო აღნიშნული ბიბლიური ეპიზოდი სედეკიას მეფობის პერიოდს მიეკუთვნება.

„ესრე მრქუა მე უფალმან: იქმნეს შენდად შესაკრველნი⁴³⁹ და საცივნი⁴⁴⁰, და დაისხენ ქედსა შენსა, და მიუძღუანენ იგინი მეფესა იდუმეაძსა და მეფესა მოაბისასა და მეფესა ძეთა ამონისთასა, და მეფესა ტვროსისა და მეფესა სიდონისასა კელითა მოციქულთადათა, რომელნი მოვიდოდნან შემთხუევად მათა იერუსალჴმდ სედეკიასა, მეფისა იუდაძსა“⁴⁴¹.

დავითის ქალაქში დესპანები ჩავიდნენ თათბირში მონაწილეობისთვის. ზემოთ ნახსენები მკვლევრები ვარაუდობენ, რომ თათბირი იმართებოდა ნაბუქოდონოსორის საწინააღმდეგოდ ამბოხის მოწყობის მიზნით (Якимовъ 1879: 440); (Толковая Библия 1909: 84); (Толкование 1996: 174-175).

⁴³⁷ ეს მუხლი მოიპოვება როგორც მასორეტულ ტექსტსა და ვულგატაში, ასევე ბიბლიის სლავურ და ძველქართულ თარგმანებში (OJGS). პეშიტასა და არაბულ ვერსიაში აღნიშნულ ადგილზე „იოაკიმეს“ ნაცვლად წერია „სედეკია“.

⁴³⁸ იხ. იერ. 26. 1: „დასაბამსა მეფისა იოაკიმისა...“.

⁴³⁹ აღნიშნული ნივთი უღლის სხეულზე მიმაგრების მიზნით დამზადდა (Якимовъ 1879: 440); (Толковая Библия 1909: 85).

⁴⁴⁰ შდრ.: იერ. 34. 2, LXX: „κλιουσ“ (ბერძნული სიტყვა κλιουσ განსაკუთრებით ხის საკისრულს უკავშირდება); იერ. 27. 2, სლავ.: „κλѣды“; MT: „תִּשְׁבֹּנו“; VUL: „catenas“; KJV: „yokes“; რუს.: „ярмо“; ახალქართ.: „უღელი“. ის რომ იერემიამ უღელი ხისგან დაამზადა, ეს ცრუწინასწარმეტყველ ანანias მიერ აღნიშნული საგნის დამტვრევამაც ცხადყო (იხ. იერ. 28. 10); (Блаженный Иероним 2008: 458).

⁴⁴¹ იერ. 27. 2-3.

გარდა ზემოხსენებულისა, იერემიას ხელმწიფეებისთვის უზენაესის სიტყვების გადაცემა ებრძანა: „და ამცენ უფალთა მათ მიმართ და არქუ: ესრე თქუა უფალმან ძალთამან ღმერთმან ისრაჴლისამან: ესრე არქუთ უფალთა თქუენტა: მე შევქმენ ქუეყანად და კაცი და საცხოვარი, რაოდენნი არიან პირსა ზედა ქუეყანისასა, ძალითა ჩემითა დიდითა და მკლავითა ჩემითა მალლითა⁴⁴² და მივეც იგი მას, რომელიცა მთნდა წინაშე თუალთა ჩემთა⁴⁴³. და აწცა მე ვარ; მივსცე ყოველი ესე ქუეყანად ჳელსა ნაბუქოდონოსორ მეფისა ბაბილოვნისა, მონისა ჩემისასა⁴⁴⁴, და მვეცნიცა ველისანი საქმედ მიმიცემიან მას. და მონებად მისა ყოველნი ნათესავნი და ძესა მისსა და ძესა ძისა მისისასა ვიდრე მოსლვადმდე ჟამისა რისხვისა მისისადას⁴⁴⁵, და ჳმონოს მას ნათესავმან მრავალმან და მეფეთა დიდთა. და იყოს, ნათესავი და მეუფებად, რომელთა არა ჳმონონ ნაბუქოდონოსორ მეფესა ბაბილოვნისასა, რომელთა არა შეყონ ქედი მათი უღელსა ქუეშე მეფისა ბაბილოვნისასა, მახვლითა და სიყმილითა და სიკუდილითა მე მოვიძინე იგინი, თქუა უფალმან, ვიდრემდე მოაკლდეს მათ ჳელსა შინა მისსა. და თქუენ ნუ ისმენტ ცრუწინასწარმეტყუელთა⁴⁴⁶ თქუენტასა, და მისანთა თქუენტასა, და მჩუენებელთა თქუენტასა, და მლალობელთა თქუენტასა, და მზმუნელთა თქუენტასა, და მეწამლეთა თქუენტასა, რომელნი გეტყვან: ნუ იქმთ საქმესა მეფისა ბაბილოვნისასა. რამეთუ ცილსა გიწინასწარმეტყუელებენ თქუენ, რადთამცა განგაშორნა თქუენ ქუეყანისაგან თქუენისა, და განგაზნინე თქუენ და წარსწყმდეთ. და ნათესავმან, რომელმან შეყოს ქედი თჳსი

⁴⁴² აღნიშნული გამოთქმა ანთროპომორფულია. უფალს ყოველივეს ქმნა მეყვსეულად შეუძლია. ამასთან, წმინდა წერილში მამა ღმერთის „ძალა“ და „მკლავი“ მის მხოლოდშობილ ძეს იწოდება (იხ.: 1. კორ. 1. 14; ეს. 53. 1) (Блаженный Иероним 2008: 448).

⁴⁴³ ნეტარი იერონიმეს განმარტებით, ეს სიტყვები აღნიშნავს, რომ ადამიანს ყოველივე ღვთის მადლით ებოძა (Блаженный Иероним 2008: 448).

⁴⁴⁴ ნეტარი იერონიმე ნიშანდობლივად აღნიშნავს: „როგორაა შეჩვენებული ისრაელი, რომ მასთან შედარებით ნაბუქოდონოსორი ღვთის მონად იწოდება“ (Блаженный Иероним 2008: 449)!

⁴⁴⁵ ეს სიტყვები არ არის სამოცდაათთა თარგმანში, თუმცა მოიპოვება მასორეტულ ტექსტსა (სადაც მეფესთან ერთად „მისი მიწაც“ (შდრ. MT. „יִצְרָאֵל“) იხსენიება) და მის მიმყოლ რედაქციებში. ეკლესიის მამათა განმარტებით, აღნიშნულ სიტყვებში ბაბილონის იმპერიის განადგურება იგულისხმება (Блаженный Феодорит 1859: 221-222); (Блаженный Иероним 2008: 449).

⁴⁴⁶ შდრ.: იერ. 34. 9, LXX: „ψευδοπροφητῶν“; იერ. 27. 9, სლავ.: „ложнопророки“. „წინასწარმეტყველებს“ წერია: MT: „נִבְּרִיָּה“; VUL: „prophetas“; KJV: „prophets“; რუს.: „пророков“. ახალქართულშიც იგივე ვითარებაა. ნეტარი იერონიმეს განმარტებით, წმინდა წერილში „წინასწარმეტყველებად“ იხსენიებიან ცრუწინასწარმეტყველნი (იხ.: იერ. 27. 16; 28. 1 და სხვ.) საზოგადოებაში მათ შესახებ გავრცელებული წარმოდგენის მიხედვით (სეკტუაგინტას ზემოაღნიშნული თარგმანი აზრის თვალსაჩინოდ გადმოცემას ემსახურება). იმავე მიზეზით წმინდა წერილში მართალი იოსები იესო ქრისტეს მამად იწოდება (იხ. ლკ. 2. 48) (Блаженный Иероним 2008: 452, 455, 457, 459).

უღელსა ქუეშე მეფისა ბაბილონისასა და უქმნეს მას, დაუტევო იგი ქუეყანასა ზედა მისსა, – თქუა უფალმან, – და იქმოდის მუნ და დაემწნოს მუნ“⁴⁴⁷.

წინასწარმეტყველმა იერემიამ მეფე სედეკიასაც მიმართა: „...მიუპყართ ქედი თქუენი უღელსა ქუეშე მეფისა ბაბილოვნისასა, და ჰმონეთ მას და ერსა მისსა და სცხოვნდეთ. და რადსათჳს მოჰკუდები შენ და ერი შენი მახვლითა და სიყმილითა და სიკუდილითა, ვითარცა თქუა უფალმან ნათესავისა მიმართ, რომელმან არა ჰმონოს მეფესა ბაბილოვნისასა? და ნუ ისმენთ სიტყუასა ცრუწინადასწარმეტყუელთასა, რომელნი გეტყვან თქუენ: არა უქმოდით მეფესა ბაბილოვნისასა, რამეთუ იგინი ცრუსა წინადასწარმეტყუელებენ თქუენდა მომართ. რამეთუ არა მივავლინენ იგინი, იტყვს უფალი, და იგინი გიწინადასწარმეტყუელებენ თქუენ სახელითა ჩემითა სიცრუვით, რადთა წარგწყმიდნენ თქუენ და წარწყმდენ თქუენ თანა წინადასწარმეტყუელნიცა იგი“⁴⁴⁸.

კომენტატორთა თანახმად, ზემოთ მოტანილ მუხლებში ასახულია **სიმბოლური ქმედების** არსი: უფალმა ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორს გადასცა აზიის დასავლეთი ნაწილი (Толковая Библия 1909: 84); (Толкование 1996: 175). ამრიგად, აღნიშნულ ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფოები, საკუთარი ნების მიუხედავად, ამ ხელისუფალს უნდა დამორჩილებოდნენ. წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ ჰქონდა, რადგან უფლის განგებას წინ ვერაფერი აღუდგებოდა. ნეტარი თეოდორიტე აღნიშნული თავის მეხუთე და მეექვსე მუხლებში აღბეჭდილ ღვთის სიტყვებს შემდეგნაირად განმარტავს: „(უფალი, ც. ჩ.) ამბობს: მე შემოქმედი და მეუფე ვარ, განვაგებ, როგორც მნებავს“ (Блаженный Феодорит 1859: 221). „ველის მხეცებში“, ნეტარი თეოდორიტეს განმარტებით, ბარბაროსული ტომები მოიაზრებოდნენ (Блаженный Феодорит 1859: 221). აღნიშნულ თვალსაზრისს ნეტარი იერონიმეც გამოთქვამს, თუმცა, მისი აზრით, მოტანილი სიტყვების გაგება პირდაპირი მნიშვნელობითაც შეიძლება (Блаженный Иероним 2008: 449). ამავე მუხლების მიხედვით, ღვთის ნების საწინააღმდეგოდ ქადაგებდნენ ცრუწინასწარმეტყველნი, რომელთა მოსმენა ყოველგვარ აზრს იყო მოკლებული.

ასე რომ, უფალი ებრაელ ხალხსა და ზოგიერთ წარმართ ერს ნაბუქოდონოსორისადმი მორჩილებისკენ მოუწოდებდა. თუ ბაბილონის ქვეშევრდომობაში ნებით დარჩებოდნენ, საკუთარ სამკვიდრებელში უვნებლად

⁴⁴⁷ იერ. 27. 4-11.

⁴⁴⁸ იერ. 27. 12-15.

იქნებოდნენ. გარკვეული დროის შემდგომ აღნიშნული იმპერია განადგურდებოდა⁴⁴⁹, ხოლო ნაბუქოდონოსორისადმი დაუმორჩილებლობა დაშვებული სასჯელის დამძიმების საწინდარი იქნებოდა. ამ შემთხვევაში ხალხს შიმშილი, სიკვდილი და მონობა ელოდა. ნეტარი თეოდორიტე ამბობს: „ღმერთმა ცხადად აჩვენა, რომ ბაბილონელები სასჯელის აღმასრულებლებად გამოიყენა, მათი მეშვეობით სხვა ერები დასაჯა, ხოლო დასასრულ მათაც სრულად განადგურებს“ (Блаженный Феодорит 1859: 221-222).

იერემიამ ებრაელ მღვდლებსა და იუდეის მოსახლეობასაც მიმართა: „...ესრე თქუა უფალმან: ნუ ისმენთ სიტყუათა წინადასწარმეტყუელთასა, რომელნი გიწინადასწარმეტყუელებენ თქუენ, და იტყვან: აჰა-ესერა, ჭურჭერი სახლისა უფლისაჲ მოიქცევის ბაბილოვნით აწ ადრე, რამეთუ ცრუსა გიწინადასწარმეტყუელებენ თქუენ, არა მივაღვლინენ იგინი, და არა არს სიტყუაჲ უფლისაჲ მათ შორის. ნუ ისმენთ მათსა, ჰმონებდით მეფესა ბაბილოვნისასა და სცხონდეთ; და რადასათვს იქმნების ქალაქი ესე ოჯერ⁴⁵⁰? წინადასწარმეტყუელნი თუ არიან და არს სიტყუაჲ უფლისაჲ მათ შორის სიტყუას-უგებედ უფალსა ძალთასა, რადთა არა წარიღოს ნემტი იგი ჭურჭერი სახლისა უფლისაჲ და სახლისა მეფისა იუდაისისაჲ და იერუსალჴმისაჲ ბაბილოვნდ. რამეთუ ესრე იტყვს უფალი ძალთაჲ სუეტათვს, ზღვსათვს და მექონოთათვს⁴⁵¹ და ნემტთა ზედა ჭურჭერთა, რომელ დაშთომილ არიან ქალაქსა ამას შინა. რომელ არა წარიღო ნაბუქოდონოსორ მეფემან ბაბილოვნისამან, რაჟამს წარტყუენნა იექონია და იოაკიმ, მეფენი იუდაისნი, იერუსალჴმით ბაბილოვნდ და ყოველნი აზნაურნი იუდაისნი და იერუსალჴმი. რამეთუ ესრე იტყვს უფალი ძალთაჲ, ღმერთი ისრაჴლისაჲ, ჭურჭერსა ზედა, რომელ დაშთომილ არს სახლსა შინა უფლისასა და სახლსა შინა მეფისა იუდაისსა და იერუსალჴმს შინა: ბაბილოვნდ წარიღონ, და მუნ იყოს ვიდრე დღედმდე მოძიებისა მათისა, ესრე იტყვს უფალი, და აღმოვილო იგი და მოვაქციო იგი ამასვე ადგილსა“⁴⁵².

უკანასკნელი მუხლებიდან ცხადი ხდება, რომ ცრუწინადასწარმეტყველები წინამოასწავებდნენ ბაბილონში წაღებული იერუსალიმის ტაძრის ჭურჭლის სწრაფ

⁴⁴⁹ იხ. სქოლიო 445.

⁴⁵⁰ წინადასწარმეტყველების თანახმად, შემოქმედის ურჩობის შემთხვევაში განადგურდებოდა ქალაქი იერუსალიმიც.

⁴⁵¹ შდრ. ახალქართ.: „სვეტებზე, სპილენძის ავაზანზე, კვარცხლბეკებზე“. „სვეტები“, „ზღვა“ და „მექონოთები“ ტაძრის ჭურჭელი იყო, რომელიც მეფეთა წიგნებსა და იერემიას წინადასწარმეტყველების ბოლოს იხსენიება.

⁴⁵² იერ. 27. 16-22.

დაბრუნებასაც კი. ამ წინასწარმეტყველებით ისინი თანატომელთა გულის მოგებას ცდილობდნენ. უფალმა ცრუწინასწარმეტყველთა სიტყვების საწინააღმდეგოდ თქვა, რომ იერუსალიმში დარჩენილ ტაძრის ჭურჭლის ნაწილსაც ბაბილონში გადაიტანდნენ, სადაც გარკვეული ხანი (დაშვებული სასჯელის დროის გასვლამდე) იქნებოდა.

ნეტარი იერონიმეს განმარტებით, მეთვრამეტე მუხლში აღბეჭდილი სიტყვები („წინაღმართმეტყუელნი თუ არიან... სიტყუას-უგებედ უფალსა ძალთასა“) ნიშნავს, რომ ჭეშმარიტ წინასწარმეტყველს უფლისგან დაშვებული სასჯელის შეჩერება შეუძლია. უფალმა მოსეს უთხრა: „და აწ მიშუ და განვრისხნე გულისწყრომით მათ ზედა...“⁴⁵³. ეს გამოთქმა ცხადად მოწმობს, რომ წმინდანების ლოცვით ღვთის რისხვის დაცხრომა შეიძლება⁴⁵⁴. აღნიშნული თვისება არ ჰქონდათ ცრუწინასწარმეტყველებს, ისინი ოდენ ყალბისქმნელობდნენ და ხალხს უსაფუძვლოდ აიძვებდნენ. ნეტარი იერონიმე უფლის ზემოხსენებულ სიტყვებს შემდეგნაირად გადმოსცემს: „დაე, ამბობს, შემეწინააღმდეგონ წინასწარმეტყველნი⁴⁵⁵ და დაამტკიცონ, რომ ყოველი მათი წინამოსწავებული განხორციელდა და მაშინ წინასწარმეტყველება ჭეშმარიტებით დამოწმდება“ (Блаженный Иероним 2008: 454).

ოცდამეცხრე თავი შინაარსობრივად ზემოაღწერილი ბიბლიური ისტორიის გაგრძელებაა. კერძოდ, იერემიას მიერ ქედზე უღლის დადგმიდან გარკვეული დროის შემდეგ ასპარეზზე გამოვიდა გაბაონელი ცრუწინასწარმეტყველი ანანია⁴⁵⁶, რომელიც ანათოთელი მოღვაწის წარმოთქმულ სიტყვებს დაუპირისპირდა.

„და იყო წელსა მას, დასაბამსა მეფობასა სედეკიასსა, მეფისა იუდაასა, წელსა მეოთხესა, თთუესა მეხუთესა, თქუა ანანია, ძემან აზორისმან, ცრუ-წინაღმართმეტყუელმან გაბაონელმან, სახლსა შინა უფლისასა წინაშე თუალთა მდდელთასა და ყოვლისა ერისა და თქუა: ესრე იტყვს უფალი ძალთაჲ, ღმერთი ისრაელისაჲ: შევმუსრო უღელი მეფისა ბაბილოვნისაჲ. შემდგომად ორისა წლისა მოვაქციო ამას ადგილსა ყოველი ჭურჭერი სახლისა უფლისაჲ, რომელ წარიღო ნაბუქოდონოსორ მეფემან ბაბილოვნისამან ამის ადგილისაგან და შეიღო იგი

⁴⁵³ გამოსლ. 32. 10.

⁴⁵⁴ შდრ. იაკ. 5. 16: „...ფრიად შემძლებელ არს ლოცვაჲ მართლისაჲ შეწევნად“.

⁴⁵⁵ იგულისხმება ცრუწინასწარმეტყველები.

⁴⁵⁶ გაბაონი ერთ-ერთია იმ ქალაქთა შორის, რომლებიც ისუ ნავესმა ლევიტელებს გადასცა. ასე რომ, ანანია, მკვლევართა ვარაუდით, იერემიას მსგავსად უნდა განეკუთვნებოდეს სამღვდელთა დასს (Толковая Библия 1909: 86).

ბაბილოვნი. და იექონია, ძჳ იოაკიმისი, მეფისა იუდაისი, და ყოველი ტყუჳ იუდაისი, რომელნი მივიდეს ბაბილოვნი, მე მოვაქციო ამასვე ადგილსა, – თქუა უფალმან ეგრე, – და ნატყუნავი იუდაისი, რამეთუ შევმუსრო ულელი მეფისა ბაბილოვნისაჲ“⁴⁵⁷.

თუკი იერემია 70-წლიან ტყვეობას უწინასწარმეტყველებდა იუდეველებს, ანანია მღვდლებისა და ერის წინაშე აცხადებდა, რომ ნაბუქოდონოსორის მიერ წადებული ტაძრის საგანძური და ბაბილონში გადასახლებული იუდეველები სულ რაღაც ორ წელიწადში დაბრუნდებოდნენ სამშობლოში.

ნეტარი იერონიმეს განმარტებით, ანანიამ იმისათვის იცრუა ნაბუქოდონოსორის „უღლის“, ანუ სამეფოს მცირე დროში განადგურების შესახებ, რათა ამ საწადელი ჟამის სიახლოვით მეტად გახარებულ მსმენელთა გული მოეგო (Блаженный Иероним 2008: 455).

„და ჰრქუა იერემია წინადასწარმეტყუელმან ანანიას ცრუ-წინადასწარმეტყუელსა წინაშე თუალთა მღდელთასა და წინაშე თუალთა ყოვლისა ერისათა, რომელ დგეს სახლსა შინა უფლისასა. და თქუა იერემია წინადასწარმეტყუელმან: ჭეშმარიტად ეგრე ყავნ უფალმან და დაამტკიცენ უფალმან სიტყუად ეგე შენი, რომელსა შენ ჰწინადასწარმეტყუელებ მიქცევად ჭურჭერი მისი სახლისა უფლისა და ყოვლისა ნატყუნავისაჲ ბაბილოვნით ამასვე ადგილსა“⁴⁵⁸.

განმმარტებელთა თანახმად, ზემოთ წარმოდგენილი მუხლები არ უნდა გავიგოთ, თითქოს იერემია ცრუწინადასწარმეტყველის სიტყვებს ამტკიცებდა. იგი იუდეველთა კეთილი მომავლის მოსურნე იყო და საკმაოდ უჭირდა, ებრაელებისთვის მოსალოდნელი განსაცდელების შესახებ ეუწყებინა. წინადასწარმეტყველს თავისი ხალხის ნათელი მომავლის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა და თავადაც ისურვებდა, რომ ანანიას სიტყვები სიმართლესთან შესაბამისობაში ყოფილიყო (Блаженный Иероним 2008: 456); (Святитель Иоанн 1906: 1271); (Блаженный Феодорит 1859: 223); (Толковая Библия 1909: 86-87).

„ხოლო ისმინეთ სიტყუად ესე, რომელსა მე ვიტყვ ყურთა შენთა და ყურთა ყოვლისა ერისათა: წინადასწარმეტყუელნი, რომელნი იყვნეს პირველად ჩემსა და პირველად თქუნესა საუკუნითგან, და წინადასწარმეტყუელებდეს ქუეყანათა ზედა მრავალთა და მეუფებათა ზედა დიდთა ბრძოლად და ბოროტისყოფად და სიკუდიდ. და

⁴⁵⁷ იერ. 28. 1-4.

⁴⁵⁸ იერ. 28. 5-6.

წინადაწარმეტყუელი იგი, რომელ წინადაწარმეტყულებდა მშვიდობად მოსლვასა სიტყვსა მის წინადაწარმეტყუელისასა, საცნაურ იყოს წინადაწარმეტყუელი იგი, რომელი მოუვლინა მათ უფალმან სარწმუნოდ“⁴⁵⁹.

ყოველი ჭეშმარიტი წინასწარმეტყველი წარმოთქვამდა ღვთის სიტყვებს და საცნაურ-ყოფდა მომავალ დღეებს. მათი სიტყვები ხშირად ძნელად მოსასმენიც კი იყო და მსმენლის გულში მწუხარებას იწვევდა. ხოლო ცრუწინასწარმეტყველნი ყალბისმქმნელობდნენ და სასიკეთო მომავალსაც იუწყებოდნენ, რათა ხალხის კეთილგანწყობა მოეპოვებინათ. იერემიამ იმთავითვე არ ამხილა ანანია, თავდაპირველად ჭეშმარიტ და ცრუ წინასწარმეტყველთა შორის არსებითი სხვაობა წარმოაჩინა. პირველის წინამოსწავებული შესრულდებოდა, მეორესი კი არ აღსრულდებოდა. ამრიგად, წინასწარმეტყველის ჭეშმარიტება მისი წინამოსწავებულის განხორციელებისას ირკვეოდა. იმასვე მოწმობს წიგნი „მეორისა შჯულისა“⁴⁶⁰. მიუხედავად ამისა, იერემიასა და ანანიას საქციელით იმთავითვე წარმოჩნდა, ვინ იყო უფლის ჭეშმარიტი მსახური. გაავლო რა იერემიამ მკვეთრი ზღვარი ჭეშმარიტებისა და სიცრუის მქადაგებელთა შორის, ანანიამ წინასწარმეტყველს შეურაცხყოფა მიაყენა და ცრუწინასწარმეტყველება განაგრძო: „და მოიხუნა ანანია ცრუ-წინადაწარმეტყუელმან წინაშე თუალთა ყოვლისა ერისათა საცივნი იგი ქედისაგან იერემიას წინადაწარმეტყუელისა და შემუსრნა იგინი. და მიუგო ანანია წინაშე თუალთა ყოვლისა ერისათა და ჰრქუა: ესრე თქუა უფალმან: ესრე შევმუსრო უღელი ნაბუქოდონოსორ მეფისა ბაბილოვნისა შემდგომად ორისა წლისა დღეთა ქედისაგან ყოველთა ნათესავთა“⁴⁶¹. ჭეშმარიტი წინასწარმეტყველი იერემია კი ყოველივეს მოთმინებით იტანდა და აღნიშნული ქმედების შემდეგ დუმდა, „რადგან“ – ამბობს ნეტარი იერონიმე – „უფალს მისთვის ჯერ კიდევ არ ჰქონდა სათქმელი გაცხადებული“ (Блаженный Иероним 2008: 458).

„და წარვიდა იერემია წინადაწარმეტყუელი გზად თვსა. და იყო სიტყუად უფლისა იერემიასა მიმართ შემდგომად შემუსრვისა ანანია ცრუ-წინადაწარმეტყუელისა მიერ საცივთა მათ ქედისაგან მისისა, და თქუა: მივედ და ეტყოდე

⁴⁵⁹ იერ. 28. 7-9.

⁴⁶⁰ იხ. II შჯულ. 18. 22.

⁴⁶¹ იერ. 28. 10-11.

ანანიას და არქუ: ესრეთ თქუა უფალმან: საჯივნი ძელისანი დაჰმუსრენ, და ვქმნე⁴⁶² მათ წილ რკინისა საჯივნი. რამეთუ ესრე იტყვს უფალი ძალთად, ღმერთი ისრაჴლისად: უღელი რკინისად დამიც ქედსა ზედა ყოველთა ნათესავთასა, რადთა უქმოდინ ნაბუქოდონოსორ მეფესა ბაბილოვნისასა და ჰმონონ მას, და მჯეცნიცა ველისანი მიმიცემიან მას“⁴⁶³.

იერემიას მიერ უღლის ქედით ტარება განასახიერებდა ბაბილონის იმპერიისადმი ებრაელთა დაქვემდებარებას. ნაბუქოდონოსორმა შემოქმედის დაშვებით დაიპყრო იუდეველები. ეს მათი სასჯელი იყო, ამიტომ ღვთის განგებას უნდა დამორჩილებოდნენ და „უღელი“ ეტარებინათ. უღლის სიტყვის თანახმად, იუდეველთაგან მცირე სასჯელის თავიდან აცილების მცდელობა სასჯელის დამძიმების საწინდარი იქნებოდა, „ხის უღელს“ „რკინის უღელი“ ჩაანაცვლებდა (Блаженный Феодорит 1859: 224); (Блаженный Иероним 2008: 458-459); (Якимовъ 1879: 451); (Толковая Библия 1909: 87); (Толкование 1996: 176)⁴⁶⁴. აღნიშნული სიტყვები სხვა ერებსაც ეხებოდა.

ნეტარი თეოდორიტეს ეგზეგეზის თანახმად, მას შემდეგ, რაც ანანიამ დაამტვრია იერემიას ხის უღელი, უფალმა წინასწარმეტყველს უბრძანა ქედზე რკინის უღლის დადგმა (Блаженный Феодорит 2006a: 251)⁴⁶⁵. იერემიამ ანანიას მომავალიც აუწყა, სიცრუის მქადაგებელი უფლისაგან სიკვდილით დაისჯებოდა: „და ჰრქუა იერემია წინაღმართმეტყუელმან ანანიას ცრუ-წინაღმართმეტყუელსა: ისმინე, ანანია, არა მოგავლინა შენ უფალმან, და შენ მოსავ ჰყავ ერი ესე სიცრუვესა ზედა. ამისთვის ესრე თქუა უფალმან: აჰა-ესერა, მე გავლინებ შენ პირისაგან ქუეყანისადას; ამას წელსა მოჰკუდე, რამეთუ განდრეკასა იტყოდე უფლისა მიმართ. და მოკუდა ანანია ცრუ-წინაღმართმეტყუელი მას წელსა, თთუესა მეშჯდესა“⁴⁶⁶.

⁴⁶² შდრ.: იერ. 35. 13, LXX: „ποιῶσα“. „გავაკეთებ“-ს ნაცვლად „გააკეთებ“ წერია: MT: „וַיַּשְׁאֵל“; VUL: „facies“; სლავ.: „сѣтвориши“; KJV: „thou shalt make“; რუს.: „сделаешь“. ახალქართულში წერია: „გააკეთე“.

⁴⁶³ იერ. 28. 12-14.

⁴⁶⁴ შდრ. იერ. 28. 13: „...საჯივნი ძელისანი დაჰმუსრენ, და ვქმნე მათ წილ რკინისა საჯივნი“.

⁴⁶⁵ აღნიშნული აზრი გამომდინარეობს ნეტარი მამის შემდეგი სიტყვებიდან: „...ხოლო იერემიას უბრძანებდა, ხან ხის, ხან კი რკინის უღლის ქედზე დადგმას...“ (Блаженный Феодорит 2006a: 251). მოტანილ წინადადებაში ნეტარი თეოდორიტე დეტალურად არ საუბრობს იერემიას მიერ რკინის უღლის დადგმის დროზე, თუმცა ადასტურებს ხსენებულ ფაქტს. განხილული სიმბოლური ქმედებისა და XXVIII თავის მეცამეტე მუხლის („...ვქმნე მათ წილ რკინისა საჯივნი...“) შინაარსიდან გამომდინარე, ცხადია, რომ იერემიამ მას შემდეგ დაიდგა რკინის უღელი, რაც ანანიამ ხის უღელი დაამტვრია.

⁴⁶⁶ იერ. 28. 15-17.

6.5. ნასყიდობის წერილის დადება

იერემიას შემდგომი სიმბოლური ქმედება წიგნის XXXII თავშია წარმოდგენილი. ის უკავშირდება ნაბუქოდონოსორის უკანასკნელ ლაშქრობას იერუსალიმზე. აღნიშნულ დროს ეს ქალაქი ქალდეველთა მიერ ალყაში იყო მოქცეული⁴⁶⁷, იერემია კი, იუდეის მეფე სედეკიას ბრძანებით, პატიმრობაში იმყოფებოდა.

„სიტყუად, რომელი იყო უფლისა მიერ იერემიასა მიმართ წინასწარმეტყუელებაჲ წელსა მათესა სედეკია მეფისა იუდაისსა, ესე წელი მათრვამეტჳ ნაბუქოდონოსორ მეფისა ბაბილოვნისაჲ. და ძალი მეფისა ბაბილოვნისაჲ ჰბრძოდა იერუსალჳმსა, და იერემიას წინასწარმეტყუელსა სცვიდეს ეზოსა შინა საპყრობილისასა, რომელ არს სტოვათა მეფისა იუდაისთა. რომელსა შინა შეაყენა იგი სედეკია მეფემან იუდაისმან და ჰრქუა: შენ რად ჰსწინასწარმეტყუელებ და იტყვ, ესრე თქუა უფალმან: აჰა-ესერა, მე მივსცემ ქალაქსა ამას ჯელთა მეფისა ბაბილოვნისათა, და დაიპყრას იგი. და სედეკია, მეფჳ იუდაისი, არა განერეს ჯელთა ქალდეველთასა, რამეთუ მიცემით მიეცეს ჯელთა მეფისა ბაბილოვნისათა და იტყოდის პირი მისი პირისა მიმართ მისისა, და თუალთა მისთა თუალნი მისნი იხილნენ. და ბაბილოვნდ წარიყვანოს სედეკია და მუნ დაჳდეს, ვიდრემდის მოვიძიო იგი, თქუა უფალმან, რამეთუ ჰბრძავს ქალდეველთა, რომელთა მიმართ ვერ წარმოემართოს“⁴⁶⁸.

იერემია არა საკუთრივ საპყრობილეში, არამედ მის ეზოში იმყოფებოდა. ნეტარი იერონიმეს განმარტებით, ეს ფაქტი გვარწმუნებს, რომ წინასწარმეტყველი, გაქცევის თავიდან აცილების მიზნით, მსუბუქი დაცვის ქვეშ იყო (Блаженный Иероним 2008: 509). წმინდა წერილში აღნიშნულია წმინდანის დაპატიმრების მიზეზიც. იერემია იერუსალიმის დაცემის, ხელმწიფისა და იუდეველთა დატყვევების შესახებ წინასწარმეტყველების მიზეზით შეიპყრეს⁴⁶⁹. ნეტარი იერონიმე ნიშანდობლივად აღნიშნავს, რომ მცველები იერემიას იმ დროს დარაჯობდნენ, როდესაც ქალაქი ალყაში იყო მოქცეული: „თითქოს, ალყაში მომწყვდეული მთელი იერუსალიმი ყველა მცხოვრების საერთო დილეგი არ იყო“ (Блаженный Иероним 2008: 509).

⁴⁶⁷ ძვ. წ. 587 წ.

⁴⁶⁸ იერ. 32. 1-5.

⁴⁶⁹ სედეკიას მიერ იერემიას დაპატიმრებასთან დაკავშირებით წმინდა იოანე ოქროპირს წმინდა წერილის შემდეგი მუხლი ახსენდება: „დავაბრკოლოთ მართალი იგი, რამეთუ განმადნელებელ ჩუენდა არს...“ (სიბრძ. სოლ. 2. 12); (Святитель Иоанн 1906: 1285).

აღნიშნულ დროს იერუსალიმის მოსახლეობა მრავალი განსაცდელისა და საფრთხის წინაშე იდგა. იერემიას დაევალა, რათა აღლევებული ხალხი დაემშვიდებინა და წმინდა ეფრემ ასურის თქმით, „საკუთარ მიწაზე დაბრუნების აღთქმის უწყებით გაეხარებინა, მაგრამ რამდენადაც მისი სიტყვებისა არ სჯეროდათ, უფალმა განაჩინა, რომ მომავალში დაფარული წინასწარმეტყველება ყველასთვის გაცხადებული ქმედებით დაემოწმებინათ“ (Святой Ефремъ 1995ა: 490).

„და თქუა იერემია წინაღწარმეტყუელმან: იყო სიტყუა უფლისა ჩემდამო და თქუა: აჰა-ესერა, ანამელ, ძჳ სალომისი ძმისა მამისა შენისაჲ, მოვიდეს შენდა და გრქუას: დაიპყარ აგარაკი იგი ჩემი ანათოთისაჲ, რამეთუ შენი არს სამართალი მახლობელებისაჲ დაპყრობად იგი სამკვდრებელად“⁴⁷⁰.

ტერიტორია, რომელიც წინასწარმეტყველს უნდა შეესყიდა, ქალაქგარეთ მდებარეობდა. იქ, ჩვეულებრივ, ლევიტელთა კუთვნილი საძოვრები იყო განლაგებული⁴⁷¹. რჯულის თანახმად, მათი გაყიდვა იკრძალებოდა⁴⁷², თუმცა ეს აკრძალვა, მკვლევართა ვარაუდით, მხოლოდ სხვა ტომისა და გვარისადმი მიყიდვით შემოიფარგლებოდა (Толковая Библия 1909: 99); (Толкование 1996: 185); (Якимовъ 1879: 518). იერემია იყო ანამელის უახლოესი ნათესავი, რომელიც კუთვნილ მიწას მოსეს რჯულის წესით ყიდდა⁴⁷³.

უნდა აღინიშნოს, რომ ანამელის მიერ შეთავაზებული მიწა მოცემულ დროს ბაბილონელთა კონტროლს ექვემდებარებოდა და იუდეველებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდათ, ე. ი. ანამელი ყიდდა იმას, რაც მას, ფაქტობრივად, არ ეკუთვნოდა, ხოლო იერემია ყიდულობდა მიწას, რომელიც ფიზიკურად ვერ იქნებოდა მისი საკუთრება. ეს ყველაფერი კი განსაზღვრული მიზნით აღესრულებოდა.

„და მოვიდა ჩემდა ანამელ, ძჳ სალომისი, ძმისა მამისა ჩემისაჲ, ვითარცა თქუა უფალმან, ეზოსა მას საპყრობილისასა და მრქუა: დაიპყარ აგარაკი იგი ჩემი ანათოთისაჲ, რომელ არს ქუეყანასა მას ბენიამინისსა, რამეთუ შენდა წეს არს დაპყრობად სამკვდრებელისა მის, რამეთუ შენ ხარ უხუცესი და გულისჴმა-ვყავ, რამეთუ სიტყუა უფლისაჲ არს; და დავიპყარ აგარაკი იგი ანამელისგან, ძისა სალომისა, ძმისა მამისა ჩემისა, რომელი იყო ანათოთს, ქუეყანასა მას ბენიამინისსა, და მიუწონე მას ვეცხლი

⁴⁷⁰ იერ. 32. 6-7.

⁴⁷¹ იხ. რიცხვ. 35. 2.

⁴⁷² იხ. ლევიტ. 25. 34.

⁴⁷³ იხ.: ლევიტ. 25. 25; რიცხვ. 27. 8-11.

შვიდი სიკლა⁴⁷⁴ და ათი ვეცხლი. და დავწერე წიგნსა შინა და ვიწამენ მოწამენი და მიუწონე ვეცხლი იგი სასწორითა. და მოვიღე წიგნი იგი მოგებისად, დაბეჭდული იგი მცნებად და სამართალი აღმოკითხული და განცხადებული⁴⁷⁵.

იერემიამ მიწა ყოველგვარი წესის დაცვით იყიდა. ნეტარი იერონიმეს განმარტებით, ეს საქციელი „უხერხული და არათანმიმდევრული იყო მისთვის, ვინც წინასწარმეტყველებდა, რომ იერუსალიმის აღებამდე მცირე დრო რჩებოდა და ყველა ტყვეობაში აღმოჩნდებოდა ან მოკვდებოდა მახვილით, შიმშილითა და ჭირით...“ (Блаженный Иероним 2008: 513), თუმცა იერემია აცნობიერებდა, რომ მიწას, უფლის ნებით, გარკვეული მიზეზით ყიდულობდა. ნეტარი იერონიმეს განმარტებით, სწორედ ამას ნიშნავდა იერემიას სიტყვები: „გულისკმა-ვყავ, რამეთუ სიტყუად უფლისად არს“⁴⁷⁶, და ამიტომაც იყიდა მან ყანა, რომლის ფლობასაც ვერ შეძლებდა (Блаженный Иероним 2008: 513, 515).

ასე რომ, **სიმბოლური ქმედება** იუდეველთა სანუგეშებლად, ტყვეობიდან დაბრუნების უეჭველობაში დასარწმუნებლად განხორციელდა. წმინდა ეფრემ ასური ამბობს: „იუდეველთა დარწმუნებას სწორედ ის ფაქტი განაპირობებს, რომ წინასწარმეტყველი ასეთ დროს ყიდულობს ყანას, რადგან ამას ტყვეობიდან დაბრუნებაში დაეჭვებული ადამიანი არ გააკეთებდა“ (Святой Ефремъ 1995ა: 491). იმავე აზრს გამოთქვამს ნეტარი თეოდორიტეც: „...ღმერთი საკუთრივ (იერემიას, ც. რ.) მოქმედებით არწმუნებდა ერს, რომ იუდეველები უეჭველად დაბრუნდებოდნენ ტყვეობიდან და მამულს კვლავ დაეუფლებოდნენ...“ (Блаженный Феодорит 1859: 242). წმინდა იოანე ოქროპირი აღნიშნავს: „ვინ გააკეთებდა ამას? როდესაც ქალაქი უნდა დაპყრობილიყო, (წინასწარმეტყველი, ც. რ.) ყიდულობს ყანას“ (Святитель Иоанн 1906: 1285).

ნასყიდობის ერთი საბუთი ტრადიციისამებრ დაიბეჭდა, ხოლო მეორე, აღმოკითხვის მსურველთათვის – ღიად დარჩა (Блаженный Иероним 2008: 515). ნეტარი იერონიმეს უწყებით, ნასყიდობის საბუთებში, ჩვეულებრივ, გამყიდველისა და მოწმეთა ხელმოწერები აღიბეჭდებოდა (Блаженный Иероним 2008: 514).

⁴⁷⁴ შდრ. ებრ.: שֶׁקֶל (Sheqel).

⁴⁷⁵ იერ. 32. 8-11.

⁴⁷⁶ იერ. 32. 8.

„და მივეც წიგნი იგი მოგებისად ბარუქს, მესა ნერისსა, მისა მასაწყისისა წინაშე თუალთა ანამელისთა, მისა სალომისა, მმისა მამისა ჩემისა, წინაშე თუალთა მდგომარეთა მოწამეთასა წიგნსა მას მოგებისასა და წინაშე თუალთა ყოველთა ჰურიათასა, რომელ სხდეს ეზოსა მას საპყრობილისასა. და უბრძანე ბარუქს წინაშე თუალთა მათთა და ვარქუ: ესრე იტყვს უფალი მერთისა-მპყრობელი⁴⁷⁷, ღმერთი ისრაჴლისა: მიიღე წიგნი ესე მოგებისად დაბეჭდული და წიგნი აღმოკითხული და განცხადებული და შთასდვა იგი ჭურჭერსა კეცისასა, რაფთა დათმოს დღეთა მრავალთა. რამეთუ ესრე თქუა უფალმან მერთისა-მპყრობელმან, ღმერთმან ისრაჴლისამან: მერმეცა მოიგონ სახლები და აგარაკები და ვენაჯები ამას ქუეყანასა“⁴⁷⁸.

მიწის ნასყიდობის საბუთები ბარუქს ანამელის, ზემოხსენებული მოწმეებისა და საპყრობილის ეზოში მყოფი იუდეველების თვალწინ გადაეცა. ეს საბუთები ბარუქს თიხის ჭურჭელში უნდა შეენახა. რაც შეეხება საპყრობილის ეზოში მყოფ იუდეველებს, ნეტარი იერონიმეს განმარტებით, ისინი ან წინასწარმეტყველის სანუგეშებლად იყვნენ მისულები, ან კიდევ – ღვთის სიტყვის მოსასმენად (Блаженный Иероним 2008: 514). აღნიშნული ქმედების შემდეგ იერემიამ უფლისადმი ლოცვა აღავლინა.

6.6. ეგვიპტეში აღსრულებული სიმბოლური ქმედება

წინასწარმეტყველმა იერემიამ სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდში სიმბოლური ქმედება აღსრულა ეგვიპტეშიც, კერძოდ, ქალაქ ტაფნისში. იქ ბაბილონის მეფისგან ლტოლვილმა ებრაელებმა წინასწარმეტყველი ძალით წაიყვანეს. აღნიშნული სიმბოლური ქმედება იერემიას წიგნის XLIII თავშია აღწერილი.

„და იყო სიტყუად უფლისად იერემიასა მიმართ ტაფნას შინა, და ჰრქუა: მოიხუენ შენ ქვანი დიდნი და დამალენ იგინი სამალველსა ალიზსა შინა წინაშე კართა სახლისა ფარაოდსთასა, წინაშე თუალთა მეთა იუდადსთა, და არქუ მათ: ესრე თქუა უფალმან ძალთამან, ღმერთმან ისრაჴლისამან: აჰა-ესერა, მე მოვავლინო და მოვიყვანო ნაბუქოდონოსორ მეფე ბაბილონისად, მონად ჩემი და დაიდგას საყდარი მისი ზედა

⁴⁷⁷ შდრ. J: „ყოველისა-მპყრობელი“.

⁴⁷⁸ იერ. 32. 12-15.

ქვათა მაგათ, რომელ დაჰმალენ, და დადვას საჭურველი მისი⁴⁷⁹ მაგათ ზედა და აღიღოს საჭურველი მაგათგან და შემოვიდეს და მოსრას ქუეყანად ეგვიპტისად, რომელნი სიკუდილად, – სიკუდილსა, და რომელნი ტყუეობად, – ტყუეობასა, რომელნი მახვლად, – მახვლსა. და აღუდვას ცეცხლი სახლებსა ღმერთთა მეგვიპტელთასა და მოწუნეს იგინი და წარტყუნეს და განტისნოს ქუეყანად ეგვიპტისად, ვითარცა განტისნის მწყემსმან სამოსელი თვისი⁴⁸⁰, და განვიდის მშვიდობით. და შემუსრნეს სუეტნი მზის-ქალაქისნი⁴⁸¹, რომელ არიან ენონს, და სახლნი ღმერთთა მათთან დაწუნ ცეცხლითა⁴⁸².

ნაბუქოდონოსორს განრიდებულ ებრაელთა უგუნური საქციელის სამხილებლად იერემიას ებრძანა სიმბოლური ქმედების აღსრულება: მას ეგვიპტის ფარაონის სასახლის წინ თიხის რბილი მასით⁴⁸³ უნდა დაეფარა დიდი ქვები. წმინდა იოანე ოქროპირის განმარტებით, აღნიშნულ ადგილზე იერემიას ქვებით საყდრის მსგავსი ნაგებობა უნდა შეექმნა და თიხით შეეღესა (Святитель Иоанн 1906: 1301). წინასწარმეტყველი სიმბოლური ქმედებით მიანიშნებდა, რომ ნაბუქოდონოსორი ეგვიპტეს დაიპყრობდა და აღნიშნულ ადგილზე საყდარს დაიდგამდა.

წინასწარმეტყველების თანახმად, ბაბილონის მეფე გააცამტვერებდა ეგვიპტეს, სადაც ასე დაცულად გრძნობდნენ თავს ებრაელები. იერემიას წინასწარმეტყველებაში ნაბუქოდონოსორისგან ეგვიპტის განადგურება შედარებულია მწყემსის მიერ სამოსლის მწერებისაგან გაწმენდასთან. სწორედ ამ უკანასკნელ მოქმედებას გულისხმობს ბერძნული სიტყვა φθειρῶ, რომლის შესატყვისადაც ძველქართულ ტექსტში გამოყენებულია „განტისვნა“. ნეტარი თეოდორიტეს უწყებით, მწყემსებს თავისუფალი დროის სიდიდე საშუალებას აძლევდა, რათა სამოსი გულდასმით გაეწმინდათ. ნეტარი მამის განმარტების თანახმად, ზემოთ ნახსენები საუფლო სიტყვები ნიშნავდა, რომ

⁴⁷⁹ შდრ. 50. 10, LXX: „ἀρεῖ τὰ ἑπτα ἄπτοῦ“. ზემოაღნიშნულ ადგილზე (იერ. 43. 10) მასორეტულ ტექსტში წერია: „და გაშლის კარავს თავისას...“ („וַיִּרְאֶה אֶת-כָּל-אֲרָצוֹת מִצְרָיִם“). წმინდა იოანე ოქროპირი ამბობს, რომ სამოცდაათთა თარგმანი და ებრაულენოვანი ბიბლია ერთსა და იმავე აზრს გამოხატავენ: „ცხადია, რომ მეფის იარაღი მის კარავში ინახებოდა“ (Святитель Иоанн 1906: 1301).

⁴⁸⁰ იერ. 43. 12; შდრ. იერ. 50. 12, LXX: „φθειρήσει γὺν Αἰγύπτου, ὥσπερ φθειρῶσει ποιμήν τὸ ἱμάτιον αὐτοῦ“.

⁴⁸¹ შდრ. 50. 13, LXX: „ἡλίου πτόλεω“; 43. 13, VUL: „domus Solis“; სლავ.: „нѣмѣстѣ“; MT: „שָׁמַשׁ תִּשָּׁ“ (ქართ.: „მზის სახლი“ ან „მზის ტაძარი“). შემდეგ თარგმანებში ქალაქის ებრაული სახელწოდება სიტყვასიტყვით არის გადმოტანილი: KJV: „Bethshemesh“; რუს.: „Бетсамисе“; ახალქართ.: „ბეთ-შემემის“.

⁴⁸² იერ. 43. 8-13.

⁴⁸³ ი. იაკიმოვი ვარაუდობს, რომ ეგვიპტელები სამეფო სასახლის შესამკობად წამოწყებული სამუშაოებისთვის მის წინ თიხას ზელდნენ (Якимовъ 1879: 628). სხვა მოსაზრებით, სასახლის წინ აგურებით ქვაფენილს აგებდნენ (Толкование 1996: 201); (Толковая Библия 1909: 124).

ეგვიპტეზე მუსრის გავლებისთვის ნაბუქოდონოსორი ყოველ ღონეს მიმართავდა (Блаженный Феодорит 1859: 267).

მასორეტულ ბიბლიაში ზემოაღნიშნული სიტყვების მაგიერ წერია: „და ეგვიპტის მიწით შეიმოსება, როგორც მწყემსი იცვამს საკუთარ სამოსს“⁴⁸⁴. ბოლო დროის კომენტატორთა მიხედვით, აღნიშნულ წინადადებაში იგულისხმება ბაბილონის ხელმწიფის მიერ ეგვიპტის სამეფოს ადვილად დამარცხება. მათი თქმით, წინასწარმეტყველება მოწმობდა, რომ ნაბუქოდონოსორი ისევე იოლად გაუმკლავდებოდა ეგვიპტელებს, როგორც მწყემსი იცვამდა ხოლმე ავდარში თავის ტყაპუქს (Толкование 1996: 201); (Толковая Библия 1909: 124); (Якимовъ 1879: 630-631).

ქალდეველთა ლაშქარი გააუდაბურებდა ეგვიპტის ქვეყანას და ცეცხლს მისცემდა იქ არსებულ საკერპოებს. **მზის-ქალაქი**, რომლის სვეტებსაც შემუსრავდა ნაბუქოდონოსორი, მკვლევართა ვარაუდით, იყო ჰელიოპოლისი. აღნიშნული ქალაქი მდებარეობდა ქვემო ეგვიპტეში, ტაფნისთან ახლოს. მას სხვაგვარად ონსაც უწოდებდნენ. მისი აშენების შესახებ „გამოსლვათა“ წიგნი მოგვითხრობს: „...და უმწნნენ ქალაქნი ძლიერნი ფარაოს: პითონი და ჰრამესე და ონი, რომელ არს მზის-ქალაქი“⁴⁸⁵. ჰელიოპოლისი გამორჩეული იყო მზის ტაძრითა და ამავე მნათობისადმი მიძღვნილი უდიდესი ობელისკებით (Толкование 1996: 201); (Толковая Библия 1909: 124).

ნიშანდობლივია, რომ მოტანილ ბიბლიურ ეპიზოდში ნაბუქოდონოსორი ღვთის „მონად“ იწოდება. ნეტარი თეოდორიტეს განმარტებით, ბაბილონის მეფე აღნიშნული შესიტყვებით სახელდებულია, როგორც უფლის ქმნილება, „რადგან ქმნილება შემოქმედისადმია დამონებული“ (Блаженный Феодорит 1859: 268). ნეტარი მამის თანახმად, ამ სახელდებით უფალი ებრაელებს შეაგონებდა, რომ ბაბილონის მეფე ღვთის დაშვებით გაანადგურებდა ეგვიპტეს (Блаженный Феодорит 1859: 268).

ზემოაღნიშნულ წინასწარმეტყველებასთან დაკავშირებით ბიბლიის კრიტიკოსები ამტკიცებდნენ, თითქოს ნაბუქოდონოსორს არასოდეს დაულაშქრავს ეგვიპტე. თუმცა

⁴⁸⁴ შდრ.: იერ. 43. 12, MT: „וְהָאֱרֶץ הַמִּצְרַיִם יִשְׁמָר וְהָאֱרֶץ הַמִּצְרַיִם יִשְׁמָר“; VUL: „et amicitur terra Aegypti sicut amicitur pastor pallio suo“ სლავ.: „и покрыетъ зѣмлю египетскую, ꙗкоже покрываѣтсѧ пастыръ ризою своєю“; KJV: „and he shall array himself with the land of Egypt, as a shepherd putteth on his garment“, რუს.: „и он сожжет оные, а их пленит, и оденется в землю Египетскую, как пастух надевает на себя одежду свою“; ახალქართ.: „გადაიცვამს ეგვიპტის ქვეყანას, როგორც მწყემსი თავის ტყაპუქს“.

⁴⁸⁵ გამოსლ. 1. 11.

ბოლო დროს მოპოვებული ფაქტობრივი მასალიდან საპირისპირო აზრი გამომდინარეობს:

1. ფარაონ ოფრას მეფობისას ერთ-ერთი მაღალი იერარქის ბრძანებით ამოკვეთილი წარწერა გვამცნობს ჩრდილოელი ხალხის თავდასხმის შესახებ. მათ ლამის დაიპყრეს მთელი ეგვიპტე. ფარაონი ოფრა ძვ. წ. 572-571 წწ.-მდე მეფობდა, შესაბამისად, ეს თავდასხმა მითითებულ ჟამამდე განხორციელდებოდა.

2. ერთ-ერთ ბაბილონურ წარწერაში ნაბუქოდონოსორი აცხადებს, რომ თავისი მეფობის 37-ე წელს (ძვ. წ. 568 წელს) გაილაშქრა ეგვიპტეზე, დაამარცხა მეფე ამა და დიდი ალაფი იგდო ხელთ. გამორიცხული არაა, რომ ზემოხსენებულ იერარქს ადრეც დაულაშქრავს ეგვიპტე (Толковая Библия 1909: 124); (Толкование 1996: 201).

წმინდა ეფრემ ასური აღნიშნულ წინასწარმეტყველებას ძე ღვთისას განკაცებას უკავშირებს: „სწორედ ამ სვეტების შესახებაა დაწერილი, რომ შემუსრავს მათ უფალი⁴⁸⁶, თუმცა სინამდვილეში განა ისინი შემუსრა და დააქცია ღმერთმა, არამედ ამ სვეტებზე გამოსახული დემონებისა და კერპებისადმი პატივმიგება დაამხო, გაანადგურა და დაასრულა, რაჟამს განკაცებული მოევლინა სამყაროს“ (Святой Ефремъ 1995а: 493). იმასვე წინასწარმეტყველებდა ესაია: „აჰა უფალი საბოთ ზედა ზის ღრუბელთა სულმცირეთა და მოვალს ეგვპტედ; და შეიძრნენ კელით ქმულნი ეგვპტისანი პირისა მისისაგან, და გულნი მათნი მოუძღურდენ მათ შორის“⁴⁸⁷.

6.7. იერემიას წერილით ბაბილონში აღსრულებული

სიმბოლური ქმედება

აღნიშნული სიმბოლური ქმედება იერემიას წინასწარმეტყველების LI თავშია აღწერილი. ის ზემოხსენებული წინასწარმეტყველის დავალებით, იუდეის მეფე სედეკიას მსახურმა, სარეამ აღასრულა.

⁴⁸⁶ შდრ. იერ. 43. 13: „და შემუსრნეს სუეტნი მზის-ქალაქისნი...“.

⁴⁸⁷ ეს. 19. 1.

„სიტყუად, რომელი ამცნო იერემია წინაღწარმეტყუელმან თქუმად სარეასა, ძისა ნერისსა, ძისა მასაწყსსა, რაჟამს წარვიდოდა **სედეკიასგან**⁴⁸⁸, მეფისა იუდაასა, ბაბილოვნიდ წელსა მეოთხესა მეფობისა მისისასა, და სარეა იყო ნიჭთმთავარ. და დაწერა იერემია ყოველი ესე ძვრი, რომელი მოსლვად არს ბაბილოვნსა ზედა, წიგნსა ზედა ერთსა ყოველთა ამათ სიტყუათა თანა, რომელ წერილ არიან ბაბილოვნისათვს. და ჰრქუა იერემია სარეას: რაჟამს მიხვდე ბაბილოვნიდ, და იხილო და აღმოიკითხნე ყოველნი ესე სიტყუანი“⁴⁸⁹.

საკმარისი ცნობები არ მოგვეპოვება იმის შესახებ, თუ რა მიზნით მიემართებოდა სედეკია მეფობის მეოთხე წელს ბაბილონში. იერემიას წინასწარმეტყუელების XXIX თავის მე-3-ე მუხლში ნაბუქოდონოსორთან სედეკიას წარგზავნილ ელჩობაზეა საუბარი. ზოგიერთი ბოლო დროის კომენტატორის ვარაუდით, ეს სტუმრობა ბაბილონის მეფესთან მეგობრული ურთიერთობის შენარჩუნების მიზნით განხორციელდა (Якимовъ 1879: 453); (Толковая Библия 1909: 88). მათი აზრით, აღნიშნული მოვლენის შემდეგ სედეკია ბაბილონის ხელმწიფის პირადად მონახულების აუცილებლობის წინაშეც დადგა. იუდეის მეფის მიზანი საკუთარ ერთგულებაში ნაბუქოდონოსორის დარწმუნება იყო. საქმე ისაა, რომ, ხსენებულ კომენტატორთა ვარაუდით, იუდეის მეზობლად მდებარე ქვეყნები აჯანყებას გეგმავდნენ. აღნიშნული მიზნით ისინი მეფე სედეკიასაც ეწვივნენ⁴⁹⁰. მათი აზრით, როცა ნაბუქოდონოსორი ამ შეხვედრის ამბავს შეიტყო, საფუძვლიანი ეჭვი გაუჩნდებოდა შეთქმულებაში იუდეის თანამონაწილეობის შესახებ (Якимовъ 1879: 776-777); (Толковая Библия 1909: 84, 148); (Толкование 1996: 216).

სარეას ვინაობის შესახებ მეცნიერები სხვადასხვა მოსაზრებას გამოთქვამენ. იგი მასორეტულ ტექსტში „მოსასვენებლის მთავრად“ (ებრ.: **מְשַׁנְּעֵי מוֹשָׁבֵי**) იწოდება. ებრაულენოვან ბიბლიაზე დაყრდნობით მკვლევრები ვარაუდობენ, რომ სარეა ე. წ. კვარტირმასტერი იყო. აღნიშნული თანამდებობის პირის მოვალეობას შეადგენდა ხელმწიფისა და სამეფო კარის წევრების სურსათ-სანოვაგესა და საცხოვრებელზე ზრუნვა (Толкование 1996: 216); (Толковая Библия 1909: 148). სეპტუაგინტაში სარეას

⁴⁸⁸ შდრ. იერ. 28. 59, LXX: „πᾶρὰ Σεδεκίου“; 51. 59, სლავ.: „сѣдекїи“. მასორეტულ ტექსტში აღნიშნულ ადგილზე სედეკიასთან **ერთად** წასვლაზეა საუბარი: „וְיָרֵדְךָ־יָצֵדְךָ“ (შდრ. VUL: „cum Sedecia“). იგივე ვითარებაა მეფე ჯეიმსის ბიბლიაში, რუსულ სინოდალურ და ახალქართულ თარგმანებში.

⁴⁸⁹ იერ. 51. 59-61.

⁴⁹⁰ იბ. იერ. თ. 27.

ეწოდება: **ჭᄁᄁᄁ ᄁᄁᄁᄁ**, რისი შესატყვისიცაა ძველქართული „ნიჭთმთავარი“. სამოცდაათა თარგმანზე დაყრდნობით ი. იაკიმოვი გამოთქვამს თვალსაზრისს, რომ აღნიშნული პიროვნება გადასახადების აკრეფას განაგებდა (Якимовъ 1879: 776). მისი თქმით, სამეფო გადასახადს ან ხარკს ებრაელები **ᄁᄁᄁᄁ**-ს (**Minkha**; ძღვენი) უწოდებდნენ⁴⁹¹. სამოცდაათა თარგმანში სიტყვა **ᄁᄁᄁᄁ** ებრაული **ᄁᄁᄁᄁ**-ს შესატყვისად დაახლოებით 30-ჯერ გამოიყენება⁴⁹². ამ უკანასკნელი ტერმინის მნიშვნელობა კონტექსტის მიხედვით იცვლება. ის ხშირად მეფისთვის მისართმევ ძღვენს მიემართება⁴⁹³. პ. იუნგეროვის აზრით, სარეა მოთავეობდა ბაბილონში გამართულ ელჩობას, რომელსაც ნაბუქოდონოსორისთვის ძღვენი მიჰქონდა (https://azbyka.ru/otechnik/Pavel_Yungerov/kniga-proroka-ieremii/). აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წმინდა იოანე ოქროპირის განმარტება. მისი თქმით, სარეა უპირატესი იყო მათ შორის, ვისაც ძღვენის ტარება ევალებოდა (Святитель Иоанн 1906: 1317).

ბიბლიის მკვლევრები ვარაუდობენ, რომ სარეა ბარუქის, იერემიას მსახურის, ძმა იყო. კომენტატორები ამ თვალსაზრისს იერემიას წიგნის XXXII თავის მე-12-ე მუხლზე დაყრდნობით გამოთქვამენ, სადაც ბარუქის მამისა და ბაბუის სახელებია აღწერილი. ისინი წიგნის LI თავის 59-ე მუხლში აღბეჭდილ სარეას მამისა და პაპის სახელებს ემთხვევა. ამასთან, მკვლევრების აზრით, იერემია ესოდენ საპასუხისმგებლო მოვალეობას მხოლოდ ისეთ პიროვნებას თუ მიანდობდა, ვინც წინასწარმეტყველთან განსაკუთრებულად იყო დაახლოებული (Якимовъ 1879: 775-776); (Толкование 1996: 216); (Толковая Библия 1909: 148).

ი. იაკიმოვის თვალსაზრისით, არ არსებობს აუცილებლობა ვივარაუდოთ, რომ უშუალოდ ბაბილონში შეკრებილ ხალხს წაუკითხა სარეამ იერემიას წინასწარმეტყველება. მკვლევრის თვალსაზრისით, შესაძლებელია, რომ სარეა დადგა ქალაქთან ახლოს მდებარე ერთ-ერთ მაღლობზე, პირი ბაბილონისკენ მიაქცია, შემდეგ კი შეასრულა იერემიას კურთხევა ებრაელთა გარკვეული ნაწილის თანდასწრებით (Якимовъ 1879: 777).

⁴⁹¹ იხ. 3 მეფ. 4. 21.

⁴⁹² იხ.: 4 მეფ. 8. 8-9; 4 მეფ. 10. 25; 4 მეფ. 17. 4; 4 მეფ. 20. 12; ეს. 39. 1 და სხვ.

⁴⁹³ იხ. 1 მეფ. 10. 27.

ბაბილონის შესახებ წინასწარმეტყველება, რომელიც იერემიამ დაწერა და სარეას გადასცა, მკვლევართა ვარაუდით, წინასწარმეტყველის წიგნის L და LI თავებშია გადმოცემული (Толкование 1996: 216); (Толковая Библия 1909: 144)⁴⁹⁴. აღნიშნული თალსაზრისის საფუძვლიანობა ნეტარი თეოდორიტეს ეგზეგეზიდანაც დასტურდება (Блаженный Феодорит 1859: 313). ბიბლიის აღნიშნულ ნაწილში ორი უმთავრესი თემაა გამოკვეთილი: ბაბილონის განადგურება და ებრაელთა ტყვეობიდან განთავისუფლება.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ნაშრომში ზემოაღნიშნული წინასწარმეტყველების შინაარსი წარმოვადგინოთ:

ცრუმორწმუნე ბაბილონელებს სასჯელი მოელოდათ, რისგანაც ვერ დაიხსნიდა მათი უსულო კერპები. ჩრდილოეთიდან მოსული მტერი სამეფოს განადგურებდა, რითაც ბაბილონის ღვთაებათა უძლურება წარმოჩნდებოდა. წინასწარმეტყველება სასჯელის მიზეზსაც გადმოსცემს: უფლის დაშვებით, ბაბილონის სამეფო იქცა ცოდვილ ებრაელთა დასჯის იარაღად, თუმცა იმპერიის მკვიდრებმა უფლის მიერ დადგენილ მსჯავრს გარდაამეტეს. ისინი ღვთივრჩეულ ერზე გამარჯვებით მეტად ხარობდნენ:

⁴⁹⁴ უნდა აღინიშნოს, რომ ბიბლიის კრიტიკოსთა ნაწილი (კ. კნობელი, ა. ევალდი, კ. კორნილი და სხვ.) იერემიას წინასწარმეტყველების L და LI თავების ავთენტურობას უარყოფს. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ ნაშრომში ყურადღება დავუთმოთ აღნიშნულ საკითხსაც.

უპირველეს ყოვლისა, ბაბილონზე წინასწარმეტყველების დასაწყისი მოწმობს L და LI თავების ავთენტურობას: „სიტყუად, რომელ თქუა უფალმან ბაბილოვნსა ზედა, ქუეყანასა ქალდეველთასა, **ჯელითა** იერემია წინასწარმეტყველისადათ“ (იერ. 50. 1). უნდა აღინიშნოს, რომ ეს დასაწყისი იერემიას წინასწარმეტყველებათა სხვა დასაწყისებიდან ფორმოზრივად მკვეთრად განსხვავდება, მაგ.: „სიტყუად უფლისად, რომელი იყო იერემიასა მიმართ...“ (იერ. 1. 1), „და იყო სიტყუად უფლისად ჩემდამო, და თქუა“ (იერ. 2. 1; შდრ. იერ. 16. 1) ან „სიტყუად, რომელი იყო იერემიასა მიმართ უფლისა მიერ, და თქუა“ (იერ. 7. 1; შდრ. იერ. 11. 1; 18. 1; 21. 1). თუმცა, ბიბლიის მკვლევართა ვარაუდით (ი. იაკიმოვი და სხვ.), წინასწარმეტყველების დასაწყისის თავისებურება განაპირობა შემდეგმა გარემოებამ: ეს სიტყვები იერემიას ბაბილონში არ წარმოუთქვამს, არამედ ჩაწერა „ჯელითა“, შემდეგ კი გაატანა სედევკიას მსახურს გადასახლებულ თანატომელთა წინაშე წასაკითხად (Якимовъ 1879: 730). იერემიამ რომ დაწერა აღნიშნული წინასწარმეტყველება, ეს წინამოსწავების ეპილოგითაც დასტურდება (იხ. იერ. 51. 60). წინასწარმეტყველების ბოლოს მისი ავთენტურობის კიდევ ერთი უტყუარი მოწმობაა განთავსებული: „და დაემტკიცნეს **სიტყუანი იერემიასნი**, ვიდრე აქამომდე“ (იერ. 51. 64). ყოველივეს მიუხედავად, ბიბლიის კრიტიკოსთა ნაწილი წარმოდგენილ მტკიცებულებებს უარყოფს.

იერემიას წიგნის L და LI თავების ავთენტურობა ენობრივი ნიშნებითაც დასტურდება. წმინდა წერილის აღნიშნულ მონაკვეთში ცხადად ვლინდება იერემიას წერის მანერა. წინასწარმეტყველის წიგნის სხვა ნაწილებთან L და LI თავების ენობრივი მსგავსება ნათლად არის გამოკვეთილი.

კრიტიკოსთა ვარაუდით, აღნიშნული ბიბლიური მონაკვეთი იერემიას სამოღვაწეო ეპოქას არ შეეფარდება. ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ მრავალი მოწმობის მოტანა შეიძლება. იერემიას წერილის ადრესატნი რომ წინასწარმეტყველის თანამედროვენი იყვნენ, ეს შემდეგი მუხლიდანაც დასტურდება: „და მივაგო ბაბილოვნსა და მკვდრთა ქალდეასათა ყოველნი უკეთურებანი მათნი, რომელ ყვნეს სიონს შინა **წინაშე თუალთა თქუნთა**, – იტყვს უფალი“ (იერ. 51. 24). იერემიას წინასწარმეტყველების XXV თავის 26-ე მუხლში, ისევე როგორც – LI თავის 41-ეში, ბაბილონი „სისაქად“ იხსენიება. ნეტარი თეოდორიტეს მოსაზრებით, უძველეს დროში ბაბილონს სწორედ აღნიშნული სახელი ეწოდებოდა (Блаженный Феодорит 1859: 310-311). ამასთან, იერემიას წინასწარმეტყველებაში ბაბილონი აღიწერება როგორც დიდებულებითა და ძლევით მოსილი სამეფო (Толковая Библия 1909: 148-149); (<http://www.s bible.ru/books/jung.htm>).

„რამეთუ იხარებდით და იქადოდეთ მიტაცებასა სამკვდრებელისა ჩემისასა, და რამეთუ ჰტრიობდით, ვითარცა ზროხანი მწუანესა შინა, და ირქენდით, ვითარცა კურონი“⁴⁹⁵. ამასთან, ბაბილონელებმა უფლის ტაძარი შეურაცხვეს: „წმად მეოტთად და განრინებულთად ქუეყანისაგან ბაბილოვნელთაჲსა მითხრობად სიონს შურისძიებად უფლისა ღმრთისა ჩუენისაჲ, შურისძიებად ტაძრისა მისისაჲ“⁴⁹⁶. წინასწარმეტყველების თანახმად, ბაბილონი ქედმაღლობისა და სხვა ერებისადმი ცუდად მოპყრობის მიზეზითაც დაისჯებოდა.

წინასწარმეტყველებაში ბაბილონის მკვიდრებზე მომსვლელი განსაცდელის სიმძიმე დედის მშობიარობას არის შედარებული. ისინი ფიქრობდნენ, რომ ებრაელთა დატყვევებით მათი ღმერთი დაამარცხეს, თუმცა მომავალში ბაბილონელებს ყოვლადმღიერისგან დაშვებული სასჯელი ეწეოდათ: „...რამეთუ ვინ არს, ვითარ მე? და ვინ წინა-დამიდგეს მე? და ვინ არს ესე მწყემსი, რომელი დადგეს წინაშე პირსა ჩემსა“⁴⁹⁷?

იერემიას წინასწარმეტყველებაში ბაბილონს „გახრწნილი მთა“⁴⁹⁸ ეწოდება. იგი მთელ ქვეყანას „ხრწნიდა“, მრავალ მხარეს იპყრობდა და იქვემდებარებდა, თუმცა დასასრულ „გადამწვარ მთად“ გადაიქცეოდა. ძლევამოსილი ბაბილონი საბოლოოდ განადგურდებოდა და უსარგებლო ნანგრევებად იქცეოდა⁴⁹⁹. მიდია-სპარსეთის გაერთიანებული ლაშქარი ბაბილონს დაიპყრობდა. წინასწარმეტყველებაში ქალაქის ალყა და მისი თანმდევი მოვლენებიც არის მოხსენიებული. სასჯელისაგან ბაბილონს ვერ უშველიდნენ განსაკუთრებული სისქის კედლები და საბრძოლო იარაღით აღჭურვილი ჯარისკაცები. იერემიას უწყებით, „ფუცა უფალმან მკლავსა თვსსა“⁵⁰⁰, რომ ბაბილონს გაანადგურებდა. აქ მომხდარი საუბედურო მოვლენების შესახებ მსოფლიო გაიგებდა.

⁴⁹⁵ იერ. 50. 11.

⁴⁹⁶ იერ. 50. 28.

⁴⁹⁷ იერ. 50. 44.

⁴⁹⁸ შდრ. იერ. 51. 25: „მთაო განრყუნილო“; 28. 25, LXX: „τὸ ἕρος τὸ διεφθαρμένον“ (ქართ.: „განადგურებულ მთას“); 51. 25, MT: „תִּיִשְׁמַחַהּ הָהָר“ („მთაო გამანადგურებელო“); VUL: „mons pestifer“ („მთაო დამღუპველო“); სლავ.: „гориѣ сѣрутииѣщаѣ“; KJV: „O destroying mountain“; რუს.: „гора губительная“; ახალქართ.: „დამღუპველო მთაო“.

⁴⁹⁹ იხ. იერ. 51. 25-26.

⁵⁰⁰ იერ. 51. 14.

წინასწარმეტყველებაში ებრაელ ერს „დაკარგული ცხვარი“⁵⁰¹ ეწოდება. უფლის სიტყვის თანახმად, ღვთივრჩეული ერის რელიგიურ-ზნეობრივ გარყვანაში ბრალი მათ „მწყემსებს“ მიუძღოდნენ (აღნიშნულ პიროვნებებში ნეტარი თეოდორიტეს განმარტებით, ებრაელთა მეფეები და მღვდლები იგულისხმებიან (Блаженный Феодорит 1859: 299). „მწყემსებმა“ ხალხი ცნობიერად გარყვნეს, კერპთმსახურებაში ჩააგდეს და ღმერთს განაშორეს. უფლის სიტყვის თანახმად, რელიგიურ-ზნეობრივი გაუკუღმართების მიზეზით დაეუფლა მტერი ღვთივრჩეულ ერს: „...მტერთა მათთა თქუეს: არა ულხინოთ მათ მის წილ, რამეთუ შესცოდეს უფალსა შჯული სიმართლისაჲ, რომელმან შეკრიბნა მამანი მათნი უფალმან“⁵⁰². მიუხედავად იმისა, რომ ებრაელი ხალხი ცრუმორწმუნე იყო და ურჯულოების შედეგად უფალს განშორდა, ღვთივრჩეული ერი საბოლოოდ არ დაქვრივდებოდა⁵⁰³ და მას შემოქმედის მზრუნველობა არ მოაკლდებოდა. უფალი ებრაელებს მოუწოდებდა, რომ ბაბილონთან მტრის გამოჩენისას უშიშრად ყოფილიყვნენ⁵⁰⁴. ბაბილონის იმპერიის განადგურება და სხვადასხვა ერებზე მისი ბატონობის დასასრული ებრაელთა ტყვეობიდან განთავისუფლების დასაწყისი იქნებოდა. წინასწარმეტყველების თანახმად, მონანული ღვთივრჩეული ხალხი თავისუფლებას დაიბრუნებდა და კვლავ უფალს შეუდგებოდა: „მათ დღეთა შინა, – თქუა უფალმან, – და მას ჟამსა მოვიდენ ძენი ისრაჴლისანი, იგინი და ძენი იუდაჲსნი ერთბამად ვიდოდიან და ტიროდიან, და წარვიდენ და ეძიებდენ უფალსა ღმერთსა მათსა. რამეთუ აჟა მოიქცინენ პირნი მათნი და მოვიდენ და შეივლტოდიან უფლისა, რამეთუ აღთქუმაჲ საუკუნოდ არა დაივიწყოს“⁵⁰⁵.

დავუბრუნდეთ იერემიას ზემოაღნიშნული **სიმბოლური ქმედების** განხილვას:

იერემიამ უფალს შეჰლაღადა: „უფალო, სთქუ ამას ადგილსა ზედა აღჯოცაჲ მისი, რადთა არა იყოს მას შინა მკვდრი კაცი თგან მიპირუტყუადმდე, რამეთუ განრყუნაჲ მისი იყოს უკუნისამდე“⁵⁰⁶! აღნიშნული ლოცვის შემდეგ იერემიამ სარეას ბაბილონში მისვლისას თანატომელთა წინაშე **სიმბოლური ქმედების** აღსრულება დაავალა: „და

⁵⁰¹ იხ. იერ. 50. 17.

⁵⁰² იერ. 50. 7.

⁵⁰³ იხ. იერ. 51. 5.

⁵⁰⁴ იხ. იერ. 51. 46.

⁵⁰⁵ იერ. 50. 4-5.

⁵⁰⁶ იერ. 51. 62.

იყოს, რაჟამს დააცადო კითხვად წიგნისად ამის, გამოაბა მას ქვად და შთააგდო იგი საშუვალ ევფრატსა⁵⁰⁷.

იერემიას წერილის წაკითხვის, მასზე ქვის მიმაგრებისა და მდინარე ევფრატში გადაგდების შემდეგ სარეას უნდა ეთქვა: „ესრეთ დაინთქას ბაბილოვნი და არღარა აღდგეს პირისაგან ძვრთაჲსა, რომელ შემოავლინნეს მის ზედა“⁵⁰⁸. ამრიგად, აღნიშნული **სიმბოლური ქმედება** წინასწარმეტყველება იყო ბაბილონის მომავალი განადგურების შესახებ.

ნეტარი თეოდორიტეს განმარტებით, ზემოხსენებული **სიმბოლური ქმედება** ტყვეობაში მყოფი ებრაელების სანუგეშებლად აღესრულა: „გაიგებდნენ რა ბაბილონის აღებისა და საკუთარი განთავისუფლების შესახებ, სიკეთეთა იმედით ნუგეშისცემა ჰქონოდათ...“ (Блаженный Феодорит 1859: 313).

წინასწარმეტყველება რამდენიმე ათეული წლის შემდგომ განხორციელდა. მიდია-სპარსეთის გაერთიანებულმა ლაშქარმა დაიპყრო ბაბილონი⁵⁰⁹. მკვლევართა თქმით, ბაბილონის ძლევამოსილი იმპერიის დიდებულებით მოცული ქალაქი დროთა განმავლობაში სულ უფრო განადგურდა და მოსახლეთაგან დაცარიელდა. დასასრულ მისი ადგილმდებარეობაც კი დავიწყებას მიეცა (Толкование 1996: 46); (Толковая Библия 1908: 309).

ბაბილონის დაპყრობის შემდგომ სპარსეთის იმპერიის მმართველმა კიროსმა ებრაელ ხალხს სამშობლოში დაბრუნების უფლება მისცა.

ამრიგად, იერემიას წიგნში ექვსი **სიმბოლური ქმედებაა** აღწერილი. ისინი გამოირჩეოდნენ მრავალფეროვნებით აღსრულების ფორმის თვალსაზრისითაც და შინაარსობრივადაც. აღნიშნულ ქმედებებში გამოიყენებოდა სხვადასხვა ნივთი: სელის სარტყელი, თიხის ჭურჭელი, ხის უღელი და ქვები. სწორედ მათი საშუალებით განასახიერებდა სამომავლო მოვლენებს იერემია და წარმოაჩენდა უფლის განგებულებას ებრაელი ერის ცხოვრებაში. მისი **სიმბოლური ქმედებანი** უკავშირდებოდნენ როგორც ღვთივრჩეული ერის სასჯელს, ისე მათ სანუგეშო მომავალს. ქვემოთ წარმოვადგენთ აღნიშნული ქმედებების შეჯამებას.

⁵⁰⁷ იერ. 51. 63.

⁵⁰⁸ იერ. 51. 64.

⁵⁰⁹ ბაბილონის განადგურების შესახებ წინასწარმეტყველება ასევე იხ.: ეს. თ. 13 და თ. 14.

იერემიას პირველი **სიმბოლური ქმედება** სელის სარტყლის გამოყენებით აღსრულდა. უფალმა წინასწარმეტყველს უბრძანა აღნიშნული ნივთის შეძენა და გარკვეული ხნით წელზე ტარება, შემდეგ – მდინარის წყლის სიღრმეში განთავსება, ბოლოს კი – წყლიდან კვლავ ამოღება. ამ დროს სარტყელი უკვე გაცრეცილი იყო და აღარაფრად გამოდგებოდა. ეს **სიმბოლური ქმედება** ნიშნავდა, რომ უფალმა ებრაელი ხალხი დაიახლოვა და მასზე ზრუნავდა, თუმცა ისინი ღმერთს განშორდნენ და დაისაჯნენ სამოცდაათწლიანი ტყვეობით. ღვთივრჩეული ერი ბაბილონში დაემსგავსა სარტყელს, რომელიც მდინარეში ხანგრძლივი ყოფნის შედეგად დაღპა.

მეორე **სიმბოლურ ქმედებაში** თიხის ჭურჭელია გამოყენებული. იერემიამ ის დაამსხვრია მღვდელთა და ერის უხუცესების თვალწინ. ეს ქმედება განხორციელდა იუდეველთა კერპთმსახურებისთვის განკუთვნილ განსაკუთრებულ ადგილზე, ბენ-ჰინომის ველზე, თოფეთში. აღნიშნული **სიმბოლური ქმედება** ქალაქ იერუსალიმისა და იუდეის მცხოვრებთა განადგურებას მოასწავებდა. დამსხვრეული თიხის ჭურჭლის სრულად აღდგენა შეუძლებელი იყო, რაც მოწმობდა, რომ სასჯელის მოსვლის შემდეგ ებრაელები ვეღარასოდეს დაიბრუნებდნენ თავდაპირველ მდგომარეობას.

მესამე **სიმბოლური ქმედება** ხის უღლით განხორციელდა. უფალმა იერემიას ქედით უღლის ტარება უბრძანა. აღნიშნული მოქმედებით წინასწარმეტყველი აცხადებდა ღვთის განგებას: იუდეველნი ნაბუქოდონოსორის მმართველობის ქვეშ იყვნენ უფლის დაშვებით და გარკვეული ხნით ამ მდგომარეობაში დარჩებოდნენ. აღნიშნული განსაცდელი ხალხს ნებით უნდა მიეღო, რათა ის ურჩობის მიზეზით არ დამძიმებულიყო. უფლისგან დაშვებულ სასჯელს რომ ვერსად დაემალებოდნენ ებრაელები, ამას ცხადყოფდა ეგვიპტეში აღსრულებული **სიმბოლური ქმედებაც**. წინასწარმეტყველმა ქვები ისე განალაგა, რომ ტახტრევნის მსგავსი ფორმა მიეღო, შემდეგ კი ის თიხით შელესა. აღნიშნული ნაგებობა ნაბუქოდონოსორის საყდარს განასახიერებდა და ბაბილონის მეფის მიერ ეგვიპტის დაპყრობაზე მიანიშნებდა. ნაბუქოდონოსორისაგან ლტოლვილ ებრაელებს სასჯელისაგან ეგვიპტე ვერ იხსნიდა.

ორი **სიმბოლური ქმედება** იერემიამ ებრაელთა სანუგეშოდ აღასრულა:

პირველი **სიმბოლური ქმედების** განხორციელებისას იერუსალიმი ალყაში იმყოფებოდა. ქალაქის დაპყრობამდე მცირე ხანი რჩებოდა. ამ დროს იერემიამ

ქალაქგარეთ მდებარე მიწა ყოველგვარი წესის დაცვით შეიძინა. აღნიშნული სიმბოლური ქმედებით წინასწარმეტყველმა ტყვეობიდან დაბრუნება მოასწავა.

მეორე სიმბოლური ქმედება, წინასწარმეტყველის დავალებით, იუდეის მეფე სედეკიას მსახურმა, სარეამ, აღასრულა ბაბილონში. მას უნდა წაეკითხა იერემიას წინასწარმეტყველება გადასახლებული ებრაელებისთვის, შემდეგ კი აღნიშნულ წერილზე ქვა გამოეხა და მდინარეში გადაეგდო. ეს ქმედება ბაბილონის იმპერიის დაცემას მოასწავებდა.

თავი VII

წინასწარმეტყველი ეზეკიელი

7.1. ზოგადი ცნობები

სიმბოლურ ქმედებათა განხილვას ეზეკიელის⁵¹⁰ წიგნის განმარტებით განვაგრძობთ.

წმინდა წერილიდან ვიცით, რომ ეზეკიელის მამას ბუზი ერქვა. იგი ლევის ტომიდან იყო და სამღვდლო შტოდან წარმოდგებოდა⁵¹¹. ეზეკიელს საწინასწარმეტყველო მსახურებისკენ ღმერთმა მოუწოდა „მდინარესა ზედა ქობარისასა“⁵¹². მას ჰყავდა მეუღლე, რომელიც წინასწარმეტყველის საუფლო მოწოდებიდან ოთხი წლის შემდეგ გარდაიცვალა⁵¹³.

წინასწარმეტყველის ცხოვრების სხვა დეტალებს საეკლესიო გარდამოცემიდან ვიგებთ. ეზეკიელი წარმოშობით სარირადან⁵¹⁴ იყო. იგი სიყმაწვილეში იერემიას ემსახურებოდა. წმინდა იოანე ოქროპირის თქმით, როდესაც ნაბუქოდონოსორის ბრძანებით მეფე იეჟონია სხვა ებრაელებთან ერთად ბაბილონში გადაასახლეს, ეზეკიელი თანამემამულეებს ნებით გაჰყვა (Святитель Иоанн 1900ა: 6). იგი ოცი წლის განმავლობაში მოსაგრეობდა ტყვეობაში მყოფ ებრაელთა შორის. წმინდა კლიმენტი ალექსანდრიელის უწყებით, ქალდეაში წინასწარმეტყველი ფილოსოფოს პითაგორასაც ასწავლიდა. ეზეკიელი ერთ-ერთმა ებრაელმა მთავარმა მოკლა იმის გამო, რომ წინასწარმეტყველი მას კერპთმსახურებაში ამხილებდა. წინასწარმეტყველი დაკრძალეს სემისა და

⁵¹⁰ შდრ.: ბერძნ.: **Ἰεζεκιήλ**; ებრ.: **יְחֶזְקֵאל** (**Yĕkhezqel**). სახელი „ეზეკიელი“ ნიშნავს „უფლის ძალას“ ან „უფლის ხელმწიფებას“ (Блаженный Иероним 2006ბ: 352).

⁵¹¹ იხ. ეზეკ. 1. 3.

⁵¹² ეზეკ. 1. 3. ძნელი სათქმელია, რას გულისხმობს ეზეკიელი „მდინარე ქობარში“. ნეტარი იერონიმეს უწყებით, შესაძლებელია, „ქობარი“ რომელიმე კონკრეტული მდინარის სახელი იყო, თუმცა ებრაულ ენაზე ის ნიშნავს „ძლიერს“ და ქალდეაში მყოფ ნებისმიერ დიდსა და მძლავრ მდინარეს (თუნდაც ტიგროსსა და ევფრატს) შეიძლება მიემართებოდეს (Блаженный Иероним 1886: 3). უკანასკნელ დროს აღნიშნული საკითხის შესახებ მკვლევართა მიერ მრავალი მოსაზრება გამოითქვა (Толковая Библия 1909: 197).

⁵¹³ იხ. ეზეკ. 24. 18; შდრ. ეზეკ. 24. 1. ნეტარი თეოდორიტეს მოსაზრებით, ეზეკიელი ნაზორეველი იყო. ნეტარი მამა აღნიშნულ აზრს ეზეკიელის წიგნის ორ მონაკვეთზე (იხ.: ეზეკ. 12. 18 და ეზეკ. 24. 23) დაყრდნობით გამოთქვამს (Блаженный Феодорит 1859: 564).

⁵¹⁴ აღნიშნულ ადგილს ბიბლია არ ახსენებს (Толковая Библия 1909: 189).

არფაქსადის სამარხში, ევფრატის ნაპირზე, ბაღდადთან ახლოს (Толковая Библия 1909: 189).

ეზეკიელის მოღვაწეობის დასაწყისში ისრაელის სამეფო უკვე განადგურებული იყო, ხოლო იუდეაში ნაბუქოდონოსორის მიერ სამეფო ტახტზე დადგენილი სედეკია ზეობდა. მან ბაბილონის მეფის ერთგულება არ შეინარჩუნა, რისთვისაც დაისაჯა. სედეკიას მეფობის მეცხრე წელს ქალდეველთა არმიამ იერუსალიმს ალყა შემოარტყა. ქალაქში გამომწყვდეულ ებრაელებს მრავალი საშინელი განსაცდელი დაატყდათ თავს. ორწლიანი ალყის შემდეგ ნაბუქოდონოსორის ჯარისკაცებმა იერუსალიმი აიღეს და განადგურეს, ხოლო გადარჩენილ იუდეველთა უმრავლესობა ბაბილონის იმპერიაში გადაასახლეს. უმთავრესად სწორედ აღნიშნულ მოვლენებს შეეხება ეზეკიელის **სიმბოლური ქმედებები**.

ეზეკიელის წიგნი განსაკუთრებული სიღრმითა და განმარტების სირთულით ხასიათდება. იუდეური გადმოცემის თანახმად, ებრაელებს აღნიშნული წიგნის პირველი და ბოლო თავების წაკითხვა სამღვდლო მსახურების ასაკის შესრულებამდე (ე. ი. 30 წლამდე) ეკრძალებოდათ (Блаженный Иероним 1886: 2)⁵¹⁵. ნეტარი იერონიმე მას ღვთაებრივი საიდუმლოებების ოკეანეს უწოდებს (Блаженный Иероним 1889: 293).

7.2. ეზეკიელის *სიმბოლურ ქმედებათა* დასაწყისი

ეზეკიელის პირველი **სიმბოლური ქმედება** წინასწარმეტყველის წიგნის III თავშია აღწერილი.

უფლის კურთხევით, წინასწარმეტყველი ველზე უნდა გასულიყო, სადაც ის მორიგ გამოცხადებას იხილავდა. ეზეკიელმა უფლის დიდების ხილვას ვერ გაუძლო და პირქვე დაემხო. სულიწმიდამ იგი გააძლიერა და აღადგინა⁵¹⁶. შემდეგ ღმერთმა ეზეკიელს **სიმბოლური ქმედების** აღსრულება უბრძანა:

„...და მეტყოდა მე და მრქუა: შევედ და შეეყენე სახლსა შინა შენსა. და შენ, ძეო კაცისაო, აჰა-ეგერა, მიგეცნენ შენ კრულებანი და შეგკრან შენ მათ შორის და არა

⁵¹⁵ აღნიშნული აკრძალვა ვრცელდებოდა „დაბადების“ დასაწყის თავებსა და „ქება ქებათა“ წიგნზე (Блаженный Иероним 1886: 2).

⁵¹⁶ იხ. ეზეკ. 3. 22-24.

გამოხვდეს მათგან; და ენაჲ შენი შეკვრა⁵¹⁷ და დაჰყრუვდე⁵¹⁸ და არა იყო კაც მამხილებელ მათა, რამეთუ სახლი განმამწარებელთაჲ არს⁵¹⁹.

თავდაპირველად უნდა გაირკვეს, თუ რა იგულისხმება ეზეკიელის წიგნის განსახილველი თავის 25-ე მუხლში („...მიგეცნენ შენ კრულებანი...“). ბოლო დროის კომენტატორების ვარაუდით, იერუსალიმის დაცემამდე გარკვეული დროის შუალედებში წინასწარმეტყველი პარალიზებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა (Толкование 1996: 243); (Толковая Библия 1909: 241).

ზემოთ მოხმობილ საუფლო სიტყვებს რომ ოდენ სიმბოლური მნიშვნელობა არ ჰქონდათ, ამას ადასტურებენ ნეტარი იერონიმე და წმინდა ეფრემ ასური („ის სახლში იკეტება, იბორკება...“ (Блаженный Иероним 1886: 43); „წინასწარმეტყველზე დადებული ბორკილები, რომლებიც მას სიარულის საშუალებას არ აძლევდნენ...“ (Святой Ефремъ 1995ბ: 10). თუმცა წმინდა მამები არ აკონკრეტებენ, თუ რა სახის ბორკილები დაედო წინასწარმეტყველს. ეზეკიელის შებორკვა ნახსენებია წინასწარმეტყველის წიგნის IV თავშიც: „აჰა-ეგერა, მიგეცნე შენ საკრველნი და შენ ნუ გარდაიქცევი გუერდისაგან შენისა...“⁵²⁰.

წმინდა გრიგოლ დიდი და ნეტარი თეოდორიტე 25-ე მუხლს ეზეკიელის იმ განსაცდელებს უკავშირებენ, რაც მას მომავალში ელოდა. ნეტარი თეოდორიტეს განმარტებით, ამ ყოველივეს წინასწარმეტყველი თანატომელებისგან გადაიტანდა (Блаженный Феодорит 1859: 393). წმინდა გრიგოლ დიდი ამბობს: „წინასწარმეტყველმა წინდაწინ იცის უბედურების შესახებ, რათა ყოველივეზე მზად იყოს“ (Святитель Григорий 1863: 348). უფალმა განსაცდელების გადასატანად რომ შეამზადა ეზეკიელი, ამას ნეტარი თეოდორიტეც აღნიშნავს (Блаженный Феодорит 1859: 393). წმინდა გრიგოლი ეზეკიელის მორჩილებას აქებს. წინასწარმეტყველმა იცოდა, რომ არაერთი განსაცდელი ელოდა, მაგრამ უფლის ერთგულებას ინარჩუნებდა (Святитель Григорий

⁵¹⁷ შდრ. LXX: „τὴν γλῶσσαν σου συσθῆσαι“. ამის ნაცვლად „და შენს ენას მივაწებებ შენს სასას“ წერია: MT: „דָּבַחְתָּ לְשׁוֹנְךָ לְלֶשֶׁתְּךָ“; VUL: „et linguam tuam adherescere faciam palato tuo“; სლავ.: „и ꙗзыкъ твоѣ приклежитъ къ горѣни твоѣи“; KJV: „And I will make thy tongue cleave to the roof of thy mouth“; რუს.: „И язык твой Я прилеплю к гортани твоей“. ახალქართულში გვაქვს: „სასას მივაწებებ შენს ენას“.

⁵¹⁸ შდრ. LXX: „ἀποκαθάρσει“. „დაყრუვდე“-ს ნაცვლად „დამუნჯდე“ წერია: MT: „אֵרִיס מִתּוֹ“; VUL: „eris mutus“; GS: „დაჰყდუნდე“; სლავ.: „онемееши“; KJV: „be dumb“; რუს.: „онемеешь“. ახალქართულშიც იგივე ვითარებაა.

⁵¹⁹ ეზეკ. 3. 24-26.

⁵²⁰ ეზეკ. 4. 8.

1863: 348). ამასთან, ნეტარი თეოდორიტეს განმარტებით, უფალი ეზეკიელს ასწავლიდა, რომ შემოქმედის განმარისხებელი ადამიანების არ უნდა შეშინებოდა, „რადგან ურჯულო ხალხი უგულვებელყოფის ღირსია“ (Блаженный Феодорит 1859: 393).

ეზეკიელის „დამუნჯებასთან“⁵²¹ დაკავშირებით ნეტარი იერონიმე ამბობს: „წინასწარმეტყველის ენა ეკვრის ხორხს ან სასას⁵²² და მუნჯდება, მხილებისთვის ძალა არ აქვს...“ (Блаженный Иероним 1886: 43-44). წმინდა გრიგოლ დიდის ეგზეგეზის თანახმად, „დამუნჯების“ პერიოდში წინასწარმეტყველს „ქადაგების სიტყვა“ (Святитель Григорий 1863: 348) არ ეძლეოდა. ნეტარი თეოდორიტე აღნიშნულ მუხლს შემდეგნაირად განმარტავს: ეზეკიელი ღვთის მიერ ლაპარაკის კურთხევის მიცემამდე ებრაელთაგან მოვლენილ არაერთ განსაცდელს მოთმინებითა და ღუმლით უნდა შეხვედროდა (Блаженный Феодорит 1859: 393).

წმინდა მამათა ეგზეგეტიკაში აღნიშნული საკითხის კვლევა-ძიება ეზეკიელის მიერ **სიმბოლურ ქმედებათა** აღსრულების მიზეზსაც ააშკარავებს.

გულქვაობით ღვთისგან განშორებული ხალხი მისი სიტყვის მოსმენის მაღლს კარგავს. უფალი გვმოდვრავს: „ნუ მისცემთ სიწმიდესა ძაღლთა, ნუცა დაუფნოთ მარგალიტსა თქუენსა წინაშე ღორთა, ნუუკუე დათრგუნონ იგი ფერჯითა მათითა და მოიქცენ და განგხეთქნენ თქუენ“⁵²³. ნეტარი იერონიმე ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ წმინდა წერილში ეზეკიელის თანატომელები „განმამწარებელთა სახლად“⁵²⁴ იწოდებიან. ნეტარი მამის განმარტებით, ეზეკიელი იმიტომ „დამუნჯდა“, რომ ჯიუტი ებრაელები წინასწარმეტყველის ქადაგების მოსმენას არ იმსახურებდნენ. აქედან გამომდინარე ნეტარი იერონიმე გვმოდვრავს: „სადაც მრავალი ცოდვაა, იქ მცოდველნი უღირსნი არიან იმისა, რომ ღვთის მიერ გამოსწორდნენ“ (Блаженный Иероним 1886: 44). ამრიგად, ებრაელთა ურჯულოებამ ისეთ საზომს მიაღწია, რომ ხალხი წინასწარმეტყველის მხილების მოსმენის ღირსი არ იყო. წმინდა გრიგოლ დიდი ამბობს: „ყოვლისშემძლე ღვთის უდიდესი წყალობა ვლინდება მაშინ, როდესაც ბიწიერებას მიცემულთა წინაშე მასწავლებლები მხილების მკაცრ სიტყვას წარმოთქვამენ. ამის

⁵²¹ იხ. ეზეკ. 3. 26.

⁵²² შდრ. ეზეკ. 3. 26, მტ: „**שָׁמַיְתָא קִיּוּמָא שְׁמַיְתָא**“ (שָׁמ – სასა).

⁵²³ მთ. 7. 6.

⁵²⁴ იხ. ეზეკ. 3. 26, 27.

საწინააღმდეგოდ ახლა ითქმება: და დაჰყრუვდე⁵²⁵ და არა იყო კაც მამხილებელ მათა⁵²⁶, რადგან ისინი რომ ამ მხილების წყალობის ღირსნი ყოფილიყვნენ, იგი (ეზეკიელი, ც. ჩ.) მცოდველებს ამხელდა“ (Святитель Григорий 1863: 350).

უფალი ეზეკიელს ეუბნება: „და რაჟამს გეტყოდი მე შენ, მაშინ აღვადო პირი შენი და არქუ მათ: ამას იტყვს უფალი, უფალი! რომელსა გესმის, გესმოდენ, და რომელი ურჩ იყოს, ურჩ იყავნ, რამეთუ სახლი განმამწარებელთაჲ არს“⁵²⁷. ნეტარი თეოდორიტე აღნიშნული მუხლის განმარტებისას ადამიანის თავისუფალ ნებაზე ამახვილებს ყურადღებას. შემოქმედი პიროვნებას ყოველთვის უტოვებს სიკეთესა და ბოროტებას შორის არჩევანის გაკეთების საშუალებას. როდესაც ღმერთი ეზეკიელს ლაპარაკის ნებას დართავდა, მსმენელი თავად გადაწყვეტდა დაეჯერებინა თუ არა წინასწარმეტყველის შეგონებებისთვის. საბოლოოდ თითოეული მათგანი სამომავლო ხვედრს თავისი არჩევანის მიხედვით მიიღებდა (Блаженный Феодорит 1859: 393).

წმინდა გრიგოლ დიდი აღნიშნავს, რომ ხშირად ღვთისაკენ სავალ გზაზე შემდგარი ადამიანები ვნებებზე მიჯაჭვული პიროვნებების დაუსჯელობას ხედავენ და ღვთის შიშს კარგავენ. წმინდა მამის თქმით, ეშმაკის ამ საცდურით სრულყოფის გზაზე დაუწინაურებლები მარცხდებიან (Святитель Григорий 1863: 352). წმინდა გრიგოლი 27-ე მუხლის შინაარსს შემდეგნაირად გადმოსცემს: „თქვენ, რომლებმაც უკვე დაიწყეთ ქვემარტების სიტყვის მოსმენა და ცოდვილთა საქმეებისაგან განშორება, არ მიბადოთ მათ, რომლებსაც ჩემს საწინააღმდეგო ზნე-ჩვეულებებში გასასტიკებულებს ხედავთ“ (Святитель Григорий 1863: 354).

მასორეტულ ტექსტში სიტყვების: „რომელსა გესმის, გესმოდენ, და რომელი ურჩ იყოს, ურჩ იყავნ“ ნაცვლად წერია: „ვინც ისმენს, დაე ისმინოს და ვინც თავს იკავებს, დაე თავი შეიკავოს“⁵²⁸. ეს წინადადება ნეტარმა იერონიმემ ვულგატაში შემდეგნაირად გადმოიტანა: „ვინც ისმენს, დაე ისმინოს და ვინც უძრაობაში რჩება⁵²⁹, დაე უძრაობაში

⁵²⁵ იხ. სქოლიო 518.

⁵²⁶ ეზეკ. 3. 26.

⁵²⁷ ეზეკ. 3. 27.

⁵²⁸ ეზეკ. 3. 27; შდრ.: MT: „הַשֹּׁמֵר יִשְׁמָר וְהַשֹּׁמֵר יִשְׁמָר“; KJV: „He that heareth, let him hear; and he that forbeareth, let him forbear“; რუს.: „кто хочет слушать, слушай; а кто не хочет слушать, не слушай“; ახალქართ.: „გამგონემ გაიგოს, გაუგონარი ნუ გაიგებს“.

⁵²⁹ შდრ.: VUL: „quiescit“ (quiesco – მოსვენება, დამშვიდება, დუმილი, უძრაობა, სიმშვიდეში ყოფნა); MT: „הַשֹּׁמֵר“ (שָׁמַר – „თავის შემკავებელი“, „ნაკლებობის განმცდელი“. აღნიშნულ ადგილზე ზედსართავი სახელი שָׁמַר გასუბსტანტივებულია და ნიშნავს: „ის, ვინც თავს იკავებს“).

დარჩეს“⁵³⁰. წმინდა მამა აკვილასეულ თარგმანსაც გვამცნობს: „ვინც ისმენს, ის შეისმინება და ვინც ტოვებს, ის დაიტოვება“. ბიბლიის აღნიშნულ ადგილს ნეტარი იერონიმე ლუკას სახარების VIII თავის მე-18-ე მუხლს უკავშირებს: „...რომელსა აქუნდეს, მიეცეს მას, და რომელსა არა აქუნდეს და რომელდა-იგი ჰგონიეს, ვითარმედ აქუს, მო-ვე-ელოს მას“ (Блаженный Иероним 1886: 44).

ეზეკიელის „სიმუნჯე“ იერუსალიმის დაცემიდან დაახლოებით ერთი წლის შემდეგ დასრულდა. ამ დროს დავითის ქალაქიდან ლტოლვილმა ერთ-ერთმა იუდეველმა ბაბილონში ჩააღწია და ეზეკიელს იერუსალიმის დაცემის შესახებ ამცნო: „და იყო მეათორმეტესა წელსა და მეათესა თთუესა, ხუთსა მის თთვსასა, ტყუეობისა ჩუენისასა მოვიდა ჩემდა იერუსალჴმით განრინებული და თქუა: მოიცვეს ქალაქი მტერთა. და იყო ჩემ ზედა ჴელი უფლისაჲ მწუხრი, ვიდრე მოსლვადმდე მისა, და აღელო პირი ჩემი, ვითარცა მოვიდა იგი ჩემდა განთიად, და აღრაჲ-მელო პირი, არღარა შეიპყრა მერმე“⁵³¹. ამ მოვლენის შესახებ უფალმა ეზეკიელს წინდაწინ აუწყა: „და შენ, ბეო კაცისაო, არა მას დღესა შინა, რომელსა დღესა მოვილო ძალი მათი მათგან, სიმაღლჴ სიქადულისა მათისაჲ და გულისსათქუმელი თუალთა მათთაჲ, აღსამაღლებელი სულისა მათისაჲ, ძენი მათნი და ასულნი მათნი მას დღესა შინა მოვიდეს, განრინებული შენდა თხრობად ყურთა შენთა. მას დღესა შინა აღელოს პირი შენი განრინებულისა მის მიმართ და მიერთგან არღარა დაჴყრუვდე...“⁵³². ეზეკიელის წინამოსწავებულის განხორციელების შემდეგ ებრაელებმა მისი სიტყვების მოსმენის მნიშვნელობა გააცნობიერეს: „...და იყო მათა ნიშად და ცნან, რამეთუ მე ვარ უფალი“⁵³³. აღნიშნულ მოვლენამდე ეზეკიელი ხალხს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში მიმართავდა⁵³⁴. წმინდა ეფრემ ასურის განმარტებით, იერუსალიმიდან გამოქცეული ებრაელის ბაბილონში ჩამოსვლის შემდეგ დაიწყო ეზეკიელმა საჯაროდ ქადაგება (Святой Ефремъ 1995ბ: 33).

ამრიგად, ებრაელი ერი უფალს განუდგა და წინასწარმეტყველთა შეგონებებს უყურადღებოდ ტოვებდა. საჭირო იყო ქადაგების იმ საშუალების გამოყენება, რითაც ეზეკიელი ხალხის ყურადღებას მიიქცევდა და მათ ცნობიერებაში წინასწარმეტყველებას ღრმად აღბეჭდავდა. ეზეკიელის „დამუნჯება“ გულისხმობდა იმას, რომ

⁵³⁰ შდრ. ეზეკ. 3. 27, VUL: „qui audit audiat et qui quiescit quiescat“.

⁵³¹ ეზეკ. 33. 21-22.

⁵³² ეზეკ. 24. 25-27.

⁵³³ ეზეკ. 24. 27.

⁵³⁴ იხ. ეზეკ. 11. 25.

წინასწარმეტყველს უფალი არ აძლევდა (გამონაკლისი შემთხვევების გარდა) სიტყვიერი ქადაგების კურთხევასა და მადლს. ვფიქრობთ, ღმერთმა ეზეკიელს საუფლო ბრძანების აღსრულება იმითაც გაუადვილა, რომ მასზე გარკვეული ფიზიკური უძლურება დაუშვა (ეს ეხება წინასწარმეტყველზე „ბორკილების“ დადებასაც).

ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია, რომ განვიხილოთ ეზეკიელის **სიმბოლური ქმედებებთან** დაკავშირებული კიდევ ერთი საკითხი.

ეზეკიელის **სიმბოლური ქმედებების** დიდი ნაწილი იერუსალიმის დაცემას შეეხებოდა, თუმცა მათი მხილველნი გადასახლებაში მყოფი ებრაელები იყვნენ. ჩნდება კითხვა: რა მნიშვნელობა ჰქონდა აღნიშნულ ქმედებებს იმ იუდეველებისთვის, ვინც უკვე სამშობლოში აღარ იყვნენ და, შესაბამისად, ამ სასჯელს არ გადაიტანდნენ?

იერუსალიმის დაცემისა და სამოცდაათწლიანი ტყვეობის საწინააღმდეგოდ მრავალი ცრუწინასწარმეტყველი ქადაგებდა. მათი თქმით, გადასახლებულნი სამშობლოში მალევე დაბრუნდებოდნენ⁵³⁵. მნიშვნელოვანი იყო, რომ ტყვეობაში მყოფ იუდეველებს წინასწარ ცოდნოდათ იერუსალიმის დაცემის შესახებ და აღნიშნულ მოვლენაში ღვთის განგებულება დაენახათ. ებრაელებს უნდა გაეცნობიერებინათ, რომ ეს ყოველივე ხორციელდებოდა არა კერპთა ძალით, არამედ შემოქმედის დაშვებით. გარდა ამისა, ეზეკიელის თანამკვიდრებს არ უნდა ეფიქრათ, რომ იუდეის მცხოვრებნი ღვთის წინაშე ჩადენილი მრავალი ცოდვისთვის პასუხს არ აგებდნენ. ეს მათ ურჯულო ცხოვრებისკენ უბიძგებდა. წმინდანი **სიმბოლური ქმედებებით** გადასახლებულ იუდეველებს მოძღვრავდა, რომ სამშობლოში დარჩენილები დაისჯებოდნენ. ნეტარი თეოდორიტეს განმარტებით, ამისი ცოდნა გადასახლებულ იუდეველთათვის ნუგეშიც იქნებოდა: „ღმერთს სათნოუჩნდა, ენუგეშებინა უკვე დატყვევებულნი იმით, რომ მხოლოდ ისინი კი არ იტანჯებოდნენ, არამედ თანამოზიარებეად სხვებიც ეყოლებოდათ...“ (Блаженный Феодорит 1859: 441). აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ყურადსაღებია ნეტარი იერონიმეს განმარტებაც. ის იერუსალიმის დაცემის წინასწარმეტყველების შესახებ აღნიშნავს: „ვინც ქობარის მდინარის პირას ცხოვრობდნენ და თავად ჩაბარდნენ მეფეს⁵³⁶, მათ განეცხადებათ, რომ სწორად მოიქცნენ, როდესაც საღვთო განჩინებას დაემორჩილნენ“ (Блаженный Иероним 1886: 6).

⁵³⁵ იხ.: იერ. თ. 27 და თ. 28.

⁵³⁶ იგულისხმება ნაბუქოდონოსორი.

გადავიდეთ ეზეკიელის პირველი სიმბოლური ქმედების მნიშვნელობის განხილვაზე.

ნეტარი იერონიმე, ნეტარი თეოდორიტე და წმინდა ეფრემ ასური წინასწარმეტყველის სახლში გამოკეტვას სიმბოლურად უკავშირებენ იერუსალიმის ალყას. ეს წინასწარმეტყველება ეზეკიელის პირველი სიმბოლური ქმედების აღსრულებიდან ოთხი წლის შემდეგ განხორციელდა⁵³⁷. ეზეკიელის **სიმბოლურ ქმედებებთან** დაკავშირებით წმინდა ეფრემ ასური აღნიშნავს: „უფალმა წინასწარმეტყველი ერისთვის ნიშნად აქცია. უფლის სიტყვის თანახმად, წინასწარმეტყველის მიერ საკუთარი თავისადმი ნამოქმედარში იუდეველებს უნდა დაენახათ, რასაც ისინი მტრებისგან გადაიტანდნენ. წინასწარმეტყველი თავის სახლში გამოიკეტა, როგორც იუდეველები იყვნენ ქალაქში გამომწყვდეულნი“ (Святой Ефремъ 1995ბ: 10). ნეტარი იერონიმე უფლის მიერ ეზეკიელისადმი სახლში გამოკეტვის ბრძანებას ასე გადმოსცემს: „როგორც ესაიამ, ტანშიშველმა და ფეხშიშველმა, წინააუწყა ერის სამწლიანი ტყვეობა და სიშიშველე⁵³⁸; ამგვარადვე შენც, სახლში გამოკეტილმა, საკუთარი საქმით იწინასწარმეტყველე მოახლოებული ალყა ქალაქ იერუსალიმისა“ (Блаженный Иероним 1886: 43). ნეტარი თეოდორიტე ამბობს: „ღმერთი ბრძანებს წინასწარმეტყველებას არა სიტყვებით, არამედ მოქმედებებით და იმით, რაც წინასწარმეტყველს ებრძანება – იერუსალიმის ალყის წინაგამოხატვას“ (Блаженный Феодорит 1859: 393). წმინდა ეფრემ ასურის განმარტებით, წინასწარმეტყველზე დადებული ბორკილები განასახიერებდა ბაბილონელებს, რომელთაც იერუსალიმი ალყაში მოაქციეს. ეზეკიელის დუმილი ქალაქში გამომწყვდეულ ებრაელებზე თავსდამტყდარ განსაცდელს აღნიშნავდა. ამ საშინელ დროს იუდეველნი, წმინდა ეფრემის სიტყვების თანახმად, „წყურვილით საუბრის უნარს მოკლებულ უტყვებს ემსგავსებოდნენ“ (Святой Ефремъ 1995ბ: 10).

⁵³⁷ იხ. ეზეკ. 24. 1-2; შდრ. ეზეკ. 1. 2.

⁵³⁸ იხ. ეს. თ. 20.

7.3. იერუსალიმის ალყის გამოსახვა და მისი თანმდევი

სიმბოლური ქმედებანი

აღნიშნული სიმბოლური ქმედებანი ეზეკიელის წიგნის IV და V თავებშია მოცემული.

„და შენ, ძეო კაცისაო, მოიღე თავისა შენისა ალიზი⁵³⁹ და დასდვა იგი წინაშე პირსა შენსა და გამოსწერო მას ქალაქი იერუსალჴმი; და მოსცე მას გარემოდგომაჲ და აღაშწნო მას ზედა არდაბაგები⁵⁴⁰ და მოადგა მას ლაშქარი და მოადგინო მას ბანაკები და განაწყო მას გარემო მისრები“⁵⁴¹.

მასალა, რაზეც ნახაზი უნდა შესრულებულიყო, სამოცდაათთა თარგმანში აღნიშნულია ტერმინით **πλίθος** (აგური). აღნიშნულ ადგილზე ებრაულენოვან ბიბლიაში წერია **לֵבֶנָה** (**Levena**; 1. აგური (გამოუწვავი)⁵⁴²; 2. ქვის ფილა, მოსაკირწყლი ქვა (საფირონის)⁵⁴³, რაც სვიმახოსს გადმოტანილი აქვს შესატყვისით **πλιθιον** (პატარა აგური). ნეტარი იერონიმე ამ უკანასკნელ თარგმანს იწონებს და სიტყვა **πλιθιον**-ს ორ შესატყვისს უსადაგებს: **laterculus** (აგურის კნინობითი ფორმა) და **abacus** (დაფა). მისი განმარტებით, ეზეკიელ წინასწარმეტყველს უნდა გამოეყენებინა ის საწერი საშუალება, რითაც ადრეული ხანის მათემატიკოსები სარგებლობდნენ. საწერად განკუთვნილი დაფა, აგური თუ ფილა ჯერ ქვიშით ან სხვა საშუალებით იფარებოდა, შემდეგ კი მასზე სრულდებოდა ნახაზები (Блаженный Иероним 1886: 45).

„არდაბაგი“, რაც ებრაულ ბიბლიაში წარმოდგენილია ტერმინით **דַּיֵּעַ** (**Dayeq**), მკვლევართა ვარაუდით, უძველესი საკუთრივ ბაბილონური იარაღი იყო. აღნიშნული სიტყვა გვხვდება მხოლოდ ეზეკიელ⁵⁴⁴ და იერემია⁵⁴⁵ წინასწარმეტყველებთან, ასევე – „მეოთხე მეფეთა“ წიგნში⁵⁴⁶. მისი რაობის შესახებ სხვადასხვა მოსაზრება არსებობს: 1.

⁵³⁹ შდრ. LXX: „πλίθον“; MT: „לֵבֶנָה“; VUL: „laterem“; სლავ.: „плѣнѣж“; KJV: „a tile“; რუს.: „кирпич“; ახალქართ.:

„ალიზი“.

⁵⁴⁰ „არდაბაგი“ – აღსამატებელი, ჯებირი, „გოდოლი“; გოდოლი ცალკე ან ზღუდეზე ისრის სასროლად (ი. აბულაძე).

⁵⁴¹ ეზეკ. 4. 1-2.

⁵⁴² იხ. დაბ. 11. 3.

⁵⁴³ იხ. გამოსლ. 24. 10.

⁵⁴⁴ იხ.: ეზეკ. 13, 17; 21, 27; 24, 8.

⁵⁴⁵ იხ. იერემ. 42. 4.

⁵⁴⁶ იხ. 4 მეფ. 25. 1.

სათვალთვალო კომპი; 2. კატაპულტის მსგავსი დანადგარი; 3. სანგარი; 4. მიწაყრილი (Толковая Библия 1909: 243). წმინდა ეფრემ ასურის განმარტებით, აღნიშნული საბრძოლო საშუალება გარეგნულად კომპს ჰგავდა. მასზე ჯარისკაცები იყვნენ განთავსებულნი. „არდაბაგიდან“ შესამღებელი იყო არა მხოლოდ დასაპყრობი ქალაქის კედლებზე მდგარი ადამიანების, არამედ მისი შიდა ნაწილის ხილვაც (Святой Ефремъ 1995ბ: 10).

უფლის ბრძანებით, ეზეკიელმა აგურის ფილაზე იერუსალიმი და ყველა ის საბრძოლო საშუალება დახაზა, რასაც უძველეს დროში ქალაქის დასაპყრობად იყენებდნენ.

განმმარტებელთა თანახმად, ზემოთ წარმოდგენილი **სიმბოლური ქმედება** იერუსალიმის ალყის წინასწარმეტყველება იყო (Святитель Григорий 1863: 356); (Блаженный Иероним 1886: 45, 46); (Святой Ефремъ 1995ბ: 10); (Толковая Библия 1909: 242).

ეკლესიის მამები აღნიშნული ბიბლიური ეპიზოდის განმარტებისას ყურადღებას იმ საწერი საშუალების სიმბოლურ მნიშვნელობაზე ამახვილებენ, რაზეც შესრულდა ნახაზი. ნეტარი იერონიმე და წმინდა ეფრემ ასური აღნიშნავენ, რომ აგურით უფალი მიანიშნებდა ეგვიპტეში ებრაელთა მონობის პერიოდზე და მათ ახსენებდა უწინდელ დამცირებას (Блаженный Иероним 1886: 46); (Святой Ефремъ 1995ბ: 10). ამასთან, ნეტარი იერონიმეს განმარტებით, აღნიშნული მასალა ისრაელიანთა იმ მოსაზრების მცდარობას მოწმობდა, რომ სამეფო ქალაქი მტრებისაგან აუღებელი იყო. იერუსალიმის შესახებ ესაია წინასწარმეტყველებდა: „ამისთვის, აჰა-ესერა, აღმოიყვანოს უფალმა თქვენ ზედა წყალი იგი მდინარისაჲ ძლიერი და ფრიადი, მეფე იგი ასურასტანისაჲ და ყოველი დიდებაჲ მისი...“⁵⁴⁷. ნეტარი იერონიმეს თქმით, იერუსალიმი „ფრიად არა მყარ აგურს ედრება, რომელიც წყლის შეხებისთანავე იშლება, ასე რომ... (ებრაელთა დედაქალაქი, ც. ჩ.) ბაბილონური წყალდიდობისაგან იქცევა“ (Блаженный Иероним 1886: 46). ნეტარი თეოდორიტეს განმარტებით, ეზეკიელის მიერ გამოყენებული საწერი საშუალება ებრაელი ერის დაცემულ სულიერ მდგომარეობაზე მიანიშნებდა: „უფალი იერუსალიმის ალყის გამოსახვას ბრძანებს და გამოსახულება **პლინთოსზე** სრულდება, მასში მცხოვრებთა წარმავალობის მნიშვნელობით; რადგან საკუთარი სახლი ააშენეს არა

⁵⁴⁷ ეს. 8. 7.

კლდესა ზედა, მიბამვად კაცსა გონიერსა, არამედ ქვშასა ზედა. ამიტომაც გარდამოკდა წვმაჲ, მოვიდეს მდინარენი, ქროდეს ქარნი და ეკუეთნეს სახლსა მას, და დაეცა. და იყო დაცემაჲ იგი მისი დიდ ფრიად“⁵⁴⁸ (Блаженный Феодорит 1859: 394).

როგორც ვხედავთ, ეკლესიის მამები მრავალ სიმბოლოს ხედავენ იმ აგურში, რომელზეც ეზეკიელმა შექმნა გამოსახულება. მათი განმარტებები ერთმანეთს კი არ ეწინააღმდეგებიან, არამედ ავსებენ. აგური მიანიშნებდა როგორც ეგვიპტეში მონობის პერიოდზე, ასევე – ებრაელთა სულიერ დაცემულობასა და ქალაქ იერუსალიმის სისუსტეზე.

წმინდა გრიგოლ დიდი ეზეკიელის ზემოაღნიშნული ქმედების სიმბოლიკას სხვა კუთხითაც ეხება და მის სწავლა-მოდვრებით მხარეს წარმოაჩენს. წმინდა მამა ეზეკიელში ღვთის სიტყვის მასწავლებლის სიმბოლოს ხედავს, ხოლო აგურში – მიწიერზე მიჯაჭვული ადამიანის გულის გამოხატულებას. ამ უკანასკნელზე მქადაგებელმა სულიერი იერუსალიმი უნდა გამოსახოს, ე. ი. მსმენელს ცათა სასუფევლის შესახებ სწავლება გადასცეს და მასში ზეციურის შემეცნებისაკენ სწრაფვა აღძრას. ღვთის სიტყვის მასწავლებელმა აგური, რომელზეც იერუსალიმია გამოსახული, მუდმივად თვალთახედვის არეში უნდა იქონიოს⁵⁴⁹, რაც დამრიგებლის მიერ მსმენლის ცხოვრებასა და გაგების უნარზე დაკვირვებას ნიშნავს. როგორც კი ადამიანს ზეციურის სიყვარული გაუჩნდება და ღვთის შემეცნებისკენ სწრაფვას დაიწყებს, ეშმაკი მას განსაკუთრებული ძალით შეებრძოლება. სულიერმა მასწავლებელმა მოსწავლეს წინდაწინ საგულდაგულოდ უნდა გააცნოს მოსალოდნელი საცდურები, რათა მათი დამღვეისთვის მოამზადოს. სწორედ ეს სიმბოლური აზრია, წმინდა გრიგოლის განმარტებით, ეზეკიელის მიერ იერუსალიმის ალყის გამოსახვაში (Святитель Григорий 1863: 359-366)⁵⁵⁰.

⁵⁴⁸ შდრ. მთ. 7. 24-27.

⁵⁴⁹ შდრ. ეზეკ. 4. 1: „...დასდვა იგი წინაშე პირსა შენსა...“.

⁵⁵⁰ შდრ. ეზეკ. 4. 2: „და მოსცე მას გარემოდგომაჲ და აღაშწნო მას ზედა არდაბაგები...“.

7.3.1. რკინის ტაფის კედლად აღმართვა

კომენტატორთა თანახმად, განსახილველ სიმბოლურ ქმედებაში ეზეკიელი უფლის სახეს წარმოადგენდა (Блаженный Феодорит 1859: 394); (Блаженный Иероним 1886: 47); (Толковая Библия 1909: 243).

„და შენ მოიღე თავისა შენისა ტაფაკი რკინისად და დასდვა იგი თავისა შენისა, ვითარცა კედელი რკინისად, შორის შენსა და შორის ქალაქისა მის; და განჰმზადო პირი შენი მას ზედა⁵⁵¹ და იყოს იგი შეყენებულებასა და შეაყენო იგი. სასწაული⁵⁵² არს ესე ძეთა ისრაელისათა“⁵⁵³.

ნეტარი იერონიმესა და ნეტარი თეოდორიტეს ეგზეგეზის თანახმად, რკინის ტაფა უფალსა და ისრაელიანთა შორის აღმართულ ერთგვარ სულიერ კედელს განასახიერებდა. ნეტარი იერონიმეს განმარტებით, მასალა, რისგანაც ტაფა იყო დამზადებული, აღნიშნავდა ღვთის გულისწყრომის სიდიდეს (ნეტარი მამა აღნიშნავს, რომ მეტალთა შორის რკინა უმტკიცესია (Блаженный Иероним 1886: 46). ნეტარი იერონიმეს თქმით, აგურზე გამოსახულ იერუსალიმზე სახის მიპყრობა უფლის სიმკაცრეს განასახიერებდა (Блаженный Иероним 1886: 47). ფსალმუნებში წერია: „პირი უფლისად მოქმედთა ზედა ძვრისათა მოსპოლვად ქუეყანით საცსენებელი მათი“⁵⁵⁴. ეზეკიელის მიერ რკინის ტაფის აღმართვასთან დაკავშირებით ნეტარი თეოდორიტე ამბობს: „...მართალია ღმერთი იერუსალიმს არ მიატოვებს და იხილავს, რაც მასში აღსრულდება... მაგრამ, თითქოს ერთგვარი რკინის კედლისგან შეკავებული, წარმოჩნდება, როგორც არმხედველი...“ (Блаженный Феодорит 1859: 394). იერუსალიმის მკვიდრებზე ღვთის სასჯელის მოწვევისას შემოქმედისადმი აღვლენილ ლოცვებს შედეგი არ ექნებოდა. უფალი განსაცდელში ჩაცვენილ ებრაელებს აღარ გადაარჩენდა. წმინდა ეფრემ ასური სიმბოლურ ქმედებაში გამოყენებულ რკინის ტაფას ალეგორიულად უკავშირებს იერუსალიმის ალყის დროინდელ ებრაელთა ტანჯვას:

⁵⁵¹ შდრ.: LXX: „καὶ ἔτοιμάσεις τὸ πρόσωπόν σου ἐπ’ αὐτήν“ (ἔτοιμάζω – მომზადება ან მზადყოფნა); სლავ.: „и да ѿгортѣвиши лице твое на нѣю“; MT: „וְהָיָה חִפְּתֶיךָ נִתְּחָה“ (חַפ – მყარად დგომა, მზადყოფნა); VUL.: „et obfirmabis faciem tuam ad eam“ (firmo – გამაგრება, განმტკიცება); KJV: „and set thy face against it“; რუს.: „и обрати на него лицо твое“; ახალქართ.: „პირი მიაქციე მისკენ“.

⁵⁵² სასწაული – აქ: ნიშანი; შდრ.: LXX: „σημεῖόν“; MT: „תִּיָּא“; VUL.: „signum“.

⁵⁵³ ეზეკ. 4. 3.

⁵⁵⁴ ფსალმ. 33. 17.

„უფალი იუდეველთა გასაჭირს ტაფის სახით წარმოადგენს, რაზეც მათი გულები თავს დამტყდარი ჭმუნვისაგან, ასე ვთქვათ, გამოცხვებიან“ (Святой Ефремъ 1995ბ: 11).

წინასწარმეტყველი, როგორც უფლის სახე, ამჯერად თავად იყო იერუსალიმის მოალყე. საქმე ისაა, რომ სასჯელი შემოქმედის დაშვებით ხორციელდებოდა, ხოლო ნაბუქოდონოსორის არმია ოდენ ღვთის მსჯავრის აღმასრულებელი იარაღი იყო⁵⁵⁵.

საწინასწარმეტყველო სიტყვის თანახმად, ეზეკიელის აღსრულებული **სიმბოლური ქმედება** ისრაელიანთათვის ნიშანი იყო⁵⁵⁶. ამასთან დაკავშირებით ნეტარი თეოდორიტე აღნიშნავს: „აღასრულე ეს, ეუბნება ღმერთი წინასწარმეტყველს, რათა ამ წინასწარმეტყველებაში, გამოხატულში არა სიტყვებით, არამედ მოქმედებებით, მიეცეს ნიშანი მათ, რომლებიც ეხლა წინააღმდეგობაში არიან და არ ისჯებიან“ (Блаженный Феодорит 1859: 395). ზემოაღნიშნულ მუხლზე დაყრდნობით ნეტარი იერონიმე ეზეკიელსა და მის **სიმბოლურ ქმედებებზე** ამბობს, რომ „იერუსალიმის ალყის შემტყობინებელ ნიშნებს წარმოადგენენ“ (Блаженный Иероним 1886: 46).

წმინდა გრიგოლ დიდი ეზეკიელის ზემოაღნიშნულ **სიმბოლურ ქმედებას** სწავლამოდვრებითი კუთხით განიხილავს. იგი ამბობს: „რამდენადაც რკინა მყარი მეტალია, ხოლო ტაფაზე საკვებს წვავენ, ამდენად რა აღინიშნება რკინის ტაფით, თუ არა სულიერი მხურვალეობა მტკიცე გულმოდგინებისა“ (Святитель Григорий 1863: 366). წმინდა მამის განმარტებით, ეზეკიელი მოშურნე, ღვთის სიტყვის ჭეშმარიტი მასწავლებლის სახეა, რომელიც ადამიანთა სულების გადასარჩენად დაუღალავად იღვწის. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე უგულისხმო გამოდგება, მოძღვარი უდანაშაულოა. ამიტომაც ეს უკანასკნელი, უფლის სამსჯავროს დროს, რკინის ტაფას კედლად აღმართავს აგურზე გამოსახულ იერუსალიმსა და თავის თავს შორის⁵⁵⁷, ე. ი. მქადაგებლის მიერ უგულისხმო მოსწავლესთან მიმართებით გამოვლენილი მტკიცე გულმოდგინება მასწავლებლის უდანაშაულობის მოწმობა იქნება. სახის „განმზადება“⁵⁵⁸, წმინდა გრიგოლის განმარტებით, ღვთის სიტყვის მასწავლებლის მიერ ახალბედა, სულიერად ჯერ კიდევ სუსტი მოსწავლის მიმართ სიმკაცრეს აღნიშნავს. წმინდა მამის თქმით, ზოგჯერ ამგვარ

⁵⁵⁵ იხ.: იერ. 25. 9; 27. 6; 43. 10.

⁵⁵⁶ იხ. ეზეკ. 4. 3.

⁵⁵⁷ შდრ. ეზეკ. 4. 3.

⁵⁵⁸ შდრ. ეზეკ. 4. 3: „...და განჰმზადო პირი შენი მას ზედა...“; იხ. სქოლიო 551.

ადამიანებზე სიმკაცრე უფრო სასარგებლოდ მოქმედებს⁵⁵⁹. მასწავლებელმა მსმენლის სული უნდა გარემოიცვას, ე. ი. ამოფლიურ საცდურთაგან გარშემოზღუდოს. ეს ხორციელდება მაშინ, როდესაც ადამიანი სულიერი დამრიგებლისგან ეშმაკის საცდურის სიმრავლისა და ნაირგვარობის შესახებ არის განსწავლული, ყურადღებითაა და ყოველივეს სიფრთხილით ეკიდება. ამასთან, წმინდა გრიგოლის განმარტებით, მესამე მუხლში სიტყვა „სასწაულში“⁵⁶⁰ იგულისხმება საქმეები, რაც მასწავლებელმა აღასრულა და რისი გაკეთებაც მოსწავლეებს დაავალა (Святитель Григорий 1863: 366-372).

7.3.2. მარცხენა და მარჯვენა გვერდზე მორიგეობით წოლა

ეზეკიელის შემდგომ სიმბოლურ ქმედებას ეკლესიის მამები სხვადასხვაგვარად განმარტავენ, რაც გამოწვეულია იმით, რომ მათ ხელთ არსებული ბიბლიური ტექსტები ერთმანეთისაგან გარკვეულწილად განსხვავდება (უმეტესწილად რიცხვებთან დაკავშირებული იკითხვისები). თუმცა ეკლესიის მამათა განმარტებები ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება.

„და შენ დასწვე“⁵⁶¹ გუერდსა შენსა ზედა მარცხენესა და დასდვა სიცრუეჲ სახლისა ისრაელისაჲ მას ზედა რიცხუსაებრ დღეთა მათ ასოთხმოცდაათათაჲსა⁵⁶², რომელთა სწვე მას ზედა, და მოიხუნე სიცრუეჲნი მათნი. და მე მიგცენ შენ ორნი სიცრუეჲნი მათნი

⁵⁵⁹ შდრ. სიბრძ. ზირ. 7. 24: „ასულ თუ გესხნენ, ეკრძალე მათ და ნუ ჰფუფუნებ მათ და ნუცალა მხიარულ ჰყოფ მათა მიმართ პირსა შენსა“.

⁵⁶⁰ ეზეკ. 4. 3.

⁵⁶¹ შდრ.: LXX: „κοιμηθήσῃ“ (სიტყვ. „დაიძინო“; **κοιμάω** ძველქართულში ითარგმნებოდა, როგორც: „ვაძინებ“, „დავაწვენ“, „შევასვენებ“, „დავაცხრობ“); სლავ.: „Аи спйши“; MT: „בָּשׂ“ (בָּשׂ – დაწოლა (დასაძინებლად); VUL.: „dormies“ (dormio – მიძინავს); KJV: „Lie“; რუს.: „ложись“; ახალქართ.: „დაწექი“. ნეტარი იერონიმეს ეგზეგეზის თანახმად, შესაძლებელია, რომ აქ მართლაც ძილზე იყოს საუბარი. ნეტარი მამის განმარტებით, ამ შემთხვევაში, წინასწარმეტყველი ძილის მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო გვერდზე წოლისთვის განსაზღვრულ დღეებში და მხოლოდ კვების დროს გაღვიძებოდა. ნეტარი იერონიმე ამ საკითხს ეხება ოსეს წიგნის განმარტებისას და აღნიშნავს, რომ ეს ყოველივე ადამიანურ ძალებს აღემატება (Блаженный Иероним 2006a: 163). წმინდა წერილი აქ თუ მართლაც ძილზე საუბრობს, ვფიქრობთ, არ გულისხმობს აღნიშნული მდგომარეობის ჩვეულ გაგებას. ამ საკითხს ეკლესიის მამები სიღრმისეულად არ განიხილავენ.

⁵⁶² „ასორმოცდაათი“ წერია: LXX: „πεντήκοντα καὶ ἑκατόν“; სლავ.: „пятьдесятъ и сто“ (ამ იკითხვისზეა დაფუძნებული ნეტარი თეოდორიტეს განმარტება (PG 1864დ: 856). აღნიშნულ ადგილზე წმინდა ეფრემ ასური „სამასოთხმოცდაათ“ კითხულობს (Sancti Ephraem 1740: 169). შესაბამის ადგილზე მასორეტულ ტექსტსა და ვულგატაში რაიმე რიცხვი არ გვხვდება.

რიცხუად ასოთხმოცდაათა⁵⁶³ მათ დღეთა და მოიხუნე სიცრუენი სახლისა ისრაელისანი. და აღასრულნე ესენი და დასწვე შენ გუერდასა შენსა ზედა მარჯუენესა და მოიხუნე სიცრუენი სახლისა იუდაისნი ორმოც დღე, დღე წელიწადად ერთად დაგდე შენ⁵⁶⁴.

წმინდა წერილის ზემოთ წარმოდგენილ ტექსტში დღეები სიმბოლურად ებრაელი ხალხის სასჯელის წლებს აღნიშნავს. ნეტარი იერონიმეს განმარტებით, ეზეკიელის მარცხენა გვერდზე წოლის დრო ისრაელის სამეფოს მკვიდრთა ტყვეობის სრულ პერიოდს უკავშირდება. მისი თქმით, ჩრდილოეთის სამეფოს სასჯელის დასაწყისად ითვლება თეგლათფალსარის მიერ ისრაელის სამეფოში შეჭრა, როდესაც ადგილობრივი მკვიდრები დაატყვევეს და ასურეთის იმპერიაში გადაასახლეს (Блаженный Иероним 1886: 47, 48)⁵⁶⁵. ნეტარი იერონიმეს ეგზეგეზის თანახმად, აღნიშნული სასჯელი „ესთერის“ წიგნში აღწერილ ებრაელების მიერ მტერზე საბოლოო გამარჯვებითა და თავისუფლების მოპოვებით დასრულდა (Блаженный Иероним 1886: 49, 50)⁵⁶⁶. რაც შეეხება „იუდეის სახლის სიცრუევს“, ნეტარი მამა ორმოცწლოვანი პერიოდის ათვლას იწყებს იეჰონიას ზეობისას ნაბუქოდონოსორის მიერ დავითის ქალაქზე თავდასხმის დროიდან, „როდესაც იერუსალიმის უდიდესი ნაწილი გადაასახლეს ბაბილონში“ (Блаженный Иероним 1886: 50)⁵⁶⁷. ნეტარი იერონიმე იუდეის სასჯელის დასასრულად

⁵⁶³ შდრ.: LXX: „ἐνεήκοντα καὶ ἑκατὸν“; სლავ.: „дѣвѣтъдесѣтъ ѿ стѣ“ (ნეტარი თეოდორიტეს განმარტებით, ეს რიცხვი ისრაელისა და იუდეის სასჯელთა დასასრული პერიოდების ჯამია. იგი ამბობს: „...(უფალმა, ც. ჩ.) თითქოს ერთ სხეულსა და მოდგმაზე საუბრობდეს, შეაერთა ეს დღეები“ (Блаженный Феодорит 1859: 395). „სამასოთხმოცდაათი“ წერია: MT: „מששתי תיכח-שש“; VUL.: „trecentos et nonaginta“; KJV: „three hundred and ninety“; რუს.: „триста девяносто“; ახალქართ.: „სამას ოთხმოცდაათ“ (ამ იკითხვის ეფუძნება წმინდა ეფრემ ასურის განმარტება (Sancti Ephraem 1740: 169). ნეტარი იერონიმე სამასოთხმოცდაათ დღეს მხოლოდ ისრაელის სასჯელის პერიოდს უკავშირებს (Блаженный Иероним 1886: 47).

⁵⁶⁴ ეზეკ. 4. 4-6.

⁵⁶⁵ აღნიშნული მოვლენის შესახებ „მეოთხე მეფეთაში“ შემდეგი წერია: „და დღეთა ფაკე მეფისა მის ისრაელისათა მოვიდა თეგლათფალსარ, მეფე იგი ასურასტანისა, და წარიღო აინი და აბელზეთმაქა და იანოქი და კენეზი და ასორი და გალაადი და გალილეა და ყოველი ქუეყანა ნეფთალიმისი და წარტყუნა იგინი ასურასტანად“ (4 მეფ. 15. 29).

⁵⁶⁶ იხ. ესთ. თ. 8. აღნიშნულ მოვლენას ნეტარი მამა უკავშირებს არტაქსერქსე II-ის (მნემონის) ზეობას (ძვ. წ. 405-358 წწ.).

⁵⁶⁷ აღნიშნული მოვლენის შესახებ „მეოთხე მეფეთაში“ შემდეგს ვკითხულობთ: „მას ჟამსა შინა აღმოვიდა ნაბუქოდონოსორი, მეფე ბაბილოვნისა, იერუსალიმად და იწია ქალაქი იგი გარემოცვად. და მონანი ნაბუქოდონოსორისნი გარე-მოადგეს მას, და იგი ჯდა ქალაქსა გარე. და გამოვიდა იოაკიმ, მეფე იუდაისი, მეფესა მას ზედა ბაბილოვნისასა, იგი თავადი და ყოველნი მონანი მისნი და დედა მისი და მთავარნი მისნი და საჭურისნი მისნი. და წარიყვანა იგინი მეფემან ბაბილოვნისამან წელსა მას მერვესა მეფობისა მისისასა. და შევიდა მეფე ბაბილოვნისა ქალაქად და გამოიღო მიერ ყოველი საფასწ სახლისა სამეფოსა და შემუსრა ყოველი ჭურჭერი ოქროსა, რომელი ექმნა სოლომონს, მეფესა ისრაელისასა ტამარსა მას

სპარსეთის მეფე კიროსის მიერ ებრაელი ერისთვის სამშობლოში დაბრუნების უფლების მიცემას მიიჩნევს (Блаженный Иероним 1886: 49-50)⁵⁶⁸.

ნეტარი თეოდორიტე ეზეკიელის გვერდზე წოლის დღეებს ჩრდილოეთისა და სამხრეთის სამეფოების სასჯელთა დასასრულ პერიოდებს უკავშირებს. ამასთან, ნეტარი მამის ეგზეგეზის თანახმად, ეს პერიოდები ეზეკიელის მიერ წინასწარმეტყველების დაწყებიდან აითვლებიან⁵⁶⁹. იუდეის სასჯელის დასასრულის დროსთან დაკავშირებით იგი ნეტარი იერონიმეს თანხვდომილ აზრს გამოთქვამს (იგულისხმება კიროსის მიერ ებრაელი ერის სამშობლოში დაბრუნების ბრძანება). რაც შეეხება ისრაელს, ნეტარი თეოდორიტეს თანახმად, მისი სასჯელი მაშინ დასრულდა, როდესაც სპარსეთის მეფე არტაქსერქსემ (ლონგიმანმა)⁵⁷⁰ იერუსალიმის კედლების აღდგენა ბრძანა (Блаженный Феодорит 1859: 396-397)⁵⁷¹.

შინა უფლისასა, მსგავსად სიტყვსა მის უფლისა. და წარიყვანა ყოველი იერუსალჴში და ყოველნი იგი მთავარნი და ყოველნი იგი ძლიერნი ძალითა...“(4 მეფ. 24. 10-14).

⁵⁶⁸ აღნიშნული მოვლენის შესახებ ეზრას პირველ წიგნში შემდეგი წერია: „პირველსა მას წელსა კვროს მეფისა სპარსთადას აღსრულებასა სიტყვსა უფლისადას პირითა იერემია წინასწარმეტყველისადათა განაღვბა უფალმან სული კვროსისი, მეფისა სპარსთადასა, და მისცა ბრძანება მცნებისად ყოველსა საშარავანდედოსა თვსსა და მიწერა ყოველთა მიმართ სახე ესე: ესრე იტყვს კვროს, მეფჴ სპარსთა: ყოველი შარავანდედება ქუეყანისად მომცა მე უფალმან, ღმერთმან ზეცისამან, და მან მიბრძანა მე მოძიებად, რადთა უშწნო მას ტაძარი იერუსალემს ჰურიასტანისასა. თუ ვინმე იყოს თქუენგანი, ყოველსა მაგას ერსა უფლისასა, რომელსა თანა იყოს ღმერთი მისი, მის თანა აღვედინ იერუსალჴმს ჰურიასტანისასა და აღაშწნენ სახლი იგი უფლისა ღმრთისა ისრაჴლისადა. და თავადი ღმერთი, რომელი-იგი დამკვდრებულ არს იერუსალჴმს, იყავნ მის თანა; და ყოველი განმზადებულებად მის თანა წარიღენ ადგილსა მას, სადა-იგი თვთ დამკვდრებულ არს. და თანაწარიღენ ყოველივე აღსაგებელი თვსი, რომელ-რად იყოს ოქროსადა და ვეცხლისადა. სხუად ჴურჴერი და საცხოვარი მოყუასთა თვსთა თანა წარიღენ განსაგებელად ტაძრისა მის ღმრთისა იერუსალჴმდ“ (1 ეზრ. 1. 1-4). **აღვნიშნავთ, რომ ეზეკიელის 40-დღიანი წოლის სიმბოლიკის განმარტებისას ნეტარი იერონიმე ებრაელებზე დაშვებულ სამოცდაათწლიან სასჯელს უკავშირებს არა იმ დროს, რომელიც იუდეველთა პირველი ნაკადის სამშობლოში დაბრუნებამდე გაგრძელდა, არამედ „ტაძრის გაუდაბურების“ პერიოდს. ნეტარი მამის თქმით, ეს უკანასკნელი დროის შუალედი იწყება სედეკიას მეფობის მე-11-ე წელს ამ სიწმინდის განადგურებით და სრულდება დარიოს I-ის (ჰისტასპის ძის) მეფობის მე-2-ე წელს (იხ. ზაქ. 1. 12; დაახ. ძვ. წ. 520 წ.). სწორედ ამ დროს მისცა ებრაელებს დარიოსმა ტაძრის აღდგენითი სამუშაოების განახლების უფლება (Блаженный Иероним 1886: 48).**

⁵⁶⁹ ეზეკიელის წიგნის დასაწყისში წერია: „და იყო შემდგომად ოცდაათისა წლისა, მეოთხესა თთუესა, ხუთსა თთვსასა, და მე ვიყავ შორის წარტყუენულთა მათ მდინარესა მას ზედა ქობარისასა; და განეხუნეს ცანი და ვიხილე ხილვად ღმრთისადა მეხუთესა თთვსასა; ესე იყო მეხუთე წელი ტყუეობისა მეფისა იოაკიმისი“ (ეზეკ. 1. 1-2). ნეტარი თეოდორიტეს ეგზეგეზის თანახმად, უფლის კაცთმოყვარეობის გამო იუდეველთა სამოცდაათწლიანი ტყვეობის პერიოდის ათვლა დაიწყო მაშინ, როდესაც გაჟღერდა წინასწარმეტყველება აღნიშნული მოვლენის შესახებ (იხ. 4 მეფ. 22. 15-20, შდრ. 2 ნეშტ. 34. 23-28. ნეტარი თეოდორიტეს განმარტებით, ზემოთ მოტანილ ტექსტში ნახსენებ „ოცდამათე წელში“ იგულისხმება სწორედ ამ წინასწარმეტყველებიდან განვლილი 30 წელი). ნეტარი მამა მიუთითებს წმინდა წერილში არსებულ იმავე სახის მაგალითებზე. მისი თქმით, ებრაელების ეგვიპტეში 400-წლოვანი მონობის ათვლაც დაიწყო მაშინ, როდესაც აბრაამს წინასწარ ეუწყა აღნიშნული მოვლენის შესახებ (იხ. დაბ. 15. 13). არც ნოეს დროს დალოდებია ღმერთი 120 წლის გასვლას წარღვნის დაწყებამდე (Блаженный Феодорит 1859: 363).

⁵⁷⁰ არტაქსერქსე I (ძვ. წ. 462-427 წწ.).

⁵⁷¹ იხ. ნეემ. თ. 2.

წმინდა ეფრემ ასური ეზეკიელის გვერდზე წოლის დღეების სიმბოლიკის განსხვავებულ თვალთახედვას წარმოადგენს. მისი განმარტებით, აღნიშნული დღეები სოლომონის ტაძრის სამირკვლის დადებიდან ამ უკანასკნელის განადგურებამდე პერიოდს უკავშირდება (390+40 დღე ანუ წელი). აღნიშნული დროის შუალედში ებრაელები ურჯულოდ ცხოვრებდნენ და უფლის ტაძარს შეურაცხყოფდნენ. წმინდა ეფრემ ასურის თქმით, „როგორც წინასწარმეტყველი იტანჯებოდა... ასევე იყო შეურაცხყოფილი ღმერთი იუდეისა და ისრაელის სახლთა უწმინდურებისგან და ითმენდა“ (Святой Ефремъ 1995ბ: 11).

ნეტარი იერონიმე ეზეკიელის გვერდზე წოლის დღეთა სიმბოლიკის შესახებ გავრცელებულ არასწორ განმარტებებთან დაკავშირებით საუბრობს. ნეტარი მამის უწყებით, ზოგიერთი პიროვნება ვარაუდობდა, რომ აღნიშნული დღეების (ანუ წლების) რაოდენობა უფლის ნათლისღებიდან ქვეყნიერების აღსასრულამდე დარჩენილ პერიოდს უკავშირდებოდა. იუდეველთა შორის გავრცელებული განმარტებით, ეზეკიელის გვერდზე წოლის დღეები ვესპასიანეს მიერ იერუსალიმის აღებისა და ებრაელი ერის დაქვემდებარებიდან მის კვლავ აღზევებამდე არსებულ პერიოდს აღნიშნავდა (Блаженный Иероним 1886: 50). პირველი თვალსაზრისი სახარებაში აღწერილ მაცხოვრის სიტყვებს ეწინააღმდეგება: „ხოლო დღისა მისთვის და ჟამისა არავინ იცის, არცა ანგელოზთა ცისათა, გარნა მამამან მხოლომან“⁵⁷². მეორე მოსაზრება ნათლად წარმოაჩენს ებრაელთა ამქვეყნიური დიდების დაუცხრომელ სურვილს, რასაც წმინდა წერილი არაერთხელ მოწმობს.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, გაირკვეს თუ რატომ წევს ეზეკიელი ისრაელის სასჯელის წინამოსწავებისას მარცხენა გვერდზე, ხოლო იუდეის შესახებ წინასწარმეტყველებისას – მარჯვენაზე. ნეტარი იერონიმე აღნიშნულ კითხვაზე შემდეგნაირად პასუხობს: „რადგან მას (ისრაელს, ც. რ.) არ ჰქონდა ტაძარი და სამარიაში არ იყო ღვთის შემეცნება... (ხოლო იუდეაში, ც. რ.) იყო ღვთის შემეცნება და ღვთისმსახურება“ (Блаженный Иероним 1886: 51). ისრაელის სასჯელის აღმნიშვნელ დღეთა რაოდენობა იუდეის სასჯელთან დაკავშირებულ რიცხვზე გაცილებით ჭარბობს, რადგან, ნეტარი თეოდორიტეს თქმით, პირველი სამეფოს ურჯულოება უკანასკნელზე

⁵⁷² მთ. 24. 36.

დიდი იყო. ასე რომ, ისრაელსა და იუდეას ღვთის სასჯელიც შესაბამისი დამსახურების მიხედვით ერგოთ (Блаженный Феодорит 1859: 395-396).

„და შეყენებად იერუსალჴმისა განჴმზადე პირი შენი და მკლავი შენი განიმტკიცო⁵⁷³ მის ზედა და ჴწინადაწარმეტყუელებდე მის ზედა“⁵⁷⁴.

უფლის კურთხევით, წინასწარმეტყველი გვერდზე წოლისას უყურებდა აგურზე გამოსახულ იერუსალიმს და გაშიშვლებული ხელი მისკენ ჴქონდა მიმართული⁵⁷⁵. ეკლესიის მამათა განმარტებით, ეზეკიელი გამომეტყველებით გამოხატავდა უფლის გულისწყრომას, ხოლო ხელის მდგომარეობით აღნიშნავდა შემოქმედის მიერ იერუსალიმის მსჯავრდებას (Блаженный Феодорит 1859: 398); (Блаженный Иероним 1886: 51).

„აჴა-ეგერა, მიგცენ შენ საკრველნი და შენ ნუ გარდაიქცევი გუერდისაგან შენისა, ვიდრემდე აღესრულნენ დღენი შეყენებისა შენისანი“⁵⁷⁶.

წინასწარმეტყველს აღნიშნული სიმბოლური ქმედების აღსრულებისას ერთი მხრიდან მეორეზე გადაბრუნების უფლება არ ჴქონდა. ნეტარი თეოდორიტესა და ნეტარი იერონიმეს განმარტებით, ეს სიმბოლურად ნიშნავდა, რომ ტყვეობაში მყოფ ებრაელებს განსაცდელი არ მოასვენებდა და განსაზღვრულ დრომდე სამშობლოში ვერ დაბრუნდებოდნენ (Блаженный Феодорит 1859: 398); (Блаженный Иероним 1886: 51-52).

„და შენ მოიღე თავისა შენისა იფქლი და ქრთილი და ცერცვ და ოსჴნი და ფეტჴ და ასლი⁵⁷⁷ და შთაასხ იგი ჴურჴერსა კეცისასა⁵⁷⁸ და შეიქმნე იგი თავისა შენისა პურად რიცხვსაებრ მათ დღეთადასა, რომელთა სწვე შენ გუერდსა შენსა ზედა;

⁵⁷³ შდრ. LXX: „τὸν βραχίονά σου στερεώσεις“; სლავ.: „**мышцѣ твоѣхъ ѿтвердиши**“; მკლავის გაშიშვლებაზეა საუბარი: MT: „**הַיָּמִין הַיְּשָׁרִים**“; ახალქართ.: „შიშველი მკლავი“. რუსული სინოდალური თარგმანის მიხედვით, ეზეკიელს მარჯვენა ხელი ჴქონდა გაშიშვლებული: „обнаженную правую руку твою“. ვულგატაში წერია: „მკლავი შენი იქნება გაშვერილი“ („brachium tuum erit exertum“).

⁵⁷⁴ ეზეკ. 4. 7.

⁵⁷⁵ იხ. სქოლიო 573.

⁵⁷⁶ ეზეკ. 4. 8.

⁵⁷⁷ შდრ.: LXX: „**ἐλασάν**“ (ნეტარი იერონიმეს უწყებით, ტერმინს **ἐλασάν** კომენტატორთა ერთი ნაწილი შვრიად მიიჩნევდა, მეორე კი – ასლად (Блаженный Иероним 1886: 52); VUL.: „**viciam**“; MT: „**מִיִּצְיָא**“; სლავ.: „**пыль**“; ახალქართ.: „ასლი“ (იგივე სპელტა, ხორბლის უმდარესი ნაირსახეობა); რუს.: „**полны**“. აკვილასა და სვიმახოსის თარგმანებში აღნიშნული ადგილზე წერია: **Հէա** ან **Հէါ** (ქართ.: ასლი).

⁵⁷⁸ შდრ. LXX: „**ἐστράχισον**“ (ნეტარი იერონიმეს განმარტებით, ეს სიტყვა წმინდა წერილის აღნიშნულ ადგილზე სამოცდაათმა მთარგმნელმა ჩაამატა (Блаженный Иероним 1886: 53).

ასოთხმოცდაათა⁵⁷⁹ მათ დღეთა შჭამდე მას. და საჭმელსა, რომელსა შჭამდე, სასწორით შჭამდე, ოცი სიკლაჲ დღესა ერთსა, ჟამითი-ჟამად შჭამდე მას. და წყალი სასწორით სუ შენ, მეექუსს ნაწილი დორაკისაჲ, ჟამითგან ჟამადმდე სუემდი მას⁵⁸⁰.

ცალ გვერდზე წოლის პერიოდში ეზეკიელს კვების განსაკუთრებული, მეტად მწირი და უსიამოვნო დღიური რაციონი ჰქონდა. წინასწარმეტყველს ექვსი სახის მარცვლოვანი მცენარისაგან პურების დამზადება დაევალა, რითაც აღნიშნული სიმბოლური ქმედების დროს უნდა გამოკვებილიყო. აღნიშნული წესით მომზადებული პური საკმაოდ უსიამოვნო და ჯანმრთელობისთვის მავნე პროდუქტს წარმოადგენდა. ამასთან, წინასწარმეტყველს დღეში თითო პურის მიღების უფლება ჰქონდა, რომელსაც განსაზღვრული წონა ჰქონდა.

ძველქართული „სიკლა“ ბერძნული σίκλος-ის შესატყვისია. ეს უკანასკნელი ებრაული ტერმინ ზეჟ-იდან (Sheqel) არის ნასესხები. ზეჟ წონის აღმნიშვნელი ერთეულია. ის დაახლოებით 12 გრამს ესადაგება. აქედან გამომდინარე, ეზეკიელი დღეში დაახლოებით 240 გრამიან პურს იღებდა. ეს ადამიანის სიცოცხლის უზრუნველსაყოფად საკმაოდ მცირე იყო.

წინასწარმეტყველის მდგომარეობას წყლის მწირი დღიური რაციონიც ამძიმებდა. ძველქართული „დორაკის“ ნაცვლად სამოცდაათთა თარგმანში წერია iv, რომელიც ებრაული ტერმინი ἵν-ის (Hin) ტრანსლიტერაციაა. ἵν თხევად ნივთიერებათა საზომი ერთეულია. ის დაახლოებით 3.8 ლიტრს უდრის, შესაბამისად, ეზეკიელი დღეში 0.6 ლიტრამდე წყალს სვამდა.

გამოთქმა „ჟამიდან ჟამზე“, ნეტარი იერონიმეს ეგზეგეზით, ნიშნავდა „სალამოდან სალამომდე“⁵⁸¹ (Блаженный Иероним 1886: 53).

⁵⁷⁹ შდრ. LXX: „ἐνεήκοντα καὶ ἑκατὸν“; სლავ.: „дѣвѣтъдесаѣтъ ѿ стѣ“. „ას ოთხმოცდაათის“ ნაცვლად „სამას ოთხმოცდაათი“ წერია: MT: „שששׁוּ תרסד-ששׁ“; VUL: „trecentis et nonaginta“; KJV: „three hundred and ninety“; რუს.: „триста девяносто“. ახალქართულშიც იგივე ვითარებაა. ნეტარი იერონიმეს განმარტებით, წმინდა წერილი არ საუბრობს ეზეკიელის კვების იმ წესთან დაკავშირებით, რაც მას მარჯვენა გვერდზე წოლის პერიოდში უნდა ჰქონოდა. მისი თქმით, წინასწარმეტყველს უფალი 390 პურის გამოცხობას უბრძანებს. ნეტარი მამა ასკვნის: „ასე რომ, წმინდა წერილი დაფარულად შთაგვაგონებს, რომ ერთგვარი სასჯელი არ აქვს იმ ცოდვილ ერს, რომელსაც უკანასკნელ შემთხვევაში ღვთის შემეცნება მაინც აქვს და მას, რომელიც სრულიად განუდგა ჭეშმარიტ ღვთის შემეცნებას“ (Блаженный Иероним 1886: 54).

⁵⁸⁰ ეზეკ. 4. 9-11.

⁵⁸¹ ნეტარი იერონიმეს უწყებით, არსებობდა გაუკუღმართებული აზრი, რომლის მიხედვით „ჟამიდან ჟამზე“ ნიშნავდა: „წლიდან წლამდე“ (Блаженный Иероним 1886: 53).

„და ყურბეულად ქრთილისად ჭამე შენ იგი, ფუნასა სკორისა კაცობრივისასა დაჰფლა იგი წინაშე თუალთა მათთა“⁵⁸².

ეზეკიელს ზემოხსენებული საკვები, ქერის პურის მომზადების წესის მსგავსად, ნაცარში უნდა გამოეცხო. შეშის ნაცვლად წინასწარმეტყველს ადამიანის ფეკალური მასები უნდა გამოეყენებინა (Блаженный Иероним 1886: 53); (Толковая Библия 1909: 248). შეუძლებელი იყო, რომ ამგვარი წესით მომზადებულ პურს ადამიანში ზიზღი არ გამოეწვია. თუმცა **სიმბოლური ქმედება** მხილველთა სულიერი სარგებლობისთვის ხორციელდებოდა. ნეტარი იერონიმეს თქმით, სჯობს „უწინარესად სანახაობამ აღძრას შიში, ვიდრე გემომ გულის რევა“ (Блаженный Иероним 1886: 53).

ეზეკიელის მიერ პურისა და წყლის განსაზღვრული წესით მიღებას სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა. ის უკავშირდებოდა როგორც ქალაქ იერუსალიმის ალყის დროინდელ მოვლენებს, ასევე ებრაელ ერზე ტყვეობისას თავსდამტყდარ მრავალ განსაცდელს. ნეტარი იერონიმე ამბობს: „წინასწარმეტყველს ებრძანება ქმედებით წინამიუთითოს მომავალი შიმშილი და დაკნინება ისრაელის ერში“ (Блаженный Иероним 1886: 53). ნეტარი თეოდორიტეს განმარტებით, წინასწარმეტყველმა „საკუთარ თავში დასასჯელები უნდა წარმოადგინოს და იმით, რისი აღსრულებაც მას ებრძანება, ერს გააგებინოს, რომ იერუსალიმში შიმშილი იქნება“ (Блаженный Феодорит 1859: 398). რასაც წინასწარმეტყველი ნებსით აღასრულებდა, ის ღვთისგან განმდგარ ისრაელიანებს სასჯელის სახით ელოდა. როგორც ეზეკიელი ითმენდა შიმშილსა და წყურვილს, ისევე დაიტანჯებოდნენ ალყაში მოქცეული იერუსალიმის მკვიდრნი და დატყვევებული ისრაელიანები. ეკლესიის მამათა ეგზეგეზის თანახმად, პური არა მარტო თავისი მასით აღნიშნავდა ებრაელთა მომავალ შიმშილობას, არამედ შემადგენლობითაც. ის ექვსი სახის მცენარისაგან მომზადდა, რომელთა ერთი ნაწილი ადამიანის გამოსაკვებად გამოიყენებოდა, ხოლო მეორე – ცხოველის (Блаженный Феодорит 1859: 398); (Блаженный Иероним 1886: 54). წმინდა ეფრემ ასური ეზეკიელისთვის მიცემულ საუფლო ბრძანებას სიმბოლურად ისრაელიანთა ამაზრზენ საქციელს უკავშირებს. როგორც ეზეკიელს ებრძანა ადამიანის განავალში პურის გამოცხობა და მის საშუალებით გამოკვება, ასევე

⁵⁸² ეზეკ. 4. 12.

შეჭამდენ, იერუსალიმის ალყის დროს, შიმშილით გამძვინვარებული ებრაელები საკუთარი სხეულისგან გამოსულს, ე. ი. შვილებს (Святой Ефремъ 1995ბ: 12)⁵⁸³.

ნეტარი იერონიმე აღნიშნული წესით მომზადებულ პურში არაერთ სიმბოლოს ხედავს. მისი განმარტებით, ქრისტეს უარყოფელი იუდეველები „აქამდე ჭამენ ნაცარში გამომცხვარ პურებს... რადგან იმაში, რომ მათ, როგორც ჩანს, ერთი ღმერთი სწამთ, ცოტაოდენი ხორბალი აქვთ, მაგრამ რამდენადაც ძეს უარყოფენ, პირუტყვის ქერითა და ცერცვით იკვებებიან, რომელთაგან მუცელი იბერება და როგორც ამბობენ, აზრი უხეშდება...“ (Блаженный Иероним 1886: 54). ნეტარი მამა აღნიშნულ პურს, დაფარულს „ნაცრით და ადამიანური სკორეთი“ (Блаженный Иероним 1886: 54), ძველი აღთქმის რჯულსაც უკავშირებს, რომელსაც იუდეველები კითხულობენ, თუმცა მისი სიღრმისეული აზრი არ ესმით: „ამიტომაც ამბობს პავლე მოციქული, რომ მან რჯულის სარგებელი და უწინდელი წესების დაცვა, ერთგვარად, ნაგვად მიიჩნია, რათა ქრისტე შეეძინა⁵⁸⁴“ (Блаженный Иероним 1886: 54).

შემდგომ მუხლში სიმბოლური ქმედების შინაარსს ტყვეობასთან მიმართებით თავად უფალი განმარტავს: „და ჰრქუა მათ: ამას იტყვს უფალი ღმერთი ისრაელისად: ესრეთ ჭამდენ ძენი ისრაელისანი არაწმიდასა წარმართთა შორის“⁵⁸⁵.

აქ წინასწარმეტყველის რჯულიერება ვლინდება⁵⁸⁶: „და ვთქუ: **ნუსადა, უფალო ღმერთო ისრაელისაო**⁵⁸⁷! რამეთუ არასადა შეგინებულ არს სული ჩემი არაწმიდითა და მკუდრისადა და ნამხეცავი არა მიჭამიეს შობით ჩემითგან ვიდრე აქამომდე, არცა შესრულ

⁵⁸³ შდრ. ეზეკ. 5. 10: „...მამანი შემჭამდენ შვილთა...“.

⁵⁸⁴ იხ. ფილიპ. 3. 8. ძველი აღთქმის რჯულის ამგვარი დახასიათება არ წარმოადგენს მის შეურაცხყოფას, არამედ ახალ აღთქმასთან მიმართებით მისი უმცირესობის აღიარებიდან გამომდინარეობს. მოსეს რჯული იყო „მზარდული“ (იხ. გალატ. 3. 24), ის ძველი აღთქმის ეკლესიის წევრს მხსნელის მისაღებად ამზადებდა ე. ი. დროებითი მნიშვნელობა ჰქონდა. მაცხოვრის განკაცებისა და კაცობრიობის პირველქმნილი ცოდვისგან გამოსყიდვის შემდეგ რჯულის დადგენილებების აღსრულება უსარგებლო გახდა.

⁵⁸⁵ ეზეკ. 4. 13.

⁵⁸⁶ იხ. II შჯულ. 23. 13-14.

⁵⁸⁷ შდრ.: LXX: „μὴ δαμάσ κύριε θεὲ τοῦ Ἰσραὴλ“ (ბერძნული სიტყვა **μὴ δαμάσ** (იგივე ტერმინი დგას აღნიშნულ ადგილზე სვიმასოსის თარგმანშიც) ნიშნავს: „არავითარ შემთხვევაში, უეჭველად არა“; ძველქართულად ითარგმნებოდა: „ნუ სადა, არა სადა, არარაოდ“); VUL.: „ha ha ha Domine Deus“ (შორისდებული **ha** ლათინურში იგივეა, რაც ქართულში აჰ (აკვილას ეზეკიელის პასუხი უფლის ბრძანებაზე თავის თარგმანში გადმოტანილი აქვს შემდეგნაირად: „ახ, ახ, ახ“); MT: „הוּי? הָיָה הָיָה“ (ებრაული ტერმინი **הָיָה (Ahah)** აღნიშნავს აჰ-ის საგანგაშო წამოძახილს); სლავ.: „никáкоже гдѣи бже́ и́ижевъ“; ახალქართ.: „ნუსადა, უფალო ღმერთო ისრაელისაო“; რუს.: „о, Господи Боже“ (ამგვარადვე თარგმნა აღნიშნული ადგილი თეოდოტიონმა); KJV: „Ah Lord GOD“.

არს პირსა ჩემსა ყოველი ჯორცი ბილწი. და მრქუა მე უფალმან: აჰა-ეგერა, მიგეც შენ ფუნად ზროხათად სკორისა წილ კაცობრივისა და შეჰქმნე პური შენი მას ზედა⁵⁸⁸.

ნეტარი იერონიმე გვმოდვრავს, რომ ზემოთ მოტანილი ტექსტი არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს, ეზეკიელი უფალს შეეპასუხა და შეეწინააღმდეგა. წმინდანმა ღმერთს ბრძანების შემსუბუქება სთხოვა, რაც მოწყალე და კაცთმოყვარე უფალმა მცისვე შეუსრულა (Блаженный Иероним 1886: 55). შემოქმედმა ეზეკიელს პურების გამოსაცხობ მასალად ადამიანური სკორის მაგივრად საქონლის ფუნის გამოყენების ნებართვა მისცა, რაც, ნეტარი იერონიმეს განმარტებით, სიმბოლურად ნიშნავდა, რომ ღმერთი გადასახლებულ ებრაელებს განსაცდელებს შეუმსუბუქებდა (Блаженный Иероним 1886: 56).

აღნიშნული წესით მომზადებული პურის მიღებით ეზეკიელი მიანიშნებდა, რომ აღთქმული მიწიდან უცხო ქვეყანაში გადასახლებული ებრაელები უწმინდური წესით იცხოვრებდნენ. ნეტარი თეოდორიტეს განმარტებით, ტყვეობაში, წარმართებთან იძულებითი თანაცხოვრების მიზეზით, ღვთივრჩეული ერი ხშირად არღვევდა მოსეს რჯულს (Блаженный Феодорит 1859: 399). ამასთან დაკავშირებით ნეტარი იერონიმე აღნიშნავს: „ამრიგად, მსგავსად იმისა, როგორც ეზეკიელი ჭამდა პურს (მომზადებულს, რედ. შენ.) სკორეზე, ასევე ისრაელის ძენი, ან მთელი იუდეველთა ერი, ან კი, როგორც ზოგიერთი ფიქრობს, ათი ტომი შეჭამენ (ან ჭამდა) გაუწმინდურებულ პურს, (წარმართ, ც. ჩ.) ხალხთა შორის, თუმცა ეს მუქარა ეხება არა მათ, რომლებიც უკვე განიდევნენ, არამედ – მათ, რომლებიც განიდევნებიან აღთქმული მიწიდან“ (Блаженный Иероним 1886: 55). წმინდა ეფრემ ასური ამ ეგზეგეზას იზიარებს და სხვა განმარტებასაც გვთავაზობს. მისი თქმით, ზემოაღნიშნული მუხლი, შესაძლებელია, იმ პერიოდს უკავშირდებოდეს, „როდესაც იუდეველები უწმინდურებაში ჭამდნენ თავიანთ პურს იდუმიელებს, მოაბელებს, ფილისტიმელებსა და სხვა ერებს შორის“ (Святой Ефремъ 1995ბ: 12).

ნეტარი იერონიმე სკორეზე მომზადებული პურის მიღებაში სიმბოლურად ხედავს იმ იუდეველთა გაუკუღმართებულ ცხოვრების წესს, რომელთაც ქრისტე უარყვეს. ნეტარი მამა ადამიანურ სკორეზე მომზადებულ პურს კერპებისა და დემონების თაყვანისცემას უკავშირებს, ხოლო საქონლის ფუნაში გამომცხვარს – ამქვეყნიური

⁵⁸⁸ ეზეკ. 4. 14-15.

კეთილდღეობისთვის ცხოვრებას. მისი განმარტებით, ებრაელები მართალია კერპებს არ ემსახურებიან და სხვადასხვა დემონებს თაყვანს არ ცემენ, მაგრამ ყოველივეს „ხორცისთვის, მუცლისთვისა და ამ ქვეყნის კეთილდღეობისათვის აღასრულებენ, თქმულის თანახმად: *რომელმან-იგი ყვნეს კაცმან, ცხონდეს მათ შინა*⁵⁸⁹. ჩვენ კი მიწიურს არაფრად ვაგდებთ... ვჭამთ ზეციდან გარდამოსულ პურს და ვიკვებებით იმ საზრდელით, რომლის შესახებ ფსალმუნთმგალობელი გალობს: *პური ანგელოზთაჲ ჭამა კაცმან...*“⁵⁹⁰ (Блаженный Иероним 1886: 56).

მეოთხე თავის ბოლოს უფალი **სიმბოლურ ქმედებას**, ამ ჯერზე, იერუსალიმის ალყასთან მიმართებით განმარტავს: „და მრქუა მე უფალმან: ძეო კაცისაო, აჰა-ესერა, შევმუსრო მე ძალი პურისაჲ⁵⁹¹ იერუსალჴმს და ჭამდენ პურსა სასწორით და ნაკლულევანებით და წყალსა საწყაულით და განრყუნილებით სუმიდენ, რადთა ნაკლულევან იყვნენ პურითა და წყლითა და განირყუნეს კაცი და ძმაჲ მისი⁵⁹² და დადნენ სიცრუეთა შინა მათთა“⁵⁹³.

ებრაული ტერმინი **מַטֵּה (Matte; კვერთხი, ჯოხი, საყრდენი)** სამოცდაათთა თარგმანში გადატანილია ტერმინით **σπίρυμα** (საყრდენი). აღნიშნული ებრაული სიტყვა

⁵⁸⁹ ლევ. 18. 5. შდრ. II შჯულ. 30. 16: „ისმინნე თუ მცნებანი უფლისა ღმრთისა შენისანი, რომელსა-ესე მე გამცნებ შენ დღეს, და შეიყუარო შენ უფალი ღმერთი შენი და ხვდოდი ყოველთა გზათა მისთა და დაიმარხნე ყოველნი მცნებანი მისნი და სამართალნი მისნი და მშჯავრნი, სცხოვნდეთ და განმრავლდეთ და გაკურთხნეს თქუენ უფალმან ღმერთმან თქუენმან ქუეყანასა მას ზედა, რომელსა შეხვდეთ დამკვდრებად მუნ“.

⁵⁹⁰ ფსალმ. 77. 25. ნეტარი იერონიმე უფლის ცხოველმყოფელ ხორცს გულისხმობს.

⁵⁹¹ შდრ.: LXX: „σπίρυμα ἄρτου“; სლავ.: „ѣтъвержѣніе хлѣбное“; MT: „מַטֵּה-הַחֶמֶד“; VUL.: „baculum panis“ (ესე კითხულობდა წმინდა ეფრემ ასურიც (Sancti Ephraem 1740: 170); KJV: „the staff of bread“; რუს.: „опора хлебную“; ახალქართ.: „პურის კვერთხს“.

⁵⁹² შდრ.: LXX: „καὶ ἀφαινοῦσθετὰ ἀνδραποδοῦ καὶ ἀδελφοῦ ἀπὸ τοῦ“ (ἀφαινοῦσθε – „ვაქრობ, ვანადგურებ“); სლავ.: „и погнѣнеть челоуѣкъ и братъ ѹбо“; MT: „וַיִּנְחָו אִישׁ אֶת-חֶמְדוֹ“ (ებრაული ზმნა იმავს ნიშნავს როგორც „გაუკაცრიელებას“, ასევე „თრთოლას, შეძრწუნებას“. უკანასკნელ ვარიანტს მიყვება KJV, ბიბლიის ახალქართული და რუსული თარგმანები); KJV: „and be astonished one with another“; ახალქართ.: „შიშით დაუწყებენ ერთმანეთს ცქერას“; რუს.: „и они с ужасом будут смотреть друг на друга“; VUL.: „corrui unusquisque ad fratrem suum“ (სიტყვ. „თითოეული მივარდება თავის ძმას“ (ლათინური ზმნა **corrui** ნიშნავს „ნგრევას“, „დაცემას“, „სიკვდილს“, „ერთი მეორეზე მივარდნას“. სწორედ ეს უკანასკნელი ვარიანტი ესადაგება აზრობრივად ვულგატას მოტანილ ტექსტში ზმნას **corrui**. ამას ნეტარი იერონიმეს განმარტებაც ადასტურებს, რომელსაც ქვემოთ წარმოვადგენთ. ასე რომ, სიტყვა **corrui** აქ „მივარდნის“ მნიშვნელობით ითარგმნება). VUL-ში განსაკუთრებული სიმძაფრით არის წარმოჩენილი იერუსალიმის მომავალი ალყის (საუბარია ეზეკიელის წიგნში აღწერილ წინასწარმეტყველებაზე) შემადრწუნებელი სურათი, ის პანიკა, რომელსაც აღნიშნული ქალაქის მკვიდრნი მოეცვა. ნეტარი იერონიმეს განმარტებით, „თითოეული, სხვა მხრიდან დახმარების მოიმედე, თავის ძმას მივარდება... რადგან განსაცდელისა და მძიმე გაჭირვებისაგან შევიწროების დროს ადამიანთა ბუნებისთვის თვისობრივია მახლობელის იმედის ქონა უფრო, ვიდრე საკუთარი თავისა“ (Блаженный Иероним 1886: 57).

⁵⁹³ ეზეკ. 4. 16-17.

აკვილამ თარგმნა როგორც **baculum** (კვერთხი), ხოლო სვიმასოსმა და თეოდოტიონმა – **στερέαμα** (სიმაგრე; ძველ ქართულში ითარგმნებოდა როგორც: სამყარო, სიმტკიცე, დამამტკიცებელი). ტერმინი **הֶחָמֶה** მოტანილ ბიბლიურ ტექსტში გამოიყენება სიტყვა „პურთან“ (ებრ. **לֶחֶם** (**Lekhem**) მიმართებით: **מַטֵּה־לֶחֶם** (**Matte-lekhem**; სიტყვ. პურის საყრდენი). ამრიგად, უფალი იერუსალიმში „პურის საყრდენს“ გატეხავდა (ებრ. **רָבַץ** (**Shavar**)⁵⁹⁴. კომენტატორთა თანახმად, ეს სიმბოლურად ალყის დროს დავითის ქალაქის მკვიდრთა შიმშილობას ნიშნავდა (Блаженный Иероним 1886: 57); (Толкование 1996: 246); (Толковая Библия 1909: 249). ებრაელები უფლისგან მოვლენილ სასჯელს სამართლიანად, საკუთარი ურჯულო ცხოვრების მიზეზით, გადაიტანდნენ. ასე რომ, „დადნენ სიცრუვეთა შინა მათთა“, რადგან, ნეტარი თეოდორიტეს სიტყვებით რომ ვთქვათ, „არ წყვეტდნენ ცოდვების ჩადენას“ (Блаженный Феодорит 1859: 400).

წმინდა ეფრემ ასურის განმარტებით, სიტყვები „შევმუსრო მე ძალი“⁵⁹⁵ პურისა და იერუსალემს“ ნიშნავს წინასწარმეტყველებისა და სწავლების შეწყვეტას, რადგან, მისივე თქმით, „საყრდენი, რომელზეც სულიერი პური იზრდება, პური, რომელიც სულს კვებავს, არის თავთავი, მსხმოიარე წინასწარმეტყველთა“ (Святой Ефремъ 1995b: 12).

ნეტარი იერონიმე ზემოთ წარმოდგენილ წინასწარმეტყველებას ახალი აღთქმის ეკლესიასთან მიმართებითაც განიხილავს. წმინდა მამა პურისა და წყლის ნაკლებობას სიმბოლურად უკავშირებს ეკლესიის წევრთა ჭეშმარიტი სწავლებისაგან მოკლებულობას. ეს კი ღვთის სასჯელია: „მე მეშინია, რომ ჩვენს იერუსალიმშიც⁵⁹⁶... არ შეიმუსროს ეს პური, რომელსაც ანადგურებს უფალი, როდესაც განრისხდება და თავისი პურის უღირსად გვცნობს. ხოლო თუ ღირსი გავხდებით მისი მიღებისა თუნდაც წონით და შიშით და რომ ლაზარეს წყურვილით ანთებული ენა თითის წვერით გაეგრილებინა⁵⁹⁷! პურისა და წყლის ნაკლებობისას კი კაცი მივარდება საკუთარ ძმას და ყველგან განხეთქილებაა (ე. ი. ერესები, ც. ჩ.), როდესაც ჩვენ ვგლეჯთ ქრისტეს

⁵⁹⁴ შდრ.: ეზეკ. 4. 16, MT: „מַטֵּה־לֶחֶם רָבַץ“; ახალქართ.: „გავტეხავ პურის კვერთხს“.

⁵⁹⁵ იხ. სქოლიო 591.

⁵⁹⁶ იგულისხმება ეკლესია.

⁵⁹⁷ იხ. ლკ. თ. 16 (უფლის იგავი მდიდარსა და გლახაკ ლაზარეზე). აღნიშნულ წინადადებაში განსაკუთრებული სიმძაფრით წარმოჩნდება ნეტარი იერონიმეს წყურვილი ღვთის შენეცნებისა.

სამოსელს⁵⁹⁸... და საკუთარ ურჯულოებაში ვჭკნებით, ღვთის სიმართლის უქონელნი“ (Блаженный Иероним 1886: 57).

7.3.3. თმების მოპარსვა და დანაწილება

ეზეკიელის სიმბოლურ ქმედებათა აღწერა წინასწარმეტყველის წიგნის V თავში გრძელდება:

„და შენ, ძეო კაცისაო, მოიღე შენდა მახვილი ლესული, უფროდს საყუენელისა მკუეცარისა, და მოიგე იგი თავისა შენისა და მოიღო იგი თავსა შენსა და წუერთა შენთა და მოიღო უღელი სასწორისაჲ და აღსწონო იგი“⁵⁹⁹.

ეზეკიელს მჭრელი მახვილით თმებისა და წვერის მოპარსვა ებრძანა. სიმბოლური ქმედებისთვის განკუთვნილი იარაღი დალაქის სამართებელზე მჭრელი უნდა ყოფილიყო⁶⁰⁰.

„და მეოთხე⁶⁰¹ ნაწილი მისი ცეცხლითა დასწუა შორის ქალაქსა აღსასრულსა მას დღეთა შეყენებულებისა შენისათა; და მოიღო მეოთხე მისი და დასწუა იგი შორის

⁵⁹⁸ ქრისტეს კვართი ეკლესიის ერთიანობის სიმბოლოა.

⁵⁹⁹ ეზეკ. 5. 1.

⁶⁰⁰ შდრ.: ეზეკ. 5. 1, LXX: „ἀπὸ ξυρὸν κουρῆας κτήση ἀπὸ τῆς σεαυτῶ“; სლავ.: „паче бритвы стригъцаиго, пригъжи єго себѣ“. მასორეტული ტექსტის მიხედვით, რასაც ეთანხმება თანამედროვე ქართული და რუსული თარგმანები, ეზეკიელმა მახვილი დალაქის სამართებელივით უნდა გამოიყენოს (შდრ.: ეზეკ. 5. 1, MT: „וְלָקַחְתָּ מַחְבֵּרֵת רֶגֶל“ (ებრაული ტერმინი **בלָק** (**Gallav**; დალაქი) ძველი აღთქმის წიგნებში სხვაგან არსად არ გვხვდება. ეზეკიელის წიგნში აღნიშნული შესიტყვების არსებობაზე დაყრდნობით მკვლევრები ვარაუდობენ, რომ მისი მოღვაწეობის დროს აღნიშნული პროფესია უკვე არსებობდა (Толковая Библия 1909: 250); ახალქართ.: „დალაქთა სამართებელივით“; რუს.: „бриту брадобреев возьми себе“; ეს უკანასკნელი ებრაულის პირდაპირი თარგმანია და ზემოაღნიშნული შინაარსით განიმარტება. იმავე იკითხვის ვხვდებით KJV-ში: „take thee a barber's razor“). რაც შეეხება ვულგატას, იქ წერია: „თმების მოსაპარსად აიღე ის“ (შდრ. VUL: „radentem pilos adsumes eum“).

⁶⁰¹ **სამოცდაათთა თარგმანის მიხედვით თმები ოთხ ტოლ ნაწილად იყოფა, ხოლო მასორეტული ტექსტის მიხედვით – სამ ტოლ ნაწილად.** ეს განსხვავება ებრაულსა და ბერძნულ ტექსტებს შორის, ნეტარი იერონიმეს და წმინდა წერილის მრავალი მკვლევრის ვარაუდით, სეპტუაგინტას გადამწერთა შეცდომის შედეგად გაჩნდა (Толковая Библия 1909: 250). ნეტარი იერონიმეს თქმით, აღნიშნულის მიზეზით მე-2-ე მუხლის სამოცდაათთა თარგმანში წინადადებაც დაემატა (Блаженный Иероним 1886: 58); (იხ. სქოლიო 602). მ. სკაბალანოვიჩი დასაშვებად მიიჩნევს, რომ ეს სიტყვები ჰაერში გაფანტული თმების იმ ნაწილს უკავშირდება, რომელიც ქალაქის შუაში დაიწვა (Толковая Библия 1909: 250).

მისსა⁶⁰² და მეოთხე მისი დაჰქრე მახვლითა გარემო მისსა და მეოთხე მისი განაბნიო ყოველსა ქარსა...“⁶⁰³.

ზემოაღნიშნულ ქმედებებს სიმბოლური შინაარსი ჰქონდათ. ნეტარი თეოდორიტეს განმარტებით, მახვილი უფლის დამსჯელ ძალას განასახიერებდა, ხოლო სასწორი – უფლის მიერ მოვლენილი სასჯელის სამართლიანობას ცხადყოფდა (Блаженный Феодорит 1859: 401).

ნეტარი იერონიმე აღნიშნავს, რომ ერთგვარად თმები სხეულის უსიცოცხლო ნაწილია. ამაზე დაყრდნობით ნეტარი მამა სიმბოლურ განმარტებას გვთავაზობს. მისი ეგზეგეზის თანახმად, ეზეკიელის მიერ თმებისა და წვერის მოპარსვა განასახიერებდა: უფლისგან იუდეის განშორებას, ძველი აღთქმის ეკლესიის ცოცხალი სხეულისგან მათ მოწყვეტას და სულიერ სიკვდილს (Блаженный Иероним 1886: 60). ნეტარი იერონიმეს განმარტებას ნეტარი თეოდორიტეს ეგზეგეზა ეხმიანება. მისი თქმით, თმებისა და წვერის მოპარსვა სიმბოლურად ღვთის მზრუნველობის დაკარგვას ნიშნავდა (Блаженный Феодорит 1859: 401). ამ ყოველივეს კი შედეგად მრავალი უბედურება მოჰყვა.

ეზეკიელის მიერ მოპარსული თმების სხვადასხვა წესით განადგურების სიმბოლური მნიშვნელობა წინასწარმეტყველის წიგნის მეხუთე თავის 12 მუხლში განიმარტება. ქალაქის გამოსახულების შუაში თმების დაწვა ნიშნავდა, რომ ბაბილონელთა ალყის დროს იერუსალიმში დარჩენილი ებრაელები დაილუპებოდნენ. ნახაზის გარშემო თმების მახვილით აკუწვა დავითის ქალაქგარეთ ბრძოლებში ებრაელთა დახოცვაზე მიანიშნებდა, ხოლო ჰაერში გაფანტვა – იუდეველთა გადასახლებას ბაბილონის იმპერიაში (Блаженный Феодорит 1859: 401); (Блаженный Иероним 1886: 59); (Толковая Библия 1909: 250). თმების დაწვას წმინდა ეფრემ ასური სიმბოლურად უკავშირებს ქალდეველთა მიერ ცეცხლმოკიდებულ სოლომონის ტაძარში მყოფ ებრაელებს (Святой Ефремъ 1995ბ: 12).

უფლის სიტყვის თანახმად, ეზეკიელის **სიმბოლურ ქმედებაში** ცეცხლი ჭირსა და შიმშილს აღნიშნავდა, რამაც იმსხვერპლა იერუსალიმელთა უმეტესობა: „მეოთხე

⁶⁰² შდრ. ეზეკ. 5. 2, LXX: „καὶ λήψῃ τὸ τέταρτον καὶ κατακαύσει αὐτὸ ἐν μέσῳ αὐτῆς“. აღნიშნული წინადადება მასორეტულ ბიბლიაში არ არის.

⁶⁰³ ეზეკ. 5. 2.

ნაწილი შენი სიკუდილითა⁶⁰⁴ აღიჯოცოს და მეოთხე მისი სიყმილითა აღესრულოს შორის შენსა...“⁶⁰⁵ (Блаженный Феодорит 1859: 401); (Блаженный Иероним 1886: 59).

უფალი ბრძანებს: „...და მახვლი მოვაკლინო შემდგომად მათსა⁶⁰⁶“. ეკლესიის მამათა განმარტებით, ამ სიტყვებში იგულისხმებოდა, რომ გადასახლების შემდეგ იუდეველებს განსაცდელი არ მოაკლდებოდათ (Блаженный Феодорит 1859: 401); (Блаженный Иероним 1886: 59).

„და მოიყვანნე მიერ რიცხვთ მცირედნი და შენ შეისხნე იგინი სამოსელსა შენსა. და ამათგანნი მოიყვანნე მერმეცა და შესთხინე იგინი ცეცხლსა მას შორის და დასწუნე იგინი ცეცხლითა“⁶⁰⁷.

ნეტარი თეოდორიტეს თქმით, შეგროვილი თმები იერუსალიმის აღების შემდგომ ქალაქში დატოვებულ ებრაელებს განასახიერებდა. ამ თმების გარკვეული რაოდენობა ცეცხლში დაიწვა, ხოლო ტყვეობას გადარჩენილი იუდეველთა ნაწილი სხვადასხვა მიზეზით მოკვდა (Блаженный Феодорит 1859: 401-402). ნეტარი იერონიმე ეზეკიელის აღნიშნული ქმედების სხვა სიმბოლურ გააზრებას გვთავაზობს. მისი განმარტებით, თმების შეგროვება წინასახეობრივად მოასწავებდა ტყვეობიდან ებრაელთა დაბრუნებას (აღნიშნულ ეზეკიელს იზიარებს წმინდა ეფრემ ასური (Святой Ефремъ 1995ბ: 13), დაწვა კი მიანიშნებდა მაკედონელთა ბატონობისას იუდეველთა განსაცდელეებზე (Блаженный Иероним 1886: 59).

უფლის სიტყვის თანახმად, „...და მისგან⁶⁰⁸ გამოვიდეს ცეცხლი“⁶⁰⁹. ნეტარი თეოდორიტეს განმარტებით, ეს სიტყვები იერუსალიმის დაცემის შემდგომ სამშობლოში დატოვებულ იუდეველებზე თავს დატეხილი არაერთი განსაცდელის წინასწარმეტყველებაა. ეს ყოველივე მათმა უღირსმა საქციელმა გამოიწვია⁶¹⁰. ნეტარი თეოდორიტე აღნიშნულ სიტყვებს უკავშირებს ანტიოქოს ეპიფანეს ზეობისას ებრაელთა

⁶⁰⁴ შდრ.: LXX: „ἐν θανάτῳ“; სლავ.: „смертїю“; განსხვავებით „სიკვდილისა“, „ჭირი“ ან „დაავადება“ წერია: MT: „רָצָח“; VUL: „peste“; KJV: „with the pestilence“; ახალქართ.: „ჭირისგან“; რუს.: „от язвы“. შესაძლებელია, სეპტუაგინტას აღნიშნულ ადგილზე „სიკვდილში“ ჭირი იგულისხმება.

⁶⁰⁵ ეზეკ. 5. 12.

⁶⁰⁶ ეზეკ. 5. 2.

⁶⁰⁷ ეზეკ. 5. 3-4.

⁶⁰⁸ ნეტარი იერონიმე აღნიშნავს, რომ ამ მუხლის სამოცდაათთა თარგმანში პირის ნაცვალსახელი „ის“ მდებარეობითი სქესის ფორმაში დგას (შდრ. ეზეკ. 5. 4, LXX: „...ἐξ αὐτῆς ἐξελεύσεται πῦρ...“). ნეტარი მამის თქმით, ეს ფაქტი მოწმობს, რომ აღნიშნული ნაცვალსახელი ქალაქ იერუსალიმს მიემართება (Блаженный Иероним 1886: 59). „იერუსალიმი“ (ბერძნ.: Ἱερουσαλήμ) ბერძნულ ენაში მდებარეობითი სქესის სიტყვაა.

⁶⁰⁹ ეზეკ. 5. 4.

⁶¹⁰ იხ. იერ. თ. 41-43.

აჯანყებებსაც. ამის გამო იუდეველებს მრავალი განსაცდელი ეწიათ (Блаженный Феодорит 1859: 402). ნეტარი თეოდორიტეს განმარტებას ნეტარი იერონიმეს ეგზეგეზა ეხმიანება, თუმცა ეს უკანასკნელი ყურადღებას ამახვილებს ანტიოქოს ეპიფანეს მიმხრობილ ებრაელებზე. ისინი ანტიოქოსს იუდეველთა დევნისკენ უბიძგებდნენ. ნეტარი იერონიმეს განმარტებით, მოხმობილი მუხლი ასევე აღნიშნავს ჰასმონეანთა საგვარეულოს მმართველობის პერიოდში ისრაელის შინააშლილობას. ამ მოვლენამ გნეუს პომპეუსს იუდეის დაკავების საშუალება მისცა (Блаженный Иероним 1886: 59). ეკლესიის მამები ზემოაღნიშნულ სიტყვებს ებრაელთა მიერ ქრისტეს უარყოფასა და ჯვარცმასაც უკავშირებენ. ამას მრავალი საზარელი სასჯელი მოჰყვა შედეგად (Блаженный Феодорит 1859: 402); (Блаженный Иероним 1886: 59).

უფლის კურთხევით, ებეკიელს ხალხისთვის მისი **სიმბოლური ქმედების** განმარტება ევალებოდა. წინასწარმეტყველს ებრაელებისთვის სასჯელის მიზეზებიც უნდა ემცნო:

„და არქუ ყოველსა სახლსა ისრაელისასა: ამას იტყვს უფალი უფალი: ესე არს იერუსალჳმი, შორის წარმართთა დავდევ იგი და გარემო სოფლები მისი. და უთხარ სამართალი ჩემი უშჯულოსა მას წარმართთაგანსა და შჯული ჩემი სოფლებსა მას გარემოდს მისსა, რამეთუ სამართალნი ჩემნი განიშორნეს და შჯულსა ჩემსა არა ვიდოდეს“⁶¹¹.

უფალმა ღვთივრჩეულ ერს განსაკუთრებული მისია დააკისრა. ებრაელი ხალხი წარმართული სამყაროსთვის მართალი სარწმუნოებისა და ღვთივსათნო ცხოვრების წესის მაგალითი უნდა ყოფილიყო. ეკლესიის მამათა განმარტებით, ებრაელებს სწორედ ამ მიზეზით მიეცათ განსაკუთრებული გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მქონე დედაქალაქიც (Блаженный Иероним 1886: 60); (Блаженный Феодорит 1859: 402). ნეტარი თეოდორიტე იერუსალიმთან დაკავშირებულ საუფლო სიტყვებს შემდეგნაირად გადმოსცემს: „ამიტომაც, ამბობს ღმერთი: დავდევ იერუსალიმი *შორის წარმართთა*, რათა იერუსალიმიდან მათ (წარმართებს, ც. ჩ.) სარგებელი მიეღოთ და იერუსალიმელთაგან ყოველგვარი ღვთისმოსაობა და სიმართლე ესწავლათ...“ (Блаженный Феодорит 1859: 402).

⁶¹¹ ეზეკ. 5. 5-6.

წმინდა ეფრემ ასური ზემოაღნიშნულ საუფლო სიტყვებთან დაკავშირებით ამბობს: „იერუსალიმიდან რჯული⁶¹² გამოვიდა, რომლის ცნებებს ყველა ერი დაემორჩილა და იერუსალიმში ჯვარი აღიმართა, რომელმაც დედამიწის ყოველი კიდე მაღლით დაიმორჩილა“ (Святой Ефремъ 1995ბ: 13).

„ამისთვის ამას იტყვს ადონაჲ უფალი: რამეთუ მიზეზი თქუენი წარმართთაგან არს, რომელნი არიან გარემოდს თქუენსა, და შჯულსა ჩემსა არა ხვდოდეთ და სამართალნი ჩემნი არა დაიმარხენით, არამედ არცაღა სამართალთაებრ წარმართთაჲსა ხვდოდეთ, რომელნი იყვნეს გარემოდს თქუენსა. ამისთვის ამას იტყვს უფალი უფალი: აჰა-ესერა, მე შენდამი და ვყო შენ შორის საშჯელი⁶¹³ წინაშე წარმართთა. და ვყო შორის შენსა, რომელი არა მიყოფიეს...“⁶¹⁴.

ებრაელებმა საკუთარი მისია დაივიწყეს და წარმართებს რელიგიურ-ზნეობრივ გარყვნილებაში გარდაამეტეს. ასე რომ, უფალი მათ თვალსაჩინოდ დასჯიდა, რის შედეგადაც ღვთის სამართლიანობას ყველა იხილავდა.

ნეტარი იერონიმეს განმარტებით, ზემოთ მოტანილ მუხლში სიტყვა „მსჯავრები“⁶¹⁵ უფლის სამართლიანობას აღნიშნავს, „რათა არ ვიფიქროთ, რომ მრისხანება სასჯელის ზომას ამეტებს“ (Блаженный Иероним 1886: 62).

უფალი იერუსალიმელთ განსაკუთრებულად მძიმე სასჯელით დასჯიდა. ებრაელებს რჯული მიეცათ, ჰყავდათ წინასწარმეტყველები და წარმართებზე გაცილებით კარგად იცოდნენ, რაში მდგომარეობდა ღვთისათნო ცხოვრების წესი. აქედან გამომდინარე, მათ ურჯულო ხალხზე გაცილებით მეტი პასუხისმგებლობაც ჰქონდათ. ლუკა მოციქულის სახარებაში ვკითხულობთ: „მონამან რომელმან იცის ნებაჲ უფლისა თვისისაჲ და არა განემზადოს ნებისაებრ მისისა, იტანჯოს იგი ფრიად“⁶¹⁶. ხოლო „სიბრძნე სოლომონისი“ გვასწავლის: „ძლიერთა მათდა ძლიერი ეწიოს გამოძიებაჲ“⁶¹⁷.

უფალი ბრძანებს: „...და არა ვყო მსგავსი მათი მერმე საძაგელებისაებრ თქუენისა“⁶¹⁸.

⁶¹² იგულისხმება ახალი აღთქმა. იხ.: ეს. 2. 3; მიქ. 4. 2.

⁶¹³ შდრ.: LXX: „κρίμα“; სლავ.: „сѣдѣнѣ“; რუს.: „суд“. სიტყვა „მსჯავრი“ მრავლობით რიცხვში წერია: MT: „מִשְׁפָּטִים“; VUL: „iudicia“; KJV: „judgments“. ბიბლიის ახალქართულ თარგმანში წერია: „სამართალს“.

⁶¹⁴ ეზეკ. 5. 7-9.

⁶¹⁵ იხ. სქოლიო 613.

⁶¹⁶ ლკ. 12. 47.

⁶¹⁷ სიბრძ. სოლ. 6. 8.

⁶¹⁸ ეზეკ. 5. 9.

ნეტარი იერონიმეს თქმით, ამ სიტყვებიდან გამომდინარე არ უნდა დავასკვნათ, რომ იმპერატორების ვესპასიანესა და ტიტეს სამუალებით ებრაელებს უფრო მსუბუქი სასჯელი ეწიათ, ვიდრე ნაბუქოდონოსორის დროს. საქმე ისაა, რომ ჯვარცმის შემდგომ იერუსალიმის მკვიდრებზე მოწეული უბედურება არათუ მსგავსი, არამედ პირველზე გაცილებით საშინელი და ძლიერი იყო (Блаженный Иероним 1886: 62).

„ამისთვის მამანი შემჭამდენ შვილთა შენ შორის და შვილნი შეჭამდენ მამათა; და ვყო შორის შენსა საშჯელი და განვაბნიო ყოველი ნემტი შენი ყოველსა ქარსა“⁶¹⁹.

ზემოთ მოტანილი მუხლი იერუსალიმის ალყისა და ებრაელთა გადასახლების წინასწარმეტყველებაა (Толковая Библия 1909: 253). აღნიშნულ პერიოდში დავითის ქალაქში დიდი გაჭირვებისა და შიმშილის გამო მრავალი საზარელი შემთხვევა მოხდა. ნეტარი იერონიმე და ნეტარი თეოდორიტე უფლის ზემოხსენებულ სიტყვებს რომის ალყასაც უკავშირებენ, რომლის შემდეგ იუდეველნი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში გაიფანტნენ (Блаженный Иероним 1886: 63, 64); (Блаженный Феодорит 1859: 403-404).

„ამისთვის ცხოველ ვარ მე, – იტყვს უფალი უფალი, – რამეთუ სიწმიდღ ჩემი შეაგინე ყოვლითა სამაგელებითა შენითა, მეცა განგიშორო შენ, არღარა გერიდოს თუალი ჩემი და არცა შეგიწყალო შენ“⁶²⁰.

იერუსალიმელებმა ტაძარში კერპები განათავსეს, სადაც უწმინდურ მსახურებას აღასრულებდნენ⁶²¹. ებრაელები განეშორენ შემოქმედს, ასე რომ, ღმერთი თავადაც განიშორებდა მათ. ღვთივრჩეული ერის ცოდვებს შედეგად მოჰყვებოდა უფლის რისხვა და სასჯელი.

„მეოთხე წაწილი შენი სიკუდილითა აღიჯოცოს და მეოთხე მისი სიყმილითა აღესრულოს შორის შენსა; და მეოთხე შენი ყოველსა ქარსა განვაბნიო და მეოთხე შენი მახვლითა დაეცეს გარემო შენსა და მახვლი აღვიღო შემდგომად მათსა. და აღესრულოს გულისწყრომად ჩემი და რისხვად ჩემი მათ ზედა და გულისხმა-ჰყო, რამეთუ მე უფალი ვიტყოდე შურიტა ჩემითა, რადთა დავასრულო რისხვად ჩემი მათ ზედა“⁶²².

უკანასკნელი სიტყვები („და გულისხმა-ჰყო...“), ნეტარი იერონიმეს განმარტებით, იერუსალიმის დაცემის შემდეგ ტყვეობაში ჩავარდნილ ებრაელებს ეხება. ცოცხლად

⁶¹⁹ ეზეკ. 5. 10.

⁶²⁰ ეზეკ. 5. 11.

⁶²¹ იხ. ეზეკ. თ. 8.

⁶²² ეზეკ. 5. 12-13.

გადარჩენილები მრავალი განსაცდელით გაიგებდნენ უფლის მრისხანებას, „რომლის სახიერებას არ აცნობიერებდნენ“ (Блаженный Иероним 1886: 66).

„და დაგდვა შენ ოჯრად და ასულნი შენნი გარემო შენსა, წინაშე ყოვლისა თანაწარმავალისა“⁶²³.

უფლის სიტყვის თანახმად, იერუსალიმი უდაბურ ადგილად გადაიქცეოდა. ნეტარი იერონიმეს თქმით, ქალაქი, რომელიც წარმართებისთვის ღვთივსათნო ცხოვრების ნიმუში უნდა ყოფილიყო, ცოდვილებისა და ღმერთის მოღალატეების დასჯის მაგალითი გახდებოდა (Блаженный Иероним 1886: 66).

სიტყვები: „ასულნი შენნი“, ეკლესიის მამათა განმარტებით, იუდეის ქალაქებსა და დაბებს აღნიშნავს (Блаженный Иероним 1886: 66); (Блаженный Феодорит 1859: 405). მათ ასევე ეწეოდათ ღვთის სასჯელი.

„და იყო შენ სულთქუმით და ურვით წარმართთა შორის, გარემოდსთა შენთა, რაჟამს ვყო მე სამჯელი შენ ზედა შურისგებით გულისწყრომითა ჩემითა, – მე უფალი ვიტყოდე, რაჟამს გამოვავლინე მე ისარნი სიყმილისანი მათ ზედა და იყვნენ შენ შორის ნაკლულევანებანი და შეემუსრო შენ შორის სიმტკიცე ჰურისა შენისა; და გამოვავლინო შენ შორის სიყმილი და მჯეცი ბოროტი და გტანჯო შენ და სიკუდილი⁶²⁴ და სიყმილი⁶²⁵ განვიდენ შენ შორის და მახული მოვჰკადო შენ ზედა და გარემო შენსა...“⁶²⁶.

სამხრეთის სამეფოს მკვიდრებზე მომავალი განსაცდელის აღსრულების უეჭველობის უმტკიცესი მოწმობა თავად ზემოაღნიშნული სიტყვების მთქმელის ვინაობა იყო: „...მე, უფალი ვიტყოდე“⁶²⁷.

ნეტარი თეოდორიტეს განმარტებით, მძვინვარე მხეცებში ქალდეველები იგულისხმებიან, რომლებიც, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ: „სისხლისმსმელი მხეცებივით მათ (ებრაელებს, ც. ჩ.) თავს ესხმოდნენ, ერთ ნაწილს კლავდნენ, ხოლო მეორეს – ცოცხლად იპყრობდნენ და ატყვევებდნენ“ (Блаженный Феодорит 1859: 406).

⁶²³ ეზეკ. 5. 14.

⁶²⁴ შდრ.: LXX: „θάνατος“; სლავ.: „смерть“; განსხვავებით „სიკუდილისა“ „ჭირი“ ან „დაავადება“ წერია: MT: „רָצוּף“; VUL: „pestilentia“; KJV: „pestilence“; ახალ ქართ.: „ჭირი“; რუს.: „язва“.

⁶²⁵ „სისხლი“ წერია შემდეგ ტექსტებში: LXX: „αἷμα“; სლავ.: „крѣвь“; MT: „דָּמָ“; VUL: „sanguis“; KJV: „blood“; რუს.: „кровь“. ახალქართულშიც იგივე ვითარებაა.

⁶²⁶ ეზეკ. 5. 15-17.

⁶²⁷ ეზეკ. 5. 17.

ნეტარი იერონიმეს თქმით, „ჭირი“ და „სისხლი“ დაავადებასა და ბრძოლაში სიკვდილს ნიშნავს (Блаженный Иероним 1886: 68).

7.4. სახლიდან უჩვეულო წესით გასვლა

აღნიშნული **სიმბოლური ქმედება** ეზეკიელის წიგნის XII თავშია აღწერილი.

„და იყო სიტყუა უფლისად ჩემდამო და მრქუა მე: ძეო კაცისად, **შორის სიცრუვეთა მათთა**⁶²⁸ დამკვდრებულ ხარ შენ, რომელთა ასხენ თუალნი ხედვად და არა ჰხედვენ და ყურნი ასხენ სმენად და არა ესმის, რამეთუ სახლი განმამწარებელთად არს“⁶²⁹.

წინასწარმეტყველ ეზეკიელის თანამკვიდრმა ებრაელებმა ღვთის ნება უგულვებლყვეს, ბოროტებისაგან განდგომა არ სურდათ და ცოდვათა სიმრავლით უფალს განარისხებდნენ⁶³⁰. ნეტარი თეოდორიტეს თქმით, ეზეკიელს თანამკვიდრი ებრაელების ურჩობისა და სიჯიუტის შესახებ უფალმა იმიტომ ამცნო, რომ მისთვის წინასწარმეტყველების გადასაცემად ზემოაღნიშნული საშუალების გამოყენების ბრძანების მიზეზი განემარტა: „ეს წინასწარმეტყველს წინასწარ აუწყა უფალმა, როდესაც მისთვის არა სიტყვებით, არამედ მოქმედებებით წინასწარმეტყველების ბრძანების მიცემას აპირებდა და თითქოს თავი გაემართლებინოს, თქვა, რომ ერის გულქვაობისა და ურჩობის მიზეზით იძულებულია ასეთი ბრძანება მისცეს“ (Блаженный Феодорит 1859: 437).

„და შენ, ძეო კაცისაო, იქმენ თავისა შენისა **ჭურჭერი ტყუეობისა**⁶³¹ დღისი წინაშე მათსა და **წარიტყუენო**⁶³² ადგილით შენით ადგილდ სხუად, წინაშე მათსა, რადთა

⁶²⁸ შდრ.: S: „საშუალ უსამართლობათა მათთა“; LXX: „ἐν μέσφ τῶν ἀδικιῶν αὐτῶν“; სლავ.: „посреде неправды ихъ“. „განმამწარებელთა (ან მეამბოხური) სახლის შუაგულში“ წერია: MT: „**וְהָיָה בְּתוֹכָא דְבֵיתָא**“; VUL: „in medio domus exasperantis“ (exasperans – განმარისხებელი); KJV: „in the midst of a rebellious house“; რუს.: „среди дома мятежного“. აღნიშნულ ადგილზე ახალქართულ თარგმანში წერია: „ურჩთა სახლის შუაგულში“ (ებრაული სიტყვა **וְהָיָה** შეიძლება ითარგმნოს როგორც „ურჩება“, ასევე – „სიმწარე“).

⁶²⁹ ეზეკ. 12. 1-2.

⁶³⁰ სულიერი სიბრძნით ხასიათდებოდნენ მაცხოვრის თანამედროვე ებრაელებიც. მათ ქრისტე ამხელდა და კიცხავდა: „უკუეთუმცა ბრძანი იყვენით, ცოდვამცა არა გაქუნდა“ (ინ. 9. 41).

⁶³¹ შდრ.: LXX: „σκεῦη ἀίχμαλωσίαι“; სლავ.: „**сѣдѣны плѣнническии**“. განსხვავებით „ტყუეობის საგნებისა“ „გადასახლების ნივთები“ წერია: MT: „**וְהָיָה לְבָרָא**“; VUL: „**vasa transmigratonis**“; KJV: „**stuff for removing**“. წმინდა წერილის ახალქართულ თარგმანში არის: „ყარიბივით გამოეწყვე“, ბიბლიის რუსულ სინოდალურ გამოცემაში – „**нужное для переселения**“.

იხილო, რამეთუ სახლი განმამწარებელთაჲ არს. და განილო ჭურჭერი შენი, ჭურჭერი ტყუეობისაჲ დღისი წინაშე თუალთა მათთა და განხვდე მწუხრი, ვითარცა-იგი განვიდის ტყუჴ. წინაშე მათსა განალე შენდაჲ კედელი და განხვდე მისგან. წინაშე მათსა **ბეჭითა აღჴმალდე**⁶³³ და ფარულად განხვდე, პირი შენი დაიფარო და არა იხილო ქუეყანაჲ, რამეთუ ნიშად მიმიცემიე შენ სახლსა ისრაჴლისასა“⁶³⁴.

ეზეკიელის **სიმბოლური ქმედება** ორი ნაწილისაგან შედგებოდა. პირველი დღისით უნდა შესრულებულიყო, მეორე კი – საღამო ჟამს.

თავდაპირველად წინასწარმეტყველს ებრაელთა თვალწინ გადასახლების დროს საჭირო საგნები საკუთარი სახლიდან უნდა გაეტანა და იქვე შეეგროვებინა. მკვლევართა ვარაუდით, აღნიშნული ბრძანება შემდეგ ნივთებს გულისხმობდა: კვერთხი, სარტყელი, სურსათით სავსე ტომარა, წყლით ავსებული ჭურჭელი და ა. შ (Толковая Библия 1909: 293)⁶³⁵.

საღამოს ეზეკიელს საკუთარი სახლის კედელი უნდა შეენგრია და იქიდან გარეთ გასულიყო. ამ დროს წინასწარმეტყველს სახე დაფარული უნდა ჰქონოდა, ზურგზე კი ტვირთი ჰკიდებოდა (Блаженный Иероним 1886: 139); (Толковая Библия 1909: 293)⁶³⁶. ასე რომ, ეზეკიელი სახლიდან უნდა გასულიყო ისეთი ადამიანივით, რომელიც რაღაცას გაურბოდა და დაატყვევეს⁶³⁷.

შემდგომ მუხლში ეზეკიელი მოწმობს, რომ მან უფლის ბრძანება შეასრულა და **სიმბოლური ქმედება** განახორციელა: „და ვყავ ეგრე, ვითარცა მამცნო მე უფალმან ყოვლისა მისებრ სიტყვსა; და ჭურჭერი ტყუეობისაჲ განვიღე დღისი და მწუხრი

⁶³² შდრ.: LXX: „αἰχμαλωτῆσθαι“. „გადასახლდები“ ან „გადასახლდი“ წერია: MT: „תָּהָא“; VUL: „transmigrabis“; სლავ.: „переселѣнъ бѣди“; KJV: „shalt remove“; რუს.: „переселяйся“. წმინდა წერილის ახალქართულ თარგმანში არის: „იყარიბე“.

⁶³³ შდრ.: LXX: „ἐπ’ ὤμων ἀναλημφθήσῃ“; სლავ.: „На рѣменихъ възѣши“. ბიბლიის მასორეტულ ტექსტში წერია: „მხარზე (ან მხრებზე) აიკიდე (ან აიკიდებ)“ (ებრ.: „אַשְׁתִּי הִתְקַלְבֵּי“; შდრ.: VUL: „in umeris portaberis“; KJV: „shalt thou bear *it* upon *thy* shoulders“). წმინდა წერილის ახალქართულ თარგმანში წერია: „ზურგზე აიკიდე“, ბიბლიის რუსულ სინოდალურ გამოცემაში – „возьми ношу на плечо“. საბას ბიბლიაში წერია: „ვიდოდე მღუნვარედ“.

⁶³⁴ ეზეკ. 12. 3-6.

⁶³⁵ ასირიულ გამოსახულებებში ტყვეები ამგვარი აღჭურვილობით არიან აღბეჭდილნი (Толковая Библия 1909: 293).

⁶³⁶ იხ. სქოლიო 633.

⁶³⁷ შდრ. ეზეკ. 12. 4: „...და განხვდე მწუხრი, ვითარცა-იგი განვიდის ტყუჴ“.

დავითხარე თავით ჩემით კედელი და ფარულად განვედ, და ბჭითა აღვმალდი წინაშე მათსა“⁶³⁸.

უფლის სიტყვის თანახმად, ეზეკიელს თანატომელები **სიმბოლური ქმედების** მნიშვნელობას შეეკითხებოდნენ. ხოლო წინასწარმეტყველს მათთვის განმარტება უნდა მიეცა:

„და იყო სიტყუად უფლისად მეორედ განთიად ჩემდა მომართ და მრქუა მე: ძეო კაცისაო, არა გარქუა შენ, ვითარმედ სახლი ისრაჴლისად სახლი განმამწარებელთაჲ არს? და გრქუან შენ: რასა ეგე ჰზამ? და შენ არქუ მათ: ამას იტყვს უფალი უფალი: მთავარსა და წინამძღუარსა იერუსალჴმისასა და ყოველსა ერსა ისრაჴლისასა, რომელნი არიან შორის მისსა, არქუ მათ, ვითარმედ: მე ნიშებსა ვჰყოფ; ვითარცა სახედ ვყავ, ეგრეთ იყოს მას შინა: მწირობად და ტყუედ განვიდენ. და მთავარი⁶³⁹ იგი შორის მათსა **ბჭით აღიტაცოს**⁶⁴⁰ და ფარულად განვიდეს კედლით; და დათხაროს⁶⁴¹ განსლვად იგი; ამისთჴსცა პირი თჴსი დაიფაროს, რადთა არა იხილოს თუალითა, და მან ქუეყანაჲ არა იხილოს. და განვმარტო მახჴ⁶⁴² ჩემი მის ზედა და შეიპყრას გარემოცვითა ჩემითა და მოვიყვანო იგი ბაბილოვნდ, ქუეყანად ქალდეველთა, და იგი არა იხილოს და მუნ აღესრულოს. და ყოველნი გარემოდსნი მისნი და ყოველნი შემწენი მისნი და ყოველნი იგი მისკერძონი განვაზნინე ყოველსა ქარსა და მახჴლი ვიკადო შემდგომად მათსა. და ცნან, რამეთუ მე ვარ უფალი, ოდეს განვაზნინე მე იგინი წარმართთა შორის და მიმოვსთესნე იგინი სოფლებსა შორის. და დაუტევნე მათგანნი კაცნი რიცხვთ მახჴლისაგან და სიკუდილისა და სიყმილისა, რადთა მიუთხრობდენ ყოველთა უმჯულოებათა მათთა წარმართთა შორის, ვიდრე-იგი შევიდენ მუნ, და ცნან, რამეთუ მე ვარ უფალი უფალი“⁶⁴³.

განმმარტებელთა თანახმად, ეზეკიელის **სიმბოლური ქმედება** ქალდეველთაგან აღებული იერუსალიმიდან მეფე სედეკიას ლტოლვის წინასახე იყო და ებრაელთა

⁶³⁸ ეზეკ. 12. 7.

⁶³⁹ ნეტარი იერონიმეს თქმით, აქ იგულისხმება სედეკია (Блаженный Иероним 1886: 141).

⁶⁴⁰ ვულგატაში წერია: „მხრებზე იქნება ტარებული“ (შდრ. ლათ.: „in umeris portabitur“); შდრ.: ეზეკ. 12. 12, LXX: „ἐπ’ ὤμων ἀρῆσεται“. ნეტარი იერონიმეს განმარტებით, აღნიშნული წინადადება გულისხმობს სედეკიას გადასახლებაში წაყვანას პირუტყვის ზურგით ან თანამებრძოლთა მხრებით (Блаженный Иероним 1886: 141).

⁶⁴¹ მასორეტულ ტექსტში აღნიშნული ზმნა მრავლობით რიცხვშია: „וְהָרְחוּ“.

⁶⁴² ნეტარი თეოდორიტეს ეგზეგეზის თანახმად, „მახჴში“ ბაბილონელები იგულისხმება (Блаженный Феодорит 1859: 439), წმინდა ეფრემ ასურის განმარტებით კი – სედეკიას დატყვევება (Святой Ефремъ 1995b: 18).

⁶⁴³ ეზეკ. 12. 8-16.

ტყვეობას მოასწავებდა (Блаженный Иероним 1886: 138, 139); (Блаженный Феодорит 1859: 438); (Святой Ефремъ 1995ბ: 18); (Толковая Библия 1909: 292). შენგრეული კედლიდან წინასწარმეტყველის გასვლა სედეკიას იერუსალიმიდან გაქცევას განასახიერებდა. სახის საბურველით დაფარვა აღნიშნავდა, რომ ლტოლვისას იუდეის მეფე თავისი ვინაობის დამალვას შეეცდებოდა (Блаженный Феодорит 1859: 438); (Блаженный Иероним 1886: 139). ნეტარი იერონიმე აღნიშნულ ქმედებას აკავშირებს სედეკიას შიშთანაც, რომელიც მას გაქცევისას მოიცავდა (Блаженный Иероним 1886: 141). ეზეკიელის მიერ სახის დაფარვა ასევე წინამოასწავებდა დატყვევებისას სედეკიას თვალების დათხრას (Блаженный Иероним 1886: 139, 141); (Толковая Библия 1909: 294).

წინასწარმეტყველების თანახმად, იერუსალიმიდან გაქცეული მეფე და მისი თანამებრძოლნი ბაბილონელების ტყვეობაში ჩავარდებოდნენ. იგივე ხვედრს გაიზიარებდნენ სამშობლოში დარჩენილი ებრაელები. ცოდვების შედეგად მოწეული განსაცდელით ღვთივრჩეულ ერს კერპთა ამაოება უნდა გაეცნობიერებინა და გაეგო, რომ ღმერთი ყოვლისმპყრობელია და სასჯელი მისი დაშვებით განხორციელდა. წარმართთა შორის გადასახლებული იუდეველები ცოდვების გამო ღვთისგან დასჯილების მაგალითნი იქნებოდნენ. ისინი უცხოტომელთა თანდასწრებით საკუთარი ცოდვებს აღიარებდნენ (Блаженный Иероним 1886: 142); (Блаженный Феодорит 1859: 440).

იერუსალიმიდან სედეკიას გაქცევა აღწერილია „მეოთხე მეფეთასა“ და იერემიას წიგნებში. წმინდა წერილის მიხედვით, მან დიდებულებთან ერთად ღამით⁶⁴⁴ სამეფო ბაღის გავლით⁶⁴⁵ გააღწია იერუსალიმიდან (წინასწარმეტყველების თანახმად, სედეკიას ჯარისკაცები კედელს გაანგრევდნენ და ქალაქიდან ისე გავიდოდნენ⁶⁴⁶). ქალდეველებმა ისინი დაიჭირეს. ნაბუქოდონოსორის ბრძანებით სედეკიას თვალწინ დაუხოცეს შვილები, თვითონ იუდეის მეფე კი დააბრმავეს და გადასახლებაში წაიყვანეს. აქედან გამომდინარე, სედეკიას არ უხილავს ბაბილონი – ებრაელთა გადასახლების ქვეყანა⁶⁴⁷.

⁶⁴⁴ შდრ. ეზეკ. 12. 4: „...და განხვდე მწუხრი...“.

⁶⁴⁵ იხ.: 4 მეფ. 25. 4; იერ. 52. 7.

⁶⁴⁶ იხ. ეზეკ. 12. 12.

⁶⁴⁷ შდრ.: ეზეკ. 12. 6, „...და არა იხილო ქუეყანად...“; ეზეკ. 12. 13: „...და მან ქუეყანად არა იხილოს...“. ნეტარი იერონიმეს განმარტებით, აღნიშნულ ადგილზე „ქვეყანაში“ ბაბილონი იგულისხმება (Блаженный Иероним 1886: 139).

7.5. პურისა და წყლის განსაკუთრებული წესით მიღება

ეს სიმბოლური ქმედება ზემოაღნიშნული წინასწარმეტყველების შემდეგ, XII თავშივე, არის აღწერილი.

„და იყო სიტყუად უფლისაჲ ჩემდა მომართ და თქუა: ძეო კაცისაო, პური შენი სალმობით⁶⁴⁸ ჭამე და წყალი შენი ჭირით და ტანჯვით⁶⁴⁹ სუ! და არქუ ერსა მას ქუეყანისასა: ამას იტყვს უფალი უფალი მკვდრთა მიმართ იერუსალჴმისათა, ქუეყანასა ისრაჴლისასა: პურსა მათსა ნაკლულევანებით⁶⁵⁰ ჭამდენ და წყალსა მათსა განრყუნილებით⁶⁵¹ სუმიდენ, რადთა განიკრწნეს ქუეყანაჲ სავსებითურთ თვისით, რამეთუ უღმრთოებით არიან ყოველნი, რომელნი მკვდრ არიან მას ზედა. და ქალაქნი, რომელნი მყოფ არიან მას ზედა, მოოკრდენ და ქუეყანაჲ განსარყუნელად მიეცეს და ცნან, რამეთუ მე ვარ უფალი უფალი“⁶⁵².

ეზეკიელის ზემოაღნიშნული სიმბოლური ქმედება იერუსალიმის ალყას უკავშირდება. წინასწარმეტყველს ებრძანა პურისა და წყლის განსაკუთრებული წესით მიღება, რაც მომავალში იერუსალიმის ალყის დროს ებრაელთა შიმშილსა და წყურვილს მოასწავებდა (Блаженный Иероним 1886: 144); (Блаженный Феодорит 1859: 440); (Толковая Библия 1909: 296). წმინდა მამები კონკრეტულად არ ამბობენ, თუ როგორ გამოიხატებოდა ეზეკიელის აღნიშნული კვების წესი, თუმცა ამის შესახებ წარმოდგენას

⁶⁴⁸ შდრ.: LXX: „μετ' ὀδύνης“ (ὀδύνη – ტკივილი, ტანჯვა, შეჭირვება, მწუხარება, ნაკლულევანება); სლავ.: „съ вѣдрѣнїи“. შემდეგ ტექსტებში წერია „კანკალით“: MT: „שֹׁדָד“; KJV: „with quaking“; რუს.: „с трепетом“. ახალქართულშიც იგივე ვითარებაა. ვულგატაში წერია: „in conturbatione“ (conturbatio – შფოთი, მღელვარება, წუხილი).

⁶⁴⁹ შდრ.: LXX: „μετὰ βιασίου καὶ θλίψεως“; სლავ.: „со срѣдѣнїемъ и скорѣнїи“. მასორეტულ ბიბლიაში წერია: „ცახცახით და მღელვარე ზრუნვით“ („нѣтѣнїи и нѣтѣнїи“). ვულგატაში არის: „აჩქარებით და მწუხარებით“ („in festinatione et maerore“), მეფე ჯეიმსის ბიბლიაში – „კანკალით და სიფრთხილით“ („with trembling and with carefulness“). რუსულ სინოდალურ თარგმანში წერია: „ცახცახით და მწუხარებით“ („с дрожанием и печалью“), ახალქართულ თარგმანში – „შიშით და ძრწოლით“.

⁶⁵⁰ შდრ.: LXX: „μετ' ἐνδειᾶς“; სლავ.: „съ недовѣткою“. მასორეტულ ბიბლიაში წერია: „მღელვარე ზრუნვით“ („нѣтѣнїи“, შდრ. VUL: „in sollicitudine“ (sollicitudo – მღელვარება, ზრუნვა). მეფე ჯეიმსის ბიბლიაში არის: „სიფრთხილით“ („with carefulness“), რუსულ სინოდალურ თარგმანში – „მწუხარებით“ („с печалью“), ახალქართულ თარგმანში – „ძრწოლით“.

⁶⁵¹ შდრ.: LXX: „μετὰ ἀφαισιμῶν“; სლავ.: „съ пѣрѣнїи“; VUL: „in desolatione“. მასორეტულ ბიბლიაში წერია: „შიშით“ („иῶმῶს“), მეფე ჯეიმსის ბიბლიაში – „გაკვირვებით“ („with astonishment“), რუსულ სინოდალურ თარგმანში – „დაღვრემილობით“ („в унынии“), ახალქართულ თარგმანში – „სასოწარკვეთაში“.

⁶⁵² ეზეკ. 12. 17-20.

გვიქმნის წმინდა წერილის ბიბლიის ძველქართულენოვან ტექსტსა და სხვადასხვაენოვან ბიბლიაში პარალელურ იკითხვისებზე დაკვირვება⁶⁵³.

ნეტარი იერონიმე სასჯელთან დაკავშირებულ საუფლო სიტყვებს შინაარსობრივად ასე გადმოსცემს: „მათი ბოროტმოქმედებათა და ბიწიერებათა გამო იუდეის ყველა ქალაქი უდაბნოდ იქცევა და ქვეყნის მთელი მოსახლეობა გაწყდება, რათა მათ შეიმეცნონ უფალი, როგორც დამსჯელი, რომლის შემეცნებაც არ სურდათ, როდესაც მათ წყალობდა“ (Блаженный Иероним 1886: 144).

ნეტარი თეოდორიტე ზემოაღნიშნულ ბიბლიურ სიტყვებს ასეთ პერიფრაზს უკეთებს: „რამდენადაც იყენებდით რა ჩემ მიერ მონიჭებულ სიკეთეებს და მიწის ნაყოფებით ტკბებოდით, მომცემელი ვერ შეიმეცნეთ... ამდენად სიკეთეების დაკარგვისა და ქალაქების გაუდაბურებისას ჩემს მეუფებრიობას გაიგებთ“ (Блаженный Феодорит 1859: 441).

ნეტარი იერონიმე ზემოხსენებულ წინასწარმეტყველებას ქრისტეს ეკლესიის წევრებთან მიმართებითაც განიხილავს. წმინდა მამის ეგზეგეზის თანახმად, იერუსალიმის მკვიდრნი არიან ქრისტიანები, ხოლო პური და წყალი – ეკლესიის სწავლება, რომელსაც მორწმუნენი ცოდვათა სიმრავლის გამო შეიძლება მოაკლდნენ⁶⁵⁴. ეს უკანასკნელი ქრისტეს სამწყსოს შემცირებას გამოიწვევს და „ქალაქები, რომელშიც მთელ ქვეყანაზე არსებული ეკლესიები იგულისხმება, განადგურდება და მიწა გაუდაბურდება, რათა ყველამ გაიგოს უფლის განრისხების შესახებ. ეს (განმარტება, ც. ჩ.) შეგვიძლია (ეკლესიის, ც. ჩ.) დევნილობის დროსთან მიმართებითაც გავიგოთ“ (Блаженный Иероним 1886: 145).

⁶⁵³ იხ. სქოლიოები: 648-651.

⁶⁵⁴ იხ. ამოს. თ. 8.

7.6. გზების გამოსახვა

აღნიშნული სიმბოლური ქმედება ეზეკიელის წიგნის XXI თავშია აღწერილი.

„და იყო სიტყუად უფლისად ჩემდა მომართ და თქუა: და შენ, ძეო კაცისაო, განაწესენ თავისა შენისა ორნი გზანი შესლვად მახვლი მეფისა ბაბილოვნისაჲ; სოფლისაგან ერთისა გამოვიდენ გუნდნი ორნი“⁶⁵⁵...“⁶⁵⁶.

ეზეკიელს გარკვეულ ადგილზე ნახაზი უნდა შეესრულებინა. ნეტარი თეოდორიტეს განმარტებით, ეს იყო ხაზი, რომელიც ერთი წერტილიდან გამოდიოდა და გაგრძელებაზე ორად იყოფოდა (Блаженный Феодорит 1859: 528)⁶⁵⁷.

ეზეკიელის სიმბოლური ნახაზი წინამოასწავებდა ნაბუქოდონოსორის ლაშქრობის გზის გარკვეულ ეტაპს, რომელიც, მკვლევართა თვალსაზრისით, ბაბილონის მეფემ ამბოხებულ სახელმწიფოთა დასჯის მიზნით წამოიწყო (Толкование 1996: 277-278); (Толковая Библия 1909: 344). განმმარტებელთა თანახმად, აღნიშნულ დროს მეფემ ვერ გადაწყვიტა, თუ რა მიმართულებით წასულიყო, ამიტომ დაიწყო მკითხაობა (Блаженный Иероним 1886: 307); (Святой Ефремъ 1995ბ: 30); (Блаженный Феодорит 1859: 529); (Толковая Библия 1909: 345). ამის შესახებ ვრცლად ქვემოთ ვისაუბრებთ.

„...და კელი დასაბამსა გზისა ქალაქისასა, თავსა გზისასა დააწესო“⁶⁵⁸ შესლვად მახვლი რაბათდ, ძეთა ამონისთა, და იღუმეად⁶⁵⁹ და იერუსალჴმდ შორის მისსა“⁶⁶⁰.

⁶⁵⁵ LXX-ში წერია: „ერთი ქვეყნიდან გამოვლენ ორნი“ („ἐκ χώρας μιᾶς ἐξέλουσονται αἱ δύο“; შდრ. ეზეკ. 21. 19, სლავ.: „ѿ странъ единыхъ изыдуть двѣ“) („ერთი ქვეყნიდან გამოვა ორი საწყისი“), მასორეტულში – „ერთი მიწიდან გამოვა ორივე მათგანი“ („מִן־אֶרֶץ אֶחָד יֵצְאוּ שְׁנֵי דְרָגִים“; შდრ.: ეზეკ. 21. 19, VUL: „de terra una egredientur ambo“; KJV: „both twain shall come forth out of one land“; რუს.: „обе они должны выходить из одной земли“; ეზეკ. 21. 24, ახალქართ.: „ერთი ქვეყნიდან გამოვა ორივე“).

⁶⁵⁶ ეზეკ. 21. 23-24.

⁶⁵⁷ წმინდა წერილი არ საუბრობს იმაზე, თუ უშუალოდ სად სრულდება ნახაზი. „შესაძლებელია, იმ ქვიშებზე, რაზეც თელ-ავივი (იხ. ეზეკ. 3. 15, MT) აშენდა“ (Толковая Библия 1909: 344). ბოლო დროის ზოგიერთი კომენტატორი ფიქრობს, რომ ეზეკიელმა ნახაზი გააკეთა აგურზე (Friebel 1999: 308).

⁶⁵⁸ შდრ.: LXX: „καὶ χεῖρ ἐν ἀρχῇ ὁδοῦ πόλεως ἐπ’ ἀρχῆς ὁδοῦ διατάξει“; ეზეკ. 21. 19, სლავ.: „и рѣчь ѿгортѣвануть въ началѣ пути рѣда, ѿ начала пути ѿчиннши“. მასორეტულ ტექსტში წერია: „და აირჩიე ადგილი, აირჩიე ქალაქისკენ მიმავალი გზის თავზე. მონიშნე გზა“ („וַיִּשָׂא יָדָא וַיִּבְרַח יָדָא וַיִּשָׂא יָדָא וַיִּבְרַח יָדָא וַיִּשָׂא יָדָא“; შდრ.: ეზეკ. 21. 19-20, VUL: „et manu capiet coniecturam in capite viae civitatis coniciet. Viam pones“ („და ხელით იმარჩიელებს, ქალაქის გზის თავზე იმკითხავებს. გამოსახე გზა“), KJV: „and choose thou a place, choose *it* at the head of the way to the city. Appoint a way“, რუს.: „и начертай руку, начертай при начале дорог в города. Представь дорогу“, ეზეკ. 21. 24-25, ახალქართ.: „ქმენი ნიშანი, ქალაქის მთავარ გზაზე ქმენი. დასახე გზა“).

კომენტატორთა თანახმად, რაბათი იყო ამონელთა დედაქალაქი (შემდგომში ფილადელფია (Блаженный Иероним 1886: 307); (Блаженный Феодорит 1859: 529), დღევანდელი ამანი – იორდანის დედაქალაქი (Толкование 1996: 278); (Толковая Библия 1909: 344). ნეტარი თეოდორიტეს თქმით, „რაბათი“ იმიტომ კონკრეტდება შესიტყვებით „ძეთა ამონელთა“, რომ არსებობდა იმავე სახელწოდების სხვა ქალაქიც (Блаженный Феодорит 1859: 528).

ზემოთ მოტანილ მუხლებზე დაყრდნობით მკვლევრები (დ. ბლოქი, ჯ. ჰ. ვევერსი, ვ. ციმერლი) ვარაუდობენ, რომ **სიმბოლურ ქმედებაში** ეზეკიელს ხაზგამყოფ წერტილზე ფიზიკური საგანი უნდა განეთავსებინა. ეს, შესაძლებელია, ყოფილიყო ბოძი ორი ნიშნით. თითოეული მათგანი აჩვენებდა გარკვეულ მიმართულებას (1. იერუსალიმი 2. რაბათი) შესაბამისი ხაზის მიხედვით. აღნიშნულ სვეტს მკვლევრები საგზაო მიმართულების მაჩვენებელ ბოძს უსადაგებენ, რომელიც თანამედროვე ყოფაში გზათა გასაყარებზე არიან განთავსებულნი. ეს მოსაზრება გამომდინარეობს ებრაული სიტყვა **יָד**-ის (**Yad**) მნიშვნელობიდან, რომელიც ბიბლიაში არაერთგვაროვანია. ჩვეულებრივ, **יָד** ითარგმნება, როგორც „ხელი“, თუმცა წმინდა წერილის გარკვეულ ადგილებზე „მონუმენტს“ ნიშნავს (Friebel 1999: 308); (Толковая Библия 1909: 344)⁶⁶¹.

დანამდვილებით ვერ ვიტყვით, რომ წმინდა წერილი აღნიშნულ ადგილზე უშუალოდ სვეტზე საუბრობს. ეკლესიის მამები ამ საკითხზე დაზუსტებით არ საუბრობენ. სავსებით შესაძლებელია, რომ ეზეკიელმა მართლაც ხელი გამოსახა. ამ თვალსაზრისს წმინდა წერილის რუსული და ახალქართული თარგმანებიც ამყარებენ⁶⁶².

ვფიქრობთ, ხელის გამოსახულება ნაბუქოდონოსორის მარჩიელობას ნიშნავდა:

⁶⁵⁹ შდრ. J: „იდუმეად“. როგორც ვხედავთ, აღნიშნულ ადგილზე იერუსალიმის ბიბლიურ ხელნაწერში გარკვეული მიზეზების გამო „იდუმეა“ წერია. **სამოცდაათთა თარგმანში, მასორეტულ ტექსტში, ვულგატაში (მუხლ. 20), სლავურში (მუხლ. 20), მეფე ჯეიმსის ბიბლიაში (მუხლ. 20), გელათისა და საბას ბიბლიებში, რუსულ სინოდალურ (მუხლ. 20) და ახალქართულ თარგმანებში წერია „იუდა“.**

⁶⁶⁰ ეზეკ. 21. 24-25.

⁶⁶¹ იხ.: 3 მეფ. 15. 12; 4 მეფ. 18. 18; ეს. 56. 5. გეზენიუსის ვარაუდით, მონუმენტის აღმნიშვნელად ამ სიტყვის გამოყენება სხვადასხვა დანიშნულების „კიპუსების“ (დაბალი სვეტები, რომლებსაც ჩვეულებრივ, წარწერა ჰქონდათ. შდრ. ლათ.: **cippus**) ან სამარის სვეტების გამოქანდაკების უძველეს ებრაულ წესს უკავშირდება – „გაშლილი ხელი და მკლავი“ (Gesenius 1844: 383).

⁶⁶² იხ. სქოლიო 658. ეზეკიელმა რომ გამოსახულება შექმნა, ამ მოსაზრებას მკვლევარი დ. ბიუზიც გამოთქვამს (Friebel 1999: 308).

„რამეთუ დადგეს მეფე ბაბილოვნისად პირველსა მას გზასა, თავსა ზედა ორთა გზათასა, მისნობად მისნობისა, აღმოცენებად კუერთხი⁶⁶³ და კითხვად გამოქანდაკებულთა და ტყირბის-მსტურობად“⁶⁶⁴.

ზემოაღნიშნული ლაშქრობისას ნაბუქოდონოსორმა მიაღწია იმ პუნქტს, საიდანაც ერთი გზა იერუსალიმისკენ მიდიოდა, მეორე კი – რაბათისკენ. ზემოთქმულისებრ, თავდაპირველად მეფე ორჭოფობდა, რომელი ქალაქი დაელაშქრა. გადაწყვეტილების მისაღებად ნაბუქოდონოსორმა მკითხაობას მიმართა. ნეტარი იერონიმეს თქმით, ბაბილონის მეფემ ვერ გაბედა იერუსალიმისკენ გამგზავრება, რადგან ახსოვდა, რა ბედი ეწია სენაქირიმის ლაშქარს (Блаженный Иероним 1886: 307)⁶⁶⁵.

წმინდა წერილი გვაცნობს მკითხაობის იმ სახეებსაც, რაც ნაბუქოდონოსორმა ორჭოფობისას გამოიყენა. მასორეტული ტექსტის თანახმად, მეფემ სხვა წარმართულ წესებთან (მაგ.: შიგნეულობაზე მკითხაობა⁶⁶⁶) ერთად ისრებით მარჩიელობას (ბერძნ. **βελομαντία**) მიმართა, ხოლო სეპტუაგინტას მიხედვით – კვერთხებით მკითხაობას (ბერძნ. **ράβδομαντία**)⁶⁶⁷.

ნაბუქოდონოსორის ლაშქრობის ამ ნაწილს წმინდა წერილში მხოლოდ ეზეკიელის წიგნი ეხება. მკვლევრებისთვის უცნობია მასთან დაკავშირებული რაიმე ისტორიული

⁶⁶³ შდრ.: LXX: „τοῦ ἀναβράσαι ῥάβδον“; ეზეკ. 21. 21, სლავ.: „ѣкоже вскипѣти же҃зѣ“. მასორეტულ ტექსტში წერია: „შეარხია ისრები“ („**וַיִּשְׁרֹטוּ לְקֶלֶב**“, შდრ. ეზეკ. 21. 21, რუს.: „трясет стрелы“). ებრაული ზმნა **לְקֶלֶב** (**Qilqal**) სხვადასხვაგვარად გადავიდა ვულგატაში, მეფე ჯეიმსის ბიბლიასა და ახალქართულ თარგმანში: ეზეკ. 21. 21, VUL: „commiscens sagittas“ („ამრეველი ისრებისა“), KJV: „he made *his* arrows bright“, ეზეკ. 21. 26, ახალქართ.: „ისვრის ისრებს“.

⁶⁶⁴ ეზეკ. 21. 26.

⁶⁶⁵ იხ.: ეს. 37. 36; 4 მეფ. 19. 35.

⁶⁶⁶ „ტყირბის-მსტურობა“ – ღვიძლით მარჩიელობა (ი. აბულაძე).

⁶⁶⁷ იხ. სქოლიო 663. ხ. მალდონადოს თქმით, ისრებით მარჩიელობა გულისხმობდა კაპარჭში წარწერებით აღნიშნული ისრების ჩაწყობასა და შემდეგ ერთ-ერთის ამოღებას. ამ უკანასკნელზე რაც ეწერებოდა, ხალხი იმას ადასრულებდა (Толковая Библия 1909: 345). წმინდა ეფრემ ასური აღნიშნული სახის მკითხაობაზე საუბრისას ყურადღებას ამახვილებს ისრის სროლაზე (წმინდა ეფრემ ასური განმარტავს ტექსტს, სადაც სიტყვების „აღმოცენებად კუერთხი“ ადგილზე წერია „ისვრის ისარს“ (Sancti Ephraem 1740: 184; შდრ. ეზეკ. 21. 26, ახალქართ.).

წმინდა კირილე ალექსანდრიელის თქმით, კვერთხებით მარჩიელობის დროს, ორ კვერთხს ერთმანეთის გვერდიგვერდ დგამდნენ და მათ საიდუმლო შელოცვას უსრულებდნენ. კვერთხები დემონური ძალების საშუალებით იხრებოდნენ და გარკვეული მიმართულებით ცვივდებოდნენ. ეს მკითხაობის შედეგად მიღებულ პასუხად ითვლებოდა (Святитель Кирилл 2006а: 138-139). კვერთხებით მარჩიელობას ოსე წინასწარმეტყველიც ახსენებს (იხ. ოს. 4. 12). სავსებით შესაძლებელია, რომ ორჭოფობისას ნაბუქოდონოსორმა ყველა ზემოდასახელებულ საშუალებას მიმართა. ბაბილონის მეფის მარჩიელობა მცირე ხანს რომ არ გაგრძელებულა, ამას განსახილველი თავის 28-ე მუხლიც ადასტურებს (მკითხაობის ფაქტი იუდეაში მცხოვრები ებრაელებისთვისაც გახდა ცნობილი, რასაც გარკვეული დრო დასჭირდებოდა).

წყარო. ნეტარი თეოდორიტე და ნეტარი იერონიმე დაზუსტებით არ საუბრობენ აღნიშნულ მოვლენაზე. ამ მხრივ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს წმინდა ეფრემ ასურის ეგზეგეზა. წმინდა მამის თქმით, ლაშქრობისას ნაბუქოდონოსორი ანტიოქიიდან რაბათისკენ გაემგზავრა ზღვის სანაპიროს გავლით (წმინდა მამის განმარტებით, 24-ე მუხლში ნახსენებ ქალაქში ანტიოქია იგულისხმება (Святой Ефремъ 1995ბ: 29). ის ქალაქ ემუსთან⁶⁶⁸, იგივე ემთან, დაბანაკდა. სწორედ აქ მიმართა მეფემ მარჩიელობას. წმინდა ეფრემის თქმით, ნაბუქოდონოსორს სურდა გაეგო, წასულიყო ჩრდილოეთით, ტვიროსისკენ თუ ანტიოქიისკენ და იქიდან იერუსალიმში (Святой Ефремъ 1995ბ: 30).

სხვა კომენტატორები განსახილველი ბიბლიური ეპიზოდის ტექსტზე დაყრდნობით ნაბუქოდონოსორის სალაშქრო გეგმებში მხოლოდ იერუსალიმსა და რაბათს ასახელებენ (Блаженный Иероним 1886: 307); (Блаженный Феодорит 1859: 528); (Толковая Библия 1909: 345). აღნიშნულ ადგილზე ტვიროსს არც წმინდა წერილი ახსენებს⁶⁶⁹. მიუხედავად ამისა, წმინდა ეფრემ ასურის ეგზეგეზა აღნიშნულ კომენტატორთა განმარტებებს კი არ ეწინააღმდეგება, არამედ ისტორიული ცნობებით ავსებს. რა თქმა უნდა, ნაბუქოდონოსორს არაერთი ქალაქის დამორჩილება სურდა. იერემიას წიგნის XXVII თავის მიხედვით, ბაბილონელთა წინააღმდეგ ამბოხს, იუდეისა და ამონის გარდა, ტვიროსიც გეგმავდა.

„მარჯუენით მისსა იყოს სამისნობელი: იერუსალჴმდ მიმართ...“⁶⁷⁰.

კომენტატორთა თანახმად, ზემოთ მოტანილ მუხლებში გადმოცემულია წინასწარმეტყველება ნაბუქოდონოსორის მარჩიელობის შედეგზე. მკითხაობის საშუალებით ბაბილონის მეფე იერუსალიმზე თავდასხმის გადაწყვეტილებას მიიღებდა (Блаженный Иероним 1886: 307); (Блаженный Феодорит 1859: 530); (Святой Ефремъ 1995ბ: 30); (Толковая Библия 1909: 345).

ნაბუქოდონოსორი თავისი არმიით იერიშს მიიტანდა დავითის ქალაქზე და მას ალყაში მოაქცევდა: „...მოდებად მას ლაშქარი და ალებად პირისა ლაღადებით და აღმაღლებად ჳმაღ ვალალებით, მოდგმად ლაშქარი ბჳეთა მისთა და მოდებად მიწაჲ და შჴნებად საისართა“⁶⁷¹.

⁶⁶⁸ აღნიშნული ქალაქის ადგილმდებარეობა ჩვენთვის უცნობია.

⁶⁶⁹ იხ. ეზეკ. 21. 25.

⁶⁷⁰ ეზეკ. 21. 26-27.

⁶⁷¹ ეზეკ. 21. 27.

1859: 530). ნეტარი იერონიმეს თქმით, ნაბუქოდონოსორი გამარჯვების იმედს იმ ფაქტზე დაამყარებდა, რომ ღვთივრჩეული ერი მოსეს რჯულს არღვევდა და იაჰვესაგან განმდგარიყო: „...და მან მოაქსენოს სიცრუვე მათი მოკსენებად⁶⁷⁷“ (Блаженный Иероним 1886: 308)⁶⁷⁸.

„ამისთვის ამას იტყვს უფალი უფალი: რამეთუ მოიკსენეთ თქვენ სიცრუვე თქუენი⁶⁷⁹, რადთა განცხადნეს უღმრთოებად თქუენი და ჩნდენ ცოდვანი თქუენნი ყოველთა შინა უღმრთოებათა თქუენთა და საქმეთა შინა თქუენთა, ამისთვის რამეთუ მოიკსენეთ, მათ შინაცა შეიპყრნეთ“⁶⁸⁰.

ნეტარი იერონიმეს თქმით, ებრაელებმა „...უფალი განარისხეს, მამების ცოდვები ახალი დანაშაულებით გაამრავლეს და მათი რწმენის ღალატი ყველასთვის განცხადდა“ (Блаженный Иероним 1886: 308). ნეტარი თეოდორიტე ღვთის ზემოაღნიშნულ სიტყვებს შემდეგნაირად განმარტავს: „თქვენ გახდით დამნაშავეები იმაში, რომ მტრები თამამნი არიან და დემონებმა სიმართლე თქვეს... (თქვენი მტრები, ც. ჩ.) ხედავენ, რომ მოვლენები მისნობებს ეთანადებიან...“ (Блаженный Феодорит 1859: 530-531).

რჯულის საწინააღმდეგო ცხოვრების მიზეზით იუდეველებმა ღვთის წყალობა დაკარგეს, ბაბილონელთა ხელში ჩაცვივდნენ და სამოცდაათ წლიანი ტყვეობით დაისაჯნენ.

უნდა აღინიშნოს, რომ მომავლის გამოცნობისას დემონებმა გარკვეული შეცდომა დაუშვეს. წმინდა ეფრემ ასურის განმარტებით, ბაბილონელები დარწმუნებულნი იყვნენ გამარჯვების სწრაფ მოპოვებაში, თუმცა მათ იერუსალიმი მხოლოდ ცხრამეტოვანი ალყის შემდეგ აიღეს (Святой Ефремъ 1995ბ: 30). წმინდა ეფრემი ოცდამეგრევე მუხლს ბაბილონელებთან მიმართებით განიხილავს. აღნიშნულ შემთხვევაში, ის ეყრდნობა სამოცდაათთა თარგმანის მიმყოლ ტექსტს (იხ. სქოლიო 672).

ამრიგად, ებრაელთა ცოდვების გამო ღვთის დაშვებით ეშმაკებს მიეცათ იმ მომავლის ბუნდოვანი ცოდნა, რომლის შესახებ წინასწარმეტყველებმა უკვე გააფრთხილეს ებრაელები, მაგრამ მათ არ გულისხმავდნენ.

⁶⁷⁷ შდრ.: LXX: „μνησθήνα“; ეზეკ. 21. 23, სლავ.: „помянути“. მასორეტულ ტექსტში წერია: „რომ შეპყრობილ იქნან“ („שָׁמְרוּ“ შდრ.: ეზეკ. 21. 23, VUL.: „ad capiendum“; KJV.: „that they may be taken“; რუს.: „положил взять его“; ეზეკ. 21. 28, ახალქართ.).

⁶⁷⁸ ეზეკ. 21. 28.

⁶⁷⁹ შდრ.: LXX: „ἀνεμνήσατε τὰς ἀδικίας ὑμῶν“; ეზეკ. 21. 24, VUL.: „recordati estis iniquitatis vestrae“; სლავ.: „воспомяните неправды ваши“; ეზეკ. 21. 29, ახალქართ.: „თავად იხსენებთ თქვენს დანაშაულს“. მასორეტულ ტექსტში წერია: „თქვენი უსამართლობები გახსენებულ ყავით“ („מִן הַיַּיִן מְזַכְּרִינֶם“; შდრ.: ეზეკ. 21. 24, KJV.: „ye have made your iniquity to be remembered“, რუს.: „вы сами приводите на память беззаконие ваше“).

⁶⁸⁰ ეზეკ. 21. 29-30.

ზემოაღნიშნული მუხლების შემდეგ ბიბლია გადმოგვცემს ეზეკიელის მამხილებელ სიტყვებს, რომლებიც მეფე სედეკიას, მთავრებსა და მღვდლებს მიემართება.

ნეტარ იერონიმეს აღნიშნული **სიმბოლური ქმედების** სწავლა-მოდღვრებითი ხასიათის განმარტება მოაქვს, თუმცა ავტორს არ ასახელებს. ამ ეგზეგეზის თანახმად, რაბათი წარმართების სიმბოლოა, ხოლო იუდეა და იერუსალიმი – ქრისტიანებისა. ნაბუქოდონოსორი ჩასაფრებულ დემონს განასახიერებს. ის არის „აღრვეის“⁶⁸¹ მეფე... (რომელიც ც. ჩ.) გზების ყოველგვარ დასაწყისში დგას“ (Блаженный Иероним 1886: 306)⁶⁸². დემონი გზათა გასაყარზეა და სურს, რომ თავისი ქვეშევრდომნი მონობაში დააკავოს ან კიდევ სხვები დაიმონოს. ის ყოველთვის მარჯვნივ მიდის, ე. ი. – მათთან, ვინც სიმართლის მხარეზე დგას. დემონს ქრისტიანების დამორჩილება სურს „ტარანებითა და ამქვეყნიური საქმეების ყრილით“ (Блаженный Иероним 1886: 306), რათა ამით იხაროს. თავდაპირველად „იერუსალიმს“ ეჩვენება, რომ ეშმაკი ფუჭად ირჯება. თუმცა, რამდენადაც ეკლესიის წევრები „ბოროტი საქმეებით უწინდელ დანაშაულებს ახსენებენ მოწინააღმდეგე ძალებს, ცხადდება ერის ყველა ცოდვა და ზრახვა და მათ ატყვევებენ, რადგან უწინდელი დანაშაულები ახლით გაზარდეს“ (Блаженный Иероним 1886: 306-307).

7.7. ცოლის გარდაცვალებასთან დაკავშირებული

სიმბოლური ქმედება

აღნიშნული ბიბლიური ეპიზოდი ეზეკიელის წიგნის XXIV თავშია აღწერილი.

მეფე იოაკიმეს (იგივე იეჟონიას) ტყვეობის მეცხრე წლის მეათე თვის მეათე დღეს⁶⁸³ ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორმა იერუსალიმს ალყა შემოარტყა. უფალმა ეზეკიელს ეს მოვლენა იმავე დღეს განუცხადა და უბრძანა, რომ აღნიშნული რიცხვი ჩაეწერა. ასევე, უფლის კურთხევით, ეზეკიელს თანატომელებისთვის იგავური ფორმით უნდა გადაეცა წინასწარმეტყველება იერუსალიმის მომავალი განსაცდელის შესახებ.

⁶⁸¹ სიტყვა „ბაბილონი“ (ებრ.: **בבל** (**Bavel**)) ებრაულ ენაზე ნიშნავს „აღრევას“.

⁶⁸² შდრ. ფსალმ. 139. 6: „დამირწყეს მე ამპარტავანთა მახე“.

⁶⁸³ იხ. ეზეკ. 24. 1; დაახ. ძვ. წ. 587 წლის იანვარი.

აღნიშნული დავალების შესრულების შემდეგ წმინდანს **სიმბოლური ქმედება** უნდა აღესრულებინა.

„და იყო სიტყუად უფლისად ჩემდა მომართ და მრქუა: ძეო კაცისაო! აჰა-ესერა, მე მოვიხუნე შენგან გულისსათქუმელნი თუალთა შენთანი **განწყობით**⁶⁸⁴, არა დაიტყებო და არცა დაიტურო, სულთქუმითა სისხლითა, **ნაწლევთა**⁶⁸⁵ **გლოვითა**⁶⁸⁶ იყო შენ, არა იყოს **თმაჲ შენი შეთხზულ შენ ზედა**⁶⁸⁷ და ჯამლნი შენნი ფერჯთა შენთა, არა ნუგეშინის-იცე ბაგითა მათითა და პური კაცთაჲ არა შჳამო“⁶⁸⁸.

უფალმა ეზეკიელს უთხრა, რომ მისი თვალების საწადელს წაიყვანდა. ასე ამცნო ღმერთმა წმინდა მოღვაწეს, რომ მისი მეუღლე გარდაიცვლებოდა. წინასწარმეტყველს ებრძანა, რომ ცოლის სიკვდილზე მწუხარება არ გამოეხატა და ყოველგვარ ნუგეშზე უარი ეთქვა. ეზეკიელს მეუღლის გარდაცვალება უნდა გადაეტანა ფარული გლოვით. ნეტარი იერონიმეს განმარტებით, უფალი წინასწარმეტყველს ცოლის სიკვდილის შესახებ რომ ესაუბრებოდა, ამას ეზეკიელი მიხვდა გამოთქმით: „სულთქუმითა

⁶⁸⁴ შდრ. LXX: „ἐν παρατάξει“ (παρατάξις – 1. საბრძოლო განწყობა 2. ბრძოლა 3. **მომზადება**). ნეტარი იერონიმეს თქმით, სიტყვებში: „მე მოვიხუნე შენგან გულისსათქუმელნი თუალთა შენთანი **განწყობით**“ იგულისხმება ის, რომ უფალმა ეზეკიელი ცოლის გარდაცვალებისას მიცვალებულის გლოვისას ტრადიციული ქმედებების აღსრულებისაგან თავშეკავებისთვის წინდაწინ შეამზადა (Блаженный Иероним 1886: 346).

⁶⁸⁵ ნაწლევით – ნაწლავი, შინაგანი, მუცლიერი (ი. აბულაძე); შდრ. ძველქართ. „წელი“.

⁶⁸⁶ შდრ.: LXX: „ὀσφύος πένθους“ (ὀσφύς – 1. წელი; 2. მუცელი ან წელი, როგორც განაყოფიერების ორგანოების ადგილი; 3. სარტყელი. ეს ტერმინი ბიბლიაში სხვადასხვა მნიშვნელობით გამოიყენება, მაგ.: ტერმინი „წელი“ (ბერძნ. **ὀσφύς**) ებრაელთა მიმართ ეპისტოლეში უკავშირდება შთამომავლობას: „და, რადთა მოკლედ ვთქუათ, აბრაჰამისთვის და ლევისთვის, და რომელი ათეულსა მიიღებს, ათეულადვე შეწირულ არს; რამეთუ **წელთაჲ შინა მამისათა იყო**, ოდეს-იგი შეემთხვა მას მელქისედეკ“ (ებრ. 7. 9-10). აღნიშნული შესიტყვება ეფესელთა მიმართ ეპისტოლეში გამოიყენება ამქვეყნიური სურვილების შინაარსით: „მტკიცედ უკუე დეგით, **მოირტყენით წელნი** თქუენნი ჳემმარტებითა“ (ეფეს. 6. 14); სლავ.: „**уцѣлю плѣчу**“; S: „გოდებაჲ წელთაჲ“; ნეტარი იერონიმე აღნიშნული ადგილის სეპტუაგინტას თარგმნის როგორც: „renum luctus“ (PL 1884: 228). სიტყვების: „სულთქუმითა სისხლითა, ნაწლევთა გლოვითა იყო შენ“ ადგილზე მასორეტულ ტექსტში წერია: „იკვენსე ჩუმაჲ, მიცვალებულზე გლოვას ნუ გამართავ“ („**וַיִּחַד נַפְשׁוֹ אֶת הַלְּוִיָּהּ**“). ებრაული ტერმინი **לְוִיָּהּ (Evel)** საკუთრივ სამგლოვიარო ცერემონიას აღნიშნავს), შდრ.: VUL: „ingemesce tacens mortuorum luctum non facies“; KJV: „Forbear to cry, make no mourning for the dead“; რუს.: „вздохай в безмолвии, плача по умершим не совершай“. ამგვარადვე წერია ახალქართულშიც.

⁶⁸⁷ შდრ.: LXX: „ὀσφύς ἔσται τὸ τρίχωμά σου συμπεπλεγμένον ἐπὶ σε“; S: „არა იყოს თმიანობაჲ შენი შეთხზულ შენ ზედა“. ამის მაგიერ მასორეტულ ტექსტში წერია: „შეიკარი შენი თავი შემოსაკრავით“ („**וַיִּבְרַח שׁוֹבֵל כְּוָרָה**“ შდრ.: KJV: „bind the tire of thine head upon thee“; რუს.: „связывай себя повязкою“. **ვულგატაში არის**: „შენი გვირგვინი იყოს გარსშემორტყმული შენზე“ („corona tua circumligata sit tibi“).

ნეტარი იერონიმეს მიხედვით, **აღნიშნულ ადგილზე სეპტუაგინტაში ეწერა**: „**იყვენ თმები შენი შეკრული შენზე**“ (შდრ. ლათ.: „Erunt crines tui colligati super te“ (PL 1884: 228). სავარაუდოდ მას ხელთ ისეთი ბერძნული ტექსტი ჰქონდა, სადაც არ იყო უარყოფითი ნაწილაკი ὀσφ. ნეტარი იერონიმეს წაკითხვას მხარს უჭერს სლავური თარგმანიც: „**да въдоху твои сплетѣни на тебе**“. ამგვარადვე კითხულობდა ნეტარი თეოდორიტეც: „Ἔσται τὸ τρίχωμά σου συμπεπλεγμένον ἐπὶ σε“ (PG 1864დ: 1056).

⁶⁸⁸ ეზეკ. 24. 15-17.

სისხლითა, ნაწლევთა გლოვითა იყო შენ⁶⁸⁹. ნეტარი მამა აღნიშნულ ეგზეგეზას ღვთისგან ნაკურთხი ქორწინებითი კავშირის მნიშვნელობაზე ამყარებს: „ამისთვის დაუტეოს კაცმან მამად თვისი და დედად თვისი და შეეყოს ცოლსა თვისსა და იყვნენ ორნივე იგი ერთ ჯორც“⁶⁹⁰. იგი აღნიშნავს, რომ ეზეკიელის წიგნის ზემოთ მოტანილ სიტყვებს იმთავითვე მოსდევს შემდეგი წინადადება: „და მოკვდა ცოლი ჩემი სადამო ჟამს⁶⁹¹, რაც საკუთრივ მიემართება წილების შეერთებას⁶⁹². ვინაიდან ქმრისთვის არაფერია კეთილ ცოლზე საყვარელი... რომელთანაც უფლის რჯულით ერთდება და მასთან ერთ სხეულს შეადგენს“ (Блаженный Иероним 1886: 346).

ნეტარი თეოდორიტე მე-17-ე მუხლის ზემოთ მოხმობილ სიტყვებს წინასწარმეტყველის იმ უმძიმესი შინაგანი მდგომარეობის შინაარსით განმარტავს, რაც მას ცოლის გარდაცვალების დროს ექნებოდა. მისი ეგზეგეზის თანახმად, ტერმინით **ბძფც** უფალმა გააცხადა ეზეკიელის „შვილიერების“⁶⁹³ (Блаженный Феодорит 1859: 564), ე. ი. წარმოშობის (იგულისხმება ცრემლთა ღვრა) სამომავლო სურვილი. როდესაც ეზეკიელს ცოლი გარდაეცვლებოდა მას უდიდესი მწუხარება მოიცავდა. ნეტარი თეოდორიტე ნიშანდობლივად აღნიშნავს, რომ მიუხედავად უმძიმესი შინაგანი მდგომარეობისა, რაც წინასწარმეტყველს მოიცავდა, მას ტირილისგან თავი უნდა შეეკავებინა (Блаженный Феодорит 1859: 564).

კომენტატორთა თანახმად, ეზეკიელს ყველა იმ ქმედების აღსრულება ეკრძალებოდა, რასაც, ჩვეულებისამებრ, ჭირისუფალი მიმართავდა. მას თმები არ უნდა გადაეპარსა, ფეხშიშველი არ უნდა ევლო და უარი ეთქვა სანუგეშო ტრაპეზზე – ე. წ. ქელეხზე (Блаженный Иероним 1886: 346-347); (Блаженный Феодорит 1859: 564); (Толковая Библия 1909: 367)⁶⁹⁴. ბიბლიის მასორეტულ ტექსტში ეზეკიელისთვის უფლისაგან აკრძალულ ქმედებებში სახის დაფარვაც შედის⁶⁹⁵.

⁶⁸⁹ ეზეკ. 24. 17. იხ. სქოლიო 686.

⁶⁹⁰ დაბ. 2. 24.

⁶⁹¹ იხ. სქოლიო 699.

⁶⁹² შდრ.: ლათ.: „conjunctionem renum“ (PL 1884: 229); იხ. სქოლიოები: 685 და 686.

⁶⁹³ იხ. სქოლიო 686.

⁶⁹⁴ ნეტარი იერონიმე ეზეკიელისათვის აკრძალულ სანუგეშო საზრდელს უკავშირებს ბერძნულ ტერმინს **περιδειπνον** („ქელეხი“) (Блаженный Иероним 1886: 347). ამ ტერმინს იყენებს ნეტარი თეოდორიტეც აღნიშნულ საკითხზე საუბრისას (PG 1864დ: 1056).

⁶⁹⁵ იხ.: ეზეკ. 24. 17, MT: „...**מִפְּחָהּ** **נִסְּחָהּ** **אֶלֶּ**...“ (ებრაულენოვანი სიტყვა **მფჷ** (**Safam**) „წვერს“ ნიშნავს. გეზენიუსი აღნიშნავს: „სავარაუდოდ (ებრაულად წვერი, ც. ჩ.) ასე იმიტომ იწოდება, რომ ფარავს და, ასე ვთქვათ, მოსავს ნიკაპს; სხვები მას აწარმოებენ **ნფჷ**-დან – „პირი“...“ (Gesenius 1844: 793); შდრ.: VUL: „...nec

ნეტარი იერონიმე ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ერთ იუდეურ განმარტებას გვამცნობს, რომელიც, რა თქმა უნდა, მასორეტული ტექსტის შესაბამის მონაკვეთს ესადაგება⁶⁹⁶. მათი თქმით, ეზეკიელს, როგორც სამღვდლო პატივის მქონეს, არ უნდა მოეხსნა ის შემოსაკრავი („დიდების გვირგვინი“ (Блаженный Иероним 1886: 347), რომელზეც, ჩვეულებრივ, ათი მცნება იყო დაწერილი (საუბარია ე. წ. „ტეფილინზე“⁶⁹⁷ იგივე „ფილაკტერიონზე“⁶⁹⁸), „თუმცა ჩვენ, სამოცდაათთა თანახმად, გვირგვინის ქვეშ მოვიაზრებთ თემებს თავზე...“ (Блаженный Иероним 1886: 347).

„და ვეტყოდე ერსა მას განთიად, ვითარცა-იგი მამცნო მე უფალმან მიმწუხრი⁶⁹⁹, და ეგრეთ ვყავ განთიად, ვითარცა მიბრძანა მე“⁷⁰⁰.

ზემოთ მოტანილ წინადადებაში ეზეკიელის მიერ თანატომელებისთვის საუფლო სიტყვათა გადაცემაზეა საუბარი (მ. სკაბალანოვიჩის ვარაუდით, ეს არის ეზეკიელის წიგნის XXIV თავის 1-14 მუხლებში აღწერილი წინასწარმეტყველება იერუსალიმის ალყის შესახებ (Толковая Библия 1909: 367-368).

ეზეკიელმა საუფლო სიტყვები ხალხს დილით გადასცა, სადამო ჟამს კი წინასწარმეტყველის მეუღლე გარდაიცვალა⁷⁰¹. მეორე დილას ეზეკიელმა ცოლი არ დაიტირა და არავითარი სამგლოვიარო ჩვეულება არ აღასრულა. წინასწარმეტყველის თანატომელებს დაინტერესათ, თუ რატომ არ ასრულებდა იგი საჭირისუფლო ტრადიციულ წესებს და არ ავლენდა მწუხარებას: „და მრქუა მე ერმან მან: არა მითხრა-ა ჩვენ, რად არს ესე, რომელსა შენ იქმ“⁷⁰²? ებრაელებს ეზეკიელის არაერთი **სიმბოლური ქმედება** ეხილათ. მკვლევართა თანახმად, ისინი მიხვდნენ, რომ წმინდანი უმიზეზოდ არ იქცეოდა ასე და **სიმბოლური ქმედების მნიშვნელობა** იკითხეს (Толковая Библия 1909: 368); (Толкование 1996: 286), რაზეც შემდეგი პასუხი მიიღეს:

amictu ora velabis...“ (ლათინური **os** (gen. oris) ნიშნავს „პირს“); KJV: „...and cover not thy lips“...; ახალქართ.: „...წვერებს ნუ დაიფარავ...“; რუს.: „...и бороды не закрывай...“.

⁶⁹⁶ იხ. სქოლიო 687.

⁶⁹⁷ შდრ. ებრ. **יָבֵשׁ** (არსებითი სახელის **יָבֵשׁ**-ს (**Tefilla**); ვედრება, ლოცვა) მრავლობითი რიცხვის ფორმა).

⁶⁹⁸ შდრ. ბერძნ.: **φυλακτήριον** (ზმნიდან **φυλάσσω** - დაცვა).

⁶⁹⁹ აღნიშნულ ადგილზე სამოცდაათთა თარგმანში, მასორეტულ ტექსტსა და ვულგატაში სადამო ჟამს ეზეკიელის ცოლის გარდაცვალებაზეა საუბარი: LXX: „καὶ ἀπέθανεν ἡ γυνὴ μου ἑσπέρας“ (შდრ. სლავ.: „и ѿмре жена моя въ вечерѣ“); MT: „בַּיָּמָה יָמָא תָּמָת“; VUL: „et mortua est uxor mea vesperi“.

⁷⁰⁰ ეზეკ. 24. 18.

⁷⁰¹ იხ. სქოლიო 699.

⁷⁰² ეზეკ. 24. 19.

„და ვარქუ მათ: სიტყუად უფლისად იყო ჩემდა მომართ და თქუა: არქუ სახლსა ისრაჴლისასა: ამას იტყვს ადონად უფალი: აჰა-ესერა, მე შევაგინო სიწმიდე ჩემი, შეკრებად ძალისა თქუენისად, და გულისსათქუმელი თუალთა თქუენთად და, რომლისათვის ერიდებიან სულნი თქუენნი. და ძენი თქუენნი და ასულნი თქუენნი, რომელნი დაგიშთენ, მახვლითა დაეცნენ. და ჰყოთ ეგრე, ვითარცა-სახედ ვყავ, პირისაგანვე მათისა არა ნუგეშინის-იცნეთ და პური კაცისად არა შჴამოთ. და გრძელი თმად თავთა ზედა თქუენთა და ჴამლნი თქუენნი ფერჴთა თქუენთა. არცა დაიტირნეთ, არცა დაიტყებნეთ და დასდნეთ სიცრუვითა თქუენითა და ევედრებოდით კაცად-კაცადი ძმასა თვისსა“⁷⁰³.

ღვთივრჩეული ერი სოლომონის ტაძრით ამაყობდა. ებრაელები აღნიშნულ სიწმინდეზე ამყარებდნენ მტრისაგან ხსნის იმედს.

იერუსალიმის ტაძარს უფალი წარმართთა ხელში ჩააგდებდა. მას უცხოტომელები შებილწავდნენ და დაწვავდნენ. უფლის სიტყვის თანახმად, ტაძართან ერთად განადგურდებოდა იერუსალიმის მოსახლეობაც. მიუხედავად იმისა, რომ გადასახლებაში მყოფი ებრაელები აღნიშნული ტრაგედიისაგან უდიდეს მწუხარებაში ჩაცვივდებოდნენ, ისინი ვარამის გამოხატვას ვერ შეძლებდნენ.

ჩნდება კითხვა: რატომ ვერ შეძლებდნენ ებრაელები მწუხარების გამოვლენას?

მაშინ, როდესაც იერუსალიმის დაცემა ებრაელთათვის საზარელი მოვლენა იყო, იგივე ფაქტი ბაბილონელთათვის მტერზე გამარჯვებას წარმოადგენდა. ეკლესიის მამათა განმარტებით, ბაბილონელთა ტყვეობაში მყოფ ებრაელებს დამპყრობელის სასიხარულო და საზეიმო განწყობის საწინააღმდეგოდ განხორციელებული ყოველგვარი ქმედება ექნებოდათ აკრძალული (Блаженный Иероним 1886: 348); (Блаженный Феодорит 1859: 566).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ნეტარი იერონიმე კიდევ ერთ განმარტებას გვთავაზობს. წმინდა მამის ეგზეგეზის თანახმად, იერუსალიმის დაცემა ებრაელთათვის იმდენად დიდ ტრაგედია იქნებოდა, რომ ამ მოვლენის შეტყობისას უკიდურესად მძიმე შინაგან მდგომარეობაში ჩაცვივდებოდნენ და მწუხარების გამოვლენასაც კი ვერ შეძლებდნენ (Блаженный Иероним 1886: 347-348).

⁷⁰³ ეზეკ. 24. 20-23.

წმინდა ეფრემ ასურის განმარტებით, ეზეკიელის „თვალთა საწადელად“ წოდებული ცოლის სიკვდილით წინამოესწავა სოლომონის ტაძრის დაწვა, „რომელიც ესოდენ სანუკვარი იყო ყოველი იუდეველის სულისთვის“ (Святой Ефремъ 1995ბ: 33). ნეტარი თეოდორიტე წმინდა წერილის განსახილველ მუხლებს შინაარსობრივად შემდეგნაირად გადმოსცემს: „ჩემი ქმედებებით, ამბობს (ეზეკიელი, ც. ჩ.), გამოგიხატეთ წინასწარმეტყველება და საკუთარ თავში წინაგამოგისახეთ მომავალი, ვინაიდან, როგორც მეუღლის გარდაცვალებისას არ განმიხორციელებია არაფერი მსგავსი, რასაც ჩვეულებრივ, ადასრულებენ მიცვალებულზე (გლოვისას, ც. ჩ.)... ისევე თქვენ, როდესაც მოგიკლავენ ძეებს და ასულებს და უწმინდური წარმართების შეჭრით შეიბილწება წმინდა ტაძარი, რითაც დღემდე თავს განიდიდებდით და არ წყვეტდით ამაყს... არ გექნებათ გლოვის უფლება...“ (Блаженный Феодорит 1859: 566). იმავე განმარტებას გვთავაზობს ნეტარი იერონიმეც (Блаженный Иероним 1886: 347-348)

ამრიგად, აღნიშნულ **სიმბოლურ ქმედებაში** ეზეკიელი გადასახლებაში მყოფი ებრაელების სახეს წარმოადგენდა, ხოლო წინასწარმეტყველის მეუღლე – სოლომონის ტაძრისას. წმინდანის ცოლის გარდაცვალება ამ სიწმინდის განადგურების სიმბოლო იყო.

ნეტარი თეოდორიტე ეზეკიელის **სიმბოლური ქმედების** ზემოხსენებულ განმარტებასთან ერთად მის სხვა სახისმეტყველებით გააზრებასაც გვთავაზობს. ეზეკიელი მეუღლის გარდაცვალებისას მწუხარების ყოველგვარი გამოხატვისაგან თავს იკავებდა და ფარულად გლოვობდა. აღნიშნული ქმედებები სიმბოლურად იმას აღნიშნავდა, რომ ყოვლადსახიერ შემოქმედს ნებავდა ებრაელთა გადარჩენა⁷⁰⁴, თუმცა ამ უკანასკნელებზე მათი ცოდვების სიმრავლის მიზეზით კაცთმოყვარეობას არ გამოავლენდა და სასჯელს დაუშვებდა (Блаженный Феодорит 1859: 565).

ასე რომ, ზემოხსენებული წმინდა მამის ეგზეგეზის თანახმად, აღნიშნულ ბიბლიურ ეპიზოდში ეზეკიელი უფლის სახე იყო. წინასწარმეტყველის ცოლი კი შემოქმედის სძლობით პატივდებულ ებრაელებს აღნიშნავდა, რომლებიც დაისჯებოდნენ.

⁷⁰⁴ შდრ. ეზეკ. 33. 11: „...არა მნებავს მე სიკუდილი უღმრთოდაც, არამედ მოქცევა უღმრთოდაც მის გზისაგან თვისა და ცხოვრება მისი...“.

„და იყოს ეზეკიელ თქუნდა ნიშად, ყოვლისა მისებრ, რომელი ვყავ, ეგრეთ ყავთ, ოდეს მოიწიოს ესე, მაშინ სცნათ, რამეთუ მე ვარ უფალი“⁷⁰⁵.

ეზეკიელმა საკუთარ თავში სამომავლო მოვლენები წინაგამოსახა. რისი აღსრულებისგანაც წინასწარმეტყველი თავს იკავებდა, იმას თანატომელები იერუსალიმის განადგურებისას ვერ შეძლებდნენ. ეზეკიელი ბაბილონში გადასახლებული ებრაელებისთვის მომავლის მომასწავებელი საუფლო ნიშანი იყო. ნეტარი თეოდორიტეს განმარტებით, სწორედ ამას გააცნობიერებდა წინასწარმეტყველის თანამკვიდრი ღვთივრჩეული ხალხი მას შემდეგ, რაც იერუსალიმი დაეცემოდა (Блаженный Феодорит 1859: 566).

ნეტარი იერონიმე ეზეკიელ წინასწარმეტყველის ცოლის გარდაცვალებასთან დაკავშირებულ ქმედებებს მესიანისტური თვალთახედვითაც განიხილავს და ახალი აღთქმის პერიოდს უკავშირებს. ნეტარი მამა ეზეკიელის მეუღლეს ძველი აღთქმის რჩეული ერის სიმბოლოდ აღიქვამს, წინასწარმეტყველის ცოლის გარდაცვალებას კი – რომაელთა მიერ იერუსალიმზე განხორციელებული ალყის ბოლოს განვითარებული მოვლენებისა და რჯულიერი მსახურების აღსასრულის ნიშნად. მისი განმარტებით, აღნიშნულ ბიბლიურ ეპიზოდში, სულიერი შინაარსით, ადამიანის ძედ⁷⁰⁶ მხსნელი იესო იწოდება, რომელმაც წუთისოფლის საღამო ჟამს, ე. ი. უკანასკნელ დროს (ახალი აღთქმის პერიოდში), დაკარგა პირველი ცოლი – ძველი აღთქმის რჩეული ერი. იუდეველთა „თვალთა საწადელი“ სოლომონის ტამარი რომაელთა ხელით წაიბილწა და განადგურდა, ებრაელებს შვილები დაეღუპათ, თავად კი ქვეყანაზე გაიფანტნენ, განსრულდა ძველი აღთქმის რჯული და გაცხადდა სახარების დიდებულება. ასე რომ, დასრულდა რა ძველი აღთქმის ეპოქა, ქვეყნიერება სახარებისეული მადლით გაბრწყინდა. კაცობრიობას „აჩრდილის“ მაგიერ თავად ჭეშმარიტება მიენიჭა. ნეტარი იერონიმეს ეგზეგეზის თანახმად, ამ უკანასკნელი მოვლენის მიზეზით პირველი მწუხარებასა და გლოვას არ იმსახურებს (Блаженный Иероним 1886: 348-349)⁷⁰⁷.

ბიბლიის მკვლევრები ნიშანდობლივად აღნიშნავენ, რომ წინასწარმეტყველის ცოლი **სიმბოლური ქმედებისთვის** არ გარდაცვლილა. უფლის კურთხევით ეს მოვლენა

⁷⁰⁵ ეზეკ. 24. 24.

⁷⁰⁶ შდრ. ეზეკ. 24. 16: „მეო კაცისაო...“.

⁷⁰⁷ ნეტარი მამის თქმით, სწორედ ასეთი შინაარსით უნდა გავიგოთ ეზეკიელის წიგნის XXIV თავის 17-ე მუხლი (Блаженный Иероним 1886: 349).

ებრაელთა ცნობიერებაზე ღვთის სიტყვათა ღრმად აღბეჭდვის მიზნით იქნა გამოყენებული (Толковая Библия 1909: 367); (Толкование 1996: 286).

7.8. ორი კვერთხის ხელში გაერთიანება

აღნიშნული სიმბოლური ქმედება ეზეკიელის წიგნის XXXVII თავშია აღწერილი. ეს თავი წინასწარმეტყველის ხილვით იწყება.

ეზეკიელი ებრაელთა ძვლებით გავსებულ ველზე იმყოფებოდა. ძვალთა შეერთების გზით მრავალი ჩონჩხი შეიკრა. ამ უკანასკნელთ ხორცი შეესხათ და სამოსით შეიმოსენ. დასასრულ, მიცვალებულები გაცოცხლდნენ და ზეალიმართენ. ეზეკიელის ხილვას თავად უფლისმიერი განმარტება ახლდა თან. მიცვალებულთა აღდგომა უკავშირდებოდა დაცემული, ბაბილონის იპერიის სხვადასხვა ნაწილში გადასახლებული და დამონებული ებრაელი ხალხის მომავალს: სამშობლოში დაბრუნებას და კვლავ ერად აღდგენას.

წინასწარმეტყველის ხილვა ესადაგებოდა ტყვეობაში მყოფი ღვთივრჩეული ხალხის შინაგან დამოკიდებულებას ტყვეობიდან განთავისუფლებისადმი. აღთქმულ მიწაზე დაბრუნება მეტად წარმოუდგენელი იყო ბაბილონის იმპერიაში გადასახლებული ურწმუნო ებრაელებისთვის. ეს მცდარი თვალსაზრისი წინასწარმეტყველისადმი მიმართულ სიტყვებში თავად უფალმა გააცხადა: „...ძუალები ესე ყოველი სახლი ისრაელისად არს და მაგათ თქვან: განჴმა ძუალები ჩუენი და წარწყმდა სასოებაჲ ჩუენი, მოვისრენით“⁷⁰⁸. ნეტარი იერონიმეს განმარტებით, რამდენადაც გონებისთვის მიუწვდომელი სასწაულია მიცვალებულთა საყოველთაო აღდგომა, იმდენად შემოქმედის ყოვლადძლიერების არმცოდნეთათვის ძნელად სარწმუნო იყო ბაბილონის იმპერიის სხვადასხვა ნაწილებში გაფანტულ ებრაელთა სამშობლოში დაბრუნება (Блаженный Иероним 1889: 136). წმინდა ეფრემ ასურის ეგზეგეზის თანახმად, გადასახლებულ ებრაელებს ტყვეობიდან დაბრუნების იმედი გადაწურული ჰქონდათ. მათ ტყვეობის ადგილი ერთგვარად ებრაელი ხალხის სამუდამო სამარხად წარმოედგინათ (Святой Ефремъ 1995ბ: 43-44). ამ თვალსაზრისის

⁷⁰⁸ ეზეკ. 37. 11.

საპირისპიროდ, უფალმა ეზეკიელის ხილვაში მდრტვინავ ებრაელთა მამხილებელი საწინასწარმეტყველო სიტყვები წარმოთქვა: „აჰა-ესერა, მე აღვადო საფლავთა თქუენტა და აღმოგიყვანნე თქუენ საფლავთაგან თქუენტა და შეგიყვანნე თქუენ ქუეყანასა ისრაჴლისასა. და სცნათ, რამეთუ მე ვარ უფალი, რაჟამს აღვადო მე საფლავთა თქუენტა და აღმოგიყვანო საფლავთაგან, ერი ჩემი, და მოგცე სული ჩემი თქუენ ზედა და სცხოვნდეთ. და დაგსხნე თქუენ ქუეყანასა თქუენსა და სცნათ, რამეთუ მე ვარ უფალი: ვიტყოდე და ვყო, – იტყვს უფალი უფალი“⁷⁰⁹.

ზემოაღნიშნული ხილვის შემდგომ ღმერთმა ეზეკიელს **სიმბოლური ქმედების** აღსრულება დაავალა.

„და იყო ჩემდა მომართ სიტყუად უფლისაჲ და თქუა: ძეო კაცისაო, მოიღე თავისა შენისა კუერთხი და გამოწერე მას ზედა იუდაჲ და ძენი ისრაჴლისანი, რომელნი-იგი მისკერძონი არიან. და კუერთხი მეორე მოიღე და გამოწერე მას იოსები და კუერთხი ეფრემისი და ყოველნი ძენი ისრაჴლისანი, რომელნი-იგი მოქცეულ იყვნენ მისა“⁷¹⁰.

როგორც ვიცით, სოლომონ ბრძენის მმართველობის დასრულების შემდეგ ებრაელთა ერთიანი სახელმწიფო ორად გაიყო. ჩრდილოეთის სამეფოზე ეფრემის შტოდან წარმომდგარი იერობოამი გამეფდა, ხოლო სამხრეთი იუდას ტომის შთამომავლობის მმართველობაში დარჩა. პირველი სამეფოს მოსახლეობა ებრაელთა ათი ტომისგან შედგებოდა, მეორესი კი – იუდასა და ბენიამინის ტომებისაგან.

ნეტარი იერონიმეს თქმით, ჩრდილოეთის სამეფოს ღვთივრჩეული ერის ერთიანი სახელმწიფოს ისტორიული სახელი „ისრაელი“ მიეკუთვნა, რადგან იქ ებრაულ ტომთა უმრავლესობა მკვიდრობდა (Блаженный Иероним 1889: 140). ისრაელის პირველი ხელმწიფე, ებრაელი ერის გამყოფი იერობოამი, ეფრემის ტომიდან იყო. ჩრდილოეთის სამეფოს ტერიტორიაზე ეს ტომი ძლიერებით გამოირჩეოდა. ნეტარი თეოდორიტეს თქმით, აღნიშნულ მიზეზთა გამო ჩრდილოეთის სამეფო „ეფრემადაც“ იხსენიებოდა (Блаженный Феодорит 2006: 250)⁷¹¹. ნეტარი იერონიმეს ეგზეგეზის თანახმად, ის ეფრემის მამის იოსების სახელითაც იწოდებოდა (Блаженный Иероним 1889: 143). რაც შეეხება სამხრეთის სამეფოს, მას მართავდა იუდას შთამომავლის დავით მეფსალმუნის სამეფო გვარი. აქ იუდას ტომი სიმრავლითა და ძლიერებით სხვებს გაცილებით აღემატებოდა.

⁷⁰⁹ ეზეკ. 37. 12-14.

⁷¹⁰ ეზეკ. 37. 15-16.

⁷¹¹ აღნიშნულ საკითხს წინამდებარე შრომაში ნაწილობრივ უკვე შევეხეთ (იხ. სქოლიო 315).

ნეტარი თეოდორიტეს განმარტებით, ყოველივე ამის გამო სამხრეთის სამეფო „იუდად“ იწოდებოდა (Блаженный Феодорит 2006: 249-250).

უფლის ბრძანებით, ეზეკიელს ორ კვერთხზე გარკვეული წინადადებები უნდა დაეწერა. ეკლესიის მამათა განმარტებით, ამ წარწერებში ებრაელთა სამხრეთისა და ჩრდილოეთის ყოფილი სამეფოები იგულისხმებოდა. აღნიშნული კვერთხები ისრაელსა და იუდეას განასახიერებდნენ (Святой Ефремъ 1995б: 44); (Блаженный Иероним 1889: 140-141); (Блаженный Феодорит 1859: 677). მ. სკაბალანოვიჩის თქმით, **სიმბოლური ქმედებაში** ერთ-ერთ კვერთხზე ჩრდილოეთის სამეფოს აღმნიშვნელად, ზემონახსენებ სამეფოთაგან გადასახლებული ებრაელების ძმობაზე ხაზგასმის მიზნით, უპირველესად იუდას ძმის იოსების სახელი დაიწერა (Толковая Библия 1909: 441).

ზემოაღნიშნული მოვლენის შემდგომ ეზეკიელს კვერთხები ხელში უნდა გაეერთიანებინა: „და შეჰყო იგი ურთიერთას კუერთხად ერთად შეკრვად იგინი ერთბამად და იყვნენ იგინი ჯელსა შენსა“⁷¹².

მას შემდეგ, რაც მაცურებელი **სიმბოლური ქმედების** შინაარსით დაინტერესდებოდა, ეზეკიელს თავისი ნამოქმედარი უნდა განემარტა: „და იყოს, ოდეს გრქუან შენ ძეთა ისრაელისათა: არა მითხრა-ა ჩუენ, რაჲ არს ესე შენდა? და არქუ მათ: ამას იტყვს უფალი: აჰა-ესერა, მე მოვიყვანო ტომი იოსებისი, რომელი არს ჯელითა ეფრემისითა, და ტომი ისრაელისაჲ, რომელნი მოდგომილ არიან მას, და მივსცნე იგინი ტომსა იუდაჲსსა და იყოს კუერთხად ერთად ჯელსა იუდაჲსსა. და იყვნენ კუერთხნი იგი, რომელთა გამოსწერო შენ მათ ზედა, ჯელსა შენსა, წინაშე მათსა“⁷¹³.

აღნიშნული **სიმბოლური ქმედების** მიზანი სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ებრაელთა ერთიან სახელმწიფოში ცხოვრების მანუგეშებელი წინასწარმეტყველების ხალხისთვის გადაცემა და მათ ცნობიერებაში ღრმად აღბეჭდვა იყო.

ეზეკიელის წინასწარმეტყველების თანახმად, ტყვეობიდან დაბრუნებულ ებრაელთა შორის პოლიტიკური დაყოფა აღარ იარსებებდა. აღნიშნული **სიმბოლური ქმედება** ჩრდილოეთისა და სამხრეთის ყოფილი სამეფოების მოსახლეობის ერთიანობას მოასწავებდა. დავითის შთამომავლობისაგან განმდგარი ისრაელიანები თანამოძმეებს შეუერთდებოდნენ და კვლავ იუდას სამეფო გვარის მმართველობის ქვეშ მოექცეოდნენ.

⁷¹² ეზეკ. 37. 17.

⁷¹³ ეზეკ. 37. 18-20.

ბიბლიის შემდგომ მუხლებში სამშობლოში დაბრუნებული ღვთივრჩეული ერის მომავლის შესახებ უფრო დაწვრილებითაა თხრობა: „და არქუ მათ: ამას იტყვს აღონად უფალი: აჰა-ესერა, მე მოვიყვანო ყოველი სახლი ისრაჴლისაჲ შორის წარმართთაგან, ვიდრე-იგი შევიდეს მუნ, და შევკრიბნე იგინი ყოველთაგან გარემოთა მათთა და შევიყვანნე იგინი ქუეყანასა ისრაჴლისასა. და მივსცნე იგინი ნათესავად ერთად ქუეყანასა ჩემსა და მათთა ისრაჴლისათა. და მთავარი ერთი იყოს მათი⁷¹⁴ და არა იყვნენ მერმე ნათესავად ორად და არცა განიყვნენ მერმე სამეუფოდ ორად“⁷¹⁵.

წინასწარმეტყველების თანახმად, ბაბილონიდან დაბრუნებულ ღვთივრჩეულ ერს ერთი პოლიტიკური მმართველი ეყოლებოდა. ბიბლიიდან ცნობილია, რომ ტყვეობიდან განთავისუფლების შემდეგ ებრაელებს ზორობაბელი მართავდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ზორობაბელი არ იყო მეფე ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. რამდენადაც ზემოთ მოტანილ ბიბლიურ მუხლში მეფეზეა საუბარი⁷¹⁶, ეგზეგეტთა განმარტებით, აღნიშნულ პიროვნებაში უპირველესად მაცხოვარი უნდა ვიგულისხმოდ. ნეტარი თეოდორიტე ამბობს: „ეს წინასახეობრივად ზორობაბელის, ხოლო ზედმიწევნით და ჭეშმარიტად უფალ ქრისტეს დროს აღსრულდა“ (Блаженный Феодорит 1859: 678). იმავე თვალსაზრისს გამოთქვამენ ნეტარი იერონიმე (Блаженный Иероним 1889: 140-141) და წმინდა ეფრემ ასური (Святой Ефремъ 1995ბ: 44). აღნიშნულ განმარტებას ეხეკიელის წიგნის მომდევნო მუხლებიც შეესაბამება: „რადთა არღარა შეიგინებოდიან მერმე კერპებითა მათითა და ვიკსნენ იგინი ყოველთაგან უშჯულოებათა მათთა, რომელთა-იგი ცოდვიდეს მათ შინა და განვწმიდნე იგინი და იყვნენ ერთად ჩემდა და მე უფალი ვიყო მათა ღმრთად. და მონად ჩემი დავით – მთავრად შორის მათსა. და იყოს მწყემსი ერთი ყოველთაჲ, რამეთუ ბრძანებათა ჩემთა ვიდოდიან და სამართალთა ჩემთა იმარხვიდენ და ჰყოფდენ მათ“⁷¹⁷. საწინასწარმეტყველო სიტყვის თანახმად, კერპთმსახურება აღარ იარსებებდა და კაცობრიობა ერთი მმართველობის ქვეშ, ქრისტეს სამწყსოში გაერთიანდებოდა. ნეტარი თეოდორიტეს განმარტებით, აღნიშნულ წინამოსწავებას

⁷¹⁴ აღნიშნულ ადგილზე მასორეტული ტექსტი განსხვავებულ იკითხვისს იძლევა: „და ერთი მეფე იქნება ყველასთვის მეფედ“; შდრ. MT: „וְיִהְיֶה מֶלֶךְ אֶחָד לְכָל הָעָם“; შდრ.: VUL: „et rex unus erit omnibus imperans“; KJV: „and one king shall be king to them all“; რუს.: „и один Царь будет царем у всех их“. ახალქართულშიც იგივე ვითარებაა.

⁷¹⁵ ეზეკ. 37. 21-22.

⁷¹⁶ იხ. სქოლიო 714.

⁷¹⁷ ეზეკ. 37. 23, 24.

იოანეს სახარებაში გადმოცემული „კეთილი მწყემსის“ შესახებ იგავი შეესაბამება (Блаженный Феодорит 1859: 678)⁷¹⁸.

წინასწარმეტყველების თანახმად, აღნიშნულ ხალხზე დავითი (რომლის სახელის ქვეშ, ეკლესიის მამათა განმარტებით, ქრისტე მოიაზრება (Святой Ефремъ 1995б: 44); (Блаженный Иероним 1889: 141); (Блаженный Феодорит 1859: 678) მარადიულად იმეფებდა: „...და დავით, **მონაჲ ჩემი**⁷¹⁹, მთავარ მათა იყოს საუკუნოდ“⁷²⁰. ნეტარი თეოდორიტეს ეგზეგეზის მიხედვით, მოტანილ ბიბლიურ ეპიზოდში სამშვიდობო (ღმერთთან შერიგების) და მარადიული (დაუსრულებელ სიკეთეთა) აღთქმის შესახებაც არის საუბარი, რომელიც ქრისტიანებს ეწყალობათ: „და აღუთქუა მათ აღთქუმაჲ მშვიდობისაჲ, აღთქუმაჲ საუკუნჳ იყოს მათ თანა...“⁷²¹ (Блаженный Феодорит 1859: 680). დასასრულ, შემოქმედი ბრძანებს: „და ცნან წარმართთა, რამეთუ მე ვარ უფალი, რომელი განვსწმედ მათ, რაჟამს იყოს სიწმიდე ჩემი შორის მათსა საუკუნოდ“⁷²².

ასე რომ, ეზეკიელის ზემოთ განხილული **სიმბოლური ქმედება** მესიანისტური თვალთახედვით ახალი აღთქმის ეკლესიის შესახებ წინამოსწავებას წარმოადგენდა. იესო ქრისტეს სხეულში ერთ ერად გაერთიანდნენ გაქრისტიანებული ებრაელები და ჭემმარიტი ღმერთის წარმართი მორწუნეები: „არა არს ჰურიანება, არცა წარმართება; არა არს მონება, არც აზნაურება; არა არს რჩევა მამაკაცისა, არცა დედაკაცისა, რამეთუ თქუნენ ყოველნი ერთ ხარო ქრისტე იესუჲს მიერ“⁷²³.

ამრიგად, ეზეკიელის წიგნში აღწერილია ყველაზე მეტი (ათი) **სიმბოლური ქმედება**. აღსრულების ფორმის თვალსაზრისით ისინი გამოირჩევიან საკვირველებით. აღნიშნული ქმედებები ძირითადად უკავშირდებიან იერუსალიმის ალყასა და მის თანმდევ მოვლენებს. ქვემოთ წარმოვადგენთ მათ შეჯამებას.

⁷¹⁸ იხ. ინ. 10. 16: „და სხუანიცა ცხოვარნი მიდგან, რომელნი არა არიან ამის ეზოჲსაგანნი, იგინიცა ჯერ-არიან მოყვანებად ჩემდა, და ჳმისა ჩემისაჲ ისმინონ და იყვნენ ერთ სამწყსო და ერთ მწყემს“.

⁷¹⁹ ფილიპელთა მიმართ ეპისტოლეში ვკითხულობთ: „რომელი-იგი ხატი ღმრთისაჲ იყო, არა ნატაცებად შეირაცხა ყოფად იგი სწორებად ღმრთისა, არამედ თავი თჳსი დაიმდაბლა და ხატი მონისაჲ მიიღო და მსგავს კაცთა იქმნა და ხატითა იპოვა ვითარცა კაცი“ (ფილიპ. 2. 6-7). ეკლესიის მამათა განმარტებით, ქრისტე „მონად“ მისი ადამიანური ბუნების მიხედვით იწოდება (Святой Ефремъ 1995б: 44); (Блаженный Феодорит 1859: 678).

⁷²⁰ ეზეკ. 37. 25.

⁷²¹ ეზეკ. 37. 26.

⁷²² ეზეკ. 37. 28.

⁷²³ გალატ. 3. 28.

ეზეკიელმა **სიმბოლურ ქმედებათა** აღსრულება დაიწყო იერუსალიმის ალყის წინასწარმეტყველებით. ის საკუთარ სახლში გამოიკეტა, რითაც ქალაქში გამომწვევდელი ებრაელები განასახიერა. ამის შემდეგ ეზეკიელმა იერუსალიმის ალყა აღბეჭდა აგურზე. აღნიშნული ნახაზის დახმარებით მან კიდევ სამი **სიმბოლური ქმედება** განახორციელა. თავდაპირველად ეზეკიელმა რკინის ტაფა კედლად აღმართა საკუთარ თავსა და აგურზე გამოსახულ იერუსალიმს შორის. ხსენებული ნახაზისთვის მას თვალმოუცილებლად უნდა ეცქირა. ამის შემდეგ წინასწარმეტყველი დიდი ხანი იწვა ჯერ მარცხენა, შემდეგ კი მარჯვენა მხარზე. აღნიშნულ პერიოდში ეზეკიელს ერთი გვერდიდან მეორეზე გადაბრუნების უფლება არ ჰქონდა. ამასთან, წინასწარმეტყველს ხელი უნდა ჰქონოდა მიმართული აგურზე გამოსახული იერუსალიმისკენ. ცალ გვერდზე წოლის დროს ეზეკიელი გამოზომილად ჰქამდა საქონლის ფეკალურ მასებში გამომცხვარ პურს და სვამდა მცირე ოდენობით წყალს. შემდეგ წინასწარმეტყველმა მოიპარსა წვერი და თმები, ისინი აწონა, რამდენიმე ტოლ ნაწილად გაჰყო და სხვადასხვა წესით გაანადგურა: ერთი ნაწილი დაწვა იერუსალიმის ნახაზის შუაგულში, მეორე ხმლით აკუწა ქალაქის შემოგარენში, ბოლო კი გაფანტა ჰაერში. შემდეგ წინასწარმეტყველმა გაფანტული თმების ნაწილი შეაგროვა და კალთაში გამოიბა. აღნიშნული თმებიდან გარკვეული რაოდენობა ეზეკიელმა კვლავ ქალაქის ნახაზის შუაგულში დაწვა.

ზემოთ ნახსენები **სიმბოლური ქმედებანი** არსებითად ერთსა და იმავე მოვლენაზე მიანიშნებდნენ, მაგრამ სასჯელის სხვადასხვა მხარეს წარმოაჩენდნენ. რკინის ტაფის კედლად აღმართვა იერუსალიმის ალყის პერიოდს უკავშირდებოდა. ეს ტაფა ღმერთსა და იერუსალიმელთა შორის არსებულ ერთგვარ სულიერ კედელს განასახიერებდა. უფალი ალყაში მოქცეულ იუდეველთა ლოცვებს აღარ შეისმენდა. მარცხენა და მარჯვენა გვერდზე მორიგეობით წოლა ისრაელისა და იუდეის მოსახლეობის ტყვეობის პერიოდებს განასახიერებდა. გადასახლებაში ებრაელებს განსაცდელი არ მოასვენებდა. მათი სასჯელი განსაზღვრული დრო გაგრძელდებოდა. კვების უსიამოვნო და მწირი რაციონი მოასწავებდა როგორც იერუსალიმის ალყის დროს იუდეველთა შიმშილსა და წყურვილს, ისევე აღნიშნული მოვლენის შემდეგ წარმართთა შორის გადასახლებულ ებრაელთა განსაცდელებსა და მათი უწმინდური ცხოვრების წესს. ღვთის გულისწყრომა დიდი იყო იუდეველებზე. უფალმა მსჯავრი დაადო იერუსალიმს, ეს ქალაქი

განადგურდებოდა. მესამე **სიმბოლური ქმედება** აღნიშნავდა იერუსალიმელთა სხვადასხვა სახით (შიმშილით, დაავადებით და ბრძოლაში) სიკვდილს, მათ გადასახლებასა და ტყვეობიდან დაბრუნების შემდგომ განსაცდელებს. იერუსალიმის ალყის დროს საკვებისა და სასმელის ნაკლებობას ეზეკიელი განსაკუთრებული სიმძაფრით გამოხატავდა მაშინაც, როცა პურსა და წყალს იღებდა მწუხარებით, აჩქარებით, კანკალითა და მღელვარებით.

ეზეკიელის **სიმბოლურ ქმედებათა** შორის იყო ისეთი მაგალითი, როგორც კონკრეტული პიროვნების მომავალს ეხებოდა. მან განასახიერა მეფე სედეკია, რომელიც იერუსალიმიდან გაქცევას შეეცდებოდა. აღნიშნული **სიმბოლური ქმედებით** იუდეის მკვიდრთა გადასახლებაც მოესწავებოდა. წინასწარმეტყველმა დღისით საკუთარ საცხოვრებელთან შეაგროვა გადასახლებისას საჭირო ყველა ნივთი, სადამოს კი სახლის კედელი შეანგრია და იქიდან გარეთ გავიდა. ამ დროს ეზეკიელს სახე დაფარული ჰქონდა და ზურგზე ტვირთი ეკიდა. იუდეის მეფეს, რომელიც გაქცევისას საკუთარი ვინაობის დამალვას შეეცდებოდა, ქალდეელები დაატყვევებდნენ, თვალს დასთხრიდნენ და ბაბილონში წაიყვანდნენ.

ეზეკიელის ერთ-ერთი **სიმბოლური ქმედება** უკავშირდებოდა უშუალოდ იმ ებრაელთა მომავალს, რომლებიც მასთან ერთად ცხოვრობდნენ გადასახლებაში. აღნიშნული **სიმბოლური ქმედება** წინასწარმეტყველმა მეუღლის გარდაცვალების დროს აღასრულა. მან მწუხარების გამოხატვისა და საჭირისუფლო წესების შესრულებისაგან თავი შეიკავა. ეზეკიელის ცოლის სიკვდილი სამომავლოდ სოლომონის ტაძრის განადგურებას მოასწავებდა, წინასწარმეტყველის ქმედებები კი – ამ მოვლენების განვითარებისას გადასახლებულთა შორის არსებულ უმძიმეს მდგომარეობას. დავითის ქალაქში დატრიალებული მოვლენების გაგებისას ტყვეობაში მყოფ ებრაელებს არ ექნებოდათ მწუხარების გამოხატვის არც უფლება და არც შინაგანი ძალა.

ეზეკიელმა მოასწავა იერუსალიმის ალყის წინმსწრები მოვლენაც. წინასწარმეტყველმა გამოსახა ნაბუქოდონოსორის მიერ აჯანყებულთა დასჯის მიზნით წამოწყებული ლაშქრობის გზის ნაწილი. ეზეკიელმა შექმნა ნახაზი, რომელიც მოასწავებდა ბაბილონის მეფის აღნიშნული ლაშქრობის გარკვეულ ეტაპს. ნაბუქოდონოსორი ვერ გადაწყვეტდა, თუ რომელი ქალაქი დაელაშქრა

თავდაპირველად. აღნიშნული მიზეზით ის მკითხაობას მიმართავდა, შედეგად კი იერუსალიმისკენ წავიდოდა.

ეზეკიელის წიგნში აღწერილი ბოლო სიმბოლური ქმედება იყო მანუგემებელი წინასწარმეტყველება. მან შესაბამისი წარწერებით აღბეჭდა ორი კვერთხი (მათში იუდეისა და ისრაელის სამეფოები იგულისხმებოდა). შემდეგ წინასწარმეტყველმა ისინი ხელში გააერთიანა. აღნიშნული ქმედებით ეზეკიელმა თანამემამულეებს უწინასწარმეტყველა ტყვეობიდან განთავისუფლების შემდეგ ერთიან სახელმწიფოში ცხოვრება. სამშობლოში დაბრუნების დროს ებრაელთა შორის დაყოფა აღარ იარსებებდა. ღვთივრჩეული ერის პოლიტიკური მმართველი დავით წინასწარმეტყველის შთამომავალი (ზორობაბელი) იქნებოდა.

თავი VIII

წინასწარმეტყველი ზაქარია

8.1. ზოგადი ცნობები

წმინდა კირილე ალექსანდრიელის უწყებით, ზაქარია⁷²⁴ ლევის ტომიდან იყო და სამღვდლო შტოდან წარმოდგებოდა (Святитель Кирилл 2006ბ: 2). ზაქარიას ცხოვრების შესახებ მწირი ცნობები მოგვეპოვება. გადმოცემით, იგი ბაბილონის ტყვეობაში დაიბადა და ჯერ კიდევ ყრმობის ასაკში დაბრუნდა სამშობლოში (Протоиерей Павел 2006: 2). წმინდა წერილის მიხედვით ზაქარიას მამას ბარაქია ერქვა. ზაქარიას წიგნში წინასწარმეტყველის კიდევ ერთი წინაპარი – ადო⁷²⁵ იხსენიება. ეს უკანასკნელი, ნეტარი თეოდორიტეს განმარტების თანახმად, ზაქარიას ბაბუა იყო (Блаженный Феодорит 2006ბ: 80)⁷²⁶. თუმცა ბიბლიაში წინასწარმეტყველი იწოდება ადოს „ძედ“: „...სიტყუა უფლისა ზაქარიას მიმართ ბარაქიანისა, მისა ადოასა⁷²⁷ წინასწარმეტყველისა...“⁷²⁸. აღნიშნულის მიზეზს წმინდა კირილე ალექსანდრიელი გვამცნობს. მისი უწყებით, ადომ ზაქარიას სულიერი აღზრდა იტვირთა (Святитель Кирилл 2006ბ: 2), ე. ი. ამ უკანასკნელის „სულიერი მამა“ იყო. წმინდა კირილეს თქმით, ადო თავადაც წინასწარმეტყველი იყო (Святитель Кирилл 2006ბ: 2). გადმოცემით, ზაქარია ღრმა მოხუცებულობაში აღესრულა სამშობლოში (Протоиерей Павел 2006: 2). ეკლესია წინასწარმეტყველ ზაქარიას „მანგლისმხილველად“ იხსენიებს⁷²⁹.

⁷²⁴ ბერძნ. Ζαχαρίας; ებრ. זְחָרְיָהּ (Zəkharya). სახელი „ზაქარია“ ნიშნავს „უფლის ხსოვნას“ (Блаженный Иероним 2006ბ: 352).

⁷²⁵ მკვლევრები მას პიროვნულად აიგივებენ „ნემიას“ წიგნში ნახსენებ ადოსთან (იხ. ნემ. 12. 4, 16) და, შესაბამისად, ფიქრობენ, რომ წინასწარმეტყველი ზაქარია იყო საკუთარი სამღვდლო გვარის თავი (Толкование 1996: 555); (Толковая Библия 1910: 384-385).

⁷²⁶ აღნიშნულ თვალსაზრისს იზიარებს ბოლო დროის მკვლევართა უმრავლესობა (Толкование 1996: 555); (Толковая Библия 1910: 385).

⁷²⁷ შდრ. LXX: „σὶὸν Ἀδδᾶ“. სიტყვა σὶὸν მიემართება ზაქარიას და არა ბარაქიას (უკანასკნელ შემთხვევაში იქნებოდა: „σὶδᾶ Ἀδδᾶ“). ამას მოწმობენ წმინდა კირილე ალექსანდრიელი (Святитель Кирилл 2006ბ: 2-3), ნეტარი იერონიმე (Блаженный Иероним 1900: 4) და სხვ.

⁷²⁸ ზაქ. 1. 1. ზაქარია ადოს შვილად იწოდება ეზრას პირველ წიგნშიც (იხ. 1 ეზრ. 5. 1 და 6. 14).

⁷²⁹ ზაქარია აღნიშნული შესიტყვებით იხსენიება მისი ერთ-ერთი ხილვიდან გამომდინარე (იხ. ზაქ. 5. 1-2).

ბაბილონის იმპერიის დაპყრობის შემდგომ სპარსეთის მეფე კიროსმა ებრაელებს სამშობლოში დაბრუნებისა და სოლომონის ტაძრის აღდგენის უფლება მისცა. თუმცა გარკვეული დროის გასვლის შემდგომ სოლომონის ტაძრის აღდგენითი სამუშაოები სამარიტელთა მზაკვრული მოქმედების შედეგად შეწყდა⁷³⁰. ღვთივრჩეული ხალხის განთავისუფლების ბრძანებიდან სპარსეთის ხელმწიფე დარიოს I-ის მეფობის მეორე წლამდე ებრაელებმა მხოლოდ ტაძრის საფუძველი დადეს და საკურთხეველი ააშენეს. მრავალი დაბრკოლების გაჩენის შედეგად ღვთივრჩეულ ერში გარკვეული გულგრილობა წარმოიქმნა ტაძრის აღდგენის საქმისადმი⁷³¹. აღნიშნულ დროს სამოღვაწეო ასპარეზზე ზაქარია გამოვიდა. წინასწარმეტყველი ებრაელებს ბაბილონის ტყვეობის მიზეზებს ახსენებდა და უფლის ნების აღსრულებას შეაგონებდა. ზაქარიას თანამოსაგრე წინასწარმეტყველი ანგა იყო. ისინი ღვთივრჩეულ ერს სოლომონის ტაძრის აღდგენითი სამუშაოების განახლებისკენ მოუწოდებდნენ. აღნიშნულ პერიოდში ებრაელ ხალხს ზორობაბელი მთავრობდა, სულიერად კი მათ წინამძღვრობდა მღვდელმთავარი ისუ.

8.2. მღვდელმთავარ ისუს დაგვირგვინება

ზაქარიას სიმბოლური ქმედება წინასწარმეტყველის წიგნის VI თავშია მოცემული.

„და იყო სიტყუად უფლისად ჩემდა მიმართ და თქუა: მოიღე ნატყუენავისაგან მთავართაგან და უსაჰმრესთა მისთაგან და მათგან, რომელთა იცოდინან იგი⁷³²: ელდადსგან და ტობისგან და ედეიადსგან, და შეხვდე შენ მას დღესა შინა სახლსა იოსიადსსა სოფონიანისასა, რომელი მოსრულ არს ბაბილონით“⁷³³.

ეზრას პირველი წიგნის მიხედვით, ებრაელები ბაბილონის ტყვეობიდან აღთქმული მიწისკენ გარკვეული წესით გაემართნენ. სამშობლოსაკენ მიმავალ თითოეულ ტომსა და გვარს თავისი წინამძღოლი ჰყავდა. წმინდა კირილე

⁷³⁰ იხ. 1 ეზრ. 4. 6-24.

⁷³¹ იხ. ანგ. თ. 1.

⁷³² აღნიშნული ტექსტი ებრაულენოვან ბიბლიაში არ არის.

⁷³³ ზაქ. 6. 9-10.

ალექსანდრიელის განმარტებით, სწორედ ეს წინამძღოლები იგულისხმებიან ზემოაღნიშნულ მთავრებში (Святитель Кирилл 2006ბ: 76-77).

ელდა, ტობი და ედეია არ არიან დასახელებულნი სამოცდაათა თარგმანის შემცველ ხელნაწერთა უმრავლესობაში. ეპ. პალადი, ბოლო დროის ზოგიერთ კომენტატორთა მსგავსად, მიიჩნევს, რომ სექტუაგინტაში აღნიშნული ებრაულენოვანი საკუთარი სახელები საზოგადო მნიშვნელობითაა თარგმნილი (יְהֻדָּי (Khelday) – „მთავრები“, תּוֹבִיָּא (Toviya) – „სასარგებლონი“, „გამოსადეგნი“, יְעֻדָּא (Yēdaya) კი – „გამგებნი“, „შემგნებნი“ (Епископ Палладий 2006б: 75). უნდა აღინიშნოს, რომ ეს თვალსაზრისი წმინდა მამათა განმარტებებში არ გვხვდება. ამასთან, ნეტარი იერონიმეს ეგზეგეზის თანახმად, ამ სახელებს ზემოაღნიშნულისგან განსხვავებული მნიშვნელობები აქვთ. მისი თქმით, יְהֻדָּי ნიშნავს „უფლისადმი თხოვნას“, תּוֹבִיָּא – „კეთილს უფლისას“, יְעֻדָּא კი – „უფლის წინაშე ცნობილს“ (Блаженный Иероним 1900: 63). წმინდა მამათა ეგზეგეზის საფუძველზე დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ აღნიშნულ სახელთა ქვეშ მოიაზრებიან პიროვნებები და ეს სახელები ოდენ სიმბოლურ მნიშვნელობას არ ატარებენ. გაუგებარია სამოცდაათ მთარგმნელს რატომ უნდა გადაეტანა სექტუაგინტაში ელდას, ტობისა და ედეიას სახელები საზოგადო მნიშვნელობით. გარდა ამისა, სამოცდაათა თარგმანის ამსახველ ზოგიერთ კოდექსში ზემოაღნიშნულ საზოგადო სახელებს ერთვის „ელდა, ტობი და ედეია“. ასე იყო ნეტარი თეოდორიტეს ხელთ არსებულ ტექსტშიც (PG 1864დ: 1905)⁷³⁴. ამრიგად, არ არსებობს საკმარისი საფუძველი, რომ ბოლო დროის კომენტატორთა მოსაზრება გავიზიაროთ.

ნეტარი იერონიმე ზემოაღნიშნულ პიროვნებათა ვინაობის შესახებ იუდეურ განმარტებას წარმოგვიდგენს⁷³⁵. რაბინები ელდას, ტობს და ედეიას დანიელის წინასწარმეტყველებაში აღწერილ სამ ყმაწვილთან აიგივებენ. იუდეური გადმოცემის თანახმად, ტყვეობიდან დაბრუნებულმა ანანიამ, აზარიამ და მისაელმა ტაძარს ძღვენი შესწირეს (Блаженный Иероним 1900: 63). ბიბლიის მკვლევრები ვარაუდობენ, რომ ელდამ, ტობმა და ედეიამ ბაბილონში დარჩენილ ებრაელთა მიერ ტაძრის ასაშენებლად

⁷³⁴ როგორც ვხედავთ იგივე ვითარებაა ძველქართულენოვანი ბიბლიის ჭელიძისეულ პუბლიკაციაში. ის აღნიშნულ ადგილზე ესადაგება ლუკიანეს რედაქციას.

⁷³⁵ ნეტარი მამა მკითხველს უტოვებს აღნიშნული განმარტების მიღება-არმიღების თავისუფლებას (Блаженный Иероним 1900: 62).

გაღებული შემოწირულობა ჩამოიტანეს (Архиепископ Иоанн 2006ბ: 26); (Епископ Палладий 2006ბ: 74); (Протоиерей Павел 2006: 64); (Толковая Библия 1910: 403); (Толкование 1996: 568). წმინდა ეფრემ ასური ელდას, ტობს და ედეიას მართლებს უწოდებს (Святой Ефремь 1995ბ: 174) და ამბობს, რომ ისინი ერისმთავრები იყვნენ (Святой Ефремь 1995ბ: 175). აღნიშნულ პიროვნებათა ვინაობის დადგენა დაზუსტებით შეუძლებელია. ეპ. პალადი ფიქრობს, რომ ისინი პატივსაცემი გვარების თავები იყვნენ (Епископ Палладий 2006ბ: 75).

ვინ იყო იოსია სოფონიას ძე?

ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ სოლომონის ტაძრის აღდგენითი სამუშაოებისა და ღვთისმსახურების განახლებისთვის მატერიალური საშუალების შეგროვების მიზნით შესაწირავი შეიქმნა. წმინდა კირილე ალექსანდრიელის უწყებით, მასზე ზრუნვა ზემოხსენებულ იოსიას დაევალა (Святитель Кирилл 2006ბ: 77). ნეტარი იერონიმე იოსიას უფლის ტაძრის „მშენებელსა და დარაჯს“ უწოდებს (Блаженный Иероним 1900: 63).

„და მოილო ვეცხლი და ოქროდ, და ჰქმნე გვრგვინები⁷³⁶ და დაადგა თავსა ისუდსა იოსედეკისსა, მღდელსა მას დიდსა“⁷³⁷.

როგორც ვხედავთ, სიტყვა „გვირგვინი“ (ებრ.: **אֲתָרָה** (**Atara**) აღნიშნულ ადგილზე მრავლობით რიცხვში დგას. იგივე ვითარებაა როგორც ებრაულენოვან ბიბლიაში, ასევე სეპტუაგინტაში, ვულგატასა და სხვა უცხოენოვან ბიბლიურ ტექსტებში. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ VI თავის მე-14-ე მუხლის სეპტუაგინტაში მხოლოდ ერთი გვირგვინი იხსენიება. ნეტარი იერონიმესა და წმინდა კირილე ალექსანდრიელის განმარტებით, ზაქარიას რამდენიმე (ორი ან მეტი) გვირგვინის გაკეთება ებრძანა (Блаженный Иероним 1900: 62); (Святитель Кирилл 2006ბ: 77). გვირგვინების ერთი ნაწილი ოქროსი იქნებოდა, მეორე კი – ვერცხლის. თუმცა წმინდა ეფრემ ასური და ნეტარი თეოდორიტე ერთ გვირგვინზე საუბრობენ (Святой Ефремь 1995ბ: 174, 175); (Блаженный Феодорит 2006ბ: 107-108). ეპ. პალადის თქმით, ზაქარიამ ორი გვირგვინი დაამზადა (Епископ Палладий 2006ბ: 75). იმავე თვალსაზრისს გამოთქვამენ დეკ. პავლე ობრაზცოვი (Протоиерей Павел 2006: 63, 64) და ი. სამბორსკი (Самборский 2006: 251). ბოლო დროის ზოგიერთი

⁷³⁶ შდრ.: LXX: „στεφάνους“; MT: „אֲתָרָה“; VUL: „coronas“; სლავ.: „вѣнцы“; KJV: „crowns“; რუს.: „венцы“. ახალქართულ ტექსტში სიტყვა „გვირგვინი“ მხოლოდით რიცხვში დგას.

⁷³⁷ ზაქ. 6. 11.

კომენტატორი ფიქრობს, რომ წინასწარმეტყველმა ერთი, რთული აგებულების გვირგვინი გააკეთა (Толкование 1996: 568); (Толковая Библия 1910: 403). მათი თვალსაზრისით, ეს უკანასკნელი რამდენიმე გვირგვინისგან შედგებოდა. მთავარეპ. იოანე (სმირნოვი) ამბობს: „ზაქარიამ უნდა დაამზადოს გვირგვინები, ან საკუთრივ ერთი ჩინებული გვირგვინი, რომელიც... ერთმანეთში ჩამაგრებული ან ერთი-მეორეზე აღმართული ვერცხლისა და ოქროს მრავალი რგოლისგან უნდა შედგებოდეს“ (Архиепископ Иоанн 2006ბ: 26).

ბოლო დროის კომენტატორები, რომლებიც ფიქრობენ, რომ ზაქარიამ ორი გვირგვინი დაამზადა, **სიმბოლურ ქმედებაში** მეორე გვირგვინის დანიშნულებასთან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრებას გამოთქვამენ. ეპ. პალადის თქმით, ზაქარიამ ოქროს და ვერცხლის გვირგვინები ისუს თავზე მორიგეობით განათავსა (Епископ Палладий 2006ბ: 76). დეკ. პავლე ობრაზცოვის მოსაზრებით, წინასწარმეტყველმა მღვდელმთავარ ისუს მხოლოდ ვერცხლის გვირგვინი დაადგა, ოქროსი კი მომსვლელი მესიისთვის იყო განკუთვნილი (Протоиерей Павел 2006: 63, 65-66). ა. ევალდი ვარაუდობს, რომ წინასწარმეტყველმა ერთი გვირგვინი ისუს დაადგა, მეორე კი – ზორობაბელს (Толковая Библия 1910: 403). აღნიშნული განმარტება ზაქარიას **სიმბოლური ქმედების** იუდეურ ეგზეგეზას ეხმიანება. ამ უკანასკნელს ნეტარი იერონიმე წარმოგვიდგენს („ხოლო გვირგვინები... მას შემდეგ, რაც ისუსა და ზორობაბელის, სალათიელის ძის თავებზე დაადგამ...“ (Блаженный Иероним 1900: 63). ნეტარი მამა აღნიშნულ აზრს არ უარყოფს, მაგრამ არც ადასტურებს („იდგმება გვირგვინები, ან გვირგვინი ისუზე...“ (Блаженный Иероним 1900: 64). წმინდა კირილე ალექსანდრიელის განმარტებით, ზაქარიამ მხოლოდ ისუ დაავირგვინა (Святитель Кирилл 2006ბ: 77). რამდენადაც წმინდა წერილი ზორობაბელის დაავირგვინების შესახებ არაფერს ამბობს, არ გვაქვს საკმარისი საფუძველი, რომ ამ თვალსაზრისს მხარი დავუჭიროთ.

წმინდა კირილე ალექსანდრიელის განმარტებით, ზაქარიამ გვირგვინების დამზადებისთვის ოქრო და ვერცხლი ზემოხსენებული ტაძრის შესაწირიდან აიღო (წმინდა მამის თქმით, წინასწარმეტყველმა აიღო ის ძღვენი, რომელიც სამშობლოში დაბრუნებული ებრაელების წინამძღოლთა მიერ უწინ იყო გაღებული (Святитель Кирилл 2006ბ: 77). ნეტარი თეოდორიტეს ეგზეგეზის თანახმად, განსახილველი თავის მე-10-ე მუხლში გადმოცემული საუფლო სიტყვები ნიშნავდა, რომ ტყვეობიდან

დაბრუნებულ ხალხს ღვთისთვის ძღვენი უნდა შეეწირა. ამასთან, აღნიშნული ბრძანება მხოლოდ იმათ ეხებოდა, ვინც ბაბილონის ტყვეობის მიზეზი გააცნობიერეს⁷³⁸ და მისგან სარგებელი მიიღეს (Блаженный Феодорит 2006ბ: 107)⁷³⁹. სწორედ ესეთი ადამიანები იყვნენ ელდა, ტობი და ედეია. წმინდა კირილესა და ნეტარი თეოდორიტეს განმარტებები რომ ერთმანეთს არ გამორიცხავენ, ეს წმინდა ეფრემ ასურის ეგზეგეზიდანაც დასტურდება. იგი ამბობს: „გვირგვინის შექმნას დასაბამი იოსიას სახლში დაედო, თუმცა მისი სრულყოფისათვის ხსენებული კაცები გაისარჯნენ და ოქროც გაიღეს...“ (Святой Ефремъ 1995ბ: 174).

მღვდელმთავრის დაგვირგვინება მეტად უჩვეულო ფაქტს წარმოადგენდა და ამას ებრაელთა შორის დიდი გაკვირვება უნდა გამოეწვია. წინასწარმეტყველს ებრძანა, რათა ისუზე გვირგვინების დადგმის შემდეგ შესაბამისი სიტყვებითაც მიემართა მღვდელმთავრისათვის:

„და არქუ მას: ამას იტყვს უფალი ყოვლისა-მპყრობელი: აჰა-ესერა – კაცი და აღმოსავალ⁷⁴⁰ სახელი მისი, და ქუეშე მისსა აღმოკდეს⁷⁴¹ და მან აღაშწნოს სახლი უფლისაჲ“⁷⁴².

წმინდა მამათა განმარტებით, ზემოთ მოტანილი სიტყვები იუდას ტომის შთამომავალი ზორობაბელის შესახებ ითქვა (Святитель Кирилл 2006ბ: 77). ნეტარი თეოდორიტეს ეგზეგეზის თანახმად, ზაქარიას წინასწარმეტყველება ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს, აღნიშნულ დროს ზორობაბელი არ იყო დაბადებული. ნეტარი მამის განმარტებით, ზორობაბელს სპარსელთა მეფისგან შესაბამისი ძალაუფლება ჯერ არ ჰქონდა ბოძებული (Блаженный Феодорит 2006ბ: 108). იმავე თვალსაზრისს გამოთქვამს წმინდა ეფრემ ასურიც. მისი ეგზეგეზის მიხედვით, სიტყვები: „ქუეშე მისსა აღმოკდეს“ დარიოსისგან ზორობაბელისთვის განსაკუთრებული ძალაუფლების მინიჭებას გულისხმობდა. ამ სიტყვებთან დაკავშირებით წმინდა ეფრემი სხვა მოსაზრებასაც გამოთქვამს. ღირსი მამის ვარაუდით, აღნიშნული წინასწარმეტყველება, შესაძლოა,

⁷³⁸ შდრ. ზაქ. 6. 10: „...მათგან, რომელთა იცოდიან იგი...“.

⁷³⁹ შდრ. ზაქ. 6. 10: „...უსაწმრესთა მისთაგან...“.

⁷⁴⁰ შდრ.: LXX: „Ανατολή“; VUL: „Oriens“; სლავ.: „востокъ“. შემდეგ ტექსტებში წერია „მორჩი“: MT: „מִנְצָא“; KJV: „BRANCH“; რუს.: „ОТРАСЛЬ“. ახალქართულშიც გვაქვს „მორჩი“.

⁷⁴¹ შდრ.: MT: „מִנְצָא וְיִתְּתֵהּ“; LXX: „καὶ ὑποκάταθεν αὐτὸν ἀνατελεῖ“; VUL: „et subter eum orietur“; სლავ.: „и подъ нимъ возсѣлетъ“.

⁷⁴² ზაქ. 6. 12.

ზორობაბელის მიერ „გოგის“⁷⁴³ მოდემის განადგურებას უკავშირდებოდა, რამაც ებრაელთა მეთაურს დიდება მოუტანა (Святой Ефремъ 1995ბ: 174). ნეტარი თეოდორიტე ამბობს: „აღმოსავალს იმიტომ უწოდებს, რომ ის ნათელივით აღმოუბრწყინდა იერუსალიმში მცხოვრებლებს, რომლებიც გაჭირვებითა და განსაცდელთა ბურუსით იყვნენ მოცულნი“ (Блаженный Феодорит 2006ბ: 108).

სიტყვა „აღმოსავალის“ ადგილზე ებრაულენოვან ბიბლიაში წერია **תְּשֵׁמָחַ (Tsemakh)**. ეს უკანასკნელი ითარგმნება, როგორც: „ამონაყარი“, „შტო“ ან „მორჩი“. გადატანითი მნიშვნელობით **תְּשֵׁמָחַ** „მთამომავალს“ ნიშნავს.

ზაქარიას წინასწარმეტყველების თანახმად, ზორობაბელი უფლის ტაძრის მშენებლობას დაასრულებდა. იმავე წინამოსწავებას ვხვდებით ზაქარიას წიგნის მეოთხე თავშიც, უფალი ბრძანებს: „ველთა ზორობაბელისთა დააფუძნეს სახლი ესე და ველთა მისთა აღასრულონ იგი...“⁷⁴⁴.

„და მან თავადმან მოიღოს **სათნოება**⁷⁴⁵ და დაჯდეს და მთავრობდეს საყდარსა თჳსსა, და იყოს მღვდელი იგი მარჯუენით მისა⁷⁴⁶ და ზრახვაჲ მშჯღობისაჲ იყოს მათ შორის ურთიერთას“⁷⁴⁷.

„სათნოების“ ადგილზე მასორეტულ ტექსტში წერია **תִּיה (Hod)**. ნეტარი იერონიმეს უწყებით, აღნიშნული ებრაული სიტყვა სხვადასხვაგვარად ითარგმნება: „დიდებული“⁷⁴⁸, „მშვენიერება“, „სათნოება“ ან „დიდება“ (Блаженный Иероним 1900: 62). **תִּיה** სეპტუაგინტაში გადმოიცემა შესიტყვებით **ἀρετή** (სათნოება), რაც, წმინდა კირილე ალექსანდრიელის განმარტებით, ხსენებულ ადგილზე „მშვენიერებას“ ან „დიდებას“

⁷⁴³ წმინდა ეფრემ ასურის განმარტებით, ეზეკიელის წინასწარმეტყველებაში ნახსენები „გოგი“ და „მაგოგი“ (იხ. ეზეკ. თ. 38-39) ის ერებია, რომლებიც ბაბილონის ტყვეობიდან სამშობლოში დაბრუნებულ ებრაელებს ავიწროებდნენ (Святой Ефремъ 1995ბ: 45).

⁷⁴⁴ ზაქ. 4. 9.

⁷⁴⁵ შდრ.: LXX: „ἀρετήν“; სლავ.: „Добродѣтели“; MT: „תִּיה“ (სიტყვა **תִּיה**-ის თარგმნა სხვადასხვაგვარად შეიძლება); „დიდებას“ წერია შემდეგ ტექსტებში: VUL: „gloriam“; KJV: „the glory“; რუს.: „славу“. ახალქართულშიც გვაქვს „დიდებას“.

⁷⁴⁶ შდრ.: LXX: „καὶ ἔσται ὁ ἱερεὺς ἐκ δεξιῶν αὐτοῦ“; სლავ.: „и вѣдетъ іерѣи ѡдеснѣхъ єго“. „და იქნება მღვდელი თავის ტახტზე“ წერია: MT: „וְיָשֵׁב עָלֵינוּ הַכֹּהֵן“; VUL: „et erit sacerdos super solio suo“; KJV: „and he shall be a priest upon his throne“; რუს.: „будет и священником на престоле Своем“. ახალქართულშიც იგივე ვითარებაა.

⁷⁴⁷ ზაქ. 6. 13.

⁷⁴⁸ შდრ. ბერძნ. **ἐπιδοξότης**.

აღნიშნავს (წინამდებარე განმარტებას წმინდა მამა იმ ფაქტზე ამყარებს, რომ ებრაულ $\tau\eta\eta$ -ს ზოგიერთი მთარგმნელი აღნიშნული სიტყვებით გადმოსცემს (Святитель Кирилл 2006ბ: 77). წმინდა ეფრემ ასურის ეგზეგეზის თანახმად, ზორობაბელი მას შემდეგ მიიღებდა დიდებას, რაც „მაგოგის“⁷⁴⁹ მოდგმას გაანადგურებდა (Святой Ефремъ 1995ბ: 174).

წმინდა ეფრემ ასურის თქმით, ზემოთ მოტანილ მუხლში ზორობაბელის მიერ საკუთარ საყდარზე დაჯდომა და მთავრობაში მისი ძალაუფლების ურყევობა იგულისხმება (Святой Ефремъ 1995ბ: 174). აღნიშნულ სიტყვებს ნეტარი თეოდორიტეც იმავე შინაარსით განმარტავს (Блаженный Феодорит 2006ბ: 108). წმინდა კირილე ალექსანდრიელი ამბობს: ზაქარიამ აღნიშნულს „დაურთო, რომ ორივე, ისუ და ზორობაბელი, ერთსა და იმავე საყდარზე ისხდებოდნენ“⁷⁵⁰, ასე რომ, მღვდელმოქმედების უფლების მქონეს სამეფო ღირსებაც უკავშირდება, ხოლო თავად მეფეს მღვდლის წოდება უერთდება“ (Святитель Кирилл 2006ბ: 77).

ზაქარიას წინასწარმეტყველების თანახმად, ზორობაბელსა და ისუ მღვდელმთავარს შორის „ზრახვად მშვიდობისა“, ე. ი. აზრთა თანხმობა იქნებოდა (Святитель Кирилл 2006ბ: 77). წმინდა ეფრემ ასურის განმარტებით, ეს ერთსულოვნება და მშვიდობა ღვთის მოშიშებაზე იყო დაფუძნებული (Святой Ефремъ 1995ბ: 174). ნეტარი თეოდორიტე ამბობს: წინასწარმეტყველების თანახმად, ზორობაბელი „ყოველგვარ პატივს მიანიჭებს მღვდელმთავარს, ამ უკანასკნელთან ისეთი თანამოაზრობა ექნება, რომ მისი გამართლების გარეშე არასოდეს არაფერს აღასრულებს“ (Блаженный Феодорит 2006ბ: 108).

„ხოლო გვრგვნი“⁷⁵¹ იყოს მოთმინეთაჲ მათ და საცმართა მისთაჲ და რომელთა იცოდინან იგი, და მადლად⁷⁵² ძისა სოფონიასა და საგალობელად სახლსა უფლისასა“⁷⁵³.

⁷⁴⁹ იხ. სქოლიო 743.

⁷⁵⁰ შდრ. ზაქ. 6. 13: „...და დაჯდეს და მთავრობდეს საყდარსა თვისსა, და იყოს მღვდელი იგი მარჯუენით მისა...“.

⁷⁵¹ შდრ.: LXX: „στεφανος“; სლავ.: „сѣнѣцъ“; ახალქართ.: „გვირგვინი“. სიტყვა „გვირგვინი“ მრავლობით რიცხვში დგას შემდეგ ტექსტებში: MT: „תִּרְשָׁטוּן“; VUL: „coronae“; KJV: „crowns“; რუს.: „венцы“.

⁷⁵² შდრ.: LXX: „τοῖς ὑπομένουσιν καὶ τοῖς χρησίμοις αὐτῆς καὶ τοῖς ἐπεγνακόσιν αὐτῆν καὶ εἰς χάριτα“; სლავ.: „терпѣцыи и ключицыи ѣмъ и рязшѣшыи ѣго, и въ благодѣиѣ“. საზოგადო სახელების მაგიერ საკუთარი წერია შემდეგ ტექსტებში: MT: „הֵלֶם וְתוֹבְיָהוּ וְיֵדְאִיָּהוּ וְהֵנ“; VUL: „Helem et Tobiae et Idaiae et Hen“; KJV: „to Helem, and to Tobijah, and to Jedaiah, and to Hen“; რუს.: „Хелему и Товии, Иедаю и Хену“. ახალქართულშიც იგივე ვითარებაა. აქ ლუკიანეს რედაქციაში აღნიშნული საკუთარი სახელები არ

შემოქმედის კურთხევით, ისუს თავზე დადებული გვირგვინები წინასწარმეტყველს უფლის ტაძარში უნდა მიეტანა. აღნიშნული ძღვენი ზაქარიას მათ სახელზე უნდა შეეწირა, ვინც ამ უკანასკნელის დამზადებაში მონაწილეობა მიიღო. წინასწარმეტყველისთვის გაწეული დახმარებისთვის იოსია სოფონიას ძეს უფლისგან მაძლი მიეცემოდა. ნეტარი თეოდორიტეს განმარტებით, სიტყვა „მაძლი“ (ბერძნ. $\chi\acute{\alpha}\rho\iota\varsigma$; ებრ. כֶּהֵן (**Khen**) ღვთივბოძებული დიდება იგულისხმებოდა (Блаженный Феодорит 2006б: 108).

„და შორიელნი იგი მათგან მოვიდენ და აშწნებდენ სახლსა უფლისასა, და სცნათ, რამეთუ უფალმან ყოვლისა-მწყრობელმან მომავლინა მე თქუენდა. და იყოს ესრე, უკუეთუ სმენით ისმინოთ ჳმად უფლისა ღმრთისა თქუენისა“⁷⁵⁴.

ზაქარიამ სიტყვით „შორიელნი“ წარმართი ერები აღნიშნა. ეს წინასწარმეტყველება პირდაპირი გაგებით გულისხმობდა სოლომონის ტაძრის აღდგენით სამუშაოებში უცხოტომელთა მონაწილეობას. როდესაც წინამოსწავება განხორციელდებოდა, ებრაელები გააცნობიერებდნენ, რომ მათთან ზაქარია თავად შემოქმედმა მიავლინა. ნათელი გახდებოდა, რომ წინასწარმეტყველი, თვითმარქვია მოღვაწეთა მსგავსად, საკუთარი სურვილის თანახმად კი არ მოქმედებდა, არამედ ღვთივრჩეულ ერს უფლის ნებასა და განგებას გადასცემდა. თუმცა, ზაქარიას უწყებით, ყოველივე ზემოაღნიშნული იმ შემთხვევაში აღსრულდებოდა, თუ ებრაელი ხალხი

გვხვდება. როგორც ვხედავთ, სამოცდაათთა თარგმანი მასორეტული ტექსტისგან ზაქარიას წიგნის VI თავის მე-14-ე მუხლითაც განსხვავდება. ამ უკანასკნელში ოთხი პიროვნებაა ნახსენები. განმმარტებელთა თანახმად, სამი მათგანი მე-10-ე მუხლში მოხსენიებული ადამიანების იდენტურნი არიან (Архиепископ Иоанн 2006б: 27); (Епископ Палладий 2006б: 79-80). ორი პიროვნების სახელი: הַזָּיִט და הַיָּטִי მეორდება, ერთის კი – განსხვავებულად არის წარმოდგენილი (יְהוֹנָתָן -ს ადგილზე წერია כְּהֵלֵם (**Khelem**). ნეტარი იერონიმეს თქმით, მეოთხე სახელი (כֶּהֵן (**Khen**) დამატებულია (Блаженный Иероним 1900: 63).

რაბინთა განმარტებით, აღნიშნულ ადგილზე כֶּהֵן -ში წინასწარმეტყველი დანიელი იგულისხმება, რომელიც სამშობლოში ტაძრისადმი განკუთვნილი შესაწირით დაბრუნდა. სახელი כְּהֵלֵם -ით (ნეტარი იერონიმეს თქმით, ის ნიშნავს „სიზმრისეულ ხილვას“) წმინდა წერილი იმ მოვლენაზე მიგვანიშნებს, რომ დანიელსა და სამ ყმაწვილს ლოცვის შემდეგ ნაბუქოდონოსორის სიზმრისეული ხილვის საიდუმლო განეცხადათ (იხ. დან. 2. 17-19); (Блаженный Иероним 1900: 63).

დეკ. პავლე ობრაზცოვის მოსაზრებით, ელდასა და იოსიას ორი სახელი ჰქონდათ, რაც ებრაელთა შორის სიახლეს არ წარმოადგენდა (Протоиерей Павел 2006: 69). ამ თვალსაზრისს იზიარებს არაერთი ბოლო დროის კომენტატორი. ისინი ფიქრობენ, რომ აღნიშნულ ადგილზე כֶּהֵן წერია יוֹשִׁיָּא -ს (**Yoshiya**) ნაცვლად (Толкование 1996: 568); (Епископ Палладий 2006б: 75, 79-80).

⁷⁵³ ზაქ. 6. 14.

⁷⁵⁴ ზაქ. 6. 15.

ღვთის სიტყვას შეისმენდა (Святитель Кирилл 2006ბ: 78); (Блаженный Иероним 1900: 63); (Блаженный Феодорит 2006ბ: 108-109).

ზემოთქმულის თანახმად, ზაქარიამ მღვდელმთავარი ისუ ოქროსა და ვერცხლისგან დამზადებული გვირგვინებით შეამკო. ოქრო სიმბოლურად ზეციურს უკავშირდება, ხოლო ვერცხლი – ამქვეყნიურს. შესაბამისად, ვფიქრობთ, პირველი მღვდელმთავრობას განასახიერებს, მეორე კი მეფობის ნიშანია. წმინდა კირილე ალექსანდრიელის ეგზეგეზის თანახმად, გვირგვინების მღვდელმთავარზე განთავსება იმის სიმბოლო იყო, რომ აღნიშნულ პატივთა მატარებელნი (ისუ და ზორობაბელი) ერს ურთიერთთანხმობით უწინამძღვრებდნენ (Святитель Кирилл 2006ბ: 77); (Самборский 2006: 251).

რატომ დაგვირგვინდა ისუ და არა ზორობაბელი?

მეფობის კურთხევა ზეციდან მოდის და მღვდელმთავარს ეძლევა. მღვდელმთავრის მიერ იკურთხება მეფე. ვფიქრობთ, ამის ნიშნად ზაქარიას **სიმბოლურ ქმედებაში** მეფობა და მღვდელმთავრობა ერთიანდება ისუში და არა ზორობაბელში.

გადავიდეთ ზაქარიას **სიმბოლური ქმედების** მესიანისტურ განმარტებაზე.

წმინდა კირილე ალექსანდრიელის თქმით, ბიბლიაში ზორობაბელი და ისუ მაცხოვრის წინასახეები არიან: „ჩვენ დასაწყისიდანვე ვამტკიცებდით, რომ ზორობაბელსა და ისუში ქრისტე გამოისახება, როგორც თითოეულ მათგანში ცალ-ცალკე, ასევე ორივეში ერთად, როგორც ერთი პიროვნება; რადგან მასში (მხსნელში, ც. რ.) შეთავსებულია ისრაელის მეფეც და *წმიდაჲ, უმანკოდ, შეუგინებელი*⁷⁵⁵ დიდი მღვდელმთავარიც. რამდენადაც იუდას ტომის მოდგმიდან იკავებდნენ სამეფო საყდარს, ხოლო ლევის ტომიდან წარმომდგარნი სამღვდლო მსახურებისთვის დაიდგინებოდნენ, ნათელია, რომ ორის საშუალებით (ე. ი. ზორობაბელსა და ისუში, ც. რ.) ერთი უფალი გამოიხატება“ (Святитель Кирилл 2006ბ: 78).

წმინდა კირილე ალექსანდრიელი და ნეტარი იერონიმე ზაქარიას მიერ მღვდელმთავარ ისუს თავზე დადებულ გვირგვინებს სიმბოლურად ქრისტიანთა სათნოებებს უკავშირებენ: ჭეშმარიტი რწმენა, ლოცვა, სინანული და სხვ. წმინდა მამათა თანახმად, ღვთივსათნო საქციელით ყოველი მორწმუნე თავად მაცხოვარს „აგვირგვინებს“. ნეტარი იერონიმე და წმინდა კირილე ქრისტეს „დაგვირგვინებაში“

⁷⁵⁵ ებრ. 7. 26.

უფლის განდიდებას გულისხმობენ. მართალი სარწმუნოებითა და კეთილი საქმეებით მცხოვრები ადამიანი უფალს განადიდებს. ეს უკანასკნელი შეიძლება გამოიხატოს როგორც ქრისტიანული ცხოვრების წესით და მართალი სარწმუნოებით, ასევე უშუალოდ ღვთისადმი ქება-დიდებათ (Святитель Кирилл 2006ბ: 79); (Блаженный Иероним 1900: 64, 65). ამასთან, წმინდა კირილე ალექსანდრიელის განმარტებით, ქრისტეს „გვირგვინი“, ე. ი. დიდება არის უფლის მიერ კაცობრიობის გამოხსნა (Святитель Кирилл 2006ბ: 79). ამრიგად, აღნიშნული **სიმბოლური ქმედებით** წინამოესწავებოდა იესო ქრისტე, რომელიც კაცობრიობას გამოიხსნიდა და ჭეშმარიტი ქრისტიანებისგან იქნებოდა განდიდებული.

გვირგვინების დამზადებისთვის შესაწირი იმ ერისმთავრებმა გაიღეს, რომლებიც ბაბილონის ტყვეობის სულიერ მნიშვნელობას აცნობიერებდნენ. წმინდა კირილე ალექსანდრიელი აღნიშნულ პიროვნებებს საერო ხელისუფლებას უკავშირებს. თუ ხელისუფალმა კაცობრიობის უწინდელი ტყვეობის რაობა იცის, მაშინ ხალხისთვის სულიერი სარგებლის მოტანა და ღვთისათნო ცხოვრებისაკენ გაძლიერება შეუძლია. საერო ხელისუფლების ღვთისმოსაობა ხალხს უფალთან აახლოვებს. ასე რომ, ერისმთავართა მიერ შეწირული ძღვენი იქცევა „საგალობელად სახლსა უფლისასა“⁷⁵⁶. წმინდა კირილე ალექსანდრიელისა და ნეტარი იერონიმეს თანახმად, ღმერთის „დამგვირგვინებელი“ თითოეული მორწმუნე გაწეული ღვაწლისთვის შემოქმედისაგან მაღლს მიიღებს. მათთვის სამომავლოდ ზეცაში უხრწნელი გვირგვინია გამზადებული (Святитель Кирилл 2006ბ: 79, 81); (Блаженный Иероним 1900: 66).

წმინდა ეფრემ ასური ისუზე დადგმულ გვირგვინს სახარებას უკავშირებს. გვირგვინისთვის შესაწირი ოთხმა ერისმთავარმა გაიღო, ამავე რაოდენობის მახარებლის მიერ კი ევანგელე დაიწერა. გვირგვინი, წმინდა მამის თქმით, ოქროსა და ვერცხლისგან დამზადდა, ხოლო სახარება ქრისტეს ორი ბუნების შესახებ სწავლებას შეიცავს. წმინდა ეფრემ ასურის თქმით, უწმინდესი ვერცხლი მაცხოვრის უცოდველ ადამიანურ ბუნებას განასახიერებდა, ოქრო კი – ღვთაებრივს (Святой Ефремъ 1995ბ: 175).

წმინდა კირილე ალექსანდრიელის ეგზეგეზის სიღრმისეული განხილვა გვაფიქრებინებს, რომ მღვდელმთავრის გვირგვინებით შემკობას ზორობაბელიც ესწრებოდა. წმინდა მამის თქმით, ეს უკანასკნელი ისუსთან ერთად განკაცებულ ძე

⁷⁵⁶ ზაქ. 6. 14.

ღვთისას განასახიერებდა: „როდესაც მღვდელმთავარ ისუს გვირგვინები თავზე დაედგა, მის მიმართ ზორობაბელის შესახებ ითქმება: *აკა-ესერა – კაცი და აღმოსავალ სახელი მისი, და ქუეშე მისა აღმოჯდეს.* (წინასწარმეტყველი, ც. ჩ.) ხედავს ისუს, დაგვირგვინებულს, როგორც მღვდელ(მთავარ, რედ.)⁷⁵⁷, ასევე, ზორობაბელის სახეში ჭვრეტს მას (ქრისტეს, ც. ჩ.), რომელსაც სამეფო დიდების უპირატესობებიც აქვს“ (Святитель Кирилл 2006ბ: 80). იგივე წმინდა მამა ამბობს: „რომ ერთიმეორეში, ასე ვთქვათ, გაერთიანებულ ზორობაბელსა და ისუს შესანიშნავად შეეძლოთ ქრისტეს მოსწავება, ეს (წინასწარმეტყველმა, ც. ჩ.) აჩვენა, როდესაც (წარმოთქმულ სიტყვებს, ც. ჩ.), თითქოს ზორობაბელზე ამბობდესო, დაურთო: *და იყოს მღვდელი იგი მარჯუენით მისა, ე. ი. პატივსა და დიდებაში, და ზრახვად მშვიდობისა იყოს მათ შორის ურთიერთას;* რადგან ის (იესო ქრისტე, ც. ჩ.), როგორც უკვე წინათ ვთქვი, მეფე და მღვდელმთავარი ერთად არის, რომელიც, ასე ვთქვათ, ორის მეშვეობით ერთ ემმანუელადაა გამოხატული“ (Святитель Кирилл 2006ბ: 80-81). აღნიშნულ ეგზეგეზას საფუძველი ზაქარიას წიგნის ზემოთ მოხმობილ იუდეურ განმარტებაშიც აქვს. როგორც ზემოთ დავინახეთ, გვირგვინების დადგმისას მღვდელმთავარს თან რომ ზორობაბელიც ახლდა, ამას არც ნეტარი იერონიმე გამორიცხავს (Блаженный Иероним 1900: 63, 64). თუმცა იგი აღნიშნულ ბიბლიურ ეპიზოდში მხოლოდ მღვდელმთავრის სიმბოლურ მნიშვნელობაზე ამახვილებს ყურადღებას (Блаженный Иероним 1900: 65).

ბოლო დროის კომენტატორები (მთავარეპ. იოანე (სმირნოვი), ეპ. პალადი (პიანკოვი), დეკ. პავლე ობრაზცოვი და სხვ.) ზაქარიას მიერ ისუს დაგვირგვინებას ზემოაღნიშნულისგან განსხვავებული თვალთახედვით განიხილავენ. მათი განმარტების თანახმად, ზაქარიას **სიმბოლურ ქმედებაში** გვირგვინი (ან გვირგვინები) სამეფო პატივს განასახიერებდა (Архиепископ Иоанн 2006ბ: 26); (Епископ Палладий 2006ბ: 74, 76, 77); (Протоиерей Павел 2006: 65); (Толковая Библия 1910: 403); (Толкование 1996: 568). აღნიშნულ კომენტატორთა მოსაზრება საფუძვლიანია, თუმცა წმინდა კირილესა და ნეტარი იორონიმეს განმარტება უფრო ღრმა აზრს შეიცავს.

მთავარანგელოზმა გაბრიელმა მართალ იოსებს შემდეგი სიტყვებით მიმართა: „იოსებ, ძეო დავითისო, ნუ გემინინ მიყვანებად მარიამისა, ცოლისა შენისა, რამეთუ რომელი-იგი მისგან იშვეს, სულისაგან წმიდისა არს. შვეს ძე, და უწოდიან სახელი მისი

⁷⁵⁷ დედანში წერია „მღვდელს“ (შდრ. ბერძნ. „ἱερεα“ (PG 1864გ: 97).

იესუ, რამეთუ მან იქსნეს ერი თვისი ცოდვათა მათთაგან⁷⁵⁸. ქალწულისგან შობილმა ძე ღვთისამ კაცობრიობა სულიერი ტყვეობისაგან გამოიხსნა.

მღვდელმთავარს, რომელიც მომსვლელი მესიის წინასახე იყო, თუ მცირეოდენ განსხვავებას არ გავითვალისწინებთ, იესო ქრისტეს იგივეობრივი სახელიც ჰქონდა. მასორეტული ტექსტის მიხედვით, ზაქარიას მიერ დაგვირგვინებულ მღვდელმთავარს **יְהוֹשֻׁעַ** (Yēhoshua) ერქვა. აღნიშნული სახელი მომდინარეობს ზმნიდან **יָשָׁא** (Yasha; ვიხსნი, ვათავისუფლებ). ებრაულენოვანი სიტყვა **יֵשׁוּעַ** (Yeshua; შდრ. ბერძნ. Ἰησοῦς, ქართ. იესო), რომელიც განკაცებულ ძე ღვთისას დაერქვა, **יְהוֹשֻׁעַ**-ს „კონსტრუქტუსის“⁷⁵⁹ ფორმაა და „ხსნას“ ნიშნავს (ე. ი. იმავე მნიშვნელობისაა **יְהוֹשֻׁעַ**-ც). წმინდა მამათა განმარტებით, სახელში – **יֵשׁוּעַ** კაცობრიობის გამოხსნა იგულისხმება (Святитель Кирилл 2006б: 79); (Блаженный Иероним 1900: 65).

განსახილველი თავის მე-12-ე მუხლში გადმოცემული წინასწარმეტყველება სულიერი მნიშვნელობით თავად მაცხოვარს უკავშირდებოდა.

ზაქარიას წინასწარმეტყველების ზემოაღნიშნული ადგილის სამოცდაათთა თარგმანში ქრისტეს მიემართება სიტყვა **Ἐνατολή**⁷⁶⁰, ხოლო მასორეტულ ტექსტში – **תְּסַמַּח** (Tsemakh)⁷⁶¹. წმინდა მამების მიერ ორივე იკითხვის შესაბამისად არის განმარტებული. ნაშრომში თითოეულ მათგანს წარმოვადგენთ.

მაცხოვარი წმინდა წერილში იწოდება, როგორც: „კეთილი მწყემსი“, „ტარიგი“, „კარი“, „შებრკოლების ქვა“, „კვერთხი“ და ა. შ. ძე ღვთისას თითოეული სახელი

⁷⁵⁸ მთ. 1. 20-21.

⁷⁵⁹ ლათ. **status constructus** – ეს არის არსებითი სახელის განსაკუთრებული მორფოლოგიური ფორმა ებრაულ ენაში. ამ ფორმაში მდგარი არსებითი სახელი განისაზღვრება (მფლობელის მითითებით) მასთან შეწყვილებული (პოტენციურად ეს წყვილი ერთ სიტყვად ითვლება) მეორე არსებითი სახელით (რომელიც ამ შემთხვევაში დგას **status absolutus**-ში). სიტყვა „ხსნა“ „კონსტრუქტუსის“ ფორმაში გულისხმობს ვიდაცის ხსნას.

⁷⁶⁰ სიტყვა **Ἐνατολή** ნიშნავს: „წარმოქმნას“, „ამოსვლას“ (აქედან „აღმოსავლეთი“; ძველქართული „აღმოსავალი“ ნიშნავს როგორც „ამოსვლას“, ასევე „აღმოსავლეთს“. იგივე ვითარებაა სლავურ „востокъ“-თან დაკავშირებითაც). სიტყვა **Ἐνατολή** ძველქართულად ითარგმნებოდა როგორც: „აღმოსავალი“, „მზის აღმოსავალი“, „აღმოსვლა“, „აღმობრწყინება“. ბერძნულ **Ἐνατολή**-ს და ებრაულ **תְּסַמַּח**-ს (Tsemakh) ერთი და იგივე ძირეული მნიშვნელობა აქვთ. ნეტარი იერონიმეს ეგზეგეზის თანახმად, ბერძნულ სიტყვა **Ἐνατολή** აღნიშნულ ადგილზე იგივეა, რაც **ἀναψή** (აღმოცენება) ან **βλαστήμα** (მორჩი) (Блаженный Иероним 1900: 62). **תְּסַמַּח**-ს აკვილა თარგმნის როგორც „ἀναψή“, ხოლო სიმახოსი როგორც – „βλαστήμα“.

⁷⁶¹ იხ. სქოლიო 740.

განსაკუთრებული შინაარსით მიემართება. სეპტუაგინტა მესიის მოსვლის სულიერ მნიშვნელობას გადმოგვცემს. ჩვეულებრივ, სიტყვა Ἄνατολή მზის აღმობრწყინებას უკავშირდება, აღნიშნულ შეთხვევაში კი – ქვეყნიერებაზე ჭეშმარიტი ნათლის, ძეღვთისას, ადამიანური ბუნებით გამოჩენას. ნეტარი იერონიმე ამბობს: „ჩვენ არ ვყოფთ ისუს და ერთ პიროვნებაში ორ პირს არ მოვიაზრებთ, თუმცა (ვაღიარებთ, რედ. შენ.), რომ ქვეყნიერების ხსნის მიზეზით, იესოდ წოდებული, აღმოსავლად⁷⁶² იწოდება, რადგან მის დროს იშვა სიმართლე“ (Блаженный Иероним 1900: 65). უფალი თავად ჭეშმარიტებაა⁷⁶³. მეფსალმუნე დავითი გვაუწყებს: „ჭეშმარიტებაჲ ქუეყანით აღმოსცენდა...“⁷⁶⁴.

მასორეტული ტექსტის იკითხვისი „მორჩი“ იესოს დავითის მოდგმიდან განკაცების შინაარსს შეიცავს. ებრაულენოვან ბიბლიაში სიტყვების: „და ქუეშე მისსა

⁷⁶² შდრ. ლათ. „Oriens“ (PL 1884: 1458). სიტყვა Oriens არის orior-ის (ქართ. „აღმოსვლა“) მოქმედებითი გვარის მიმღობა. ასე რომ, Oriens „აღმოსავლეთადაც“ შეიძლება ითარგმნოს და „აღმომავლადაც“.

ეხევიელის წიგნის განმარტებისას ნეტარი იერონიმე ამბობს: „წინასწარმეტყველი... მიყვანილ იქნა უფლის სახლის აღმოსავლეთის კარიბჭესთან, ის მიქცეული იყო სიმართლის მზისკენ, რომელზეც წერია: აჰა-ესერა – კაცი და აღმოსავალ სახელი მისი...“ (Блаженный Иероним 1886: 126). ლუკას სახარებაში ვკითხულობთ: „...მომხედნა ჩუენ აღმოსავალმან მალლით გამოჩინებად მათ ზედა, რომელნი სხენან ბნელსა შინა და აჩრდილთა სიკუდილისათა...“ (ლკ. 1. 78-79). უფლის განკაცება იწოდება „მზის ამოსვლად“, „განთიადად“. იესო ქრისტე – „მზე სიმართლისა“ გამოუბრწყინდა სულიერ სიბნელეში მყოფ ხალხს. ლუკას სახარების I თავის 78-ე მუხლის განმარტებისას ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი ამბობს: „მან, რომელსაც ეწოდება აღმოსავალი, გადმოგვხედა მალლიდან. ვინაიდან იგი არის მზე სიმართლისა და აღმოგვობრწყინდა ჩვენ, რომლებიც ვიყავით ბნელში, ე. ი. ცოდვაში“ (<https://azbyka.ru/otechnik/Feofilakt Bolgarskij/tolkovanie-na-evangelie-ot-luki/1>). აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა უკანასკნელი დროის ღვთისმეტყველთა მოსაზრებები. ეპ. მიქაელის (ლუზინის) თქმით, გამოთქმა „აღმოსავალი მალლით“ ნასესხებია მზის ამოსვლისაგან, რომელმაც ესე-ესაა პირველი სხივებით განანათლა წმინდა მიწა. იმავე მოსაზრებას გამოთქვამს დეკ. იოანე (ბუხარევი): „იგი (ზაქარია, ც. ჩ.) სახელს („აღმოსავალი მალლით“, ც. ჩ.) სესხულობს მზის ამოსვლისგან“ (შდრ. რუს.: „Названиеъ заимствуетъ онъ отъ востока солнца“ (Протоиерей Иоанн 1902: 28). ამ აზრს ნათელს ჰფენს პროფ. ა. ივანოვის სიტყვები: „(ზაქარიამ თქვა, ც. ჩ.) აღმოსავალი მალლით, იმის მაგიერ (რომ ეთქვა, ც. ჩ.) მზე ამომავალი ციდან და არა – მიწიდან, როგორც მზე, ჩვეულებრივ, ამოდის. შესაბამისად, მზე, გარდამომავალი ზემოდან, დამშვები მიწაზე... ზაქარია იყენებს წინასწარმეტყველთაგან აღებულ გამოთქმას (იხ.: იერ. 23. 5; ზაქ. 3. 8, 6. 12)... სახელი აღმოსავალი მიემართება მესიას ნათლის მნიშვნელობით...“ (<https://azbyka.ru/otechnik/Aleksandr Ivanov/rukovodstvo-k-izucheniyu-knig-svjashennogo-pisanija-novogo-zaveta/3-2>). ლუკას სახარების ზემოთ ნახსენები ადგილის განმარტებისას ეპ. მიქაელი ამბობს: „ზაქარია ჭკრეტს ამ ამომავალ მზეს – მესიას, რომელიც მუცლადღებულია და მალე უნდა იშვას, რომელმაც უნდა განანათლოს კაცობრიობა წმინდა სწავლებითა და გამომსყიდველობითი მსხვერპლით ისე, როგორც მზე განაბრწყინებს მიწას“ (<https://azbyka.ru/otechnik/Mihail Luzin/tolkovanie-na-evangelie-ot-luki/1>). მალაქიას წინასწარმეტყველებაში წერია: „და გამოგობრწყინდეს (შდრ.: LXX: „ἀνατελεῖ“; VUL: „oriatur“) თქუენ, მოშიშთა სახელისა ჩემისათა, მზე სიმართლისაჲ და კურნებაჲ ქუეშე ფრთეთა მისათა...“ (მალაქ. 4. 2).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ზაქარიას წინასწარმეტყველების VI თავის მე-12-ე მუხლში სიტყვები: Ἄνατολή (იხ. სქოლიო 760) და Oriens არაერთ მნიშვნელობას იტევენ.

⁷⁶³ იხ. იხ. 14. 6.

⁷⁶⁴ ფსალმ. 84. 12.

აღმოვცდეს⁷⁶⁵ ადგილზე წერია: „საკუთარი ძირიდან აღმოვა“ (ებრ.: „**נִחַץ? וְיִתְחַדֵּוּ**“). წმინდა ეფრემ ასური აღნიშნულ ადგილს მარადქალწული მარიამისაგან იესოს შობას უკავშირებს (Святой Ефремъ 1995ბ: 174). ნეტარი იერონიმე ნიშანდობლივად აღნიშნავს, რომ მორჩი თავისთავად, ყოველგვარი ჩარევის გარეშე, იზრდება (Блаженный Иероним 1900: 62). ასე რომ, მაცხოვარს ტერმინი „მორჩი“ მარადქალწულისაგან უთესლოდ შობის მნიშვნელობითაც მიემართება. ესაია მაცხოვრის შესახებ წინასწარმეტყველებს: „და გამოვიდეს კუერთხი ძირისაგან იესუსისა, და ყუავილი ძირისა მისისაგან აღმოვცდეს⁷⁶⁶. „ჩვენ კი“ – ამბობს წმინდა კირილე ალექსანდრიელი – „*ქუეშე მისსა* ამოვიზარდეთ...“ (Святитель Кирилл 2006ბ: 80). წმინდა კირილეს განმარტებით, მაცხოვარი კაცობრიობისთვის „მეორე (ცხოვრების) ფესვად“⁷⁶⁷ იქცა, რომლისგანაც მარადიულობისკენ „გაზრდა“ შეიძლება (Святитель Кирилл 2006ბ: 80).

ზაქარიას წინასწარმეტყველებით, იესო ქრისტე „უფლის სახლს“ ააშენებდა⁷⁶⁸. აღნიშნულ ადგილზე ახალი აღთქმის ეკლესიის დაფუძნებაზეა საუბარი.

სულიერი თვალთახედვით, მე-13-ე მუხლის დასაწყისში ძე ღვთისას დიდებამოსილებაზეა საუბარი, რომელზეც იოანე ღვთისმეტყველი შემდეგს ამბობს: „და სიტყუად იგი ჯორციელ იქმნა და დაემკვდრა ჩუენ შორის, და ვიხილეთ დიდებაჲ მისი, დიდებაჲ ვითარცა მხოლოდშობილისაჲ მამისა მიერ, სავსე მადლითა და ჭემმარიტებითა“⁷⁶⁹. მე-13-ე მუხლის ბოლო ნაწილი ქრისტეს ამაღლებასა და მამის მარჯვნივ დაჯდომას ეხება, რომელთან ერთად ძე სამყაროს განაგებს. „მშვიდობიანი ბჭობა“ გულისხმობს, რომ მამას და ძეს ერთი ნება აქვთ. წმინდა ეფრემ ასური აღნიშნულ მუხლს ქრისტეს მოციქულებს უკავშირებს, რომლებიც უფალმა სასულიერო პირებად აკურთხა, საკუთარი მეგობრები უწოდა და მეორედ მოსვლის დროს თორმეტ საყდარზე ებრაელთა განსასჯელად დასხდომა აღუთქვა (Святой Ефремъ 1995ბ: 175)⁷⁷⁰.

ზემოდასახელებული მუხლის ებრაულენოვანი ტექსტი ცხადად წარმოაჩენს ზაქარიას **სიმბოლური ქმედების** ქრისტოლოგიურ შინაარსს. ნეტარი იერონიმე აღნიშნულ იკითხვისზე განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს. მასორეტული

⁷⁶⁵ ზაქ. 6. 12.

⁷⁶⁶ ეს. 11.1.

⁷⁶⁷ „პირველ ფესვად“ ადამი მოიაზრება.

⁷⁶⁸ იხ. ზაქ. 6. 12.

⁷⁶⁹ იხ. 1. 14.

⁷⁷⁰ იხ. მთ. 19. 28.

ბიბლიის თვალნათელი მოწმობით, ზაქარიას **სიმბოლურ ქმედებაში** მოსწავებული პირი იქნებოდა როგორც მეფე, ასევე მღვდელმთავარი⁷⁷¹. ნეტარი იერონიმე აღნიშნული მუხლის განმარტებას განაგრძობს და ამბობს, რომ ქრისტეში სამეფო ძალაუფლებას არ დაუმცრია სამღვდელმთავრო პატივი და არც პირიქით მომხდარა (Блаженный Иероним 1900: 66).

წმინდა ეფრემ ასური ამბობს, რომ ქრისტეა „ჭემმარიტი *აღმოსავალი* და მამის ნათება; ის გამოგვიბრწყინდა ხორცში და ჰქვია *აღმოსავალი*. ის იწოდება კაცად, რადგან განკაცდა, – ქვემოდან აღმობრწყინებულად⁷⁷², რადგან ქალწულიდან იშვა. მან უფლის ტაძარი შექმნა, ე. ი. ეკლესია, მიიღო დიდება და უპირატესობა, დაჯდა და იუფლა საკუთარ საყდარზე მარადიულად...“ (Святой Ефремъ 1995ბ: 174).

ზაქარია წარმართთა მოქცევაზეც წინასწარმეტყველებს და ამბობს, რომ შორიელები მოვლენ და უფლის სახლის შენებას შეუდგებიან⁷⁷³. თითოეული ჭემმარიტი მორწმუნე სულიწმიდის ტაძარია. ასე რომ, აღნიშნულ წინასწარმეტყველებაში ის იგულისხმება, რომ ყოველი ადამიანი, ვინც ქრისტიანი გახდება, საკუთარ თავში უფალს სამყოფელს განუმზადებს. სიტყვა „შორიელები“ იმ ადამიანებს მიემართება, რომლებიც უფალთან სიახლოვეში არ იმყოფებიან (Святитель Кирилл 2006ბ: 78-79, 81); (Святой Ефремъ 1995ბ: 175). მე ღვთისას განკაცებამდე აღნიშნულ სულიერ მდგომარეობაში იყვნენ წარმართები.

წმინდა კირილე ალექსანდრიელი ზემოაღნიშნულ მუხლს მესიის მოსვლის შემდგომ პერიოდს უკავშირებს. მისი განმარტებით, ჯერ კიდევ „სიბნელეში“ დარჩენილი წარმართები იმ ქრისტიანთა მაგალითით მოექცევიან, რომლებიც უფალს საკუთარი ცხოვრებით განადიდებენ. წმინდა კირილე ალექსანდრიელი ზაქარიას სიტყვებს: „და სცნათ, რამეთუ უფალმან ყოვლისა-მპყრობელმან მომავლინა მე“⁷⁷⁴ ახალი აღთქმის პერიოდთან მიმართებით შემდეგნაირად განმარტავს: „როდესაც ეს ყოველივე აღსრულდება, მაშინ წინასწარმეტყველთა უცილობელ ჭემმარიტებაში დავრწმუნდებით, ცხადად გულისხმასვყოფთ რა, რომ ღმერთი ლაპარაკობდა მათში და ჩვენთვის ქრისტეს საიდუმლოებებს წინამოასწავებდა“ (Святитель Кирилл 2006ბ: 81). ნეტარი იერონიმე „შორიელებად“ ებრაელებს მოიაზრებს, რომლებიც უკანასკნელ ჟამს ქრისტეს ეკლესიას

⁷⁷¹ იხ. სქოლიო 746.

⁷⁷² შდრ. ლათ.: „*oriturus ab infra*“ (Sancti Ephraem 1740: 295).

⁷⁷³ იხ. ზაქ. 6. 15.

⁷⁷⁴ ზაქ. 6. 15.

შეუერთდებიან. ეს კი მხოლოდ იმ შემთხვევაში აღსრულდება, თუ ებრაელები ღვთის ნებას შეისმენენ, უწინდელ ცოდვიან ცხოვრებას შეინანებენ და სათნოებებში გამყარდებიან (Блаженный Иероним 1900: 66).

მე-15-ე მუხლში წმინდა ეფრემ ასური ყოვლადწმინდა სამების სამივე პირს ჭკრეტს: „სულს, რომელიც ძის მიერ ლაპარაკობს; ძეს, რომელიც საკუთარ თავს მოვლინებულს უწოდებს და მამას, ყოვლისმპყრობელ უფალს, რომელმაც ის წარგზავნა“ (Святой Ефремъ 1995ბ: 175).

ზემოაღნიშნული **სიმბოლური ქმედების** მიზანი ზაქარია და ანგეა წინასწარმეტყველთა მოღვაწეობის უმთავრეს საგანს უკავშირდებოდა. როგორც ვიცით, ისინი ებრაელებს სოლომონის ტაძრის აღდგენას შეაგონებდნენ. სწორედ ამის შესრულებისადმი ღვთივრჩეულ ერში განსაკუთრებული სწრაფვის აღძვრისთვის აღესრულა **სიმბოლური ქმედებაც**.

ი. სამბორსკი ზაქარიას **სიმბოლური ქმედების** მიზანს უშუალოდ ისუსა და ზორობაბელის მიმართებით განიხილავს. მისი თვალსაზრისით, აღნიშნული **სიმბოლური ქმედების** დანიშნულება იყო ისუსა და ზორობაბელის დარწმუნება ღვთის მფარველობაში და მათი გამხნეება (Самборский 2006: 251).

ბოლო დროის კომენტატორთა თქმით, ებრაელი ხალხისთვის სწორედ მესიის შესახებ წინასწარმეტყველება იყო იმედის მიმცემი და რწმენაში გამამდიერებელი (Архиепископ Иоанн 2006ბ: 26); (Протоиерей Димитрий 2006: 122-123). დეკანოზი პავლე ობრაზცოვი გვახსენებს ანგეას წინასწარმეტყველებას სოლომონის მეორე ტაძრის შესახებ (Протоиерей Павел 2006: 64)⁷⁷⁵. აღნიშნული წინამოსწავების მიხედვით, მეორე ტაძრის დიდებულების საფუძველი ის იყო, რომ მასში განკაცებული ღმერთი უნდა მოსულიყო. ეპ. პალადის განმარტებით, ზაქარია იუდეველთა სასოებას მხსნელისადმი წარმართავდა და ამით იუდეველთა განმტკიცება სურდა (Епископ Палладий 2006ბ: 74).

ამრიგად, ძველი აღთქმის წიგნებში აღწერილი უკანასკნელი **სიმბოლური ქმედება** ზაქარია წინასწარმეტყველს უკავშირდება. მან მღვდელმთავარი ისუ დაავიცივინა. მღვდელმთავარში სიმბოლურად გაერთიანდა სამღვდლო და სამეფო პატივი. ისტორიული თვალთახედვით ეს ყოველივე მოასწავებდა ებრაელი ხალხის სულიერ ლიდერსა და საერო მმართველს, ისუსა და ზორობაბელს, შორის თანხმობას ერის

⁷⁷⁵ იხ. ანგ. 2. 7, 9.

მართვა-გამგეობის საქმეში, ხოლო სულიერი თვალსაზრისით დაგვირგვინებული მღვდელმთავარი განკაცებული ძე ღვთისას წინასახე იყო. ზაქარიას **სიმბოლური ქმედება** მის თანამედროვე იუდეველთათვის უდიდეს ნუგეშს წარმოადგენდა.

აღნიშნული ბიბლიური ეპიზოდი **სიმბოლურ ქმედებებში** გამონაკლისი მაგალითია. როგორც ვიცით, ჩვეულებრივ, წინასწარმეტყველი ხალხს განუმარტავდა **სიმბოლური ქმედების** იმ მნიშვნელობას, რაც ერის ისტორიას უკავშირდებოდა. ამ შემთხვევაში, მხილველისთვის საცნაური გახდა **სიმბოლური ქმედების** მესიანისტური შინაარსიც.

დასკვნა

XX ს.-ის მეორე ნახევარში ბიბლიის მკვლევართა (გერმანიაში, აშშ-ში, ინგლისში და ა. შ.) შორის დიდი ინტერესი გამოიწვია წინასწარმეტყველთა ქმედებების განსაკუთრებულმა მაგალითებმა ძველ აღთქმაში. წლების განმავლობაში გამოიკვეთა მრავალი აზრი აღნიშნული ქმედებების რაობასთან დაკავშირებით. თვალსაზრისების სიმრავლის შედეგად ჩამოყალიბდა საწინასწარმეტყველო ქმედებების სხვადასხვა კატეგორია და მათი აღმნიშვნელი არაერთი ტერმინი. მკვლევრები თანხმდებოდნენ **სიმბოლური ქმედების** უმთავრეს მაგალითებზე, თუმცა პირადი თვალთახედვის მიხედვით გამოჰყოფდნენ სხვა არაორდინალურ ბიბლიურ ეპიზოდებსაც.

ბიბლიის ზემოაღნიშნულ მკვლევართა მოსაზრებების გაცნობამ აჩვენა, რომ ისინი **სიმბოლურ ქმედებებს** არსებითად განიხილავდნენ: მეცნიერული კუთხით, ფილოსოფიური თვალთახედვით ან წარმართული რწმენა-წარმოდგენების ჭრილში. საკითხისადმი მცდარი მიდგომიდან გამომდინარე, მათი დასკვნებიც იყო არასწორი ან არასაკმარისი იმისთვის, რომ გაგვეგო **სიმბოლური ქმედების** არსი. მართალია, ამ ტერმინს იყენებდნენ მართლმადიდებელი ღვთისმეტყველები, მაგრამ ეკლესიის აზრის რაობასთან დაკავშირებით ან აღნიშნული შესიტყვების ზუსტი განსაზღვრება არსად იყო მოცემული. ასე რომ, უპირველეს მიზნად დავისახეთ **სიმბოლური ქმედების** არსის ძიება. მიღებული შედეგი მოგვცემდა ამ ტერმინის ზუსტი დეფინიციის ფორმულირების შესაძლებლობას, რის საფუძველზეც განვსაზღვრავდით სადისერტაციო კვლევის არეალს.

სიმბოლური ქმედების რაობის გასაგებად ჩვენ გამოვიკვლიეთ მის უმთავრეს მაგალითებთან დაკავშირებული საეკლესიო ეგზეგეზა. მამათა განმარტებების შესწავლამ ცხადყო, რომ ეს ქმედებები ერთიანდებიან **მოქმედებითი წინასწარმეტყველების სახეში**, თუმცა ახასიათებთ თავისებურებები. მიღებული შედეგის საფუძველზე მკაცრად განისაზღვრა ტერმინ **სიმბოლური ქმედების** მნიშვნელობა.

ზემოხსენებულ განსაზღვრებაზე დაყრდნობით ძველი აღთქმის წიგნებში გამოვყავით **ოცდახუთი** ბიბლიური ეპიზოდი. მათში აღწერილია მოქმედებითი წინასწარმეტყველების განსაკუთრებული მაგალითები, რომელნიც ხასიათდებიან შემდეგი საერთო ნიშნებით:

ეს ქმედებები აღსრულდნენ **თვალსაჩინოდ**, იყვნენ, ერთი შეხედვით, **არაადეკვატური** და მათი მნიშვნელობა **განემარტათ** მხილველებს. ამასთან, აღნიშნული წინასწარმეტყველებების განსაკუთრებულობას ისიც წარმოადგენდა, რომ, პირველ რიგში, ეხებოდნენ **ერის ისტორიას**. ნახსენები თავისებურებებით გამოირჩეოდნენ ისინი მოქმედებითი წინასწარმეტყველების სხვა მაგალითებისგან.

წინასწარმეტყველნი **სიმბოლურ ქმედებას** უფლის კურთხევით მიმართავდნენ განსაკუთრებულ შემთხვევებში, მაშინ, როდესაც წინასწარმეტყველთა სიტყვიერ ქადაგებას სრულებით აღარ უსმენდა ებრაელი ერი. ამ დროს ღვთის ნება და განგება გადაეცემოდა მძაფრი ინტერესის გამოწვევის ფონზე. **სიმბოლურ ქმედებას** ადამიანები უნდა განეწყო დიდი **ყურადღებით** და მათ ცნობიერებაზე ღრმა **შთაბეჭდილება** მოეხდინა. სწორედ ამიტომ ახასიათებდა მას საზოგადოებაში მიღებული ქცევის ნორმებისთვის არაადეკვატურობა. აღნიშნული სახის ქმედება **დამაჯერებლობითაც** გამოირჩეოდა, რადგან აღმოსავლეთის ქვეყნებში სიმბოლოს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ. **სიმბოლურ ქმედებებში** წინასახეობრივად გამოსახებოდნენ შემდეგი მოვლენები: ებრაელთა ერთიანი სახელმწიფოს ორად გაყოფა, იერუსალიმის დაცემა, ბაბილონის ტყვეობა და სხვ. ხშირად ისინი ახალადთქმისეულ მოვლენებსაც უკავშირდებოდნენ, თუმცა ხალხს განემარტებოდა წინასწარმეტყველების მხოლოდ ისტორიული მხარე.

აღნიშნულ ბიბლიურ ეპიზოდებში ვლინდება წინასწარმეტყველთა მიერ უფლისადმი მორჩილების უდიდესი ნიჭი და საკუთარი ერისთვის თავდადების განსაკუთრებული უნარი. ესაია სამი წლის განმავლობაში დადიოდა სამოსლის გარეშე, მოთმინებით იტანდა სირცხვილს, ყინვასა და სიცხეს. ეზეკიელს წყუროდა, შიმშილობდა, უწმინდურ საკვებს მიირთმევდა, მეუღლის გარდაცვალებისას მწუხარების გამოხატვისგან თავს იკავებდა და სხვა მრავალ განსაცდელს ითმენდა. იერემია მძიმე უღელს ტვირთულობდა. დიდ მოთმინებასთან იყო დაკავშირებული ოსეს ქორწინება მეძავთან, რაც წინასწარმეტყველმა ორგზის განახორციელა. **სიმბოლური ქმედების** აღსრულებისას წინასწარმეტყველნი იტანდნენ დიდ სირცხვილსა და ტანჯვას. ეს ყოველივე კი მათ მიერ გადმოცემული წინასწარმეტყველების უეჭველობის თვალსაჩინო მოწმობა იყო. გარდა ამისა, ხალხს

უფლის მზრუნველობა ეცხადებოდა. ამგვარ მძიმე ღვაწლს შემოქმედი ურჩი ებრაელების გადასარჩენად ანიჭებდა თავის ერთგულ მსახურებს.

ძველი აღთქმის **სიმბოლურ ქმედებათაგან** სამი მოიპოვება მეფეთა წიგნებში, ორი – ოსეს წინასწარმეტყველებაში, სამი – ესაიას წიგნში, ექვსი – იერემიას წინასწარმეტყველებაში, ათი (ყველაზე მეტი) – ეზეკიელის წიგნში, ერთი კი – ზაქარიას წინასწარმეტყველებაში.

ძველ აღთქმაში ყველა **სიმბოლური ქმედების** გამოვლენამ საშუალება მოგვცა, რომ შეგვესწავლა სადისერტაციო კვლევის საგანი. ჩვენი მთავარი მიზნის მისაღწევად გამოვიკვლიეთ აღნიშნული ბიბლიური ეპიზოდების ამსახველი ტექსტების ყველა საჭირო იკითხვისი (მასორეტული ტექსტი, სეპტუაგინტა, ვულგატა და ა. შ.). ამასთან, შევისწავლეთ ჩვენს ხელთ არსებული საეკლესიო განმარტებები. მამათა ეგზეგეზის სისტემურმა ანალიზმა საშუალება მოგვცა, რომ ნათელი გაგვეხადა ეკლესიის თვალთახედვა აღნიშნულ ბიბლიურ ეპიზოდებთან დაკავშირებით. რაც შეეხება ჩატარებულ ტექსტოლოგიურ კვლევას, მან შესაბამისი საფუძველი შექმნა აღნიშნული განმარტებების სიღრმისეული გაგებისთვის.

ასე რომ, სადისერტაციო თემის მთავარ მიზანს მივალწიეთ: ეკლესიის მამებზე დაყრდნობით განვახორციელოთ ძველი აღთქმის წინასწარმეტყველთა **სიმბოლური ქმედებების** საღვთისმეტყველო ანალიზი.

კვლევის პროცესში გამოიკვეთა მათი საერთო და განმასხვავებელი ნიშნები (შინაარსობრივი თავისებურებები, აღსრულების ფორმები და ა. შ.). ქვემოთ წარმოვადგენთ ძველი აღთქმის **სიმბოლური ქმედებების** შეჯამებას:

თითოეული **სიმბოლური ქმედება** იყო უნიკალური (მართალია ერთმანეთს ჰგავდა აქიასა და სამეას ქმედებები, მაგრამ ეს უკანასკნელი პირველისგან დეტალურად განსხვავდებოდა და მისი ერთგვარი გაგრძელება იყო). სხვა შემთხვევაში **სიმბოლური ქმედებები** დაკარგავდნენ საკვირველ ხასიათს და შესაბამის ინტერესს ვეღარ დაიმსახურებდნენ.

წინასწარმეტყველნი ხშირად ერთსა და იმავე მოვლენაზე მიანიშნებდნენ, თუმცა მათ გამოსახავდნენ ერთმანეთისგან განსხვავებული ქმედებებით. ამასთან, მათი საშუალებით ერთი მოვლენის სხვადასხვა მხარე ცხადდებოდა. უმეტესწილად, **სიმბოლური ქმედებებით** გამოისახებოდა საუბედურო მომავალი, მაგ. ბაბილონის

ტყვეობას მოასწავებდა: ოსეს მეორე ქორწინება, იერემიას მიერ ქედზე რკინის უღლის დადგმა, მდინარის სიღრმეში სარტყლის განთავსება, ეზეკიელის მიერ მოპარული თმების ჰაერში გაფანტვა და მორიგეობით წოლა სხვადასხვა გვერდზე.

ოსეს მოქმედებები ებრაელი ხალხის სულიერ სიმდაბლეს (კერპთმსახურებას ანუ სულიერ სიძვას) წარმოაჩენდნენ. თუ პირველი ქორწინება მიანიშნებდა ღვთივრჩეულობისა და უფლის შეწევნის დაკარგვაზე, მეორე – განასახიერებდა ებრაელთა მდგომარეობას სამოცდაათწლიანი ტყვეობის პერიოდში. უფლისგან განშორებული და ტყვეობაში აღმოჩენილი ებრაელების მდგომარეობას ასაჩინობდა სარტყელთან დაკავშირებული ისტორიაც იერემიას წიგნში. როგორი გამოუსადეგარიც იყო მდინარეში დამპალი სარტყელი, ისევე უსარგებლონი იქნებოდნენ ცოდვებისგან გახრწნილი ებრაელები. იერემია წინასწარმეტყველის მიერ დამტვრეული ხის უღლის შეცვლა რკინის უღლით მიანიშნებდა ებრაელთა ურჩობის მიზეზით სასჯელის დამძიმებაზე. რაც შეეხება ეზეკიელის ზემოაღნიშნულ ქმედებებს, პირველი განასახიერებდა ბაბილონის იმპერიის სხვადასხვა მხარეში ებრაელთა გაფანტვას, მეორე კი – გადასახლებაში მათი განსაცდელების შეუნელებლობას, უწმინდური ცხოვრების წესსა და სასჯელისთვის განსაზღვრულ დროს. ცალ გვერდზე წოლის სიმბოლიკას ორი ისტორიული მხარე ჰქონდა. ამ პერიოდში კვების უსიამოვნო და მწირი რაციონი მოასწავებდა ალყაში მოქცეულ იერუსალიმელთა შიმშილსაც და წყურვილსაც.

წინასწარმეტყველნი განსაკუთრებული სიმძაფრით მიანიშნებდნენ დავითის ქალაქის ალყასა და დაცემაზე: იერემიამ თიხის ჭურჭელი დაამსხვრია, ეზეკიელი კი სახლში გამოიკეტა, აგურზე ალყის ნახაზი შექმნა, რკინის ტაფითა და მოპარული თმებით აღასრულა **სიმბოლური ქმედებები**, განსაკუთრებული წესით (მწუხარებით, აჩქარებით, კანკალით, მღელვარებით) იღებდა პურსა და წყალს. შიმშილისა და წყურვილის გარდა აღნიშნულ მოვლენასთან დაკავშირებულ სხვა კონკრეტულ ფაქტებზეც მიანიშნებდა ეზეკიელი, ესენია: ნაბუქოდონოსორის მარჩიელობა, სედეკიას ქალაქიდან გაქცევა და იერუსალიმის დაცემის შესახებ შეტყობისას გადასახლებულთა მდგომარეობა.

ზოგიერთი სიმბოლური ქმედება მანუგეშებელ წინასწარმეტყველებას წარმოადგენდა (ტყვეობიდან დაბრუნება, ბრძოლაში გამარჯვება და სხვ.). ტყვეობიდან დაბრუნების წინასწარმეტყველება იყო ნასყიდობის წერილის დადება იერემიას წიგნში.

წინასწარმეტყველმა იმ დროს შეიძინა ქალაქგარეთ მდებარე მიწა, როდესაც იერუსალიმი ალყაში იმყოფებოდა. ეზეკიელმა ხელში შესაბამისი წარწერებით შემკობილი ორი კვერთხი გააერთიანა, რითაც ტყვეობიდან დაბრუნების შემდგომ ებრაელი ხალხის ერთიანობა განასახიერა.

უნდა აღინიშნოს, რომ სასჯელის მომასწავებელი **სიმბოლური ქმედებებიც** ზოგჯერ მანუგემბელი წინასწარმეტყველებით მთავრდებოდნენ. ოსეს მეორე ქორწინება მიანიშნებდა, რომ ებრაელები კერპთმსახურებას თავს დაანებებდნენ, სამშობლოში დაბრუნდებოდნენ და უფალთან კავშირს აღადგენდნენ. ბაბილონიდან ებრაელთა დაბრუნებას განასახიერებდა სელის სარტყელთან დაკავშირებული **სიმბოლური ქმედების** მესამე ნაწილიც (მდინარის სიღრმიდან სარტყლის ამოღება). იმავე მოვლენის წინასწარმეტყველება იყო ეზეკიელის მიერ ჰაერში გაფანტული თმების გარკვეული რაოდენობის შეგროვება და შესამოსლის კალთაზე გამოკვრა.

წინასწარმეტყველნი **სიმბოლური ქმედებებით** იმ წარმართი ერების ხვედრსაც ასაჩინებდნენ, რომელნიც ებრაელებთან უშუალო კავშირში იმყოფებოდნენ. ძირითადად ეს იმიტომ ხორციელდებოდა, რომ ღვთივრჩეულ ხალხს სასოება არ დაემყარებინა უცხოტომელთა ძალაზე და შემოქმედს მინდობოდა. განმოსილი ესაია წინასახეობრივად მიანიშნებდა ეგვიპტელებისა და ეთიოპელების მომავალ განსაცდელზე: სამწლოვან ომსა და ტყვეობაზე. აღნიშნულ სასჯელს ასურელები განახორციელებდნენ. ქალაქ ტაფნისში იერემიას მიერ ქვებისგან აგებული საყდარი ბაბილონის მეფის მიერ ეგვიპტის დაპყრობაზე მიანიშნებდა. ნაბუქოდონოსორისაგან ლტოლვილ ებრაელებზე სასჯელი ეგვიპტეშიც მოვიდოდა.

ხშირად **სიმბოლურ ქმედებათა** თანამონაწილენი ხდებოდნენ წინასწარმეტყველთა შვილებიც. ოსეს ორი ძე (იეზრაელი და „არა-ერი-ჩემი“) და ასული („არშეწყალებული“) ისრაელიანთა დასჯის მიზეზებსა და მათი ურჯულო ცხოვრების შედეგებს ასაჩინებდნენ. ხოლო ესაიას ორი ვაჟი (იასუბი და „მალე იალაფე, ჩქარა გაძარცვე“) იუდეის მკვიდრებს გადასცემდნენ ხსნის მანუგემბელ უწყებასა და მტრების დასჯის წინასწარმეტყველებას.

ძველი აღთქმის წიგნებში აღწერილი **სიმბოლური ქმედებებისგან** გარკვეული თვისებით გამოიყოფა სამი მაგალითი. ამათგან ორს მსგავსი მახასიათებელი აქვს, ერთი კი განსაკუთრებული თავისებურებით გამოირჩევა:

როგორც ვიცით, **სიმბოლურ ქმედებებს** უფლის ბრძანებით წინასწარმეტყველნი აღასრულებდნენ, თუმცა გამონაკლისი შემთხვევაა ძველ აღთქმაში აღწერილი ორი **სიმბოლური ქმედება**. მათგან ერთი ელისეს სახელს უკავშირდება (იხ. წმ.წ.3.), მეორე კი – იერემიას (იხ. წმ.წ.7.). ისინი უშუალოდ წინასწარმეტყველებს არ აღუსრულებიათ, თუმცა მათი კურთხევითა და თანამონაწილეობით განხორციელდნენ. ელისე წინასწარმეტყველთან დაკავშირებული ეპიზოდი **სიმბოლურ ქმედებათაგან** გამოიყოფა კიდევ ერთი განმასხვავებელი ნიშნით. მისი პირველი ნაწილი ისრაელიანებზე გარდამოვლენილ ღვთის წყალობას აღნიშნავდა (ისრაელს სირია საბოლოოდ უნდა ეძლია), ხოლო მეორე – ბრძოლაში გამარჯვების ოდენობას განასახიერებდა. სირია ისრაელს უნდა ეძლია იოასის რწმენით. სწორედ **სიმბოლური ქმედების** მეორე ნაწილში უნდა გადაეწყვიტა მეფეს, თუ რამდენ ისარს ისროდა. ეს ერთადერთი შემთხვევაა, სადაც ღმერთი წინასწარმეტყველს (ამ შემთხვევაში ელისეს) უთითებს **სიმბოლური ქმედების** მხოლოდ ფორმას, მის წარმართვას კი მიახლოებს ადამიანს.

ყველასგან გამორჩეული მაგალითია ძველი აღთქმის წიგნებში აღწერილი უკანასკნელი **სიმბოლური ქმედება**. ზაქარიამ მღვდელმთავარ ისუს თავზე გვირგვინები დაადგა. დაგვირგვინებული მღვდელმთავარი განკაცებულ ძე ღვთისას განასახიერებდა. აღნიშნულ შემთხვევაში, ებრაელებისთვის საცნაური გახდა წინასწარმეტყველების როგორც ისტორიული, ასევე მესიანისტური შინაარსი.

წინამდებარე ნაშრომმა ცხადყო, რომ წინასწარმეტყველთა **სიმბოლური ქმედებანი** მეტად ჰგვანან სალოსთა, ერთი შეხედვით, არაადეკვატურ მოქმედებებს. აღნიშნული ქმედებებით წინასწარმეტყველნიცა და სალოსებიც საზოგადოებაში მიღებულ ქცევის ნორმებს არღვევდნენ. თუმცა ყოველი მათგანი სულიწმიდის შთაგონებით მოქმედებდა და არაადეკვატურ საქციელს ადამიანთა გამოსწორებისთვის მიმართავდა. სწორედ სალოსთა ცხოვრებაში **სიმბოლური ქმედებების** ძიებაში ვხედავთ კვლევის ერთ-ერთ სამომავლო პერსპექტივას. ამით გავიხსენებთ ქრისტიანულ ეკლესიაში სალოსთა ღვაწლს და გავაცნობიერებთ თანამედროვე პირობებში მათი მოღვაწეობის განსაკუთრებულ ფორმას. კვლევის გაგრძელება შესაძლებელია ახალი აღთქმის (სახარება და საქმე მოციქულთა) მიმართულებითაც.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **ბიბლია 1989:** ბიბლია, საქართველოს საპატრიარქო, თბილისი, 1989.
2. **ბიბლია 2015:** ბიბლია, ყველა არსებული რედაქციისა და ნუსხის მიხედვით გამოსაცემად მოამზადა და სქოლიოები დაურთო პროფ. ედიშერ ჭელიძემ, თბილისი, 2015.
3. **ბიბლია 2017ა:** ბიბლია, ნაწ. I, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თბილისი, 2017.
4. **ბიბლია 2017ბ:** ბიბლია, ნაწ. II, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თბილისი, 2017.
5. **განძთა ქვაბი 2007:** განძთა ქვაბი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ციალა ქურციკიძემ, თბილისი, 2007.
6. **ევსები 2007:** ევსები კესარიელი, საეკლესიო ისტორია, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ზურაბ ჯაშმა, თბილისი, 2007.
7. **სამოციქულოს განმარტება 2006:** სამოციქულოს განმარტება, გამოკრებილი იოვანე ოქროპირისა და სხვა წმიდა მამათა თხზულებებიდან, თარგმნილი ეფრემ მცირის [კარიჭის ძის] მიერ, ტ. II, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და წინასიტყვა დაურთო ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა, თბილისი, 2006.
8. **Святитель Амвросий 2015:** Святитель Амвросий Медиоланский, Собрание творений, т. IV, ч. 2, Москва, 2015.
9. **Протоиерей Александр 1992:** Протоиерей Александр (Мень), История религии, В поисках пути, истины и жизни, вестников Царства Божия, том 5, Москва, 1992.
10. **Протоиерей Александр 2000:** Протоиерей Александр (Мень), Исагогика, т. II, Москва, 2000.
11. **Протоиерей Александр 2002ა:** Протоиерей Александр (Мень), Библиологический Словарь, т. II, Москва, 2002.
12. **Протоиерей Александр 2002ბ:** Протоиерей Александр (Мень), Библиологический Словарь, т. III, Москва, 2002.
13. **БКОЦ 2010:** Библейские комментарии отцов Церкви и других авторов I-VIII веков, Ветхий Завет, т. XIV, Герменевтика, 2010.
14. **БКОЦ 2011ა:** Библейские комментарии отцов Церкви и других авторов I-VIII веков, Ветхий Завет, т. V, Герменевтика, 2011.

15. **БКОЦ 2011б**: Библейские комментарии отцов Церкви и других авторов I-VIII веков, Ветхий Завет, т. X, Герменевтика, 2011.
16. **Бухарев 1864а**: Бухарев А., Св. пророкъ Исаия, Очеркъ его времени, пророческаго служения и книги, Москва, 1864.
17. **Бухарев 1864б**: Бухарев А., Св. пророкъ Иеремия, Очеркъ его времени, пророческаго служения и книги, Москва, 1864.
18. **Бухарев 1864в**: Бухарев А., Св. пророкъ Иезекииль, Очеркъ его времени, пророческаго служения и книги, Москва, 1864.
19. **Бродович 2006**: Бродович И. А., Книга пророка Осии, Москва, 2006.
20. **Святитель Григорий 1863**: Святитель Григорий двоеслов, Беседы на пророка Иезекииля, Книга первая, Казань, 1863.
21. **Протоиерей Димитрий 2006**: Протоиерей Димитрий Рождественский, Книга пророка Захарии, Москва, 2006.
22. **Святитель Епифаний 1864**: Святитель Епифаний кипрский, Творения, ч. 2, Москва, 1864.
23. **Святой Ефремъ 1995а**: Святой Ефремъ Сирийъ, Творения, т. 5, "Отчий дом", 1995.
24. **Святой Ефремъ 1995б**: Святой Ефремъ Сирийъ, Творения, т. 6, "Отчий дом", 1995.
25. **Святитель Иоанн 1900а**: Святитель Иоанн Златоуст, Творения, т. 6, кн. 1, С.-Петербургъ, 1900.
26. **Святитель Иоанн 1900б**: Святитель Иоанн Златоуст, Творения, т. 6, кн. 2, С.-Петербургъ, 1900.
27. **Святитель Иоанн 1904**: Святитель Иоанн Златоуст, Творения, т. 10, кн. 1, С.-Петербургъ, 1904.
28. **Святитель Иоанн 1906**: Святитель Иоанн Златоуст, Творения, т. 12, кн. 3, С.-Петербургъ, 1906.
29. **Блаженный Иероним 1882**: Блаженный Иероним Стридонский, Творения, ч. 7, Киевъ, 1882.
30. **Блаженный Иероним 1886**: Блаженный Иероним Стридонский, Творения, ч. 10, Киевъ, 1886.
31. **Блаженный Иероним 1889**: Блаженный Иероним Стридонский, Творения, ч. 11, Киевъ, 1889.

32. **Блаженный Иероним 1900:** Блаженный Иероним Стридонский, Творения, ч. 15, Киевъ, 1900.
33. **Блаженный Иероним 2006з:** Блаженный Иероним Стридонский, Толкование на книгу пророка Осии, Москва, 2006.
34. **Блаженный Иероним 2006д:** Блаженный Иероним Стридонский, Толкование на книгу пророка Иоила, Москва, 2006.
35. **Блаженный Иероним 2008:** Блаженный Иероним Стридонский, Шесть книг толкований на пророка Иеремию, Москва, 2008.
36. **Архиепископ Иоанн 2006з:** Архиепископ Иоанн (Смирнов), Пророк Осия, Москва, 2006.
37. **Архиепископ Иоанн 2006д:** Архиепископ Иоанн (Смирнов), Пророк Захария, Москва, 2006.
38. **Протоиерей Иоанн 1902:** Протоиерей Иоанн (Бухаревъ), Толкование на Евангелие от Луки, Москва, 1902.
39. **Иосиф Флавий 2008:** Иосиф Флавий, Иудейское война, Перевод с древнегреческого осуществлен М. Финкельбергом и А. Вдовиченко, Москва, 2008.
40. **Святитель Кирилл 1887:** Святитель Кирилл Александрийский, Творения, ч. 6, Москва, 1887.
41. **Святитель Кирилл 2006з:** Святитель Кирилл Александрийский, Толкование на пророка Осию, Москва, 2006.
42. **Святитель Кирилл 2006д:** Святитель Кирилл Александрийский, Толкование на пророка Захарию, Москва, 2006.
43. **Лопухин 2007:** Лопухин А. П., Библейская история при свете новейших исследований и открытий, Ветхий завет, т. II, Москва, 2007.
44. **Епископ Палладий 2006з:** Епископ Палладий (Пянков), Толкование на книгу пророчества Осии, Москва, 2006.
45. **Епископ Палладий 2006д:** Епископ Палладий (Пянков), Толкование на книгу святого пророка Захарии, Москва, 2006.
46. **Протоиерей Павел 2006:** Протоиерей Павел Образцов, Опыт толкования книги святого пророка Захарии, Москва, 2006.
47. **РаДаК 2009:** Книга Царей с толкованием раби Давида кимхи, т. I, Иерусалим, 2009.
48. **РаДаК 2010:** Книга Йешайау с толкованием раби Давида кимхи, т. I, Иерусалим, 2010.

49. **Ружемон 2006:** Ружемон Фридрих, Краткое объяснение двенадцати последних пророческих книг ветхого завета, Москва, 2006.
50. **Самборский 2006:** Самборский И., О книге пророка Захарии, Москва, 2006.
51. **Толковая Библия 1905:** Толковая Библия, т. II, Издание преемниковъ А. П. Лопухина, Петербургъ, 1905.
52. **Толковая Библия 1908:** Толковая Библия, т. V, Издание преемниковъ А. П. Лопухина, Петербургъ, 1908.
53. **Толковая Библия 1909:** Толковая Библия, т. VI, Издание преемниковъ А. П. Лопухина, Петербургъ, 1909.
54. **Толковая Библия 1910:** Толковая Библия, т. VII, Издание преемниковъ А. П. Лопухина, Петербургъ, 1910.
55. **Толкование 1996:** Толкование ветхозаветных книг от книги Исаии по книгу малахии, США, 1996.
56. **Святитель Филарет 1857:** Святитель Филарет Московский (Дроздов), Начертание Церковно-Библейской истории, Москва, 1857.
57. **Блаженный Феодорит 1859:** Блаженный Феодорит Кирский, Творения, ч. 6, Москва, 1859.
58. **Блаженный Феодорит 1905:** Блаженный Феодорит Кирский, Творения, ч. 1, Свято-Троицкая Сергиева лавра, 1905.
59. **Блаженный Феодорит 2006а:** Блаженный Феодорит Кирский, Толкование на пророка Осию, Москва, 2006.
60. **Блаженный Феодорит 2006б:** Блаженный Феодорит Кирский, Толкование на пророка Захарию, Москва, 2006.
61. **Яворский 2006:** Яворский В. С., Символические действия пророка Осии, Москва, 2006.
62. **Якимовъ 1879:** Якимовъ И., Толкование на книгу св. пророка Иеремии, С.-Петербургъ, 1879.
63. **Якимовъ 1883:** Якимовъ И., Толкование на книгу св. пророка Исаии, С.-Петербургъ, 1883.
64. **Biblia Hebraica 1977:** Biblia Hebraica Stuttgartensia, edited by K. Elliger and W. Rudolph, Stuttgart, 1977.
65. **Bush 2014:** Bush Randall k., The possibility of contemporary Prophetic acts: From Jeremiah to Rosa Parks and Martin Luther King, Jr., Pickwick Publications, Eugene, 2014.

66. **Sancti Ephraem 1740:** Sancti Ephraem Syri, opera omnia, t. II, Roma, 1740.
67. **Friebel 1999:** Friebel G. Kelvin, Jeremiah's and Ezekiel's Sign-acts, Sheffield Academic Press, 1999.
68. **Gesenius 1844:** Gesenius W., A Hebrew and English Lexicon of the Old Testament, Boston, 1844.
69. **Harris 1981:** R. Laird Harris, Theological wordbook of the Old Testament, Volumes 1 & 2, Bible institute of Chicago, 1981.
70. **Hopp-Peters 2012:** Hopp-Peters E., Breaking pots, making metaphors: Symbolic action in the Book of Jeremiah, Chicago, 2012.
71. **King James Bible 1997:** The holy Bible, 1769 Blayney Edition of the 1611 King James Version of the English Bible, Canada, 1997.
72. **Overholt 1997:** Overholt T. W., Seeing is Believing: The Social Setting of Prophetic Acts of Power, Social-scientific Old Testament Criticism, Sheffield Academic Press, 1997.
73. **PG 1864s:** Patrologiae, Cursus completus, Patrologiae Graecae, editus a Migne, T. LXX, S. Cyrillus Alexandrinus Archiepiscopus, Parisiis, 1864.
74. **PG 1864b:** Patrologiae, Cursus completus, Patrologiae Graecae, editus a Migne, T. LXXI, S. Cyrillus Alexandrinus Archiepiscopus, Parisiis, 1864.
75. **PG 1864c:** Patrologiae, Cursus completus, Patrologiae Graecae, editus a Migne, T. LXXII, S. Cyrillus Alexandrinus Archiepiscopus, Parisiis, 1864.
76. **PG 1864g:** Patrologiae, Cursus completus, Patrologiae Graecae, editus a Migne, T. LXXXI, Theodoretus Cyrensis Episcopus, Explanatio in Canticum canticorum, In Ezechielem, Parisiis, 1864.
77. **PL 1865:** Patrologiae Cursus completus, Patrologiae Latinae, editus a Migne, T. XXIV, S. Hieronymi Stridonensis Presbyteri, Parisiis, 1865.
78. **PL 1884:** Patrologiae Cursus completus, Patrologiae Latinae, editus a Migne, T. XXV, S. Hieronymi Stridonensis Presbyteri, Parisiis, 1884.
79. **Polley 1972:** Polley Max E., The place of Henry Wheeler Robinson among Old Testament Scholars, Baptist Quarterly, 1972, vol. 24.
80. **Septuaginta 1935:** Septuaginta (Old Greek Jewish Scriptures) edited by Alfred Rahlfs, Stuttgart, 1935.

81. **Stacey 1990:** Stacey W.D., Prophetic drama in the Old Testament, London, 1990.
82. **SBL 1999:** The SBL Handbook of Style For Ancient Near Eastern, Biblical, and Early Christian Studies, Edited by Patrick H. Alexander, John F. Kutsko, James D. Ernest, Shirley Decker-Lucke, and, for the SBL, David L. Petersen, Massachusetts, 1999.
83. **Vulgate 1983: Biblia Sacra Iuxta Vulgatam Versionem** (Vulgate Latin Bible), edited by R. Weber, B. Fischer, J. Gribomont, H.F.D. Sparks, and W. Thiele [at Beuron and Tuebingen], Stuttgart, 1983.
84. **von Rad 1965:** von Rad G., Old Testament theology, vol. II, San Francisco, 1965.
85. **Zimmerli 2003:** Zimmerli W., The Fiery Throne: The Prophets and Old Testament Theology, Minneapolis, 2003.

ინტერნეტრესურსები

86. „დიდაქე“ – მოძღვრება თორმეტი მოციქულისა, თარგმნა და კომენტარები დაურთო პროფ. ე. ჭელიძემ, <http://www.orthodoxy.ge/tserili/didaqe.htm> (23.4.2018).
87. **Святитель Афанасий Великий**, Из Бесед на Евангелие от Матфея, https://azbyka.ru/otechnik/Afanasij_Velikij/Iz_Besed_na_Evangelie_ot_Matfeja/ (23.4.2018).
88. **Библия** в Синодальном переводе, <https://azbyka.ru/biblia/> (5.4.2018).
89. **Библія**, Електронное издание подготовлено в рамках проекта „Славянская Библия“. Набор производился по стандартному, „елизаветскому“ изданию 1900-го года. Донецк, 2002, http://www.orthodox.ee/bible_csl/bible.html (15.4.2018).
90. **Святитель Василий Великий**, Толкование на книгу пророка Исаии, https://azbyka.ru/otechnik/Vasilij_Velikij/tolkovanie_na_knigu_proroka_Isaii/ (23.4.2018).
91. „**Дидахи**“ – **Учение двѣнадцати апостоловъ**, Греческій текстъ съ русскимъ переводомъ М. С. Соловьева, Журналь „Православное обозрѣніе“, т. II, Москва, 1886, http://tvorenia.russportal.ru/index.php?id=saeculum.i_iii.didache01 (23.4.2018).
92. „**Дидахи**“ – **Учение двѣнадцати апостоловъ**, Пер. съ греческаго К. Д. Попова, Москва, 1898, http://tvorenia.russportal.ru/index.php?id=saeculum.i_iii.didache02 (23.4.2018).

93. Десницкий Андрей, Кто такой Пророк?, Журнал, „Фома“, 2007, №5, <https://azbyka.ru/kto-takoj-prorok> (23.4.2018).
94. Преподобный Иустин (Попович), Толкование на 1-ое соборное послание святого апостола Иоанна Богослова, https://azbyka.ru/otechnik/Iustin_Popovich/tolkovanie-na-pervoe-sobornoe-poslanie-ioanna-bogoslova/ (23.4.2018).
95. Иванов А. В., Руководство к изучению книг Священного Писания Нового Завета. Обзор Четвероевангелия, книги Деяний апостольских, апостольских посланий и Апокалипсиса, СПб., 2002, https://azbyka.ru/otechnik/Aleksandr_Ivanov/rukovodstvo-k-izucheniyu-knig-svjashennogo-pisaniya-novogo-zaveta/ (7.4.2018).
96. Книга пророка Иеремии, Перевод проф. П. А. Юнгера, https://azbyka.ru/otechnik/Pavel_Yungerov/kniga-proroka-ieremii/ (7.4.2018).
97. Епископ Михаил (Лузин), Толкование на Евангелие от Луки, https://azbyka.ru/otechnik/Mihail_Luzin/tolkovanie-na-evangelie-ot-luki/1 (7.4.2018).
98. Книга пророка Исаии, Опыт переложения на русский язык проф. П. А. Юнгера, https://azbyka.ru/otechnik/Pavel_Yungerov/kniga-proroka-isaii/ (7.4.2018)
99. Блаженный Феофилакт Болгарский, Толкование на Евангелие от Луки, https://azbyka.ru/otechnik/Feofilakt_Bolgarskij/tolkovanie-na-evangelie-ot-luki/1 (7.4.2018).
100. Юнгеров П. А., Введение в Ветхий Завет, кн. 2, <http://www.sbible.ru/books/jung.htm> (23.4.2018).
101. Vat. gr. 1209: The Vatican Codex (Codex Vaticanus), Biblioteca Apostolica Vaticana, http://digi.vatlib.it/view/MSS_Vat.gr.1209 (23.4.2018).